

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

VI

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2016

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

სარედაქციო კოლეგია

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე), აკადემიკოსი რინ მებრეველი, პროფესორი მინდია უგრეხელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, პროფესორი ეკა დულაშვილი, პროფესორი კარლო ბზიშვილი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ნონა თოდუა, პროფესორი სულხან კუპრაშვილი, პროფესორი ჯემალ კარალიძე, ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა ვახტანგ გურულმა და ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

© ავტორთა ჯგუფი

ISSN 2346-7657

Works of Faculty of Humanities and Law

VI

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Philology, Translation Studies and Jurisprudence.

Editorial board

Professor **Sergo Vardosanidze** (Chairman), Academician **Roin Metreveli**, Professor **Mindia Ugrekheldze**, Professor **Vakhtang Guruli**, Professor **Giorgi Alibegashvili**, Professor **Tariel Putkaradze**, Professor **Manana Tabidze**, Professor **Rozeta Gujejiani**, Professor **Eka Dughashvili**, Professor **Karlo Bzishvili**, Professor **Avtandil Kiknadze**, Professor **Nana Todua**, Professor **Sulkhan Kuprashvili**, Professor **Jemal Karalidze**, Doctor of History **Levan Jikia** (Responsible secretary).

The Collection was prepared for publication by Doctor of History, Professor **Vakhtang Guruli** and Doctor of History **Levan Jikia**.

o s o m n o s

პროფესორ სერბო ვარდოსანიძის ღვაწლი

ძნელი არჩევანი

XX საუკუნის 60-70-იანი წლების საბჭოთა საზოგადოების გადაგვარების, მორალური ხრწნის ნიშნები უკვე სახეზე იყო. საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა გადაირჩინა თავი და ისიც იმით, რომ მოახდინა თავისი თავის იზოლაცია საზოგადოებისაგან, შეინარჩუნა ჯანსაღი აზროვნება და მიმდინარე პროცესების რეალურად აღქმის უნარი. საზოგადოების უდიდესი ნაწილი დაემსგავსა ცოცხალ არსებას, რომელიც ჭამდა და ინელებდა. საბჭოთა ზესახელმწიფო, გარეგნული ნიშნების მიხედვით, ჯერ კიდევ უძლეველობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ე. წ. დისიდენტური მოძრაობა განწირულად და უპერსპექტივოდ გამოიყურებოდა. საზოგადოებამ აღდგა აუღო არსებულ ვითარებას, პროტესტის გრძნობა დაკარგა და მზად იყო უარესსაც შეგუებოდა. მიხაილ ბულგაკოვი წერდა: ცენზურა კაბინეტებიდან კი არ მოდის, არამედ ჩვენი ცნობიერებიდან. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა XX საუკუნის 60-70-იანი წლების საზოგადოება. ადამიანებმა ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ცენზურა თვითონ დაუწესეს თავიანთ თავს. ყველამ კარგად იცოდა, რა უნდა ეთქვა, რა უნდა დაეწერა, რომ ხიფათი არ შექმნოდა პირადად მას, მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს. ძნელი სათქმელია, საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას ვინ უფრო ეფექტურად ემსახურებოდა: ოფიციალური საბჭოთა სახელმწიფო ცენზურა, თუ საზოგადოებაში დამკვიდრებული თვითცენზურა. საბჭოთა საზოგადოება ადვილი სამართავი იყო. საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ირწმუნა, რომ ნიკიტა ხრუშჩოვისეული „დათბობა“ ზესახელმწიფოს განმტკიცებასა და წინსვლას ემსახურებოდა. საზოგადოება მოტყუებული დარჩა: ნაცვლად პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობისა, ათწლიანი „მმართველობითი ქაოსი“ (1953-1964 წწ.) მიიღო. ერთხელ მოტყუებული საზოგადოება მეორედაც ადვილად მოტყუვდა და ლეონიდ ბრეჟნევისეულ „მშვიდი მმართველობის“ პერიოდში (1964–1982 წწ.) თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა. „მშვიდი მმართველობის“ პერიოდში მიძინებული საზოგადოება ვერც დისიდენტებმა და „სხვაგვარად მოაზროვნეებმა“ გამოადვიდეს. იმხანად საზოგადოებისათვის, ცხადია, უცნობი იყო, რომ ნიკიტა ხრუშჩოვისეული „დათბობა“ და მისგან გამოწვეული „მმართველობითი ქაოსი“, ასევე ლეონიდ ბრეჟნევისეული „მშვიდი მმართველობა“ საბჭოთა სახელმწიფოს გარეთ კარგად დაგეგმილი და პერსპექტივაზე გათვლილი გეგმის ნაწილი იყო.

ასეთ ვითარებაში ძნელი იყო მორალურად სუფთა, სამშობლოზე შეყვარებულ, ღრმა და საფუძვლიანი განათლების მქონე ახალგაზრდას სწორი არჩევანი გაეკეთებინა. ცხოვრების ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა ისტორიკოსისათვის არსებობდა ორი გზა: 1) სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო წოდებისა და კარგი სამსახურის დაუბრკოლებლად მიღება, მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება. ყოველივე ეს უმსხვერპლოდ არ მოვიდოდა. ახალგაზრდა საბჭოთა იდეოლოგიური მუშაკების უზარმაზარ არმიას უნდა შეერთებოდა და კომუნისტური იდეოლოგიის, საბჭოთა წყობილების მეხოტბედ ქცეულიყო. ცდუნებას ბევრმა ნიჭიერმა და პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ვერ გაუძლო; 2) მიღებული ცოდნის საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის შექმნისათვის გამოყენება, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში (XX საუკუნის 20-70-იანი წლები) გაყალბებული საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით ახალი და უახლესი ისტორიის ობიექტურად კვლევა, პოლიტიკური მოტივით მიჩქმალული დიდი ქართველი მოაზროვნეებისა და მოღვაწეების სათანადოდ დაფასება. მეორე გზა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ძალზე მცირე ნაწილმა აირჩია, მათ შორის იყო **სერგო ვარდოსანიძე**, რომელმაც 1979 წელს წარჩინებით დაასრულა ალექსანდრე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

საქართველოს ისტორიის მკვლევარი

სერგო ვარდოსანიძემ არჩევანი ჯერ კიდევ ალექსანდრე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულებამდე გააკეთა. 1977 წლის 18-20 ნოემბერს სოხუმში გაიმართა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მესამე კურსის სტუდენტი სერგო ვარდოსანიძე კონფერენციაზე წარდგა მოხსენებით „გიორგი წერეთელი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი“¹. გიორგი წერეთლის შემოქმედების კვლევა იმის მაუწყებელი იყო, რომ სტუდენტს სერიოზული გეგმები ჰქონდა დასახული. ეს გეგმა საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1917 წწ.) კვლევას ითვალისწინებდა. სერგო ვარდოსანიძე არ იზღუდებოდა მარტო გიორგი წერეთლის შემოქმედების კვლევით. 1984 წელს მან გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი „კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო“². ახალგაზრდა ისტორიკოსის მიერ სამეცნიერო სტატიისათვის შერჩეული თემა დღესაც აქტუალურია ქართულ ისტორიოგრაფიაში. სერგო ვარდოსანიძემ სწორად შეაფასა კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის მნიშვნელობა: „XIX საუკუნის 80-იან წლებში მეფის რუსეთის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე ევროპულ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა აკრძალა და გაკათოლიკებული ქართველი მოსახლეობის მოვლა სომეხ კათოლიკეებს დაავალა, ვინაიდან მთავრობა ევროპული კათოლიკეების აგენტების როლში მოვლინებას კარგად ხედავდა. მეფის მთავრობის ეს გადაწყვეტილება ერთი შეხედვით წმინდა რელიგიურ-დოგმატურ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი სისრულეში მოყვანა სამცხე-ჯავახეთის ქართველების გადაგვარებას ხელს შეუწყობდა და ეს რომ არ მომხდარიყო, 1860-იან წლებში ზემოთ დასახელებულმა მოღვაწეებმა კონსტანტინოპოლში ჯერ ქართული ეკლესია და შემდეგ ქართული სკოლა დააარსეს. ამ სკოლაში სწავლება დედაენაზე მიმდინარეობდა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში შექმნილ რთულ პირობებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბრძოლას მშობლიური ენის უფლებებისათვის, მაშინ ნათელი გახდება რაოდენ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის გახსნა“³. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის მნიშვნელობას ავტორი ასე აფასებს: „ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაუცხოებული ქართველობა, თავის ფუძეზე არამკვიდრად რომ გრძნობდა თავს, სამცხე-ჯავახეთში თუ თურქეთის საქართველოში, სამოღვაწეოდ ამოძრავდა. ისინი ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ აჭარის საქართველოსთან დაბრუნების თაობაზე. ეროვნულ ნიადაგს ეძღვნებოდა ივანე გვარამაძის, მიხეილ თამარაშვილის და სხვათა მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელიც მათ ფრიად რთულ პირობებში უხდებოდათ. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ივანე გვარამაძე ამასთან დაკავშირებით კიდევაც წერდა: „უცხო ტომელნი შემოგვესივნენ ოთხივე კუთხით, ჩვენს მამაპაპათა სიძველის ნაშთებს თვალსა და ხელშუა გვიძარცვავენ“. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის მესვეურთა მიერ შემზადებული რომ არ ყოფილიყო სამცხე-ჯავახეთის ქართველობა, მათ ისევ გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდათ“⁴. საინტერესოა ავტორის მიერ მოტანილი მასალა კონსტანტინოპოლის ქართული სკოლის ცალკეული მოღვაწეების და სკოლის კონკრეტული საქმიანობის შესახებ.

1984 წელს სერგო ვარდოსანიძე ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით და პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო საკანდიდატო დისერტაციაზე „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“. გიორგი წერეთლის შემოქმედების შესახებ წერა გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. წიგნიერი ქართველი საზოგადოებისთვისაც კი გიორგი წერეთელი აღიქმებოდა გარკვეული პერიოდიდან ილია ჭავჭავაძის იდეურ მოწინააღმდეგედ და, მიუხედავად იმისა, ვინ იყო მართალი ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის დაპირისპირებაში, მაინც ჩრდილს

¹სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი.— საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ქ. სოხუმი, 18-20 ნოემბერი, 1977 წ. მოხსენებათა თეზისები. საქართველოს ისტორიის სექცია. თბილისი, 1977, გვ. 20-21.

²სერგო ვარდოსანიძე. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო.— ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1984, №1, გვ. 64-73.

³სერგო ვარდოსანიძე. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო.— ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1984, №1, გვ. 65-66.

⁴სერგო ვარდოსანიძე. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო.— ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1984, №1, გვ. 69.

ჰვენდა გიორგი წერეთელს. გიორგი წერეთელს ჩრდილს ჰვენდა ისიც, რომ იგი იყო მამა ცნობილი სოციალ-დემოკრატი მენშევიკის, ბოლშევიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი იდეური მოწინააღმდეგის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა (1918-1921 წწ.) და ქართული ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწის ირაკლი (კაკი) წერეთლისა. ამიტომ იყო, რომ გიორგი წერეთლის ნააზრევსა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასება დაგვიანდა. არადა გიორგი წერეთელი იყო განსხვავებული აზროვნების, სრულიად განსხვავებული მიზნების მოღვაწე თვით დიდი მოაზროვნეებითა და მოღვაწეებით ცნობილ XIX საუკუნეშიც კი. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სერგო ვარდოსანიძის არჩევანი ეხმაურებოდა ქართულ ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარი იმ პრობლემის გადაჭრას, რომელიც კარგა ხნის წინ უნდა გადაჭრილიყო.

ასპირანტურაში სწავლის პერიოდში სერგო ვარდოსანიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია, რომელთაგან აღსანიშნავია: „გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი“⁵. სტატიაში საგანგებო ყურადღება დაეთმო გიორგი წერეთლის დამოკიდებულებას ისტორიული წყაროებისადმი. ამ თვალსაზრისით გიორგი წერეთლის დამსახურება კარგად არის წარმოდგენილი. სერგო ვარდოსანიძის დასკვნა ასეთია: „ავტორის (გიორგი წერეთლის – გ. გ.) აზრით, საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის აუცილებელია ისტორიული საბუთების, სიგელგუჯრების შედარებითი მეთოდით შესწავლა“⁶. სერგო ვარდოსანიძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გიორგი წერეთელმა ისტორიული საბუთების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანამდე ტექსტის კრიტიკული ანალიზის ჩატარება მიიჩნია აუცილებლად⁷. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ყურადღებას იქცევს სერგო ვარდოსანიძის სამეცნიერო სტატია: „გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები“⁸. ძალზე საინტერესოა ავტორის დასკვნა იმის თაობაზე, თუ როგორ აფასებდა გიორგი წერეთელი ძველ და ახალ ქართველობას: „გიორგი წერეთელი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ფეოდალური წეს-წყობილების დროს საქართველოში მრავლად იყო შური, მტრობა, ძარცვა-რბევა, სამშობლოს ღალატიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სამშობლოს წინაშე „თანასწორად ვალის მოხდის“ შეგნება დომინირებდა. მისი აზრით, XIX საუკუნის ქართველობა კი დაქსახული და გათითოკაცებული გამხდარა, ქართული ეროვნული ცნობიერება ინდივიდუალურ ჯგუფურ ცნობიერებამდე დაცემულა, როცა „ყოველ კაცს, ყოველ ჯგუფს, ყოველ წრესა და ყოველ დასს საკუთარი საქმე გამოუწყვია და ამ საქმეში ხედავს იგი ქვეყნის ხსნას“⁹.

1989 წელს სერგო ვარდოსანიძემ საკანდიდატო დისერტაცია დაასრულა. 4 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილების სხდომაზე შედგა სერგო ვარდოსანიძის საკანდიდატო დისერტაციის „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“ წინასწარი განხილვა. სადისერტაციო ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1989 წლის 17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგა სერგო ვარდოსანიძის საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. მოვიტანთ რამდენიმე ადგილს დისერტანტის მიერ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან:

– „გ. წერეთელმა მის მიერვე დაარსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კრებული“, „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კვალი“ ხალხისათვის გასაგები ენით დაიწყო საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქება, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. იგი რუსული, ევროპული მეცნიერების მიღწევათა გააზრების საფუძველზე ცდილობდა, სწორად დაენახა ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც.

გ. წერეთელმა დ. ბაქრაძესთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ქართული საისტორიო წყაროების უცხოურთან შედარებით და კრიტიკულად გამოცემის აუცილებლობაზე. მან არქეოლოგიური მონაცემების უქონლობის გამო ძველი საქართველოს ისტორიის აღდგენა სცადა

⁵სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1988, №4, გვ. 51-60.

⁶სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1988, №4, გვ. 53.

⁷სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1988, №4, გვ. 53.

⁸სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1989, №4, გვ. 71-75.

⁹სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1989, №4, გვ. 71.

ასურეთ-ბაბილონის ისტორიასთან შედარებითი მეთოდის გამოყენებით, მაგრამ როგორც თავის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსებს საყვედურობდა, თვითონაც დაიბნა ამ შედარებების დროს მასალის სიმცირისა და წყაროთა კრიტიკული განხილვის დროს“.

– „გ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა XIX საუკუნის მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებს, უკავშირებდა მას საქართველოს ისტორიას. მან, როგორც დემოკრატმა და განმანათლებელმა, გააკრიტიკა „კუდმოკვეცილი საგლეხო რეფორმა“. როგორც „შეუფერავმა რეალისტმა“ კარგად დაინახა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესული და უარყოფითი მხარეები და თავის პუბლიცისტურ წერილებში, მოთხრობებსა და ისტორიულ ნარკვევებში სცადა იმ წინააღმდეგობრივი პროცესების ჩვენება, რაც ამ ახალ ურთიერთობებს ახასიათებდა. მისი დასკვნებიც წინააღმდეგობრივი იყო, რაც უეჭველია ეპოქის წინააღმდეგობრივი განვითარებიდან გამოსჭვიოდა“.

– „ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ კაცს ერთი დღე არ მოუსვენია. ეძიებდა და პოულობდა, მან დაღუპვას გადაარჩინა არა ერთი ისტორიული დოკუმენტი, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა XIX საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერული ქართული ისტორიოგრაფიის საფუძვლების მომზადების საქმეში“.

სერგო ვარდოსანიძემ საკანდიდატო დისერტაცია 1989 წელს დაიცვა, ხოლო 2015 წელს, ე. ი. 26 წლის შემდეგ სადისერტაციო საბჭოზე წარდგენილი ნაშრომის ტექსტი ცალკე წიგნად გამოსცა¹⁰. გამოცემა განხორციელდა ისე, რომ ცვლილება არ განუცდია სადისერტაციო ნაშრომის ტექსტს. 26 წლის წინ დაცული დისერტაციის ტექსტს ავტორი რომ უცვლელად აქვეყნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორს 1989 წელს არაფერი დაუწერია ისეთი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა 2015 წელს. ასე ხდება მაშინ, როდესაც ისტორიკოსი ჭეშმარიტებას ემსახურება და ანგარიშს არ უწევს კონიუნქტურას.

სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფია „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“ ყურადღებას იქცევს თემის აქტუალობით, გამართული სტრუქტურით, მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით, ისტორიოგრაფიული მეტეკვიდრობის ობიექტურად შეფასებით, XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და მთლიანად საქართველოს ისტორიის დრმა და საფუძვლიანი ცოდნით. გიორგი წერეთლის ნააზრვისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასება, ამ დიდი მოღვაწისათვის საქართველოს ისტორიაში კუთვნილი ადგილის მიხენა მოითხოვდა ორი პრობლემის მეცნიერულ გააზრებას. პირველი პრობლემა გახლდათ გიორგი წერეთლის უამრავი წერილისა და სტატიის თავმოყრა და ანალიზი. მეორე პრობლემას წარმოადგენდა გიორგი წერეთლის ღვაწლის გააზრება იმ ეპოქაში, რომლის არსი განსაზღვრა ილია ჭავჭავაძემ. ორივე პრობლემა სერგო ვარდოსანიძემ შესანიშნავად გადაჭრა და მისი მონოგრაფიით გიორგი წერეთელმა საქართველოს ისტორიაში დაიმკვიდრა ის ადგილი, რომელიც ამ ორიგინალურად მოაზროვნე ადამიანს ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ეკუთვნის.

სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფიაში „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“ სხვა პრობლემებთან ერთად ძალზე საინტერესოა შემდეგი საკითხები: „ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი“, „გიორგი წერეთელი ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროებისა და პრობლემათა შესახებ“, „გიორგი წერეთელი XIX საუკუნის საქართველოს და მსოფლიო ისტორიის პრობლემათა შესახებ“. ამ უაღრესად საინტერესო საკითხებიდან ჩვენ მაინც უპირატეს მნიშვნელობას ვანიჭებთ პრობლემას, რომელიც მონოგრაფიაში ასეა დასათაურებული: „გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების შესახებ“¹¹. გამჭრიახი გონების მქონე გიორგი წერეთელს ბევრი საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ქართული ეროვნული ცნობიერების თავისებურებების შესახებ. ერთ-ერთ თავისებურებაზე სერგო ვარდოსანიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. ავტორი წერს, რომ, გიორგი წერეთლის აზრით: „XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ინტელიგენციის თვისება იყო არათანმიმდევრულობა და სტიქიურობა. ისინი „დინჯად და შეუჩერებლად კი არ მოქმედებენ, უფრო და უფრო დროდადრო აფეთქდებიან და ჩაწუმდებიან. ამიტომაც შესაძლოა, რომ ესა თუ ის აზრი, საზოგადო საქმე კვეყნისათვის დიდი სიკეთის მომტანი, ნაკლებად მიდის ხალხში და ნიადაგს ვერ პოულობს“. საქართველოს მომავლისათვის ინტელიგენციას უნდა უკუუგდო მანვე ჩვევა, რაც იმით ვლინდებოდა, რომ საკმარისი იყო რაიმე დაბრკოლება შეხვედროდა და დიდის ამბით

¹⁰სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2015.

¹¹სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2015, გვ. 118-126.

წამოწყებული საეროვნო საქმე შუაგზაზე მიეტოვებინათ. გ. წერეთელს მოჰყავდა მაგალითები ევროპის მოწინავე ქვეყნების ცხოვრებიდან, სადაც ეროვნულ ინტელიგენციას, თუნდაც დიდი დაბრკოლება და ხიფათი შეხვედროდა, უფრო ააქტიურებდა მცდელობას და მიზანსაც აღწევდნენ¹².

საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემას მიეძღვნა სერგო ვარდოსანიძის სამეცნიერო წერილები და სტატიები. ამ სტატიებს ავტორმა თავი მოუყარა და 2004 წელს ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით: „ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები“¹³. წიგნში შესული წერილებიდან და სტატიებიდან აღსანიშნავია „ერეკლე II ქართულ ისტორიოგრაფიაში“¹⁴, „ეროვნული ცნობიერებისა და ქართველთა ერთიანობის პრობლემა XV-XVIII საუკუნეების საქართველოში“¹⁵, „როგორ იდევნებოდა საქართველოს ისტორია“¹⁶. სტატიაში „ეროვნული ცნობიერებისა და ქართველთა ერთიანობის პრობლემა XV-XVIII საუკუნეების საქართველოში“ ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ქართველ ხალხს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში არაერთხელ დადგომია ყოფნა-არყოფნის უამი, მაგრამ მას თავის თავში უნახავს ერის თვითგადარჩენის მძლავრი დასაყრდენი და ამ რწმენით, თვითშეგნებით გაუმარჯვია კიდეც. ილია ჭავჭავაძის მიერ დასმულ კითხვას „რამ გადაგვარჩინა?“ მოკლედ ასე შეგვიძლია ვუპასუხოთ: 1. ქართველმა ხალხმა შუა საუკუნეების სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცების უამსაც შეინარჩუნა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერების აუცილებლობის რწმენა.

2. ქართველთა გადარჩენაში დიდი იყო საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების, მთისა და ბარის ჩანაცვლების ფაქტორი;

3. ქართველობას ერის ცხოვრებაში უკიდურესი განსაცდელის უამს თავის თავში ყოველთვის მოუნახავს თვითგადარჩენის დიდი ძალა“¹⁷.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

ქართულ ისტორიოგრაფიაში სერგო ვარდოსანიძე უპირველესად დარჩება, როგორც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა XIX საუკუნეში დაიწყო. კვლევა გაძლიერდა XX საუკუნის დამდეგიდან, თუმცა 1921 წლიდან, საბჭოთა წყობილების არსებობის პირობებში, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ასე განვლო ათწლეულებმა. XX საუკუნის 80-იან წლებში მეუფე ანანიაშვილმა (ჯაფარიძემ) დაიწყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის ფუნდამენტალური კვლევა და 90-იან წლებში უკვე გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი. იმავდროულად საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას იწყებს სერგო ვარდოსანიძე. 1989 წელს ჟურნალში „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“ დაიბეჭდა სერგო ვარდოსანიძის სტატია „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა“¹⁸. სტატიიდან ქართველმა საზოგადოებამ ბევრი ისეთი რამ შეიტყო, რომელიც ათწლეულების მანძილზე იჩქმალებოდა. განსაკუთრებით ეს ეხება კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიას ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის მოხსენება, რომლითაც ის 1995 წლის ოქტომბერში წარდგა სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილ პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე. მოხსენების თემა იყო „1917 წლის საეკლესიო კრება“¹⁹. საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიის გაშუქებისას ავტორმა სამეცნიერო მიმოკვლევაში შემოიტანა ახალი მასალები. 2000 წელს თბილისის სულხან-საბა

¹²სერგო ვარდოსანიძე. გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2015, გვ. 119-120.

¹³სერგო ვარდოსანიძე. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები. თბილისი, 2004.

¹⁴სერგო ვარდოსანიძე. ერეკლე II ქართულ ისტორიოგრაფიაში.– სერგო ვარდოსანიძე. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები. თბილისი, 2004, გვ. 9-13.

¹⁵სერგო ვარდოსანიძე. ეროვნული ცნობიერებისა და ქართველთა ერთიანობის პრობლემა XV-XVIII საუკუნის საქართველოში.– სერგო ვარდოსანიძე. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები. თბილისი, 2004, გვ. 45-50.

¹⁶სერგო ვარდოსანიძე. როგორ იდევნებოდა საქართველოს ისტორია.– სერგო ვარდოსანიძე. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები. თბილისი, 2004, გვ. 116-124.

¹⁷სერგო ვარდოსანიძე. ეროვნული ცნობიერებისა და ქართველთა ერთიანობის პრობლემა XV-XVIII საუკუნის საქართველოში.– სერგო ვარდოსანიძე. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები. თბილისი, 2004, გვ. 49-50.

¹⁸სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1989, №3, გვ. 42-49.

¹⁹სერგო ვარდოსანიძე. 1917 წლის საეკლესიო კრება.– სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 11-13 ოქტომბერი. 1995, გამომცემლობა „წმინდა ნინო“, თბილისი, 1998, გვ. 159-167.

ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა სერგო ვარდოსანიძის სტატია „რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის საკითხი“²⁰. ნაშრომი ღირსშესანიშნავია იმით, რომ მასში გამოყენებულია საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული მანამდე უცნობი მასალები. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს და საერთოდ 1917-1918 წლების მოვლენებს ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის სტატია სასულიერო „ჟურნალ „სვეტიცხოვლისა“ და „ახალი სიტყვის“ პროფილი“, რომელიც 2001 წელს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა²¹.

1. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა ღვაწლი

საბჭოთა წყობილების ლიკვიდაციისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განსაკუთრებით გაცხოველდა ქართული საზოგადოების ინტერესი იმ მოვლენებისა და გამომწვევების მიმართ, რომელთა შესახებაც საბჭოთა წყობილების პირობებში რაიმეს გამოქვეყნება შეუძლებელი თუ არა, ძალზე ძნელი მაინც იყო. ამიტომ იყო, რომ საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა 1994 წელს გამოქვეყნებულ სერგო ვარდოსანიძის გამოკვლევას „კირიონ II. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917-1918). ცხოვრება და მოღვაწეობა“²². მკითხველისათვის იმხანად დიდ სიახლეს წარმოადგენდა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მკვლელობის ისტორია, რომელიც ძალზე საინტერესოდაა ნაშრომში წარმოდგენილი²³. კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია ჟურნალში „რანი ვართ ქართველნი?!“ 1997 წელს გამოქვეყნებულმა სერგო ვარდოსანიძის სტატიამ „ვერსიები კირიონ II-ის მკვლელობის შესახებ“²⁴. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევა სერგო ვარდოსანიძემ დააგვირგვინა მონოგრაფიით „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.)“²⁵, რომელიც 2014 წელს გამოიცა. მონოგრაფიაში წარმოდგენილია ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა: კირიონ II – ცხოვრების გზის დასაწყისი და მისი მოღვაწეობა კათოლიკოს-პატრიარქად არჩევამდე, კირიონ II-ის სამეცნიერო მოღვაწეობა, კირიონ II-ის სამღვდელმთავრო მოღვაწეობა, კირიონ II – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ II-ის მკვლელობა. მონოგრაფიას ღირსებას მატებს დოკუმენტებისა და მასალების დანართი.

სერგო ვარდოსანიძემ არა მარტო წარმოაჩინა კირიონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ გადაჭრა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: ათწლეულების მანძილზე საქართველოში ვრცელდებოდა ჭორი კირიონ II-ის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობის შესახებ. უადრესად სანდო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით სერგო ვარდოსანიძემ დაამტკიცა, რომ კირიონ II-ს თავი არ მოუკლავს, იგი მოკლეს საქართველოსა და საქართველოს ეკლესიის მტრებმა²⁶. ადვილი არ იყო ავტორისათვის შემდეგი სიტყვების დაწერა, ადვილი არ იყო, რადგან იმ ბრალდებას, რომელიც სერგო ვარდოსანიძემ სავესებით სამართლიანად და დასაბუთებულად წამოაყენა, თავისი კონკრეტული მისამართები ჰქონდა: „კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სიძულვილით დაბრმავებულებს არაფერი არ აინტერესებდათ გარდა იმისა, რომ როგორმე იგი ან ნერვიულობას გადაჰყოლოდა ან სხვა გზა უნდა მოენახათ მისი თავიდან მოშორების. ქართული საზოგადოება თითქოს გულგრილი გახდა

²⁰სერგო ვარდოსანიძე. რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის საკითხი.– თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტომი VIII. თბილისი, 2000, გვ. 140-145.

²¹სერგო ვარდოსანიძე. ჟურნალ „სვეტიცხოვლისა“ და „ახალი სიტყვის“ პროფილი.– თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტომი X. თბილისი, 2001, გვ. 134-144.

²²სერგო ვარდოსანიძე. კირიონ II. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917-1918). ცხოვრება და მოღვაწეობა. ოზურგეთი, 1994.

²³სერგო ვარდოსანიძე. კირიონ II. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917-1918). ცხოვრება და მოღვაწეობა. ოზურგეთი, 1994, გვ. 24-27.

²⁴სერგო ვარდოსანიძე. ვერსიები კირიონ II მკვლელობის შესახებ.– ჟურნალი „რანი ვართ ქართველნი?!“ 1997, №4, გვ. 16-17.

²⁵სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.). ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2014.

²⁶სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.). ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2014, გვ. 99-138.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II შეატოვებს ამ გაბოროტებულ, ანგარებიან ადამიანებს იგი მარტო დარჩა²⁷. დიდი რაოდენობით საარქივო მასალის, მემუარების და სხვა დოკუმენტების შესწავლა გახდა აუცილებელი იმისათვის, რომ ავტორს გაეკეთებინა მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი დასკვნა: „უწმიდესა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ს უთვალთვალედნენ, შინაურებიდან გამოჰქონდათ ინფორმაციები პატრიარქის გადაადგილების მარშრუტის შესახებ“²⁸. დიდი დრო დასჭირდა ქართულ ისტორიოგრაფიას, რომ ელიარებინა სიმართლე კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მკვლელობის შესახებ. ეს სიმართლე კი ასეთია: „1918 წლის 26 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკთან და ვასილ კბილაშვილთან ერთად დილის 5 საათზე ეტლით გაემგზავრა მარტყოფის მონასტერში, პატრიარქს თან ახლდა ჩიტო (ქრისტეფორე) კაპანაძე, მაგრამ გზაში გაირკვა, რომ პატრიარქს დარჩა წიგნები, რომლებიც სამუშაოდ სჭირდებოდა, ამიტომ ჩიტო კაპანაძე დარჩა წიგნების წამოსადებად. პატრიარქი კირიონი მარტყოფის მონასტერში 11 საათზე მოვიდა, ლოცვის შემდეგ მუშაობას შეუდგა. გვიან ღამით, 1 საათზე დაიძინა. წინა ოთახში ეძინა არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკს. პატრიარქი დილის 5 საათზე დგებოდა. გახდა 5, 6, 7, საათი, პატრიარქის ოთახის კარი არ იღებოდა. ბოლოს გადაწყვიტეს და შეაღეს კარები. კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II სისხლში ცურავდა, გარდაცვლილის გვერდით ეგდო მისივე დაკეტილი ბრაუნინგი“²⁹.

სერგო ვარდოსანიძემ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარდა მონოგრაფიულად შეისწავლა ყველა კათოლიკოს-პატრიარქთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წლიდან) დღემდე მოღვაწეობდნენ. სადღეისოდ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარებს, ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს თვალი გაადევნოს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქთა მოღვაწეობას 1917 წლიდან დღემდე. არა გამოცემის წლების მიხედვით, არამედ კათოლიკოს-პატრიარქთა მოღვაწეობის რიგის მიხედვით, სერგო ვარდოსანიძის ნაღვაწი ასე გამოიყურება:

1. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1855-1918 წწ.). თბილისი, 2014 (პირველი გამოცემა: ოზურგეთი, 1994).
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.), თბილისი, 2014.
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), თბილისი, 2009.
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წწ.), თბილისი, 2009.
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წწ.), თბილისი, 2009.
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წწ.), თბილისი, 2007.
7. პატრიარქი მელქისედეკ III – იხ.: პატრიარქები. წიგნი II. თბილისი, 2013, გვ. 171-212.
8. პატრიარქი დავით V – იხ.: პატრიარქები. წიგნი I. თბილისი, 2013, გვ. 101-189.

გარდა ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიებისა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა სერგო ვარდოსანიძის მიერ განხორციელებული ორი საყურადღებო გამოცემა:

9. პატრიარქები. წიგნი I. პატრიარქი ეფრემ II. პატრიარქი დავით V. თბილისი, 2013.
10. პატრიარქები. წიგნი II. პატრიარქი კალისტრატე. პატრიარქი მელქისედეკ III. თბილისი, 2013.

საქართველოს ეკლესიის მამამთავართა, კათოლიკოს-პატრიარქთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლა ურთულესი საქმეა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. საარქივო დოკუმენტებისა და მასალების მოძიება, მემუარების

²⁷სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.). ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2014, გვ. 112.

²⁸სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.). ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2014, გვ. 112.

²⁹სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წწ.). ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2014, გვ. 112-113.

შეკრება და კრიტიკული ანალიზი. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია, რომ მკვლევარს კარგად ჰქონდეს გააზრებული საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის კონკრეტული ეპოქა და ამის შემდეგ განსაზღვროს კათოლიკოს-პატრიარქის ადგილი ქვეყნისა და ეკლესიის ისტორიაში. 1917 წლიდან დაწყებული საქართველოს ყველა კათოლიკოს-პატრიარქს მოღვაწეობა უხდებოდა ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში – ეკლესიის, სამღვდელოებისა და მრევლის დევნის პირობებში. ეპოქა თავის დაღს ასვამდა ეკლესიის მამამთავართა მოღვაწეობას. მიმდინარეობდა ბრძოლა ეკლესიის გადარჩენისათვის, ამ ბრძოლის ისტორიის წარმოჩენა იყო სწორედ სერგო ვარდოსანიძის უმთავრესი მიზანი. კათოლიკოს-პატრიარქთა მოღვაწეობა ბევრი რამით წააგავდა ერთმანეთს, მაგრამ ბევრი რამითაც განსხვავდებოდა. აი ამ განსხვავების მიგნება და მისი მკითხველამდე მიტანა აუცილებელი, მაგრამ ძალზე ძნელი იყო მკვლევარისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სერგო ვარდოსანიძემ შექმნა კათოლიკოს-პატრიარქთა პორტრეტები, ღრმად ჩაახვედრა მკითხველი ბევრ ნიუანსში, წარმოაჩინა კათოლიკოს-პატრიარქთა ღვაწლი ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე.

მძიმე ხვედრი ერგო კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს. იგი მოწმე გახდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა, 1921 წლის თებერვალ-მარტში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა. კათოლიკოს-პატრიარქს, ცხადია, არ შეეძლო წინ აღდგომოდა მომხდარს, პატრიარქიც მსხვერპლი იყო. სერგო ვარდოსანიძე წერს: „როცა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის და ამავე დროს საქართველოს ეროვნული სიწმინდეების, განძის წადების შესახებ, ეს იყო თავზარდამცემი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდისათვის. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 17 მარტს, განძეულობით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი“ ბათუმიდან გავიდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი 13 აპრილს თბილისში დაბრუნდა...“³⁰. კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ერგო კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის. ტრაგიკული იყო პატრიარქის აღსასრული. სერგო ვარდოსანიძე წერს: „ოფიციალური ხელისუფლების წაქეზებით დროებითი მმართველობის წევრებმა 1927 წლის თებერვალში უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი ფაქტიურად ჩამოაშორეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობას. ამ ნერვიულობამ, შფოთმა და ცილისწამებამ, კიდევ უფრო გააუარესა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ჯანმრთელობა. 1927 წლის 22 მარტს დროებითი მმართველობის წევრები შევიდნენ უწმიდეს ამბროსისთან და გამოუცხადეს, რომ იგი განთავისუფლებული იყო საქმის წარმოებისაგან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლობიდან. „ამის გამოცხადების მეორე დღეს, 23 მარტს უწმიდესმა ამბროსიმ დაკარგა მეტყველების უნარი, 27 მარტს გონება, 29 მარტს დილის 3 საათზე იგი გარდაიცვალა...“³¹.

კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ღვაწლს სხვადასხვაგვარად აფასებდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარები, სჭარბობდა კრიტიკა, გარკვეული აგრესიაც კი. სერგო ვარდოსანიძემ თავის მონოგრაფიაში კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის მოღვაწეობის შესახებ, ბოლო თავი ასე დაასათაურა: „პატრიარქის მძიმე უღელი“. ეს უკვე აგტორის პოზიციის გამოხატულებას წარმოადგენდა, რაც აისახა კიდევ დასკვნაში: „რთული წინააღმდეგობრივი ეპოქა, რომელშიც უნეტარეს ქრისტეფორე III-ს მოუხდა მოღვაწეობა, აისახა მის პიროვნებაშიც და საქმიანობაშიც. იგი იყო მრავალმხრივი განათლების, მებრძოლი და ეროვნული სულისკვეთების ადამიანი, ჰქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობაც... ერთი დღე მოსვენებით არ უცხოვრია, აღესრულა და თან წაიყოლა თავისი სამშობლოს – საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთულესი მდგომარეობით გამოწვეული დიდი ტკივილი და სევდა“³².

ურთულეს ეპოქაში მოუწია მოღვაწეობა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს. კრიტიკოსები არც პატრიარქ კალისტრატეს მოკლებია. საკმაოდ დაგვიანდა მისი ღვაწლის შეფასება, თუმცა ჭეშმარიტებას წინ მაინც ვერავინ და ვერაფერი დაუდგა. სერგო ვარდოსანიძე წერს: „თუ ეპოქის რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები არ გაიაზრე, ძნელია ჩასწვდე იმ სამწუხარო და მკაცრ რეალობებს, რომელშიც უწმიდეს კალისტრატეს უხდებოდა მოღვაწეობა. დღეს თამამად

³⁰სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.). თბილისი, 2014, გვ. 69-70.

³¹სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.). თბილისი, 2009, გვ. 137.

³²სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წწ.). თბილისი, 2009, გვ. 127.

შეიძლება იმის თქმა, რომ მან გონივრული კომპრომისებით გადაარჩინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მოახერხა საერო ხელისუფლებისაგან წართმეული იურიდიული სტატუსის დაბრუნება, მიღწია რუსეთის ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მოაქცია არაქართული სამრევლოები, ეკლესიას შეუნარჩუნა მრევლი, გადაარჩინა საეკლესიო სიწმინდენი, რეპრესიებიდან იხსნა არაერთი სასულიერო პირი. თავისი პიროვნებისა და ეკლესიისადმი პატივისცემით გამსჭვალა საერო ხელისუფლების ათეისტი ჩინოვნიკებიც. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა შორის ერთ-ერთი მოკაშკაშე ვარსკვლავია³³.

თითქოს ხვედრი უნდა შემსუბუქებოდა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს, რადგან ეპოქა, რომელშიც იგი მოღვაწეობდა (1960-1972), პოლიტიკური რეჟიმის სიმკაცრის მიხედვით უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე XX საუკუნის 20-იან-30-იანი წლები. მაგრამ პოლიტიკური რეჟიმის ოდნავი შერბილება ეკლესიაზე არ გავრცელდებულა. პატრიარქს ეკლესიის გადასარჩენად კვლავ ურთულეს პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. სერგო ვარდოსანიძე გამოკვლევას კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის შესახებ ამ სიტყვებით ასრულებს: „იგი იყო უკანასკნელი მოჰიკანი XIX საუკუნეში დაბადებულ პატრიარქთა შორის, ისტორიაში დარჩა როგორც ღირსეული სასულიერო პირი, რომელმაც ურთულეს პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შეუნარჩუნა საქართველოს“³⁴.

მართალია, სერგო ვარდოსანიძე 1917 წელს საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქების ცხოვრებასა და მოღვაწეობას იკვლევს, მაგრამ იგი შეესო წინა საუკუნეებში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ისტორიასაც. 2002 წელს დაიბეჭდა სერგო ვარდოსანიძის სტატია „**ბაგრატიონი კათალიკოზ-პატრიარქნი სრულიად საქართველოსა**“³⁵. სტატია ეძღვნება ბაგრატიონთა გვარის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებს დაწყებული დაეით IV-დან (1446-1479) და დამთავრებული ანტონ II-ით (1788-1811).

2. საქართველოს ეკლესიის იერარქთა დეაწლი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიულად შესწავლის შემდეგ სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები გახდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის განვითარების მაგისტრალური ხაზი. მაგრამ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ზემოდან დანახული ისტორია. ქვედა დინებები, ამ შემთხვევაში, ნაკლებად ჩანდა. ცხადია, ამას ავტორიც კარგად გრძნობდა, ამიტომ იყო, რომ მან კვლევის შემდგომ ეტაპზე, 2010 წელს, გამოსცა სქელტანიანი ნაშრომი „**ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები)**“³⁶. წიგნში ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძიდან დაწყებული, წარმოდგენილია 88 ქართველი მღვდელმთავრის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაშრომი იწყება შესავალი წერილით „XX-XXI საუკუნეების საქართველო“³⁷. ქართველი ეპისკოპოსების, რომელთაგან შემდგომში ცხრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა გარკვეულწილად შეავსო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიამ. სრულყოფილი გახდა საერთო ისტორიული პროცესის აღქმა. 2001 წელს სერგო ვარდოსანიძემ გამოსცა მონოგრაფია „**საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-52 წლებში**“³⁸ (ეს იყო ავტორის დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად). ნაშრომის უპირველეს ღირსებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს სამოციქულო

³³სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წწ.). თბილისი, 2009, გვ. 94-95.

³⁴სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წწ.). თბილისი, 2007, გვ. 62.

³⁵სერგო ვარდოსანიძე. ბაგრატიონი კათალიკოზ-პატრიარქნი სრულიად საქართველოსა.– კრებული. მიძღვნილი პროფესორ არჩილ ჩხეიძის 80 წლისთავისადმი. თბილისი, 2002, გვ. 55-68.

³⁶სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010.

³⁷სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010, გვ. 6-33.

³⁸სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-52 წლებში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2001.

მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია შესწავლილ იქნა სისტემური მიდგომით. ესაა ისტორია მთლიანობაში და არა ამ ისტორიის ცალკეული, თუნდაც ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენები. მეორე დიდ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ სერგო ვარდოსანიძემ საქართველოს ეკლესიის ისტორია წარმოადგინა საქართველოს ისტორიასთან კავშირში. კარგად აჩვენა ეკლესიის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ როგორც ავტორის ყველა სხვა ნაშრომში, სამეცნიერო მიმოქცევაშია შემოტანილი საქართველოს საპატრიარქოსა და სხვა არქივებში დაცული უაღრესად საინტერესო დოკუმენტური მასალა. სერგო ვარდოსანიძის წიგნი „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-52 წლებში“ უკვე 15 წელია შეუცვლელი სახელმძღვანელოა სტუდენტთათვის.

საქართველოს ეკლესიის ისტორიას, გარდა ზემოთხსენებული მონოგრაფიისა, ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის სტატიები: „*rundsdtze der georgischen Kirche*“³⁹, „*Грузинская православная церковь в 1917-1952 гг.*“⁴⁰, „*Восстановление автокефалии Грузинской православной церкви*“⁴¹, „*Взаимоотношения между Грузинской православной церковью и государством в 1921-1924 гг.*“⁴², „საქართველოს ეკლესია 1899-1999 წლებში. ასწლოვანი ქრონიკა“⁴³, „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის II საეკლესიო კრება“⁴⁴, „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის IV საეკლესიო კრება“⁴⁵, „საქართველოს მართლმადიდებელი და სომხური სამოციქულო ეკლესიების ურთიერთობა 1917-1922 წწ.“⁴⁶ (სომხურ ენაზე), „განახლებისა და რეფორმების“ მცდელობანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-1927 წლებში“⁴⁷, „*Управление Грузинской церковью и история епархии в 20-30-е годы XX века*“⁴⁸, „საეკლესიო განხილვის საკითხი 1921-25 წლებში“⁴⁹, „*Zur Geshichte der Auzenbeziehungen der georgisch-orthodoxen Kirche in den Jahren zwischen 1917 und 1950*“⁵⁰, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის 20-80-იან წლებში“⁵¹.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც, რბილად რომ ვთქვათ, ოპოზიციურად განწყობილმა ადამიანებმა სცადეს გარკვეული ბზარის შეტანა ეკლესიის ერთიანობაში და სხვადასხვა დაუსაბუთებელი ბრალდება წამოუყენეს ეკლესიის საჭკეთმპყრობელთ. ასეთ თემებზე წერა, რარიც მაღალი დონის პროფესიონალიც უნდა იყოს ავტორი, გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. 2011 წელს გამოქვეყნდა სერგო ვარდოსანიძის წიგნი „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის

³⁹Sasa Schirtladze, Sergo Vardosanidze. Grundsdtze der georgischen Kirche.— საქართველოს საპატრიარქოს საინფორმაციო მოამბე (გერმანულ ენაზე). თბილისი, 1995, გვ. 7-4.

⁴⁰Серго Вардосанидзе. Грузинская православная церковь в 1917-1952 гг.— ჟურნალი „ამირანი“. კავკასიოლოგიის საერთაშორისო-სამეცნიერო საზოგადოებრივი კვლევითი ინსტიტუტის მოამბე. IV-V. თბილისი-მონრეალი, 2001, გვ. 175-182.

⁴¹Серго Вардосанидзе. Восстановление автокефалии Грузинской православной церкви.— журнал „Азия и Африка сегодня“ (Москва), 2001, №10, с. 74-76.

⁴²Серго Вардосанидзе. Взаимоотношения между Грузинской православной церковью и государством в 1921-1924 гг.— журнал „Церковный вестник“ (Warszawa), 2001, №4, с. 50-56.

⁴³სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს ეკლესია 1899-1999 წლებში. ასწლოვანი ქრონიკა.— ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 2001, №4, გვ. 20-38.

⁴⁴სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის II საეკლესიო კრება.— ჟურნალი „ინტელექტი“, 2010, №2, გვ. 85-87.

⁴⁵სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის IV საეკლესიო კრება.— ჟურნალი „ინტელექტი“, 2010, №2, გვ. 88-90.

⁴⁶სერგო ვარდოსანიძის სტატია დაიბეჭდა სომხურ ენაზე გამომაველ ჟურნალში. იხ.: ჟურნალში „Iran-Nameh“, 2001, №37, p. 36.

⁴⁷სერგო ვარდოსანიძე. „განახლებისა და რეფორმების“ მცდელობანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1922-1927 წლებში.— ჟურნალი „ივერია“ (პარიზი), 2001/2002, VII, გვ. 61-73.

⁴⁸Серго Вардосанидзе. Грузинская православная церковь в 1917-1952 гг., „Восстановление автокефалии Грузинской православной церкви“.— журнал „Східний світ“ (Київ), 2002, №1, с. 124-128.

⁴⁹სერგო ვარდოსანიძე. საეკლესიო განხილვის საკითხი 1921-25 წლებში.— ჟურნალი „პრომეთე“, XI-XII, თბილისი, 2002, გვ. 98-103.

⁵⁰Sergo Vardosanidze. Zur Geshichte der Auzenbeziehungen der georgisch-orthodoxen Kirche in den Jahren zwischen 1917 und 1950.— „Georgica“, 2002, №25, s. 83-90.

⁵¹სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის 20-80-იან წლებში.— საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. 2004 წლის 4-7 თებერვალი. თბილისი, 2004, გვ. 14-15.

საჭეთმპყრობლები და მათი ოპონენტები“⁵². მონოგრაფიაში სერგო ვარდოსანიძემ მიუკერძოებელი მკვლევარის პოზიციიდან გააშუქა კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ისა და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ოპონიციის საძრახისი საქმენი. ძალზე საინტერესოა ნაშრომის ერთ-ერთი თავი „რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1968 წელს“⁵³ ავტორმა სანდო საარქივო მასალებზე დაყრდნობით აჩვენა, თუ როგორ ებრძოდა ეკლესიის შიგნით აღმოცენებული ოპონიცი კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს. კიდევ უფრო საინტერესოდ არის წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ოპონიციის საძრახისი საქმიანობა XX საუკუნის 70-იან, 90-იან წლებში.

სერგო ვარდოსანიძის წიგნის მნიშვნელობა ის არის, რომ ასეთ გამოკვლევას სპეციალისტები და მკითხველთა ფართო წრე უკვე დიდი ხანია ელოდა. ეკლესიის ისტორიაში დამალული და მიჩქმალული მოვლენები ყოველთვის ეჭვს ბადებდა, ეს ეჭვები გაფანტა სერგო ვარდოსანიძის წიგნმა „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლები და მათი ოპონენტები“.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სრულად წარმოჩენა შეუძლებელია თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ისტორიის გარეშე. 2010 წელს სერგო ვარდოსანიძემ გამოაქვეყნა წიგნი „**თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია**“⁵⁴. წიგნი იწყება მცხეთის სასულიერო სემინარიის ისტორიის გადმოცემით, ხოლო ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეთმობა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ისტორიას დაარსებიდან 2010 წლამდე. საინტერესოა წიგნის ის თავი, რომელშიც წარმოდგენილი არიან მცხეთის სასულიერო სემინარიის დამაარსებელი, რექტორები, თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიისა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტების რექტორები. არანაკლებ საინტერესოა თავი, რომელშიც წარმოდგენილია თბილისის სასულიერო აკადემიის, სემინარიის, საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ფაკულტეტები და დეკანები⁵⁵.

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დეაწლი

დღეს უკვე ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (XIX-XXI სს.) აშკარად იყოფა ორ პერიოდად: წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) ეპოქად და უწმიდესი პატრიარქის ილია II-ის ეპოქად. ამიტომაც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამოკვლევა, პატრიარქის ნააზრვეისა და ნაღვაწის შეფასება ურთულესი საქმეა, ურთულესი და ამავე დროს სარისკოც. ნებისმიერი წიგნის დაწერისას ავტორი გარკვეულ შიშს გრძნობს: როგორი იქნება წიგნი, როგორ მიიღებს მას მკითხველი. წარმოიდგინეთ, როგორი გრძნობა დაეუფლებოდა სერგო ვარდოსანიძეს, როცა მან მიიღო გადაწყვეტილება, დაეწერა მონოგრაფია კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ავტორმა ხომ კარგად უწყოდა, რომ მისი წიგნის პირველი მკითხველი და შემფასებელი უწმიდესი პატრიარქი იქნებოდა. ალბათ წერის დაწყებამდე ავტორმა მრავალი კითხვა დაუსვა თავის თავს, ყველა კითხვის პირველი ორი სიტყვა ერთი და იგივე იყო: „გაი, რომ...“ მაგრამ რუბიკონი გადალახულ იქნა და დაიწყო მონოგრაფიაზე მუშაობა... სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფია „**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II**“ 2008 წელს გამოიცა⁵⁶. 2013 წელს წიგნის მეორე გადამუშავებული გამოცემა გამოვიდა⁵⁷. სხვა სირთულეებთან ერთად ავტორს დასაძლვეი ჰქონდა ერთი სირთულე. მას უნდა შეემუშავებინა ისეთი სტრუქტურა, რომ სრულად წარმოჩენილიყო

⁵²სერგო ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლები და მათი ოპონენტები. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2011.

⁵³სერგო ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობლები და მათი ოპონენტები. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2011, გვ. 5-111.

⁵⁴სერგო ვარდოსანიძე. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010.

⁵⁵სერგო ვარდოსანიძე. თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010, გვ. 71-131.

⁵⁶სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2008.

⁵⁷სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. თბილისი, 2013.

უწმიდესი პატრიარქის ღვაწლი. ცხადია, ვერც ერთი და ვერც ორი მონოგრაფია კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ღვაწლს სრულად ვერ წარმოაჩენს, ამიტომაც აუცილებელი იყო ისეთი ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავება, რომ ერთ წიგნში მრავალი საკითხი ყოფილიყო წარმოდგენილი. სერგო ვარდოსანიძემ უწმიდესი პატრიარქის მრავალმხრივი და ყოველსმომცველი მოღვაწეობიდან შემდეგი საკითხები გამოყო:

1. სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ცხოვრების გზის დასაწეისი;
2. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება;
3. პირველი სიძნელეები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება;
4. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და არამართლმადიდებელურ კონფესიებთან. ავტოკეფალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება;
5. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება, კავშირი საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებთან, წმიდა სინოდის განჩინებანი, ახალი წმიდანები;
6. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია – ქართველთა ერთიანობის სიმბოლო;
7. განათლება, მეცნიერება, საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები;
8. უკვდავებაში გარდასულ სახეთა არდავიწყება;
9. ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზზე;
10. პატრიარქი ა) ურთიერთობა პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან; ბ) პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა; გ) პატრიარქის შემოქმედება; დ) წარსული, აწმყო და მომავალი.

II. სამების საკათედრო ტაძარი.

განსახილველი საკითხების გამოკვეთის შემდეგ სხვა სირთულე იყო დასაძლვეი. დიდი დახელოვნება სჭირდებოდა არა მარტო მასალების მოძიებას, არამედ მის განაწილებას თავებში, წიგნში მოტანილი მასალა უნდა ყოფილიყო მრავლისმთქმელი და თანაც ისეთი, რომ მკითხველს სურვილი აღძროდა სხვა მსგავსი ფაქტების მოძიებისა. ბოლო პრობლემა, რომელიც ავტორს უნდა გადაეჭრა, ეხებოდა თხრობის სტილს, მასალის გამართული ქართულით გადმოცემას.

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ ის პრობლემები, რომელიც სერგო ვარდოსანიძეს უნდა გადაეჭრა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წარმოჩენისას. ყველა ამ პრობლემას ავტორმა ღირსეულად გაართვა თავი და ქართველმა საზოგადოებამ მიიღო შესანიშნავი წიგნი.

2015 წელს გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“ გრიფით დაიბეჭდა სერგო ვარდოსანიძის მონოგრაფია „**მზიანი ღამის 38 წელი**“⁵⁸. ავტორმა საფუძვლიანად გადაამუშავა ყველაფერი, რაც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის შესახებ დაუწერია და ასე შექმნა მონოგრაფია, რომელიც უწმიდესი პატრიარქის აღსაყდრებიდან ოცდათვრამეტ წლიან მოღვაწეობას აფასებს.

სერგო ვარდოსანიძის, როგორც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარის აღიარებას წარმოადგენდა ის, რომ მისი ნაშრომი „**Патриарх Грузии**“ შევიდა 2015 წელს მოსკოვში გამომცემულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი მიძღვნილ კრებულში „**Раб Божий**“, როგორც კრებულის ძირითადი ნაწილი⁵⁹.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისას სერგო ვარდოსანიძეს სხვა ავტორებთან შედარებით ჰქონდა ერთი უპირატესობა: ავტორი მის წიგნებში აღწერილი უმეტესი მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე იყო, როგორც უწმიდესი პატრიარქის უახლოესი და ერთგული ადამიანი.

სერგო ვარდოსანიძე თავის წიგნს „მზიანი ღამის 38 წელი“ ასე ამთავრებს: „XX საუკუნის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში გამორჩეული სიღიადით ბრწყინავს სამი დიდი პატრიარქი: უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. პირველი ორის სიცოცხლე იყო ტანჯვა-წამების, მაგრამ სულიერი სიმტკიცის გამოხატულება, მათ თავიანთი მოწამებორივი სიკვდილით დაამარცხეს ბოროტება და შეუერთდნენ

⁵⁸სერგო ვარდოსანიძე. მზიანი ღამის 38 წელი. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015.

⁵⁹Серго Вардосанидзе. Патриарх Грузии.— Раб Божий. Жизненный подвиг Илии II, католикоса-патриарха всея Грузии. Москва, 2015, стр. 13-299.

წმინდანთა დასს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 38 წლის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელია... იგი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. „დიდნი საქმენი“, რომელნიც მან აღასრულა, მთელ ეპოქას ქმნის. დიდი ადამიანის ბოლომდე შეცნობა თანამედროვეებს ყოველთვის უჭირთ, მომავალი თაობები კი სრულად შეაფასებენ მის ღვაწლს: პატრიარქის ღვაწლის სრულად წარმოჩენა მომავლის საქმეა“⁶⁰.

გარდა ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიებისა, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის სტატიები: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება“⁶¹, „რა მოხდა 30 წლის წინ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში“⁶², „სუდარის ჩამოსხნა ეკლესიიდან“⁶³, „ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზე“⁶⁴, „მისი სიტყვის ძალა“⁶⁵, „გვირგვინი მწყემსმთავრისა“⁶⁶.

მეთოდია. პედაგოგიკის ისტორია

პროფესორ სერგო ვარდოსანიძეს თავისი წვლილი აქვს შეტანილი მეთოდისა და პედაგოგიკის ისტორიის საკითხების დამუშავებაში. ალექსანდრე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სერგო ვარდოსანიძე ათი წელი ისტორიის პედაგოგად მუშაობდა თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში. ამ ხნის მანძილზე მას გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდა.

1987 წელს ჟურნალში „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ დაიბეჭდა სერგო ვარდოსანიძის წერილი „ზოგი რამ ჩვენი გამოცდილებიდან“⁶⁷. იმ ხანებში წერილის ავტორი თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა და კოლეგებს თავის გამოცდილებას უზიარებდა. 1989 წელს ჟურნალ „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“ გამოქვეყნდა სერგო ვარდოსანიძის წერილი „როგორ ვასწავლი დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიას“⁶⁸. თუ პირველი წერილი უფრო ზოგადი ხასიათისა იყო, მეორე წერილი უკვე ერთ კონკრეტულ საკითხს ეძღვნებოდა. ორივე წერილი გარკვეულ დახმარებას უწევდა ისტორიის მასწავლებლებს.

1998 წელს სერგო ვარდოსანიძემ დაიწყო წერილების სერიის ბეჭდვა სათაურით „როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები“. პირველი წერილი დაიბეჭდა სამეცნიერო-მეთოდურ ჟურნალ „ისტორიის“ 1998 წლის პირველ ნომერში⁶⁹, ხოლო მეორე წერილი – მეორე ნომერში⁷⁰. მეორე წერილი მთავრდება 1954 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (ავტორები: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი) შეფასებით. იმის გამო, რომ ჟურნალ „ისტორიის“ მესამე და შემდგომი ნომრები აღარ გამოსულა, სერგო ვარდოსანიძის წერილების სერიის ბეჭდვა შეწყდა. ამ პრობლემას ავტორი

⁶⁰სერგო ვარდოსანიძე. მზიანი ღამის 38 წელი. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015, გვ. 185.

⁶¹სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება.– ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2007, №12, გვ. 23-30.

⁶²სერგო ვარდოსანიძე. რა მოხდა 30 წლის წინ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №2, გვ. 75-82.

⁶³სერგო ვარდოსანიძე. სუდარის ჩამოსხნა ეკლესიიდან.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №3, გვ. 81-90.

⁶⁴სერგო ვარდოსანიძე. ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზე.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №4, გვ. 87-92.

⁶⁵სერგო ვარდოსანიძე. მისი სიტყვის ძალა.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №5, გვ. 63-74.

⁶⁶სერგო ვარდოსანიძე. გვირგვინი მწყემსმთავრისა.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №6, გვ. 79-91.

⁶⁷სერგო ვარდოსანიძე. ზოგი რამ ჩვენი გამოცდილებიდან.– ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1987, №2, გვ. 53-60.

⁶⁸სერგო ვარდოსანიძე. როგორ ვასწავლი დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიას.– ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1989, №2, გვ. 32-35.

⁶⁹სერგო ვარდოსანიძე. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.– ჟურნალი „ისტორია“, 1998, №1, გვ. 50-55.

⁷⁰სერგო ვარდოსანიძე. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.– ჟურნალი „ისტორია“, 1998, №2, გვ. 78-84.

კვლავ დაუბრუნდა 1999 წელს ზოია ჩიმაკაძესა და ელვა ცქიტიშვილთან ერთად გამოცემულ ლექციების კურსში „ისტორიის სწავლების მეთოდთა“⁷¹.

ისტორიის სწავლების მეთოდთაში არსებულ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩევა სერგო ვარდოსანიძის, ზოია ჩიმაკაძისა და ელვა ცქიტიშვილის ერთობლივი ნაშრომი „ისტორიის სწავლების მეთოდთა (ლექციების კურსი)“⁷². ლექციების კურსი წინასიტყვაობის, 18 თავისა და 8 დამატებისაგან შედგება. ცალკეა წარმოდგენილი ტესტების ნიმუშები. 5 თავი და 4 დამატება სერგო ვარდოსანიძის მიერაა დაწერილი. კერძოდ, სერგო ვარდოსანიძის მიერაა დაწერილი შემდეგი თავები: თავი X. ისტორიის სახელმძღვანელო; თავი XII. ქრონოლოგიის შესწავლა; თავი XIII. დოკუმენტები ისტორიის სწავლებაში; თავი XV. თვალსაჩინოება ისტორიის გაკვეთილზე; თავი XVIII. ისტორიის მასწავლებელი. გარდა ამისა, სერგო ვარდოსანიძის მიერ დაწერილია წიგნის შვიდი დამატებიდან ოთხი: დამატება I. ისტორიის მასწავლებლის როლი თანამედროვე სკოლაში; დამატება II. ეროვნული ცნობიერებისა და ქართველთა ერთიანობის პრობლემა XV-XIX სს. საქართველოში და მისი სწავლება საშუალო სკოლაში; დამატება III. ქრისტიანული სარწმუნოების როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, მისი სწავლების პრობლემები; დამატება IV. რელიგიურ-კონფესიური მრავალფეროვნება და მისადმი შემწყნარებლობის სულისკვეთების აღზრდა საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში.

1996 წელს სერგო ვარდოსანიძემ მედია კომუნიკაციასთან ერთად შეადგინა ტესტები საქართველოს ისტორიაში პედაგოგთა ატესტაციისათვის⁷³, ხოლო 1997 წელს გამოვიდა სერგო ვარდოსანიძის „სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი საქართველოს ისტორიაში“⁷⁴.

გლობალიზაციის პროცესმა გარკვეული პრობლემების წინაშე დააყენა საქართველოს ისტორიის სწავლება, როგორც საჯარო სკოლებში, ისე უნივერსიტეტებში. საჭირო გახდა პროგრამებში ცვლილებების შეტანა და სწავლებისადმი ახლებური მიდგომის შემუშავება. ამ რთულ პრობლემას ეძღვნება სერგო ვარდოსანიძის წერილი: „გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის საფუძვლების პრობლემები“⁷⁵. წერილის ავტორი სვამს კითხვას: „გლობალიზაცია პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში სახეზეა. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ ვითარებაში?“⁷⁶. ამ რთულ კითხვაზე პასუხი ასეთია: „თუ საზოგადოებაში არ დამკვიდრებულა აზრი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო შესაბამისად მოემზადოს ამ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად ისე, რომ მაქსიმალურად შევძლოთ ქართული სახელმწიფოებრივი, ეროვნული და რელიგიური თავისთავადობის დაცვა, მომავალში უფრო დიდი საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით“. სერგო ვარდოსანიძეს მიაჩნია, რომ გლობალიზაციის მავნე შედეგებისაგან თავის დაცვა შეიძლება. ავტორი დაასკვნის: „საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ერთი თვალის გადავლებითაც გვიჩვენებს, რომ გლობალიზაცია უცხო არ იყო არც ანტიკური ხანის საქართველოსათვის (მტკვარ-არაქსის კულტურა, ათენის საზღვაო კავშირი, ქრისტიანობა). ქართველი ხალხი ახერხებდა გლობალურ პროცესებში მონაწილეობას და თავისთავადობის შენარჩუნებას. XV საუკუნიდან, როცა ბიზანტია დაეცა, საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, საქართველოს გვერდი აუარა ე. წ. საოკეანო ცივილიზაციამ და XIX საუკუნეში რუსეთის მეშვეობით ვეცადეთ მსოფლიო პროცესებში ჩართვას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ასეთივე პრობლემების წინაშე ვიყავით საბჭოთა იმპერიაში ყოფნის დროსაც. XXI საუკუნის დასაწყისში მწვავედ დადგა საკითხი, როგორ მოვახერხოთ დასავლური ღირებულებების შეთვისებასთან ერთად ეროვნულის შენარჩუნება და რა ადგილი მივუჩინოთ ამ პროცესებში საქართველოს ისტორიას?“⁷⁷

სერგო ვარდოსანიძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება გამოვლინდა როინ მეტრეველისა და ილია ანთელავას თანაავტორობით გამოცემულ საშუალო სკოლის მეშვიდე

⁷¹სერგო ვარდოსანიძე, ზოია ჩიმაკაძე, ელვა ცქიტიშვილი. ისტორიის სწავლების მეთოდთა (ლექციების კურსი). თბილისი, 1999, გვ. 78-84; 40-48.

⁷²სერგო ვარდოსანიძე, ზოია ჩიმაკაძე, ელვა ცქიტიშვილი. ისტორიის სწავლების მეთოდთა (ლექციების კურსი). თბილისი, 1999, გვ. 78-84.

⁷³სერგო ვარდოსანიძე, მედია კომუნიკაცია. ტესტები პედაგოგთა ატესტაციისათვის. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1996.

⁷⁴სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი საქართველოს ისტორიაში. თბილისი, 1997.

⁷⁵სერგო ვარდოსანიძე. გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის საფუძვლების პრობლემები.– საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003, №6, გვ. 213-216.

⁷⁶სერგო ვარდოსანიძე. გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის საფუძვლების პრობლემები.– საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003, №6, გვ. 214.

⁷⁷სერგო ვარდოსანიძე. გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის საფუძვლების პრობლემები.– საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003, №6, გვ. 214-215.

კლასის „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში⁷⁸. სახელმძღვანელო გამოირჩევა გამართული სტრუქტურით (თავებსა და პარაგრაფებში მასალის განაწილებით), პროცესის გააზრებისათვის ემპირიული მასალის კარგად შერჩევით, თხრობის მიმზიდველი სტილით. ეს სახელმძღვანელო 2000 წელს სომხურ ენაზე დაიბეჭდა საქართველოში არსებული სომხური სკოლებისათვის⁷⁹.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვეჩინა პროფესორ სერგო ვარდოსანიძის დგაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ცხადია, ერთი წერილი, რაც უნდა ტევადი იყოს იგი, ამისათვის საკმარისი არ არის. შევეცადეთ თემატურად დაგვეჯგუფებინა სერგო ვარდოსანიძის ნაშრომები და თითოეული ცალ-ცალკე შეგვეფასებინა. მივიჩნიეთ, რომ ეს უფრო უკეთ წარმოაჩენდა ავტორის დგაწლს. ჩვენი სტატია დაიწერა მას შემდეგ, რაც ქართულმა უნივერსიტეტმა სერგო ვარდოსანიძის 60 წლის იუბილე აღნიშნა. 60 წელი ისტორიკოსისათვის, შეიძლება ითქვას, საშუალო ასაკია. ისტორიკოსი ამ ასაკის შესრულების შემდეგ იწყებს დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე თავისი მოღვაწეობის ახალ ეტაპს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ახალი ეტაპი სერგო ვარდოსანიძის შემოქმედებაში ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც წინა ათწლეულები.

⁷⁸ილია ანთელავა, სერგო ვარდოსანიძე, რონ მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-7 კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1998.

⁷⁹ილია ანთელავა, სერგო ვარდოსანიძე, რონ მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-7 კლასის სახელმძღვანელო სომხური სკოლებისათვის. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2000 (სომხურ ენაზე).

პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია*

I. საქართველოს ეკლესიის ისტორია

ა) მონოგრაფიები, სტატიები, კონფერენციის მასალები

1. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.- ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, №3, 1989, გვ. 42-49.
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II. საბერძნეთი, გამომცემლობა „ორთოდოქს-კიპრელი“, 1993, 30 გვ.
3. კირიონ II. უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917-1918). ცხოვრება და მოღვაწეობა. ოზურგეთი, 1994, 32 გვ.
4. 1917 წლის საეკლესიო კრება.- კრებული „საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები“. სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 11-13 ოქტომბერი, 1995, გვ. 159-167.
5. საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის ეპარქიები.- ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 1997, №1, გვ. 28-30.
6. ვერსიები კირიონ II-ის მკვლელობის შესახებ.- ჟურნალი „რანი ვართ ქართველნი?“, 1997, №4, გვ. 16-17.
7. საქართველოს ეკლესია (ინგლისურ ენაზე). თბილისი, 1999, 14 გვ.
8. საქართველოს ეკლესია (გერმანულ ენაზე). თბილისი, 1999, 15 გვ.
9. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.- ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 1999, №1, გვ. 47-54.
10. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1921 წწ.- ჟურნალი „კელიო“, 1999, №8.
11. მოგონება საქართველოს ეკლესიის უახლესი წარსულიდან.- ჟურნალი „საყდარი“, 1999, №1, გვ. 7-9.
12. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში. გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2000. 152 გვ.
13. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-72 წ.წ.). გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2000. 28 გვ.
14. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი (1918-1921 წ.წ.). თბილისი, 2000. 46 გვ.
15. საქართველოს ეკლესია 1921-1927 წლებში.- საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბილისი, 2000, გვ. 32-33.
16. რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის საკითხი.- თბილისის სულსან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები. ტ. VIII. თბილისი, 2000, გვ. 140-145.
17. საქართველოს ეკლესია 1899-1999 წლებში. ასწლოვანი ქრონიკა.- ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 2001, №4, გვ. 20-38.
18. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო პოლიტიკა 1917-1947 წლებში.- ჟურნალი „საქართველოს საპატრიარქო“, 2001, №4, გვ. 11-19.
19. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის II საეკლესიო კრება.- ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი, 2001, №10, გვ. 85-87.
20. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის IV საეკლესიო კრება.- ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი, 2001, №10, გვ. 89-90.

*

შეადგინა ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ.

21. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის და ეპარქიების საკითხი 1917-1952 წწ.– ჟურნალი „რელიგია“, 2001, №4-5-6, გვ. 14-29.
22. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1927-1952 წლებში. გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბილისი, 2001. 214 გვ.
23. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2001. 323 გვ.
24. სასულიერო ჟურნალ „სვეტიცხოველის“ და „ახალი სიტყვის“ პროფილი.– თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები. 2001, ტ. X. გვ. 134-144.
25. Грузинская православная церковь 1917-1952 гг.– ჟურნალი „ამირანი“, 2001, IV-V, გვ. 175-184.
26. Внешняя политика Грузинской православной церкви.– Журнал „Азия и Африка сегодня“, Москва, 2001, стр.74-75.
27. Отношения Грузинской православной и Армянской апостольской церквей в 1917-1922 гг.– Журнал „Иран-наме“, Тегеран, 2001, Т. 37, стр. 36-37.
28. Взаимоотношения между Грузинской православной церковью и государством в 1921-1924 г.г.– Журнал „Церковный вестник“, Варшава, 2001, №4, стр. 50-56.
29. Восстановление Автокефалии Грузинской православной церкви.– Журнал „Азия и Африка сегодня“, 2001, №10, стр. 74-75.
30. „განახლების და რეფორმების“ მცდელობანი 1922-1927 წლებში.– ჟურნალი „ივერია“, საფრანგეთი, 2001/2002, ტ. VII, გვ. 61-74.
- „არღარა ვართ მონა, არამედ აზნაურ“.– ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 2002, №1, გვ. 9-13.
31. Управление Грузинской церкви и история епархий в 20-30 годы XX века.– журнал „The WORLD of the Orient“, Kiev, 2002, №1, стр. 124-128.
32. Zur Geschichte der Außenbeziehungen der georgisch-orthodoxen Kirche in den Jahren zwischen 1917 und 1950.– ჟურნალი „გეორგია“, გერმანია, 2002, №25, გვ. 83-90.
33. საეკლესიო განძეულის საკითხი 1921-25 წლებში.– ჟურნალი „პრომეთე“, ტ. XI-XII, თბილისი, 2002, გვ. 98-104.
34. საქართველოს და სომხეთის ეკლესიის ურთიერთობა 1917-2000 წლებში.– ჟურნალი „რელიგია“, თბილისი, 2002, №7-8-9, გვ. 45-52.
35. About Georgia.– ჟურნალი „WINGS“, 2002, გვ. 16-19.
- ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და მისი მღვდელმთავრები XX საუკუნეში.– ჟურნალი „რელიგია“, თბილისი, 2003, №4-5-6, გვ. 50-55.
36. ბაგრატიონთა გვარის კათოლიკოს-პატრიარქები.– იხ.: წიგნი. ბაგრატიონები. თბილისი, 2003.
37. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). თბილისი, 2004. 121 გვ.
38. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში (გზამკვლევი ქართულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი, 2004. 18 გვ.
39. საქართველოს ეკლესია 1952-2000 წლებში.– იხ.: წიგნი „ნათელი ქრისტესი“. თბილისი, 2004.
40. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა XX საუკუნის 20-80-იან წლებში.– საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. 2004 წლის 4-7 თებერვალი. 2004, გვ. 14-15.
41. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.). თბილისი, 2005. 112 გვ.
42. History of the Orthodox Church of Georgia 1811 to the Present (ინგლისურ ენაზე). შვეიცარია, 2006, თანაავტორი.
43. „სასულიერო ცხოვრების დასაწყისი (ილია II)“.– იხ.– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებული. თბილისი, 2007, გვ. 126-129.
44. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო ურთიერთობები 1977-2007 წლებში.– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებული. თბილისი, 2007, გვ. 130-149.
45. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება.– ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2007, №12, გვ. 23-30.
46. იხ.: Православная энциклопедия. ტ. XII. მოსკოვი, 2007, გვ. 218-229.

47. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ევრემ II (1960-72 წ.წ.). თბილისი, 2007. 144 გვ.
48. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2008. 488 გვ.
49. სულარის ჩამოსხნა ეკლესიიდან.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №3, გვ. 81-90.
50. რა მოხდა 30 წლის წინ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №2, გვ. 75-82.
51. ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზე.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №4, გვ. 87-92.
52. მისი სიტყვის ძალა.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №5, გვ. 63-74.
53. გვირგვინი მწვემსმთავრისა.– ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №6, გვ. 79-91.
54. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წ.წ.). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009. 208 გვ.
55. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წ.წ.). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009. 226 გვ.
56. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ქრისტეფორე. თბილისი, 2009. 200 გვ.
57. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მოღვაწეობიდან.– კრებული „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდაქარობა“. 2009, გვ. 66-80.
58. უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II (მამადმთავრობის ხანა).– კრებული „ტბელობა“, 2010, გვ. 55-60.
59. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2010. 514 გვ.
60. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (1932-1952 წლები). თბილისი, 2010. 166 გვ.
61. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1861-1927). თბილისი, 2011. 190 გვ.
62. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჯეტმპყრობელნი და მათი ოპონენტები. თბილისი, 2011. 220 გვ.
63. რუსული იმპერიული პოლიტიკა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1991 წლებში.– ქართული დიპლომატია. წელიწდეული. ტ. XV. თბილისი, 2011, გვ. 101-120.
64. იპოლიტე ვართაგავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (მოგონება).– ჟურნალი „სავანე“, 2011, №2, გვ. 17-20.
65. პატრიარქი კალისტრატე. პატრიარქი მელქისედეკ III. თბილისი, 2013. 214 გვ.
66. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. თბილისი, 2013. 283 გვ.
67. უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918 წ.წ.). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014. 287 გვ.
68. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდი (1861-1921). გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2014. 174 გვ.
69. ექვთიმე თაყაიშვილი და საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემები.– კრებული „ექვთიმე თაყაიშვილი“. თბილისი, 2014, გვ. 304-325.
70. საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი.– აკადემიკოს როინ მეტრეველის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები“. თბილისი, 2014, გვ. 103-109.
71. პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ისტორიიდან.– საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები I. თბილისი, 2014, გვ. 33-49.
72. უწმინდესი კალისტრატე და ქართველი საზოგადოება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობა.– ჟურნალი „მატიანე“, 2014, №1, გვ. 22-27.
73. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მოსკოვი, 2014.
74. მზიანი დამის 38 წელი. თბილისი, 2015. 185 გვ.

75. რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1968 წელს.– საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები I. თბილისი, 2015, გვ. 23-33.
76. უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ქართული უნივერსიტეტი.– საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები II. თბილისი, 2015, გვ. 9-14.
77. Патриарх Грузии.– Книга „Раб Божий“, Москва, 2015, стр. 13-103.
78. საქართველოს ეკლესიის ისტორია XX საუკუნის 50-იან-70-იან წლებში.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 5-18.
79. „მზიანი ღამის“ პირველ წლებში.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 32-47.
80. საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 48-80.
81. საქართველოს ეკლესია საერთაშორისო ასპარეზზე.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 81-87.
82. მღვდელმთავრობის 50, პატრიარქობის 35 და დაბადების 80 წლისთავის აღნიშვნა.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 88-103.
83. უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრები, დიასპორა.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 104-116.
84. მეგობრობა გზად და ხიდად. ილია II-ის ვიზიტები საზღვარგარეთ.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 185-222 (თანაავტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი).
85. ილია II-ის მოღვაწეობის ქრონოლოგია.– კრებული „ისტორია შეუღამაზებლად“. თბილისი, 2015, გვ. 241-254.

II. საქართველოს ისტორია მონოგრაფიები, სტატიები, კონფერენციის მასალები

1. გიორგი წერეთელი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი.– საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საიუბილეო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი. 18-20 ნოემბერი, 1977 წ. მოხსენებათა თეზისები. საქართველოს ისტორიის სექცია. 1977, გვ. 20-21.
2. ილია ჭავჭავაძე და XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ისტორიკოსები.– ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XXII სამეცნიერო სესია მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150-ე წლისთავისადმი. 1987 წლის 27-29 მაისი. მოხსენებათა თეზისები. 1987, გვ. 13.
3. გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1988, №4, გვ. 51-60.
4. გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები.– ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1989, №4, გვ. 71-75.
5. ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები (წერილები). თბილისი, 2004. 125 გვ.
6. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014. 190 გვ. (თანაავტორები: ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია).
7. გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები. თბილისი, 2015. 184 გვ.
8. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957). გამოკვლევა. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2015. 308 გვ. (თანაავტორები: ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია).

III. პედაგოგია მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები, კონფერენციის მასალები

1. კონსტანტინოპოლის ქართული სკოლა და XIX საუკუნის საქართველო.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1984, №1, გვ. 64-73.

2. ზოგი რამ ჩვენი გამოცდილებიდან.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1987, №2, გვ. 53-60.
3. „თვითონ საგნები ოდნავადაც არ ეხებიან სულს“.– ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1988, №10, გვ. 64-66.
4. „მასწავლებელი – შუქი სულისა“.– ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1989, №10, გვ. 31-33.
5. როგორ ვასწავლი დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიას.– ჟურნალი „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1989, №2, გვ. 32-35.
6. ტესტები პედაგოგთა ატესტაციისთვის. საქართველოს ისტორია. შემდგენლები სერგო ვარდოსანიძე და მელვა კეშელავა. თბილისი, 1996, 65 გვ.
7. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი საქართველოს ისტორიაში. თბილისი, 1997, 48 გვ.
8. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები.– ჟურნალი „ისტორია“, 1998, №1, გვ. 50-55.
9. როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები (წერილი მეორე).– ჟურნალი „ისტორია“, 1998, №2, გვ. 78-84.
10. ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-7 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1998. 151 გვ.
11. ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-7 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 1999. 167 გვ. (სომხურ ენაზე).
12. საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო რ. მეტრეველისა და ი. ანთელავას თანაავტორობით, თბილისი, 1999.
13. ისტორიის სწავლების მეთოდთა (ლექციების კურსი ზ. ჩიმაკაძისა და ე. ცქიტიშვილის თანაავტორობით). 1999.
14. ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ. მეტრეველი. მე-7 კლასის სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2000. 168 გვ.
15. ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-6 კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2000. 167 გვ. (სომხურ ენაზე).
16. ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ. მეტრეველი. საქართველოს ისტორია: მე-7 კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2000. 143 გვ. (აზერბაიჯანულ ენაზე).
17. ზესტაფონის რაიონის სოფ. ზოვრეთის საშუალო სკოლა. თბილისი, 2002, 31 გვ.
- გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის საფუძვლების პრობლემები.– საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2003, №6, გვ. 213-216.
18. „გლობალიზაცია და საქართველოს ისტორიის სწავლების პრობლემები (როგორ იდგენებოდა საქართველოს ისტორია).– თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები. ტ. I. თბილისი, 2009, გვ. 68-80.

ხარების ზედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში

ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ მსოფლიოს ბევრ ეთნიკურ კულტურაში არსებობდა ხარების ერთმანეთთან, ან ადამიანის ხართან, შეჯიბრების ტრადიცია. ხარების ზედობის ტრადიცია დასტურდება საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (სვანეთი, რაჭა, აჭარა, სამცხე, ჯავახეთი, ტაო-კლარჯეთი), რიტუალისა და შეჯიბრების კონკრეტული სახელებით.

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგიის კვლევის ფორმატში. გამოყენებულია საველე-ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკა: ინტერვიუება, გამოკითხვა, დაკვირვება; დოკუმენტების ანალიზისა და მეორეული ანალიზის მეთოდები. დეტალურადაა შესწავლილი ხარების ზედობის წესი ამა თუ იმ მხარეში, წარმოდგენილია საერთო სემანტიკები და აღდგენილია ტრადიციის სტრუქტურა. გამოკვეთილია ტრადიციის ტრანსფორმირების ობიექტური მიზეზები და ეტაპები, ნოვაციური მომენტები. საბოლოო ჯამში კი წარმოდგენილია ერთი კონკრეტული ქართული ტრადიციის ისტორიული განვითარების დინამიკა, მისი განფენილობის დიაქრონიული სურათი და ნაჩვენებია თანამედროვე ვითარება.

ნაშრომი შექმნილია უკვე არსებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით და საკუთარი (2006-2015 წლებში მოპოვებული) ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე. ეთნოგრაფიული კვლევა ჩატარებულია საქართველოს (სვანეთი, რაჭა, აჭარა, ქვემო მაჭახელი, სამცხე, ჯავახეთი) და თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკურ ქართველთა შორის ისტორიული საქართველოს ეთნოგრაფიულ მხარეებში (არტაანი, შავშეთისწყლის ხეობა, იმერხევი, ბორჩხა და ჩხალის ხეობის სოფლები, ზემო მაჭახელი, დევსქელისა და ბაგინისწყლის ხეობები, ხების თემი, მარადიდის თემი, მურღულის ხეობა, ქალაქი ართვინი, ხატილას თემი, ქართლას თემი, ომანას თემი, თხილადის თემი, ორჯის თემი, ტრაპენის თემი, პარხლისწყლის ხეობა).

სამეცნიერო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის რეკონსტრუირების საფუძველზე ირკვევა, რომ ხარების ზედობა ტრადიციული ქართული კულტურის ნაწილია და ის თავიდან ამა თუ იმ რიტუალის შემადგენლობაში სრულდებოდა. ხარების ზედობის წესი იყო ნაწილი რიტუალისა და რიტუალი, თავის მხრივ, წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შემდეგი ტრადიციული ქართული ხალხური დღეობებისა: კვირაცხოველობის დღესასწაულისა სვანეთში, შუამთობის//მარიობის დღეობისა – აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. კვლევის შედეგად გამოვლინდა ტრადიციის ტრანსფორმაციის პროცესი, ამჟამად თითქმის მივიწყებულია ხარების ზედობის სარიტუალო მნიშვნელობა და იგი დამოუკიდებელ ტრადიციად ქცევის მკაფიო ნიშნებს ავლენს.

ჩვენი დროისათვის ხარების ზედობის წესი, საქართველოში, ძირითადად, ზემო აჭარასა და, ნაწილობრივ, ზემო სვანეთშია შემონახული,¹ ხოლო თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ტრადიცია ცოცხალია. იქ ხარების ზედობის ორი ფორმაა შემონახული: ერთია ტრადიციული და სრულდება „შუამთობის“ დღეობებზე, ამა თუ იმ საზახულო იალადზე. მეორე ფორმა ხარების ზედობისა სახეცვლილია, მხოლოდ შეჯიბრების სახე აქვს და ამა თუ იმ „ფესტივალის“ ფარგლებში სრულდება, აღარ არის რიტუალის ნაწილი.

ცნობილია, რომ ტრადიციული ქართული ხალხური დღეობების უმეტესობა სამხედრო-საწესო ასპარეზობების ელემენტებსაც მოიცავდა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებამდე ხალხური რელიგიური დღეობების დროს იმართებოდა შეჯიბრი საჯილდაო ქვის აწევაში, ხტომაში, სირბილში, მშვილდ-ისრის სროლაში. სამხედრო-საწესო ასპარეზობის ზოგიერთი ელემენტი ახლაც ცოცხალია, მაგალითად, სვანეთში ელიაობის დღეობის (ჰულიშ//ულიშ) მნიშვნელოვანი კომპონენტია სარიტუალო დოლი; წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი დღეობების („ლიგერგი“) ნაწილია ჭიდაობა, კვირიკობის („ლიგურკე“) – საჯილდაო ქვის აწევა და სხვ. აჭარაში ამ მხრივ შუამთობისა და მარიობის დღეობები გამოირჩევა. ისტორიული ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ ხეობაში ამჟამადაც სრულდება სპორტული

¹როზეტა გუჯეჯიანი. ელიაობა სვანეთში.– ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. IX. თბილისი, 2005, გვ. 50-71.

თამაშები დღეობებზე. მაგალითად, იმერხევის ერთ-ერთ თემში – ბაზგირეთში – ყოველ „მარიობას“ „ბილას“ თამაშობენ. ბილა ე. წ. ბალახის ჰოკეის ქართული ნაირსახეობაა. ამავე დროს, ქართული ხალხური დღესასწაულების სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია ეთნომუსიკალური ელემენტები: საგალობლები, სიმღერები, ფერხულები. სარიტუალო ფერხულების შესრულების ტრადიცია, საკრალურ მომენტებთან ერთად, დაკავშირებულია სამხედრო წვრთნის აუცილებლობასთანაც².

ტრადიციული ქართული ყოფა იცნობს **ყოჩების, ვაცების „ჭედობის რკენის/წესსაც“**, ზოგიერთ მხარეში მამლების შეჯიბრებაც იმართებოდა. ყოჩების შეჯიბრებას, მაგალითად, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში სათემო-სასოფლო დღეობის **„ლიკვიდის“** დროს მართავდნენ. დღეობა დღესაც სრულდება ეცერის თემში და მას ყოველი სოფელი (თემს შიგნით) ერთიანად აღნიშნავს. მასპინძელი მორიგე ოჯახია, ზოგჯერ, სამი ოჯახიც ერთიანდება. დღეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ამ დღის ღოცვა და შესაწირავი მიმართულია თემის, სოფლის, მისი ყოველი წევრის მშვიდობიანობისაკენ. XX საუკუნის II ნახევრამდე სადღეობო ზვარაკად ზრდიდნენ ყოჩებს. სასოფლო მოედანზე იმართებოდა შესაწირავი ყოჩების შერკინება. სვანეთში ყოჩების შერკინება ახლა უკვე აღარ იმართება. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი ყოჩების შერკინება ამჟამადაც ჩვეულებრივი ამბავია და შეჯიბრებები ეწეობა **„შუამთობის“** დღეობის დროს.

ხარების ჭედობის ამსახველი ქართული ეთნოგრაფიული მასალა საკმაოდ მდიდარია. სვანეთში ხარების ჭედობა **კვირაცხოველობის სადღესასწაულო ციკლის** ნაწილი იყო. კვირაცხოველობას სვანურად **„უფლიშ“** – „უფლის დღე“ ჰქვია, სადღესასწაულო ციკლს კი – **„უფლიშიერ“-ი**.

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის აღწერილობით, „უფლიშ ე. ი. ახალ-კვირის დღესასწაული იციან ყველგან, უშგულის საზოგადოების გარდა, და გრძელდება სამს კვირას... ზოგიერთს საზოგადოებაში კი იციან კიდევ ხარის შეწირვა და დაკლვა სოფლის ეკკლესიის გაღაგანში, სადაც მოსახლიდგან თითო კაცი მიდის, მიაქვს სახლიდგან თავის ჯერი დიდი ყველიანი პური. და როცა ხარის ხორცი, საარყე ქვაბში ჩადგმული, ეკკლესიის გაღაგანშივე მოიხარშება, ხალხი გულ-ღვიძლს და სხვა ხარის ხორცს ყველიან პურებითურთ შეალოცავს ღმერთს, რომლის შემდეგაც ხალხი სადილად ჯდება და არიგებს ხარის ხორცს მოსახლის რიცხვზე. ნასადილევს ხალხი თავიანთ სოფლებში ბრუნდება“³. „უფლიშიერის“ ფარგლებში სრულდებოდა ხარების ჭედობაც.

ვერა ბარდაველიძის მასალით, „უფლიშიერ“-ი, კიდევ უფრო ხანგრძლივი დროით გრძელდებოდა: ორიდან ექვს კვირამდე. სადღესასწაულო ციკლი მოიცავდა როგორც ღოცვის რიტუალს („ლიმზირ“), ასევე, ხარების ჭედობისათვის განკუთვნილ დღეებსაც, რომელთაც სვანეთის სხვადასხვა მხარეში შემდეგი სახელები ერქვა: ჳანობ, ჳანრე ღასკრობ, ფუსდა ჳანი ღიტბალ, ღიუსხვარი, ვისხვობ და სხვა. ღვთის ან წმინდანის სახელზე შესახელებული ცხოველი იღებდა კონკრეტულ სახელს, მაგალითად, უშუალოდ ღვთის სახელზე „დაყენებულ“ ხარს არქმევდნენ „ფუსნადა“-ს, ღვთისმშობლისათვის შეწირულს – „ლამარია“-ს, წმიდა ბარბარესათვის შეწირულს – „ბრბვლ ე“-ს და ა. შ. მოსახლეობა კვირაცხოველობისათვის საგულდაგულოდ არჩევდა ყოველმხრივ უნაკლო ხბოებს. ხბო უნდა ყოფილიყო წმიდა ბარბარეს სახელზე შესახელებული ფურის („ბარბვლადა“) ნაშობი, რომელთაგანაც ყოველი მამრობითი სქესის ხბო – უისხვად, მდედრობითი კი მუსხ-ად უნდა გაეზარდათ. მუსხი-ს მთელი შთამომავლობა სარიტუალო ზვარაკად ჰყავდათ გამწესებული. საყრადღებოა ისხვ-ად გამორჩეული ხბოს გაზრდისა და მოვლის წესები: ხბოს საგულდაგულოდ უვლიდნენ, ზამთრობით სათივეში ამყოფებდნენ, მოხარშულ ცერცვს და ქერს მთავრად მუხრდნენ, ბანდნენ, სახრეს არ გადაუჭერდნენ. **უისხვ და მუსხი** ვერა ბარდაველიძეს საერთო ქართული წარმომავლობის ტერმინად მიაჩნია და მას ძველი ქართული „უსხი“-დან მომდინარედ მიიჩნევს: **„უსხი – სხვილის/მსხვილის ძველი ფორმა“⁴**.

სამი წლის **უისხვ-ს** კვირაცხოველობის დღეობის („უფლიშ“) ზვარაკად მოამზადებდნენ. კვირაცხოველობამდე ორი-სამი დღით ადრე სასპარეზოდ გამოიყვანდნენ. თუკი სოფელს შიგნით რამდენიმე უისხვი იყო, სოფლის მოსახლეობა სასოფლო მოედანზე – სუფში⁵ უისხვების შეჯიბრებას მართავდა. გამარჯვებული უისხვი გაჰყავდათ სათემო შეჯიბრებაზე, სადაც სოფლებში

²გ. ბარდაველიძე. სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში.– კრებული „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბილისი, 1968; ქ. ალავერდიაშვილი. საწესო ფერხულების შესწავლისათვის.– კრებული „ვერა ბარდაველიძე – 110“, თბილისი, 2013.

³ბესარიონ ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I. თბილისი, 1962, გვ. 62-63.

⁴В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957. გვ., 157-158. В. Бардавелидзе. Главное божество древнегрузинского пантеона Гмертиб Вопросы этнографии Кавказа. Тб., 1952.

⁵სუფი – სასოფლო მოედანი სვანეთში. სიტყვა ძველი ქართული „სუფელ“-იდან მომდინარეა.

გამარჯვებულ უისხვებს არკინებდნენ. შემდეგ ყოველი სოფელი (ტერიტორიულ თემს შიგნით) ერთ გამარჯვებულ ბუღას გამოარჩევდა და მას უკვე სხვა სოფლის უისხვ-ს შეარკინებდნენ. ხშირად ესა თუ ის თემიც ეჯიბრებოდა ერთმანეთს. გამარჯვებულად ითვლებოდა ის ბუღა, რომელიც მოწინააღმდეგე ბუღას მინდვრიდან გააქცევდა. ყოველი ისხვი შეიწირებოდა კვირაცხოველობის ღოცვის დროს. ზოგიერთ თემში საკვირაცხოველო რიტუალი ეკლესიათან იმართებოდა, ხოლო, მაგალითად, ეცერის თემში, ღოცვას საოჯახო ხასიათი ჰქონდა (მეოცე საუკუნის 30-იანი წლები). ყოველი უისხვის შემწირველი ოჯახი თავის სახლში, სალოცავად განკუთვნილ აღმოსავლეთის სარკმელთან ღოცულობდა. მამაკაცები ზვარაკს რქაზე ანთებულ სანთელს მიაკრობდნენ, სამჯერ წაღმა დაატრიალებდნენ, ბეწვს შეუტრუსავდნენ და შეწირავდნენ. მლოცველებს ხელთ ეპყრათ ანთებული სანთლები, „ლემზირ“-ები – საწესო-სარიტუალო პურები სვანეთში, სეფისკვერის ხალხური ნაირსახეობანი და „ხედაშ“-ე – საწესო-სარიტუალო სასმელი საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, სვანეთშიც. მთხრობელთა აზრით, **უისხვი** აუცილებლად უნდა შეეწირათ, მას მხოლოდ ამ მიზნით ზრდიდნენ.

ეს რიტუალი, მთხრობელთა დაკვირვებით, თანდათანობით ქრება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან: „*სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი, საუკეთესო უისხვი გვეყავდა. ჭელირში ჩვენი ისხვი იყო გამორჩეული. ქურაშელებსაც ჰყოლიათ უისხვი. ქურაშიდან მათ წამოიყვანეს თავიანთი უისხვი, ჭელირიდან ჩვენ წავიყვანეთ, ჩვენს სოფლებს შორის შუა ადვილას შევჩერდით. გრამიტონ პაკელიანმა კისერზე შემისვა და ისე წამიყვანა. ჩვენი ბუღა ლამაზი იყო, მოწითალო ფერის, ლამაზი რქები ჰქონდა და სქელი კისერი. შეერკინნენ ერთმანეთს ჩვენი და ქურაშელების ბუღა. ჩვენმა აჯობა, ისე მაგრად ურქინა, ქურაშელების ბუღა გაიქცა. გაგვიხარდა. ყველა ჭელირელს გაუხარდა. ახლა ბავშვები ვაჭიდაოთო – თქვეს. გრამიტონმა ჩამომსვა და მოედნისკენ მიბიძგა. იქიდან ჩემი ტოლი ლადო ხორგუანი, აცხონოს დმერთმა, გამოიყვანეს. ადვილად წავაქციე. ჭელირელებს გაუხარდათ, ხარმაც ჩვენმა გაიმარჯვა და ბიჭმაცო. შემისხვეს ისევ მხრებზე და სახლში წამიყვანეს გამარჯვებული. ამის მეტად ბუღების ჭიდაობა არ მინახავს“ (მთხრობელი შოთა ტარასის ძე გუჯაჯიანი, 79 წლის, სოფელი ჭელირი, ეცერის თემი, მესტიის რაიონი, 2014).*

ამრიგად, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ხარების ჭედობა კვირაცხოველობის სადღესასწაულო რიტუალის ნაწილი იყო, სარიტუალოდ განკუთვნილ ხბოს, რომელიც ღვთისთვის „დაყენებული“ ფურს უნდა მოეგო, ზრდიდნენ სამ წლამდე და კვირაცხოველობის ღოცვის დროს შეწირავდნენ. წინა დღეებში კი სოფელს შიგნით და ზოგჯერ თემშიც (იგულისხმება ტერიტორიული თემი), იმართებოდა საუფლო ბუღების შეჯიბრება.

აჭარაში ხარების ორთაბრძოლას „**ბუღიების ჭედობა**“ ერქვა და მას ატარებდნენ ადრე გაზაფხულზე. აჭარის ტრადიციულ ყოფაში – ბუღიების ჭედობა – ადრესაგაზაფხულს დღეობათა ციკლშია მოქცეული. ის ბუღა, რომელსაც ჭედობისათვის ამზადებდნენ, აჭარაშიც, მსგავსად სვანეთისა, საპატიო ცხოველად ითვლებოდა. შემონახული ელემენტების რეკონსტრუირების შედეგად, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ გვიან შუა საუკუნეებამდე, აჭარაშიც, ბუღების ჭედობის წესი კვირაცხოველობის სადღესასწაულო რიტუალის ნაწილი იყო, ხოლო შემდეგ, კვირაცხოველობის სადღესასწაულო ციკლი და შესაწირავი ზვარაკის იდეა დავიწყებას მიეცა, რაც გამოწვეული იყო ამ მხარეში ახალი რელიგიის – ისლამის – გავრცელებით. ქართველ მუსლიმთა რელიგიის ხალხური ასპექტები ცალკე შესწავლის ობიექტია და აქ მასზე ყურადღებას არ შევანერგებ. ისლამის გავრცელების შემდეგ, ზვარაკი, როგორც ასეთი, აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში „ეკურბან ბაირამის“-თვის დამახასიათებელ ნიშნადლა შემოგვრჩა, რაც, რასაკვირველია ისლამის ტრადიციებიდან მომდინარეობს. კვირაცხოველობის რიტუალი, ჩემი აზრით, ტრანსფორმირდა „ბუღიების ჭედობის“ ხალხურ სანახაობად, ანუ, გაქრა რიტუალი და შემოგვენახა მისი მხოლოდ ეს კონკრეტული ელემენტი (ხარების შეჯიბრება) ფრაგმენტის სახით.

„ბუღიების ჭედობა“ აჭარის ყოფაში დეტალურად აქვს შესწავლილი ვახტანგ შამილაძეს. ვახტანგ შამილაძის მასალით, აჭარაში საბუღე ხბოს საგულდაგულოდ არჩევდნენ და ზრდიდნენ: „საბუღე ხბოს შერჩევისას... ყურადღება ექცეოდა მემკვიდრეობასა და გარეგნულ-ექსტერიერულ ნიშნებს (ტანი, თავი, ფეხები, რქები, სათუსლე ჯირკვლები და ა. შ.). მხედველობაში იყო მიღებული ხბოს ტემპერამენტურობა და სიცოცხლის უნარიანობა. საბუღედ შერჩეულ ხბოს ეთმობოდა ორი, ხშირად კი ოთხი ძუძუს რძე. გარდა ამისა, 5-6 თვის ასაკიდან ეძლეოდა ნაზად მოთიბული თივა, სიმინდი, ქერი და ცომი. იმავე ასაკიდან სასურველი იყო დედალი ლეკისა და დგნალის ფოთლის მოწოდებაც. ჩვეულებრივად საბუღე ხბოს 3-4 წლის ასაკამდე ბავური კვების პირობებში ინახავდნენ... მოკვლარ ბუღას კისერი მსხვილი უნდა ჰქონოდა, თავი დიდი, მოყვანილი, შიგ შემოზრდილი რქებით.

შუბლისა და რქების არე ხმელი და წინწავარდნილი, თვალები წამოცვენილი, ცხვირის ნესტოები გადმობრუნებული, ხშირი და მოკლე ბალანი, გრძელი კუდი. საუკეთესო მოჭედარი ბულის შერჩევა და გამოზრდა დიდ ოსტატობად ითვლებოდა, ხბოს რქებს აფხეკდნენ და ულესავდნენ, ბაგის წინ თუნუქს აჭედებდნენ, რათა ხბოს თავისითაც აელესა რქები. ჭიდაობას ჯერ ხელით, მუხლით ან თავით აჩვენებდნენ, შემდეგ სხვა მოზვრებს უქცევდნენ, ხმით ამხნეებდნენ. ჭიდაობას აწყობებდნენ 3 წლიდან. 5 წლამდე ბულა მომწიფდებოდა და 8-10 წლამდე კარგი მოჭედარი იყო. „ბულების ჭედობა“ აპრილის პირველი კვირიდან იწყებოდა და მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. მუსლიმური კულტურის გავლენით, ჭედობას პარასკევ დღეს იწყებდნენ, რაც ვახტანგ შამილაძეს სრულიად სამართლიანად გვიანდელ მოვლენად მიაჩნია. მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ, შესაძლოა, ბულების ჭედობა ძველად ქაშატობის სადღეობო ციკლის ნაწილი ყოფილიყო. ცნობილია, ქაშატობა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალია და იგი პირველი ხნულის გავლენასაც გულისხმობდა. აპრილის პირველ კვირას ბულების პატრონები სოფლად შეჯიბრების დროსა და ადგილს დათქვამდნენ. ჭვანისა და ღორჯომის ხეობათა სოფლებში შეჯიბრებისათვის გამოყოფილი იყო კონკრეტული ადგილები: სოფელ ინწკირვეთში – დუბეჭალას მოედანი, სოფელ მეკეიძეებში – კინტაურა, სოფელ ნადვარეში – გორიკულა და სხვ. შეჯიბრების დღეს ორივე მხრივ აურაცხელი ხალხი გროვდებოდა. ბულების პატრონები თავიანთ ბულებს გვერდში ედგნენ და შეძახილებით ამხნეებდნენ შეტაკებისას. ბულის გამარჯვებას პატრონთან ერთად მთელი სოფელი ზეიმობდა ყიჟინითა და თოფის სროლით. დამარცხებული სოფლის მოსახლეობა კი ჩუმად ტოვებდა არენას, მაგრამ გამარჯვებულს განმეორებითი შეტაკებისათვის იწვევდა. ასე გრძელდებოდა მთელი კვირა. საასპარეზოდ ახალ-ახალი წყვილები ცვლიდნენ ერთმანეთს. ჭედობისათვის ბულის საუკეთესო ასაკად 3-8 წელი ითვლებოდა. შემდეგ ბულას კოდავდნენ, ასუქებდნენ და დაკლავდნენ, თუმცა ზოგჯერ „ნაბუღვარას“ უღელშიც კი შეაბამდნენ.

აჭარული მასალა, ამ კონკრეტული ფაქტით, სვანურისაგან განსხვავდება, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სვანეთში ნებისმიერი უისხვი, თვით ყველა სხვა უისხვის დამმარცხებელიც კი, შესაწირავად იყო განკუთვნილი. სავარაუდოა, რომ აჭარაში დადასტურებული წესი ობიექტური ისტორიული ფაქტებითაა განპირობებული და ტრადიციის ტრანსფორმაციის შედეგია.

აჭარის საზოგადოებრივ იალაღებზე, ზოგან, ჩვენ დროშიც ატარებენ „ბულების ჭედობას“.

ზემო აჭარის ეთნოგრაფიული მასალა, ვფიქრობ, საერთოქართული ტრადიციის ნაწილია. ვვარაუდობ, რომ „ბულების ჭედობა“ ქრისტიანულ პერიოდში კვირაცხოველობის სადღესასწაულო ციკლის ნაწილი იყო, ისლამის გავრცელების შემდეგ კი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ტრადიციად, სანახაობად, რომელშიც პირვანდელი რიტუალის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი – „ბულების ჭედობა“ შემორჩენილი. ხარების ჭედობა რომ საქართველოს ყველა მხარისათვის ცნობილი კულტურის ნაწილი იყო, იმითაც დასტურდება, რომ ხშირად განსაკუთრებით ცნობილი ბულები აჭარლებს მესხეთში, გურიასა და იმერეთშიც კი გადაჰყავდათ და აჩვენებდნენ ამ ბულების „ხელოვნებას“⁶.

2006-2015 წლების ეთნოგრაფიული მასალით, ხარების//ბულების ჭედობა გავრცელებულია მთელი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში. ხარების//ბულების ჭედობა დასტურდება ნიგალში (ხება, მარადიდი, კატაფხია, ბელღევანი, ბორჩხა, ჩხალას ხეობა, მურღული, შუახევი, დევსქელი, ბაგინისწყალი, ომანა, ტრაპენი, ზემო და ქვემო ორჯი, თხილაძე, ქართლა, ხატილა, ქალაქი ართვინი), იმერხევში (უსტამისის თემი, დიობანის თემი, მანატბის თემი, ხევწურილის თემი, ბაზირეთის თემი), ზემო მაჭახელსა და ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა). ნიგალის მხარის ხარების ჭედობის ტრადიციები გამოვლენილია როინ მაღაყმაძის მონოგრაფიაში, ამ ტემატიკას ეხმაურება ეთერ ბერიძის ნაშრომიც. ბოლო წლებში შეიქმნა გიორგი კალანდიას დოკუმენტური ფილმი – „ართვინელი ფალანგები“. ფილმში ნაჩვენებია მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა ხარების ჭედობის ფესტივალებისა.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ამა თუ იმ ხეობაში, ხარების//ბულების ჭედობის წესი შერწყმულია მესაქონლეობის ტრადიციებთან და ის ზოგჯერ დაკავშირებულია შუამთობის დღეობასთან, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ბევრგან დამოუკიდებელი სახით სრულდება და

⁶გ. შამილაძე. კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე – კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“. I. თბილისი, 1973, გვ. 44-47.

⁷გ. შამილაძე. კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე – კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები“. I. თბილისი, 1973, გვ. 45.

„ფესტივალად“ ქცეული. ცხადია, ტრადიცია ტრანსფორმირებულია, თვალსაჩინოა, რომ ნოვაციური ელემენტები თანდათან ტრადიციად მკვიდრდება, ხოლო იქ, სადაც ხარების ჭედობა, კვლავ საზაფხულო საძოვრებზე იმართება (შუამთობის დღეობა), მას ძველებური სახე აქვს.

რამ განაპირობა ხარების ჭედობის ტრადიციის „ფესტივალად“ ფორმირება? პირველი მიზეზი შიდა მიგრაციაა: მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ართვინის რეგიონში იწყება მძაფრი მიგრაციული პროცესი: ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი სამუშაოდ და შემდეგ უკვე საცხოვრებლად გადადის დიდ ქალაქებში და ტოვებს მშობლიურ მხარეს. შიდა მიგრაციულმა პროცესმა იმატა 80-იანი წლებიდან. ჩვენი დროისათვის ტაო-კლარჯეთში მოშლის პირასაა ტრადიციული კულტურულ-სამეურნეო ტიპი და, შესაბამისად, დროთა განმავლობაში, დავიწყების საფრთხე ემუქრება მესაქონლეობის სამეურნეო ტრადიციებთან დაკავშირებულ შუამთობის დღეობის აღნიშვნის წესსაც. მეორე მიზეზი არის თურქეთის სახელმწიფოს მცდელობა ადმინისტრაციულ ჩარჩოებში მოაქციოს ხალხური დღეობები. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული ადგილობრივმა ადმინისტრაციებმა დაიწყეს ხალხურ დღეობებში ჩარევა და მათი მართვა. მათ ყოველ ხეობაში გამოყვეს მოედნები, სადაც ოფიციალურ „ფესტივალებს“ ატარებენ. ზოგან ეს ადგილები დაემთხვა ისტორიულ სასოფლო, სახეობო შეკრების ადგილებს, მაგალითად, სათავე დიობანის თემში (იმერხევი). ხელისუფლების ჩარევით სათავეს ფესტივალი ჩამოყალიბდა იმერხეველთა საერთო შეკრების ადგილად. მიუხედავად ამისა, იმერხევის ბევრ თემში, სადაც ჯერ კიდევ ზამთარ-ზაფხულ არის მკვიდრი მოსახლეობა, იმართება სასოფლო ტრადიციული „შუამთობები“. ასეთ სოფლებში „შუამთობის“ დღეობები ავთენტური სახით სრულდება. „შუამთობის“ მსგავსად ცვალებადობა შეეხო ხარების ჭედობის ტრადიციასაც. სახელმწიფოს ჩარევით შეიქმნა ახალი ოფიციალური სახალხო დღესასწაულები – „ხარების ფესტივალები“ მისი მენეჯმენტიც ადმინისტრაციამ შეითავსა. ხარების ჭედობის ყველაზე მასშტაბური „ფესტივალები“ არის კავკასორის, ახალთის, მურღულისა... ტრადიციის ჩასმამ „ფესტივალის“ ჩარჩოებში“ რიტუალს თვითმყოფადობა და ავთენტურობა დაუკარგა.

საკვლევ საკთხზე მუშაობა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სიძნელეები წმიდა მეცნიერული ხასიათისაა, რადგან მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ თურქეთის ადმინისტრაციის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ ყოფილა, არც გადაადგილების და არც მთხრობელებთან კომუნიკაციის დროს. კვლევის სირთულეს განაპირობებდა შემდეგი კონკრეტული გარემოება: საისტორიო ნარატიული წყაროების არარსებობა. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება არცერთი საისტორიო ძეგლი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა ხარების ჭედობის ტრადიცია ტაო-კლარჯეთში 1990-იან წლებამდე. აქედან გამომდინარე, საკვლევი ფაქტის შესწავლისათვის დამრჩა ერთადერთი გზა: საველე-ეთნოგრაფიული კვლევა და მოძიებული მასალის რეკონსტრუირებით ახლო წარსულის სურათების აღდგენა. ეთნოგრაფიული კვლევა გრძელდებოდა წლების განმავლობაში და შესაძლებლობა მქონდა მოძიებული ინფორმაციის მრავალგზის გადამოწმებისა და ახალ-ახალი ნოვაციების შენიშვნისა.

საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად შეკრებილი მასალა ავლენს საინტერესო სურათს: შუახანს გადაცილებულ მთხრობელებს ახსოვთ ხარების ჭედობის ძველი ფორმა, როდესაც შეჯობრება ტარდებოდა ამა თუ იმ სოფლის საზაფხულო საძოვარზე, ე. წ. აგარაში. აგარას, ზოგიერთ მხარეში, თურქული სიტყვა – იაილა – ჩაენაცვლა. მთხრობელთა მასხვრობით აღდგენილი სურათი საკმაოდ ინფორმაციული და ტევადია. ის საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ „ფესტივალად“ ტრანსფორმირებული ელემენტის ადრეულ ფორმაზე, რომელიც შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ხარებით//ბულებით ჭედობის წესი საზაფხულო მთის სადგომებში (აგარა, იაილა) სრულდებოდა, სადაც არამარტო „მემთევრნი“⁸, არამედ მათი სტუმრებიც, მასპინძლებთან ერთად, აღნიშნავდნენ ხალხურ დღეობას – შუამთობას. ცნობილია, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, ყოველ თემს და მასში შემავალ სოფელთა (//მაჰალეთა) ჯგუფებს აქვს თავ-თავისი „მთა“//„თა“ (აგარა, „იაილა“)⁹, სადაც „მემთევრნი“ მიერეკებიან საქონელს გვიან გაზაფხულზე და რჩებიან გვიან შემოდგომამდე. მაგალითად, ისტორიულ ნიგალში//ლივანში//ლივანა, ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, მდინარე

⁸ „მემთევრნი“ – ოჯახებიდან მთაში (ჯერ „აგარაზე“//„ყიშლაზე“, შემდეგ კი მთაში – „თაზე“//„იაილაზე“) დაახლოებით 4-5 თვით გადასული ადამიანები, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში უვლიდნენ მთაში გარეკიდ საქონელს, ამუშავებდნენ რძის მეურნეობის პროდუქტებს. ყოველ „ყიშლასა“ და აგარაში ავებული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო სადგომები.

⁹ სტატიაში სიტყვა „მთა“ გამოყენებულია არა გეოგრაფიულ ტერმინად, არამედ მესაქონლეობის ინტენსიურ ფორმებთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ ცნებად, როგორც ეს ზემოთ იქნა განმარტებული.

ჭოროხის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე შეფენილ ქართულ სოფლებში ყველა სოფელს თავ-თავისი „მთა“ აქვს. მარჯვენა ნაპირის სოფლების „მთები“ (აგარა, იაილა), ძირითადად, **თეთრიწყალის მიდამოებში და კარჩხალზეა** გამართული. მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე კი – **ტრიალას მთის მიდამოებში**. ყოველი „მთის“ ქვემოთ, ზეგანზე მდებარეობს კიდევ სხვა სადგომები, ე. წ. ყიშლები, სადაც მემთევრი ბინავდება გაზაფხულიდან ზაფხულამდე და ადრე შემოდგომიდან გვიან შემოდგომამდე, რა დროიდანაც მემთევრი, საქონლითურთ, ბრუნდება თავ-თავის სოფელში. ადამიანისა და საქონლის სამყოფი სადგომები გამართულია, როგორც ყიშლაში, ასევე მთაში (აგარა, იაილა).

2013 წელს ისტორიული ნიგალის თითქმის ყველა მთაში (აგარა, იაილა) აღინიშნა შუამთობის დღეობა. **ებრიკის** თემის მოსახლეობას თეთრიწყალის მთაზე აქვს იაილები: „*მთა თელი ჩვენი ებრიკის არის თეთრიწყალი. შუანთობა თეთრიწყალზე ვიცოდით. ერთი თვე გახდა, იქ წავლენ. ხარების იატალი ერთად გვქონდა. ისიც თეთრიწყალზე იყო*“. **ახალდაბელები** შუამთობას კარჩხალში აღნიშნავენ, რადგან „*ჩვენი მთა კარჩხალშია, სინკოთის იაილაა ჩვენთან ახლოს*“; „*სახმელი წყალი იალაიდან, თიდან მოვა, ირსას იალაიდან მოვა წყალი. ირსის მთაში არი ჩვენი წყალი. ჩვენი მთა კარჩხალშია, იქვე არის ბაგინის, დევსქელის, შუახევის, ებრიკის მთა. ჩვენი და ადაგულის იაილა ახლოა. ორ თვეს იქ იქნებიან, ჩამოვლენ. გათოვლებულა და ჩამოვიდნენ გუშინ, მეც ვიყავე შუანთობაზე, ვისაამეთ*“.

2012-14 წლებში „შუამთობა“ აღინიშნა **იმერხევის თემების „მთებშიც“: ჩიხისხევი, უსტამისი, ბაზგირეთი, ხევწურილი; აგრეთვე, ზემო მაჭახელშიც (ხერთვისის, ზედგაის, ქვაბითაის, ვეფრატის, მინდიეთისა და აკრიის მთებშიც).**

შუამთობის დღეობის თარიღს ანგარიშობენ საქონლის „ყიშლაზე“ გარეკვიდან ვიდრე სოფელში დაბრუნებამდე არსებული დროის შუა პერიოდით. დღეობის ეტიმოლოგიის ხალხური ახსნაც ამგვარია: შუა მთობა. ეს თარიღი აგვისტოს დასაწყისის შაბათ-კვირას უწევს და სწორედ ამ დროს აღნიშნავენ უმთავრეს „მთებში“ (აგარა, იაილა) დღეობას.

საგულისხმოა, რომ შუამთობას (ზოგიერთ ხეობაში დღეობას „მარიობას“ უწოდებენ), არამხოლოდ ისტორიული ტაო-კლარჯეთის, არამედ სამცხის, ჯავახეთის, აჭარის, ქვემო მაჭახლის ხალხური დღეობაცაა და იგი ზოგიერთ მხარეში დღესაც მოქმედია¹⁰.

ყოველი სოფლის „მთა“ (აგარა, იაილა), ძირითადად, ალპურ ზონაში მდებარეობს. აგვისტოს პირველ ან მომდევნო შაბათ-კვირას თავ-თავიანთ „მთაში“ იკრიბებიან არა მხოლოდ მემთევრნი, არამედ მათთან ამოდიან სოფლად მყოფი ოჯახის წევრებიც და სტუმრებიც. ქალაქად მყოფი მოსახლეობა ცდილობს ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც დაბრუნდეს მშობლიურ მხარეში. ხშირია, შგებულებების აღების დროის მისადაგება შუამთობის დღეობასთან.

დათქმულ დღეს სტუმრები და მასპინძლები თავს იყრიან თავ-თავიანთ „მთაზე“, „*შუანთობა სამ დღე იყო, სამი დღე იქ ვრჩებოდით*“. მედღესასწაულენი ღამეს ათევენენ იქვე არსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში. მთისკენ ახალგაზრდობა ამჟამად მიემართება ნაჭრისგან დამზადებული კარგებითა და საძილე ტომრებითაც.

შუამთობას იშლება საერთო სადღესასწაულო სუფრები, იმართება ფერხულები, ჭიდაობა, ხარების შერკინება... ტრადიციულად, ამა თუ იმ „მთას“ (აგარა, იაილა) ადგილობრივებთან ერთად სტუმრობენ მოყვრები, მეგობრები, ქალაქელი მეზობლები. ბევრი ხალხი იკრიბება ისტორიული ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა მეზობელი ხეობებიდან და ქალაქებიდან. ამ დღეობის ნაწილია შეჯიბრებებიც: „*ცხენებ გახტუნებლით თაში, კაცის ჭედობა, თოფის სროლა, ხარების, ვაცების ჭედობა ვიცოდით*“; „*თეთრიწყალში ძოვდეს ხარები და ხარებს იქ ვაჭედებდით. თოვლი რომ გადნებოდა, მის მემრე წავიყვანდით ხარებს მთაში. იქ იყო რთველამდე*“¹¹.

ხარების ჭედობისათვის, ზოგან „**ხარების იატალს**“ იყენებდნენ, რაც უფრო ძველ ტრადიციად მიმაჩნია. საზაფხულო იალალების ყველაზე მაღალ ნაწილში, ნოყიერი ბალახით მდიდარ ალპურ

¹⁰რ. მალაყმაძე. ლიჯანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). თბილისი, 2008; ე. ბერიძე. ნიგალი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტურ-ტოპონიმიკური ასპექტები). თბილისი, 2009; **როზეტა გუჯეჯიანი**. ტრადიციული ქართული კულტურის მოტივები ტაო-კლარჯეთში.– კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“. III. ბათუმი, 2010, გვ. 86-110; **როზეტა გუჯეჯიანი**. პარხლისწყალის ხეობის ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფა და კულტურა (თურქეთის რესპუბლიკა, იუსუფლის რაიონი). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. მეორე (47-ბ). თბილისი, 2011, გვ. 409-432; **როზეტა გუჯეჯიანი**. ეთნიკურ ქართველთა თანამედროვე ყოფა და კულტურა (თურქეთის რესპუბლიკა).– კრებული „ინტერდისციპლინარული არქეოლოგია“. I. თბილისი, 2011, გვ. 130-146.

¹¹„**რთველი**“, „**სთველი**“ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში „შემოდგომის“ აღსანიშნავად გამოიყენება. ამ ტერმინთან დაკავშირებით მზადდება ცალკე ნაშრომი, რომელიც ამავე კრებულის მორიგ ნომერში გამოქვეყნდება.

ზონაში „მემთევრებს“ მოწყობილი ჰქონდათ ხარების სამყოფი ადგილები, ე.წ. „ხარების იატაკი“. სწორედ ამ ადგილებში იმართებოდა ხარების/ბულების ჭედობა.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთშიც, ჭედობისათვის გამოსაზრდელ ვარგის პირუტყვად, მსგავსად აჭარისა და სვანეთისა, ერთი წლის ხბო შეირჩეოდა. ხბოს ნებაზე გაუშვებდნენ, ნებიერად ზრდიდნენ, რისი აღმნიშვნელი ეთნოგრაფიული ტერმინია – „ხარებ ვაპატივებდით“: „ვაპატივებდით ხარებ. შავ ცერცვ ავადულებდით, იმას ვასმევდით, თაფლს წყალში გუურევდით, იმას ვასმევდით“. „ხარს კიწი (ქელი) უნდა ჰქონოდა დიდი, კაი. რქის წამოთლა არ შეიძლებოდა, თუ იქმნა, არ იჭედებს ის ხარი“, „სახრე არ უნდა გადაუჭირო, არ იქნება. უშუალოდ ჭედობას აწყებინებდნენ სამი წლის ასაკიდან.

ჩვენ დროში უფრო მეტი სოციალური აქტივობა შეინიშნება ოფიციალური ფესტივალების ფარგლებში. მთხრობელთა ნაწილი – ახალგაზრდები, რომლებიც ქალაქად ცხოვრობენ და მოწყვეტილნი არიან მშობლიურ სოფლებს, ხშირად, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ სანახაობით („ფესტივალით“) იცნობენ ხარების ჭედობის წესს.

ართვინის რეგიონში ყველაზე მასშტაბური ხარების ფესტივალი „კავკასორის“ სახელითაა ცნობილი, კავკასორი მთის (გეოგრაფიული მთა) სახელია და იგი ქალაქ ართვინიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. ფართო გაშლილი ზეგანია. ეს ადგილი ძველად აგარა ყოფილა და იქ იმართებოდა „შუამთობა“, რომლის ნაწილიც იყო ხარების ჭედობა. ამჟამად კი იქაურთა საფესტივალო არენადაა ქცეული: მაყურებლისათვის მოწყობილია დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა. „კავკასორშიც იყო ხარების ჭედობა ძველად, ახლაც არის, სულ მთლად აქეთ მოყავან ხარები ყველას. იქ ახლა ფესტივალ აკეთებენ“. ფესტივალი, დაახლოებით, 30 წელია იმართება.

მეორე მასშტაბური „ხარების ფესტივალი“ მურღულის ხეობაში იმართება. საასპარეზოდ შერჩეული ადგილი მურღულისწყლის მარჯვენა ნაპირზეა, თხირაფუნა ჰქვია. ძველად კი ხარების ჭედობა აქაც „შუამთობის“ ნაწილი იყო და „მთაში“ იმართებოდა: „ხარების ჭედობა ვიცოდით. აქ სოფელში ქვემოთ დუზი არის და იქ ვიქმთ. ჩვენი მთა არის შავი ქელი, ჩანს (ხელით გვიჩვენა მიმართულება) იქ არის, ყომრალი, იქ არის ხარების იატაკი. ფურების სხვა არის. ძველად ხარების ჭედობა იაილაში იყო. ხარების მეთავე გყავდა“. ამჟამად თხირაფუნას ფესტივალში გამარჯვებული ხარის პატრონს ფულად ჯილდოს აძლევენ.

ხარების ჭედობა დამახასიათებელია ისტორიული ტაოს იმ ნაწილისთვისაც, სადაც დღემდე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს: პარხლისწყლის ხეობაში სამი დიდი თემი (ქვაბაი/ქობაი, ხევაი, ბალხი) ქართველებითაა დასახლებული და ამავე ხეობის სხვა სოფლებშიც ზემოთ დასახლებული სამი თემის ნამატი მოსახლეობაა განსახლებული. პარხლისწყლის ხეობაში ხარების ჭედობა ადგილობრივი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი სეგმენტია¹². მთხრობელებს ახსოვთ ხარების ჭედობის ტრადიციული ფორმაც: „თევზარში ძოვდეს ხარები და ხარებს იქ ვაჭედებდით. თოვლი რომ ვადნებოდა, მის მემრე წაეყვანდით ხარებს მთაში. იქ იყო რთველადე“. „სარიგოლშიც¹³ იყო ხარების ჭედობა, დღეს აქეთკენ, ორ-სამ ალაგს ირჩოლებოდნენ, ზაფორის მთებშიც იყო, დევთისაიშიც იყო. ახლა ყველა თუთლულში აკეთებს. ხარ ვზრდით, ფულს ვაკეთებთ. ხევაელების ხარების ჭედობა იყო დუღგურ-ში. დევსაკარაის ზემოთ არის ეს ადგილი. იქ ახლა ფესტივალ აკეთებენ“. „ქვაბავრები წალიყვან მივლოდით, იქ იყო ხარების ჭედობა“. ხევაელები ხარების ჭედობას ჭანჭახშიც მართავდნენ. „ქოხები იყო, ახლა გავერანდა. მაისიდან იყო ხარების ჭედობა. ქერით ვაპატივებთ, იქ ვაჭედებთ. ბულაა, ხარი არ არის. ვერძებსაც ვაჭედებდით. სამი-ოთხი დღე იქ ვრჩებოდით აგარაში. ვფერხულობდით. კაცებიც ეჭიდებოდნენ, ვერძებიც. ხელის მოჭიდებაც ვიცოდით“.

ხევაელები ჭედობისათვის განკუთვნილ ბულებს საგანგებოდ უვლიდნენ საცორიას მთებში. „დევსაკარაიში საცორია იყო. საცორიას ვეძახით. დევსაკარაის უკნიდამ არის, ოღვილოძირიდამ. იქ მივასხამდით ხარებს. ხარი იატაკია იქ. იქ ღამით დაწვებიან. მეორემ მეცხვარე იქ აძოვებს ხარებს. ქერს დაენაყვდით, ცხელ წყალს მოვასხმდით, დასივდება ქერი, დარბილდება, იმას ვაჭმევდით ხარებს. შეიქნება დიდი ხარი“. „საცორიაში ბალხი, ხევაი, ქობაი ვიკრიბებოდით. ჭედობა დამთავრდებოდა, ქადებს გამოაცხობდნენ, კვარ ვანთებდით, დილაპლაპებოდა, ვიჭედებდით, ხელჭიდ ვიქნოდით – მაჯა ენ დიდი უნდა გქონოდა“.

¹²როზეტა გუჯუჯიანი. პარხლისწყლის ხეობის ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფა და კულტურა (თურქეთის რესპუბლიკა, იუსუფლის რაიონი). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. მეორე (47-ბ). თბილისი, 2011, გვ. 409-432.

¹³სარიგოლის ქართული სახელია სარეკელი, სარიყელი.

პარხლისწყლის ხეობის იმ სოფლებში, სადაც ამჟამად იმართება შუამთობა, ხარების ჭედობა კვლავ სადღეობო რიტუალის ნაწილად გვევლინება. შუამთობას ახლაც სრულდება ფერხულები, იმართება ჭიდაობა, ხარების შერკინება... ტრადიციულად, ამ დღეობაზე ჭანები//ლაზები და მურღულელები გადმოდის მეზობელი ხეობებიდან. განსაკუთრებით ხალხმრავალია **წალიკვანის შუამთობა**. „ცხენებ ვახტუნებდით წალიკვანში. წალიკვანი მარტო ქობაისი არის“. „წალიკვანში კაცის ჭედობა, თოფის სროლა, ხარების ჭედობა ვიცოდით. იყო მამლის ჭედობა. მამლები ბევრი იყვნენ და ვაჭედებდით. მემრე ფეხბურთი დევწეო“.

ფესტივალის სახე აქვს სოფელ **ახალთის** (პარხლისწყლის ხეობა) ხარების ჭედობას. ახალთში, ცენტრალური გზის პირას, სპეციალური არენაა აგებული და მთელი იუსუფელის რაიონიდან აქ მოჰყავთ რჩეული ხარები. ამ დღეობას აქვს ოფიციალური ხასიათი და „ხარების ფესტივალი“ ჰქვია. გამარჯვებული ხარის პატრონს ფულად ჯილდოს აძლევენ.

ამრიგად, ამჟამინდელი ხარებით ჭედობა, თუკი მას აქვს „ფესტივალის“ სახე, ტრანსფორმირებულია, არ არის რიტუალის (შუამთობის) ნაწილი და გადაქცეულია შეჯიბრებად. ყველა თანამედროვე ფესტივალი მსგავსია და კონკრეტული მახასიათებლებისაგან განძარცვულია. ამ დღეობებს აქვთ ოფიციალური ხასიათი. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ არის რამდენიმე სოფელი, სადაც ხარების ჭედობა კვლავაც რიტუალის ნაწილია და ტრადიციული ფორმით სრულდება.

გარდა, უშუალოდ, ხარების ჭედობისა, საქართველოს ტრადიციულ ყოფაში არსებობდა ხართან ადამიანის შერკინების წესიც. მას **„კურული“** ერქვა. კურული დამახასიათებელი იყო სამეგრელოს ტრადიციული ყოფისათვის. ვერა ბარდაველიძის მასალით, კურული, მაგიურ-რიტუალური ხასიათის წესი, უძველესი ტრადიცია იყო. კურული იმართებოდა სოფლის მოედანზე¹⁴. მოედნის შუაში ჩაარჭობდნენ ბოძს და მასზე აბამდნენ სპეციალურად გაზრდილ და გავარჯიშებულ კუროს. ორი მამაკაცი კუროს აღიზიანებდა, ხელს ახებდნენ რქებზე, ყურებზე, წინა მხრებზე, ზურგზე. გაღიზიანებულ ბუღას ბოძიდან ხსნიდნენ და მასთან ბრძოლას იწყებდა ერთი მამაკაცი. მამაკაცი გამარჯვებულად ითვლებოდა, თუკი იგი გამძვინვარებულ ბუღას შებოჭავდა და წააქცევდა. კუროსთან ჭედობის დამთავრების შემდეგ იწყებოდა ადამიანთა ჭიდაობა¹⁵.

ტერმინ **„კურულის“** ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებულ დატვირთვასთან დკავშირებით საინტერესო მოსახრება აქვს გამოთქმული ლალი მაძღარაშვილს: „მართალია, ეს ტერმინი გამოყენებულია ხარებთან შებრძოლების ისეთი სახეობის აღსანიშნავად, როდესაც ადგილი აქვს კაცისა და ხარის ორთაბრძოლას, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ ყველა იმ გართობა-სანახაობის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად, რომელშიც ხარი მონაწილეობდა, იმისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ხარები ერკინებიან ერთმანეთს, თუ ხარი და კაცი“¹⁶. ლალი მაძღარაშვილი სწორედ ამგვარი დეფინიციით იყენებს ტერმინ კურულს თავის ნაშრომში. აღსანიშნავია, რომ შემდგომ მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ (რ. გუჯჯიანი, 2011-2015) დაადასტურა ტერმინ **კურულის** არსებობა ქართველთა სხვა მხარეშიც – ისტორიულ ნიგალში//ლიგანში. ნიგალის მხარეში, როგორც უკვე აღინიშნა, ცოცხალია ბუღების რკინების//ჭედობის წესი და მას ზოგიერთი მთხრობელი **„კორული“//„კორული“//„კურული“-ს** სახელით იხსენიებს. ამასთანავე, **„კორული“ მთის სახელადაც არის შემონახული**. ამ მთაზე დღესაც იმართება **ბუღების ჭედობა**. ეს ახალი ინფორმაცია კიდევ უფრო განამტკიცებს ლალი მაძღარაშვილის მოსახრების მართებულობას და ვვარაუდობ, რომ ტერმინი **„კურული“//„კორული“//„კორული“**, ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, რადგან სიტყვის ფუძედ **„კურ“** იკვეთება და სრულიად ბუნებრივია მისი განზოგადება მთელი ქართული სამყაროს მასშტაბით. კურო, სულხან-საბას განმარტებით არის **„ხარი გამოყვერავი“**¹⁷, ანუ, ჭედობისათვის **გამოსადეგი პირუტყვი, როგორც ეს მიღებული იყო ყოფაში**.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებობს კურულის მსგავსი ფაქტის აღწერა, მაგრამ ამ შემთხვევაში, კურულისაგან განსხვავებით, – ხარის მოკვლის მიზნით. აკაკი წერეთლის მოთხრობის – „დათუნა გოცირიძე“ – სიუჟეტი დათუნა გოცირიძის შესახებ არსებული ლეგენდის ამსახველია.

¹⁴ **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб, 1957.

¹⁵ **გ. ჩიტაია.** თოხის კულტურა დასავლეთ საქარველოში.– ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. ნაკვეთი II. თბილისი, 1959, გვ. 159.

¹⁶ **ლ. მაძღარაშვილი.** „კურული“ ქართულ ტომებში.– კრებული „ია“, თსუ, თბილისი, 1991, გვ. 180-181.

¹⁷ **სულხან-საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო **ილია აბულაძემ**. თბილისი, 1991, გვ. 399.

დადიანს მეფისათვის საარაკო მოზვერი მიუძღვნია. მოზვერი გაგარეულბულა და მეჯოგეებს ვერ დაუმორჩილებიათ. მეფეს უბრძანებია, ვინმე ძლიერ კაცს, ერთი მოქნევით, თავი გაეგდებინებინა მოზვერისათვის. კაცისა და ბუღის „ჭედობა“ გეგუთის მინდორზე გამართულა. გ. რაჭველ აზნაურს დათუნა გოცირიძეს, მართლაც, დაუმარცხებია მოზვერი, ხმლის ერთი მოქნევით კისრის ძელები გადაუმტვრევია¹⁸. მსგავსი სიუჟეტი ჩაუწერია მკვლევარ იოსებ მეგრელიძეს რაჭაში¹⁹.

ხარების ჭედობის ტრადიციას, ბუნებრივია, უძველესი წარმომავლობა აქვს, იგი ისტორიის ადრეული ეტაპებიდან მომდინარე ჩვეულებათა რიგს მიეკუთვნება. ცნობილია, საქართველო გამორჩეული იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებული ფორმებით ჯერ კიდევ არქაული ხანიდან და მესაქონლეობის დამჯდარი ფორმები უწყვეტი სახით ვითარდებოდა დღევანდელი დღის ჩათვლით. ბუნებრივია, რომ წინარექრისტიანული ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართველებს ჰქონდათ რელიგიის ადგილობრივი, ლოკალური ფორმები, რომლებშიც იკვეთება ხარის, როგორც საკულტო ცხოველის არსებობა. სრულიად შესაძლებელია, რომ კვირაცხოველობის ზემოთ აღწერილ ვარიაციაში სინკრეტიზმის ნიშნებიც იკვეთებოდეს. ხარების ჭედობის წესს საქართველოს სხვადასხვა მხარეში გარკვეული ლოკალური ნიშნები ახასიათებდა.

არსებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ხარების ჭედობის ტრადიციის საკრალურობის გააზრების რამდენიმე ეტაპი არსებობდა და იგი იცვლებოდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. **პირველ ეტაპად მოიაზრება არქაული ხანა**, როდესაც სარიტუალო ზვარაკს, თანადროული რელიგიური მსოფლადქმიდან მომდინარე შესაბამისი რიტუალური დატვირთვა ახლდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხარების ჭედობის წესი საქონლის განაყოფიერებისა და გამრავლებისადმი მიძღვნილი მაგიური რიტუალების ნაწილია, რომ ეს წმინდა ხარების ბრძოლის კონტექსტითაა განსახილველი; ქართული ხარების ჭედობისა და კურულის წესი შედარებულია შუმერულ, კრეტა-მიკენურ ტრადიციებთან (ვ. ბარდაველიძე, ვ. შამილაძე) და ესპანურ კორიდასთან, რომელსაც ბასკური ფესვები აქვს (შ. ძიძიგური). ცნობილია, ხარის კულტს დიდი ადგილი ეკავა არქაული ხანის მითოსურ სამყაროსა და რწმენა-წარმოდგენებში. შესაძლოა, ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის უკვე იმ დროს არსებობდა ადამიანის ხართან შერკინების წესიც, რომელიც გვიანობამდე შემონახა სამეგრელოს ტრადიციულმა ყოფამ, სახელწოდებით „კურული“. კლარჯეთში დაფიქსირებული ტოპონიმი „კოროლი“//„კორული“ და ბუღების შერკინების სახელად „კოროლის“//„კორულის“//„კურულის“ არსებობა მაფიქრებინებს მის მომდინარეობას საერთო ქართული ენობრივი სამყაროდან და ტრადიციიდან. **მომდევნო ეტაპად ქრისტიანობის გავრცელების პერიოდი წარმომიგება**, რაც სვანური მასალით ვლინდება და რაც, სავარაუდოდ, ტრადიცია იყო მთელ საქართველოში. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარეების იძულებითი გამუხლიმების შედეგად, აჭარაში, მესხეთსა და ტაო-კლარჯეთში, ბუნებრივია, იკარგება სარიტუალო ბუღის საკვირაცხოველო ზვარაკად გაზრდისა და შეწირვის ტრადიცია. საკრალური არსი მივიწყებას ეძლევა, მაგრამ რჩება სპორტული სანახაობა – ბუღების ჭედობის წესი და ზოგან იგი უკავშირდება „შუამთობის“, ან „მარიობის“ ხალხურ დღეობას, უფრო დიდ ნაწილში კი საგაზაფხულო დღეობათა პირობით ციკლში ექცევა – მესაქონლეობის ლოკალური ტრადიციებიდან გამომდინარე. **შემდეგი ეტაპი თანამედროვე დროა**, როდესაც მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან ხარების ჭედობის წესი სვანეთში თანდათანობით ქრება, უფრო ხანგრძლივად იგი არსებობს ზემო აჭარაში. ამჯერად კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ისტორიულ ტაო-კლარჯეთშია შემონახული, უმეტეს ნაწილში – ტრანსფორმირებული სახით.

¹⁸აკაკი წერეთელი, დათუნა გოცირიძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. VIII. თბილისი, 1958.

¹⁹ი. მეგრელიძე. ტორეადორობის კვალი საქართველოში.– ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №1. თბილისი, 1959.

Rozeta Gujejiani

Bull fight ritual in traditional Georgian life

Summary

As is known from ethnographic materials, there are certain rituals of bulls' fight with each other or bulls' fight with humans in many ethnic cultures worldwide. Bull fight tradition is known in several historical-ethnographic regions of Georgia (Svaneti, Racha, Adjara, Samtskhe-Javakheti, Tao-Klarjeti). Bull fight has its specific name in one or another regions of Georgia.

In this work, along with already existing scientific literature and sources, there were used and analyzed ethnographic materials obtained by me through field-ethnographic studies carried out in 2006-2015.

Ethnographic study was conducted in Georgia (Svaneti, Racha, Adjara, Kvemo Machakheli, Samtskhe, Javakheti) and Turkish Republic, in ethnographic regions of historical Georgia (Artaani, Shavshetistskali gorge, Imerkhevi, villages of Borckha and Chkhala gorges, Zemo Machakheli, Devskeli and Baginistskali gorges, Khebi community, Maradidi community, Murguli gorge, Artvin city, Khatila community, Kartla community, Omana community, Tkhiladze community, Orji community, Trapeni community, Parkhlistskali gorge). On the basis of ethnographic material analysis becomes clear that bull fight ritual is the part of traditional Georgian culture and it was executed as part of one or another rituals.

This work is executed in the format of study of historical ethnology. Field and ethnographic research methodology: namely interviewing, polling, observation, as well as the methods of document analysis and secondary analysis are used here. Bull fight rituals in one or another country are studied thoroughly, common segments are represented and tradition's structure is recovered. Objective reasons and stages of tradition transformation, innovative moments are singled out. In the final analysis is restored the dynamics of historical development of one specific Georgian tradition and diachronic picture of its spreading.

On the basis of reconstruction of ethnographic material is established that in olden times bull fight was conducted within the framework of Georgian folk holidays: Kviratskhovloba – in Svaneti, Shuamtoba/Marioba – in Adjara, Samtskhe-Javakheti and historical Tao-Klarjeti.

In our days bull fight ritual in Georgia is basically preserved in Upper Adjara and, partially, in Upper Svaneti, while in Turkish republic this tradition is still alive, but in fact it is transformed: bull fight ritual basically has a form of competition, it is conducted within the frameworks of one or another "festival" and no longer represents the part of ritual, while there are still several villages, where bull fight is a part of ritual again and is executed in its traditional form.

In Nigali gorge "Kuruli"/"Koruli"/"Koroli" is confirmed as the name of bull fight. It is expressed an opinion that this term at some stage was spread across the whole Georgia, since "kuro" is singled out as the root of word and its generalization on a scale of the whole Georgian world is perfectly obvious.

Bull fight tradition has ancient origin and it ranks among customs coming from earlier stages of history. From archaic period Georgia was distinguished by developed forms of agriculture and cattle breeding and intensive forms of cattle breeding uninterruptedly develop through present days. It is natural that during pre-Christian long-term history the Georgians have had local forms of religion in which is identified the presence of bull as ceremonial (cultic) animal.

On the basis of analysis of available ethnographic material is expressed a supposition that there were several stages of understanding of sacred meaning of bull fight tradition and it has been changed at various stages of history. As first stage is meant an archaic period, when ritual holy cow had appropriate sacral load based on religious world perception of that time. The period of spread of Christianity is considered by us as an ensuing stage that is identified from Svan materials and that presumably was characteristic for whole Georgia. Third stage is late Middle Ages when tradition of breeding and sacrifice of ceremonial (sacral) bull as a ritual holy cow for Low Sunday disappeared in Adjara, Meskheta and Tao-Klarjeti as a result of forcible adoption of Islamism in south-western regions of Georgia. Sacral meaning of ritual was buried in oblivion but sport show – bull fight remained and somewhere it was related to folk festival of "Shuamtoba" or "Marioba", while in bigger part of territory it was included in conventional cycle of spring feasts, based on local traditions of cattle breeding. The last stage begins from 30's of the twentieth century, when bull fight ritual gradually disappears in Svaneti, and it exists relatively longer in Upper Svaneti. Nowadays it is preserved only in historical Tao-Klarjeti, mostly in transformed form, and to a lesser degree – in traditional form as a part of ritual.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ხარების ჭედობის ამსახველი ფოტოები



ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა 1878-1903 წლებში

1877-1878 წლების ომის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის აჭარა, დედა სამშობლოს დაუბრუნდა: აჭარის განთავისუფლებას აღტაცებით მიესალმა ქართული საზოგადოება ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. მოწინავე ინტელიგენციამ აჭარელთა შორის იმთავითვე აქტიური კულტურული საქმიანობა გააჩაღა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების აღდგენის საქმეში.

1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას. რუსეთთან შეერთებამდე ყოფილი ლაზისტანის სანჯაყი, რომლის ტერიტორიაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი, ოსმალური დაყოფით ითვლიდა 7 მხარეს ანუ ნაჰიეს: ბათუმის, ჩურუქ-სუს (ქობულეთის), ზედა-აჭარის, ქვედა აჭარის, მაჭახლის, ართვინის და გონიოს. ყოველი სასოფლო თემის ანუ მაკრიალის სათავეში იდგა მოსახლეობის მიერ არჩეული მუხტარი. რამდენიმე მაკრიალი შეადგენდა ნაჰიეს, რომელსაც სათავეში ედგა მუღირი. ორი ნაჰიეს გაერთიანება შეადგენდა კაზას (მხარეს), რომელსაც კაიმაკამი ხელმძღვანელობდა. კაიმაკამს ნიშნავდა ბათუმის მუთესარიფი (გუბერნატორი)¹.

მეფისნაცვლის დებულებით შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამხედრო გუბერნატორი. პირველი სამხედრო გუბერნატორი გახდა გენერალ-მაიორი კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვი². მას პირადი თვისებები ხელს უშლიდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, რის გამოც მალე შეცვალეს და გუბერნატორად დაინიშნა გენერალ მაიორი ბ. სმეკალოვი.

ბათუმის ოლქის დროებითი დებულება, რომელიც 14 მუხლისაგან შედგებოდა, მიუთითებდა:

1. ბათუმის ოლქი შედგება ლაზისტანის სანჯაყის იმ ტერიტორიისაგან რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთს გადაეცა,
2. ბათუმის ოლქი ემორჩილება კავკასიის სამხედრო განყოფილებას ხოლო სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით კავკასიის არმიის მთავარსარდალს,
3. ბათუმის ოლქის გამგეობას ახორციელებს სამხედრო გუბერნატორი,
4. სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში გუბერნატორი იხელმძღვანელებს მეფისნაცვლისაგან მიღებული ინტრუქციებით,
5. ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ეყოლება თნაშემწე რომელიც გუბერნატორის არყოფნის შემთხვევაში შეასრულებს მის მოვალეობას; ის იქნება საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც;
6. სამხედრო გუბერნატორთან იქმნება: ა) სამხედრო კანცელარია ბ) სამხედრო და სამოქალაქო საქმეთა მმართველობა.
7. ბათუმს ერქმება: სანავსადგურო ქალაქი, რომლის ყველა საქმე მთავარი სამმართველოს მეშვეობით წარედგინება კავკასიის მეფისნაცვალს;
8. ადმინისტრაციულად ბათუმის ოლქში შედის სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და სამი ოკრუგი:
 - ა) ბათუმის ოკრუგი – შედგება ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უჩასტკებისაგან
 - ბ) აჭარის ოკრუგი - შედგება ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის უჩასტკებისაგან;
 - გ) ართვინის ოკრუგი - შედგება არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უჩასტკებისაგან;
9. ოკრუგისა და უბნების უფროსების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი და ამტკიცებს მეფისნაცვალს;
10. ბათუმის გუბერნატორის წარდგინებითა და მეფისნაცვალის დამტკიცებით ამ თანამდებობებზე შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებლებიც დაინიშნონ;

¹Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. тифлиси, 1879, стр. 4.

²Батумь и его окрестности. Батумь, 1906, стр. 105.

11. სახელმწიფო დანაშაულისათვის (დალატი, ხაზინის ძარცვა, ფოსტაზე დაცემა, კაცის განზრახ მოკვლა) ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის კანონებით იქნებოდნენ გასამართლებულნი, ხოლო ყველა სხვა სახის საქმეებს გაარჩევდა სახალხო სასამართლო ანუ მეჯლისი;

12. მეჯლისები იქმნებოდა 6 უჩასტკაში და 3 ოკრუგში. ორი იქნებოდა სამაზრო მეჯლისი: ბათუმსა და ართვინში;

13. ბათუმის მაზრის გარეშე სახელმწიფო დანაშავე არ გასამართლდებოდა;

14. ბათუმში იქნებოდა 100 ცხენოსანი ჩაფარი³;

ბათუმის ოლქის გუბერნატორს უნდა ეხელმძღვანელა მეფისნაცვლის ინტრუქციით.

ქალაქიდან მისი გასვლის შემთხვევაში მის მოვალეობას შეასრულებდა თანაშემწე, რომელიც იმავედროულად საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც იქნებოდა.

გუბერნატორთან იქმნებოდა სამხედრო კანცელარია და სახალხო და სამოქალაქო საქმეთა გამგებლობა რომლის ხელმძღვანელებსაც გუბერნატორის რეკომენდაციით ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი ამ თანამდებობაზე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც ინიშნებოდნენ ოკრუგისა და უჩასტკის (უბნის) ხელმძღვანელთა უფლებამოსილებას განსაზღვრავდა ოლქის გუბერნატორი და ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი

რაც შეეხება სასამართლო სფეროს დებულების მეტერთმეტე მუხლით მძიმე ხასიათის დანაშაულებისათვის სახელმწიფო დალატი ხაზინისა და ფოსტის გაძარცვა სახელმწიფო ქონების განადგურება... ადგილობრივი მცხოვრებლები რუსეთის სახელმწიფოს შესაბამისი კანონებით იქნებოდნენ გასამართლებულნი ყველა სხვა სახის დანაშაულს გაარჩევდა სახალხო სასამართლო მეჯლისი 1878 წლის 11 დეკემბრის დებულებით ბათუმის საოლქო სასამართლო თბილისის სასამართლო პალატას დაექვემდებარა.

ბათუმის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფით რუსეთის ხელისუფლება ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ამით ხელი შეეშლებოდა აჭარის დანარჩენ საქართველოსთან შერწყმის (ეკონომიკური და პოლიტიკური) ბუნებრივ პროცესს და მეორეც, ხელისუფლება უფრო სწრაფად მოახდენდა აჭარის და საერთოდ ბათუმის ოლქის კოლონიზაციას. მთავრობა მალე დარწმუნდა, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებები არასაკმარისი იყო. ცარიზმს აშკარად არ აკმაყოფილებდა ბათუმის ოლქის კოლონიზაციის ტემპები⁴. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის შენახვა მთავრობას არც თუ მცირე თანხა უჯდებოდა. „კავკაზის“ ცნობით ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა ხაზინას ყოველწლიურად უჯდებოდა 219,419 მანეთი⁵. XIX ს-ის 80-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირების მიზნით მომზადდა რეფორმები, როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე ადმინისტრაციულ მოწყობაში.

ასეთ ვითარებაში გაჩნდა ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების იდეა. საკითხის ასე გადაწყვეტა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ხარჯებისაგან გაათავისუფლებდა. „ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე. ამ გზით სახელმწიფო შეამცირებდა ხარჯებს 173,349 მანეთით“ – წერდა „კავკაზი“⁶. ხელისუფლებას მოეწონა აღნიშნული მოსაზრება და ბათუმის ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

ბათუმის ოლქი, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული არსებობდა დაახლოებით 4 წელს. 1883 წლის 12 ივნისს მისი უდიდებულესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა ბათუმის ოლქის შეერთება ქუთაისის გუბერნიასთან. რითაც გაუქმდა საოლქო მმართველობა და ჩამოყალიბდა ბათუმის და ართვინის ოკრუგები⁷. ბათუმის ოლქის გაუქმებამ გამოიწვია გარკვეული ცვლილებები მმართველობის სფეროში. 1883 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით ბათუმის და ართვინის ოკრუგები დაიყო 7 უბნად. ამავე გადაწყვეტილებით ქუთაისის გუბერნატორს ეწოდა სამხედრო გუბერნატორი და შემოდებული იქნა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თანამდებობა⁸. ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე ბათუმში

³Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. тифлиси, 1879, стр. 4; გაზეთი „დროება“, 1878, №198.

⁴ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 258, ფურცელი 24.

⁵„Кавказ“, №115, 1882.

⁶„Кавказ“, 1882, №115.

⁷ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 258, ფურცელი 4.

⁸საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 1, საქმე 2947, ფურცელი 2.

იჯდა. რეფორმის შემდეგ ბათუმში საპოლიციო აპარატი არა თუ შემცირდა, პირიქით, უფრო გაიზარდა. ქალაქში შემოიყვანეს დამატებითი სამხედრო ნაწილები.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ცარიზმის მზაკერული მიზანი – ბათუმის წმინდა რუსულ ქალაქად გადაქცეულიყო, ხოლო აჭარა საერთოდ მოწყვეტოდა ქართულ სამყაროს – განუხორციელებელი დარჩა. ცარიზმის ერთგულმა გუზაგებმა გვიან ივრძნეს ეს მარცხი და ამის უმთავრეს მიზეზად 1883 წლის რეფორმის შედეგად ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება მიიჩნევს⁹.

რუსეთის ხელისუფლების სურვილი, სწრაფად მოეხდინა აჭარის კოლონიზაცია, მიუღწეველი იყო. ეს მაშინ, როცა ბათუმის ოკრუგი (ე.ი. აჭარა) მთელს ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე არამჭიდროდ დასახლებულ მხარეს წარმოადგენდა. ქუთაისის გუბერნიის 1892 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „ყველაზე მცირერიცხოვანი დასახლებები არის ბათუმის ოკრუგში. თუ საშუალოდ გუბერნიაში ერთ დასახლებაზე მოდის 87 კომლი 530 მცხოვრებით, ბათუმის ოკრუგში ეს ციფრი შესაბამისად შეადგენს 28 კომლს და 157 მცხოვრებს“¹⁰. ამის მიუხედავად, გადმოსახლებული ერთგული ელემენტების რაოდენობა არც ისე ბევრი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებდნენ რუსი მოხელეები. ბათუმის და ართვინის ოკრუგში მოსული მოსახლეობა არის უმნიშვნელო. სულ არის ორი რუსული დასახლება – ერთი ჩურუქ-სუსთან, სადაც მოახალშენებს გამოეყოთ 11 დესეტინა მიწა თითო კომლზე, და მეორე- ხოლოდნაია სლობოდა ბათუმთან ახლოს. აქ მხოლოდ მამულისათვის გამოეყოთ მიწები¹¹.

საქმე მთლად ასე როდი იყო. ჯერ ერთი რუსი კოლონისტები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ თუ საყოფაცხოვრებო პირობებს, მეორეც მათ სურდათ მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასახლება, სადაც თავისუფალი მიწები უკვე იმ დროისათვის ძნელად იშოვებოდა. ამით იყო გამოწვეული, რომ XIX საუკუნის 90-იან წლების შუა ხანებამდე აჭარაში გადმოსახლებულ რუს კოლონისტთა შედარებითი სიმცირე, რასაც ასე „გულისტკივილით“ უსვამდნენ ხაზს მთავრობის მოხელეები. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმის სამრეწველო განვითარების მასშტაბებმა, და ჩაქვში საუფლისწულო მამულის დაარსებამ, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა, ხელისუფლებას ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორების საშუალება მისცა.

1896 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის შემდეგ კავკასიის მთავარმართებელი გახდა გენერალი გოლიცინი. იგი მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა 1896-1904 წლებში. ახლადდანიშნული მთავარმართებელი აკრიტიკებდა 1883-1885 წლების რეფორმების ორგანიზატორებს, რომელთა ძირითად მიზანს მხარის მართვა-გამგეობის ხარჯების შემცირება შეადგენდა.¹² გოლიცინი სასტიკად ილაშქრებდა ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების წინააღმდეგ. მიაჩნდა, რომ ეს ხელს უწყობდა არა მარტო მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, არამედ აძლიერებდა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს. ეს კი ნამდვილად არ შედიოდა კოლონიური პოლიტიკის თანმიმდევრულად გამტარებელი მთავარმართებლის ინტერესებში. ამას დაემატა ისიც, რომ XIX ს-ის დამლევადან ბათუმი მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა. კავკასიის ადმინისტრაცია რეკოლუციური გამოსვლების გაძლიერებისა და მის წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლის მიზეზს ბათუმში ადმინისტრაციული ცენტრის არ არსებობაში ხედავდა.

ბათუმის ოლქის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1900 წელს დამდგარა. ამას ადასტურებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში 1900 წლის 23 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი (№4821), რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენო უმაღლესობავ, ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გამოყოფა ვცანით სასარგებლოდ და აუცილებლად“¹³.

აღნიშნულ საკითხზე საქმის კურსში ყოფილა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც, რასაც მოწმობს პეტერბურგიდან თბილისში, მთავარმართებელთან 1901 წლის 24 აპრილს გამოგზავნილი წერილი: „თქვენს მაღალკეთილშობილებას ვაცნობებთ, რომ ბათუმიდან ჩვენთან მოდის მეტად შემადრწუნებელი ამბები. იქ ძალადობასა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას სახლვარი არა აქვს. თქვენთვის ისიც არის ცნობილი, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩვენი იმპერიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და სტრატეგიულად სასიცოცხლო

⁹გ. სიჭინავა. ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი, 1958, გვ. 83.

¹⁰ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 175, ფურცელი 2.

¹¹ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, აღწერა 1, საქმე 2145, ფონდი 4.

¹²შ. ვანიშვილი. ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში (1864-1917 წწ.). თბილისი 1989, გვ. 86.

¹³ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 186, აღწერა 1, საქმე 759, ფურცელი 1.

მხარეს. ამიტომ, ჩვენთვის ყოველად მოუთმენელია ამ კუთხის აგრე უყურადღებოდ მიტოვება. გუბერნიის ხელმძღვანელობას ვერ გაუთავისებია ის მნიშვნელობა, რომელსაც ბათუმის ოლქი წარმოადგენს ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი მთავრობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა და როდესაც დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იცავს მათ ინტერესებს, შესაძლებელია ზურგი გვაქციოს და ჩვენ უნდობლობა გამოგვიცხადოს. ის კი ჩვენთვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი. ამიტომ, გთხოვთ დავიწყოთ ფიქრი, რომ ბათუმის ოლქი გამოვიდეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან¹⁴. მაღალი რანგის მოხელეთა დიდი სურვილის მიუხედავად ერთბაშად ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ შეუძლებელი გახდა.

1902 წლის 9 მარტის მოვლენებმა კვლავ განსაკუთრებული აქტუალობით დასვა ბათუმის ადმინისტრაციული სტატუსის აღდგენის საკითხი. იმპერატორის კანცელარიიდან მთავარმართებლის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „როგორც ჩანს თქვენ ვერ იმოქმედეთ ისე, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო ბათუმის ოლქის ცალკე გუბერნიად ჩამოყალიბების საკითხი. სწორედ ეს უმოქმედობა გახდა მიზეზი 1902 წლის 9 მარტის სისხლისღვრისა. ამჟამად, მგონი აღარ გამოინახება საბაზი იმისა, კიდევ ერთხელ გადაიდოს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი დროის მოგების მიზეზით. ამიტომ, გთხოვთ, დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ პროექტი ბათუმის ოლქის ცალკე გამოყოფის თაობაზე“¹⁵. ოფიციალური ბათუმის ოლქის გამოყოფის ასეთნაირად ასაბუთებდა: „1883 წელს ბათუმის ოლქის ქუთაისის გუბერნიასთან შეერთება იყო ხელფონური და მექანიკური გაერთიანება ერთ მმართველობაში ორი პრინციპულად განსხვავებული სისტემისა და აბსოლიტურად სხვადასხვაგვარი ადგილებისა და ამ დონისძიებებმა შეაფერხა ახლადშემოერთებული ოლქის განვითარება ყველა მიმართულებით და მოუტანა ხაზინას ზარალი, რომელიც აჭარბებდა ეკონომიას, მიღებულს დამოუკიდებელი ოლქის გაუქმებით.

ნამდვილად, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რუსულმა მმართველობამ ამ მხარეში თითქმის უკვალოდ ჩაიარა ჩვენი სახელმწიფო ინტერესებისათვის. ამის ძირითად მიზეზად უნდა ჩავთვალოთ 1883 წლის რეფორმა, რომელმაც ელემენტარულად ეკონომიის ძიებაში შეამცირა ადგილობრივი ადმინისტრაციის შემადგენლობა, შეასუსტა ეს ზემოქმედების ერთადერთი იარაღი მხარეში.

ამის შედეგად ადმინისტრაციული ზემოქმედება ძალზე სუსტი იყო, რითაც ეს ოლქი პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით სრული უძრაობისთვის აღმოჩნდა განწირული“¹⁶. ეს სიტყვები ნათლად აჩვენებს რუსეთის ხელისუფლების ნამდვილ დამოკიდებლობას საქართველოსადმი.

1903 წლის 17 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ II ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის აღდგენის შესახებ დადგენილებას. 1903 წლის 17 მარტს მისი უმაღლესობის დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე იმავე წლის 1 ივნისს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობიდან მასთან შეერთებული ბათუმის და ართვინის ოკრუგები გამოეყო დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, სამხედრო გუბერნატორის მმართველობით. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრა ქ. ბათუმი¹⁷.

ბათუმის ოლქის დამოუკიდებლობის აღდგენას ცარიზმის მხრიდან შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა. იმპერიის მესვეურები შეშფოთებული იმით, რომ ბათუმში თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მთავრობისათვის არასაიმედო მოხელეების მრავალრიცხოვანმა კონტიგენტმა, ცდილობდნენ ბათუმის ოლქი გადაექციათ რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარების ეპიცენტრად¹⁸.

ახლადგამოყოფილი ბათუმის ოლქის საზღვრები ასეთი იყო: ჩრდილოეთიდან – ქუთაისის გუბერნია, აღმოსავლეთიდან – თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, სამხრეთიდან – ოსმალეთი (კერძოდ ლაზისტანის სანჯაყი), დასავლეთიდან – შავი ზღვა. ახალ ოლქს ეჭირა 6195 კვ. ვერსი. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ახალი ოლქის ორი ოკრუგი- ბათუმის და ართვინის – იყოფოდა 7 უბნად. ბათუმის ოკრუგში შედიოდა ოთხი უბანი: კინტრიშის, გონიის, ქვედა – აჭარის და ზედა-აჭარის. ართვინის ოკრუგში სამი უბანი იყო: ართვინის, არტანუჯის, შავშეთ-იმერხევის და ერთი

¹⁴ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 12, აღწერა 1, საქმე 156, ფონდი 24.

¹⁵ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 7, აღწერა 1, საქმე 431, ფონდი 46.

¹⁶ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 1, საქმე 2947, ფურცელი 2.

¹⁷ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 130, აღწერა 1, საქმე 258, ფურცელი 4.

¹⁸ **ო. გოგოლიშვილი**. სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. ბათუმი, 2005, გვ. 34.

საპრისტავო ართვინში. თითოეული უბანი იყოფოდა 24 სასოფლო ოკრუგად, რომელიც იმართებოდა თავად გოლიცინის მიერ 1900 წლის 22 ივლისს დამტკიცებული დებულების შესაბამისად¹⁹. ამრიგად, XX ს-ის დასაწყისში ბათუმის აქტიურმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ დააჩქარა რუსეთის ხელისუფლების განხრახვის – ბათუმის ოლქის აღდგენა- სისრულეში მოყვანა.

Jemal Karalidze

Batumi Region Administration Arrangement during 1878-1903 Abstract

Summary

In 1877-78-ies as a result of Russia-Ottoman Empire warfare the South-Eastern parts of Georgia, and Adjara among them, was returned to Georgia. In 20 September, 1878 the Vice Emperor in the Caucasus ordered to create a separate administrative unit – region of Batumi, and an interim regulations of the region was endorsed. The Tsarist Russia had two goals in regards of setting a separate administrative unit: primarily, it would be an obstacle on the way of consolidation of Georgia, and secondly, they would more rapidly colonize this region.

After four years, in order to reduce administrative expenses, the Russian government abolished the Batumi region and attached it the Kutaisi region (Gubernia). However, in the late XIX the new Governor of the Caucasus, Golitsin applied the Emperor with the mediation to restore the Batumi region. He justified this with the interests of the Empire. In 17 March of 1903 Nickolas II signed the decree on restoration of the Batumi region. The paper focuses on the administrative arrangement of the Batumi region and the blatant colonial regime of the Tsarist Russia.

¹⁹ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 18, აღწერა 1, საქმე 1554, ფურცლები 45-46.

დოკუმენტები და მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ისტორიისათვის

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. რუსული ოკუპაციის პირველ თვეებში შეუძლებელი იყო აჯანყების ორგანიზება და ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დაწყება. საოკუპაციო რეჟიმი მკაცრი ღონისძიებებით აღკვეთდა ხოლმე წინააღმდეგობის ყოველგვარ გამოვლინებას, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. უმკაცრესი საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ეროვნული ძალები ცდილობდნენ ორგანიზებას. ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა. 1921 წელს დაწყებული ეროვნული მოძრაობა 1924 წელს შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ორგანიზება პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს. საერთო მიზნის მისაღწევად საქართველოს ხუთი წამყვანი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები) მუშათა პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერთა პარტია) და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები“ (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები). ამ პოლიტიკურმა პარტიებმა 1922 წლის აგვისტოში ინტერპარტიულ ორგანიზაციას „**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს**“ („დამკომს“), იგივე „**პარიტეტულ კომიტეტს**“ საფუძველი ჩაუყარეს. დამკომში პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი იყვნენ თითო წევრით. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პირველი თავმჯდომარე **გიორგი (გოგიტა) ფაღავა** იყო, შემდეგ - **ნიკოლოზ ქარცივაძე**, ბოლოს - **კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი**. დამკომს დაემორჩილა „**სამხედრო ცენტრი**“, რომელიც დამკომის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს ამუშავებდა. სამხედრო ცენტრის ჩაგარდნის შემდეგ მისი ფუნქცია „**სამხედრო კომისიამ**“ იკისრა. სამხედრო კომისიის მუშაობას ემიგრაციიდან საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული სოციალ-დემოკრატი ნოე ხომერიკი ხელმძღვანელობდა. სამხედრო კომისიაში მნიშვნელოვან ფუნქციას ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ასრულებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა მთელი საქართველო სამოქმედო ზონებად დაყო და რეგიონებში თავისი წარმომადგენლები დანიშნა. საქართველოს რეგიონებში იატაკქვეშეთში მომუშავე პოლიტიკური პარტიები როგორც დამკომთან, ისე ერთმანეთთან კავშირში იმყოფებოდნენ. დამკომმა აჯანყების თარიღად 1924 წლის 28-29 აგვისტოს დამის 2 საათი დანიშნა. საქართველოს საგანგებო კომისია (ჩეკა) ფლობდა ინფორმაციას მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ეპიფანე კვანტალიანი აჭარის საგანგებო კომისიას, აფხაზეთის საგანგებო კომისიას და ყველა პოლიტიკურს უფროსს გაუგზავნა შეტყობინება, რომ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შესაბამისად, ეპიფანე კვანტალიანი ზემოთ ხსენებულ ორგანოებს ნებას რთავდა მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები განეხორციელებინათ, ემოქმედათ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სამაზრო კომიტეტებთან ერთად, ინფორმაციები დაშიფრული ტექსტით საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ეცნობებინათ.

დღემდე გაურკვეველი მიზეზებით ჭიათურაში 1924 წლის აჯანყება დაგეგმილზე ერთი დღით ადრე დაიწყო, რამაც საბჭოთა ხელისუფლებას საშუალება მისცა სასტიკი მეთოდებით ჩაესმო აჯანყება ჭიათურაში. საქართველოს დანარჩენ ქალაქებში მყოფმა აჯანყებულებმა ჭიათურის ნაადრევი გამოსვლის შესახებ არაფერი იცოდნენ, ამიტომ მათ აჯანყება დანიშნულ დროს დაიწყეს. აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში

დაამხეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და ძალაუფლება ხელში აიღეს, მაგრამ ევროპიდან სამხედრო თუ პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი აჯანყებულები საბოლოოდ დამარცხდნენ. 1924 წლის აჯანყების დამარცხებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებულთა და „ექვმიტანილთა“ გაუსამართლებლად დახვრეტები დაიწყო. აჯანყებულთა წინააღმდეგ რეპრესიების დაწყებისთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელის, სერგო ორჯონიკიძის სახელზე მოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ალექსი რიკოვის დეპეშა დახვრეტების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. სერგო ორჯონიკიძემ თავის თანამებრძოლთა „ვიწრო“ თათბირი მოიწვია, სადაც განაცხადა: **„ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგან“.**

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აგებლით დღეებში დახვრეტილთა ზუსტი რაოდენობა დღესაც უცნობია. სერგო ორჯონიკიძე 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აცხადებდა: **„მიემართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადააჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება“.**

1925 წლის 15 ივლისიდან 1925 წლის 3 აგვისტომდე 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სასამართლო პროცესი გაიმართა. მანამდე კი ძიება მიმდინარეობდა. ძიების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენდა სასამართლო პროცესი. განსასჯელთა სკამზე 47 ადამიანი აღმოჩნდა: კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძე, დავით ონიანიშვილი, გიორგი ეგგენის ძე ჯინორია, სამსონ პლატონის ძე დადიანი, გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძე, ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი, ლავრენტი ესვანჯია, პართენ ივანეს ძე ხურციძე, აკაკი ფიხსაია, გიორგი (გიზო) ნესტორის ძე ანჯაფარიძე, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილი, ნაპოლეონ ოტიას ძე კახიანი, გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძე, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძე, ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი, სიმონ (ხუხუ) გიორგის ძე ხოფერია, მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელი, არტემ ფილიპეს ძე ფანცულაია, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხია, ვლასი ლუკას ძე მამალაძე, გენადი მოსეს ძე ბელთაძე, კონსტანტინე (ციცერონი) დარისპანის ძე ლორთქიფანიძე, კირილე იესეს ძე ნინიძე, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილი, შალვა აექსენტის ძე თვალთვაძე, ამბროსი საშას ძე კვირიკაძე, გრიგოლ გიორგაძე, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიშვილი, ვლადიმერ კიმოთეს ძე გეგეჭკორი, აპოლონ კიმოთეს ძე ბახტაძე, მიხეილ თომას ძე ჭანიშვილი, ვლადიმერ ალექსის ძე ბერიძე, შალვა მათეს ძე კალანდარიშვილი, ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამია, ესტატე ბესარიონის ძე ლატარია, აკაკი მათეს ძე კალანდარიშვილი, თეოფილე სიმონის ძე შენგელია, იაკობ საშას ძე ფანოზიშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძე, შალვა დიმიტრის ძე იოსელიანი, ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილი, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერია და ივანე დავითის ძე ავალიშვილი. სასამართლომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯა.

ქვემოთ გთავაზობთ დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კიდევ უფრო სრულყოფენ 1924 წლის აჯანყების ისტორიას.

დოკუმენტები და მასალები ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად, გასწორებულია მხოლოდ კორექტურა და პუნქტუაცია, კვადრატულ ფრჩხილში მოტანილი ტექსტი ეკუთვნის გამომცემელს.

**დოკუმენტი №1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის წერილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს
1925 წლის 3 ივლისამდე**

[საქართველოს] სახალხო კომისართა საბჭოს

უზენაესი სასამართლო გთხოვთ, პარიტეტულ კომიტეტის საქმისათვის რუსთაველის თეატრში დარბაზის მოსაწყობად საჩქაროდ გამოგვიყოთ შემდეგი მასალა: ფიცრები 3 1/4X6 სიგრძ[ე]-12 არშ[ინი]=45 ცალი

„ბრუსკი“ 1/2X2 „-12 “ =25“

„ბრუსკი“ 1/2X5 „-12 „ =15 “

„ბრუსკი“ 1/2X1/2 „-12 “ = 2“

და 200 მანეთი ავანსად სამუშაოს ხარჯების გასაწევად.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
მდივანი**

*(ხელმოწერილია)
(ხელმოწერილია)*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 505.

**დოკუმენტი №2. 1924 წლის აჯანყების მონაწილე პატიმართა წერილი
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარეს გალაკტიონ ვაშაძეს
1925 წლის 5 ივლისი**

**საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის
უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეს
მოქალაქე ვაშაძეს
საქართველოს ანტი-საბჭოთა
პოლიტიკურ პარტიების პარიტეტულ
კომიტეტის საქმეების გამო
პასუხისგებაში მიცემულ პირთაგან
განცხადება:**

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი ბრალდებულები გთხოვთ, რაც შეიძლება დაჩქარებით დაგვინიშნოთ თვითუელზე თითო სახაზინო დამცველი და ამრიგად, მოგვცეთ საშვალეობა სასამართლოს სხდომებამდე ჩვენს დამცველებთან ერთად ჩვენი საქმეების გაცნობისა.

1. [გაბრიელ] გოგოლიშვილი
2. აპოლონ ბახტაძე
3. სიმონ ხოფერია
4. აღ[ექ]სანდრე ჩხაიძე
5. ხარიტონ ლაშხია
6. გენადი ბელთაძე
7. ვახტანგ ნაცვლიშვილი
8. ამბროსი კვირიკაძე
9. ვლადიმერ გეგუკორი
10. მ[იხეილ] ჭანიშვილი
11. ა[რტემ] ფანცულაია
12. მიხეილ იშხნელი
13. ვლასი მამალაძე

5 ივლისი 1925 წელი. გამ[ასწორებელი] სახლის საავადმყოფო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 486.

დოკუმენტი №3. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ 1924 წლის აჯანყების მონაწილეთათვის სახაზინო დამცველების დანიშვნა 1925 წლის 5 ივლისამდე

სახაზინო დამცველთა განაწილების სია

- | | | |
|-----|------------------------------|-------------------------|
| 1. | [გრიგოლ] გიორგაძე | ჩერქეზიშვილი |
| 2. | [კირილე] ნინიძე | |
| 3. | [ნიკიფორე] იმნაიშვილი | |
| 4. | [გრიგოლ] რცხილაძე | მესხიშვილი |
| 5. | [სამსონ] დადიანი | |
| 6. | [ამბროსი] კვირიკაძე | |
| 7. | [ალექსანდრე] ჩხაიძე | გუბელაძე |
| 8. | [გაბრიელ] გოგოლიშვილი | |
| 9. | [ივანე] ლორთქიფანიძე | |
| 10. | [მიხეილ] ბოჭორიშვილი | რიუამაძე |
| 11. | [აპოლონ] ბახტაძე | |
| 12. | [მიხეილ] ჭანიშვილი | |
| 13. | [ივანე] ავალიშვილი | დადიანი შოთა |
| 14. | [ნიკოლოზ] ნაკაშიძე | |
| 15. | [ვლადიმერ] ბერიძე | |
| 16. | [იაკობ] ფანოზიშვილი | ქიქოძე ნიკოლოზ |
| 17. | [ვახტანგ] ნაცვლიშვილი | |
| 18. | [ვლადიმერ] გეგეჭკორი | |
| 19. | [მიხეილ] იშხნელი | პოლუმორდვინოვი |
| 20. | ხოფერია ხუხუ | |
| 21. | [შალვა] თვალთვაძე | |
| 22. | კალანდარიშვილი აკაკი | ჯაფარიძე ვანო |
| 23. | შენგელია თეოფილე | |
| 24. | [ეგნატე] გაბლიანი | |
| 25. | [ალექსანდრე] ძაძამია | ტატიშვილი მიხეილ |
| 26. | კალანდარიშვილი შ[ალვა] | |
| 27. | [დავით] ონიაშვილი | |
| 28. | [კონსტანტინე] ანდრონიკაშვილი | ნასიძე |
| 29. | [გრიგოლ] ჯინორია | |
| 30. | [გენადი] ბელთაძე | |

- | | | |
|-----|------------------------|-------------------------|
| 31. | [გიორგი] ცინცაბაძე | |
| 32. | [ნიკოლოზ] ქარცივაძე | ზედგინიძე |
| 33. | [ნაპოლეონ] კახიანი | |
| 34. | [ვალერიან] ბილანიშვილი | |
| 35. | [ვლასი] მამალაძე | ტატიშვილი ანდრეი |
| 36. | [შალვა] იოსელიანი | |
| 37. | [ხარიტონ] ლაშხია | |
| 38. | [ესტატე] ლატარია | მაჭავარიანი |
| 39. | [აკაკი] ფიჩხაია | |
| 40. | [არტემ] ფანცულაია | |
| 41. | [პართენ] ხურციძე | გელაზაროვი |
| 42. | [ლავრენტი] ესვანჯია | |
| 43. | [ბიძინა] პირველი | |
| 44. | [ალექსანდრე] ბოკერია | ღვამიჩავა |
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მდივანი** *გ. ვაშაძე*
(ხელმოწერილია)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 742.

დოკუმენტი №4. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულების წერილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს 1925 წლის 6 ივლისი

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

ამა თვის 4 ჩაბარებულ საბრალმდებლო დასკვნის გაცნობამ ჩვენში დაჰბადა საჭიროება გამოძიების მასალასთან ხელმეორედ გაცნობისა.

ვინაიდან სასამართლოს პირველ სხდომამდის ჯერ საკმაოდ დრო არის, ეს არ გამოიწვევს სასამართლოსათვის რაიმე უხერხულობას. მით უმეტეს, რომ ჩვენ სულ დაგვკვირდება მხოლოდ რამოდენიმე საათი.

ამიტომ, თანახმად ს[აქართველოს] ს[ისხლის] ს[ამართლის] კ[ოდექსის] 246 მუხლისა, გთხოვთ, მოგვცეთ საშვალეება საქმის მთელ წარმოებასთან გაცნობისა.

კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ გვკონოდა საშვალეება იმავე დროს, ე. ი. როდესაც საქმის გაცნობას შეუდგებით, დამცველებთან შეხვედრისა, რომლებსაც, თანახმად ჩვენის თხოვნისა, დავვინიშნავს სასამართლო.

ჩამატებულ სიტყვას „ხელმეორედ“ დაუჯერეთ.

საგანგებო კომისიის სატუსაღო
 საკანი №18 6/VII 25 წ.
 დილის 10 საათი

კოტე ანდრონიკაშვილი
ნ. კახიანი
გ. ჯინორია
გ. ანჯაფარიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 484.

დოკუმენტი №5. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეთა საქმეზე
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი
სასამართლოს განაჩენი
1925 წლის 5 აგვისტო

განაჩენი
ს[აქართველოს] ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური]
რ[ესპუბლიკის] სახელით
უზენაესმა სასამართლომ თავისი სამსჯავრო სხდომაზე 1925 წლის 15 ივლისიდან 2/3
მარიამობის თვემდე, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ამხ[ანაგვი] გ. ს. ვაშაძე
და სახალხო მსაჯულნი: ამხ[ანაგები]: ი. თ. სტურუა
ი. ა. ცინცაძე

მოისმინა რა საქმე ბრალდებისა გამო ბრალდებულების: 1) კ. ე. ანდრონიკაშვილის 49 წლის, ყოფილი თავადი, უმაღლესი განათლებით ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1902 წლიდან; 2) დ. ე. ონიაშვილის, 41 წლის, გლეხი, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1904 წლიდან; 3) გ. ე. ჯინორიას, 37 წლის, გლეხი, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1904 წლიდან; 4) გ. დ. ცინცაბაძის, 46 წლის, მუშა, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1899 წლიდან; 5) ნ. ი. ქარცივაძის, 43 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1904 წლიდან; 6) გ. მ. ბელთაძის, 25 წლის, გლეხი, სტუდენტი, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1916 წლიდან; 7) ნ. ო. კახიანის, 47 წლის, ყოფილი აზნაური, პროფესიით მუშა, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1900 წლიდან; 8) ვ. მ. ბილანიშვილის, 55 წლის, ყოფილი აზნაური, პროფესიით მუშა, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1896 წლიდან; 9) ნ. ნ. ნაკაშიძის, 28 წლის, ყოფილი თავადი, საშუალო განათლებით, ყოფილი ოფიცერი, უპარტიო; 10) ი. ს. ფანოზიშვილის, 29 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, უპარტიო; 11) გ. ნ. ანჯაფარიძის, 37 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1905 წლიდან; 12) ვ. ლ. მამალაძის, 41 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1905 წლიდან; 13) თ. ს. შენგელიას, 38 წლის, მუშა, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1905 წლიდან; 14) ა. მ. კალანდარიშვილის, 24 წლის, ყოფილი სასულიერო წოდების, სტუდენტი, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1919 წლიდან; 15) შ. დ. იოსელიანის, 40 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1905 წლიდან; 16) ხ. პ. ლაშხიას, 32 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1912 წლიდან; 17) ე. ბ. ლატარიას, 30 წლის, გლეხი, საშუალო განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1915 წლიდან; 18) ა. მ. ძაძამიას, 34 წლის, მუშა, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1906 წლიდან; 19) ა. ა. ფიჩხაიას, 46 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1902 წლიდან; 20) ა. ფ. ფანცულაიას, 30 წლის, გლეხი, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1912 წლიდან; 21) პ. ი. ხურციძეს, 24 წლის, გლეხი, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1917 წლიდან; 22) ლ. ვ. ესვანჯიას, 42 წლის, გლეხი, დაბალი განათლებით, ს[ოციალ]-დ[ემოკრატიული] მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1904 წლიდან; 23) ი. ვ. ჯავახიშვილის, 37 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან; 24) მ. ნ. იშხნელის, 37 წლის, ყოფილი აზნაური, უმაღლესი განათლებით, ნაც[იონალ]-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან; 25) ს. გ. ხოფერიას, 28 წლის, ყოფილი აზნაური, სტუდენტი, ნაც[იონალ]-დემოკრატიული პარტიის წევრი 1914 წლიდან; 26) შ. მ. კალანდარიშვილის, 27 წლის, ყოფილი სასულიერო წოდების, საშუალო განათლებით, ნაც[იონალ]-დემოკრატიული

პარტიის წევრი 1914 წლიდან; 27) ბ. გ. პირველის, 22 წ[ლის], ყოფ[ილი] სასულიერო წოდების, ნაც[იონალ]-დემოკ[რატიული] პარტიის წევრი 1917 წლიდან; 28) ვ. დ. ნაცვლიშვილის, 57 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, საშუალო განათლებით, ყოფ[ილი] პოლკოვნიკი, უპარტიო; 29) ი. დ. ავალიშვილის, 48 წ[ლის], ყოფ[ილი] თავადი, საშუალო განათლებით, უპარტიო; 30) ვ. ა. ბერიძის, 33 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, საშუალო განათლებით, ყოფ[ილი] ოფიცერი, უპარტიო; 31) შ. ა. თვალთვაძის, 28 წ[ლის], ყოფ[ილი] სასულიერო წოდების, სტუდენტი, ნაც[იონალ]-დემოკ[რატიული] პარტიის წევრი 1917 წლიდან; 32) გ. ტ. გიორგაძის, 44 წ[ლის], ყოფ[ილი] სასულიერო წოდების, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დემოკრატიული მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1912 წ[ლიდან] 1920 წლამდე, შემდეგ „სხიველი“; 33) ნ. ბ. იმნაიშვილის, 35 წ[ლის], გლეხი, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დემოკრატიული მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1904 წ[ლიდან] 1920 წლამდე, შემდეგ „სხიველი“; 34) კ. ი. ნინიძის, 44 წ[ლის], გლეხი, უმაღლესი განათლებით, ს[ოციალ]-დემოკრატიული მ[უშათა] პ[არტიის] /მენშევიკების/ წევრი 1903 წ[ლიდან] 1920 წლამდე, შემდეგ „სხიველი“; 35) გ. ს. რცხილაძის, 48 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, უმაღლესი განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პ[არტიის] წევრი 1905 წლიდან; 36) ს. ა. დადიანის, 39 წ[ლის], ყოფ[ილი] თავადი, უმაღლესი განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი 1914 წლიდან; 37) ა. ს. ბოკერიას, 24 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, სტუდენტი, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი 1916 წლიდან; 38) ა. ნ. ჩხაიძის, 22 წ[ლის], გლეხი, საშუალო განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი 1919 წლიდან; 39) გ. კ. გოგოლაშვილის, 28 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, დაბალი განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის თანამგრძობი 1917 წლიდან; 40) ე. გ. გაბლიანის, 43 წ[ლის], გლეხი, საშუალო განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი; 41) კ. დ. ლორთქიფანიძის, 33 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, დაბალი განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან; 42) ა. ს. კვირიკაძის, 31 წ[ლის], ყოფ[ილი] სასულიერო წოდების, დაბალი განათლებით, სოც[იალისტ]-ფედერალისტური პარტიის წევრი 1913 წლიდან; 43) გ. ნ. ბოჭორიშვილის, 32 წ[ლის], გლეხი, საშუალო განათლებით, სოც[იალისტ]-რევოლუციონერთა პარტიის წევრი 1914 წლიდან; 44) ი. ნ. ლორთქიფანიძის, 35 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, უმაღლესი განათლებით, სოც[იალისტ]-რევოლუციონერთა პარტიის წევრი 1905 წევრი; 45) მ. თ. ჭანიშვილის, 28 წ[ლის], გლეხი, სტუდენტი, სოც[იალისტ]-რევოლუციონერთა პარტიის წევრი 1916 წლიდან; 46) ა. ტ. ბახტაძის, 28 წ[ლის], ყოფ[ილი] სასულიერო წოდების, საშუალო განათლებით, სოც[იალისტ]-რევოლუციონერთა პარტიის წევრი 1916 წლიდან; 47) ვ. ა. გეგუჭკორის, 31 წ[ლის], ყოფ[ილი] აზნაური, საშუალო განათლებით, ყოფ[ილი] ოფიცერი, უპარტიო, რომელთაც ბრალდებით ბოროტ-მოქმედებანი კონტრ-რევოლუციონერული დანაშაულის ხასიათისა და რომელნიც მიმართული არიან საბჭოთა ხელისუფლების და რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ, რაც გათვალისწინებული არიან ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 58, 59 - პირველი ნაწილი, 16, 64, 61, 60, 66 მუხლებში და მიიღო რა მხედველობაში ყველა ის მასალები, რომელნიც ჩართულია ამ საქმეში და რომელნიც დაგროვილია მომხდარი მოკვლევისა და წინასწარ გამოძიების დროს, რისი შინაარსიც ჩამოყალიბებულია ამ საქმეში დართული საბრალმდებლო დასკვნაში. ამ მასალების შეფასებებით, აწონ-დაწონით, დაპირდაპირებით იმ მასალებთან, რომელნიც წარმოიშვენ სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს, მოწმეების ჩვენებების და ბრალდებულთა ახსნა-განმარტების შეფასებით, წერილობითი საბუთების გარჩევით, უზენაესი სასამართლო აღნიშნავს: 1924 წ[ლის] მარამობისთვეში საქართველოს ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში მოხდა ცაღკე ჯგუფების შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და მიზნათ ჰქონდა უკანასკნელის დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ეს გამოსვლა ყველგან დამარცხებულ იქნა და მისი მთავარი მონაწილენი დაპატიმრებული...

1921 წ[ელს] გასაბჭოების შემდეგ მენშევიკების ცეკას თაოსნობით საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიებში აღძრულ იქნა მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის გარშემო მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ეს მოლაპარაკება გრძელდებოდა თითქმის ერთი წელიწადი. 1922 წ[ლის] ნახევრისათვის მოხდა შეთანხმება. ჩვენებების მიხედვით ტექსტი შეთანხმებისა შემდეგია: 1) პარტიები ერთდებიან იმ მიზნით, რომ საერთო ძალებით იბრძოლონ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; 2) იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილი იქნება, უნდა მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, რომელსაც წარუდგენენ თავის მოქმედების ანგარიშს როგორც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა, ისე ის მთავრობა, რომელიც გარდამავალ დროს იქნება შექმნილი; 3) დამფუძნებელი კრების სხდომაზე შედგენილი იქნება ახალი მთავრობა კოალიციურ პრინციპზე იმ პირობით, რომ არც ერთ პარტიას არ ექნება უფლება ამ მთავრობაში

ადგილების ერთ მესამედზე მეტის დაჭერისა; 4) უნდა არჩეულ იქნას პარიტეტული კომისია წინანდელი მთავრობის მოღვაწეობის განსახილველათ, რომელმაც რესპუბლიკა დაღუპვამდე მიიყვანა; 5) ამ ხელშეკრულებაზე ხელისმწერის მომენტიდან უნდა არჩეულ იქნეს პარიტეტულ საფუძველზე კომიტეტი: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელწოდებით /იგივე პარიტეტული კომიტეტი/. პარიტეტული კომიტეტის პირველი შემადგენლობა შემდეგი იყო: 1) მენშევიკებიდან - გოგიტა ფაღავა; 2) ნაც[იონალ]-დემოკ[რატიებიდან] - ი[ასონ] ჯავახიშვილი; 3) „სხიველებიდან“ - მუხრან ხოჭოლავა; 4) სოც[იალისტ]-ფედ[ერალისტებიდან] გრ[იგოლ] რცხილაძე; 5) სოც[იალისტ]-რევოლ[უციონერებიდან] - ი[ოსებ] გობეჩია. შემდგომი ცვლილებანი პარიტეტული კომიტეტის შედგენილობაში ასეთი იყო: 1) მენშევიკების მხრით გ. ფაღავა შესცვალა ნ[იკოლოზ] ქარცივაძემ, რომელიც ამ ადგილზე იყო 1923 წლის მარტამდე, როდესაც იგი ე. წ. „სამხედრო ცენტრის“ ჩაშლასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა. ქარცივაძის ადგილი დაიჭირა კოტე ანდრონიკაშვილმა, რომელიც დარჩა იქ აგვისტოს ავანტიურის ლიკვიდაციამდე; 2) ნაც[იონალ]-დემოკ[რატიების] მხრით პარიტეტულ კომიტეტში ბოლომდე ი. ჯავახიშვილი დარჩა; 3) „სხიველების“ მხრით მ. ხოჭოლავას სიკვდილის შემდეგ, ე. ი. 1922 წ. დეკემბრიდან პარიტეტულ კომიტეტში არავინ არ ყოფილა, ფორმალურათ პარიტეტულ კომიტეტთან კავშირის გაწყვეტა კი მათ აცნობეს არა პარიტეტულ კომიტეტს, არამედ პარტიებს არალეგალური კონფერენციის დადგენილების სახით, რომელიც მოხდა 1923 წლის ოქტომბერში; 4) სოც[იალისტ]-ფედ[ერალისტების] მხრით გ. რცხილაძის მაგივრათ, რომელიც იყო პარიტეტულ კომიტეტში 1923 წლის მარტის თვემდინ, 1924 წლის თებერვალში გაიგზავნა ს[ამსონ] დადიანი, სადაც ის დარჩა იმავე წლის 18-19 მარტის თვემდე; 5) სოც[იალისტ]-რევოლ[უციონერთა] მხრით - ი. გობეჩიას შემდეგ აგვისტოს ამბოხებამდე იყო მ[იხეილ] ბოჭორიშვილი.

ზემოთ აღნიშნულ პარტიებს შორის მოყვანილი მსგავსი შეთანხმება მოხდა საზღვარგარეთაც, სახელდობრ პარიზში ე. წ. „საზღვარგარეთული ბიუროს“ შექმნის სახით. ამას გარდა აქვე, პარიზში შეიქმნა ქართველ ნაციონალისტების, მუსავატელების, დაშნაკების და ჩრდილო კავკასიის ეროვნული ჯგუფების წარმომადგენელთა ბლოკი. ამ ბლოკის ისტორია იწყება ჯერ კიდევ 1921 წლიდან, როდესაც კავკასიის რესპუბლიკების საზღვარგარეთ წასულმა მთავრობებმა მოაწერეს ხელი დეკლარაციას და შეთანხმებას თავისი ინტერესების ერთიანობის შესახებ კავკასიის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღდგენისთვის წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლაში. ამ შეთანხმებას წინ უსწრებდა კავკასიის წარმომადგენელთა თათბირი. ამ თათბირზე დადებული შეთანხმება ეცნობა საფრანგეთის მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბრიანის სახით. თათბირზე სხვა კომისიებთან ერთათ არჩეულ იქნა სამხედრო კომისიაც, რომელსაც თათბირმა დაავალა სამხედრო აპარატის საორგანიზაციო ფორმები. ამნაირათ, საკითხი შეიარაღებული ამბოხების შესახებ, ინტერვენციის იმედზე დამყარებული, აღიძრა საზღვარგარეთ უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში შეიქმნებოდა პარიტეტული კომიტეტი.

პარიტეტული კომიტეტი ისახავს რა დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას ჯერ კიდევ ნ. ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს აყენებს საკითხს შეიარაღებული აჯანყების პროგრამის მიღების შესახებ. ამ კითხვის წინააღმდეგ ილაშქრებს სოც[იალისტ]-ფედ[ერალისტთა] წარმომადგენელი გ. რცხილაძე და გადის პარიტეტული კომიტეტიდან. შეიარაღებული აჯანყების იდეა პარიტეტულ კომიტეტში თანდათანობით იღებს განსახილველად, უკვე ჩამოყალიბებულ ფორმას, ე. წ. „სამხედრო ცენტრის“ სახით. ამ დროისთვის, ე. ი. 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ტერიტორიაზე მეტად გაფართოვდა პოლიტიკური ბანდიტიზმი, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. თუ პირველ ხანებში ჩოლოყაშვილი თავისი ბანდით მოქმედებდა ნაც[იონალ]-დემოკ[რატიის] ხელმძღვანელობით, მისი ხევესურეთში და დუშეთის მაზრაში გამოსვლის შემდეგ გადადის პარიტეტული კომიტეტის სრულ განკარგულებაში.

როდესაც აჯანყების საკითხი იღებს გარკვეულ რეალურ ფორმებს, პარიტეტულ კომიტეტთან არსდება სამხედრო კომისია, რომელიც თავისი მხრით იჭერს მჭიდრო კავშირს: 1) თბილისში განსაკუთრებულ ქვეკომისიასთან; 2) პერიფერიებში - სამაზრო, საოლქო პარიტეტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციებთან, იქ კი სადაც ასეთები არ არსებობდა - საგანგებო სამხედრო რწმუნებულებთან.

უკვე ზემოთ აღნიშნული იყო კავკასიის, კერძოთ კი საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქართული პარტიების დამოკიდებულება საფრანგეთთან. ამასთან ერთათ, ქართველი ნაციონალისტები ყოველ დონეს ხმარობდნენ, რომ მაკდონალდის მთავრობიდან მიეღოთ გადაჭრილი დაპირება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ინგლისის ჩარევა ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური]

რესპუბლიკების] კავშირის] შინაურ საქმეებში საქართველოს საკითხის შესახებ. ამისდა მიხედვით, საბჭოთა მოწინააღმდეგე ქართული პარტიები, რომლებსაც მეთაურობდა პარიტეტული კომიტეტი, შეიარაღებული გამოსვლებისათვის მზადებაში, მთელ თავის მოქმედებას ამყარებდა მტკიცე რწმენაზე, რომ ანტანტა ინგლისისა და საფრანგეთის სახით მხარს დაუჭერდა ამ გამოსვლას არა მარტო „მორალურათ“, როგორც ამის მტკიცებას ცდილობდნენ ავანტიურის ხელმძღვანელები, არამედ ნივთიერადაც და იარაღითაც. რომ საქართველოს საკითხის გადაჭრა უფრო ადვილი ყოფილიყო, აუცილებელი იქნა ცნობილი კავშირის დაჭერა მუსავატელებთან, დაშნაკებთან და უმთავრესათ ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციებთან. ამისდა მიხედვით ბაქოში მენშევიკების ცეკას მიერ იგზავნება ევტიხი სალუქვაძე, რომელსაც დავალებული ქონდა ცდილიყო დაემყარებინა კავშირი მუსავატელებთან. სალუქვაძემ ინახულა მუსავატისტი ალა-ალი-იუსუფ-ზადე, უკანასკნელი 1923 წელს სათანადო ბარათებით აღჭურვილი გაემგზავრა თბილისში და მართლა ინახულა ხომერიკი. გაცილებით უფრო ფართო იყო დამოკიდებულება, რომელიც შეიქმნა პარიტეტული კომიტეტისა და ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციათა შორის სხვადასხვა დროს. ჩრდილო კავკასიაში იგზავნებიან ნაც[იონალ]-დემოკრატიული პარტიის წევრნი: წინამძღვარიშვილი, ყარანგოზიშვილი, იშხნელი და რწმუნებულები: ავალიშვილი, ნაკაშიძე, ბერიძე. უკანასკნელი სამი სპეციალურათ პარიტეტული კომიტეტის დავალებით. ამნაირათ, პარიტეტული კომიტეტის ბლოკის საკითხში კავკასიის სხვა კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციებთან ირკვევა, რომ პარიტეტული კომიტეტის მოქმედება სცილდებოდა „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის“ ფარგლებს და გადიოდა ბლოკამდე მუსავატელებთან და ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციებთან და რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების ტაქტიკა უბრალო გამეორება იყო იმისი, რაც საზღვარგარეთ ხდებოდა.

1923 წლის] დასაწყისში ჩოლოყაშვილის ბანდა უკვე გადადის ფორმალურათ პარიტეტული კომიტეტის გამგებლობაში. ამის შემდეგ ჩოლოყაშვილის ბანდა საზრდოებს იმ ფულით, რომელიც მას პარიტეტული კომიტეტიდან ეგზავნება ყოველთვიურათ. ი. ჯავახიშვილი თავის ჩვენებაში ამბობს: ყოველ თვიურათ მას - ჩოლოყაშვილს - ეგზავნებოდა ორასი ლირა. პარიტეტულ კომიტეტს აქვს მასთან კავშირი სამხედრო კომისიის მეშვეობით. ამით არ ისაზღვრება პარიტეტული კომიტეტის კავშირი სხვადასხვა ხასიათის ბანდებთან, კერძოთ კასრაძის ბანდასთან. გენო ბელთაძის ჩვენებიდან სჩანს, რომ პარტიული ორგანიზაციის მიერ დავალებული ქონდა გადაეცა ათი კაცისაგან შემდგარ ბანდისთვის საპასპორტო ბლანკები. პარიტეტულ კომიტეტთან არსებობდა ტერორისტული ჯგუფი აგვისტოს გამოსვლების დროსა და... მიხედვით კოდუაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფს სავსებით ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. იგი პარიტეტული კომიტეტის დავალებით ასრულებდა ტერორისტულ აქტებს: 1) ამ ჯგუფის მიერ 1923 წლის] დეკემბრის 29 მოკლულ იქნა ძველი მუშა, პროფკავშირის წევრი და მოღვაწე ილარიონ გიორგაძე; 2) 1923 წლის] 10 თებერვალს, ოზურგეთის მაზრაში, სოფელ] ლიხაურში ოზურგეთის ორგანიზაციის დადგენილებით და მენშევიკების ცეკას თანხმობით შეიარაღებული ბრბო თავს დაეცა სამხედრო კომისარ ალექსანდრე ობოლაძეს და წითელ კომანდირებს სანიკიძეს და ჩუბინაძეს და ყუმბარით დახოცეს; 3) მზადდებოდა თავდასხმა 1923 წლის] სექტემბრის 3 მოსკოვიდან ბათუმში მიმავალ მატარებელზე მგზავრების გაძარცვის მიზნით პარტიის საჭიროებისათვის. ამ ორ უკანასკნელ ფაქტს ადასტურებენ მოწმენი, პირველს ჭეიშვილი და მეორეს ბატონისაშვილი და შმელიოვი.

ჯერ კიდევ 1923 წლის] დამდეგს, როდესაც საქართველოს საგანგებო კომისიამ მოახდინა ე. წ. „სამხედრო ცენტრის“ ლიკვიდაცია, აღნიშნული საქმიდან გამოირკვა, რომ პარიტეტულ კომიტეტს სრული ცნობები ჰქონდა საქართველოს წითელი ჯარის ნაწილების საომარი უნარის შესახებ. ხომერიკის დაპატიმრების დროს აღმოაჩინეს საზღვარგარეთიდან მის სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომელშიდაც იწერებოდნენ: „იგზავნით რადიო-აპარატს. თუ ეს აპარატი იმუშავებს, ჩვენ საშუალება გვექნება სამხედრო ცნობები შეგკრიბოთ მთელ კავკასიაში, ჩვენი მიზნებისათვის ამას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება“. რომ საზღვარგარეთ იგზავნებოდა სამხედრო ხასიათის ცნობები, ამას ადასტურებს სეით დეგდარიანის ჩვენებაც. ამას ადასტურებს აგრეთვე გ. ფალავასთან აღმოჩენილი წერილი სტამბოლიდან. ამ წერილში შემდეგი ფრაზაა: „მოგვაწოდეთ სამხედრო ინფორმაცია“. ამგვარათ, ჯაშუშობა და კონტრ-დამზვერავი მუშაობა პარიტეტული კომიტეტის ხელში სამხედრო ცნობების დაგროვებით, რომელიც გროვდებოდა არა მარტო აჯანყების მოწყობის მიზნით, არამედ საზღვარგარეთ გასაგზავნათაც, რაც ფაქტიურათ კიდევაც იგზავნებოდა.

1924 წლის ზაფხულისათვის პარიტეტული კომიტეტის სამხედრო მზადება სრულდება. აჯანყების გეგმაში შედიოდა მთავრობის იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება. დანიშნულია

აჯანყების დღეც 28/29 აგვისტოს დამე. ამბოხების წინ მუშაობა გაცხოველდა. ვ[ალიკო] ჯუღელის დაპატიმრების შემდეგ პარიტეტული კომიტეტი ჩქარობს გამოსვლის მოწყობას მასობრივ დღეებში და 1924 წლის 18 აგვისტოს „პარიტეტული კომიტეტის“ პრეზიდიუმი იწვევს პლენარულ სხდომას. ამ სხდომაზე დაესწრნენ: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ი[ასონ] ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი, ს[ამსონ] დადიანი, „სხიველებიდან“ არავინ დასწრებია. სხდომამ გადასწვევით აჯანყების საკითხი პრაქტიკულად, რასაც მხარი დაუჭირეს: მენშევიკებმა, ნაც[იონალ]-დემოკრატებმა და სოც[იალისტ]-რევოლუციონერებმა თავიანთი წარმომადგენლების სახით. სოც[იალისტ]-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენელმა, ს[ამსონ] დადიანმა პროტესტი განაცხადა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის წინააღმდეგ და დასტოვა პარტიის სახელით სხდომა.

უზენაესმა სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ყველა ზემოაღნიშნული და პერსონალური როლი კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებაში, გამოძღვარებული სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების დროს სცნო:

I ბრალდებულნი: კ. ანდრონიკაშვილი, დ. ონიაშვილი, გ. ჯინორია, ნ. ქარცივაძე, გ. ანჯაფარიძე, ი. ჯავახიშვილი, გ. გიორგაძე, ნ. იმნაიშვილი, კ. ნინიძე, გ. რცხილაძე, ს. დადიანი და მ. ბოჭორიშვილი, იყვნენ რა სხვადასხვა დროს 1922 წლის აგვისტოდან ვიდრე 1924 წლის აგვისტოს 30-მდე წევრებათ და საგანგებო რწმუნებულებათ „პარიტეტული კომიტეტისა“ და ანტისაბჭოთა პარტიების ცენტრალური კომიტეტების აქტიურ წევრებათ, სახელდობრ „პარიტეტული კომიტეტის“ წევრებათ: კ. ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ნ. ქარცივაძე, გ. რცხილაძე, ს. დადიანი; „პარიტეტული კომიტეტის“ საგანგებო რწმუნებულები: გ. ანჯაფარიძე და გ. ჯინორია; ანტისაბჭოთა პარტიების ცენტრალურ კომიტეტების წევრებათ: დ. იმნაიშვილი, გ. გიორგაძე, კ. ნინიძე და დ. ონიაშვილი, რომლებს მიზანსაც შეადგენდა საქართველოში მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლების და საქართველოს სოც[იალისტური] საბჭ[ოთა] რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე არსებული მუშურ-გლეხური მთავრობის ძალით დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. იგინი - ბრალდებულნი - ამ მიზნით ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში, შეიარაღებული ბანდების შექმნით და არსებულთან კავშირის დაჭერით აწყობდნენ და ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას საქართველოში, რა ამბოხებასაც მართლა ქონდა ადგილი საქართველოს სხვადასხვა ადგილებში 1924 წლის აგვისტოს 28-დან - 30-მდე, მაგრამ ის სრული მარცხით დათავდა, რა ქმედებაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58 და I ნაწ[ილით] 59 მუხლებით. ამ მუხლების აღნიშნულ ქმედებას არ უარყოფენ ბრალდებულნი: კ. ანდრონიკაშვილი, გ. ჯინორია, დ. ონიაშვილი, ი. ჯავახიშვილი და ნ. ქარცივაძე. ბრალდებულნი - გ. რცხილაძე, გ. გიორგაძე, ნ. იმნაიშვილი, კ. ნინიძე, ს. დადიანი - იყვენ რა: 1) გ. რცხილაძე პარიტეტული კომიტეტის წევრათ დღიდან მისი დაარსებისა თებერვალ-მარტამდე 1923 წლის და როდესაც დაისვა შეიარაღებული ამბოხების პროგრამის საკითხი, არ შეუერთდა მის მიღებას და დასტოვა პარიტეტული კომიტეტი; 2) ს. დადიანი იყო რა სოც[იალისტ]-ფედერ[ალისტური] პარტიის წარმომადგენლათ პარიტეტულ კომიტეტში 1924 წლის თებერვლის თვიდან და როდესაც დაისვა და გადაწყდა პრაქტიკული შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი, მან დადიანმა პარტიის სახელით გამოაცხადა პროტესტი და გავიდა პარიტეტული კომიტეტიდან; 3) ნ. იმნაიშვილი, გ. გიორგაძე და კ. ნინიძე, როგორც „სხიველების“ ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრები იყვენ დაკავშირებულნი პარიტეტული კომიტეტის მუშაობასთან თავისი პარტიის წარმომადგენლის, მუხრან ხოჭოლაგას სახით. უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ „სხიველების“ ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც შედიოდნენ ბრალდებულნი: ნ. იმნაიშვილი, კ. ნინიძე, გ. გიორგაძე თავისი წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში არ გაუგზავნიათ, რადგანაც უარყოფდნენ აჯანყებას, რაც, ე. ი. აჯანყების უარყოფა მიიღო მათი პარტიის არალეგალურმა კონფერენციამ 1923 წლის ოქტომბერში. ბრალდებულნი ნ. ქარცივაძე პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე იქმნა დაპატიმრებული 1923 წლის მარტში და მის დაპატიმრების გამო არ მიუღია მონაწილეობა მარიობის თვის აჯანყებაში. იმ ქმედებაში კი, რომელიც მას ბრალათ ედება ზემოაღნიშნული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდექსის მე 58, I ნაწ[ილით] 59 მუხლების მიხედვით, საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილების ძალით უკვე მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა დაპატიმრებით.

II ბრალდებულნი: ა. კალანდარაშვილი, შ. კალანდარაშვილი, კ. ბილონიშვილი, ე. ლატარია, ა. ფინხაია, პ. ხურციძე, ლ. ესვანჯია, შ. თვალთვაძე, ა. ფანცულაია, ვ. მამალაძე, თ. შენგელია, ნ. კახიანი, შ. იოსელიანი, მ. იშხნელი, ხ. ლაშხია, გ. ცინცაძე, გ. ცინცაბაძე, ვ. გეგეჭკორი, გ. ბელთაძე, ს. ხოფერია, ბ. პირველი, ე. გაბლიანი, ა. კვირიკაძე, მ. ჭანიშვილი, ა. ბოკერია, ა. ჩხეიძე, გ. გოგოლიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ლორთქიფანიძე, ა. ბახტაძე, ნ. ნაკაშიძე, ი. ავალიშვილი, ვ.

ბერიძე, იყვენ რა პირველი 29 მათგანი, როგორც წევრები და აქტიური მოღვაწეები საქართველოს არალეგალურ ანტისაბჭოთა პარტიებისა და უკანასკნელი სამი, როგორც უპარტიოები, თუმცა არ იღებდნენ უშუალო მონაწილეობას პარიტეტული კომიტეტის შექმნაში და არ იყვენ მისი წევრები, მაგრამ ესმარებოდნენ უკანასკნელს, როგორც 1924 წლის აგვისტოში მომხდარ ამბების წინა ხანებში, ისე თვით ამ ამბების დროს I პუნქტში ჩამოთვლილ მიზნების მისაღწევად, შეიარაღებული ბანდების ორგანიზაციით, მათთვის სურსათ-სანოვაგის და ადკაზმულობის გადაცემით და კიდევ უშუალო მონაწილეობით ამ ბანდების გამოსვლებში, როგორც 1924 წლის 28-30 აგვისტოს ამბების დროს, ისე მანამდე, რა ქმედებაც გათვალისწინებულია სის[ხლის] სამ[ართლის] კოდ[ექსის] 61 მ[უხლით] ბრალდებულებმა: ლატარიამ, ესვანჯიამ, თვალთვაძემ, შენგელიამ, იოსელიანმა, ლაშიამ, გეგეჭკორმა, პირველმა, გაბლიანმა, ა. კალანდარაშვილმა, შ. კალანდარაშვილმა, იშხნელმა, ავალიშვილმა, კახიანმა, იცვენს თავი დამნაშავეთ. ბრალდებული ს. ბილანიშვილი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მან მიიღო წერილი კ. ანდრონიკაშვილისაგან და უკანასკნელის წინადადებით გაუწია დახმარება ვინმე ლევან კანდელაკს, რომელიც შემდეგში ცაგურია აღმოჩნდა, რომელსაც დავალებული ქონდა კ. ანდრონიკაშვილის მიერ გარე კახეთში ამბოხების მოწყობა; 2) ხურციძე თავის ჩვენებაში, მიცემული სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე, არ უარყოფს შეხვედრის ფაქტს ციკურიშვილის ბანდასთან, რომელთანაც ის აწარმოებდა მოლაპარაკებას. არ უარყოფს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ის გ. ფაღავას დავალებით იყო ვლადიკავკაზში იქაური მდგომარეობის შესახებ ცნობების ჩამოსატანათ; 3) თვალთვაძე არ უარყოფს, რომ ის ბრალდებულ შ. კალანდარაშვილის დავალებით ასრულებდა კავშირის როლს ზუგდიდსა და სენაკს შუა; 4) მამალაძე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი ამბოხებამდე აწარმოებდა მუშაობას ქობულეთის ორგანიზაციაში; 5) ფანცულაია არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იგი იყო აფხაზეთის მენშევიკური პარტიის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე და ქონდა კავშირი ცენტრიდან ჩამოსულ პირებთან, რომელთაც დავალებული ქონდათ ამბოხების ნიადაგის მომზადება აფხაზეთში; 6) კახიანი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა თბილისის რაიონებში სამხედრო ორგანიზაციების მოწყობა; 7) გ. ცინცაბაძე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას აჯანყების სამზადისში; 8) გ. ბელთაძე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ პარტიის დავალებით გადასცა ათი კაციდან შემდგარ ბანდას საპირადო მოწოდების ბლანკები; 9) კვირიკაძე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამბოხების დროს ს[ოფელ] ბაღდადში მიტინგზე წარმოთქვა სიტყვა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აგრეთვე ქონდა მოლაპარაკება ამბოხების წინა დღეებში ვ. მგელაძესთან; 10) ფიხსია არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მიიღო დავალება სოხუმში წასასვლელათ ბრალდებული ჯინორიასაგან; 11) ჭანიშვილი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ იყო სოც[იალისტ]-რევოლუციონერ[თა] პარტიის ცეკას წევრი; 12) ბოკერია არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ქონდა მოლაპარაკება აჯანყების შესახებ გ. ფაღავასთან და წინამძღვარიშვილთან; 13) გოგოლაშვილი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის წევრის წინადადებით ლ. ახვლედიანთან ერთად ბათომიდან წავიდა ქობულეთში, სადაც სამხედრო შტაბი უნდა ჩამოსულიყო; 14) ლორთქიფანიძე კონსტანტინე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ აჯანყების წინა დღეებში შეხვდა ვლასა მგელაძეს, რომელიდანაც მიიღო წინადადება მიეღო მონაწილეობა აჯანყებაში, რაზედაც იგი დასთანხმდა; 15) ლორთქიფანიძე ივანე იყო სოც[იალისტ] რევოლ[უციონერთა] პარტიის ცეკას წევრი, რაც დაადასტურა წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულმა ბახტაძემ; 16) ბახტაძეს, წინასწარ გამოძიების დროს მისი ჩვენებით, მას დავალებული ქონდა შეიარაღებული ძალის საშეაღებით იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება დაიწყებოდა თბილისში ან სხვა სასახლე, საკომენდანტო სამმართველო და წითელი ჯარის შტაბის შენობა; 17) ნაკაშიძე და 18) ბერაძე არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ბრალდებულ ავალიშვილთან ერთად გაგზავნილ იქმნენ პარიტეტული კომიტეტის დავალებით ჩრდილოეთ კავკასიაში ცნობების შესაკრებათ.

III ბრალდებულნი: კ. ანდრონიკაშვილი, გ. ჯინორია, ი. ჯავახიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, მ. იშხნელი, გ. ცინცაბაძე, იყვენ რა ანტისაბჭოთა პარტიების წევრებად და აქტიურ მოღვაწეებათ, განზრახული მათ მიერ აჯანყების წარმატებით დასრულებისათვის იყოლიებდნენ უცხო სახელმწიფოებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში შეიარაღებულ ჩარევაზე. ეს ქმედობა, რომელიც გათვალისწინებულია ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 60 მ[უხლით] და ბრალი ედებათ ბრალდებულებს: კ. ანდრონიკაშვილს, გ. ჯინორიას, ი. ჯავახიშვილს, მ. იშხნელს, მ. ბოჭორიშვილს და გ. ცინცაბაძეს, გამომდინარეობს იმ უმთავრესი ბრალდებიდან, რომელიც გათვალისწინებულია ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 58, I ნაწ[ილით] 59, 61 მ[უხლებით] და რომელიდანაც თავი დამნაშავეთ აღიარეს ზემოაღნიშნულმა ბრალდებულებმა და სავსებით მტკიცდება საქმეში მყოფ წერილობითი საბუთებით და ჩვენებებით.

IV. ბრალდებულნი: კ. ანდრონიკაშვილი, გ. ჯინორია, ი. ჯავახიშვილი, მ. იშხნელი, მ. ბოჭორიშვილი, ა. ძაძამია, ს. ხოფერია, ი. ფანოზიშვილი, იყვენ რა არალეგალურ ანტისაბჭოთა პარტიების წევრებათ და აქტიურ მოღვაწეებათ, უკანასკნელი - ი. ფანოზიშვილი - კი, როგორც უპარტიო, სხვადასხვა დროს 28-30 აგვისტოს მომხდარ ამბების წინა ხანებში უწევდენ ფარველობას და ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედ შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც კონტრრევოლუციონური მიზნით ასრულებდენ ტერორისტულ აქტებს, სახელდობრ ჩოლოყაშვილის ბანდა აწარმოებდა ტერორისტულ აქტებს მუშურ-გლეხურ ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ; აწობდენ და ხელმძღვანელობდენ იმავე მიზნით ტერორისტულ აქტებს პარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული ტერორისტული ჯგუფების საშვალებით: 1923 წ[ლის] 10 თებერვალს მოკლულ იქნენ სამხედრო კომისარი ა. ობოლაძე და ჯარის წითელი ხელმძღვანელები სანიკიძე და ჩუბინიძე; 1923 წ[ლის] 29 დეკემბერს მოკლულ იქნა პროფკავშირის წევრი ილარიონ გიორგაძე; მზადდებოდა თავდასხმა მოსკოვიდან ბათუმში მიმავალ მატარებელზე მგზავრების გაძარცვის მიზნით. ეს ქმედობანი, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 16, 64 მ[უხლებით], რომლის ჩადენა ბრალათ ედებათ ბრალდებულებს: კ. ანდრონიკაშვილს, გ. ჯინორიას, ი. ჯავახიშვილს, მ. იშხნელს, მ. ბოჭორიშვილს, გამოძახილი იყო იმ სასტიკი ბრძოლის, რომელსაც აწარმოებდენ ბრალდებულები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ მხრით მათი მთელი მოქმედება დანაშაულის ჩასადენათ სხვასაც იყოლიებდა.

უზენაესი სასამართლო გამომდინარეობს რა ზემოთ აღნიშნული ჩამოყალიბებული ბრალდებისაგან და იხელმძღვანელა რა მე 317, 318, 319, 320, 326 და ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 26 მ[უხლებით].

ადგენს:

1. ბრალდება მიმართული: ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, აკ. ფინხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯიას, შ. კალანდარაშვილის, ი. ავალიშვილის, ვ. ბერიძის და შ. თვალთვაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 58, I ნაწილით) 59 მ[უხლებით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ.
2. ბრალდება მიმართული: ი. ფანოზიშვილის და ა. ძაძამიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61 მ[უხლით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ.
3. ბრალდება მიმართული: დ. ონიაშვილის, გ. ანჯაფარიძის, გ. გიორგაძის, კ. ნინიძის, ნ. იმნაიშვილის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის, ა. კალანდარაშვილის, შ. კალანდარაშვილის, ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, ლატარიას, ფინხაიას, ხურციძის, ესვანჯიას, ავალიშვილის, ბერაძის, თვალთვაძის, ფანცულაიას, მამალაძის, შენგელიას, იოსელიანის, ლაშხიას, ბელთაძის, ძაძამიას, ხოფერიას, გაბლიანის, კვირიკაძის, ჭანიშვილის, ივ. ლორთქიფანიძის, ნ. ქარცივაძის და ნ. კახიანის მიმართ, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდ[ექსის] მე 60 მ[უხლით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ.
4. ბრალდება მიმართული: დ. ონიაშვილის, ნ. ქარცივაძის, ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, გ. ანჯაფარიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, ა. ფინხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯიას, შ. კალანდარაშვილის, ი. ავალიშვილის, ვ. ბერიძის, შ. თვალთვაძის, გ. გიორგაძის, ნ. იმნაიშვილის, კ. ნინიძის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის, ვ. ცინცაბაძის, გ. ბელთაძის, ნ. კახიანის, ვ. მამალაძის, თ. შენგელიას, შ. იოსელიანის, ს. ლაშხიას, ბ. პირველის, ვ. ნაცვლიშვილის და ვ. გეგეჭკორის მიმართ, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდ[ექსის] მე 16, 64 მ[უხლებით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ.
5. ბრალდება მიმართული: დ. ონიაშვილის, ნ. ქარცივაძის, ვ. ბილანიშვილის, ნ. ნაკაშიძის, გ. ანჯაფარიძის, ა. კალანდარაშვილის, ე. ლატარიას, ა. ფინხაიას, პ. ხურციძის, ლ. ესვანჯიას, შ. კალანდარაშვილის, ვ. ბერიძის, შ. თვალთვაძის, გ. გიორგაძის, ნ. იმნაიშვილის, კ. ნინიძის, გ. რცხილაძის, ს. დადიანის და ფანცულაიას, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 66 მ[უხლებით], ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ.
6. ვახტანგ დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი, მის მიმართ წაყენებული ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, გამართლებული იქნას.
7. ბრალდება მიმართული: ივანე ნესტორის ძე ლორთქიფანიძის, ვალერიან მიხეილის ძე ბილანიშვილის, ესტატე ბესარიონის ძე ლატარიას, აკაკი ალექსის ძე ფინხაიას, ლავრენტი ვასილის ძე ესვანჯიას, შალვა კონსტანტინეს ძე თვალთვაძის, ვლასი ლუკას ძე მამალაძის, შალვა დიმიტრის ძე იოსელიანის, ხარიტონ პეტრეს ძე ლაშხიას, ვლადიმერ ალექსის ძე გეგეჭკორს, თეოფილე სიმონის ძე შენგელიას, ეგნატე გიორგის ძე გაბლიანს, ამბროსი საბას ძე კვირიკაძის, მიხეილ თომას ძე

ჭანიჭვილის, გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლიჭვილის, კონსტანტინე დარისპანის ძე ლორთქიფანიძის, ალექსანდრე სამსონის ძე ბოკერიას, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩხაიძის, აკაკი მათეს ძე კალანდარაჭვილის, შალვა მათეს ძე კალანდარაჭვილის და არტემ ფილიპეს ძე ფანცულაიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61 მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებული. სასამართლო ითვალისწინებს რა მათ მიერ ჩადენილ ქმედობის მცირე მნიშვნელობას, თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა] მიესაჯოს თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში, რომ ზემოაღნიშნული პირები საშიშროებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ წარმოადგენენ, თანახმათ საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მე III სესიის 1925 წ[ლის] 7 მარტის დადგენილებისა, განთავისუფლებული იქნან სასჯელისაგან.

8. ბრალდება მიმართული დავით ეფრემის ძე ონიაჭვილის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 58, I ნაწ[ილით] 59 მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებული. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში დ. ონიაჭვილის თავისი შეცდომების გულწრფელ აღიარებას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა], მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. უზენაესი სასამართლო ითვალისწინებს რა დ. ონიაჭვილის ავთიმყოფობას, დარჩენილი სასჯელის ვადას, თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 46 მ[უხლისა], სთვლის პირობით სასჯელათ სამი წლით გამასწორებელი ვადით.

9. ბრალდება მიმართული: გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძის, სამსონ პლატონის ძე დადიანის, კირილე იასეს ძე ნინიძის, ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიჭვილის და გრიგოლ კიმოტეს ძე გიორგაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] 58, I ნაწ[ილით] 59 მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებული. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში, რომ სსენებული პირები წინააღმდეგი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის და სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე აღიარეს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობა, თანახმად ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა], მიესაჯოს თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით. უზენაესი სასამართლო ითვალისწინებს რა, რომ გ. რცხილაძე, ს. დადიანი, ნ. იმნაიჭვილი, კ. ნინიძე, გ. გიორგაძე არ წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიშროებას, თანახმათ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ[ლის] 7 მარტის დადგენილებისა განთავისუფლებული იქნან სასჯელისაგან.

10. ბრალდება ალექსანდრე ბეგლარის ძე ძაძამიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 16, 64 მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებული. უზენაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში მის პროლეტარულ მდგომარეობას, თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა], მიესაჯოს მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით. ხოლო ამ სასჯელის მოხდიდან საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის 1925 წ[ლის] 7 მარტის დადგენილების თანახმათ, განთავისუფლებულ იქნას.

11. ბრალდება ნიკოლოზ იოთამის ძე ქარცივაძის მიმართ, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდ[ექსის] მე 58, I ნაწ[ილით] 59 მ[უხლებით], რომელზედაც ის ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს რა ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 3 მ[უხლით], ნ. ქარცივაძეს ამ საქმეზე სასამართლო პასუხისმგებლობიდან ანთავისუფლებს.

12. ბრალდება იაკობ საბას ძე ფანოზიჭვილის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 16, 64 მ[უხლებით], რომელზედაც ის ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს რა ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 3 მ[უხლით], ი. ფანოზიჭვილს ამ საქმეზე სასამართლო პასუხისმგებლობიდან ანთავისუფლებს.

13. ბრალდება მიმართული: აპოლონ კიმოტეს ძე ბახტაძის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნაკაშიძის, ვლადიმერ ალექსის ძე ბერიძის, პართენ ივანეს ძე ხურციძის და გენადი მოსეს ძე ბელთაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61 მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებული და თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა], მიესაჯოს თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების დროის ჩათვლით.

14. ბრალდება სიმონ გიორგის ძე ხოფერიას მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61, 16, 64 მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და თანახმათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 28 მ[უხლისა], მიესაჯოს მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

15. ბრალდება გიორგი ნესტორის ძე ანჯაფარიძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 58, I ნაწ[ილით] 59 მ[უხლებისა], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

16. ბრალდება მიმართული ივანე დავითის ძე ავალიშვილის და ბიძინა გიორგის ძე პირველის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61 მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს თითოეულ მათგანს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

17. ბრალდება ნაპოლეონ ილიას ძე კახიანის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61 მ[უხლით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მას თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

18. ბრალდება გრიგოლ დიმიტრის ძე ცინცაბაძის მიმართ, გათვალისწინებული ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 60, 61 მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ცათვლით.

19. ბრალდება მიმართული: კონსტანტინე ემანუილის ძე ანდრონიკაშვილის, იასონ ვლადიმერის ძე ჯავახიშვილის, გრიგოლ ევგენის ძე ჯინორიას, მიხეილ ნიკოლოზის ძე ბოჭორიშვილის და მიხეილ ნიკოლოზის ძე იშხნელის მიმართ, რომელთაგან პირველ ოთხს ბრალდებათ ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 58, I ნაწ[ილით] 59, 60, 16, 64, 66 მ[უხლებით] გათვალისწინებული დანაშაული და უკანასკნელს ს[ისხლის] ს[ამართლის] კოდ[ექსის] მე 61, 60, 16, 64, 66 მ[უხლებით], ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს მათ სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. უზუნაესი სასამართლო იღებს რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და აგრეთვე ზემოაღნიშნულ ბრალდებულების სამსჯავრო სხდომაზე განცხადებას, რითაც ისინი მოუწოდებენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დადგენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში, სასჯელის უმაღლეს ზომას - დახვრეტას - ცვლის ათი წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით. განაჩენი ეს საბოლოო და არ შეიძლება იქნას განსაჩივრებული.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები გადაეცეს რევოლიუციის მუზეუმს.

თავმჯდომარე
წევრები:

გ[ალაკტიონ] ვაშაძე
ვანო სტურუა,
ი. ცინცაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცლები 766-779.

დოკუმენტი №6. საფრანგეთის რკინიგზის მუშათა დელეგაციის
საუბარი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარესთან კონსტანტინე (კოტე)
ანდრონიკაშვილთან
1926 წლის 30 სექტემბერი

მუშები

კითხვები, რომლებიც დაუსვა 1926 წლის 30 სექტემბერს
№1 გამასწორებელ სახლში პოლიტიკურ პატიმრებს საფრანგეთის
რკინიგზის მუშათა დელეგაციამ და ამ კითხვებზე პასუხები

კითხვა 1. რა არის თქვენი დაპატიმრების მიზეზი?

პასუხი 1. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობა.

კითხვა 2. რომელ პოლიტიკურ ჯგუფს ეკუთვნიან დაპატიმრებულები და როგორი პროპორციით?

პასუხი 2. 16 პატიმრიდან 7 სოციალ-დემოკრატია, 4 ეროვნულ-დემოკრატია, 2 სოციალისტ-რევოლუციონერი და 3 უპარტიო.

კითხვა 3. ცნობთ თუ არა კლასთა ბრძოლას?

პასუხი 3. ამ კითხვაზე მხოლოდ სოციალ-დემოკრატები პასუხობენ, რომ კი ვადიარებთ.

კითხვა 4. მმართველობის როგორი სისტემის დამყარება გასურდათ საქართველოში?

პასუხი 4. დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის, რომელიც საყოველთაო საარჩევნო სისტემაზე იქნებოდა დაფუძნებული.

კითხვა 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აძლევდით თუ არა კომუნისტებს იმ თავისუფლებას, რომელსაც თქვენ ითხოვდით?

პასუხი 5. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება კომუნისტებთან ორ პერიოდად უნდა დაიყოს: პირველი, როდესაც კომუნისტებს მიეცათ ლეგალურად მუშაობის უფლება (ჰქონდათ თავიანთი კლუბი, ბეჭდვითი ორგანო „კავკასიელი მუშები“, „კომუნისტი“ და ღებულობდნენ მონაწილეობას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების არჩევნებში); მეორე პერიოდი ეს არის რეპრესიების პერიოდი (დაპატიმრებები და გაზეთების დახურვა), რადგან რუსეთის კომუნისტური პარტია სისტემატურად ცდილობდა საქართველოში ინტერვენციის განხორციელებას; მესამე პერიოდი. კომუნისტური პარტიის ხელახლა ლეგალიზება 1920 წლის 7 მაისის შეთანხმების შემდეგ, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა და იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

კითხვა 6. რა გააკეთა თქვენმა მთავრობამ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის იმ 4 წლის განმავლობაში, რა პერიოდშიც იყავით თქვენ ხელისუფლებაში?

პასუხი 6. უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ყველა ერის მეურნეობა დანგრეული იყო. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოსათვის გამოცხადებულმა ბლოკადამ და საერთაშორისო სატრანზიტო გზის მოშლამ. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა მაშინ თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა. მოხდა ყველა თავადაზნაურის მიწის კონფისკაცია (გარდა თითოეული მათგანისათვის დატოვებული ნორმისა). კონფისკირებული მიწებიდან შეიქმნა სპეციალური მიწის ფონდი, საიდანაც გლეხები ღებულობდნენ მიწებს. საქართველომ შექმნა თავისი ფინანსური სისტემა. აღსანიშნავია, რომ ქართული მანეთის კურსი ყველა საბჭოთა ფულზე უფრო მაღალი კურსის იყო არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, არამედ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, 1923 წლამდე, როცა ქართული ფული გაუქმდა (იხილეთ 1922-1923 წლებში გამოცემული საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კრებული). საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იმთავითვე დაიწყო მოლაპარაკებები უცხოელ კაპიტალისტებთან მათი კაპიტალის ქვეყანაში მოსახიდად, მაგრამ ამას ხელი რუსულმა ოკუპაციამ შეუშალა. რუსულმა ოკუპაციამ შეუშალა ხელი ასევე ინგლისისგან სესხის მიღებას, არადა სესხი უკვე გამოყოფილი იყო. აი, მხოლოდ რამდენიმე შტრიხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაბიჯების.

კითხვა 7. აღიარებთ თუ არა ს[აბჭოთა] ს[ოციალისტური] რ[ესპუბლიკების] კ[ავშირის] სოციალურ და ეკონომიკურ პროგრესს სამოქალაქო ომიდან დღემდე?

პასუხი 7. რუსეთის სოციალური და ეკონომიკური პროგრესი იმსახურებს ღრმა შესწავლას და ინტერესს, მაგრამ მათი შეფასებისაგან ჩვენ თავს ვიკავებთ. ამასთანავე, ჩვენ გვსურს რუს ერთან ერთად გამოვიდეთ არსებული სიძნელეებიდან. საქართველოსთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ, რომ ოკუპაციის წინ საქართველოს საწარმოო ძალები იწყებდნენ მხოლოდ გაფურჩქვნას, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლებამ ძალმომრეობით შეაჩერა ის.

კითხვა 8. როგორ გეპყრობიან საპყრობილეში?

პასუხი 8. აჯანყებასთან კავშირის ბრალდებით, ჩვენი ინფორმაციით, სასამართლოს გარეშე 4000 ადამიანი დახვრიტეს, რამდენიმე ასეული კი რუსეთში გადაასახლეს, სადაც მათ იძულებით ამუშავებენ. საქართველოდან გასახლება ხდება ძირითადად პოლიტიკური მოტივით. აჯანყებაში მონაწილე მხოლოდ რამდენიმე ათეული გადასცეს სასამართლოს. ათასები კი ჩეკამ დახვრიტა. აქ იმყოფება 16 ბრალდებული სხვადასხვა ვადით და მკაცრი იზოლაციით (სამიდან ათ წლამდე). კითხვაზე თუ როგორი პირობები გვაქვს საპყრობილეში, თავს ვიკავებთ პასუხის გაცემისაგან.

კითხვა 9. საფრანგეთის მუშათა გამოსვლამ და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებამ რა მოტივაცია მოგვცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად?

პასუხი 9. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ჩვენ მხარი უნდა დაგვიჭიროს მთელმა საერთაშორისო დემოკრატიამ, რომლის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ერთა თვითგამორკვევა. ფრანგი კომუნისტებიდან ჩვენ ასეთ მხარდაჭერას ველოდით, რადგან ისინი

აქტიურად უჭერდნენ მხარს მაროკოს და სირიას დამოუკიდებლობას. ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ მიმდინარე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებები მათთვის წარმოადგენს ხელსაყრელ მომენტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის წამოსატრედად.

კითხვა 10. ფიქრობთ, რომ მოხდება კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენცია და ისურვებლით ამას საქართველოს სასარგებლოდ?

პასუხი 10. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ინტერვენციის საქართველოში როგორც საბჭოთა ისე მომავალ ბურჟუაზიულ საქართველოში. ეს საკითხი 1915 წლის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წამოსწია ჩვენმა დეპუტატმა ი. წერეთელმა. ამ მოსაზრებას ვემხრობით ესლაც.

კითხვა 11. როგორი საშუალებებით აპირებთ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებას?

პასუხი 11. ვფიქრობთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი ცნობილია ყველა საერთაშორისო დემოკრატიისთვის და რომ ამ დემოკრატიათა თავისი ორგანოების მეშვეობით (მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი, ერთა ლიგა და სხვ.) მოსთხოვა საბჭოთა რუსეთს მოესხნა ოკუპაცია საქართველოში, ისევე როგორც ცდილობს საბჭოთა რუსეთი მოხსნას რუმინეთმა ოკუპაცია ბესარაბიაში.

კითხვა 12. ამართლებთ თუ არა თქვენ ახლა 1924 წლის აჯანყებას?

პასუხი 12. ჩვენი შეხედულება ამაზე ჩვენ სასამართლო პროცესზე ვაჩვენეთ, სადაც ვაცხადებდით, რომ აჯანყება იყო ხელისუფლების ოკუპაციის შედეგი. იგივე აზრზე ვართ ახლაც.

კითხვა 13. ხართ თუ არა მომხრე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის?

პასუხი 13. შეიარაღებული აჯანყების განმეორებას ჩვენ ქართველი ერისთვის დამლუპველად ვთვლით.

გადასცა 16 პატიმრის სახელით კ. ანდრონიკაშვილმა.
1926 წლის 30 სექტემბერი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცლები 386-389.

Levan Jikia

Documents and materials for the history of 1924 Anti-Soviet National Revolt

Summary

In February-March, 1921 the Soviet Russia executed annexation and occupation of the democratic republic of Georgia. Under the conditions of the strictest occupation regime the national forces attempted to organize the situation. The aim of Georgian National Movement represented restoration of state independence of Georgia. The national movement launched in 1921 was transformed into the forced revolt in 1924. The political parties began organizing the struggle for restoration of the independence of Georgia. For achieving the common goal five leading political parties of Georgia were united. They created „Committee of Independence of Georgia” („Damkomi”). The committee determined the date of the rebellion as 2 a.m. on August 28-29, 1924. In spite of the great devotion the rebels were defeated. From July 15, 1925 to August 3, 1925 the trials of the leaders of the rebellion were being processed. The court divided the defendants into categories and sentenced to imprisonment for different term. Five defendants were sentenced to be shot though later the sentence was changed into 10 year-imprisonment. With it the soviet government wanted to show its „human” face to the mankind, but in reality, under the unbearable circumstances existing in the prisons it was their torturer face for death.

I suggest you the documents and materials that will complete the history of 1924 revolt in Georgia.

**ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის
(რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის
1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა)**

1906 წლის 8 მარტიდან 15 დეკემბრამდე სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირის მიზანი იყო რუსეთში პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ჩაფიქრებული საეკლესიო რეფორმა თავისი შინაარსით მრავლის მომცველი იყო. ერთ-ერთ საკითხად რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე იხილებოდა კავკასიაში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის პროექტი.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხს. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა (გიორგი საბაგლიშვილმა) და ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ცნობილმა მეცნიერმა ქართველოლოგმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდლოებამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მუშაობა 1906 წლის 15 დეკემბერს დაასრულა¹.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 13 დეკემბრის სხდომა იყო უკანასკნელი სხდომა, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოვადგენთ რუსი მეცნიერების საბოლოო შეხედულებებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით.

1906 წლის 13 დეკემბერის რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომას (სექციას), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვისა და ვოლინისკის მთავარეპისკოპოსი, მაღალსამღვდლო ნიკანდრი, ესწრებოდნენ: მოგილევის ეპისკოპოსი სტეფანე; დეკანოზი პროფ. ტ. ი. ბუტკევიჩი, დეკანოზი ი. ი. ვოსტორგოვი; პროფესორი თ. ი. ტიტოვი, დეკანოზი ი. ი. კოიალოვიჩი, პროფესორები: ი. ს. ბერდნიკოვი, ა. ი. ალმაზოვი, მ. ა. ოსტროუმოვი, ი. ს. პალმოვი, ნ. ნ. გლუბოკოვსკი, ა. ი. ბრილიანტოვი, ი. ი. სოკოლოვი. სხდომას ასევე ესწრებოდა წმიდა სინოდის ობერპროკურორი, სამოქალაქო მრჩეველი გ. ფ. ტრეღინი.

პროფესორმა ნ. ნ. გლუბოკოვსკიმ თავისი საბოლოო შეხედულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით ასე დაასაბუთა:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, უპირველესად, ჩვენთან წარმოადგინეს მისი პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე. ჩვენც დავადექით ამ გზას, რათა იგი გადაგვეწყვიტა არა მარტო თეორიული მოსაზრებებით, არამედ შესაბამისი საეკლესიო ცხოვრებისათვის საჭირო სასარგებლო ნაბიჯებით, ყოველმხრივი განმარტებებითა და დასაბუთებით. ჩვენს უკანასკნელ სესიაზე ზოგიერთი შეეცადა საქმე ისტორიულ-არქეოლოგიური ძიების სფეროში გადაეყვანა და მსჯელობისათვის სამეცნიერო ხასიათი მიეცა. ამის მსურველნი მალევე დამარცხდნენ. მე სრულებით არ ვეთანხმებოდი და არ ვიყავი მომხრე. გვესაუბრა ამ ახალ შემოთავაზებაზე...

1) ისტორიული მოვლენების ობიექტურად გაშუქებისათვის, განსაკუთრებით კი საქართველოს უძველესი ქრისტიანობის საკითხის შესახებ ჩვენ შემოგვთავაზეს ბევრი ახალი და ორიგინალური მოსაზრება, რომლითაც მნიშვნელოვან გაურკვევლობებს ნათელი მოეფინა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან დაშორებულია ძირითადი თემისგან. თუკი მაინც მოვინდომებთ და შესაძლებლად ჩავთვლით

¹Сергей Бычков. Русская Церковь и Императорская власть. Москва, 1998.

რომელიმე მოსაზრების გამოყენებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასამტკიცებლად, უნდა გამოვიყენოთ მოციქულებრივი წარმომავლობის ფაქტი. მსგავსი ღირსებით კი შემკულია დღეს არსებული ქრისტიანული ეკლესიების უმრავლესობა. მიუხედავად ამისა ყველას არ გააჩნია თვითმმართველობის უნარი, რომლის პრეტენზიასაც აცხადებს საქართველოს ეკლესია. მაშასადამე, ეს უკანასკნელი (იგულისხმება საქართველოს ეკლესია - გ. ბ.) არ შეესაბამება კანონიკურ ავტოკეფალიურობას. ჩვენ ვნახეთ, რომ ქართველები ქრისტეს მოძღვრებას სხვადასხვა მისიონერის საშუალებით ეცნობოდნენ, რომელთაც ჩვენ ვერ ავიყვანთ მაცხოვრის ამა თუ იმ მოწაფის ხარისხში. ამ დაკვირვებების შედეგად შეუძლებელია საქართველოს ეკლესიას მიენიჭოს ავტოკეფალია. ამიტომაც ვაღიარებთ ვართ, ის დავეყოთ რამდენიმე დამოუკიდებელ საეკლესიო ოლქად.

2) არავის ექვევბოდა, რომ საქართველო ოდესღაც საეკლესიო დამოუკიდებლობას ფლობდა, თუმცა პირველ ხანებში მსგავსი დამოუკიდებლობა საქრისტიანო სამყაროს ყველა დიდ ეკლესიას ჰქონდა. ამჟამად კი ავტოკეფალია მხოლოდ ცოტასდა გააჩნია. ეს უცილობლად ადასტურებს იმას, რომ რიგითი საეკლესიო დამოუკიდებლობა არ შეიცავდა აუცილებელსა და კანონიკურ სანქციებს, რომლებიც, გარდაუვალობიდან გამომდინარე, მათგან არ მოდიოდა. პოლიტიკურ სფეროში ჩვენ ვპოულობთ ავტონომიურობის საკმარის მაგალითებს, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფლობს სახელმწიფოებრივ ავტონომიას? მაშინ კულტურულ ერთობას მოწყვეტილი ყველა ველური იქნებოდა სახელმწიფოებრივად ავტონომიური. ჭეშმარიტი ავტონომია იწყება იმ დროიდან, როცა ადგილობრივ ხალხს სხვა ავტონომიურ ქვეყნებთან პარმონიული ურთიერთობა აქვს და მათ შორის თანასწორუფლებიან ადგილს იკავებდა იაპონიაც. არსებითად იგი მხოლოდ განვლილი ომის შემდეგ გახდა სრული ავტონომიური ქვეყანა, ხოლო მანამდე მას საერთაშორისო შეზღუდვები ჰქონდა (სხვა ქვეყნებში არ ჰყავდა სრულუფლებიანი წარმომადგენლები). იგივე ვითარებაა საეკლესიო ავტოკეფალიურობის შემთხვევაშიც. ეს ნიშნავს სანქცირებულ დამოუკიდებლობას, რომელიც ეკლესიამ მოიპოვა სხვადასხვა თვითმმართველი ეკლესიის მსგავსად, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების უცილობელი ფაქტორის ღირსებით იურიდიულ ლეგალიზებას უკეთებს. საინტერესოა, როგორ იყო საქმე ამ მიმართებით საქართველოს მაგალითის მიხედვით? და აი, ეს არის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. პასუხის სრული გააზრებისა და გაცემისათვის ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ ფაქტის და ეკლესიის ავტოკეფალიის კონსტანტირება. ამასთანავე, დაზუსტებით უნდა გავარკვიოთ, როგორ გარემოსა და რა პირობებში ებოძა მას ავტოკეფალია?

3) ამ კარდინალური თემის შესახებ ჩვენ არანაირი განსხვავება არ გვხვდება და შემდგომი ვითარებისათვის ყველა დამატებითი სწავლება მდგომარეობას უფრო ართულებს, არადა, პირიქით, ნათელს უნდა ჰფენდეს. პირველ რიგში ნიშანდობლივია, რომ ჩვენ ავტორიტეტულად გვიმტკიცებენ, თითქოს ქართული წყაროები საკმაოდ საჭკვოა და გამოირჩევა ტენდენციურობით. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ჩვენ ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ისეთი ცნობების წარმოდგენისას, რომლებიც ესებიან იურიდიულ-კანონიკურ თემებს ტენდენციური და ძალდატანებითი ზეგავლენის ფონზე, რომელიც თან გასდევს ისტორიულ მასალას. ირკვევა, რომ საქართველოს ავტოკეფალიის ერთგული დამცველები ზუსტად ამ ძეგლებზე აგებენ ანალოგებს მისი კანონიკურობის დაცვისათვის, რითაც მთელ რიგ საკუთარ დასკვნებს აგდებენ განქიქებაში; დასასრულ, მთელი მათი შრომა ხდება განსაკუთრებულად სადავო. მათ კვლევებს ბევრი უკლიათ ფაქტებამდე და არ შეიცავენ დამაჯერებლობას. მათში არ შეიმჩნევა არც რაიმე სამეცნიერო მახვილგონიერება და არც სუბიექტური კვლევა-ძიება. ამის გამო ბევრი რამ გაუგებარი და ბუნდოვანია. მაგალითად, ისინი ადასტურებენ, რომ ავტოკეფალიურ საქართველოში კათალიკოსი არ მოიხსენიებდა არც ერთ პატრიარქს. ეს კი სავსებით დაუშვებელია ავტოკეფალიური ეკლესიების ურთიერთობაში, ანუ, აქედან გამომდინარე, მას არ გააჩნია კანონიკური ავტოკეფალია. სხვა ქართული ცნობები კიდევ უფრო ბუნდოვანია და ავტოკეფალიური აპოლოგეტიკა შემდგომში იძულებულია მიმართოს სხვა საშუალებებს (ანტიოქიის პატრიარქის თეოდორე ბალსამონის მიერ საქართველოს გარკვევით მოხსენიება, თუმცა, როგორც თვლიან, ეს ცნობა „ანტიოქიური ტენდენციურობისაგან“ არ არის თავისუფალი). ყოველივე ამის შემდეგ მე კვლავ შეურყეველად ვაგრძელებ ფიქრს, რომ λεγεται მას უდასტურებს ისტორიული წყაროების არარსებობას და ეყრდნობა მხოლოდ ჭორებს. მაგრამ განა შეეძლო ამ თავისი სიზუსტით ცნობილ ავტორს დაკმაყოფილებულიყო ამ უკანასკნელით, თუკი იგი ნიშანდობლივ მონაცემებს ფლობდა? ამასთანავე, ეს გაურკვეველობა ამ გადმოცემაში სრულად განეკუთვნება კანონიკურად ბოძებულ ავტოკეფალიას. ივერიის ეკლესიის დაქვემდებარებას ანტიოქიის საპატრიარქოსადმი ბალსამონი მტკიცედ ადასტურებს, როცა ყველასათვის ცნობილია, რომ ეს ფაქტი არ მოითხოვს არანაირ დამატებით არგუმენტაციას. საქართველოს ეკლესიის მოგვიანო ისტორიაში

იმდენად ხშირია არეკ-დარეკა, წინააღმდეგობები, რომ ახლა ნამდვილად შეუძლებელია ძირითად საკითხებში გარკვევა, თუ რამდენი საკათალიკოსო იყო, რატომ დაარსდნენ ისინი, სხვებთან როგორ ურთიერთობაში იყვნენ, როგორ კომპეტენციას ფლობდნენ და ა. შ. დასასრულ კი, ყველაზე ტენდენციური განმარტებებიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ, კერძოდ, მართლაც შემთხვევით მოხდა ერთი საპატრიარქოს (ანტიოქიის) მხრიდან საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება და არა „მსოფლიო ეკლესიის მიერ“. ამ არამტკიცე ნიადაგზე უფრო ადვილია შენობის დანგრევა, ვიდრე ახალი მყარი შენობის აგება საეკლესიო მსახურებისათვის.

4) თუკი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობის კანონიკური ფაქტი ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაშინ არანაკლებ სათუო იქნება მისი წარმოშობისა და არარსებობის პირობებიც, რითაც ცდილობენ თავი დაიცვან. ერთ რეფერატში პირდაპირ ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს გააჩნდა „იმპერიისადმი“ არადაქვემდებარებული პროვინციისათვის დამახასიათებელი საეკლესიო დამოუკიდებლობა. ეს კი თავისთავად საგანგებოდ აღსანიშნავი ამბავია, რომელსაც მხოლოდ გაკერით იხსენიებენ, არადა ჩვენი საკითხის გარკვევისათვის ეს დიდად ფასეულია. კანონების მიხედვით კი, საეკლესიო მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო მოწყობას (IV მსოფლიო კრების მე-17 კანონი, ტრულის საეკლესიო კრების 38-ე კანონი, II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-3 კანონი, IV მსოფლიო საეკლესიო კრების 28-ე კანონი და ანტიოქიის კრების მე-9 კანონი). მაშასადამე, რომელიმე ოლქის პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლასთან ერთად შესაძლებელია მისი საეკლესიო მდგომარეობის შეცვლაც. აქედან გამომდინარე, კანონიკური ავტოკეფალიაც არ შეიძლება ხელუხლებლად ჩაითვალოს. გარდა ამისა, მოცემულ თემაზე უამრავი მაგალითი გვაქვს და ისინი დოკუმენტალურადაც არიან დადასტურებულნი ი. ს. პალმოვის მოხსენებასა და განმარტებებში, აქედან კი თ. ი. ტიტოვმა საჭირო დასკვნები გამოიტანა. რაც ადრე იყო საქართველო, დღეს ის აღარ არის. ის რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. საინტერესოა, რატომ არის, რომ გარდასული ხანა მას საერთოდ არ ამცნობს მისსავე უფლებებს, რომლებსაც ამჟამად გამოიყენებდა, მაშინ, როდესაც მისაღებია გარკვეული აუცილებელი კანონიკური ნორმები. თუკი „საერო უამბავსა ულობა“ გამოუყენებელია თანამედროვე საქართველოსათვის, მაშინ იგი უფრო უადგილოც იქნება მართლმადიდებლური საქართველოსათვის და არ არსებობს არანაირი დაბრკოლება დასახელებული კანონების მართებულად გამოყენებისათვის... აქედან კი ნება გვქვია დავასკვნათ, რომ არ არსებობს ჩვენს დროში საქართველოში ადრე არსებული ავტოკეფალიის აღდგენის საფუძველი...

5) ამრიგად, კიდევ ვერ ავხსენით ის კანონიკური საფუძველი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ამ პუნქტში მე პრინციპულად ვეთანხმები იმ თვალსაზრისს, რომელიც ჩვენი განყოფილების კომპეტენტური წევრების კანონიკურ რეფერატში გვხვდება. ჩემი მხრივ, გარკვევით მივუთითებ, რომ კანონიკური ავტოკეფალიურობა საეკლესიო თვითმყოფადობასთან არანაირ კავშირში არ არის და აქედან გამომდინარე, პირველის დაკარგვა არ ნიშნავს მეორის დარღვევას და შეურაცხყოფას. პირიქით, მსგავსი მეტამორფოზის დროსაც საეკლესიო ცხოვრება ადრინდელი რეგულირებით აღსრულდება და ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე წარმატებით განაგრძობს თავის არსებობას საკუთარი კეთილდღეობისათვის. მე ღრმად ვცემ პატივს ეროვნულ შეგნებას, რელიგიურ მოთხოვნებს, ასევე ყველასაგან დიდი პატივისცემით ვიღებ მოცემული სახის ლოგიკურ დამოწმებებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მაღალი დელიკატური ელემენტი სრულიად არ ეხება ავტოკეფალიურობის საკითხს. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი სახით ანალოგიურია ჩვენი, ჩვეულებრივი სამრევლო მოწყობისა. მასში გვხვდება დამოუკიდებელი სამრევლოები, რომლებიც არცთუ იშვიათად იხურებიან და თავის დამოუკიდებლობას კარგავენ. არსებობენ დაქვემდებარებული სამრევლოებიც, რომლებიც თანდათანობით აღწევენ კანონიკურ ავტონომიას. ორივე შემთხვევაში ყოველდღიური საეკლესიო ცხოვრების დროს მორწმუნეებს არანაირად არ აწუხებთ ესენციალურობა და გარეშე მდგომარეობასთან არანაირი დაქვემდებარების ფაქტორიც არ არსებობს. აქ საქმე ეხება მხოლოდ ფაქტობრივად ხელსაყრელ პირობებს, თუ როგორ თანხვედრაშია დროებითი ხასიათის განსაკუთრებულ ფაქტორებთან და ყველაფერში ცვალებად ხასიათს ავლენს. ეს ყოველივე, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია საეკლესიო კანონიკური ავტოკეფალიისათვისაც. მაშ რატომ არის საჭირო ქართველებისათვის მისი დასაბუთება არა ისტორიულ-არქეოლოგიური არგუმენტებით, არამედ საეკლესიო კეთილდღეობისათვის არსებული მოთხოვნების გადაჭრით.

6) აუცილებლობიდან გამომდინარე, კვლავ უნდა დაგუბრუნდეთ ჩვენი მუშაობის საწყის გეგმას და უნდა გავარკვიოთ შესასწავლი თემა თანამედროვე საქართველოს საჭიროების კუთხით. აქ ჩვენ

პირდაპირ მიგვითითებენ, რომ მართლმადიდებლურმა რუსეთმა ყველა კანონის დარღვევით, ყველანაირი „აგრესიული ხრიკების“ გამოყენებით მოახდინა საქართველოს უზურპაცია და „ძალადობრივად მიიტაცა“ საქართველოს ეკლესიის „თვითმმართველობის“ ხელშეუხებელი უფლებები. არადა თავის დროზე მან თვითონ გადასცა ეს უფლებები ერთმორწმუნე დიდ სახელმწიფოს, მაშინ, როდესაც ტირილითა და ცრემლებით ითხოვდა მფარველობას. ამიტომ „ხელშეუხებლობაზე“ საუბარიც კი არ შეიძლება, რამდენადაც ავტოკეფალია, რომელიც თავისი აღიარებისათვის კანონიკურ სანქციებს მოითხოვს, ფაქტობრივად იკარგება. ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც, რომელიც დროთა განმავლობაში კარგავდა თავის პოლიტიკურ თვითმყოფადობას. ამის პარალელურად თანდათან უსუსტდებოდა საეკლესიო დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარიც. ეს კი დიდ საშიშროებას წარმოქმნიდა, რომ დაითრგუნებოდა თვითონ მართლმადიდებლური რწმენა და მოხდებოდა მისი შთანქმეა მუსლიმობით. ბუნებრივია, რომ მაშინ ქართველთაგან არავინ აცხადებდა პრეტენზიას არც აღრინდელ ავტოკეფალიაზე, არც ორმხრივ პირობებზე, რომლებიც დამყარდა მოლაპარაკების შედეგად. აქედან კი რა გამოდის დ ჩვენ საერთოდ არ გვესმის, თუ რა არის ავტოკეფალიისათვის, ანდა ავტონომიისათვის გადამწყვეტი მოთხოვნები, პირიქით, XIX საუკუნის ბოლომდე მხოლოდ აღტაცებული ქება-დიდება გაისმოდა „კეთილმეურვეობის შესახებ მართლმადიდებლური რუსეთის მხრიდან, რადგანაც მისი კალთის ქვეშ „საქართველოს ეკლესია კეთილდღეობდა და უზრუნველად იმყოფებოდა“. რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე შესამჩნევად ამაღლდა და გაუმჯობესდა. თანდათან დაიწო განახლება ახალი ფორმებით და ახლა ჩვენს მძიმე გაჭირვებულ ეპოქაში სიმშვიდეში მცხოვრები საქართველო ხმას იმაღლებს, მკვახე პროტესტს გამოთქვამს გადამრჩენელის მიმართ და მკაცრი გამონათქვამებით ადანაშაულებს საეკლესიო სინოდალურ მმართველობას... განა მნიშვნელოვანი არ არის ეს ყველაფერი?... რატომ არ გამოითქვა მსგავსი პრეტენზიები შეერთების დროს, როდესაც რუსეთი მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაელო ერთმორწმუნე გატანჯული ქვეყნის ხსნისათვის? თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სამაგიეროდ ის არანაირ სარგებელს არ ითხოვდა, მაგრამ იძულებული გახდა აქტიურად ჩართულიყო თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ოღონდაც ერთადერთი და ყოველგვარი მადლის მიღების გარეშე, მხოლოდ კაცთმოყვარეობის ინტერესებიდან გამომდინარე... ზოგიერთი ამტკიცებს, რომ თავდაპირველად ქართველ კათალიკოსს რუს მღვდელმთავრებს შორის მიაკუთვნეს მეოთხე ადგილი, შემდგომში კი მეცხრე ადგილზე გადაიყვანეს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მხოლოდ ძირითადი პრინციპი, რომ ქართველი კათალიკოსი ჩაირიცხა რუს იერარქთა რიცხვში, როგორც მათი შემადგენელი ნაწილი და ეს მოხდა არა დესპოტიზმითა და მიტაცებით, არამედ სრული ნებაყოფილობით. ცხადია, რუსეთისათვის ყოველთვის უცხო იყო ანგარებიანი ზრახვები და იგი არ ხელმძღვანელობდა მხოლოდ ერთი „ეგოისტური სიმპათიებით“, რასაც აღნიშნავს მხოლოდ პროფ. ნ. ა. მარი, და გულწრფელად სურდა ქართველთა სამეფოსათვის საუკეთესო სურვილები. გვეკამათებიან, რომ რუსეთმა ვერ გაამართლა ქართველ მართლმადიდებელთა მოლოდინი, და ახლა ამ უკანასკნელის მხოლოდ დაბრკოლებას თუ ემსახურება. ჩვენი მხრივ, ძნელია უარყოთ ამ სახის ზოგიერთი ფაქტი, თუმცა უნდა დაგვეთანხმონ, რომ ისინი შემთხვევით მოვლენებს არ წარმოადგენდნენ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის სამოქალაქო ხელისუფლებას მრავალი სამოქალაქო-პოლიტიკური შეზღუდვები ჰქონდა, ამიტომაც ხშირად ვერ სარგებლობდა თავისუფალი ქმედებებით, რაშიც დამნაშავედ ცნეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლება, მაშინ, როდესაც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, თვითონ თბილისშივე, დღისით-მზისით, პირდაპირ თავს ესხმიან და იარაღს ესვრიან რუს მღვდელმთავრებს... და თუკი ამ ფაქტორებს ობიექტურად შევაფასებთ, მაშინ პირადად მე არ შემიძლია იმის დაშვება, რომ ქართველმა უკიდურესმა ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს დაასაბუთონ, თითქოს რუსეთის ეკლესია მართლმადიდებლური საქართველოს მიმართ ყოველთვის სისტემატური მტრობის ინიციატივას იჩენდა და წინასწარ გეგმავდა სხვადასხვა სახის დევნა-შევიწროებას რწმენის, საეკლესიო მართლწერის, ტრადიციებისა და ენის სფეროში. საეზარქოსოს პერიოდის მკაცრი მიმოხილვა საპირისპიროსაც საკმარისად ამტკიცებს. მასში იყო არცთუ ისე მცირე დეფექტები, ისეთები, როგორებიც კერძო, ასევე საერთო თვისებებიდან გამომდინარე, მაგრამ ისინი სრულებითაც არ იყვნენ პრინციპიალური და ყოველთვის მზად იყვნენ გამოსწორებისათვის, რამდენადაც არსებული ვითარება ამის საშუალებას იძლეოდა. გავიხსენოთ, რომ ეს ის დროა, როცა ჩვენ (რუსეთს) სისხლისმღვრელი ომი გვაქვს კავკასიაში... მსგავსი, მეტად მძიმე სიძნელების დროს საეზარქოსოს მმართველობამ მართლმადიდებელი საქართველოსათვის ბევრი რამ გააკეთა, ზოგჯერ თვითონ რუსეთის ინტერესების საზიანოდაც კი (ამის ფონზე კი ქართველი სამღვდელთა მოთხოვნებს აკმაყოფილებდა). ამასვე გვიდასტურებს ყველა ქართველი კომპეტენტური მწერალი ყოველგვარი

ადელვების გარეშე. ამის შემდეგ მათი კერძო ბრალდებების აქ ასე მძაფრად და უკმეხად წარმოდგენა არ არის მართებული. საერთოდ კი, როგორც სწვევათ, მათ მიერ ყველაფერი ზედმეტად არის გაზვიადებული... ასეთ შემთხვევაში ყველა ნაკლოვანება უნდა აღმოიფხვრას და საუკეთესო უნდა იქნას დატოვებული. ეს უნდა მოხდეს ორმხრივად, რათა მივადწიოთ ეკლესიის ერთიანობას სიყვარულით, სიმათლითა და ჭეშმარიტებით.

7) მაშასადამე, საქართველოს დღევანდელი საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ საკმარისი საფუძვლები არ მოგვეპოვება, რათა მოხდეს მისთვის ავტოკეფალიის „სრული“ მინიჭება, როგორც ხდება ბევრ შემთხვევაში. მსგავსი მაგალითები ისტორიასა და კანონებში უხვად არის. ამიტომაც მხოლოდ ერთი, შემწყნარებლობის მორალური მოტივიღა დაგვრჩენია. კიდევ უფრო მცირედი იყო ჩემთვის კეთილი და მყარი იმედით შთაგონება, რომ ავტოკეფალიური საკათალიკოსოს არსებობისას საეკლესიო საქმე მართლმადიდებლურ საქართველოში ნაყოფიერად და მთელი სისრულით წარიმართებოდა. მე იმაშიც მეპარება ეჭვი, რომ ქართველ ხალხში იქნებოდა ნამდვილი სიმშვიდე და საეკლესიო სფეროსაც არ შეეხებოდა ეროვნული ანგარიშსწორება. ეს კი მართლმადიდებლობისა და ქართველი ხალხისათვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. ეს უკანასკნელი სწორედ ამით იყო ძლიერი და მტკიცე. სწორედ ამით შემოინახა აქამდე პირვანდელი სახით თავისი მეობა ყველა მიმე გაჭირვების გამოვლის შემდეგაც. ამავე დროს ნამდვილად შესაძლებელია, რომ ეროვნული მეტოქეობით გამოთბარი გულმოდგინება გადავა ეროვნულ პროზელიტიზმში. ეს კი ტომთა შორის მეტად მწვავე შეტაკებას გამოიწვევს, რაც მეტად სასიფათოა, გაართულებს ურთიერთობას რუსეთის სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფლებასთან. რატომ იქნა საჭირო ძალდატანებითი ჩარევის მოთხოვნა, რომელიც საბოლოოდ მოსპობს შემწეობისა და დაცვის ორმხრივ სიმპათიას? მოიძებნება კი აქ ადგილი წმინდა რელიგიური ინტერესებისათვის და ისინი სხვადასხვა გართულების შემთხვევაშიც ხომ არ გაუჩინარდებიან? ან იქნებ სრულიად სხვა მიზნებისა და მისწრაფებებისათვის მხოლოდღა იარაღი გახდებიან? არადა ისტორიაში ამის შესახებ ბევრი ტრაგიკული და სამწუხარო მაგალითი მოგვეძებნება, რომლებიც დღესაც ყველას აფრთხილებენ, რომ მეტად დიდია ბოროტება, როცა რელიგია გადადის პოლიტიკაში. ეს უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ, რათა არ გავგიტაცოს ერთგვარმა გულჩვილობამ. ამიტომაც წინასწარ ყველა შესაძლებლობა უნდა დეტალურად ავწონ-დავწონოთ... ყოველ შემთხვევაში, აღწერილ პერსპექტივებში შემწყნარებლობის მოტივები ყველაზე ცუდი არგუმენტი აღმოჩნდება...

მე არ ვარ სხვადასხვა სახის მცირე ავტონომიურობისა და დანაწევრებული ავტოკეფალიურობის მომხრე. ყოველივე ამის შემდეგ მე სრულებით არ ვდგავარ „ორგანულ მტკიცებულებაზე“ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ. პირიქით, მთელი გადაწყვეტილებით ვუშვებ, რომ ახალ საეკლესიო ავტოკეფალიას შეუძლია სრული კანონიერების დაცვით აღმოცენდეს და დამყარდეს იქაც კი, სადაც ის ადრე არასდროს ყოფილა, როგორც ეს მოხდა უახლეს წარსულში (XIX საუკუნის 60-იან წლებში) ავსტრია-უნგრეთში, როცა ლოვაცის ეპარქიას გამოეყო გერმანშტადტის (სიბონის) რუმინული ეკლესია. ეს ფაქტი მართებული იქნება მართლმადიდებლური საქართველოს ეკლესიისათვისაც. თუკი იგი საერთო წევრია აღმოსავლეთის რუსეთის ეკლესიისა, მაშინ ამ უკანასკნელის უშუალო ინტერესი იმაზეა დამყარებული, რომ მისი ყველა ნაწილი სრულფასოვანი იყოს. სხვაგვარად ერთი შემადგენელი ელემენტის ავადმყოფობასა და დაბნეულობას შეუძლია მთელი ორგანიზმის დაავადება დამღუპველი სენით“...²

პროფესორების ი. ს. პალმოვისა და ნ. ნ. გლუბოკოვსკის საბოლოო შეხედულებების მოსმენის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 13 დეკემბრის სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის საკითხი. რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგ საკითხს: სხდომამ მიიღოს პირველი პროექტი, რომელიც დეკანოზმა ი. ი. ვოსტორგოვმა წაიკითხა, თუ დაამტკიცოს მეორე პროექტი? პირველი პროექტის შესახებ აზრი გამოთქვეს დეკანოზებმა: ტ. ი. ბუტკევიჩმა, ი. ი. ვოსტორგოვმა, ა. ი. აღმაზოვმა, მეორე პროექტის შესახებ კი სხდომის დანარჩენმა წევრებმა. უმრავლესობის გადაწყვეტილებით სხდომამ მიიღო მეორე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიაში ორი სამიტროპოლიტოს დაწესებას.

²Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 13 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №8 за 1907 год, стр. 180-191.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე წარმოვადგენთ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 13 დეკემბრის სხდომაზე წაკითხულ პროექტებს:

**კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის I პროექტი
(საეგზარქოსო შენარჩუნებულის)**

ქართული ეპარქიების მთავარი საჭიროება, რომელიც მითითებულია ქართველი ეპისკოპოსების პეტიციებში, დაკმაყოფილებულია წმიდა სინოდის ა. წ. 6 აგვისტოს ცნობილი განკარგულებით. ამავე განკარგულების მე-4 და მე-5 პუნქტების მიხედვით ისლა დაგვრჩენია ეგზარქოსების წარდგინებას დაველოდოთ, რომელიც, რა თქმა უნდა, მოხდება საქართველოს ეპარქიების ეპისკოპოსებთან შეთანხმებით.

გარდაქმნის განხორციელებისათვის საჭირო ნაბიჯები ასეა წარმოდგენილი:

სოსუმის ეპარქია, წმიდა სინოდის მიერ ორჯერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გამოეყოფა საეგზარქოსოს, შემდეგ კი წმიდა სინოდი გადაწყვეტს, მიანიჭებს თუ არა მას დამოუკიდებლობას, ანდა შეუთავსებს თუ არა მეზობელ სტავროპოლს, ან სულაც ეკატერინოდარის ეპარქიას, თუკი იქ იქნება დამოუკიდებელი სამღვდელმთავრო კათედრა.

ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოსუმის ეპარქიის სამხრეთით არსებული მეგრული სამრევლოები გადაეცემა სამეგრელოს ეპარქიას. სამეგრელოს ეპარქიას შეუერთდება ასევე ის სვანური სამრევლოებიც, რომლებიც მას მდინარე ენგურით ადვილად უკავშირდებიან.

ქალაქი **ბათუმი** სოსუმის ეპარქიის გამგებლობაში იქნება. საქართველოს ეპარქიის ის სამრევლოები, რომლებიც განლაგებულია სამხედრო გზაზე გუდაურის უღელტეხილის (გასასვლელის) ჩრდილოეთით (ესენი უფრო ოსური სამრევლოებია), გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უფრო ვლადიკავკაზის ეპარქიას უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ეპარქიას მიეთვლება ოსური სამრევლოები ზგუზისას უღელტეხილიდან ჯავის ხეობამდე.

გურია მიიღებს ან განსაკუთრებული საეპისკოპოსოს სტატუსს, ანდა მიუერთდება იმერეთის საეპისკოპოსოს. თუკი გამოინახება საშუალება, ის შეიძლება საეპისკოპოსოდაც გადაკეთდეს.

თბილისის გუბერნია გადაიქცევა განსაკუთრებულ სამღვდელმთავროდ, რომელსაც სათავეში მთავარეპისკოპოსი (ეროვნებით ქართველი) ეყოლება. მისი კათედრა მცხეთაში იქნება, ხოლო მონაცვლე სამყოფელი (მეტოქი) კი თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, იმავე სახით, როგორც ეს ადრევე, ქართველი კათალიკოსების დროს იყო.

ეპისკოპოსები მოიხსენებიან არა იმ კუთხის მაცხოვრებელი ხალხის სახელით, სადაც ისინი მოღვაწეობენ, არამედ მათი მოხსენიება მოხდება საკათედრო ქალაქის სახელის მიხედვით. ამასთანავე, ექნებათ სრული ტიტულატურა, ისეთი შემოკლებული კი არა, როგორც ახლა ეპისკოპოს-ვიკარებს მოიხსენებენ.

არაქართველი მოსახლეობისათვის საეგზარქოსოს საზღვრებში დგინდება რუსული ეპარქია, რომელშიც შევა: ქალაქი თბილისი მთელი თავისი სამრევლოებით, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ერენის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიები.

ის მიზეზები, რომელთა გამოც საეგზარქოსოს რუსი სასულიერო პირებისათვის აუცილებლად უნდა დაარსდეს მსგავსი ეპარქია, მოცემულია ქვემოთ ჩანაწერებში.

რუსული ეპარქიის სათავეში დგას მიტროპოლიტი, იგი ასევე წმიდა სინოდის ეგზარქოსია. ეპარქიის კათედრალური ტაძარი თბილისის სიონია. მის განკარგულებაშია ამჟამინდელი საეგზარქოსოს სახლიც. სიონის ტაძრიდან ანჩისხატის ტაძარში უნდა გადააბრძანონ წმიდა ნინოს ჯვარი.

საეგზარქოსო დააფუძნებს სამიტროპოლიტო ოლქს იმავე უფლებებით, როგორც რუსეთში იმავე სახის ოლქებს გააჩნიათ, მხოლოდ მცირე სხვაობით, რომ: ა) მიტროპოლიტი ადვილზე კი არ ირჩევა, არამედ მას წმიდა სინოდი ნიშნავს; ბ) ეპისკოპოსები მას თავის წარდგინებებს ასლების სახით გადასცემენ, რომლებიც თავის დროზე წმიდა სინოდში გადააგზავნენ. ეგზარქოსს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ, გააკეთოს თავისი დასკვნები და ასევე გააგზავნოს წმიდა სინოდში.

სინოდალური კანტორა უქმდება.

ეპარქიების მართვა ხორციელდება ზუსტად იმავე საფუძვლებით, როგორც მიღებულია იმ ეპარქიებისათვის, რომლებიც შედიან რუსული სამიტროპოლიტოების შემადგენლობაში.

ამის შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული უფლებების მქონე საეპისკოპოსოები: რუსული – ბაქოში, ბერძნული – ყარსში, აფხაზური – აფხაზეთში, ოსური – ახალგორში. მასვე

შეუერთდება 30 ოსური სამრევლო ვლადიკავკაზის ეპარქიიდან. სამიტროპოლიტოს მხარეს შეიძლება შეუერთდეს განსაკუთრებული უფლებებით ურუბიის (სპარსეთის) ეპარქიაც.

ახალი რუსული ეპარქიის დაარსებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო რაღაც განსაკუთრებული თანხები. ნაწილი ამ თანხებისა, რომლებიც ამჟამად არის გამოყოფილი სინოდალური კანტორისათვის, შესაძლებელია, ჩაირიცხოს ახალი ეპარქიის მმართველობის შესანახად.

იმ თანხებით, რომლებიც გამოყოფილია სამხედრო სასწავლებლების საბჭოსა და საეკლესიო სკოლების მეთვალყურეების შენახვისათვის, დაკმაყოფილდეს რუსული ეპარქიის საეკლესიო-სასკოლო ადმინისტრაცია.

თბილისში, შესაძლებელია, არსებობდეს ორი სასულიერო სემინარია. ახალ შენობაში განთავსდება არაქართველი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სემინარია (რუსული ეპარქიის) და აქვე განთავსდება დროებით, სპეციალური შენობის მოწყობამდე, სასულიერო სასწავლებლებიც რუსული ეპარქიის სასულიერო პირთა შვილებისათვის. აქ მომსახურე პირთათვის შტატები გადმოვა გორისა და თელავის სასწავლებლებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი დაიხურება. ძველსავე შენობაში დარჩება ქართველებისათვის განკუთვნილი სემინარია. ქართველებსავე რჩებათ თბილისის სასულიერო სასწავლებელიც. ქართული სემინარიის შენახვისათვის გამოყენებული იქნება საქართველოს ეკლესიის სახაზინო თანხები. რაც შეეხება არაქართველი მოსახლეობისათვის გახსნილ სემინარიას, იგი იმ სახელმწიფო თანხებს გამოიყენებს, რომლებიც ამჟამად გამოყოფილია ქუთაისისა და თბილისის სემინარიებისათვის.

ქართველი სასულიერო პირების შვილებისათვის განკუთვნილი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების სასწავლო-ადმინისტრაციული საქმის მოწყობის პროექტი შეიძლება დამტკიცდეს ქართველი ეპისკოპოსების მიერ მოწყობილ თათბირზე, რომელსაც ეგზარქოსი უხელმძღვანელებს. თათბირის ბოლოს კი კრების გადაწყვეტილება წმიდა სინოდს წარედგინება.

რუსულენოვანი სასწავლო დაწესებულება რუსეთში მიღებულ საერთო წესებს იყენებს.

საქართველოს, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიათა მღვდელმთავრებს უშუალოდ უნდა დაევალოთ და მოვალეობად უნდა დაეკისროთ ის, რომ არაქართველენოვანი სამრევლოებისათვის დანიშნონ მათივე თანამემამულე მღვდელმსახურები: რუსულში – რუსი, ბერძნულში – ბერძენი და ა. შ.

ქართველი მღვდელმთავრები ვალდებული არიან ფლობდნენ რუსულ ენას. რუსულ ენას უნდა ფლობდნენ აგრეთვე საეპარქიო სამმართველოს წევრები, საერო მოხელეები, მთავარეპისკოპოსისა და საეპარქიო სამმართველოს მომსახურე პერსონალი, სასულიერო-სასწავლო დაწესებულების გამგეები და მომსახურე პერსონალი, საეპარქიო და სამაზრო მნიშვნელობის საეკლესიო სკოლების ზედამხედველები, მეორე ხარისხისა და ორკლასიანი საეკლესიო სკოლების გამგეები და ყველა სახის საეკლესიო სკოლების მასწავლებლები. წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების მასწავლებლების გარდა ყველანი უნდა ფლობდნენ რუსულ ენას.

კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის II პროექტი (საეგზარქოსო გაუქმებულია)

სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ორი სამიტროპოლიტო ოლქი ფუძნდება, რომელთაგან ერთი უშუალოდ ქართულია. მისსავე შემადგენლობაში შედის: საქართველოს, იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები. გარდა ამისა, მას მიეკუთვნება ის მეგრული სამრევლოებიც, რომლებიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. ქალაქი ბათუმი გადაეცემა სოხუმის ეპარქიას და თავისთავად გამოეყოფა ქართულ სამიტროპოლიტოს. ჩრდილოეთში მდებარე სამრევლოები ჯავის ხეობიდან და გუდაურის უღელტეხილიდან მიეთვლება ვლადიკავკაზის ეპარქიას. ქართული ეპარქიის მღვდელმთავარს მიენიჭება მიტროპოლიტის ტიტული. სამიტროპოლიტო კათედრა მცხეთაში განთავსდება, ხოლო მისი მონაცვლე სამყოფელი (მეტოქი) კი იქნება თბილისის ანჩისხატის ტაძარი.

ამ სამიტროპოლიტო მხარის შინაგანი მოწყობა უნდა ემთხვეოდეს რუსეთის სამიტროპოლიტოს მხარეების მოწყობას. ცალკეული ეპარქიის ეპისკოპოსებს აირჩევენ სამიტროპოლიტო კრების მიერ წმიდა სინოდის მიერ დადგენილი დროისა და წესის გათვალისწინებით.

სამიტროპოლიტო კრებამ უნდა გადაწყვიტოს იმერეთის კათედრის სამთავარეპისკოპოსო ხარისხში აყვანისა და გურიის საეპისკოპოსოს მასთან შემდგომი ურთიერთობის საკითხი, ასევე

სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისა და სამიტროპოლიტოს შიდა მოწყობის ყველა საკითხი.

სამიტროპოლიტოს მხარის ეპისკოპოსებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნები:

ეპისკოპოსი უნდა გამოირჩეოდეს სათანადო და აუცილებელი საღვთისმეტყველო განათლებით. მან ასევე უნდა იცოდეს სახელმწიფო (რუსული) ენა. იგი ვალდებულია არაქართულ სამრევლოებში მღვდელმსახურებად მრევლის თანამემამულე პირები დაადგინოს, არ დააწესოს ქართული ენა ეკლესიასა და სკოლაში.

რუსული ენის ცოდნა სავალდებულოა საეპარქიო მმართველობის წევრებისა და მოხელეებისათვის, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების გამგეებისათვის და მომსახურე პერსონალისათვის, ორკლასიანი და მეორე ხარისხის სკოლებისათვის, ყველა საეკლესიო სკოლის პედაგოგისათვის, წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლების პედაგოგების გარდა.

თბილისის სასულიერო სემინარიის ძველი შენობა უნდა გადაეცეთ ქართველებს ახალი სასულიერო სემინარიის გასახსნელად. ამასთანავე, მისი რჩენა (შენახვა) მოხდება იმ თანხებით, რომლებსაც საქართველოს სასულიერო ხაზინა გასცემს თბილისისა და ქუთაისის სემინარიებს. რაიმე სახის საჩივრისა და, საერთოდ, მნიშვნელოვანი საქმეების გადასაჭრელად სრულიად რუსეთის წმიდა სინოდს უფლება აქვს საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქში, ისე როგორც ყველა დანარჩენ ოლქში, რევიზიისათვის გააგზავნოს განსაკუთრებულად უფლებამოსილი ეგზარქოსი საქმის წარმოებისა და საჩივრის გადასამოწმებლად.

რუსეთის ეკლესიის ღირსებისათვის, ასევე არაქართული მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და ინტერესებისათვის, განსაკუთრებით კი რუსი ხალხისათვის ქართული სამიტროპოლიტოს მხარის გვერდით ამიერკავკასიაში უნდა დაფუნდეს რუსული სამიტროპოლიტო ოლქი (მხარე). მოტივები (მიზეზები), რის მიხედვითაც არის მოთხოვნა რუსული ეპარქიის დაარსებისა, მოცემულია აქვე მოყვანილ ამიერკავკასიაში მოღვაწე რუსი საეკლესიო პირების ჩანაწერებში.

რუსული სამიტროპოლიტოს მხარის სათავეში მიტროპოლიტი დგას. მისი ადგილსამყოფელი თბილისშია, ხოლო საკათედრო ტაძარია სიონი. ამიტომაც წმ. ნინოს ჯვარი შეიძლება გადავიტანოთ ანჩისხატის ტაძარში. სამიტროპოლიტოებს ეკუთვნით შემდეგი ეპარქიები: ქ. თბილისი, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა, ყარსის ოლქი, ერევნის, ელიზავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიები. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბაქოში აუცილებლად დაარსდება განსაკუთრებული საეპისკოპოსო, ისეთივე, როგორც ყარსშია. რუსეთის სამიტროპოლიტოს მხარეში შედის სოხუმის ეპარქია ქ. ბათუმით, ვლადიკავკაზის ეპარქია, ტაშკენტის ეპარქია (კასპისპირეთის ოლქი 1901 წლამდე შედიოდა საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში), ასევე განსაკუთრებული უფლებებით სპარსეთის ურუბის საეპისკოპოსო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის (რუსული) სამიტროპოლიტოს მხარის მიტროპოლიტები დასავლეთ ამიერკავკასიის (ქართული) მხარის მიტროპოლიტებთან ერთად ღვთისმსახურების დროს დაიკავებენ საპატიო ადგილს ხელდასხმულთა შორის.

რუსეთის სამიტროპოლიტოს მხარეს გააჩნია სემინარია (ახალი შენობა) თბილისში. მას ინახავენ იმ სახელმწიფო თანხებით, რომლებიც გამოყოფილია თბილისისა და ქუთაისის სემინარიებისათვის. შესაბამისი შენობის მოწყობამდე არაქართველი მღვდელმსახურების შეიღებისათვის იმავე შენობაში გაიხსნება სასულიერო სასწავლებელი, რომლის შტატებსაც თელავის ან გორის სასულიერო სასწავლებლის საშტატო განრიგიდან შეავსებენ, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სასწავლებელს გააუქმებენ.

იმ ეპარქიის მმართველობის შენახვისათვის, რომელიც მიეკუთვნება რუსეთის სამიტროპოლიტოს, თანხები გაიცემა სახელმწიფო ხარჯებიდან, რომლებსაც ახლა სინოდალური კანტორა გასცემს. საეკლესიო-სასკოლო ინსპექციის შენახვის თანხებს იმ ხარჯებით ფარავენ, რომლებიც გამოყოფილია სამხრეთის სასწავლო საბჭოსათვის და სამხარეო ზედამხედველობისათვის.

განსაკუთრებულმა კომისიამ ის თანხები უნდა გაანაწილოს, რომლებიც ამჟამად საქართველოს საეგზარქოსოს შენახვისათვის არის გამოყოფილი. თანხები თანაბრად უნდა განაწილდეს ორივე სამიტროპოლიტოსათვის. კომისიაში შეუძლიათ შევიდნენ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები.

ამ პროექტის აღსრულებისას ყველა მიზეზი ქართველი ეპისკოპოსების უკმაყოფილებისა და ყველა უკმაყოფილება ზემოთ მოხსენიებული სინოდალური დადგენილების მიმართ, რომელიც ძალაში

შევიდა ა. წ. აგვისტოს თვეში და უშუალოდ ეხება კირიონისა და ლეონიდის აზრებს, თავისთავად გაუქმდება³.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე გაყოფილების სხდომების მსგელობიდან გამომდინარე ცხადი იყო, რუსეთის საიმპერატორო კარს და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უწმიდეს სინოდს საეკლესიო კრების წინარე თათბირის დაწყებამდე უკვე მიღებული ჰქონდა პოლიტიკური გადაწყვეტილება – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესებს.

Gvantsa Burduli

Fight for restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church The conference preceding of Russian Church Council (December 13th, 1906)

Summery

Discussing the restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church in conference preceding of Russian Church Council (1906) was a great appearance. Without studing this question it would be impossible to consider scientifically one of the important period of Georgian Apostolic church history, concretely the history of autocephalous movement. It would not be representing the merit great church hierarchs such as Bishop Kyrion (Gerogi sadzaglishvili), Bishop Leonidi (Longinoz Oqropiridze) and others, also notable Georgian scientists Niko Mari, Aleqsandre Tsagareli, Aleqsandre khakhanashvili's merit in struggle of restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church. It is not known as well how Russian scientists and clergy fought against the restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church in conference preceding of Russian Church Council. Georgian church hierarchs and scientists substantiate greatly the restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church, but they did not achieve practical result.

The purpose of the present paper is to present the most important question such as legality of the restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church in conference preceding of Russian Church Council, concretely: Russian Church position in conference preceding of Russian Church Council (December 13th, 1906).

³Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 13 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №8 за 1907 год, стр. 193-197.

ეპისკოპოს კირიონ II-ის მემკვიდრეობა

„ჩვენს წინაპართა შეგნებაში და მოქმედებაში ისევე განუყოფელი იყო სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარული, როგორც განუყოფელი იყო ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება“¹ – ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II თავის ერთ-ერთ ქადაგებაში და მართლაც, ჩვენი მატრიარქის ფურცლები სხვას არას გვითხრობენ, მამულისა და რწმენისათვის თავდადების გარდა.

ყოველ ქართველში ოდითგანვე შენივთებული იყო ღვთაებრივ საუნჯეთა „ენის, მამულისა და სარწმუნოების“ დაცვა. „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს-ო“, დიას, მხოლოდ თავის ღვთისმოსავ ერს აძლევს უფალი ძალას, იმდენად, რომ მიუხედავად სახელმწიფოებრივი სიმცირისა, შეძლოს ავბედითობისა და გაჭირვების დაძლევა. უფალი ღირსეულ წინაპართა ფესვებიდან აღმოცენებს ხოლმე ღვთისმოსავ მოღვაწეთ, რომელთაც ძალუძთ ერის ჩვეულებისამებრ სვლის გზით ტარება“². ამგვარი ღვთისა და კაცის მსახური პიროვნება მოვევლინა ტანჯულ საქართველოს წმინდა მღვდელმთავრად კირიონ II-ის სახით. აკიფდა ქართველთა ცაზე თავისუფლებისაკენ გზის მიმანიშნებელი ვარსკვლავი. შემთხვევითი არ ყოფილა ალბათ ის გარემოებაც, რომ 1855 წლის 10/23 ნოემბერს დაიბადა სწორედ, კირიონ (გიორგი) საძაგლიშვილი; დიას, სწორედაც რომ წმინდა გიორგის ბორბალზე წამების დღეს გაჩნდა ადამიანი, რომლის ცხოვრების მთელი გზა ისევე, როგორც ქართველი ერისა, წილნაყარი იყო ტანჯვა-წამებასთან.

წმინდა მღვდელმთავრად კირიონი ის პიროვნება იყო, რომლისთვისაც ისტორიული სინამდვილით გამოწვეული ქართველთა უმძიმესი ყოფა მიუღებელი იყო. ამ ყოფის შეცვლისთვის ბრძოლას შესწირა მან თავისი ცხოვრება, როგორც თავად ბრძანებდა: „ვინც სამშობლოს კეთილდღეობაზე არ ზრუნავს ის უღირსი შეიღია ერისა“-ო³.

ეროვნული თავისუფლებისა და მასთან ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვამ, გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა საქართველო, რასაც ვერ ეგუებოდა წმინდა კირიონი და მასთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია. განა შეიძლებოდა, მონობას შეეუბოდა ის ერი, რომელსაც ოდითგანვე, მონობაში ყოფნას, თავისუფლების ძებნაში სიკვდილი ერჩინა? რა თქმა უნდა არა.

„ძველ ხანას და ძველ ადამიანებს მიეტყუებთ ლეგენდების შექმნა, მაგრამ თავის მხრივ ჩვენ გვევალება განგასხვავოთ ლეგენდები ისტორიული ჭეშმარიტებისაგან“⁴ – ისტორიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის ეს სიტყვები ყველაზე უკეთ ესადაგება წმინდა კირიონ II სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელიც მრავალმხრივ იყო გაშლილი.

ღვთისმსახურებასთან და ღვთისმეტყველებასთან შეზავებული საქართველოს ისტორია, მისი წარსულის კვლევა და თანამედროვეობასთან პარალელების გავლება იყო უმთავრესი ამოცანა, ხან სამშობლოში, ხან კი გადასახლებაში მყოფი მღვდელმთავრისა. გასაოცარია მისი თითოეული ნაშრომის სიღრმე და საკვლევი მასალის საფუძვლიანი ცოდნა. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, გიორგი საძაგლიშვილიდან მოყოლებული კათალიკოს პატრიარქ კირიონ II დამთავრებული არაერთი სამეცნიერო სტატია ქვეყნდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „მწყემსში“, „ივერიაში“, „Закавказский вестник“-ში, „დროებაში“, „Тифлисский листок“-ში, „Новое обозрение“-ში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მისი წერილები გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, რომელთანაც მას მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა.

¹ გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, №13.

² ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 2001, №1, გვ. 13.

³ გ. გურგენიძე. წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი II. თბილისი, 1997, გვ. 113.

⁴ ჟურნალი „რანი ვართ ქართველნი“?!, 1997, №3.

გაზეთი „ივერია“ ფეხდაფეხ მისდევდა წმინდა კირიონ II-ის ცხოვრებას, აქვეყნებდა და აშუქებდა მის საქმიანობას, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“, იყო დაკავშირებული.

უყურადღებოდ არ დარჩენილა არცერთი შემოწირულობა, რომელსაც გიორგი საძაგლიშვილი ახორციელებდა. შემოწირულობა კი მრავლად იყო, ეს იყო არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ტექსტოლოგიური მონაპოვარი, რომელსაც კირიონი მთელ საქართველოში ეძებდა და აგროვებდა, როგორც ქართველი ერის, მისი სულიერი თუ მატერიალური კულტურის საგანძურს.

ავტოკეფალიის დაკარგვის შემდგომ, იმდენი სიწმინდე იქნა გაზიდული ეკლესიებიდან რუსების მიერ, ზოგიც ჩვენი უნიათობით იქნა დაკარგული, რომ თითოეულ ნაპოვნ წყაროს, დეტალს, მარგალიტს, შექმლო ჩვენი დიდებული წარსულის გაცოცხლება და სწორედ, ამ საუნჯის მოვლა პატრონობას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა კირიონისათვის.

მომავალი პატრიარქის ოჯახური ტრაგედიის შემდგომ, პირადული არ არსებობდა, რასაც მოწმობს მისი სიტყვები: „მე ქვეყანა და მასზედ ზრუნვა ფეხებზედ როდი მკიდია... ჩემთვის მარად საღმრთო იქნება ის ლტოლვილება, რომელსაც მივესწრაფოდი. ჩემს სიცოცხლეში ჩემი წარმატებისათვის არ მიზრუნია: „არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო, პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარყვავი“⁵.

კირიონ II-ის მოღვაწეობის პერიოდში არ დარჩენილა არცერთი ტაძარი, სოფელი, რომლის შესწავლა, აღწერა, აღნუსხვა არ მოეხდინა. ხშირად კარდაკარ სიარული უწევდა უნიკალური ხელნაწერების ძიებაში, შემდგომ კი საგულდაგულოდ სწავლობდა და აქვეყნებდა. გაზეთ „ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა ჩამონათვალი იმ წიგნებისა, ხატებისა, მონეტებისა, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა, აპოკრიფებისა, ხელნაწერებისა, რომლებსაც წმინდა მღვდელმთავარი იძიებდა. მისთვის უმნიშვნელო დეტალი არ არსებობდა, როცა საქმე საკუთარი ქვეყნის ისტორიას ეხებოდა.

ამ საქმისათვის არაფერს არ ზოგავდა ეს იქნებოდა ფიზიკური შრომა თუ მატერიალური მხარდაჭერა, აქეთკენ მოუწოდებდა მთელ ერსაც: „მე განვიზრახე შექმლებისდაგვარად აღვწერო ზოგიერთი ქართული ძველი ტაძრები, რომელთა წარსულს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს სამშობლო ისტორიაში. ამჟამად ვწერ ანანურის ტაძრის (მონასტრის) ისტორიულ და არქეოლოგიურ განხილვას, რომლის შესასრულებად დაბეჭდილი ღარიბი წყაროების გარდა საჭიროა ხელნაწერი მასალები, გაფანტული აქა-იქ ძველს ოჯახებში. ამიტომ თქვენის გაზეთის საშუალებით მივმართავ თხოვნით, ყველას ვისაც კი მოეპოვება წერილობითი იადგარები, (დოკუმენტები) ანანურის ტაძრისა და არაგვის ერისთავების გვარეულობის შესახებ, (სიგელ-გუჯრები სათარხნო ქაღალდები და სხვ.) კეთილ ინებონ, მცირე ხნობით გამოგვიგზავნონ ქალაქ ტიფლისში, რომელსამე ქართული რედაქციის სახელზედ... დიდის მადლობით მივიღებ აგრეთვე ყველა ჩვენებას ზემო აღნიშნული საგნების შესახებ. უმორჩილესად გთხოვთ სხვა გაზეთებსაც, გადააბეჭდონ ეს წერილი“⁶. „ივერიაში“ დაბეჭდილი ეს წერილი, ხაზს უსვამს კირიონის, როგორც დიდი მეცნიერის კვლევის სტილს, მისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირადი აზრი, არამედ სხვათა შეხედულებებიც, რომელსაც ის ითვალისწინებდა. ყველა წვრილმანიც კი ყურადსაღებია მისთვის, რეალური სურათის დასახატად, ობიექტური ისტორიის აღსადგენად.

„ბერი“-ს ფსევდონიმით „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში „წინაპართა ნაშთთა მნიშვნელობა“ წმინდა კირიონი მწარე შეფასებას აძლევს თანამედროვე ყოფას ერისას - ავლებს რა პარალელებს წარსულთან „საფიცარ ხატად მიიჩნევს ის პირველ ქართველს, ქართლოსს და მის საფლავს, რითაც ხაზს უსმევს ქართველთა ბიბლიურ წარმომავლობას. ამ „ხატს“ შენალოცები ქართველები, „მით გამხნეებულნი ლომებრ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, აუარებელ მტრებს, ველურებს თუ განათლებით განთქმულებს. მამაცად გუხდებოდით, ჩვენის ხატისთვის თავს ვდებდით მისის გამარჯვებისთვის განწირულად ვხვდებოდით“⁷ როგორც ერი წირავდა თავს ხატისთვის, ასევე „ხატი“ მფარველობდა მის მოსავთაც, ასე „ურთიერთარს“ სიმძიმის ტვირთვით მოდიოდა ქართველი კაცი ამჟამად თავის წარსულში. „წინაპართა ხატება“ იყო ის წმინდა ფესვები, რომლითაც ჩვენ გასზრდობდით, „ხატი“ განსაზღვრავდა ერისა და ბერის ერთობას. მღვდელნი და დიდებულნი

⁵სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II (1855 – 1918). თბილისი, 2014, გვ. 43.

⁶გაზეთი „ივერია“, 1894, №227, გვ. 4.

⁷გაზეთი „ივერია“, 1902, №157, გვ. 2-3.

უგებდნენ ამ „ხატს“ სალოცავ ტაძრებს, მკვიდრ ზღუდეს ავლებდნენ, რათა მტრის თავდასხმის დროს მისი ეზო და ციხე უძლეველ ბანაკად ყოფილიყო“⁸.

წარსულის დიდების გახსენების ფონზე ავტორი აღნიშნავს სავალალო მდგომარეობას თანამედროვე ქვეყნისა: „ბუიოტი ჭყვიის იქ, სადაც წმინდა მამები ღმერთს უგალობდნენ, დაედრომილსა და მშრომელს ზენას ავედრებდნენ-ო“. „ყველა ერი თვის ნაშთებით ამაყობს, ყველას თავი მოაქვს თავის უძველეს ძეგლებით, მათ იცავენ, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან; ზოგნი, თუ ძეგლებით ხელ-ნაკლები არიან, მათ გასამრავლებლად მეზობელი ერის ნაშთებსაც კი იპარავენ, ინებებენ... მხოლოდ მარტო ჩვენა ვართ, რომ ფასი არ ვიცით მამა-პაპათა, ნაშთებისა, ხატებისა, სალოცავებისა, სიწმიდეთა. იქამდისაც-კი მიდის ჩვენი დასავლობი გულზვიადობა და გამბედაობა, რომ ხშირად კიდევ ვპარცვათ მათ, კიდევ ვიპარავთ მათ დაზოგვილს შემოწირულობას, კიდევ ვყიდით მამულებთან ერთად... მომავალი თაობა დაგვგმობს, რომ პატივისცემა არ ვიცით იმისა, რაც უნდა შეადგენდეს უსადგოთეს საზრუნავს ყოველის შთამომავლობისას“⁹.

წმიდა მღვდელმთავარი განსაკუთრებულად ცდილობს წარმოაჩინოს ჩვენი დიდი მეფეების ღვაწლი ქვეყნის სიმტკიცის, მისი აღმშენებლობის საქმეში. გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ის აქვეყნებს სტატიების სერიას, სადაც აშუქებს ერთიანი საქართველოს მშენებლობის თითოეულ დეტალს, იწყებს რა ბაგრატ III-ის ცხოვრებიდან, რომლის დროსაც საქართველოში ადრე ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

წმინდა კირიონი აღწერს, თუ როგორ გამეფდა დავით კურაპალატის და ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის შემწეობით ბაგრატ III სამეფო ტახტზე ჯერ აფხაზეთის, ხოლო შემდგომ ქართლის მეფედ: „ბაგრატ შეუდგა ხელმწიფურს მუშაკობას, სამშობლოს გადიდებისა და გაერთიანებისათვის მედგრად ზრუნვას. საცა ვინ ურჩი და დუხჭირი პოვა დაამხვა, საცა ვინ ერთგული და მოწადმართე იყო, დაიახლოვა, საქმე მიუჩინა“¹⁰.

ბაგრატ III ამ საქმიანობას რასაკვირველია ყავდნენ მოწინააღმდეგენი ურჩ ფეოდალთა სახით, რომელთაც არ სურდათ ერთიანი, მეფის ძლიერი ხელისუფლება. წმინდა კირიონი დეტალურად აღწერს თუ როგორ გაუსწორდა ბაგრატ III ურჩ კლდეკარის ერისთავს რატი ბაღვაშს, როგორ დაამარცხა ამირა ფადლონი და შემდგომ ამისა, „შეიქმნა ბაგრატ თვითმპყრობელად ყოვლისა საქართველოსა და კავკასიისა. ვახტანგ გორგასალს აქეთ ამისებრი დიდი მეფე არავინ გამოჩენილიყო, ამისებრი „სიმართლის მართლად მომქმედი“ „ქვერითა და ობოლთა შემწეარებელი“, გლახაკთა და დაერდომილთ მოწყალე ეკლესიათა და ქვეყანათა მაშენებელი... ბაგრატის მიერ გამტკიცებულს ბალავარზე აღეგო აღმშენებლობა, თამარ-მეფობა და რუსთველობა. ბოროტ ძალთა დამხობით ქვეყანა ამაღლდა, გაბრწყინდა“¹¹. აქვე უნდა აღინიშნოს, ის სავალალო მდგომარეობა, რომ როგორც ჩანს კირიონი არ იცნობს ტაოკლარჯეთის უდაბნოთ ქალაქყოფელს, ღირსმყოფელ მამა გრიგოლ ხანძთელს, რომელმაც სწორად დაუდო მტკიცე ბალავარი ერთიანი, ძლიერი საქართველოს მშენებლობას, ღვთივგვირგვინოსან ბაგრატოვანთა დინასტიით სათავეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს ყველივე იმით იყო გამოწვეული, რომ „მოყვრად“ მოსულმა მტრებმა რუსეთის იმპერიის სახით, როგორც ჩანს გაანადგურეს თითქმის ყველა ის მასალა, რომელიც ქართველს წარსულ დიდებაზე მოუთხრობდა, მის ძირითად შტრიხებს წარმოადგენდა. ამის გამოისობით, არის ალბათ გამოწვეული ის გარემოებაც, რომ თითქმის არცერთი დიდი წმინდანის, კანონიზირების დოკუმენტი, მათი ხსენების დღის ღვთისმსახურების ტიპიკონით განსაზღვრული საკითხავები არ მოგვეპოვება.

მტერი თვლიდა, რომ რაც უფრო ნაკლები ცნობები იქნებოდა ერის ღირსეული წინაპრების შესახებ მით უფრო ნაკლები იქნებოდა თავისუფლების, ეროვნული ღირსების, თვითმყოფადობის აღდგენის სურვილი. ეს ყოველივე უწყობდა რა გიორგი საძაგლიშვილმა უფრო მეტი სიმძაფრით წერდა ჩვენი დიდი წმინდანების შესახებ, თავადაც ამგვარი ცხოვრებით ცხოვრობდა. მისთვის „ორი წმიდათა-წმიდაა ქვეყნიერებაზედ: „სარწმუნოება და სამშობლო“, ეჭვი არ არის, რომ ძალას სახელმწიფოსას ქვეითკირის ცხოვრებისას შეადგენს მორწმუნე ზნეობიანი ხალხი“¹². ამგვარი იყო

⁸გაზეთი „ივერია“, 1902, №157, გვ. 2-3.

⁹გაზეთი „ივერია“, 1902, №157, გვ. 2-3.

¹⁰გაზეთი „ივერია“, 1898, №2, გვ. 2.

¹¹გაზეთი „ივერია“, 1898, №2, გვ. 2.

¹²გაზეთი „ივერია“, 1898, №181, გვ. 2.

ივერიის ფურცლებზე ყოველად უსაღმგდელოესი კირიონის, ალავერდის ეპისკოპოსის პიროვნების შეფასება.

სტატიაში „სვეტი თავისუფლებისა“ კირიონი ეხება ბაგრატ IV ეპოქას და მთავარ ყურადღებას უთმობს ციხე სვეტს, რომელიც „დიდებულმა კაცმა“ აჭარაში ტბეთის ეპისკოპოსმა საბამ ააშენა ტბეთს, „ციხე ხსნისა და სიმტკიცისა“.

წმინდა კირიონი აღწერს თუ როგორ შეკრიბა საბამ იქაური მცხოვრებლებისაგან ჯარი და მტერს, ბიზანტიას მედგრად დაუხვდა. ბერძნებმა სვეტის აღება ვერ შეძლეს: „ბრძოდნენ მას ძლიერსად, სხვადასხვა სახსარს ხმარობდნენ მის ასაღებად. ამოდღმერთმან განაძლიერა მყოფნი სვეტსა, ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი თავთა თვისთა სიკვილიად გასწირვიდეს, სისხლთა დასთხევდეს და ასე ამხნევებდნენ ერთურთს: მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და მადლი ახოვნებისა“... მტერს სასოება დაუკარგა და დაბრუნდა, მწვავე ხანგრძლივ ბრძოლას ბოლო ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილმა გართულებამ მოუღო. „კონსტანტინე იმპერატორი მივიდა. 1031 წელს ბაგრატის დედა მარიამ წავიდა საბერძნეთს, ითხოვა მშვიდობა აღმოსავლეთისათვის და თავის შვილისთვის ცოლად ელენე ბატონიშვილი... ბაგრატ მეფემ ჯვარი დაიწერა, ქორწილი გადაიხადა და წავიდა ქუთაისს“. ამ მოვლენების გადმოცემით ავტორი ცდილობს თანამედროვეთ დაანახოს, თუ რა არის „სვეტი თავისუფლებისა“ - ეს არის ერთობა ერისა, ძლიერება მეფისა, და სწორად წარმოებულ, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკა, რომელიც ქმნის ძლიერ სახელმწიფოს.

ეხება რა წარსულს, კრიტიკულად აფასებს ქართველი დიდკაცობის მერყევ მოღვაწეობას საქართველოს ისტორიაში: „ლიპარიტ ორბელიანი იხერხებოდა - მეფის გაძლიერების გამო“¹³ ლიპარიტს აბაზასძეების და სხვა აზნაურთა სამარცხვინო საქმეების აღწერით, რომელთაც თავისი ქვეყნის წინაშე სახელი შეირცხვინეს ჯაშუშობით, ძმათა გამცემლობით, თანამოძმეთა გამყიდველობით - კირიონი ცდილობს დაგვანახოს თუ როგორი არ უნდა უნდა იყოს ქართველი, ამგვარ ქართველებს ის მოიხსენიებს, როგორც „განმათავისუფლებელთა მტრებად“ და მწუხარებით აღნიშნავს, რომ „ისეთი დიდი მეფეც, როგორც იყო დავით აღმაშენებელი, აგრეთვე ვერ გადაურჩა მაშინდელ დიდებულთა და დიდგვარ თავადთა შუღლს და მტრობას“-ო¹⁴. ამ მოვლენის სიმძაფრით გადმოსაცემად, მას მოჰყავს მემატიანის სიტყვები: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს, პირველიდგანვე თვისთა უფალთა: რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“-ო,¹⁵ ამგვარ ადამიანებს „ციდამტკაველებად“ მოიხსენიებს წმინდა კირიონი, რომელთაც შეძლეს და არაბთა უღლისაგან განმათავისუფლებელს ისარიც კი ესროლეს მოსაკლავად „გარნა ღმერთი ჰვარავდა თავის ცხებულს“, რომ არა ღვთის შემწეობა და მფარველობა ალბათ შეუძლებელიც კი იქნებოდა ჩვენისთანა პატარა ერის გადარჩენა, ისევე ერისა და ბერის ერთობამ, ძლიერი მეფის მტკიცე მარჯვენამ, „ძლევაი საკვირველმა“ და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ „გაწმინდა საქართველო ნაძირალა კაცთაგან“, თუმცა როგორც ჩანს საქართველოს ისტორიას ლაიტმოტივად გასდევდა ერთგულება და ღალატიც, წმინდა კირიონი არ ერიდება სახელებით მოხსენიებასაც მოღალატეებისა, თავის ერთ-ერთ სტატიაში „წელთა აღმწერლობა თვალხმა არ არის“ ის ჩამოთვლის თითქმის ყველა ფაქტს ბაგრატ III-ის ეპოქიდან ერეკლე მეორემდე, არ ზოგავს არც საერო და არც სასულიერო წოდებას, მათ შორის ეპისკოპოსებსაც კი. თავად სასულიერო პირისგან თითქოს წარმოუდგენელიც კი არის ამგვარი შეფასება, მაგრამ ის ხომ თავისი ბედკრული საქართველოს ჭირისუფალია და სწორედაც, რომ არ ერიდება მხილებას, რომელშიც სიძულვილი კი არ არის, არამედ სიბრალული და სიყვარულია მათდამი. თანაც ავტორმა იცის, რომ ამ ფაქტების დამალვა, მით უფრო მის თანამედროვე ყოფაში უფრო საზიანო იქნებოდა ქვეყნისათვის. ის იმოწმებს რა მემატიანის სიტყვებს: „უამთაღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუ თვალხმა ვისთვისმე დასძენს - „ჩვენც ამგვარ თვალთა საზრისით დავიწყეთ „ისტორიული ცნობის“ - წერა, და შემდეგაც მოვიყვანთ ცნობებს იმ უკეთურ ძალთა შესახებ, რომელთაც ვიმეორებთ ხელი შეუწყვეს საქართველოსა და მასთან მისი კულტურის დამხობას და თვით ქვეყნის დაკნინებას, მისი მიწა წყლის გაყიდვითა და გაფლანგვით“-ო¹⁶.

„უკეთურ ძალთა მზაკერული ჩანაფიქრის მხილებაა წმინდა კირიონის სტატია „თამარ დიდი და მისი სახელწოდება“, რომელიც გაზეთ იერიასში გამოქვეყნდა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ყოველგვარ სიწმინდედ მოძულე ადამიანებს თამარ მეფის სახელის წმინდანობა ეჭვქვეშ

¹³გაზეთი „ივერია“, 1898, №181, გვ. 2.

¹⁴გაზეთი „ივერია“, 1903, №14, გვ. 1.

¹⁵გაზეთი „ივერია“, 1903, №14, გვ. 1.

¹⁶გაზეთი „ივერია“, 1902, №269, გვ. 2.

დაუყენებიათ. რა საკვირველია ეს საუბარი მტრების გეგმის ნაწილს შეადგენდა. დაეკინებინათ ქართველთათვის ყველაზე დიდი სიწმინდე, რომელმაც შექმნა ჩვენს ისტორიაში „ოქროს ხანა“. მიზეზად თამარის არაწმინდანობისა დასახელდა კანონიზირების საბუთის არქონა მისი საფლავის მდებარეობის არცოდნა და მის სახელობაზე აშენებული ტაძრების არარსებობა. თამარის მენელსაცხებლე დედათა კვირას ხსენება კი მამა გიორგი ხელაძემ მეფის თვითნებობას მიაწერა. ამ დასახელებულ მიზეზებს საკადრის პასუხს სცემს წმინდა კირიონი: „თამარის წმიდანად შერაცხვაზედ ეკლესიური დადგენილების უქონლობა ვერ დაარღვევს ქართველი ხალხის ღრა რწმენას, რომ იგი წმინდანია.“

თუ დოგმატურ იურიდიულის მხრივ შევხედავთ საზოგადოდ წმინდანებს, მაშინ ხომ ბევრი მათგანი უნდა გამოვაკლოთ წმინდანების სიას, რადგანაც მათ შესახებ წერილობითი აქტები არ გვაქვს დასასაბუთებლად მათის კანონიზაციისა“-ო¹⁷. მას მაგალითად მოჰყავს ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი მწერლობა, სადაც მისი თქმით „ცხადად დაინახავთ, რომ თამარ ბრწყინვალე ჩვენთა წინაპართა სიცოცხლეშივე სცნეს წმინდანად“¹⁸. ის ასახელებს „გუჯარებს“, სხვადასხვა ცნობილ ავტორთა პოეტურ შესხმებს, „სწავლით განმსჭვალულ“, სახელგანთქმულ სასულიერო მოღვაწეთა გამონათქვამებს, რომელნიც არა თუ წმინდანად აღიარებენ თამარს არამედ: „ღვთისა სწორად თვლიან თამარს, აღარებენ ღვთისმშობელს და სხვა ამგვარ ეპითეტებით იხსენიებენ,“ და ამასთანავე დასძენს „მაშ ეკვი არც-კი უნდა გეჭონდეს, რომ თამარი თანამედროვეთაგან ერთხმად წმიდანად იყო აღიარებული. ან საეკლესიო აქტი რომ შეედგინათ თამარის წმინდანობაზედ ამათხედ უკეთესს, სანდო და სარწმუნო პირებს ვისღა მოაწერინებდნენ ხელს!“¹⁹

ავტორს აქვე მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა ქართველთათვის, რომელიც მიუთითებს წმინდა დედოფლის საფლავის ადგილსამყოფელზე, როგორც ის მოგვითხრობს; „ქართველი ელჩი ხარიტონი, წინამძღვარი ქურმულის მონასტრისა, გაგზავნილი თეიმურაზ მეფისაგან რუსეთში 1619 წელს, მეფე მიხეილ თედორის ზის წინაშე იმეორებს თეიმურაზისაგან დაბარებულ სიტყვებს: - „თეიმურაზი ეხლა სცხოვრობს იმერეთშიო, სადაც დაკრძალულია წმინდა გვამი თამარ დედოფლისაო,“ იქვე მოჰყავს მოწმობა „ქართლის ცხოვრებიდან - „და წაიყვანეს სამკვიდრებელსა გელათად და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა... აღმოიყვანეს (გვამი თამარისა) და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადგეს, და მერე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისთა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“- [იხ. იბიდ. ნაწ. I. გვ. 334, სხოლ. I, 345]²⁰.

ამგვარი დასაბუთებული და არგუმენტირებული მტკიცებულებებით წმინდა კირიონი აქარწყლებს ყოველგვარ ეჭვს და ამხელს უსამართლობას - უდიერებას ჩვენსას, რომელსაც ვინ-ვინ და არ იმსახურებს სწორედ თამარ დედა.

საინტერესოა წმინდა კირიონის მიდგომა ჩვენი ისტორიის იმ საკითხთან, რომელიც გიორგი III და დემნას შორის დაპირისპირებას ეხება, სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე. „ივერიის“ ერთ-ერთ სტატიაში „ორბელიანთა ამოწყვეტას“- ამგვარად ასახავს: „1177 წელს ბნელი ღრუბელი გადაეკრა საქართველოსა ცას. ორბელიანებმა წინ წამოაყენეს დავაჟკაცებული დემნა დავითის ძე. ეს დემნა უკვე ორბელიანის სიძე იყო და ამ სიძის შემწეობით ორბელიანთ ეწადათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ქვენა სურვილები, ვინ იცის აგონდებოდათ, რომ წინაპარით შექმნილიყვნენ, „მეფედ“ საქართველოს სამხრეთ დასავლეთის ნაწილისა თრიალეთ კლდეკართიდან მოკიდებული.

გაიმართა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ორბელიანთ გამარჯვება ბნელ უკუნის გამარჯვებად მიაჩნდათ და ვისაც ქვეყნის ერთგულება ელო გულში, გიორგი მეფეს მიემხრო, კეთილმა ბოროტს სძლია ასე“²¹. ამ ძღვევას კი როგორც ჩვენთვის ცნობილია მოჰყვა ლეკვი ღომისა სწორი – მეფე თამარი და საქართველოს ძლიერების „ოქროს ხანა“. თუმცა, არც თამარის მეფობა ყოფილა მშვიდი და წყნარი, რადგანაც, როგორც წმინდა კირიონი ამბობს იყვნენ მაშინაც „ჯორისებრი გონების“ მქონე – ყუთლუ-არსლანის ნაირი ადამიანები, რომლებიც თავიანთი თავის განდიდების სურვილით ეწინააღმდეგებოდნენ მეფეს. როგორც ავტორი გვითხრობს: „თამარ მეფე ყოველივე ამას ხელადა და რწმუნდებოდა, რომ თუ ავს კაცებს მთები არ შეეკვეცა სახელმწიფო წესიერად ვერ

¹⁷გაზეთი „ივერია“, 1895, №116, გვ. 1-2.

¹⁸გაზეთი „ივერია“, 1895, №116, გვ. 1-2.

¹⁹გაზეთი „ივერია“, 1895, №116, გვ. 1-2.

²⁰გაზეთი „ივერია“, 1895, №116, გვ. 1-2.

²¹გაზეთი „ივერია“, 1903, №24, გვ. 2.

წარემართებოდა“... და ამ მიზნით მოიწვია სწორედ თამარმა სახელმწიფო კრება... კრება, სადაც „განიხილეს სწორი და მრუდი. განმართეს მრუდი. დაამხეს უღირსი. ნიჭიერნი და ღირსეულნი წინ წამოაყენეს, საქმეს მიუჩინეს“²²... ამ ფაქტების აღწერა წმინდა კირიონს სჭირდება იმისათვის, რომ ქართველებს დაუსახოს გზა მომავალი განვითარებისა.

გულისტკივილით ეხება წმინდა კირიონი საქართველოს „ოქროს ხანის“ დასრულებას, მის დაცემას და დაკნინებას, დაშლას, რისი მიზეზიც სამწუხაროდ მერამდენედ ღალატი გახდა. რალატი ხომ ქართველთა თანამდევია „ბოროტი სულია“. სწორედაც „ღალატი“ ჯალალ ედ დინის შემოსევის და თბილისის განადგურების ფაქტების ამსახველ სტატიას, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მან ძირითადი ყურადღება გაამახვილა მონღოლთა სისასტიკეზე და მათ სიძლიერეზე, მაგრამ როგორც ჩანს დამარცხების მიზეზი ეს არ ყოფილა. მიზეზი წმინდა კირიონის თქმით ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის საქციელი იყო, „ხელი რომ გაენძირა ათაბაგ-ამირსპასალარ ივანე მხარგრძელს და მამულისთვის არ ეღალატნა, ეგების საქართველოს სვებედს სხვა გზით ევლო“²³...

მეტად საინტერესოა წმინდა კირიონის მიერ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქის შეფასება წერილში „ცივიზუდ დარბაზობა“. აქ ხაზგასმულია გიორგი მეფის სიდიადე და სიმტკიცე, რამაც გააერთიანა დაცემული საქართველო: „დაფანტული სამეფო ნიკოფსითგან დარუბანდამდე და ტრაპეზუნტედგან კასპიამდე შემოჰკრიბა და „ვითარცა აღმაშენებელმან დაიმონა, განავსნა და აღაშენა ქვეყანა, სჯული და სამოქალაქნო წესნი განაბრწინვა“ და ყველა ეს კი შესძლო მხოლოდ მაშინ, ოდეს „მოიყვანა ყოველნი ამა ქვეყნის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყვიტა მუნ ურჩნი თვისნი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა თვისნი მორჩილნი“²⁴. აი ძლიერი მეფის ძლიერი პოლიტიკა, რომელიც ძლიერი ქვეყნის საწინდარია. იცის წმინდა კირიონმა, რომ მახვილის ამღები ღვთივ-კურთხეული, მირონცხებული მეფის წინააღმდეგ მახვილითვე შეიმუსრება, სხვაგვარად ერი ერთიანი ვერ იქნება. დასასრულს ავტორი აღნიშნავს ქვეყნის დაშლის მიზეზს სამეფო სამთავროებად, „შორს განუჭერეტელი მეფეები არიან, რომელნიც „ცივიზუდ დარბაზობას“ კი არ ჰმართავენ არამედ ისეთ დაფანტულ ქვეყანას საუფლისწუოებად ჰყოფდნენ. თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს შორის“²⁵.

წმინდა კირიონი იყო ჩვენი ღირსეული წინაპრების მათი ცხოვრებისა დიდი მოყვარული და გამგრძელებელი. ის ხედავდა და გრძნობდა, რომ დიდებულნი სიწმინდენი, რომლითაც ამაყობდა ქართველი დავიწყებას ეძლეოდა. ის ამბობდა: „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავისი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის შემთხვევითი როდია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია. ისევე როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიდი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის“²⁶.

ყველა სიკეთესთან ერთად, რომელსაც წმინდა კირიონი აღასრულებდა იყო ქართული საეკლესიო გალობის დაცვის საკითხიც. იგი ძალიან იყო აღშფოთებული იმით, რომ ქართულ გალობას „მგლის ყმუილს“ ადარებდნენ, ის წერდა: „ქართული საეკლესიო გალობა ყვაოდა, როგორც ჩანს ჩვენს სამეფოში, აგრეთვე მის გარეშე მრავალ ქართულ მონასტრებშიც... ათასწლობით ქართული გალობა ატკობს ჩვენს სმენას. გალობა იმთავითვე გვქონდა სამხმიანი და არა უნისონური, როგორც აქვთ ბერძნებს და სომხებს... ქართული საეკლესიო გალობის მცოდნენი, ღვთის მადლით მოგვეპოვებიან და სრული იმედი გვაქვს, რომ ქართული გალობის აღდგენა დიდ სიძნელეს არ შეადგენს“²⁷ როგორც ჩანს ისტორია მეორდება და ეს საკითხი აქტიურია დღესაც.

წმინდა კირიონი განსაკუთრებულად ცდილობს თვის სამეცნიერო კვლევებში გამოყოს ქართველ სასულიერო პირთა ღვაწლი. თავის ფელეტონში „გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პიტიკოსი“, ის მოგვითხრობს მეცნიერზე, „მაღალ-ნიჭიერს ბერ მონაზონზე გიორგი მთაწმინდელზე. მისი შეფასებით ის იყო შესანიშნავი მუშაკი, ფრიად განვითარებული პირი, რომელსაც ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საღვთისმეტყველო ლიტერატურის თარგნის საქმეში: „აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენის ფორმებისა, მისი მიხვრა-მოხვრა, სიღარბისლე, ყვავილოვნება, სინაზე-სიტკობება, სიმარტივე,

²² გაზეთი „ივერია“, 1903, №33, გვ. 2-3.

²³ გაზეთი „ივერია“, 1903, №42, გვ. 2.

²⁴ გაზეთი „ივერია“, 1902, №261, გვ. 3.

²⁵ გაზეთი „ივერია“, 1902, №261, გვ. 3.

²⁶ ე. აბრამაშვილი. კირიონის პირადი საარქივო ფონდი. „მრავალთავე“. ტ. I. თბილისი, 1971, გვ. 362.

²⁷ ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2001, გვ. 111.

ღრმა გამომეტყველება და საზოგადოდ ძვირფასი საღარო ამ ძველის-ძველის კულტურის ენისა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ლინგვისტიკა. გიორგიმ პირველად გამოაქვეყნა და დაგვანახა, რის შემძლებელია ქართული ენა“²⁸.

ავტორის თქმით გიორგი მთაწმინდელმა დიდი დეაწლი დასდო სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას, როგორც ათონის წმინდა მთაზე, ისე საქართველოში. მან განაგრძო ეს დიდი საქმე, რომელიც მისმა წინამორბედმა ათონელმა მამებმა დაიწყეს. ის იყო პიროვნება, რომელსაც სამშობლოს გარეთაც „საბერძნეთშიც, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ბიზანტიის გვირგვინოსანნი და აღმოსავლეთის პატრიარქნი. აქ მუდამ მცველად იყო იგი საქართველოს ეკლესიის ავტონომიისა“²⁹. რაც მთავარია წმინდა კირიონი პირველია, ვინც აღმოაჩინა გიორგი მთაწმინდელში გარდა მთარგმნელისა და ღვთისმეტყველისა, „წარჩინებული პიტიკოსი“, მწერალი ღრმა თეოლოგი იმავდროულად „მშვენიერ ლექსთა მთღზველი ყოფილა“,³⁰ არა მარტო „ქართულს ენაზედ“, მას ბერძნულ ენაზედაც უწერია ლექსები, და ათონის მთიდან მთელს ევროპას მოჰყვინა“³¹.

წმინდა კირიონი განსაკუთრებით აღნიშნავს ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს, ცნობილ მეცნიერს ჰარნაკს დიდი ინტერესი გამოუჩენია ქართული ისტორიული ხელნაწერების მიმართ და პასტორ გ. გ. ბერმანისთვის მიწერია ამ ხელნაწერების მნიშვნელობაზე. როგორც წერილიდან ირკვევა მათ ჰარნაკი „ძველ სირიულ ლიტერატურულ ნაშთებს გვერდით და თვლის, რომ „ამიერითგან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართული კულტურის შესწავლას, მათ ენას და ჩვენამდის მოღწეულს ქართველთა ძვირფას ლიტერატურულ საუნჯეს“³². ამ მოვლენით გახარებული კირიონი თლის, რომ „ბედი ჩვენც გაგვიღიმებს და ახლო მომავალში დასავლეთის ევროპულ სატახტო ქალაქებში დაარსდება ქართლის ენის კათედრები“-ო³³ საზოგადოებისგან კი ითხოვს ხელშეწყობას ამ დიდი საქმის დასაგვირგვინებლად.

წმინდა კირიონი თავის სამეცნიერო სტატიებში აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აპოკრიფების „საზოგადოდ და განსაკუთრებით ქართულის“ ძირეულად აღწერს, მათი შექმნის მნიშვნელობას და საუბრობს მათ სარგებლობაზე. გამოყოფს „დიდაქტიკურ თხზულებას „სიბრძნე ბალავარისას“, რომელიც მეცნიერების აზრით, არის გადათარგმნილი ბერძნულ ენაზე თვით ჩვენი სახელგანთქმულ საღმრთო მწერლის მთარგმნელ წმიდა ექვთიმეს მიერ“³⁴.

განსაკუთრების ღირსია კირიონის დამოკიდებულება ჩვენს უდიდეს განძთან „ვეფხისტყაოსანთან“, რომლის შესწავლაში ახალი ხელნაწერების ერთმანეთის შედარებასა და კვლევაში თავადაც იღებდა მონაწილეობას. საუბრობს რა ამ წმინდა წიგნის შემსწავლელი კომისიის მუშაობაზე წმინდა კირიონი წერს: „კომისიის გამოცემა, როგორც ახალმა ვარიანტმა დაგვარწმუნა, ბევრი მოიპოვება, ეტყობა ჩვენს დიდებულ პოეტის შესწავლის ხანა ჯერ მალე არ დადგება“³⁵.

ვეცნობით წმინდა კირიონის სამეცნიერო სტატიებს პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით კი გაზეთ „ივერიაში“ და ვრწმუნდებით, რომ ის იყო არა მარტო სასულიერო პირი, არამედ მასთან ერთად უდიდესი მკვლევარი და მეცნიერი. მისი შრომები ისტორიის, არქეოლოგიისა თუ თეოლოგიის დარგში დღესაც არ არიან მოკლებულნი გარკვეულ მნიშვნელობას. ფართო განათლების მქონე კირიონის სახელი ცნობილი იყო ყველგან. „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდიაო“ – ბრძანებდა წმინდა კირიონი და ეს თავისი ცხოვრებითაც დაადასტურა. სამშობლოს განუმეორებელმა მოყვარულმა მამულიშვილმა და მეცნიერმა მღვდელმთავარმა თავისი მოწამებრივი სისხლის ფასად მოაპოვებინა საკუთარ ქვეყანას, როგორც ეკლესიის ავტოკეფალია ასევე, ეროვნული დამოუკიდებლობა.

„ცეცხლსა და წამების აღში გაწმინდა კირიონმა თვისი სული საქართველოსთვის და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება ყველაზე ადრე იგი უნდა ზიარებოდა საქართველოს ბედნიერებას“.

„უფალმან ძალი ერსა თისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ ვამბობთ ამ წმინდა სიბრძნეს და ცხადად ჩანს, რომ უფალმა მართლაც მოსცა ძალი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. მოსცა მათ წმინდა მღვდელმთავარი კირიონი, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და

²⁸გაზეთი „ივერია“, 1895, №105, გვ. 1-2.

²⁹გაზეთი „ივერია“, 1895, №105, გვ. 1-2.

³⁰გაზეთი „ივერია“, 1895, №105, გვ. 1-2.

³¹გაზეთი „ივერია“, 1895, №105, გვ. 1-2.

³²გაზეთი „ივერია“, 1904, №112, გვ. 2.

³³გაზეთი „ივერია“, 1904, №112, გვ. 2.

³⁴გაზეთი „ივერია“, 1893, №28, გვ. 2.

³⁵გაზეთი „ივერია“, 1895, №93, გვ. 1.

მოღვაწეობით დაუსახა ერს გზა გადარჩენისა, გზა მამულის ჩვეულებისამებრ სვლისა, გზა მიმევანებელი უფალთან.

Michael (Makhare) Bukia

From the Scientific Heredity of Bishop Kirion II

Summary

The article concerns to the scientific heredity of Bishop Kirion II (George Sadzaglishvili). Saint Kirion's life was very actual and important in many aspects. The rule of his life was especial - he dedicated his life to belief and his country. His goal was searchig the past of Georgia and comparison data to the modern condition of his country. he was not only clerical person but a researcher who wrote a lot of articles about the problems those had Geoggian church and nation. During his life he publised works in periodical and newspapers, for them: „Mtskhemsi“, „Iveria“, „Droeba“, „Zakavkazskii bestnik“, „Tifliskii Listok“, „Novoe Obozrenie“. In particular he worked with „Iveria“ where were publised most of his articles and letters.

Saint father visited vilages of Georgia, where fooked for and discribed churches, icons, folk-lore materials, apocryphes, hard money, manuscripts. Afer discription he studied those materials and publised the analysis about their meaning. It's very important historical and arccaecological discussoion of Ananuri Chuch. In his works he speaks about international meaning of Georgian manuscripts.

With pen-name „Beri“ he wrote about critical situation of Georgia. In his works Kirion II paied especial attention to Georgian kings' life, e.g. Bagrat III, Bagrat IV; In „Iveria“ saint father published the article „Great Tamar and his name“, where the author criticizes people who were against to holiness of saint king. And he also wrote about location of her grave.

In his scientific researches Kirion II wrote about clerics life and merit, e. g. George Mtatsmindeli; It's very actual sant father's article about Georgian church song. He chooses threepart church song, which was natural for Georgian church.

რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787)

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი). ტრაქტატს, ძირითადი მუხლების გარდა, ჰქონდა ოთხი სეპარატული (საიდუმლო) მუხლი, რომელთაგან მეორე, მესამე და მეოთხე მუხლები ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ყოფნას ეხებოდა.

მეორე სეპარატული მუხლი გვაუწყებს: „დაცვისათვის სამფლობელოდსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მკედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქვამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქვეითსა ოთხითა ზარბაზნითა...“ (რუსულ დედანში: „Для охранения владений Карталинских и Кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск его светлости царя на оборону **ея императорское величество** обещает содержать в областях его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками...“).¹ მეორე სეპარატულ მუხლში სავსებით ცხადად იყო განსაზღვრული ვის უნდა გაეღო ორი რუსული ბატალიონის შენახვის ხარჯები: „დაცვისათვის სამფლობელოდსა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მკედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქვამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქვეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუთა ხარისხისაგან მკედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფი ძლით ქვეყანისა თანკმობითა მისის უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღვრისა მთავრისა დადებულითა ფასითა“ (რუსულ დედანში: „Для охранения владений Карталинских и Кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск его светлости царя на оборону **ея императорское величество** обещает содержать в областях его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками, которым провиант и фураж по их штатам производиться будет в натуре от земли по соглашению его светлости с главным пограничным начальником за положенную в штатах цену“).²

მესამე სეპარატული მუხლის ძალით, რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში დამატებითი ჯარი გამოეგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შეეცა: „...დასდუას ჰ[ა]ზრი შეწვევისათვის თქმულთა მათ ქვეყანათა და წინა-აღმდეგობისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუმბრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შეეცხუად სათანადო არს“ (რუსულ დედანში: „...согласить и положить на мере о защищении означенных земель и о действии против неприятеля, который не иначе как за общего врага разумеем быть должен“).³

მეოთხე სეპარატული მუხლი რუსეთს ავალდებულებდა ომის შემთხვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანთან და ოსმალეთთან) ქართლ-კახეთის სამეფოს დახმარებოდა იარაღით, ამასთან ერთად, საზავო მოლაპარაკების დროს, უნდა ეცადა, რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა წინათ

¹Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898, стр. 108-109; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი 1960. გვ. 231; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

²Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898, стр. 108-109; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი 1960. გვ. 231; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

³Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898, стр. 109; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი 1960. გვ. 231-232; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბილისი, 1983, გვ. 71, 77.

მტერთაგან წართმეული ტერიტორიები: „...რათა დროსა ბრძოლისასა იკმაროსმცა ყოველი შემძლებლობა მეცადინობისა ღონითა საჭურ ჭლისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათვის ქ წყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძ ჭლადვე სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუშ დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა...“ (რუსულ დედანში: „...в случае войны употребить все возможное старание пособием оружия, а в случае мира настоящим о возвращении земель и мест, издавна к царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавших, кои и останутся во владении царей тамошних...“)⁴.

§I. წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე, მესამე და მეოთხე სეპარატული (საიდუმლო) მუხლების ძალით, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი უნდა შემოსულიყო, ხოლო ომის შემთხვევაში ჯარის რაოდენობა უნდა გაზრდილიყო. ქართლ-კახეთის სამეფოში ორი რუსული ბატალიონი ოთხი ზარბაზნით 1783 წლის ოქტომბერში შემოვიდა და საქართველოში 1787 წლის ოქტომბრამდე დარჩა. ქართლ-კახეთის სამეფოში ორი რუსული ბატალიონის შემოსვლის, მის მიერ გადახდილი ბრძოლებისა და საქართველოდან გასვლის ისტორია დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამ მოვლენამ თავისი ასახვა პოვა ქართულ და რუსულ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

წყაროები. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ყოფნის ისტორია ძალზე ფრაგმენტულად აისახა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის ქართულ საისტორიო მწერლობაში. **ომან ხერხეულიძე** თავის თხზულებაში „მეფობა ირაკლი მეორისა“ თითქმის არაფერს გვაუწყებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ⁵. იგივე ითქმის **დავით ბატონიშვილის** თხზულებაზე „ახალი ისტორია“ და **ბაგრატ ბატონიშვილის** „ახალ მოთხრობაზე“⁶. დავით და ბაგრატ ბატონიშვილების თხზულებებთან ხედმიწვევით მსგავსებას ამუღვენებს **თეიმურაზ ბატონიშვილის** „ახალი ისტორია“⁷ და **ვახტანგ ბატონიშვილის** „ისტორიები აღწერა“⁸.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის, მის მიერ გადახდილი ბრძოლებისა და უკან გაწვევის ისტორიის შესახებ პირველხარისხოვანი მასალა გამოაქვეყნა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა **ალექსანდრე ცაგარელმა** (1844-1929). 1783-1787 წლებს ეხება ამ გამოცემის მეორე ტომის პირველი ნაკვეთი⁹ და მეორე ტომის მეორე ნაკვეთი¹⁰. ალექსანდრე ცაგარლის პუბლიკაციის დონე, ცხადია, ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეცნიერის დეაწლი ძალზე დიდია პრობლემის შესწავლის საქმეში, ეს გამოცემა დღესაც სამაგიდო წიგნად რჩება.

საკითხის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის **სტეპან ბურნაშევის** (1743-1824)¹¹ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერას, რომელიც სათაურით „Картина

⁴Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898, стр. 109; **იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1960. გვ. 232; **ვალერიან მაჭარაძე**. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბილისი, 1983, გვ. 71, 77 (შეადარე: **О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука“, Москва, 1966. стр.170).

⁵**ომან ხერხეულიძე**. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო **ლელა მიქიაშვილმა**. თბილისი, 1989.

⁶**დავით ბატონიშვილი**. ახალი ისტორია. **ბაგრატ ბატონიშვილი**. ახალი მოთხრობა. თბილისი, 1941.

⁷**თეიმურაზ ბატონიშვილი**. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო **ლელა მიქიაშვილმა**. თბილისი, 1983.

⁸**ვახტანგ ბატონიშვილი**. ისტორიები აღწერა. სარგის კაკაბაძის გამოცემა. ტფილისი, 1914.

⁹Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Том II. Выпуск I. Грузинские тексты. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1898.

¹⁰Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1902.

¹¹**სტეპან ბურნაშევი** (1743-1824)– რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, კარტოგრაფი, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი (1790 წ.), მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში, რუსეთის იმპერიის მმართველი სენატის წევრი (1798-1800 წწ.). 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, დაინიშნა კომისიონერად (რწმუნებულად) ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ იყო რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) ქართლ-კახეთის სამეფო კარზე

Грузии“, 1793 წელს გამოიცა ქ. კურსკში, ხოლო 1896 წელს – თბილისში¹². პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის „Картина Грузии“ თბილისში ნამსახური რუსი მოხელის მემუარებს არ წარმოადგენს. ესაა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა (მინისტრისა) და რუსული ბატალიონების მეთაურის ოფიციალური მოხსენება ან ამ მოხსენების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი. მოხსენებისათვის მასალებს მისი ავტორი ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნის პერიოდში (1783-1787 წწ.) აგროვებდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო სტეპან ბურნაშევის „Картина Грузии“ უაღრესად საინტერესო წყაროა.

1901 წელს სერგეი ბურნაშევა (1875-1929) გამოსცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელშიც პირველად გამოქვეყნდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა (მინისტრისა) და რუსული ბატალიონების მეთაურის პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, რომლებიც რუსი მოხელის საქართველოში ყოფნის პერიოდს (1783-1787 წწ.) ეხება¹³. კრებულში საინტერესო მასალა არის დაცული ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი რუსული ჯარის შესახებ.

ლიტერატურა. ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლის, მის მიერ გადახდილი ბრძოლებისა და უკან გაწვევის ისტორია რუსულ ისტორიოგრაფიაში პირველად პიოტრ ბუტკოვმა (1775-1857) გააშუქა ნაშრომში „Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год“¹⁴, პიოტრ ბუტკოვის დამსახურებაა ის, რომ მან სამეცნიერო მიმოქცევაში პირველმა შემოიტანა დიდი მოცულობის საარქივო მასალა და შექმნა გამოკვლევა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება. პიოტრ ბუტკოვი რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია, მისი მიზანია რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის გამართლება. რუსი ისტორიკოსი ამართლებს საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებას ერეკლე II-ის თხოვნის მიუხედავად, არ გაეზარა ჯარის კონტინგენტი ქართლ-კახეთის სამეფოში, ხოლო 1787 წელს საერთოდ გაეყვანა ჯარი საქართველოდან. ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ცალკეულ საკითხს აშუქებს ნიკოლაი დუბროვინი (1837-1904) თავის გამოკვლევაში „Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России“, რომელიც პირველად 1867 წელს, ხოლო მეორედ 1897 წელს გამოიცა¹⁵. კიდევ უფრო საინტერესოა ნიკოლაი დუბროვინის მრავალტომეული „История войны и владычества русских на Кавказе“, რომლის მეორე¹⁶ და მესამე¹⁷ ტომები ჩვენს საკვლევ საკითხს ეხება. პიოტრ ბუტკოვის მსგავსად ნიკოლაი დუბროვინმაც დიდი მოცულობის საარქივო მასალა შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, გამოიყენა უკვე გამოქვეყნებული დოკუმენტები და მასალები. თავის დროზე ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევა ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა, მას დღესაც არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაი დუბროვინი, პიოტრ ბუტკოვისაგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის აშკარა მესობტედ გვევლინება და ხშირად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამართლებს რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკას, რუსეთის იმპერიის სახლმწიფო უწყებათა, რუს პოლიტიკოსთა და სამხედროთა დამოკიდებულებას ქართლ-კახეთის სამეფოს ბედისადმი. ნიკოლაი დუბროვინის ნაშრომი დაზღვეული არ არის ფაქტობრივი უზუსტობებისაგანაც.

მართალია, პიოტრ ბუტკოვი და ნიკოლაი დუბროვინი ხშირად დაუსაბუთებლად ამართლებენ რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკას, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს: პიოტრ ბუტკოვმა და ნიკოლაი დუბროვინმა ისეთი საარქივო დოკუმენტები და მასალები გამოაქვეყნეს, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთში მყოფი რუსეთის ჯარის შემოსვლის, მის მიერ გადახდილი ბრძოლებისა და ჯარის უკან გაწვევის ისტორიის შესწავლა,

და ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაური (1783-1787 წწ.). სამსახურიდან გადადგა 1800 წელს.

¹²Картина Грузии или описание политическаго состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786 г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896.

¹³Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал С. Н. Бурнашев. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901.

¹⁴П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869.

¹⁵Н. Дубровин. Георгий XII последний царь Грузии и присоединение ее к России. С.-Петербург, 1867. Издание второе, С.-Петербург, 1897.

¹⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886.

¹⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе Том III, С.-Петербург, 1886

შეუძლებელი იქნებოდა იმიტომ, რომ ქართული წყაროები (მატეანეები) მხოლოდ ფრაგმენტულ ცნობებს შეიცავენ.

1899 წელს თბილისში გამოიცა საინტერესო გამოკვლევა – „Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года“¹⁸. წიგნი **ვასილი პოტოს** (1836-1911) რედაქციით გამოვიდა. პიოტრ ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ვასილი პოტოს რედაქციით გამოცემული „Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии.“ მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტებისა და მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით არ გამოირჩევა, იგი ძირითადად უკვე გამოცემულ დოკუმენტებსა და მასალებს, ასევე არსებულ სამეცნიერო გამოკვლევებს (მათ შორის პიოტრ ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის გამოკვლევებს) ეყრდნობა. სამაგიეროდ, „კავკასიური ომების ისტორიული ნარკვევი“ მანამდე გამოცემული ყველა ნაშრომისაგან გამოირჩევა მეცნიერული დონით, გამოკვლევისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით. ამასთან ერთად, გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ვასილი პოტოს რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის მეხოტბეა.

რუსი საბჭოთა ისტორიკოსებიდან 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გამოგზავნის და უკან გაწვევის ისტორიას ეხება **ოლგა მარკოვას** ნაშრომი „Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке“¹⁹. ისევე, როგორც XIX საუკუნეში მოღვაწე რუსი ისტორიკოსები (პიოტრ ბუტკოვი, ნიკოლაი დუბროვინი, ვასილი პოტოს), ოლგა მარკოვაც ცდილობდა გაემართლებინა რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, მიეჩქმალა ხელისუფლებისთვის არასასურველი ფაქტები და მოვლენები, რაც საბოლოოდ ისტორიული პროცესის გაყალბებით დასრულდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოლგა მარკოვამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა დიდი რაოდენობით საარქივო მასალა, გაასწორა პიოტრ ბუტკოვის, ნიკოლაი დუბროვინისა და ვასილი პოტოს ნაშრომებში გაპარული ფაქტობრივი შეცდომები და უზუსტობები.

ქართველ მეცნიერთაგან ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი რუსეთის ჯარის ისტორია პირველად **პლატონ იოსელიანმა** (1809-1875) გააშუქა. მისი წიგნი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ პირველად ავტორის სიცოცხლეშივე – 1767 წელს – გამოიცა, მეორედ 1895 წელს, მესამედ 1936 წელს, მეოთხედ – 1978 წელს²⁰. პლატონ იოსელიანის ნაშრომი საგრძნობლად ჩამოუვარდება პეტრე ბუტკოვისა და ნიკოლაი დუბროვინის ნაშრომებს, ბევრად ნაკლები ღირებულებისაა ვასილი პოტოს რედაქციით გამოცემულ წიგნთან შედარებით. პირველ რიგში, ეს ეხება წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უკუღებებელყოფას.

ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომთაგან საინტერესოა **სარგის კაკაბაძის** „საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.)“²¹, „ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921“²², **გერონტი ქიქოძის** „ერეკლე მეორე“²³ (ნაშრომი პირველად 1947 წელს გამოვიდა, ხოლო მესამედ – 1958 წელს), **იასე ცინცაძის** „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“²⁴. 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ისტორიამ ასახვა პპოვა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რედაქტორის მეოთხე ტომში. 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას ამ გამოცემის მეოთხემეტე თავი ეძღვნება²⁵. იგი დაწერილია **მამია დუმბაძის** მიერ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეოთხე ტომში 1783-1787 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში

¹⁸Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899.

¹⁹**О. П. Маркова**. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука“, Москва, 1966.

²⁰**პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება მეფის გიორგი XIII-სა. თფილისი, ჩეიზ [1867]; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება. ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა. თფილისი, 1895; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფილისი, 1936; **პლატონ იოსელიანი**. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი, 1978.

²¹**სარგის კაკაბაძე** 1922 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.)“. ტფილისი, 1922, გვ. 222-244.

²²**სარგის კაკაბაძე**. ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921. თბილისი, 1997.

²³**გერონტი ქიქოძე**. ერეკლე მეორე. საბლიტგამი, თბილისი, 1958.

²⁴**იასე ცინცაძე**. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი 1960.

²⁵საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი, 1973, გვ. 694-777.

მყოფი რუსული ჯარის ისტორია(ჯარის შემოყვანა, მის მიერ გადახდილი ბრძოლები და უკან გაწვევა) წარმოდგენილია ფრაგმენტულად და უმნიშვნელოვანესი წყაროების გვერდის ავლით.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის ჯარის(ორი ბატალიონის) გამოგზავნა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ნაწილი იყო. საქართველოში გამოსაგზავნი ჯარის რაოდენობის განსაზღვრა, ჯარის კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით რუსეთის სამიწერატორო კართან და კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან ერეკლე II-ის მიმწერა, ერეკლე II-ის თხოვნაზე იმპერატორისა და კავკასიის ხაზის მთავარსარდალის რეაგირება სავსებით გასაგებს ხდის რუსეთის იმპერიის სტრატეგიას სამხრეთ კავკასიაში და ამ სტრატეგიის განხორციელების ტაქტიკურ გზებს.

§2. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში (1783 წლის ოქტომბერი-ნოემბერი)

1783 წლის ოქტომბერი-ნოემბერში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი, როგორც ეს გეორგიევსკის ტრაქტატით იყო განსაზღვრული, ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა. გეორგიევსკის ტრაქტატი ჯერ კიდევ არ იყო ხელმოწერილი, როდესაც გენერალ-ანშეფმა **გრიგორი პოტიომკინმა**²⁶ ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გაგზავნისათვის დაიწყო მზადება. ჯარის გაგზავნის საქმეს პრაქტიკულად გენერალ-პორუჩიკი **პაველ პოტიომკინი**²⁷ ხელმძღვანელობდა. 1783 წლის 1 ივლისს პაველ პოტიომკინს დაეკისრა ჩრდილო კავკასიაში, მოზდოკიდან ასტრახანამდე (კასპიის ზღვამდე), კავკასიის სასაზღვრო ხაზის დაცვა. ცოტა მოგვიანებით, 1784 წლის 2 თებერვალს, იგი დაინიშნა **სარატოვისა და კავკასიის გენერალ-გუბერნატორად** და კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე განლაგებული რუსეთის ჯარების **მთავარსარდალად – კავკასიის ხაზის მთავარსარდალად**. 1785 წლის 5 მაისს შეიქმნა **კავკასიის სამეფისნაცვლო**, რომელშიც შედიოდა კავკასიისა და ასტრახანის ოლქები²⁸.

კავკასიის ხაზიდან (მოზდოკი, გეორგიევსკი) თბილისისაკენ მომავალი გზა ჯარისა და არტილერიის გადაადგილებისათვის გამოუსადეგარი იყო. თბილისში ჩამოსულმა პოლკოვნიკმა **სტეპან ბურნაშევმა**²⁹ პაველ პოტიომკინს აცნობა, რომ იგი შეუდგა თბილისიდან კავკასიონის უღელტეხილამდე გზების შეკეთებასა და ხიდების მშენებლობას. სტეპან ბურნაშევს ერეკლე II 1500 კაცით დახმარებას შეჰპირებია³⁰. ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოზდოკი-ასტრახანის ხაზს ჩაიბარებდა,

²⁶**გრიგორი პოტიომკინი** (1739-1791) – გრაფი, რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი. ეკატერინა II-ის ყურადღება მიიქცია 1762 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს, გახდა იმპერატორის ფავორიტი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში, 1774 წელს მიენიჭა გენერალ-პორუჩიკის, 1775 წელს – გენერალ-ანშეფის, 1784 წელს – გენერალ-ფელდმარშლის სამხედრო წოდება. 1784 წლიდან იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი, ხელმძღვანელობდა ხერსონესის, სევასტოპოლის, ნიკოლაევის და სხვა ქალაქების დაარსებას, გახდა ოსმალეთისა და ირანის დაპყრობა-დანაწილების იდეის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი და მხარდამჭერი, რუსეთის იმპერიის კავკასიური და აღმოსავლური პოლიტიკის პრაქტიკული განმახორციელებელი. რუსეთ-ოსმალეთის 1787-1791 წლების ომის დროს იყო რუსეთის არმიის მთავარსარდალი, გარდაიცვალა 1791 წელს, იასის ზავის დადებამდე.

²⁷**პაველ პოტიომკინი** (1743-1796)–გრაფი, რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი, მწერალი, გრიგორი პოტიომკინის გარე ბიძაშვილი. სწრაფად დაწინაურდა სამხედრო სამსახურში, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში, 1774-1775 წლებში მონაწილეობდა ემელიანე პუგანოვის, და გლეხთა ომის სხვა მთავაგა საქმის გამოძიებაში.1782 წელს დაინიშნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალად, 1782 წლიდან მონაწილეობდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დასადები ხელშეკრულების მომზადებაში, 1783 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, 1783 წლის სექტემბრიდან მეთაურობდა ჩეჩნების წინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ექსპედიციას, 1783 წლია აგვისტოდან მეთაურობდა შეის მანსურის წინააღმდეგ ყუბანისპირეთში მოქმედ სამხედრო ექსპედიციას, მონაწილეობდა 1787-1791 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, 1794 წელს მონაწილეობას იღებდა რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთში დაწყებული აჯანყების ჩახშობაში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები.

²⁸Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора **В. Потто**. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказскаго военного округа. Тифлис, 1899, стр. 163.

²⁹**სტეპან ბურნაშევი** (1743-1824)– რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, კარტოგრაფი, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი(1790 წ.), მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში, რუსეთის იმპერიის მმართველი სენატის წევრი (1798-1800 წწ.). 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, დაინიშნა კომისიონერად (რწმუნებულად) ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ იყო რუსეთის იმპერიის სრულყოფილი წარმომადგენელი (მინისტრი) ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაური(1783-1787 წწ.). სამსახურიდან გადადგა 1800 წელს.

³⁰**Н. Дубровин**. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург,1886, стр. 12;

1783 წლის მაისში, პაველ პოტიომკინმა ობერ-კვარტერმაისტერ **ფოსტს** დაავალა მდინარე **თერგის** გასწვრივ არსებული გზის საქართველოს საზღვრამდე წესრიგში მოყვანა. სამუშაოს შესასრულებლად ფოსტს გამოუყვეს 800 ჯარისკაცი. გრენადერთა ერთი ბატალიონი გზის მშენებლობის უსაფრთხოებას იცავდა. 1783 წლის ოქტომბერში ფოსტმა მდინარე თერგზე ხიდების მშენებლობა დაასრულა. თერგზე, სოფელ **ბალთიდან** (ოსეთი) **ყაზბეგამდე**, გზის 32-კილომეტრიან მონაკვეთზე 27 ხიდი იყო. ფოსტმა საკმაოდ მყარი ხიდები ააგო, თუმცა 1786 წელს აღიდებულმა თერგმა ხიდები მაინც დაანგრია³¹.

1783 წლის ოქტომბერში ჩრდილო კავკასიიდან საქართველოსაკენ დაიძრა რუსეთის ჯარის ეგერთა 2 ბატალიონი 4 საველე ზარბაზნით. იმ წელს ადრე დაზამთრდა. კავკასიონის მთებზე უკვე თოვლი იდო. რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი 1783 წლის ოქტომბერში **ბალთა-ყაზბეგის** გზით შემოვიდა საქართველოში. 1783 წლის 3 ნოემბერს, შემოღობის სუსხიან დღეს, რუსულმა ბატალიონებმა თბილისს მოაღწიეს³².

ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გამოგზავნასთან ერთად გრიგორი პოტიომკინი ცდილობდა ჩრდილო კავკასიიდან (მოზდოკიდან) საქართველოში მომავალი გზის დაცვას. 1784 წლის გაზაფხულზე კავკასიონის მთისწინეთში დაარსდა **ვლადიკავკაზის** ციხე-სიმაგრე, ხოლო მოზდოკიდან ვლადიკავკაზამდე გზაზე აიგო რედუტები: **პოტიომკინი** (მდინარე თერგზე), **კუმბელეინი** (მდინარე კუმბელეიზე), **გრიგორიოპოლისი** (მცირე ყაბარდოში)³³.

ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის, თუნდაც ორ ბატალიონის, შემოსვლა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი იყო. იმპერატორი ეკატერინა II მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა. 1784 წელს პაველ პოტიომკინმა მიიღო დიდი რაოდენობით ფული, რითაც ასტრახანში შეიქმნა წელიწად-ნახევრის სურსათის მარაგი 6.000 ჯარისკაცისათვის, ქერის მარაგი 1500 ცხენისათვის. თუ რუსეთის ჯარი **დერბენტს** (დარუბანდს) დაიკავებდა, ეს მარაგი კასპის ზღვის ფლოტილიას დერბენტში უნდა გადაეტანა³⁴.

1783 წლის 3 ნოემბერს თბილისში შემოსული ეგერთა ორი რუსული ბატალიონი ოთხი საველე ზარბაზნით უკვე საქართველოში მყოფ პოლკოვნიკ **სტეპან ბურნაშევს** დაექვემდებარა³⁵. ცხადია, ეს არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს დააშინებდა. 1784 წლის 6 დეკემბერს იმპერატორმა **ეკატერინა II-მ მეფე ერეკლეს** უწყალობა 24 ქვემეხი ყუმბარების ორი კომპლექტით. 1785 წლის თებერვალში ქვემეხები ოთხთვალეებით სანკტ-პეტერბურგიდან **ტვერში** გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ **ცარიცინამდე** ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ჩრდილო კავკასიაში, ქალაქ **ეკატერინოგრადში**, გადაიტანეს. ასე რომ, ნაწუქარი ქვემეხების სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში ჩამოღწევა ძალზე გაჭინაურდა³⁶. იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ 1784 წელს მეფე ერეკლესთვის ნაბოძები ქვემეხების ნაწილი თბილისში მხოლოდ 1787 წელს ჩამოიტანეს³⁷, მეორე ნაწილს, ერეკლე II-ის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ ჩამოუღწევია თბილისში,³⁸ მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლე იმპერატორ ეკატერინა II-ს 1793

³¹ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 130-131; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 12-13;

³² Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 191; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 13;

³³ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131.

³⁴ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 143.

³⁵ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 191.

³⁶ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 131-132.

³⁷ **Н. Дубровин.** Тысяча восемьсот второй год в Грузии. – «Вестник Европы». Журнал истории, политики, литературы. Том II, 1868. С.-Петербург, 1868, стр. 226.

³⁸ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.-Петербург, 1902, стр. 78., 180.

წლის 17 იანვარს სთხოვდა ჩრდილო კავკასიაში, ეკატერინოგრადში, ჩარჩენილი ქვემეხების ნაწილის საქართველოში გაგზავნის დანქარებას³⁹.

პაველ პოტიომკინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. 1784 წლის ზაფხულში იგი მოზდოკიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა, თუმცა თბილისს მხოლოდ სექტემბერში მოაღწია⁴⁰. პაველ პოტიომკინს თან ახლდა ბრწყინვალე ამაღლა: გრიგორი პოტიომკინის ნათესავი გენერალ-პორუჩიკი **ალექსანდრ სამოილოვიჩი**, ჰესენის პრინცი, რუსეთის ჯარის პოდპოლკოვნიკი **რეინსფელდი** (იგივე რეინსფელდსკი) და ოფიცრები ცნობილი რუსული საგვარეულოებიდან. პაველ პოტიომკინი თბილისში დიდი ზეიმით მიიღეს. ზეიმის დასრულების შემდეგ რუსი გენერალი შეხვდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. პაველ პოტიომკინმა მეფეს ქართული ჯარის გაძლიერების აუცილებლობაზე მიანიშნა⁴¹.

§3. მუსლიმური სამყაროს რეაქცია ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლაზე

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) დადებიდან (1783 წლის 24 ივლისი) რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ-ანშეფმა გრიგორი პოტიომკინმა კავკასიის მუსლიმ მფლობელებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანელ და ჩრდილო კავკასიელ ხანებს) აცნობა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. მუსლიმი მმართველები ამ ცნობამ ძლიერ ააფორიაქა. კიდევ უფრო დიდი მღელვარება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მალე ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარი შემოვიდოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანელი და ჩრდილო კავკასიელი ხანები, ასევე ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას დიდ საფრთხედ აღიქვამდნენ. შიში რუსეთისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა რუსეთის ჯარების მიერ ყირიმის სახანოს დაპყრობა (1783 წ.) და ყუბანისპირეთის დაკავებისათვის ბრძოლების დაწყება⁴². რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში შემოსვლას მუსლიმი მმართველები მიიჩნევდნენ ირანისა და ოსმალეთის ტერიტორიების დაპყრობის დასაწყისად. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიის ხანები, რომლებიც წინათ რუსეთისადმი მტრული მოქმედებისაგან თავს არ იკავებდნენ, ამჯერად სამაგიეროს გადახდის მოლოდინში იყვნენ და გამალებით ემზადებოდნენ თავდაცვისათვის. ხანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ, თუმცა მოქმედების ერთიან გეგმაზე ვერ შეთანხმდნენ. მათი ერთი ნაწილი რუსეთის წინსვლის ბრძოლით შეჩერების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი მზად იყო თავიანთი სახანოები მიეტოვებინა და მეზობელ სახანოებს შეეხიზნოდა.

ირანის გარდა, რუსეთის იმპერიის წინსვლა სამხრეთ კავკასიაში დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსმალეთს. ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებით რუსეთს არ დაურღვევია ოსმალეთთან დადებული არცერთი ზავი, არ შეჭრილა ოსმალეთის გავლენის სფეროში. ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალი იყო და ამდენად, გეორგიევსკის ტრაქტატმა შელახა ირანის და არა ოსმალეთის უფლებები. სტამბოლში კარგად აცნობიერებდნენ იმას, რომ ოსმალეთს ფორმალური საბაბი არ ჰქონდა რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება მოეთხოვა. ამგვარი მოთხოვნის უფლები მხოლოდ ირანს ჰქონდა, მაგრამ ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო 1783-1784 წლებისათვის შინაომებისაგან იმდენად დასუსტებული იყო, რომ რუსეთს პრეტენზიას ვერ წაუყენებდა, მით უფრო, ომს ვერ გამოუცხადებდა. შექმნილი ვითარება ოსმალეთის სულთანს აიძულებდა, რაღაც საშუალებებით ხელი შეეშალა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის დამკვიდრებისათვის. ოსმალეთის მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალი იყო, რის გამოც ოსმალეთი რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობაში ვერ ჩაერეოდა. ამასთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლა ოსმალეთს სერიოზულ საფრთხეს

³⁹Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. А. Пагарели. С.-Петербург, 1902, стр. 112, 89-91, 180.

⁴⁰Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 155.

⁴¹Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 192-193.

⁴²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 22.

უქმნიდა. ოსმალეთის სულთნისათვის კარგად იყო ცნობილი ის, რომ ერეკლე II სამცხე-საათაბაგოს (ოსმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ახალციხის საფაშოს) ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილად მიიჩნევდა და არ იყო გამორიცხული, რომ რუსეთის ჯარი სწორედ ახალციხის საფაშოს ლიკვიდაციისთვის გამოეყენებინა. სტამბოლში ისიც კარგად უწყოდნენ, რომ რუსეთ-ოსმალეთის მომავალი ომი ცხრა მთას იქით არ იყო. ყირიმის სახანოს გაუქმებამ (1783 წ.) უკიდურესად დაძაბა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა. რუსეთთან მომავალ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის ყოფნა ოსმალეთს სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის არანაირი ფორმალური საბაბი არ ჰქონდა. რჩებოდა ერთადერთი გზა: ახალციხის ფაშას მეშვეობით ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ირანული სახანოები (ერევნის, განჯის, ყარაბაღის, ნახჭევანის, ხოსის, შაქის, შირვანის, დერბენტის და სხვ.) და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები (ტარკის შამხალი, ავარიის ხანი, ხუნძახის ხანი და სხვ.) აემხედრებინა. ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ახალციხის ფაშა რუსეთის საწინააღმდეგო ქმედებებში აშკარად არ გარეუღიყო.

ახალციხის ფაშა **სულეიმანს** (გამუსლიმებულ ქართველს ჯაყელების საგვარეულოდან) მოსვენება დაუკარგა ცნობამ რუსების მიერ კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის მშენებლობის შესახებ. გზის მშენებლობა ჯერი დამთავრებული არ იყო, როდესაც ოსმალეთის პროპაგანდის შედეგად ჩრდილო კავკასიაში ყაბარდოელთა, ჩეჩენთა და ინგუშთა მღელვარება დაიწყო. კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ ყაბარდოს, ჩეჩენთა და ინგუშეთის გარდა, ოსმალეთის ემისრები აქტიურად მოქმედებდნენ დაღესტანში. აშკარა იყო, რომ სულთანი ადვილად არ შეურიგდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას⁴³.

1783 წლის ზაფხულში ოსმალთა ფაშა 10.000 მეზობლით ფოთში შევიდა. 1783 წლის მიწურულს ოსმალეთის სულთანმა ტრაპიზონში, არზრუმსა და ახალციხეში, ხოლო მოგვიანებით ყარსში ახალი სარდლები დანიშნა. საქართველოს მოსაზღვრე ფაშებს სტამბოლიდან აცნობეს, რომ რუსეთის ჯარმა კავკასიის მთები გადმოიარა და ოსმალეთისათვის საქართველოს წასართმევად ემზადებოდა⁴⁴. ახალციხის, არზრუმის, ყარსისა და ბაიაზეთის ფაშებმა გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანულ სახანოებს. სტამბოლიდან ირანულ სახანოებსა და დაღესტანში ახალციხის ფაშა სულეიმანის მეშვეობით ხშირად ჩადიოდნენ ოსმალეთის სულთნის ემისრები. სულთნის ფირმანი მუსლიმებს მოუწოდებდა გაერთიანებულიყვნენ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლაში. სულთანმა სულეიმან ფაშას დაავალა დაკავშირებოდა ირანელ ხანებს, ავარიის ხანს და დიდი ფულისა და საჩუქრების მეშვეობით ისინი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაეთანხმებინა. მუსლიმი მფლობელების მოსყიდვის მიზნით ახალციხის ფაშამ სტამბოლიდან 50 ქისა ოქრო მიიღო⁴⁵. სულეიმან ფაშა სასწრაფოდ დაუკავშირდა იმხანად ირანში შაჰის ტახტისათვის მეზობლთა შორის ყველაზე ძლიერ **ალი მურატ ხანს**, ასევე ამიერკავკასიის ირანელ ხანებს და დაღესტნის მფლობელებს. სულეიმანმა მათ რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა: „ცრემლმორეული გეგედრებით დაგვეხმარეთ ჩვენ, მოიმოქმედეთ რაიმე, რათა ურწმუნოები ჩვენი საზღვრებიდან განვდევნოთ“⁴⁶.

ოსმალეთის საბრძოლო სამზადისის შესახებ გრიგორი პოტიომკინი ყოველი მხრიდან იღებდა ცნობებს. 1784 წლის 18 აპრილს ენხელიდან რუსი კონსული ასტრახანის გუბერნატორს წერდა: არზრუმსა და ბაიაზეთში თავი მოიყარა დიდმა ჯარმა, ოსმალთა სარდალი კავშირშია ირანელ და დაღესტნელ ხანებთან, მოუწოდებს მათ დახმარება აღმოუჩინონ ოსმალეთის ჯარს და ყოველ მეზობლს ჯილდოდ წელიწადში 200 მანეთს პირდება⁴⁷.

საქართველოს მოსაზღვრე ოსმალთა ფაშები უკვე აშკარად გამოხატავდნენ აღშფოთებას ერეკლე II-ის პოლიტიკით. სტამბოლში გავრცელდა ხმები ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველთა და რუსთა ჯარის ერთობლივი ბრძოლისათვის მზადების შესახებ. ვითარების განმუხტვის მიზნით გრიგორი პოტიომკინმა გადაწყვიტა პირადად ჩასულიყო სტამბოლში და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურები დაერწმუნებინა გავრცელებული ხმების სიცრუეში. მაგრამ რუსეთის ელჩმა

⁴³ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.201.

⁴⁴ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.201-202.

⁴⁵ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 24.

⁴⁶ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 25.

⁴⁷ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.202.

სტამბოლში იაკობ ბულგაკოვმა 1784 წლის 16 მარტს წერილი გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს და სტამბოლში ჩასვლისაგან თავის შეკავება ურჩია, ვიზიტი არ შედგა⁴⁸.

1783 წლის ზაფხულში ახალციხე იქცა ლეკთა მოთარეშე რაზმების თავშეყრის ადგილად. ახალციხეში ლეკები იღებდნენ ფულს და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის ინსტრუქციას. ახალციხის ფაშას აქტიური მოქმედების შედეგად გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ გაძლიერდა ლეკთა თავდასხმები ქართლ-კახეთის სამეფოზე. სულეიმან ფაშა თავის აგრესიულ მიზნებს არ ამჟღავნებდა და ერეკლე II-ის მეგობრად ასაღებდა თავს. 1783 წელს რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო. ოსმალეთი იძულებული გახდა შერიგებოდა ყირიმის დაკარგვას, რაც დადასტურდა ყირიმის შესახებ რუსეთ-ოსმალეთის 1784 წლის კონვენციით. კონვენციის დადების შემდეგ ოსმალეთის სულთანმა ახალციხის ფაშა სულეიმანს ქართლ-კახეთის მიმართ მტრული მოქმედებისაგან თავის შეკავება უბრძანა. თავის მხრივ, სულეიმან ფაშამ სულთანს ურჩია: ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებები უნდა გაგრძელდეს, რათა ერეკლე II არ გაძლიერდეს. სულთანმა სულეიმან ფაშას აზრი გაითვალისწინა და, რუსეთთან დადებული ხელშეკრულების მიუხედავად, თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა⁴⁹.

1784 წლისათვის სულეიმან ფაშას კონკრეტული გეგმა ასეთი იყო: დაღესტნის მფლობელებს ახალციხეში უნდა გაეგზავნათ 3000 მებრძოლი, რომელთა ჯამაგირითა და სურსათით უზრუნველყოფას ფაშა თავის თავზე იღებდა. დაღესტნის მფლობელთა დიდი ნაწილი, ცხადია, ძარცვა-გლეჯაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ არც ახალციხის ფაშას მიმართ რაიმე კონკრეტული ვალდებულების აღება სურდათ. ამიტომ იყო, რომ ლეკების დიდმა ნაწილმა სულეიმან ფაშას მხარი არ დაუჭირა. დაღესტნის მფლობელებმა ახალციხის ფაშას ასეთი პასუხი შეუთვალეს: „ჩვენ რუსებთან და ქართველებთან ერთად არასდროს ვიქნებით. მზად ვართ ვემსახუროთ სულთანს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი რეალურ დახმარებას აღმოგვიჩენს“⁵⁰. სულეიმან ფაშამ იგრძნო, რომ დაღესტნელების რუსეთის წინააღმდეგ დარაზმვას ვერ შეძლებდა. ამიტომ იყო, რომ მან მთელი ყურადღება სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებზე გადაიტანა. 1784 წელს სულეიმან ფაშა ყარაბაღის (შუშის) ხან იბრაჰიმს წერდა: „წყუელმა რუსებმა კავკასიის მთებში გზა გაიყვანეს, რაც საშუალებას აძლევს მათ გადმოიტანონ არა მხოლოდ საჭირო ბარგი, არამედ არტილერია და ჯარის გამოსაკვებად აუცილებელი სურსათი. რუსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში, ზაფხულის მიწურულს ისინი (ქართველები და რუსები – გ. გ.) ირანზე თავდასხმისათვის შეიკრიბებიან და ისევე გემთანთქავენ ჩვენ, როგორც ზაფხულის წვიმების შემდეგ მოსული ნიაღვარი თავის გზაზე შთანთქავს ყველაფერს“⁵¹. სულეიმან ფაშა იბრაჰიმ ხანს ურჩევდა კარგად დაფიქრებულიყო და ცეცხლი მანამდე ჩაეკრო, სანამ ხანძრად გადაიქცეოდა. სულეიმან ფაშას იბრაჰიმ ხანი შემთხვევით არ შეურჩევია. რუსეთის ჯარის შემოსვლა ქართლ-კახეთის სამეფოში დიდ საფრთხეს უქმნიდა ყარაბაღის ხანს. საქმე ის იყო, რომ ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე უამრავი ქრისტიანი სომეხი ცხოვრობდა, რომლებიც რუსეთს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიიჩნევდნენ⁵².

ოსმალეთის აგენტურა აქტიურად მოქმედებდა ირანში. ქართლ-კახეთის სამეფოს უშუალო მეზობლები, ერევნისა და განჯის სახანოები, ერეკლე II-ის ხელისუფლების უზენაესობას აღიარებდნენ. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან მალე, 1783 წლის ბოლოს, გარდაიცვალა ერევნის ხანი **ჰუსეინ ალი**. თბილისში ერეკლე II-სთან გამოცხადდნენ ერევნის სახანოს წარმომადგენლები, მათ შორის გარდაცვლილი ხანის ორი ვაჟი და მეფეს სთხოვეს ხანის ტახტზე ჰუსეინ ალის უფროსი ვაჟის დამტკიცება. ერეკლე მეფემ თხოვნა დააკმაყოფილა და ერევნის ხანი გახდა ჰუსეინ ალის უფროსი ვაჟი⁵³. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე განჯის სახანოც ხანის გარეშე დარჩა. თვალვითხრილი განჯის ხანი ციხეში ჰყავდა გამოკეტილი ყარაბაღის ხან იბრაჰიმს. განჯის ხანის ტახტი მიტაცებული ჰქონდა **მეჰმედ** ხანს, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის უზენაესობას არ სცნობდა. ერეკლე II-მ და იბრაჰიმ ხანმა განჯაზე ილაშქრეს, მეჰმედ ხანმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ დამარცხდა. ხანი შეიპყრეს, თვალეები დასთხარეს და ციხეში გამოკეტეს. განჯა ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ ხანის ერთობლივ მმართველობას

⁴⁸ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.202.

⁴⁹ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.203.

⁵⁰ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 25.

⁵¹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 25.

⁵² **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 25-26.

⁵³ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

დაქვემდებარა. სახანოს ტერიტორია ორად გაიყო: ერთ ნაწილს ერეკლე II-ის მიერ დანიშნული მოხელე განაგებდა, ხოლო მეორე ნაწილს – იბრაჰიმ ხანისა⁵⁴.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მერყეობა დაეტყო ერეკლე მეფის ძველ მოკავშირე ყარაბაღის ხან იბრაჰიმს⁵⁵. ყარაბაღის ხანმა განჯის სახანოს გადაბირება დაიწყო. იბრაჰიმ ხანმა ერეკლე მეფის წინააღმდეგ განჯის მოსახლეობის აჯანყებაც კი სცადა. ამ მოხუცება არ შედგა, თუმცა მოვლენები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის მაინც არასასურველად განვითარდა – უკმაყოფილო განჯელებმა, როგორც ერეკლე II-ის, ისე იბრაჰიმ ხანის დანიშნული მმართველები გამოაძევეს⁵⁶.

მიუხედავად ქართული ჯარის სისუსტისა, ერეკლე II ცდილობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანულ სახანოებზე, პირველ რიგში, ერევნისა და განჯის სახანოებზე გავლენის აღდგენას. 1784 წელს მეფემ ჯარი შეკრიბა და თავად ანდრონიკაშვილისა და შამშადილუელი ალი სულთნის სარდლობით განჯის დასამორჩილებლად გაგზავნა. განჯის ხანის ლაშქარი ქალაქის მისადგომებთან შეხვდა ქართულ ჯარს, მაგრამ პირველი შეტაკებისთანავე უკან დაიხია და განჯის ციტადელს შეაფარა თავი⁵⁷. ერეკლე მეფე ვარაუდობდა, რომ თუ დერბენტის ხანი ფათალი ყარაბაღის ხანს იბრაჰიმს ვერ გადაბირებდა და იგი ერეკლე II-ს განჯის ხანის წინააღმდეგ ჯარით დაეხმარებოდა, ქართული ჯარი განჯის სახანოს დაიმორჩილებდა⁵⁸. ამიტომ იყო, რომ ერეკლე მეფემ ელჩი გაუგზავნა ფათალი ხანს და ყარაბაღის სახანოს საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავება ურჩია. ერეკლეს ელჩი დერბენტის ხანს ყარაბაღის სახანოსაკენ ჯარით მიმავალს სალიანში შეხვდა. ხანი სალიანში სურსათის მარაგის ამოწურვის გამო შეჩერებულიყო. ფათალი ხანთან ერეკლე მეფის ელჩთან ერთად ახალციხის ფაშა სულეიმანის ელჩიც გამოცხადდა, რომელმაც ფათალი ხანს 3000 ჩერგონეცი, ძვირფასი ქურქი და ბრილიანტებით მორთული საათი გადასცა საჩუქრად. სულეიმან ფაშას ელჩმა დერბენტის ხანს ოსმალეთის სულთნის სახელით დახმარება აღუთქვა. ელჩი ფათალი ხანს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. ახალციხის ფაშა დერბენტის ხანს სწერდა: „ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთი იმიტომ წყალობს, რომ ხელში ჩაიგდოს ირანი. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ მზად იყოთ 1784 წლის ზაფხულში ომის დაწყებისათვის... თქვენ თქვენი მხრიდან შემოუტევთ, მე ჩემი მხრიდან დავესხმები თავს საქართველოს. გირჩევთ თავი მოუყაროთ მთელ თქვენს ჯარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ მალე ინანებთ...“⁵⁹

დერბენტის ხანს, ცხადია, არ სჯეროდა სულეიმან ფაშას დანაპირებისა, მაგრამ ცდილობდა შექმნილი ვითარებიდან სარგებელი მიეღო. ფათალი ხანმა თავისი წარმომადგენელი გაგზავნა პაველ პოტიომკინთან და ახალციხის ფაშას საჩუქრებისა და წერილის თაობაზე აცნობა. ფათალი ხანმა პაველ პოტიომკინს ისიც გააგებინა, რომ ახალციხის ფაშას ელჩი მასთან შეხვედრის შემდეგ ყარაბაღის ხან იბრაჰიმთან მოსალაპარაკებლად გაემართა. იბრაჰიმ ხანს ელჩი დიდი პატივით მიუღია. ქალაქში ელჩის შესვლისას საარტილერიო სალიუტიც კი მიუცია და ელჩის მიღებისას ყველას თვალწინ ოსმალეთის სულთნის მიერ ბოძებული ხალათი მოუსხამს. დერბენტის ხანი კავკასიის ხანის მთავარსარდალს ასევე აცნობებდა: მართალია, იბრაჰიმ ხანი რუსეთის მფარველობაში მყოფად აცხადებს თავს, მაგრამ ოსმალეთის სულთანთან ელჩებს აგზავნის და საიდუმლო მიმოწერაც აქვს სულთნის კართან, საჩუქრებსაც იღებს მისგან⁶⁰. დერბენტის ხანმა პაველ პოტიომკინისაგან შექების ნაცვლად ასეთი პასუხი მიიღო: ახალციხის ფაშას ელჩი უნდა დაგეპატიმრებინა, მოქცეულიყავი ისე, როგორც მოიქცეოდა რუსეთის ერთგული ყველა ადამიანი⁶¹. ფათალი ხანი მიხვდა, რომ იბრაჰიმ ხანის წინააღმდეგ ჩაფიქრებულმა ინტრიგამ მიზანს ვერ მიაღწია. დერბენტის ხანის ლაშქარი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა, ლაშქარს სურსათის მარაგი არ გააჩნდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა დერბენტის ხანმა ქართლ-კახეთის მეფესთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე აიღო გეზი. ხანმა დიდი პატივით მიიღო ერეკლე მეფის წარმომადგენელი. ფათალი ხანი ერეკლე II-ს სთავაზობდა ყარაბაღის სახანოს ორად გაყოფას იმ პირობით, თუ სახანოს გაყოფაში რუსები არ ჩაერეოდნენ⁶². ფათალი ხანი ერეკლე II-ის

⁵⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

⁵⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40.

⁵⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 40-41.

⁵⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 77.

⁵⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 77.

⁵⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 77.

⁶⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 77-78.

⁶¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 78.

⁶²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 78-79.

წარმომადგენელს სთხოვდა მეფისათვის ეცნობებინა შემდეგი: 1. დერბენტის ხანი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ ომს დაიწყო, თუ მეფე ერეკლე 500 მეზობელს დაახმარდა; 2. ყარაბაღის სახანოს დაპყრობისა და ქალაქ შუშის აღების შემდეგ, ყაზახიდან და შამშადილუდან ყარაბაღში გახიზნული თათრები კვლავ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დაბრუნდებოდნენ; 3. ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები მეფე ერეკლეს განკარგულებაში გადავიდოდნენ, ხოლო მუსლიმი მოსახლეობა დერბენტის ხანს დარჩებოდა; 4. თუ მეფე ერეკლე თანახმა იქნებოდა, ყარაბაღის ხანი იბრაჰიმ ხანის ძმა გახდებოდა, რომელიც როგორც ქართლ-კახეთის მეფის, ისე დერბენტის ხანის მორჩილებაში იქნებოდა; 5. თუ დერბენტის ხანის პირობებს ერეკლე მეფე მიიღებდა, ხანი პირობას დებდა, რომ განჯის სახანოს საქმეებში აღარ ჩაერეოდა⁶³. ერეკლე II-ის წარმომადგენელმა დერბენტის ხანს ასეთი პასუხი გასცა: ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის მფარველობაშია და ამდენად, იმპერატორთან შეთანხმების გარეშე თქვენს პირობებზე პასუხს ვერ გავცემთო. ცხადია, ფათალი ხანი, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფისა და ყარაბაღის ხანის კავშირისა ეშინოდა, ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა და გარკვეული კითხვა-პასუხის შემდეგ მეფე ერეკლეს წარმომადგენელს განუცხადა: „მე არ ვაპირებ რაიმე საქმე დავიჭირო რუსებთან და ისინი ჩემი მოღვაწეობის თანამონაწილეებად ვაქციო. თუ ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ჯარი თავის დასაცავად ჰყავს, დაე, იგი ეთათბიროს რუსებს, მე კი მთელი ძალით ვეცდები დავიპყრო ყარაბაღი“⁶⁴.

ქართლ-კახეთის მეფესთან ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ კავშირის შეკერვის წარუმატებელი ცდის შემდეგ დერბენტის ხანი ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. იბრაჰიმ ხანი ქალაქ შუშიდან გამოვიდა და ოთხი ვერსის მოშორებით ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეში გამაგრდა, საიდანაც დახმარების თხოვნით მაცნე გაგზავნა ერეკლე II-თან. მეფეს ჯარის გაგზავნის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ განჯასთან მდგარ თავად ანდრონიკაშვილს და ალი სულთანს სთხოვა, იბრაჰიმ ხანის დასახმარებლად დაძრულიყვნენ. ქართველთა და შამშადილუელთა ლაშქარმა განჯის ციხეს აღეა მოხსნა და იბრაჰიმ ხანის საშველად დაიძრა. განჯაში ზეიმი დაიწყო. მალე განჯელებმა ერეკლე მეფის წინააღმდეგ შამშადილუელი და შამქორელი თათრები აამხედრეს, რამაც მეფეს ახალი თავსატეხი გაუჩინა.

ოსმალეთი ცდილობდა რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთი გავლენიანი მმართველის, ისპაჰანის ხან ალი მურადის გადაბირებას. სულთანი დათმობაზე წავიდა და ბაღდადში ოსმალების მიერ დანგრეული სპარსული მეჩეთის აღდგენისათვის დიდი ფული გაიღო. მიუხედავად ამისა, ხანმა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაგან თავი შეიკავა⁶⁵. პაველ პოტიომკინს უამრავი ცნობა ჰქონდა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთი ყველგან ცდილობდა წყლის ამღვრევას. 1784 წლის აპრილში ახალციხეში დაბრუნდნენ 1783 წლის შემოდგომაზე კავკასიაში გამოგზავნილი ემისრები ხალილ ეფენდის წინამძღოლობით. ემისრების მიზანს შეადგენდა ჩრდილო კავკასიის დაღესტნელი მფლობელებისა და ირანის სახანოების რუსეთისა და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამხედრება. ახალციხის ფაშა სულეიმანი მუსლიმებს რუსეთის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებდა. თავის წერილებთან ერთად სულეიმან ფაშა მუსლიმ მფლობელებს უგზავნიდა რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის გაგზავნილი იმ ნოტის ასლს, რომელიც ადასტურებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლას⁶⁶.

ხალილ ეფენდიმ შემოიარა დაღესტანი, შირვანი და ყარაბაღი, ხოლო შემდეგ ერევანში ჩავიდა. ერეკლე II-ის მიერ ერევნისა და განჯის სახანოების მმართველად დანიშნულმა თავადმა ანდრონიკაშვილმა მეფეს ხალილ ეფენდის შესახებ აცნობა და თანაც ოსმალეთის ემისრისათვის წერილების ჩამორთმევის ნებართვა ითხოვა. მეფე ამ რადიკალური ნაბიჯის წინააღმდეგ წავიდა. 1784 წლის აპრილში პაველ პოტიომკინი სტეპან ბურნაშევს სწერდა, რომ მეფე სავსებით სწორად მოიქცა, როცა ოსმალეთის ემისარს წერილები ძალის გამოყენებით არ ჩამოართვა⁶⁷. ხალილ ეფენდი შუშაში იბრაჰიმ ხანთან დაბრუნდა. ამ დროისათვის შუშა ოსმალეთის ემისრების შტაბ-ბინად იქცა. 1784 წლის 19 აპრილს მეფე ერეკლე სტეპან ბურნაშევს სწერდა, რომ მან შუშაში ხალილ ეფენდისათვის წერილების მოპარვის მიზნით თავისი ხალხი გაგზავნა. შუშაში ხალილ ეფენდის მოღვაწეობის შესახებ პაველ პოტიომკინს ცნობებს აწვდიდა ყაითაღის უცმია ამირ ჰამზა⁶⁸.

⁶³ Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 79.

⁶⁴ Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 79.

⁶⁵ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр. 203.

⁶⁶ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр. 203.

⁶⁷ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр. 204.

⁶⁸ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр. 204.

ხალილ ეფენდის მისიის წარმატება ბევრად განაპირობა იმან, რომ მას მხარი დაუჭირეს დაღესტნელმა მფლობელებმა. სამხედრო კავშირი რუსეთისა და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ თითქოს შეიკრა. 1784 წლის იანვარში ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა შუშაში თავი მოუყარა 8 000 მეზობელს. ყარაბაღის ხანს შეუერთდნენ: ხუნძახის ხანის შვილი, ყაითაღის უცმიის ნათესავი, რამდენიმე მამასახლისი ჩენქეთიდან და სხვები. ამ ცნობის მიღებისთანავე პაველ პოტიომკინმა დაღესტნელ მფლობელებს წერილი დაუგზავნა და სთხოვა, თავიანთი შვილები და ნათესავები ყარაბაღიდან გამოეხმოთ და არ დაეშვათ იბრაჰიმ ხანთან ერთად მათი ახალციხეში ჩასვლა. კავკასიის ხაზის მთავარსარდლის თხოვნა დაღესტნის მმართველებმა ყურად იღეს⁶⁹.

1784 წლის თებერვალში ყაითაღის უცმია ამირ ჰამზამ ახალციხის ფაშას წერილი მიიღო. სულეიმან ფაშა ამირ ჰამზას ახალციხეში 300 მეზობლის გაგზავნას სთხოვდა და თითოეულს ჯამაგირის სახით 60 მანეთსა და ასევე ქართლ-კახეთის დარბევის შედეგად მოპოვებულ ნაალაფარს პირდებოდა. ფაშა ამირ ჰამზას სთხოვდა ახალციხეში თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, რათა უცმიისათვის განკუთვნილი წინა წლების ჯამაგირი აეღო. მსგავსი ხასიათის წერილები სულეიმან ფაშამ ტარკის შამხალ მურთაზ ალის, ავარიის ხან უმმას, ყაზიყუმუხის ხან მუჰამედს და სხვა ხანებს, სულ 24 ხელისუფალს, დაუგზავნა. ხანებმა ეს წერილები პაველ პოტიომკინს გადასცეს, ხოლო ამ უკანასკნელმა 1784 წელს გრიგორი პოტიომკინს მიაწვდინა. უმმა ხანმა არა მარტო სულეიმან ფაშას წერილი გადასცა პაველ პოტიომკინს, არამედ თავისი სამსახურიც შესთავაზა. ახალციხის ფაშას წერილის მიღების შემდეგ ტარკის შამხალმა მურთაზ ალიმ პაველ პოტიომკინს რუსეთის იმპერიაში შესვლის თხოვნით მიმართა.

ჩრდილო კავკასიისა და ირანის მუსლიმ მფლობელებს შორის ანტიქართული განწყობილების შესარბილებლად პაველ პოტიომკინმა ხანებს გაუგზავნა ცნობა რუსეთ-ოსმალეთის 1784 წლის დეკემბრის კონვენციის შესახებ, რომლის ძალითაც ოსმალეთმა ცნო ყირიმის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. ხანებთან გაგზავნილმა რუსმა ოფიცრებმა პაველ პოტიომკინს გადასცეს წერილები, რომლებშიც მუსლიმი მფლობელები რუსეთს ერთგულებას ეფიცებოდნენ. 1784 წლის 30 მაისს პაველ პოტიომკინმა ეს წერილები გრიგორი პოტიომკინს გაუგზავნა⁷⁰.

ამიერკავკასიაში ხალილ ეფენდის წარუმატებელი მისიის მიუხედავად, ოსმალეთი ანტირუსულ პროპაგანდას არ წყვეტდა. მალე სულთანმა უფრო რეალური გეგმები დაისახა. ოსმალებმა თვალი დაადგეს ერევნის ძლიერ ციხე-სიმაგრეს. ხალილ ეფენდის დაგალებული ჰქონდა ერევანში ანტიქართული გამოსვლის ორგანიზება. პაველ პოტიომკინმა სტეპან ბურნაშევის მეშვეობით 1784 წლის თებერვალში ერეკლე II-ს ურჩია თვალყური ედევნებინა ერევნის ახალი ხანისათვის, რომლის ორპირობის შესახებ მას უკვე ჰქონდა ცნობები. ამასთან ერთად, პაველ პოტიომკინი ერეკლე მეფეს ურჩევდა ჯარი შეეყვანა ერევანში. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გართულებებს ელოდა, ამიტომაც შეკითხვა გაუგზავნა გრიგორი პოტიომკინს: როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები ერევნის ციხის დაკავებას შეეცდებოდნენ. ვითარება მართლაც დაიძაბა. ერევნის ხანთან გამოცხადდნენ ახალციხის, ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის ფაშათა ელჩები. ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ერევნის ახალი ხანის ულამ ალისათვის სამიძირის გამოცხადება მამის გარდაცვალების გამო. სინამდვილეში ელჩებმა ულამ ალი ხანს დიდი ფულის სანაცვლოდ ერევნის ციხის ოსმალეთისათვის გადაცემის წინადადებით მიმართეს. ელჩების ვიზიტის შემდეგ მალე, 1784 წლის ზაფხულში, ულამ ალი ხანი მოკლეს. ხანი გახდა მოკლულის თორმეტი წლის ვაჟი მუჰამედი, რომელსაც დედა ქართველი ჰყავდა. ამ დროიდან ერეკლე მეფის გავლენა ერევნის სახანოზე კვლავ გაიზარდა⁷¹.

ოსმალეთი მაინც არ წყვეტდა ერევნის ციხის დაუფლებისათვის ბრძოლას. ახალციხის ფაშა სულეიმანის მცდელობით ერევნის ციხის ხელში ჩაგდებას მიზნით ერთმანეთს დაუკავშირდნენ ერევნის სახანოს ერთ-ერთი გავლენიანი მფლობელი აჰმედ სულთანი და ხოის ხანი აჰმედი. ოსმალეთის სულთანმა აბდულ ჰამიდმა და ოსმალთა ფაშებმა ერევნის მცხოვრებლებს ფირმანი გაუგზავნეს და მეფე ერეკლე II-ისა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდეს. სტამბოლიდან არზრუმში ჩაიტანეს დიდი რაოდენობით ფული. სულთანმა ახალციხის, ბაიაზეთისა და ყარსის ფაშებს უბრძანა ჯარი შეეკრიბათ და ერევანი ერეკლე მეფისაგან დაეცვათ⁷². ამკარა იყო, რომ ოსმალეთმა ირანის „დამცველის“ ფუნქცია იკისრა. ერევნის ხანისათვის გამოგზავნილ ფირმანში

⁶⁹О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.204.

⁷⁰О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.205.

⁷¹О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.205.

⁷²О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.206.

სულთანმა წერდა, რომ „თბილისის მეფე“ (ერეკლე II – ვ. გ.) ცდილობდა აზერბაიჯანელი ხანების რუსეთთან კავშირზე დაყოლიებას, რითაც დაღუპავდა მათ. ოსმალეთის სულთანმა ერეკლის ხანს სწერდა, რომ ხოის ხანი აჰმედი მან ჯარების სარდლად დანიშნა და ირანის სხვა ხანებს დახმარებისაკენ მოუწოდა. სულეიმან ფაშა ერეკლის ხანს სწერდა, რომ ფაშებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ დახმარებოდნენ ერეკლს. ყარსის ფაშა ერეკლე II-ს ემუქრებოდა: თუ რუსეთთან მეგობრობას თავს არ დაანებებ, შენს სამეფოს დავარბევო⁷³.

ერეკლის ციხის ოსმალეთის ხელში გადასვლა დიდი მარცხი იქნებოდა როგორც რუსეთის იმპერიისათვის, ისე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ვერც ერეკლე II და ვერც ეკატერინა II სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ოსმალეთის პოზიციის გაძლიერებას ვერ დაუშვებდნენ. ეს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკას, კერძოდ, ოსმალეთის დასუსტებისა და დაშლის გეგმას. ერეკლის სახანოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერეკლე მეფის მხარდამჭერებსა და ოსმალური ორიენტაციის მომხრეებს შორის. გადაწყვეტ მომენტში, 1784 წლის აგვისტოში, ერეკლე II-მ ერევანში ჯარი (2.000 მეზობელი) გაგზავნა. ერევნელები ცდილობდნენ ქართლ-კახეთის მეფე თავიანთ ერთგულებაში დაერწმუნებინათ. ერეკლის ხანი მუჰამედი სულეიმან ფაშას სწერდა, რომ იგი ერეკლე მეფის მორჩილი იყო. 1784 წლის სექტემბერში კავკასიის ხანის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინის ჩამოსვლამ ერეკლის სახანოს გარშემო ვნებათაღელვა დროებით ჩააქრო⁷⁴.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გამოჩენით შეშფოთებული ოსმალეთი არ ცხრებოდა. 1784 წლის შემოდგომაზე სტამბოლიდან კავკასიაში გამოგზავნეს დიდი მისია (დაახლოებით 60 კაცი) იბრაჰიმ ეფენდის ხელმძღვანელობით. მისიამ თან ჩამოიტანა სულთან აბდულ ჰამიდის ფირმანები და მდიდრული საჩუქრები. სულთანმა ირანისა და დაღესტნის დაცვის მიზნით მორწმუნეებს საღვთო ომისაკენ მიუწოდებდა. იბრაჰიმ ეფენდის მისია აცხადებდა, რომ იგი ირანელი და დაღესტნელი ხანების თხოვნის პასუხად ჩამოვიდა. შეიძლება სტამბოლში დაბრუნებულმა ხალილ ეფენდიმ იბრაჰიმ ეფენდის მართლაც გადასცა ზოგიერთი ირანელი და დაღესტნელი ხანის თხოვნა, მაგრამ ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ დერბენტის ხან ფათალის დასახმარებლად ოსმალეთისათვის მიემართა. უფრო მისაღებია ის, რომ ფათალი ხანს ხმას უვრცელებდნენ მისი დაუძინებელი მტრები ყაითალის უცმია ამირ ჰამზა და ავარიის ხანი უმმა. ამირ ჰამზა და უმმა ხანი პაველ პოტიომკინს ფათალი ხანის წინააღმდეგ გალაშქრებას, დერბენტის, ბაქოსა და შემახიის სახანოების დაკავებას ურჩევდნენ. ერეკლე II-ც გამორიცხავდა ფათალი ხანის კავშირს ოსმალეთთან, რის შესახებაც 1784 წლის 16 ივლისს მეფე ერეკლე პაველ პოტიომკინს წერდა⁷⁵.

იბრაჰიმ ეფენდის მისია კავკასიაში 1784 წლის შემოდგომიდან 1785 წლის გაზაფხულამდე დარჩა და დიდი ენერჯია შეაღია ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ კოალიციის შექმნას. 1785 წლის გაზაფხულზე ერეკლე II-ის წინააღმდეგ გაერთიანდნენ: ახალციხის ფაშა, შირვანის, ნუხის, ყარაბაღის, ხოის ხანები და ჭარელი ლეკების მამასახლისები. ხელშეკრულება ფიცით განმტკიცდა. იბრაჰიმ ეფენდისთან ხელშეკრულების დასადებად მისული ხანების წარმომადგენლები ამ უკანასკნელმა თან წაიყვანა სტამბოლში. მიუხედავად იმისა, რომ იბრაჰიმ ეფენდი ცდილობდა ერეკლე მეფის წინააღმდეგ დადებული ხელშეკრულება დრომდე საიდუმლოდ დარჩენილიყო, ქართველთა დაზვერვამ ეს ამბავი მაინც შეიტყო და სტეპან ბურნაშევის მეშვეობით პაველ პოტიომკინს აცნობა. ერეკლე მეფის წინააღმდეგ ირანელი და დაღესტნელი ხანების კავშირი რეალურად არ ამოქმედებულა. იბრაჰიმ ეფენდიმ ხანები ხელშეკრულების დადებაზე სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მოსალოდნელი ლაშქრობის შიშით დაიყოლია და რადგან ლაშქრობა არ შედგა, ანტიქართული კოალიციაც დაიშალა⁷⁶.

ოსმალეთის ჩანაფიქრი ირანელი ხანების გადაბირების თაობაზე მცდარი გამოდგა. ოსმალები განსაკუთრებით ფათალი ხანის გეგმების ამოცნობისას შეცდნენ. ვერც დერბენტის ხანი და ვერც აზერბაიჯანელი ხანები ოსმალეთმა ვერ მოისყიდა. მართალია, ხალილ ეფენდიმ და იბრაჰიმ ეფენდიმ დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხანებში რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოსადმი სიძულვილი გააძლიერეს, მაგრამ ომის დაწყებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა აზერბაიჯანელი ხანები ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ ოსმალეთთან მეგობრობისაკენაც თავს იკავებდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო ერთიანი ფრონტის შექმნა.

⁷³О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.206.

⁷⁴О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 206.

⁷⁵О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 207.

⁷⁶О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 207

ტრადიციულად, ასეთი ფრონტი ქრისტიანთა წინააღმდეგ საღვთო ომის მოწოდებით იქმნებოდა. 1785 წლის მარტში ჩრდილო კავკასიაში იმამმა **უშურმამ (შეის მანსურმა)** რუსეთის წინააღმდეგ საღვთო ომი დაიწყო. შეის მანსურის მოკავშირედ გამოვიდა ავარიის ხანი უმმა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის ემზადებოდა. ოსმალეთის სულთნის ზეგავლენით უმმა ხანმა იმამ უშურმას შესთავაზა ერთად ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. ავარიის ხანის გარდა, იმამ უშურმას მხარს უჭერდნენ სხვა დაღესტნელი ხანები და ყაზიყუმუსელი მფლობელები. იმიძი უშურმა და მისი მოკავშირეები ყიზლარის სიმაგრისა და ყიზლარიდან საქართველოში მომავალი გზის დაკავებას აპირებდნენ. აჯანყებულები რუსეთთან ომში დამარცხდნენ, იმამი უშურმა დასავლეთ კავკასიონის ხეობებს შეეხიზნა და ამჯერად რუსების წინააღმდეგ ყუბანისპირეთის აჯანყება სცადა. უშურმა აქაც დამარცხდა და თავი ოსმალეთის შავიზღვისპირა სიმაგრე **ანაპას** შეაფარა⁷⁷.

რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ მუსლიმური კოალიციის ჩამოყალიბება მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. დიპლომატიური გზებით გრიგორი და პაველ პოტიომკინებმა ანტიქართული კოალიციის შექმნისაგან ერეკლე II ვერ დაიხსნეს. ანტიქართული კოალიციის ჩაშლის ერთადერთ საშუალებას ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის დიდი კონტიგენტის გამოგზავნა წარმოადგენდა, რაზეც რუსეთის საიმპერატორო კარი, ერეკლე II-ის მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, თავს იკავებდა. ორი რუსული ბატალიონი ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებს ვერ დააშინებდა. ცნობილი რუსი მკვლევარი **ნიკოლაი დუბროვინი (1837-1904)** სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „ქართლ-კახეთის სამეფოში შეყვანილი ეგერთა ორი ბატალიონი ქვეყანას ვერც ყოველი მხრიდან მომდგარი გარეშე მტრებისაგან დაიცავდა და ვერც ქვეყნის შიგნით არსებულ უწესრიგობაზე მოახდენდა გავლენას. მუსლიმი მოსახლეობა (იგულისხმება ერევნისა და განჯის სახანოების მუსლიმი მოსახლეობა – ვ. ბ.) მეტ-ნაკლებად ან საერთოდ არ ემორჩილებოდა მეფეს. რაც შეეხება ქართლში მცხოვრებ თათრებს (ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობა – ვ. ბ.), ისინი გაქცევისათვის მზად იყვნენ (იგულისხმება ყაზახ-შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობის მისწრაფება ყარაბაღის ან სხვა სახანოებში გახიზვნისაკენ)“⁷⁸.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლამ რუსეთის იმპერიის მფარველობაში და გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის ჯარის მცირე კონტიგენტის გამოგზავნამ საქართველოში სერიოზულად გაართულა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ოსმალეთი, ირანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოები) და ჩრდილო კავკასიის მუსლიმი მფლობელები (ავარიის ხანი, ხუნძახის ხანი და სხვ.) ყოველნაირად ცდილობდნენ რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლას და რუსეთის გაძევებას სამხრეთ კავკასიიდან. თავდაპირველად რუსული დიპლომატიისა და ერეკლე II-ის მცდელობით ანტიქართული კოალიციის შექმნა თავიდან იქნა აცილებული. 1785 წლის გაზაფხულიდან ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ გაერთიანდნენ ხუნძახის ხან ომარისა და ახალციხის ფაშა სულეიმანის ძალები. ლეკთა და ოსმალთა შემოსევებმა ორი რუსული ბატალიონის იმედოდ დარჩენილი ქართლ-კახეთის სამეფო უმიძმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

§4. ქართული და რუსული ჯარების ერთობლივი ბრძოლები ლეკთა და ოსმალთა წინააღმდეგ (1784 წლის შემოდგომა – 1785 წლის გაზაფხული)

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ორი ბატალიონის შემოსვლა, ცხადია, სამეფოს მტრებს ვერ დააშოშმინებდა, დიდი საბრძოლო მოქმედებების ჩატარება ორ რუსულ ბატალიონს არ შეეძლო. მეფე ერეკლე რუსეთის ჯარის გამოყენებას ლეკთა წინააღმდეგ აპირებდა, თუმცა ის იმასაც გრძნობდა, რომ ეს სამხედრო ძალა ქართლ-კახეთის სამეფოს ლეკთა შემოსევებისაგანაც კი ვერ დაიცავდა.

1. ალაზნის ბრძოლა. 1783 წლის ნოემბერში თბილისში რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის შემოსვლის შემდეგ ერეკლე II-მ გადაწყვიტა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარით ჭარელი ლეკების წინააღმდეგ გაელაშქრა. 1784 წლის შემოდგომაზე თბილისში მყოფ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს მეფემ ეს აზრი გაუზიარა. მან რუს გენერალს აღუთქვა, რომ ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის 11.000 ქართველი მებრძოლის გამოყვანას შეძლებდა. ამას დაემატებოდა 4.000 მებრძოლი ყაზახ-შამშადილუსა და ბორჩალოდან, 400 სომეხი, ერევნის ხანის ლაშქარი – 1000 და

⁷⁷ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.207-209.

⁷⁸ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 76.

ყარაბაღის ხანის 2.000 მებრძოლი. ასე რომ, ქართლ-კახეთის მეფეს 18.400 მებრძოლის შეკრების იმედი ჰქონდა. პაველ პოტიომკინი დაეთანხმა ერეკლე II-ის გეგმას. მან თბილისში დატოვა გენერალი **ალექსანდრ სამოილოვიჩი**. რუსეთში გამგზავრების წინ პაველ პოტიომკინმა გენერალ-პორუჩიკ ალექსანდრ სამოილოვიჩის განკარგულებაში 1783 წლის შემოდგომაზე თბილისში შემოსული ეგერთა 2 ბატალიონისა და 4 საველე ქვეშევრდომად რუსი გენერალი **გაიოზ არქიმანდრიტს** მოიხსენიებდა, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩენია ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში⁷⁹.

გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვიჩი ლაშქრობის დაწყებას ჩქარობდა, მაგრამ ქართული ჯარის შეკრება ფერხდებოდა. გარდა ამისა, ჯარს არ გააჩნდა საბრძოლო მასალისა და სურსათის მარაგი. სურსათის მარაგი არ გააჩნდა არც რუსეთის ჯარის ორ ბატალიონს. საბოლოოდ მოხერხდა რუსეთის ჯარისათვის ათდღიანი მარაგის შექმნა. ალექსანდრ სამოილოვიჩი პაველ პოტიომკინს მოახსენებდა, რომ ერეკლე II სულითა და გულით ეხმარება მას, რაც არ ითქმოდა მეფის ქვეშევრდომებზე. გენერალი წერდა, რომ მეფის მიერ ჯარისათვის გამოყოფილ თანხას იპარავდნენ. ერეკლე მეფის ერთადერთ პატიოსან ქვეშევრდომად რუსი გენერალი **გაიოზ არქიმანდრიტს** მოიხსენიებდა, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩენია ლაშქრობისათვის მზადების პერიოდში⁸⁰. დაასრულა თუ არა ლაშქრობისათვის მზადება, ალექსანდრ სამოილოვიჩი არ დაელოდა ქართული ჯარის შეკრებას და რუსული ბატალიონები მდინარე ალაზნის ნაპირისაკენ დაძრა⁸¹. 1784 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ეგერთა ორი ბატალიონი, ერთი ესკადრონი და ცხენოსან კაზაკთა რაზმი მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირს მიადგა. მეფე ერეკლე ქართული ჯარით თბილისიდან ცოტა მოგვიანებით უნდა გასულიყო. ალაზნის ნაპირზე მისულმა გენერალმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა შეიტყო, რომ სოფლების მოსახლეობა დიდ შიშთანაა დაკავშირებული იყო – ლეკები განუკითხავად არბევდნენ და ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს. ლეკების თარეშის აღსაკვეთად გენერალმა რუსეთის ჯარის ეგერთა ბატალიონები გაგზავნა. როგორც კი ეგერები ერთი სოფლიდან განდევნიდნენ ლეკებს, მოდიოდა ცნობა მეორე სოფლის დარბევის შესახებ. მეორე სოფელში მისულ ეგერებს ცნობა მისდიოდათ უკვე სხვა სოფლის აწიოკების შესახებ. ლეკები შეუსვენებელივ მოძრაობდნენ მდინარე ალაზნის ორივე ნაპირზე, ხან დინების მიმართულებით, ხანაც დინების საწინააღმდეგოდ. ლეკები ერთიანი ფრონტით არ უპირისპრედობდნენ რუსულ ბატალიონებს – მცირე რაზმებად დაშლილი მოქმედებდნენ. ალექსანდრ სამოილოვიჩი ჯარის დაქსაქსვას ერიდებოდა და ცდილობდა ლეკების ძირითადი ძალები როგორმე ბრძოლაში ჩაეთრია. გენერალს აფიქრებდა ისიც, რომ ერეკლე მეფე იგვიანებდა. ალექსანდრ სამოილოვიჩმა პაველ პოტიომკინს აცნობა, რომ ქართველთა ჯარი რუსებს არ ეხმარებოდა და ერეკლე II-ს უპასუხისმგებლობაში სდებდა ბრალს⁸². რუსმა გენერალმა არ იცოდა ქართლ-კახეთის ლაშქრის დაგვიანების ნამდვილი მიზეზი. სწორედ იმ დღეს, როდესაც ქართველთა ჯარი ერეკლე მეფის სარდლობით თბილისიდან უნდა დაძრულიყო, მეფეს განჯის ხანის შემონათვალი გადასცეს: თუ ერეკლე II ჭარბი ლეკების დამორჩილებას შეეცდებოდა, განჯის ხანი ლეკების მხარეზე იბრძოლებდა⁸³. მეფე სწორედ განჯის ხანის მუქარამ შეაფერხა. ქართველთა ჯარი 1784 წლის 8 ოქტომბერს მაინც შეუერთდა მდინარე ალაზნის პირას მდგარ რუსთა ჯარს⁸⁴.

სანამ ქართველთა და რუსთა ჯარი გაერთიანდებოდა, ამინდი შეიცვალა – დაიწყო დიდი წვიმები. გზები ატალახდა და გაძნელდა არტილერიის გადატანა. მდინარე ალაზანში წყლის დონემ მნიშვნელოვნად მოიმატა, რაც აძნელებდა ჯარის მარცხენა ნაპირზე გადაყვანას. ლეკებმა ქართული

⁷⁹ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 157-158; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

⁸⁰ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

⁸¹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47.

⁸² **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 47-48; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 195.

⁸³ Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 195.

⁸⁴ Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 195.

სოფლების დარბევა შეწყვიტეს. მხოლოდ მცირე ჯგუფები ახერხებდნენ ადიდებულ ალაზანზე გადმოსვლას და დამარტოხელეებუი ადამიანების დახოცვას ან გატაცებას⁸⁵.

მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ქართველთა და რუსთა ჯარის გაერთიანების შემდეგ ერეკლე II ბრძოლისათვის სერიოზულ სამზადისს შეუდგა. გენერალ-პორუჩიკმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა ერეკლე II-ს საბრძოლო გეგმის ორი ვარიანტი შესთავაზა: 1. შეჭრილიყვნენ ბელაქანში, დაერბიათ იქაური ლეკები და შემდეგ შესულიყვნენ ჭარში; 2. დაერბიათ მდინარე ალაზნის მეორე ნაპირზე არსებული ლეკების სოფლები და შემდეგ შეჭრილიყვნენ ჭარში⁸⁶. მეფე დიდხანს ფიქრობდა, პირველად ჭარში შეჭრილიყო თუ ბელაქანში. ალექსანდრ სამოილოვიჩი უკმაყოფილო იყო მეფის უმოქმედობით. განაწყენებული გენერალი პაველ პოტიომკინს წერდა: „დიდი უბედურებაა, ის რომ მეფემ თავის თავზე აიღო სარდლობა და არ გამოგზავნა თავისი სარდლები. მე სარდლებს ვაიძულებდი ემოქმედათ, მეფეს კი შეიძლება მხოლოდ ვურჩიო“⁸⁷. რუსმა გენერალმა არ იცოდა, რომ ერეკლე II-ს უამრავი გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა, სანამ შეტევის მთავარ მიმართულებას აირჩევდა. ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღისა და სხვა სახანოები ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებას შიშით შეპყურებდნენ, არც ერთ მათგანს ჭარელი ლეკების დასჯა და ჭარ-ბელაქანში ქართველთა და რუსთა ჯარის შეჭრა ხელს არ აძლევდა. ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ სახანოების კოალიციის შექმნას სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამდა. მეფეს მორჩილი ხანებისაც არ სჯეროდა, მათგან მუდამ დალატს ელოდა. ერეკლე მეფეს 1750 წელს ჭარის შემოერთებისათვის ბრძოლაში განცდილი მარცხიც კარგად ახსოვდა. ამიტომ იყო, რომ იგი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას ერიდებოდა.

ერეკლე II-ის ფრთხილი მოქმედება რომ გამართლებული იყო, მალე დადასტურდა. 1784 წლის 12 ოქტომბერს მეფემ საგანგაშო ცნობა მიიღო. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის გამოჩენით შეშფოთებულ ჭარელებსა და ბელაქნელებს განჯაში მყოფი ლეკები დასასხმარებლად გამოუხმიათ. 13 ოქტომბერს კახაკთა მზევრავმა რაზმმა განჯიდან მომავალი ლეკები შენიშნა. ქართველთა და რუსთა ჯარი დაუყოვნებლივ მოემზადა ბრძოლისათვის⁸⁸.

1784 წლის 14 ოქტომბერს გამთენიისას მდინარე ალაზნის ნაპირზე გამოჩნდა ლეკთა ლაშქარი, რომელიც სოფელ მუღანლოსაკენ მიიჩქაროდა. სოფელ მუღანლოს გარშემო ხშირი ტყე იყო. ქართველთა ცხენოსანი ჯარი, რუსი დრაგუნები და კახაკები ერეკლე II-ის სარდლობით სასწრაფოდ გაემართნენ სოფელ მუღანლოსაკენ, რათა ტყის მასივის სანაპირო ზოლის დაკავება მოესწროთ. ლეკებმა ქართველებსა და რუსებს დაასწრეს და ტყის ნაპირზე გამაგრდნენ. ტყეში თავშეფარებულ და ჩასაფრებაში მყოფ ლეკებზე ცხენოსანი ჯარით შეტევა სახიფათო იყო. მალე ქართველთა და რუსთა ცხენოსან ჯარს რუსი ქვეითები (ეგერები) შეუერთდნენ⁸⁹. ეგერები ორ კოლონად (თითოეულში 200 მეგრძოლი) იყვნენ მოწყობილი და მათ პოდპოლკოვნიკ ჰესსენის პრინცი რეიხსფელდი მეთაურობდა. რეიხსფელდი ეგერთა ორი კოლონით (400 მეგრძოლი) შეტევაზე გადავიდა, რათა ლეკები ტყის სანაპირო ზოლიდან გაერეკა. მადლობზე განლაგებული არტილერიის მიზანი იყო ტყის სანაპირო ზოლის დაბომბვა. ქვეითი ჯარის ფლანგებზე განლაგდა ცხენოსანი ჯარი. ბრძოლის ველზე დაგვიანებით მისული ქართველი ქვეითები რეზერვში იდგნენ. რეზერვის განლაგებაში იმყოფებოდნენ ერეკლე II და გენერალი ალექსანდრ სამოილოვიჩი. მეფესთან და გენერალთან ერთად იმყოფებოდა მათი დაცვა – 40 რჩეული დრაგუნი და 10 კახაკი პორუჩიკ პიშჩევიჩის მეთაურობით⁹⁰.

1784 წლის 14 ოქტომბერს, დილით, ბრძოლა დაიწყო სამი სასიგნალო რაკეტის გასროლის შემდეგ. არტილერიამ ინტენსიურად დაბომბა ტყის სანაპირო ზოლი. რუსთა ქვეითი ჯარი შეტევაზე გადავიდა.

⁸⁵Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 196.

⁸⁶ Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 48-49.

⁸⁷Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 196.

⁸⁸Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 196.

⁸⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 49.

⁹⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 49-50; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 196-197.

ხეებზე მოკალათებულმა ლეკებმა ძლიერი ცეცხლი დაუშინეს რუსებს, მაგრამ მათ შეტევას ვერ გაუძლეს, რუსებმა ტყის სანაპირო ზოლი დაიკავეს, თუმცა წინ წაწევა ვეღარ შეძლეს. ტყე სავსე იყო ლეკთა ჯარით. გარდა ამისა, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე ლეკთა ახალი ლაშქარი იყრიდა თავს. ლეკები ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ. პორუჩიკი პიშჩევინი თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: „ჩვენი შეტევა იყო სასტიკი, ლეკთა თავდაცვა – სასოწარკვეთილი“⁹¹. გენერალმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა რუსული ბატალიონის მეთაურებს პოდპოლკოვნიკ მერლინსა და პოდპოლკოვნიკ კვაშინ-სამარინს უბრძანა პოდპოლკოვნიკ რეისსფელდის ქვეითებს დახმარებოდნენ. თვითონ გენერალმა, რომელსაც ერეკლე მეფის სიფიცხე არ მოსწონდა, თავი ვეღარ შეიკავა და პორუჩიკ პიშჩევინის რაზმის თანხლებით ტყისაკენ გაიჭრა. ტყის პირას ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა. გენერალმა შეიტყო, რომ პოდპოლკოვნიკ რეისსფელდის ქვეითთა დასახმარებლად გაგზავნილი პოდპოლკოვნიკ მერლინისა და პოდპოლკოვნიკ კვაშინ-სამარინის ეგერთა ბატალიონებს ჯერაც ვერ მიეღწიათ ბრძოლის ველამდე. გენერალი პორუჩიკ პიშჩევინის დრაგუნთა და კაზაკთა მცირე რაზმით ქვეითებს შეუერთდა. ნახევარი საათის შემდეგ რუსთა და ქართველთა მთელი ქვეითი ჯარი ბრძოლაში იყო ჩაბმული. ლეკებს სულ უფრო უჭირდათ თავდაცვითი ზღუდის შენარჩუნება. გენერალი ალექსანდრ სამოილოვიჩი და პოდპოლკოვნიკი რეისსფელდი ცხენებზე ამხედრებულები ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას. არც ერთი არ დაეთანხმა თანამებრძოლების თხოვნას ჩამოქვეითებულებს, რათა ხეებზე მოკალათებულ ლეკთა სამიზნედ არ ქცეულიყვნენ. თანამებრძოლებს პოდპოლკოვნიკმა რეისსფელდმა უპასუხა: „ჩვენ მეთაურები იმიტომ ვართ, რომ ყველამ დაგვინახოს, ჩვენებმაც და მტერმაც“. ხეზე ჩასაფრებულმა ლეკის ნასროლმა ტყვიამ პოდპოლკოვნიკი რეისსფელდი სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი რეისსფელდის ცხენზე შეკავება ალექსანდრ სამოილოვიჩმა სცადა, გენერალს ტანსაცმელზე სისხლი რომ შენიშნეს, რუსულ ჯარში პანიკა დაიწყო – გენერალი და პოდპოლკოვნიკი დახოცეს. ალექსანდრ სამოილოვიჩი რამდენიმე ადგილას გამოჩნდა საბრძოლო პოზიციაზე და ჯარისკაცები დაამშვიდა. შემფოთებული მეფე ერეკლე ცხენოსანთა მცირერიცხოვან რაზმთან ერთად სასწრაფოდ რეისსფელდის დაღუპვის ადგილისაკენ გაემართა და ლეკების მხრიდან ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, გენერალი იპოვა. მეფის გამოჩენამ მებრძოლები გაამხნევა⁹².

ბრძოლა მდინარე ალაზნის ნაპირას ხუთი საათი გაგრძელდა. ლეკები დამარცხდნენ და ტყე მთლიანად დატოვეს. ლეკებს, რომლებიც ტყიდან გამოსლას და მიმალვას ცდილობდნენ, უმოწყალოდ ხოცავდა რუსული კავალერია. პიოტრ ბუტკოვის ცნობით, ბრძოლაში მოკლეს 200-ზე მეტი ლეკი, ტყვედ აიყვანეს – 2. რუსებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 17 კაცი დაკარგეს, ქართული ჯარიდან 20 მებრძოლი დაიღუპა⁹³. სხვა წყაროს მიხედვით ბრძოლაში 300-ზე მეტი ლეკი დაიღუპა, ხოლო რუსებმა დაკარგეს 40 კაცი, მათ შორის ერთი ოფიცერი. ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა შორის იყვნენ თავადები აფსაზი და ჩერქეზიშვილი, დაიჭრნენ თავადები: იოსებ ბებუთიშვილი, მელიქიშვილი და ბარათაშვილი. ამ წყარომ დაღუპული რიგითი ქართველების შესახებ ცნობა არ შემოინახა⁹⁴.

მდინარე ალაზნის ნაპირზე, სოფელ მუდანლოს გადასასვლელთან მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, ერეკლე II-მ და გენერალმა ალექსანდრ სამოილოვიჩმა ალაზნის მარცხენა ნაპირზე გადასვლისაგან თავი შეიკავეს. ამის მიზეზი იყო მდინარის მარცხენა ნაპირზე ლეკთა ახალი ძალების თავმოყრა. გარდა ამისა ადიდებულ ალაზანზე ჯარის გადასაყვანად საჭირო ნაგები არც ქართველებს და არც რუსებს არ გააჩნდათ⁹⁵.

⁹¹Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказскаго военного округа. Тифлис, 1899, стр. 197.

⁹²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 50; очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказскаго военного округа. Тифлис, 1899, стр. 197-198.

⁹³П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр.158.

⁹⁴Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказскаго военного округа. Тифлис, 1899, стр. 198.

⁹⁵Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказскаго военного округа. Тифлис, 1899, стр. 199.

მიმედ დაჭრილი ჰესენის პრინცი პოდპოლკოვნიკი რეისხფელდი სოფელ მანხანში მიიყვანეს, სადაც იგი 1784 წლის 19 ოქტომბერს გარდაიცვალა. პოდპოლკოვნიკი რეისხფელდი 25 წლისა იყო. პრინცის ცხედარი თბილისში გადაასვენეს და კათოლიკური ეკლესიის ეზოში დაკრძალეს⁹⁶.

1784 წლის 20 ოქტომბერს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი თბილისში ტრიუმფით შემოვიდა. გამარჯვებულებს წინ მიუძღოდნენ მეფე ერეკლე II და გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვიჩი. მეფე და გენერალი პირდაპირ სიონის ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც მათ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ელოდათ. გადახდილი იქნა სამადლობელი პარაკლისი. თბილისმა გამარჯვება ზარბაზნებიდან გასროლით აღნიშნა⁹⁷.

ბრძოლიდან დაბრუნებული გენერალ-პორუჩიკი ალექსანდრ სამოილოვიჩი მალე დრაგუნებისა და კახაკთა რაზმთან ერთად ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა. ქართლ-კახეთის სამეფოში დარჩენილი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის მეთაურობა კვლავ პოდპოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა ჩაიბარა. ბატალიონიდან ერთი პოდპოლკოვნიკ კვაშინ-სამარინის მეფაურობით კახეთში, სოფელ მანხანში, განლაგდა. ბატალიონს ჭარიდან ლეკების შემოსვლა უნდა აღეკვეთა. მეორე ბატალიონი პოდპოლკოვნიკ მერლინის მეთაურობით ქართლში, სურამში, გადაიყვანეს. ბატალიონს ახალციხიდან ლეკთა და ოსმალთა შემოსევის შემთხვევაში ქართლში მომავალი გზის დაცვა ევალებოდა⁹⁸.

1784 წლის 14 ოქტომბერს ალაზნის ბრძოლაში ლეკების დამარცხების შემდეგ ერეკლე მეფეს განჯის წარმომადგენლები ეახლნენ და მოახსენეს, რომ კვლავ სცნობენ ქართლ-კახეთის მეფის უზენაესობას. მეფე ყარაბაღის ხან იბრაჰიმს დაუკავშირდა და განჯაზე ქართლ-კახეთის მეფისა და ყარაბაღის ხანის ერთობლივი მმართველობა აღდგა. ორივე მხარემ განჯაში თავიანთი მოხელე (მმართველი) დანიშნა. განჯის სახანოსთან ურთიერთობა თითქმის მოგვარდა, მაგრამ ვითარებას დაბავდა ნუხის ხანის მცდელობა ჩარეულიყო განჯის სახანოს შინაურ საქმეებში⁹⁹. ნუხის ხანმა ახმედმა იბრაჰიმ ხანის მიერ დატყვევებული განჯის ხანის შვილი ალი ბეგი განჯაში გაგზავნა. ქალაქის მცხოვრებლები მას დიდი სიხარულით მიეგებნენ. ნუხი ხანმა ალი ბეგი განჯის ხანად სცნო. ამის შემდეგ ახმედ ხანმა ერეკლე მეფეს იბრაჰიმ ხანთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც განჯის სახანოს დამორჩილებაში დახმარებას დაპირდა. ერეკლე მეფემ ნუხის ხანის წინადადება არ მიიღო. გაგულისებულმა ახმედ ხანმა 1785 წლის ნოემბრის დამდეგს 3.000 მებრძოლით მდინარე ალაზანი გადმოლახა და განჯისაკენ დაიძრა. მეფე ერეკლემ გადაწყვიტა ნუხის ხანი განჯაში არ შეეშვა და დახმარებისათვის პოდპოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს მიმართა. 1784 წლის 8 ნოემბერს სტეპან ბურნაშევი რუსის ჯარით თბილისიდან განჯისაკენ დაიძრა. ისინი სოფელ მარნეულთან იყვნენ მისული, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ლეკებმა განჯაში შესვლა გადაიფიქრეს და ახალციხისაკენ გაემართნენ. ერეკლე მეფე ქართული ჯარით ახალციხისაკენ მიმავალ ლეკებს დაედევნა. რუსის ჯარი კვალდაკვალ მიჰყვა ქართულ ჯარს. რუსთა და ქართველთა ჯარი ლეკებს ვერ დაეწია. ლეკებმა ახალციხეს მიაღწიეს, სადაც მათ სულეიმან ფაშამ იმერეთზე ლაშქრობა შესთავაზა.

2. ლეკების შემოსევები 1785 წლის გაზაფხულზე და რუსული ჯარი. ალაზნის ნაპირზე ლეკების დამარცხებამ ძალზე გააღიზიანა ოსმალეთის სულთანი. ოსმალეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოების წაქეზება დაიწყო. ერეკლე II-ს პირველი ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი განუდგა, მას მიბაძა განჯის ხანმა ჯავადმა. ერევნის ხანი, მართალია, მეფე ერეკლეს არ განდგომია, მაგრამ ხარკის გადახდა შეწყვიტა და განდგომამდე ბევრი აღარაფერი აკლდა. ყაზახ-შამშადილუს შეძლებულმა ზედაფენამ რჩეულ ცხენოსან ჯართან ერთად ყარაბაღს მიაშურა და იბრაჰიმ ხანის სამსახურში ჩადგა. ამასთან ერთად, 1785 წლის გაზაფხულზე ახალციხის საფაშოდან გახშირდა შემოსევები.

⁹⁶Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 201.

⁹⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 50-51; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 201.

⁹⁸Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 202.

⁹⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 51.

ახალციხის ფაშა **სულეიმანი** მტრულ განზრახვაზე ხელს არ იღებდა და ქართლში შემოსატრელებად ემზადებოდა. ახალციხეში თავს იყრიდნენ ლეკები. კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალ-პორუჩიკმა პაველ პოტიომკინმა სულეიმან ფაშა ოფიციალურად გააფრთხილა, რომ ლეკები ახალციხეში არ გაეჩერებინა. ახალციხის ფაშამ რუს გენერალს უპასუხა, რომ მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა ლეკების თავმოყრას ახალციხეში და ლეკთა გააქტიურებას ერეკლე II-ს აბრალებდა. სულეიმან ფაშა პაველ პოტიომკინს წერდა: „რატომ ატარებენ ქართველები ლეკებს თავიანთი სამშობლოს ტერიტორიაზე და რატომ არ აღკვეთენ ლეკების შესვლას კახეთსა და ქართლში, საიდანაც ლეკები ჩემთან მოდიან, როგორ უნდა ავუკრძალო მათ ჩემთან მოსვლა? მით უმეტეს, რომ ჩვენ ერთი აღმსარებლობისანი ვართ და ჩვენ შორის მტრობა და ომი იკრძალება. ცნობილია ისიც, რომ დაღესტანის თავისი მდებარეობით ახლოა საქართველოსთან და შორსაა ჩემგან... მიზეზი ჩემში არაა. მე უძლური ვარ ორ დიდ სახელმწიფოს (რუსეთსა და ოსმალეთს – **გ. გ.**) შორის მშვიდობა დაეარდვიო“¹⁰⁰. გარდა ამისა, სულეიმან ფაშა პაველ პოტიომკინს ასევე სწერდა, რომ ზავს რუსეთსა და ოსმალეთს შორის (იგულისხმება 1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავი – **გ. გ.**) არღვევდა მეფე ერეკლე, რომელიც შეიჭრა ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე, აყარა და ქართლში გადაასახლა რამდენიმე ასეული გლეხი. სულეიმან ფაშა თვლიდა, რომ მას უფლება ჰქონდა მოქცეულიყო ისევე, როგორც იქცეოდა ქართლ-კახეთის მეფე¹⁰¹.

1785 წლის აპრილში 4.000 ლეკი და ახალციხელი ოსმალთა მტკვრის ხეობით ქართლში შემოიჭრა, დაარბია სამი სოფელი და ტყვედ აიყვანა 600 კაცზე მეტი. სურამში მდგარი რუსული ბატალიონის ნაწილი (200 ეგერი ერთი ზარბაზნით) მაიორ **ფიოდორ სიუნენბერგის** მეთაურობით ლეკებს და ოსმალებს დაედევნა. 1785 წლის 17 აპრილს (ზოგიერთი ცნობით 16 აპრილს) რუსებმა სურამიდან 7 ვერსის მოშორებით, ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე მოწინააღმდეგე მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირთან მიიმწყვდიეს. ცხარე ბრძოლაში ლეკთა და ოსმალთა ლაშქრიდან 1377 მეგრძოლი, მათ შორის 465 ლეკი დაიღუპა, ტყვედ ჩავარდა 200. რუსებს მოუკლეს 1 მეგრძოლი, დაიჭრა – 5. ბრძოლას ქართულმა ჯარმა ვერ მოუსწრო. ბრძოლაში დაღუპულ ოსმალთა და ლეკთა გვამები მტკვარმა თბილისში ჩამოიტანა¹⁰².

სულეიმან ფაშამ გადაწყვიტა შური ეძია განცდილი მარცხისათვის. შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ ლეკებსაც. ოსმალები და ლეკები განსაკუთრებული სიძულვილით განეწყვნენ მაიორ ფიოდორ სიუნენბერგის მიმართ. 1785 წლის 27 მაისს ლეკთა და ოსმალთა ლაშქარი (1500 ლეკი, 1500 ოსმალთა, ზოგიერთი ცნობით, 1200 ლეკი და 500 ოსმალთა) მდინარე მტკვრის ხეობით ისევ შემოიჭრა ქართლში და 28 მაისს სურამს შეუტია. მაიორი ფიოდორ სიუნენბერგი 300 რუსი და 125 ქართველი მეგრძოლით, 4 ზარბაზნით ლეკთა და ოსმალთა ლაშქარს შეებრძოდა. ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ მაიორმა ფიოდორ სიუნენბერგმა მტერი გაფანტა. ბრძოლის ველზე დარჩა ლეკთა და ოსმალთა 300 გვამი, 63 კაცი რუსებმა ტყვედ აიყვანეს. რუსებს ერთი მეგრძოლი დაუჭრეს¹⁰³.

მართალია, ოსმალთა და ლეკთა ლაშქარი ორგზის დამარცხდა, მაგრამ სულეიმან ფაშა არ ცხრებოდა. გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს დაევადა ოსმალთა სერასკირ **ჰაჯი ალი** ფაშასათვის საპროტესტო წერილის გაგზავნა. რუსეთი ითხოვდა, რომ სულეიმან ფაშას არ დაერღვია მშვიდობა ორ ქვეყანას შორის¹⁰⁴. 1785 წლის 23 აპრილს იმპერატორმა ეკატერინა II-მ ხელი მოაწერა რესკრიპტს რუსეთის ელჩისადმი სტამბოლში. ეკატერინა II იაკოვ ბულგაკოვს წერდა: „ოსმალეთის ქვეშევრდომების გაერთიანებას ლეკებთან ჩვენ მივიჩნევთ ახალციხის ფაშა სულეიმანის ქმედებად. სულეიმან ფაშამ არაერთხელ დაადასტურა ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური თანხმობისადმი თავისი ცუდი განწყობილება. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ოსმალეთს, რუსეთთან ზავის პირობებში,

¹⁰⁰ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 80-81.

¹⁰¹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 81.

¹⁰² **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 161-162; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 81-82; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 202-203.

¹⁰³ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 163; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 203.

¹⁰⁴ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82.

მშვიდობის დარღვევის არანაირი გეგმა არ ჰქონდა¹⁰⁵. ეკატერინა II იაკოვ ბულგაკოვს ავალებდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ოსმალეთის სულთნისათვის სულეიმან ფაშასა და სხვა დამნაშავე პირების დასჯა მოეთხოვა. რუსეთის იმპერატორი სულთნისაგან ითხოვდა იმის გარანტიას, რომ მისი ქვეშევრდომები და ლეკები რუსეთის ვასალის – ერეკლე II-ის სამფლობელოში აღარ შეიჭრებოდნენ¹⁰⁶. როცა ეკატერინა II წერდა, რომ ახალციხის ფაშის მოქმედებაში ოსმალეთის სულთნის ხელი არ ერიო, კარგად უწყობდა, რომ სულთანი გადიზიანებული იყო რუსეთის ჯარის შემოსვლით ქართლ-კახეთის სამეფოში და ახალციხის ფაშას სწორედ სტამბოლიდან აძლევდნენ მითითებებს. ახალციხის ფაშა ხან ფარულად, ხან აშკარად ცდილობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი მფლობელების ამხედრებას ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ. გეორგიევსკის ტრაქტატით, რუსეთს ოსმალეთის ინტერესები ფორმალურად არ შეუღალავს და ამდენად, ოსმალეთს პროტესტის გამოთქმის ფორმალური საბაბი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ ოსმალეთის სულთანი ძალზე გააღიზიანა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ. 1783 წლიდან ოსმალეთი ორი კონკრეტული მიზნის მიღწევას ცდილობდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებული მფარველობითი ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) გაუქმებას; 2. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანას¹⁰⁷. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიას მოველინენ ოსმალეთის ემისრები, რომლებიც მუსლიმ მმართველებს არწმუნებდნენ, რომ რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოჭრის შემდეგ ირანს დაიპყრობდა. 1785 წლის აგვისტოში ერეკლე II-ს უკვე ჰქონდა ცნობები სამეფოს საზღვრებთან მტრის სამხედრო ძალის თავმოყრის შესახებ. ახალციხეში თავს იყრიდნენ ოსმალეები და ლეკები, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ სულეიმან ფაშა აქეზებდა. ავარიის ხანი ომარი ლეკთა ჯარით ჭარ-ბელაქანში შევიდა, იქაურ ლეკთა ლაშქარი შეიერთა და ისიც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შემოსაჭრელად ემზადებოდა. მეფე ერეკლემ ისიც იცოდა, რომ ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობა მერყეობდა. მათთან ლეკების ემისრები ჩადიოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობის ერეკლე მეფის წინააღმდეგ ამხედრებას ცდილობდნენ. ყაზახის თათრებმა ლეკებს პირობაც კი მისცეს, რომ ლაშქრობის დაწყებისთანავე შეიპყრობდნენ იქ მყოფ გიორგი ბატონიშვილს და ლეკებს გადასცემდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ფარულად შემოსული ლეკები ქართველებს ურჩევდნენ უსაფრთხო ადგილებში დროულად გადაეძალათ თავიანთი ცოლ-შვილი და ქონება. ასეთმა ხმებმა მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია¹⁰⁸.

ერეკლე II ლეკთა შემოსევის მოსაგერიებლად ემზადებოდა. გამოცდილმა სარდალმა კარგად იცოდა, რომ ქართული და რუსული ჯარი ახალციხისა და ჭარ-ბელაქანის მხრიდან ოსმალთა და ლეკთა ერთდროულ შემოტევას ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფე რუსეთის იმპერატორს დამატებითი ჯარისა და 200 ფუთი თოფისწამლის გამოგზავნას სთხოვდა. პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის ეგერთა ორი რუსული ბატალიონი (8 ასეული) თბილისში იდგა და მზად იყო ბრძოლაში ჩასაბმელად¹⁰⁹.

§5. ომარ-ხანის ლაშქრობა საქართველოში და რუსული ჯარი

ქართველთა და რუსთა ჯარის მიერ 1784 წლის შემოდგომასა და 1785 წლის გაზაფხულზე მოპოვებული გამარჯვებების მიუხედავად, ქართლ-კახეთის სამეფოს უსაფრთხოება უზრუნველყოფილი მაინც არ იყო. ვითარებას სერიოზულად ართულებდა ის, რომ ყაზარდოსა და ჩენეთში რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ომის შედეგად, ხშირად რუსები დიდი ხნით კარგავდნენ კონტროლს კავკასიის ხაზიდან (გეორგიევსკიდან, მოზდოკიდან) საქართველოსაკენ მომავალ გზაზე. გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი სერიოზულად იყო შეშფოთებული იმით, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში გამოგზავნილი ორი რუსული ბატალიონი შეიძლებოდა საფრთხეში აღმოჩენილიყო. კავკასიის ხაზიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში რუსულმა ბატალიონებმა ვერ მიიღეს ხელფასი და ტანსაცმელი. ფერხდებოდა ბატალიონების სურსათით მომარაგებაც. შემაშფოთებელი

¹⁰⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82.

¹⁰⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 82-83.

¹⁰⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 83.

¹⁰⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 83-84.

¹⁰⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 84-85.

იყო ისიც, რომ თბილისში ვერ ხერხდებოდა ბატალიონებისათვის პროვიანტის მარაგის შექმნა, რაც აუცილებელი იყო ომის შემთხვევაში¹¹⁰. რუსული ბატალიონების ბედით შემფოთებული გენერალ-ანჟუი გრიგორი პოტიომკინი გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს 1784 წლის 13 ოქტომბერს წერდა, რომ მან აკრძალა ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი ბატალიონების დანაწილება და სხვადასხვა ადგილას გაგზავნა, ბატალიონები უნდა ყოფილიყვნენ ერთად. გრიგორი პოტიომკინი გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ მტრის თავდასხმის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, რუსული ბატალიონები შეეყვანათ ციხე-სიმაგრეებში, სადაც ისინი დაელოდებოდნენ კავკასიის ხაზიდან დამხმარე ჯარის მოსვლას¹¹¹. გრიგორი პოტიომკინი პაველ პოტიომკინს ავალებდა, რომ როგორმე ზამთრის დადგომამდე (ივლისისხმება 1784-1785 წლების ზამთარი), თავიდან აეცილებინა ლეკთა თავდასხმები ქართლ-კახეთის სამეფოზე. გრიგორი პოტიომკინი ვარაუდობდა, რომ ყაზარდოელებსა და ჩეჩნებს დაამარცხებდა და საქართველოსაკენ მიმავალი გზაც გაიხსნებოდა¹¹². მას ძალზე აშფოთებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე ომარ ხანის მოსალოდნელი თავდასხმა. ამიტომ იყო, რომ პაველ პოტიომკინს ომარ ხანთან მოლაპარაკებას ავალებდა.¹¹³

პაველ პოტიომკინმა ქართლ-კახეთის სამეფოზე დაღესტნელთა თავდასხმის აღსაკვეთად ასეთ ხერხს მიმართა: გენერალმა ხმა გააჟღერა, რომ კავკასიის ხაზიდან საქართველოში იგზავნებოდა რუსეთის ჯარის დიდი რაზმი, ამ მიზნით მოზდოტან თავს იყრიდა ყაზარდოსა და ბუტირსკის პოლკები, ასევე დონის კაზაკთა ჯარის პოლკი. გავრცელებული ხმები, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო პაველ პოტიომკინმა ბრძანება გასცა, რომ პოლკებში დაწყებულიყო შორ მანძილზე გადაადგილებისათვის აუცილებელი მოწყობებითი სამზადისი. ვერც გავრცელებულმა ხმებმა და ვერც პოლკებში დაწყებულმა მოწყობებითმა სამზადისმა დაღესტნელები შეცდომაში ვერ შეიყვანა. მათ კარგად იცოდნენ, რომ კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები ყაზარდოელებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლით იყვნენ დაკავებული, ხოლო კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ ერთადერთი გზა მიდიოდა, რომლის კონტროლი მოწინააღმდეგისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დაღესტნელებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით სამხედრო ძალას ვერ გადმოისროდა, ხოლო თუ ჯარების გადასროლას მაინც შეეცდებოდა, ეს დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ იყო, რომ ომარ ხანი ჭარ-ბელაქნის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოში შეჭრისათვის მშვიდად ემზადებოდა¹¹⁴. ომარ ხანმა დაღესტანში 11.000 მებრძოლი შეკრიბა და ჭარში ჩავიდა, სადაც მას ჭარელი და ბელაქნელი ლეკები შეუერთდნენ. კახეთში შეჭრის წინ, 1785 წლის აგვისტოში, ომარ ხანს დაახლოებით 20.000 მებრძოლი ჰყავდა¹¹⁵.

1785 წლის აგვისტოში ომარ ხანმა კახეთში ლეკთა მცირე რაზმების შეგზავნა დაიწყო, თავად ძირითადი ძალებით მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე იდგა. ომარ ხანისა და სულეიმან ფაშას მოლაპარაკების თანახმად, ომარ ხანის კახეთში შეჭრისთანავე სულეიმან ფაშა მტკვრის ხეობით ქართლში უნდა შეჭრილიყო. მეფე ერეკლე გრძნობდა, რომ ომარ ხანი და სულეიმან ფაშა ერთი გეგმით იმოქმედებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართველებს ორ ფრონტზე მოუხდებოდათ ბრძოლა. ერეკლე II-მ სულ 8.000 მებრძოლის შეკრება შეძლო. ჯარი მეფემ **თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის** ციხეებში ჩააყენა. ორივე რუსული ბატალიონი **მაჩხანინიდან** და **სურამიდან** თბილისში გადაიყვანეს. მეფე ერეკლემ კავკასიის ხაზის მთავარსარდალს საქართველოში დამატებითი სამხედრო ძალის – ორი პოლკის გამოგზავნა სთხოვა. მეფეს თოფის წამალიც სჭირდებოდა¹¹⁶. პაველ პოტიომკინმა ქართლ-კახეთის მეფის თხოვნის შესრულება შეუძლებლად მიიჩნია. მოგვიანებით რუსული ისტორიოგრაფია უარს შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: 1) ჩრდილო კავკასიაში, კავკასიის ხაზზე სიმშვიდე არ სუფევდა, პრაქტიკულად ომის მდგომარეობა იყო; 2) ჩრდილო კავკასიიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა რუსეთის ჯარის მიერ მთლიანად ვერ კონტროლდებოდა; 3) ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი ორი რუსული ბატალიონი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა; ერეკლე II არ ასრულებდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობას რუსეთის ჯარის შენახვის ხარჯების გაღების

¹¹⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 137.

¹¹¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

¹¹²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

¹¹³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138.

¹¹⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138-139.

¹¹⁵П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 178.

¹¹⁶П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

თაობაზე; რუსი ჯარისკაცები საკვები პროდუქტითაც კი არ იყვნენ უზუნველყოფილი; 4) შექმნილ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებითი ჯარის გამოგზავნა სახიფათო იყო¹¹⁷.

ერეკლე II კახეთის ლაშქრითა და ორი რუსული ბატალიონით სიღნაღის ციხეში დადგა. მეფემ ქართლის ლაშქარი ახალციხის საფაშოს მხრიდან მტრის შემოსევის საშიშროების გამო ქართლშივე დატოვა, ხოლო ყაზახ-შამშადილუს თათრების ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა სახიფათოდ მიიჩნია – თათრების მხრიდან დალატს ელოდა¹¹⁸.

პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი ერეკლე II-ს ურჩევდა ომარ ხანისათვის მაშინვე შეეცა, როგორც კი ლეკთა ლაშქარი მდინარე ალაზანზე გადმოსვლას შეეცდებოდა. ამ დროისათვის მეფეს სულ 3000 მებრძოლი თუ ეყოლებოდა. ამას ემატებოდა რუსული ბატალიონები (1500 მებრძოლი). ირანულ სახანოებში შექმნილი არასასურველი ვითარების პირობებში ასეთი ძალებით (4500 მებრძოლი) ომარ-ხანის 20-ათასიან ლაშქართან შებრძოლება სახიფათო იყო. ამიტომ იყო რომ ერეკლე II სიღნაღის ციხის დატოვებას არ აპირებდა.

1785 წლის სექტემბერში ომარ ხანმა 11.000 მებრძოლით სოფელ **ყარაღაჯთან** მდინარე ალაზანი გადმოლახა. ლეკებმა სიღნაღის ციხეში გამაგრებულ ქართველთა და რუსთა ჯარის წინააღმდეგ შეტევის დაწყება ვერ გაბედეს და **ქიზიყის** სოფლებს შეესივნენ¹¹⁹. ომარ ხანის ლაშქრობის ისტორია დაწერილებით აქვს აღწერილი ამ მოვლენის თვითმხილველს, რუსული ბატალიონების მეთაურს, პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს, ხოლო პოლკოვნიკ ბურნაშევის მოხსენებების მიხედვით – პიოტრ ბუტკოვსა და ნიკოლაი დუბროვინს.

17 სექტემბერი. ომარ ხანმა მდინარე იორი გადალახა და შექმნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს თბილისს შეუტევდა. მეფე ერეკლე 1000 მებრძოლით და პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი ორი რუსული ბატალიონით სასწრაფოდ გამოემართნენ თბილისის დასაცავად.

18 სექტემბერი. ომარ ხანი მტკვრის ნაპირას თბილისიდან 25 ვერსზე შეჩერდა. ამ დროისათვის ერეკლე II-მ უკვე 3.000 მებრძოლის შეკრება შეძლო.

19 სექტემბერი. ქართველთა და რუსთა ჯარი თბილისისაკენ მოისწრაფოდა. ომარ ხანი მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, შემდეგ კი სოფელ **მარნეულთან** მდინარე **ალგეთი** გადალახა. ამ დროისათვის ერეკლე II-ის განკარგულებაში უკვე 4.000 მებრძოლი იყო. ქართველთა და რუსთა ჯარი თბილისიდან 18 ვერსზე იმყოფებოდა. ომარ ხანის ლაშქრის მოძრაობის მიმართულებიდან ჩანდა, რომ ლეკები **ბორჩალოში** აპირებდნენ შეჭრას. მეფემ გადაწყვიტა მტერს დადევნებოდა. რუსული ბატალიონების არტილერია და ადგილი თბილისში გაგზავნეს.

20 სექტემბერი. ქართული ჯარი არტილერიითურთ თბილისიდან 12 ვერსის მოშორებით მდინარე მტკვარზე გადავიდა, 40 ვერსი გაიარა და სოფელ **მარნეულში** მივიდა. ამ დროისათვის მეფე ერეკლეს უკვე 5.000 მებრძოლი ჰყავდა.

21 სექტემბერი. ერეკლე II ქართულ ჯართან და ორ რუსულ ბატალიონთან ერთად ბორჩალოში შევიდა. ბორჩალოში ერეკლემ შეიტყო, რომ ომარ ხანს თოფის წამლის გამოყენებით აუფეთქებია **ახტალის** ციხე, გაუძარცვავეს და გაუნადგურებია ახტალის ვერცხლის მომპოვებელი საწარმოები, გაუძარცვავეს ახტალის ტაძარი, დაუხოცავეს 640 და ტყვედ აუყვანია 860 კაცი (ძირითადად ახტალაში ვერცხლის მოპოვებაზე მომუშავე ბერძნები).

22-29 სექტემბერი. ქართველთა და რუსთა ჯარი ბორჩალოში იდგა და ელოდა ახტალაში მყოფი ომარ ხანის მიერ ლაშქრობის გაგრძელებას. ახტალაზე შეტევა ტყის მასივებში გამავალი და არტილერიის გადაადგილებისათვის გამოუსადეგარი გზების გამო სახიფათოდ იქნა მიჩნეული.

26 სექტემბერი. ომარ ხანმა თავი აარიდა ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ჯართან ბრძოლას და ახტალიდან **ლორეს** ციხის მიმართულებით გაემართა. ლეკები ქართველთა და რუსთა ბანაკიდან 45 ვერსზე, სოფელ **უზუნდართან**, შეჩერდნენ. ლეკთა რაზმებმა ლორეს გარშემო სოფლები გადაწვეს. ერეკლე II-მ ლორეს ციხის გარნიზონის დასახმარებლად 70 მებრძოლი გაგზავნა. 5.000 ქართველი მებრძოლითა და ორი რუსული ბატალიონით ომარ ხანის მთავარი ძალების წინააღმდეგ შეტევის დაწყება მეფეს გაუმართლებლად მიაჩნდა. მეფე ერეკლე კავკასიის ხაზიდან რუსეთის ჯარის შემოსვლას ელოდა. მეფის ბრძანების მიუხედავად, თავადებმა თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის ციხეების გარნიზონების გასაძლიერებლად მებრძოლები არ გაგზავნეს და თავიანთ

¹¹⁷ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

¹¹⁸ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179.

¹¹⁹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 138-139.

ციხეებში გამაგრდნენ. თუმცა მკაცრი ზომები გაატარა, მეფემ ბორჩალოში მდგარი ქართული ჯარიდან დეზერტირობა ვერ აღკვეთა.

28 სექტემბერი. ქართულ ჯარში მხოლოდ 3.000 მეზობელი დარჩა. ომარ ხანმა სოფელი უზუნლარი დატოვა და ლორეს ციხეს შეუტია, მაგრამ ციხის გარნიზონმა ლეკების შეტევა მოიგერია.

29 სექტემბერი. ლეკებს ლორეს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. ომარ ხანმა ერეკლე II-ს შემდეგი პირობა წაუყენა: თითოეულ ტყვეში მეფეს უნდა გადაეხადა გამოსასყიდი 50 მანეთის ოდენობით, ხოლო ომარ ხანისათვის ყოველწლიურად მიეცა 10.000 მანეთი.

30 სექტემბერი. ერეკლე II-მ ომარ ხანს ასეთი პასუხი შეუთვალა: თითოეულ ტყვეში გადაიხდიდა 45 მანეთს, ნახევარ თანხას ნაღდი ფულით, ნახევარს ფარჩის ქსოვილით. ომარ ხანს ლაშქარი მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე უნდა გადაეყვანა და მოლაპარაკება სხვა პირობებზე ამის შემდეგ დაიწყებოდა. ომარ ხანმა მეფის პირობები არ მიიღო.

2 ოქტომბერი. ერეკლე II ვარაუდობდა, რომ ომარ ხანი ახალციხეში გადავიდოდა, სულეიმან ფაშასაგან მეზობლებსა და ქვემეხებს მიიღებდა და თბილისზე დაიძრებოდა. ამიტომ იყო, რომ მეფემ ბანაკი მდინარე ქციის ნაპირას, სოფელ მარნეულთან, თბილისიდან 40 ვერსზე, გადაიტანა.

3 ოქტომბერი. ომარ ხანი ფარაენის ტბასთან იმყოფებოდა, საიდანაც ახალქალაქის გავლით ახალციხეში ჩავიდა. ერეკლე II-მ ქართული ჯარის ძირითადი ნაწილის თბილისთან თავმოყრა გადაწყვიტა¹²⁰.

ქართლ-კახეთში ომარ ხანის ლაშქრობის პარალელურად ქართლში ახალციხიდან ხშირად შემოდოდნენ მარბიელი რაზმები და ქვეყანას აწიოკებდნენ. ახალციხის ფაშა სულეიმანს ოსმალეთის სულთნისაგან აკრძალული ჰქონდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ომის დიად დაწყება. სულთნის ფირმანში ეწერა: „ნუ შეეხები მწოლიარე ხარსა და ნუ აიძულებ წამოდგეს“¹²¹. მიუხედავად ამისა, სულეიმან ფაშა ლეკებს ქართლის დარბევაში ფარულად უწყობდა ხელს.

ოსმალეთის ემისრები მთელ კავკასიას მოედგნენ. დაღესტნელების გარდა, მათ კავშირი დაამყარეს ოსებთან. ოსმალო ემისრები ოსებს სთხოვდნენ ჩაეკეტათ კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ მიმავალი ერთადერთი გზა, რათა რუსებისათვის ჯარების გადმოსროლის საშუალება არ მიეცათ. მართალია, ოსებმა თავი შეიკავეს რუსეთის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისაგან, მაგრამ ოსმალეთის ემისრებმა წარმატებას მიაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში და ისინი რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე დაითანხმეს¹²².

თბილისში მყოფმა ერეკლე II-მ შემაშფოთებელი ამბავი შეიტყო: ბამბაკის მოსახლეობა ლეკების თავდასხმის შიშით აყრილა და ერეენის სახანოში გადასულა, ხოლო ნაწილს ყარსამდე ჩაულწევია. მეფეს ისიც შეუტყვია, რომ ახალციხის ფაშა სულეიმანს ერეენის ხანისათვის ბამბაკიდან შეხიზნული მოსახლეობის მისთვის გადაცემა მოუთხოვია¹²³. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ვითარებით. ამ დროისათვის იბრაჰიმ ხანი ჯერ კიდევ განჯასთან იდგა. ხანმა განჯის ციხის აღება სცადა, მაგრამ მალე დიდი ზარალით უკან დაიხია. განჯასთან დამარცხებულმა იბრაჰიმ ხანმა ტაქტიკა შეცვალა და ერეკლე მეფესთან ურთიერთობის მოგვარება სცადა. ხანმა მეფეს წერილი მისწერა და მომხდარი ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს განჯის ციხის იერიშისას კი არ დამარცხებულა, არამედ უკან ერეკლე II-ის რჩევის გამო დაიხია. იბრაჰიმ ხანი მეფეს არწმუნებდა, რომ მასთან მეგობრობა და კავშირი სურდა. ყარაბაღის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეს ასევე აცნობა, რომ მან ომარ ხანთან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და ერეკლე მეფესთან დაზავება ურჩია. ომარ ხანს იბრაჰიმ ხანის რჩევა არ მიუღია, რის გამოც იბრაჰიმ ხანს გადაუწყვეტია ომარ ხანის წინააღმდეგ ჯარით დახმარებოდა ერეკლე მეფეს¹²⁴. ერეკლე II იბრაჰიმ ხანს არ ენდობოდა, ამიტომ იყო, რომ ჯარით მიშველებასზე უარი უთხრა, სამაგიეროდ, ფულითა და შეიარაღებით დახმარების მიღებაზე დასთანხმდა. იბრაჰიმ ხანს არც ფული და არც იარაღი მეფისათვის არ გამოუგზავნია¹²⁵.

¹²⁰ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 180-182; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 139-144

¹²¹ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 182-183; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 144.

¹²² **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 144-145.

¹²³ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 145.

¹²⁴ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 145.

¹²⁵ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 145; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 182-183.

ომარ ხანი ლაშქრითურთ ახალქალაქში იდგა. სულეიმან ფაშამ მას 100 ქისა ოქრო გაუგზავნა, რათა ლაშქრისათვის ხელფასი დროულად დაერიგებინა. ამჯერად სულეიმან ფაშა ომარ ხანს საქართველოზე ახალი ლაშქრობისაკენ აქეზებდა. სულეიმან ფაშამ იმერეთის მეფე დავით გიორგის ძეს შეუთვალა: სულთანი იმერეთის მეფეს ხმლითა და ქურქით დააჯილდოვებს, ასევე ფირმანს უბოძებს. სამაგიეროდ, იმერეთის მეფე სულეიმან ფაშასა და ომარ ხანს უნდა მიმხრობოდა. იმერეთის მეფემ ახალციხის ფაშას უარი შეუთვალა. გაგულისებული ომარ ხანი 1785 წლის 25 ოქტომბერს იმერეთში გადავიდა¹²⁶.

1785 წლის 27 ოქტომბერს ომარ ხანმა 6.000 ლეკითა და ახალციხიდან მასთან იმერეთში სალაშქროდ წასული 1000 მეგრძლით იმერეთის საზღვარზე მდებარე ვახანის ციხეს შეუტია, რომელიც თავად ქაიხოსრო აბაშიძეს ეკუთვნოდა. შეიტყო თუ არა ვახანის ციხის ალყის ამბავი, ერეკლე მეფე ცხენოსანი ჯარით თბილისიდან გორისაკენ გაემართა, ხოლო თბილისიდან გასული ორი რუსული ბატალიონი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევის მეთაურობით მუხრანის ველზე დაბანაკდა¹²⁷. ერეკლე მეფეს სურდა რუსის ჯარისათვის გორში პროვიანტი მოემზადებინა. მეფე სტეპან ბურნაშევის სთხოვდა საგანგებო შეტყობინებამდე მუხრანის ველზე დარჩენილიყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ ერეკლე II-ს დამაჯერებლად არ მიაჩნდა ცნობა ლეკთა და ოსმალთა ჯარის მიერ ვახანის ციხის ალყის შესახებ. საქმე ის იყო, რომ სულეიმან ფაშას და ქაიხოსრო აბაშიძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ვახანის ციხის ალყის შესახებ დადასტურებული ცნობა, მეფემ 28 ოქტომბერს მიიღო. ერეკლე მეფემ სტეპან ბურნაშევის აცნობა, რომ რუსული ბატალიონები ქართულ ჯარს სასწრაფოდ უნდა დასწოდონ. მეფემ რუს პოლკოვნიკს ისიც გააგებინა, რომ იმერეთის მეფე დავითი იმერეთისა და სამეგრელოს ჯარით მზად იყო საბრძოლველად¹²⁸. გორში ჩასულ სტეპან ბურნაშევის მხლოდ დღე-ნახევრის პროვიანტი დახვდა. პოლკოვნიკმა გორში დატოვა მთელი ალალი, ასევე ავადმყოფი ჯარისკაცები და თვითონ დასავლეთის მიმართულებით გააგრძელა სვლა. 1785 წლის 30 ოქტომბერს რუსის ჯარმა სურამს მიაღწია. იმავე დღეს სურამში ერეკლე II-ის სარდლობით ქართული ჯარიც შევიდა. მეფეს, მხლოდ 1500 მეგრძლი (ზოგიერთი ცნობით 1200 მეგრძლი) ახლდა. ქართველთა და რუსთა ჯარი სურამში ორი დღე შეჩერდა. ამ დროისათვის (30-31 ოქტომბრისათვის) ომარ ხანი კვლავ ვახანის ციხის ალყას აგრძელებდა¹²⁹.

ომარ ხანს ლაშქრობაში თან ახლდა ქართველი თავადი გედევანი (რუსულ წყაროში გვარი არ იხსენიება – ვ. გ.). თავადმა გედევანმა ქაიხოსრო აბაშიძე (იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ქალიშვილ დარეჯანის მეუღლე) და კიდევ ორი თავადი აბაშიძეთა საგვარეულოდან ომარ ხანთან მოლაპარაკების მიზნით ციხიდან გამოიტყუა. ქაიხოსრო აბაშიძეს იმედი ჰქონდა, რომ ომარ ხანთან მოლაპარაკებაში მას დაეხმარებოდა თავადი პაპუნა წერეთელი და თავადი აბაშიძე (ქაიხოსრო აბაშიძის ნათესავი), რომლებმაც ომარ ხანი ახალციხიდან იმერეთში გადაიყვანეს და ვახანის ციხის ალყისას ისევ ომარ ხანის ბანაკში იმყოფებოდნენ. ლეკებმა ქაიხოსრო აბაშიძე და მისი თანმხლები ორივე თავადი შეიპყრეს. ვახანის ციხის გარნიზონს ბრძოლის გაგრძელება ჯერ კიდევ შეეძლო. ლეკებმა ხერხს მიმართეს და ციხის დამცველთა თვალწინ ტყვედ აყვანილი თავადების წამება დაიწყეს. ვახანის ციხე დანებდა. ამ დროისათვის ციხეში ორივე სქესის დაახლოებით 700 ადამიანი იყო თავშეფარებული. ომარ ხანმა, თავადების გარდა, ყველა მამაკაცი დახოცა, ციხე კი დაანგრია. ტყვედ იქნა აყვანილი ორი ქალი აბაშიძეთა საგვარეულოდან. ერთი მათგანი ომარ ხანმა ცოლად შეირთო და სახელად ჯავარ-ხანუმი უწოდა. ჯავარ-ხანუმად წოდებულმა წერეთლის ქალმა ომარ ხანის სიკვდილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. მეორე ქალი, ელენე წერეთელი, ომარ ხანმა ყარაბაღის ხან იბრაჰიმს გაუგზავნა ცოლად¹³⁰.

მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარითა და რუსეთის ჯარის ორი ბატალიონით იმერეთის ჯართან შეერთებას 1785 წლის 1 ნოემბერს გეგმავდა. მოულოდნელად 1 ნოემბერს მეფემ ცნობა მიიღო, რომ ვახანის ციხის გარნიზონი დანებდა. ომარ ხანის მიერ ვახანის ციხის ალყამ ერეკლე II

¹²⁶П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 183-184;

Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 146.

¹²⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 146.

¹²⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 146.

¹²⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 146-147.

¹³⁰П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 183-184; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 146-147, Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцией генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 206-207.

აიძულა ლაშქრობა შეეწყვიტა. ერეკლემ იმერეთის მეფეს შეუთვალა, რომ ომარ ხანის ლაშქრისათვის შეეცა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსის ჯარი ომარ ხანის ლაშქარს ქართლში გადასასვლელ გზას მოუჭრიდა. ერეკლე მეფის ვარაუდი არ გამართლდა, ომარ ხანს ქვიშხეთის გავლით უკან არ დაუხევია. იგი იმერეთიდან მთებზე გადავლით პირდაპირ ახალციხეში გადავიდა¹³¹. პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი ორი რუსული ბატალიონით მტკვრის ნაპირს გაჰყვა და სოფელ ჭალასთან შეჩერდა. ჭალაში მივიდა ერეკლე მეფეც ქართული ჯარით. ჭალაში მყოფ ერეკლე მეფეს იმერეთის მეფე დავითმა შეატყობინა, რომ გაერცვლებული ხმების მიხედვით, ომარ ხანი ქუთაისზე თავდასხმას აპირებდა¹³². შექმნილ ვითარებაში მცირერიცხოვანი ქართული ჯარით და ორი რუსული ბატალიონით ერეკლე II იმერეთის მეფეს დახმარებას ვერ აღმოუჩინდა.

ომარ ხანის ლაშქრის დამარცხება შეუძლებელი გახდა. ქართველთა და რუსთა ჯარს ამისათვის ძალები არ ყოფნიდათ. პაველ პოტიომკინმა ომარ ხანს 1785 წლის 29 ნოემბერს 1.000 ჩერვონეცი გაუზახუნა საჩუქრად, რაც საკმარისი სულაც არ იყო ლაშქრობის შესაწყვეტად.¹³³ მტერი უმოწყალოდ ელეტდა და იტაცებდა ადამიანებს, აჩანაგებდა სოფლებს. მეფე ერეკლე იძულებული გახდა ომარ ხანთან მოლაპარაკება დაეწყო¹³⁴. 1785 წლის 22 დეკემბერს მეფესთან ომარ ხანის წარმომადგენლები გამოცხადნენ და ხანის პირობები გააცნეს. ავარიის ხანი ომარი ითხოვდა: 1) 10.000 მანეთს წლიურად დაღესტნელთა ბელადებისათვის; 2) 10.000 მანეთს წლიურად პირადად მისი ჯამაგირის სახით. მეფის პირობა ასეთი იყო: ომარ ხანი დაუყოვნებლივ მიიღებდა 10.000 მანეთს, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად – 4.000 მანეთს¹³⁵.

ზაგზე მოლაპარაკების პერიოდს ეკუთვნის ომარ ხანის წერილი ერეკლე მეფისადმი. აი, ისიც:

“თქვენი წერილი მივიღე. მწერთ, რომ აწ უკვე გარდაცვლილ მამაჩემთან 33 წელი მეგობრობით და მრავალგზის გამოავლინეთ მისდამი კეთილგანწყობა, ხოლო მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ მე მომაგებდით პატივს. ეს სრული სიმართლეა.

თქვენ გვწერთ, რომ დაგიბრუნოთ ახტალაში აყვანილი ტყვეები. ხელმწიფე და მამავ ჩვენო! ჩვენ ყოველთვის ვესწრაფოდით თქვენთან მეგობრობას, სურვილი გვქონდა შევილივით დამჯერე ვყოფილიყავით... თქვენ კი შეილებათ ჩვენ კი არა, დაღესტნელი ბელადები აღიარეთ... ჩვენ საქართველოში ჯარით საომრად მოვედით, გვინდა ნადავლის აღება და არა თქვენი საბრძოლო დიდების გამრავლება. თუ თქვენ გსურთ სიმართლით განგსვავოთ, მაშინ უნდა აღიაროთ: საქართველოში მომხდარის მიზეზი თქვენშია, მაგრამ ჩვენ არ გვახასიათებს თქვენისთანა დიდი ადამიანისათვის პასუხის მოთხოვნა. ტყვედ აყვანილები, დაღესტანში არსებული წესის მიხედვით, უკვე ჯარს გაუნაწილდა და ამიტომ შეუძლებელია მათი ერთად თავმოყრა“¹³⁶.

მოლაპარაკების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება: ომარ ხანი საქართველოს ტერიტორიას დატოვებდა, ყოველ ტყვე ქართველში მეფე ერეკლეს უნდა გადაეხადა 50 მანეთი, ხოლო ომარ ხანისათვის ყოველწლიურად უნდა ეძლია 10.000 მანეთი. ომარ ხანმა საქართველოს ტერიტორია დატოვა¹³⁷.

ომარ ხანმა უდიდესი ზარალი მოუტანა საქართველოს. ერეკლე მეფე წერდა, შაჰ-აბას II-ის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს ასეთი უბედურება თავს არ დასტეხიაო¹³⁸.

მეფე ერეკლე დიდ საგონებელში იყო ჩავარდნილი. სამეფო სახლშიც არ იყო თანხმობა. დედოფალი დარეჯანი ქართლ-კახეთის სამეფოს უბედურების მიზეზად რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას და გეორგიევსკის ტრაქტატს მიიჩნევდა. დედოფალს მხარს უჭერდა რამდენიმე თავადი¹³⁹. ქართული წყაროების მიხედვით, ანტირუსული მამართულების სულისჩამდგმელი იყვნენ სოლომონ

¹³¹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 148.

¹³² **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 148.

¹³³ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 187.

¹³⁴ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 149.

¹³⁵ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 185-186.

Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 149.

¹³⁶ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 186, **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 150.

¹³⁷ Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора **В. Потто.** Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 207; **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 185.

¹³⁸ **П. Г. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 188, **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 150-151.

¹³⁹ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151.

ლიონიქე და დავით ორბელიანი¹⁴⁰. ერეკლე II კვლავ რუსეთზე ამყარებდა იმედს. ომარ ხანთან ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ, 1785 წლის დეკემბერში მეფე გრიგორი პოტიომკინს საქართველოში დამატებითი ჯარის გამოგზავნას სთხოვდა. იმავდროულად, მეფე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს რუსეთის საიმპერატორო კარზე გარსევან ჭავჭავაძეს წერდა, ყოველი ღონე ესმარა ჯარის გამოგზავნის დასახქარებლად¹⁴¹. უადრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მეფეს გარსევან ჭავჭავაძე არწმუნებდა, რომ გენერალ-ანშეფ გრიგორი პოტიომკინს ერეკლე მეფის ქალიშვილზე სურდა დაქორწინება. გარსევან ჭავჭავაძე მეფეს სთავაზობდა ქალიშვილი გრიგორი პოტიომკინისათვის მიეთხოვებინა, შემდეგ სიძე თავის ვასალად გამოეცხადებინა და ებოძებინა მისთვის სამფლობელო დარიალიდან ანანურამდე¹⁴². გარსევან ჭავჭავაძის აზრით, გრიგორი პოტიომკინი დარიალში ციხე-სიმაგრეს ააშენებდა, ალაგმავდა ოსებს და უზრუნველყოფდა კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის უსაფრთხოებას. გარსევან ჭავჭავაძე ასევე არწმუნებდა მეფეს, რომ ანანური გადაიქცეოდა მშვენიერ ევროპულ ქალაქად თავისი ფაბრიკებით, ვაჭრებით, მხატვრებით და ევროპული წესრიგით¹⁴³. გარსევან ჭავჭავაძის გეგმა არ განხორციელდა. ირანმა ქართლ-კახეთის სამეფო იმდენად დაასუსტა, რომ გრიგორი პოტიომკინმა ხელი აიღო სამხრეთ კავკასიაში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეაზე და მიზნად დაისახა საერთო კავკასიური ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა¹⁴⁴.

§6. რუსეთის ჯარი და ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობა (1785-1787 წწ.)

ომარ ხანის ლაშქრობის შემდეგ, 1785 წლის მიწურულიდან, ქართლ-კახეთის სამეფოს ჭარბელაქნისა და ახალციხის საფაშოს მხრიდან ლეკთა ახალი თავდასხმის საშიშროება დაემუქრა. ერეკლე II-მ კვლავ რუსეთს მიმართა და სამეფოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად 30.000 მანეთი ითხოვა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალ-პორუჩიკი პაველ პოტიომკინი 1786 წლის 28 იანვარს გენერალ-ანშეფ გრიგორი პოტიომკინს სწერდა, რომ მან მეფე ერეკლეს 4.000 ჩერვონეცი გაუგზავნა და იმ არტილერიის გაგზავნასაც დაჰპირდა, რომელიც იმპერატორმა ეკატერინა II-მ 1784 წელს მეფეს აჩუქა¹⁴⁵.

რუსეთისაგან მიღებული ფული ერეკლე II-მ პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევეს გადასცა და თანაც გააფრთხილა: რუსეთიდან ფულის მიღება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და მეფის ნათესავებს არ უნდა შეეცყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფული დაიხარჯებოდა. სტეპან ბურნაშევემ მეფის თხოვნა შეასრულა. ერეკლე II სტეპან ბურნაშევეს სთხოვდა ეშუამდგომლა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის კონტიგენტის გაზრდის თაობაზე. მეფე პოლკოვნიკს არწმუნებდა, რომ ორი რუსული ბატალიონი საკმარისი არ იყო ლეკთა თარეშის აღსაკვეთად¹⁴⁶. ერეკლე მეფის ნათქვამი მალე დადასტურდა. 1786 წლის მარტში ჭარბელაქანში მოკალათებულმა ლეკებმა მდინარე ალაზანი გადმოლახეს და საქონელი გარეკეს. ახალციხიდან მდინარე მტკვრის ხეობით შემოჭრილმა ლეკებმა სურამის მიდამოები გაძარცვეს და ტყვედ 20 ადამიანი აიყვანეს. მეფე ერეკლემ შეიტყო თუ არა ლეკთა თავდასხმის ამბავი, 200 ქართველი და 150 რუსი მებრძოლით თბილისიდან გავიდა, მაგრამ 17 ვერსის გავლის შემდეგ ლაშქრობა შეწყვიტა, სამი დღე ბანაკად იდგა და შემდეგ ქალაქში დაბრუნდა. სტეპან ბურნაშევეს 1786 წლის 13 მარტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ლაშქრობის შეწყვეტის მიზეზი სურსათის უქონლობა იყო¹⁴⁷. სტეპან ბურნაშევი აღნიშნავს, რომ რუსული ბატალიონების დანაწილება და ქართულ ჯართან გაერთიანება მიზანშეწონილი არ იყო, ხოლო რუსეთის ორი ბატალიონის ერთად გადაადგილებისათვის საჭირო სურსათის რაოდენობა მეფეს არ გააჩნდა. პოლკოვნიკი წერდა, რომ რუსული ბატალიონები სურსათის უქონლობას არამარტო ლაშქრობისას განიცდიდნენ, არამედ თბილისში ყოფნის დროსაც¹⁴⁸. მეფე ერეკლე სტეპან ბურნაშევეს არწმუნებდა,

¹⁴⁰სარგის კაკაბაძე. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წ.წ.). ტფილისი, 1922, გვ.233.

¹⁴¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151.

¹⁴²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151.

¹⁴³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151-152.

¹⁴⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 151-152.

¹⁴⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 205-206.

¹⁴⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 206.

¹⁴⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 206.

¹⁴⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 206.

რომ სამეფოში პურის სერიოზული მარაგი არსებობდა, რაც საკმარისი იყო არა მარტო ორი რუსული ბატალიონის, არამედ რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტის გამოსაკვებადაც¹⁴⁹. მეფე კიდევ ერთხელ სთხოვდა პოლკოვნიკს ეშუამდგომლა რუსეთის ჯარის გაზრდის თაობაზე, რადგან უტყუარი ცნობები ჰქონდა, რომ ლეკები კვლავ შემოიჭრებოდნენ სამეფოს ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, სტეპან ბურნაშევიც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ლეკები კვლავ გააგრძელებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს ძარცვას. 1786 წლის 18 აპრილს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინს მოახსენებდა, რომ ახალციხის ფაშა სულეიმანი ომარ ხანს ფულს უგზავნიდა და ახალი ლაშქრობის დაწყებისაკენ მოუწოდებდა¹⁵⁰. ომარ ხანს წესად ჰქონდა ორ ან სამ მხარესთან ერთად ეწარმოებინა მოლაპარაკება და შემდეგ ყველაზე უფრო სარფიანი გადაწყვეტილება მიეღო. ომარ ხანმა სულეიმან ფაშას შემოთავაზება მიიღო და 7.000 მებრძოლით ახალციხეში ჩავიდა. 7.000 ლეკი მებრძოლიდან ცალკეული რაზმი თითქმის ყოველ დღე შეიჭრებოდა ხოლმე ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში. ლეკთა ერთ-ერთმა რაზმმა თითქმის თბილისამდე მიადწია და 300 ცხენი გაიტაცა. ლეკებს უფლისწული გიორგი დაედევნა, მაგრამ უშედეგოდ¹⁵¹.

ოსმალეთთან ომის დაწყებამდე რუსეთის იმპერიის დიპლომატია ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში ვითარების განმუხტვის მიზნით ერეკლე II და სულეიმან ფაშა შეერიგებინა. გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის მეფისა და ახალციხის ფაშას შერიგება დროებითი მოვლენა იყო და მას სავსებით კონკრეტული მიზანი ჰქონდა – რუსეთს დროის მოგება სჭირდებოდა. კონკრეტული მიზანი ჰქონდა ერეკლე მეფესაც: ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტის შემოსვლამდე ომარ ხანთან ბრძოლით დასუსტებული ქართლ-კახეთის ჯარი ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ ომს ვერ დაიწყებდა. ერეკლე II-ისა და გრიგორი პოტიომკინის მიმღწერიდან ირკვევა, რომ ზავი ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტის შემოსვლისთანავე დაირღვეოდა¹⁵². სულთანიც სავსებით გარკვეული მიზნით დასთანხმდა ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას შერიგებას. სულთანს ეშინოდა, რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ ერეკლე II ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე არ შეჭრილიყო¹⁵³. ოსმალეთის სულთნის თანხმობა ქართლ-კახეთის მეფისა და ახალციხის ფაშას დაზავებაზე სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლასა და საქართველოში ორი რუსული ბატალიონის შემოსვლას შეურიგდა.

ერეკლე II-სა და სულეიმან ფაშას შორის მოლაპარაკებების უმთავრესი საკითხი საფაშოს ტერიტორიაზე ლეკთა რაზმების ყოფნას ეხებოდა. მეფემ სულეიმან ფაშას სთხოვა საფაშოს ტერიტორიაზე ლეკები არ გაეჩერებინა და არ მიეცა მათთვის ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიის დარბევის საშუალება. ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას შორის გამართული მოლაპარაკებების კურსში იყო სტეპან ბურნაშევი. 1786 წლის 31 მაისს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინს მოახსენებდა: სულეიმან ფაშამ ერეკლე მეფეს აღუთქვა, რომ მის თხოვნას შეასრულებდა მხოლოდ ერთი პირობით: მეფეს ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ რუსეთის ჯარი და იმპერატორ ეკატერინა II-ის მიერ ნაბოძები არტილერია არ უნდა გამოეყენებინა, ასევე ოსმალეთთან ომში რუსეთის ჯარისათვის დახმარება არ უნდა აღმოეჩინა. სტეპან ბურნაშევი იმასაც წერდა, რომ ახალციხის ფაშას მიერ წამოყენებული პირობის შესრულების შემთხვევაში ოსმალეთის სულთანი ქართლ-კახეთის მეფეს განჯის, ერევნისა და ირანის სხვა სახანოებს დაუქვემდებარებდა¹⁵⁴. ერეკლე II-ს პირობები არ მიუღია და სულეიმან ფაშასათვის უცნობებია: ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერატორის მფარველობაში იმყოფება და იმპერატორის გვერდის ავლით უფლება არ მაქვს ვინმესთან მოლაპარაკება ვაწარმოო¹⁵⁵. გაგულისებულ სულეიმან ფაშას მხრიდან პასუხმაც არ დააყოვნა. ლეკთა რაზმები მოედვნენ სამეფოს ტერიტორიას: ერთი რაზმი მდინარე ალგეთზე, თბილისიდან 30 ვერსის მოშორებით გამოჩნდა, მეორე – მცხეთასთან, მესამე – ქარელთან, მეოთხე – დილომთან, მეხუთე – სურამთან¹⁵⁶.

¹⁴⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 207.

¹⁵⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 207.

¹⁵¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 207.

¹⁵²О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.228.

¹⁵³О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 228.

¹⁵⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 207.

¹⁵⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

¹⁵⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

1786 წელს ახალციხის მხრიდან შემოსული ლეკების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიის დარბევა და ადამიანების გატაცება ოსმალეთის მხრიდან რუსეთის იმპერიის ინტერესების შელახვას ნიშნავდა. რუსეთმა ოსმალეთის სულთანს მოსთხოვა სულეიმან ფაშასათვის ახალციხეში ლეკების თავმოყრა და მათი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შეგზავნა აეკრძალა. 1786 წლის 17 აპრილს იმპერატორმა ეკატერინა II-მ რუსეთის ელჩს სტამბოლში იაკოვ ბულგაკოვს სპეციალური ბრძანება გაუგზავნა. იმპერატორი წერდა, რომ ელჩს ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის პროტესტი წერილობით გადაეცა. რუსეთის მოთხოვნა ასეთი იყო: სულთანს ახალციხის ფაშა უნდა აეძულებინა შეეწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევა, სამაგიეროდ რუსეთი არ დაარღვევდა ოსმალეთთან დადებულ ზავს¹⁵⁷ (იგულისხმება 1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავი – ვ. გ.)

სანამ ეკატერინა II-ის ბრძანება სტამბოლში ჩააღწევდა და რუსეთის ელჩი იაკოვ ბულგაკოვი ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტას გადასცემდა, სულეიმან ფაშა მტრულ მოქმედებას აგრძელებდა. ფაშამ ხმები გაავრცელა, რომ სულთანმა მას საჩუქრები და 44.000 ჩერვონეცი გამოუგზავნა. საჩუქრები და ფული განკუთვნილი იყო აზერბაიჯანელი ხანებისა და დაღესტნელი მფლობელებისათვის, რომელთაც ქართლ-კახეთის სამეფოზე ერთობლივი ლაშქრობა უნდა მოეწყობო. იმავე ხმების მიხედვით, ომარ ხანი კახეთში უნდა შეჭრილიყო, სულეიმან ფაშა – ქართლში, აზერბაიჯანელი ხანები – ყაზახსა და შამშადილუში¹⁵⁸. ერეკლე II ამ ხმებმა სერიოზულად შეაშფოთა. 1786 წლის 6 აგვისტოს მეფე პაველ პოტიომკინს დახმარებას სთხოვდა. მეფემ იცოდა, რომ სანამ პაველ პოტიომკინი სანკტ-პეტერბურგიდან ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტიგენტის გაგზავნის უფლებას მიიღებდა, ლეკები სამეფოს გააჩანაგებდნენ. ამიტომ იყო, რომ მეფე ერეკლე გენერალს სთხოვდა ჯარის დამატებითი კონტიგენტი სანკტ-პეტერბურგიდან ნებართვის მიღებამდე გამოეგზავნა¹⁵⁹.

ერეკლე II-ის დაუინებულმა თხოვნამ ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული ჯარის კონტიგენტის გაზრდის თაობაზე გარკვეული შედეგი გამოიღო. იმპერატორმა ეკატერინა II-მ უკვე მეორედ დაავალა რუსეთის ელჩს სტამბოლში იაკოვ ბულგაკოვს პროტესტი განეცხადებინა ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის. მოთხოვნის შინაარსი იგივე იყო: სულთანს ახალციხის ფაშასათვის ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში შეჭრა უნდა აეკრძალა¹⁶⁰.

რუსეთის იმპერატორის მეორე პროტესტის შემდეგ ოსმალეთის სულთანმა არზრუმის, ვანის, ყარსისა და ახალციხის ფაშებს ფირმანი გაუგზავნა და ქართლ-კახეთის მეფესთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება უბრძანა. თავის მხრივ, ფაშებმა ერეკლე II-ს მეგობრობის დამადასტურებელი წერილები გამოუგზავნეს. განსაკუთრებით გამოიღო თავი არზრუმის ფაშა **ბათალიმ**, რომელიც მალე სულთანმა სერასკირად დანიშნა. ბათალი ფაშა მეფეს სწერდა, რომ მისი კეთილდღეობა ოსმალეთის სულთანის მფარველობაზე იყო დამოკიდებული. ფაშას არც ის დაუმაღლავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა უბედურება რუსეთის მფარველობაში შესვლით იყო გამოწვეული¹⁶¹. 1786 წლის 31 ივლისს ბათალი ფაშას წერილი მეფე ერეკლემ კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს გადაუგზავნა. მეფე გენერალს კვლავ ჯარის დამატებითი კონტიგენტის გამოგზავნას სთხოვდა¹⁶².

ერეკლე II-ის შემოფოთებას სავსებით რეალური საფუძველი ჰქონდა. ერთი მხრივ, სულთანმა ახალციხის ფაშას აუკრძალა ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე შეჭრა, რათა ამ გზით თავი აერიდებინა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ოსმალეთი რუსეთთან ომის დაწყებისათვის ემზადებოდა¹⁶³. 1786 წელს ფოთში შემოვიდა საბრძოლო მასალითა და სურსათით დატვირთული 2 სამხედრო და 15 სატრანსპორტო გემი. ბათუმსა და ფოთში ოსმალებმა გემებიდან გადმოზიდეს ზარბაზნები, მდინარე რიონსა და პალისტომის ტბას შორის დაიწვეს მცირე სიმაგრეების მშენებლობა, სადაც შეჭქონდათ ზარბაზნები. მშენებლობას ხელმძღვანელობდა სტამბოლიდან ჩამოსული ოთხი უცხოელი სპეციალისტი. სიმაგრეებში დადგმული ზარბაზნების

¹⁵⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 208.

¹⁵⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 209.

¹⁵⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 209.

¹⁶⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 210.

¹⁶¹О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука“, Москва, 1966. стр. 228-229.

¹⁶²О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука“, Москва, 1966. стр. 229.

¹⁶³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 210.

ამოქმედებისათვის უცხოელმა სპეციალისტებმა მოამზადეს 60 ოსმალო მებრძოლი. გავრცელდა ხმები, რომ ანატოლიაში თავმოყრილი იყო ოსმალების არმია (35.000 მებრძოლი), ხოლო ახალციხეში ჩასულ ოსმალო ფაშას დაგალებული ჰქონდა შეეკრიბა დაახლოებით 12.000 ლეკი¹⁶⁴.

1786 წელს საქართველოს საზღვრებთან ოსმალების ჯარის თავმოყრა წინააღმდეგობაში მოდიოდა სულთნის ბრძანებასთან, რომელიც სულეიმან ფაშას ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში შეჭრას უკრძალავდა. თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში შეჭრისათვის არ ემზადებოდა. სულთანი ცდილობდა საქართველო-ოსმალების საზღვარი იმდენად გაემაგრებინა, რომ ოსმალების ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შეჭრა აცილებინა თავიდან¹⁶⁵. რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II სავსებით გარკვევით ამბობდა: არანაირი აუცილებლობა რუსეთს არ გააჩნია, რომ ოსმალეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით სცადონ შეჭრა, ოსმალებს ალბათ ის ახსოვთ, გემების გარეშე რუსებმა როგორ გადალახეს მდინარე დუნაი, ისიც არ დაგიწყებიათ, როგორ დაეცა ოსმალების ციხე-სიმაგრეები, ჩვენი მხედართმთავრები იქ არ შეუტევენ, სადაც მათ ელოდებიან¹⁶⁶.

ანატოლიასა და ახალციხეში ოსმალების ჯარის თავმოყრის შესახებ ცნობამ ძალზე შეაშფოთა ერეკლე II, შეშფოთებული იყო სტეპან ბურნაშევიც. ამ დროისათვის სტეპან ბურნაშევს ორი ბატალიონიდან (დაახლოებით 1.500 მებრძოლი) მწყობრში მხოლოდ 1000 მებრძოლი ჰყავდა. დანარჩენი ჯარისკაცები ან ავადმყოფობდნენ ან ავადმყოფობის შემდეგ იმდენად სუსტად იყვნენ, რომ ბრძოლაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. რუს პოლკოვნიკს აფიქრებდა ისიც, რომ მის განკარგულებაში არ იყო ძლიერი საკავალერიო რაზმი. ისიც საგულისხმო იყო, რომ ლაშქრობის დაწყება რუსულ ბატალიონებს პროვიანტის მარაგის გარეშე მოუწევდათ¹⁶⁷.

პაველ პოტიომკინმა ომის შემთხვევისათვის გარკვეული ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1786 წელს რუსეთის ჯარისა და ოსების დახმარებით დაიწყო კავკასიის ხაზიდან საქართველოში მომავალი გზის შეკეთება, ვლადიკავკაზის სიმაგრესთან თავი მოიყარა რუსეთის ჯარის სამმა ქვეითმა ბატალიონმა, დრაგუნთა ოთხმა ესკადრონმა და კახაკთა პოლკმა. საჭიროების შემთხვევაში ეს სამხედრო ძალა ქართლ-კახეთის მეფის დასახმარებლად უნდა დაძრულიყო¹⁶⁸. ახალციხის ფაშას ოსთა შორის ბევრი მოეწეოდა, ამიტომ კარგად იყო ინფორმირებული ჩრდილოეთ კავკასიის ხაზზე რუსეთის ჯარების განლაგებასა და ვლადიკავკაზის სიმაგრესთან ჯარის თავმოყრის შესახებ. სულეიმან ფაშამ მიიღო ცნობა სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან დაჯგუფებულ ოსმალების ჯარების სარდლად ბათალი ფაშას დანიშნვის შესახებ. ახალციხის ფაშას ბათალი ფაშას ჯარისა და რუსეთის ჯარის ახალციხესთან მიახლოებისა ერთნაირად ეშინოდა. სულეიმან ფაშა ბათალი ფაშას პირად მტრად მიიჩნევდა და სულაც არ სურდა, რომ საფაშო ბათალი ფაშას კონტროლის ქვეშ გადასულიყო. ახალციხის ფაშა მანევრირების გზას დაადგა. 1786 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოვიდა სულეიმან ფაშას ელჩი და ერეკლე II-ს საზავო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის მეფეს პირდებოდა, რომ ხელშეკრულების დადების საკითხს ოსმალების დიდ ვეზირთან იგი პირადად შეათანხმებდა. ერეკლე II-ს ახალციხის ფაშას წინადადება ცოტა უცნაურად ეჩვენა. სულეიმან ფაშას სავსებით კონკრეტული მიზანი ჰქონდა დასახული: ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ ახალციხის ფაშა ოსმალების დიდ ვეზირს დაარწმუნებდა, რომ ქართლ-კახეთის მხრიდან ოსმალების საზღვრებს საფრთხე არ დაემუქრებოდა. ამ შემთხვევაში ოსმალების ჯარების თავმოყრა სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან აუცილებელი აღარ იქნებოდა, რაც ცხადია ხელს აძლევდა ერეკლე II-საც¹⁶⁹. ერეკლე II-ისა და სულეიმან ფაშას ელჩის მოლაპარაკება ისე დასრულდა, რომ მეფეს საქმის კურსში არ ჩაუყენებია ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი(მინისტრი)სტეპან ბურნაშევი¹⁷⁰.

მოლაპარაკება ერეკლე მეფესა და სულეიმან ფაშას შორის ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა. ფაშა მეფეს შემდეგ პირობებს უყენებდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანა და თუ ეს არ მოხერხდებოდა, სამეფოში რუსეთის ჯარი არ უნდა გაზრდილიყო. 2. ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისათვის ნაბოძები არტილერია სამეფოს ტერიტორიაზე არ უნდა შემოეტანათ. 3. რუსეთის ჯარის

¹⁶⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 210-211.

¹⁶⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 211.

¹⁶⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 211.

¹⁶⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 211-212.

¹⁶⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 212.

¹⁶⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 212-213.

¹⁷⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 213.

ორი ბატალიონი ახალციხის საფაშოს საზღვრებთან არ უნდა განლაგებულიყო. თუ ერეკლე მეფე ამ პირობებს შეასრულებდა, სულეიმან ფაშა ვალდებული იქნებოდა: 1. ახალციხეში ლეკებს არ გააჩერებდა; 2. ახალციხის ფაშას განჯისა და ერევნის სახანოებზე პრეტენზია არ ექნებოდა; 3. ახალციხის ფაშა ჩრდილო კავკასიის მუსლიმ მფლობელებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმების შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა. იმავე წერილში, რომელშიც პირობები იყო ჩამოყალიბებული, სულეიმან ფაშა ერეკლე მეფეს სწერდა: თუ მეფე საერთოდ ჩამოშორდებოდა რუსეთს, იგი სულთნისაგან დიდ ჯილდოს მიიღებდა და საგანგებოდ გადაეცემოდა ქართლ-კახეთის სამეფოს მოსაზღვრე ბევრი ტერიტორია¹⁷¹. ცხადია, ამ ტერიტორიებში იგულისხმებოდა განჯისა და ერევნის სახანოები და რამდენიმე აზერბაიჯანული სახანო. ყველა ეს სახანო ირანის ნაწილი იყო, ასე რომ ოსმალეთის სულთანმა ქართლ-კახეთის მეფეს ირანის ტერიტორიებს უმტკიცებდა.

სულეიმან ფაშას წინადადებები ერეკლე II-მ არ მიიღო. ამის შემდეგ ახალციხის ფაშამ ერეკლე მეფეს შესთავაზა დადებულიყო თავდაუსხმელობის ხელშეკრულება არა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ოსმალეთს შორის, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის. სულეიმან ფაშას სეპარატისტული განწყობილება მოეწონა ეკატერინა II-ს. 1786 წლის 26 ივლისს იმპერატორი გრიგორი პოტიომკინს სწერდა: „არავი იქნებოდა, რომ სულეიმან ფაშა დამოუკიდებლობის გზას შესდგომოდა“¹⁷². ცოტა უფრო ადრე რუსმა დიპლომატებმა სულეიმან ფაშას აგრძნობინეს, რომ თუ იგი ოსმალეთიდან ახალციხის საფაშოს გამოყოფას შეეცდებოდა, რუსეთი მხარს დაუჭერდა. ბოლოს სულეიმან ფაშა შეშინდა და საფაშოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელსაყრელი ვითარების შექმნამდე ხელი იადო. 1786 წლის 8 სექტემბერს გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა: თუ რუსეთმა ოსმალეთის ომში გაიმარჯვა, სულეიმან ფაშა ჩვენ დაგვემორჩილება, მანამდე კი ფაშას რუსეთთან არანაირი მოლაპარაკების წარმოება არ შეუძლია¹⁷³.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება 1786 წლის 12 სექტემბერს დაიდო. ხელშეკრულების პირობები ასეთი იყო: ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იქნებოდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 3.000 მეგრძოლზე მეტი; 2. ოსმალეთსა და რუსეთს შორის ზავის მოქმედების პერიოდში ერეკლე II-ს ომი არ უნდა დაეწყო ახალციხის საფაშოს წინააღმდეგ; 3. თუ ახალციხის საფაშოს საზღვრისპირა ტერიტორიის მფლობელები ერეკლე II-ის უფლებებს შელახავდნენ, მეფე თავს დაიცავდა როგორც ქართული, ისე რუსული ჯარით (3.000 მეგრძოლით). ახალციხის ფაშა სულეიმანი ვალდებული იქნებოდა: 1. ახალციხის ფაშას საფაშოს ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ლეკებისა და დაღესტნელების ლაშქარი და ლეკებისა და დაღესტნელებისათვის არ მიეცა ახალციხის საფაშოს მხრიდან ქართლ-კახეთის დარბევის უფლება; ახალციხის ფაშას ლეკებისა და დაღესტნელებისათვის უნდა აეკრძალა ახალციხეში ქართველი ტყვეებით ვაჭრობა; 2. ახალციხის ფაშას საფაშოს საზღვრისპირა ტერიტორიის მფლობელები არ უნდა წაექეზებინა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ; 3. ახალციხის ფაშას ოსმალეთის ჯარი ქართლ-კახეთის საზღვარზე არ უნდა განელაგებინა¹⁷⁴. ერეკლე II-მ კარგად იცოდა, რომ სულეიმან ფაშას მიერ დადებულ პირობას, არანაირი კავშირი არ დაემყარებინა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებთან და ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებთან ოსმალეთის ჯარების თავმოყრა არ დაეშვა, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუ ოსმალეთის სულთანმა უბრძანებდა, ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის სამეფოს მტრებთანაც დაამყარებდა ურთიერთობას და ვერც სამეფოს საზღვრებთან ოსმალეთის ჯარების თავმოყრას აღუდგებოდა წინ. მიუხედავად ამისა, ერეკლე II-მ ხელშეკრულება მაინც დადო, დადო იმ მიზნით, რომ სულეიმან ფაშასა და ლეკებს დროებით მაინც შეეწყვიტათ სამეფოს საზღვრებში შემოჭრა¹⁷⁵.

ახალციხის საფაშოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ 1787 წლის 15 სექტემბერს ერეკლე II-მ ოსმალეთის დიდ ვეზირს აცნობა. დიდი ვეზირისათვის გადასაცემი წერილი ერეკლე მეფემ სულეიმან ფაშას ელჩს გადასცა. ასე რომ, სტამბოლში წერილის გაგზავნა საიდუმლოდ არ დარჩენილა. ერეკლე მეფე ოსმალეთის დიდ ვეზირს სწერდა: „მტრის თავდასხმების დროს ჩვენ

¹⁷¹ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 229.

¹⁷² **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.229.

¹⁷³ **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.230.

¹⁷⁴ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. Том II. выпуск II. С 1769 по 1801 год. Под редакцией **А. А. Цагарели.** С.- Петербург, 1902, стр. 60; **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 212-213; **იასე ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960, გვ. 174; საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1977, გვ. 709. **О. П. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.207-209.

¹⁷⁵ **Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 213.

იძულებულნი ვიყავით დახმარება მეზობლებისათვის გვეთხოვა, თუმცა ამ თხოვნას ხშირად სასურველი შედეგი არ მოჰქონდა. მხოლოდ რუსეთმა ჩვენ და ჩვენს წინაპრებს აღმოვიჩინა ძლიერი დახმარება. ამიტომ იყო, რომ ჩვენ მივმართეთ რუსეთის უმაღლეს კარს. მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ჩვენ მფარველობა გვიწყალობა და ქვეყნის დაცვისათვის გვიბოძა ჯარი, 3.000 მეზობლი. უკვე სამი წელი გავიდა, რაც რუსის ჯარი ჩემს სამფლობელოშია, მაგრამ სულთნის ქვეშევრდომებისათვის ჩვენ არც ფარულად და არც აშკარად წყენა არ მიგვიყენებია, ხოლო ჩვენს საზღვრებში შემოჭრილ მტერს შეძლებისდაგვარად ვუწევით წინააღმდეგობას. ამის სანაცვლოდ სულეიმან ფაშამ, როგორც კი გაიგო ჩვენთან რუსეთის ჯარის მოსვლის შესახებ, ახალციხეში დადესტნელები მოიხმო, რომელთაც ბევრი სოფელი გაგვიძარცვეს, დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს ჩვენი უამრავი ქვეშევრდომი, რადგან ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობაა და ვცდილობთ წყენა არ მივაყენოთ სულთანს, ახალციხიდან განხორციელებული შემოსევები დაუსჯელად დაგტოვეთ, რასაც დაადასტურებენ თქვენს ქვეშევრდომობაში მყოფი თქვენი მეზობლები¹⁷⁶. ამ შესავლის შემდეგ ერეკლე II უკვე სულეიმან ფაშასთან ურთიერთობას ეხება და განაგრძობს: „ახლა სულეიმან ფაშას სურს, რომ ჩვენთან მეგობრობა ჰქონდეს. ფაშამ ელჩი გამოგვიგზავნა, რომელთანაც ჩვენ შევეთანხმდით: ჩვენთან მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნილი რუსეთის სამიათასიანი ჯარი არ გაიზრდება, სანამ რუსეთი და ოსმალეთი მშვიდობიან ურთიერთობაში იქნებიან. სულეიმან ფაშა გვირდება, რომ დადესტნელებს ახალციხეში აღარ მოიწვევს, ხოლო ახალციხეში მყოფ დადესტნელებს გააძევებს, თავისი ჯარით ზიანს არასდროს მოგვაყენებს, ჩვენი ქვეშევრდომების ახალციხეში ყიდვა-გაყიდვას არ დაუშვებს, ჩვენ მტრებთან არც ფარულად და არც აშკარად ურთიერთობას არ იქონიებს და სულთნის ჯარს ჩვენ საზღვრებთან არ დააყენებს“¹⁷⁷. ცხადია, ელჩმა ერეკლეს წერილი სულეიმან ფაშას აჩვენა. ფაშა, ცხადია, კმაყოფილი არ დარჩებოდა. სულეიმანს სურდა ერეკლე მეფეს სულთნისათვის მფარველობა ეთხოვა, ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშამ სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა და ახალციხეში ჩასული ერეკლე მეფის ელჩებიც უკან გამოისტუმრა. სულეიმან ფაშა ერეკლეს წერდა, რომ თუ მეფეს თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობა და ქვეყანაში წესრიგის დაცვა სურდა და თუ არ სურდა ლეკებს საქართველო გაენადგურებინათ, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. ფაშა მეფეს აცნობებდა, რომ ახალციხეში მყოფი ლეკების შეჩერება მას არ შეეძლო. მიუხედავად აშკარა უკმაყოფილებისა, სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს ჰპირდებოდა, რომ ის მშვიდობის შენარჩუნებაზე თანახმა იყო¹⁷⁸. ახალციხის ფაშა არც იმას მაღავედა, რომ არ მოეწონა ერეკლე II-ის მიერ ოსმალეთის დიდი ვეზირისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსი. ფაშა ერეკლეს რჩევას აძლევდა: თუ სულთნის ერთგულება გინდა დაამტკიცო, სულთნის კარზე მივევლებად ორი მოხელე უნდა გააგზავნო. სულეიმან ფაშა მეფეს ასევე ურჩევდა, რომ რუსეთში გაგზავნილი შვილები სასწრაფოდ უკან გამოეწვია. წერილის დასასრულს სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „თუ მე შენ ძმად მოვლი, ნუ უგულვებელპყოფ ამ სასარგებლო რჩევებს“¹⁷⁹.

1786 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სულეიმან ფაშამ თბილისში კვლავ გამოგზავნა თავისი ელჩები. ელჩებმა მეფე ერეკლეს ფაშას დანაბარები ზეპირად გადასცეს. ახალციხის ფაშა ქართლ-კახეთის მეფეს წინა წერილში მიცემულმ¹⁷⁹რჩევებს” ფაქტობრივად იმეორებდა, როცა წერდა, რომ რუსეთის ჯარი სამეფოდან გაეყვანა (რუსეთში დაებრუნებინა), ხოლო შვილები, მირიანი და თეიმურაზი (ბერად აღკვეცის შემდეგ ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II – ვ.გ.), რუსეთიდან გამოეწვია. სულეიმან ფაშას აზრით, ამ პირობების შესრულების შემდეგ ოსმალეთის სულთანს ერეკლე II-ს ყველა თხოვნას დააკმაყოფილებდა. გარდა ამისა, ახალციხის ფაშამ ერეკლე II-ს აცნობა: 1. თუ რუსის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში დარჩებოდა, მას არავითარი ზიანი არ უნდა მიეყენებინა ოსმალეთის სამფლობელოებისათვის; 2. ერეკლე II-ს არ უნდა მოეთხოვა რუსეთის ჯარის რაოდენობის გაზრდა; 3. ერეკლე მეფეს ახალციხეში მივევლებად უნდა გაგზავნა ორი თავადი ცნობილი საგვარეულოებიდან. მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ სულთანი არანაირ ზიანს ქართლ-კახეთის სამეფოს არ მიაყენებდა, ოსმალეთის საზღვრებიდან გააძევებდა ლეკებს,

¹⁷⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 213-214.

¹⁷⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 214.

¹⁷⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 214-215.

¹⁷⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 215.

ახალციხეში მყოფ ქართველ ტყვეებს დააბრუნებდა და ერეკლე II-ს კვლავ დაუმორჩილებდა აზერბაიჯანის ურჩ სახანოებს¹⁸⁰.

ახალციხიდან ლეკების გაძევების შესახებ დაპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ლეკთა შემოსევებისაგან რომ თავი დაეცვა, ერეკლე II ომარ ხანის მამას წლიურად 1.000 მანეთს უხდიდა, ხოლო ომარ ხანს 6.500 მანეთს. ერეკლე მეფე ომარ ხანთან დანათესავებასაც კი ცდილობდა და სურდა ბატონიშვილ გიორგისათვის ომარ ხანის ქალიშვილი შეერთო ცოლად. ქორწინება არ შედგა და ავარიის ხანმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევა კვლავინდებურად გააგრძელა. მოგვიანებით ომარ ხანმა თვითონ მოინდომა ერეკლე II-სთან დანათესავება. ხანს სურდა ბატონიშვილ ვახტანგს მის დაზე ექორწინა. ეს ქორწინებაც არ შედგა და ქართლ-კახეთის სამეფოს რბევა-აწიოკებაც ძველებურად გრძელდებოდა¹⁸¹.

ასეთ ვითარებაში სულეიმან ფაშას დაპირებას, რომ ახალციხიდან ლეკებს გააძევებდა, ერეკლე მეფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშას ელჩის თბილისში ჩასვლისთანავე ერეკლე II-მ სამეფო დარბაზის წევრებს საგარეჯოში შეკრება უბრძანა. ცალკე მიიღეს მიწვევა ტახტის მემკვიდრემ გიორგი ბატონიშვილმა და კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ. საგარეჯოში დარბაზის სხდომა 1786 წლის 18 დეკემბერს შედგა. დარბაზის სხდომის შემდეგ ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიან წარმომადგენელს (მინისტრს) პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს განუცხადა: 1. დარბაზის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალციხეში ორი თავადის მძევლად გაგზავნის შესახებ; 2. მძევლების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აეცილებინათ ოსმალეთის თავდასხმა¹⁸². სტეპან ბურნაშევი, ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს დარბაზის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა და ერეკლე მეფეს განუცხადა: გეორგიევსკის ტრაქტატის მეოთხე მუხლის ძალით, მსგავსი გადაწყვეტილება კავკასიის ხაზის მთავარსარდალთან უნდა შეგეთანხმებინათ. ერეკლე მეფე პოლკოვნიკს დაჰპირდა, რომ მომხდარის თაობაზე წერილს გაუგზავნიდა გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს. თუმცა, მეფე პაველ პოტიომკინისგან პასუხის მოსვლას არ დაელოდა და ახალციხეში მძევლებად გაგზავნა თავადები ნიკოლოზ ორბელიანი და თეიმურაზ ციციშვილი¹⁸³.

ერეკლე II-ის მოქმედებით უკმაყოფილო დარჩა პაველ პოტიომკინი, რომელიც მეფეს წერდა: „თქვენ, რუსეთის იმპერიასთან დადებული ტრაქტატის მეოთხე მუხლით ვალდებულიყავით აიღეთ მეზობელ ქვეყნებთან ყოველგვარ ურთიერთობამდე და მეზობელი ქვეყნებიდან ელჩების მოსვლამდე რჩევა გეკითხათ საზღვრის უფროსისათვის (იგულისხმება კავკასიის ხაზის მთავარსარდალი – გ. გ.), ტრაქტატის ძალით, ჩემი ვალია თქვენს უმაღლესობას ვურჩიო არ მისცეს ახალციხის ფაშას მძევლები“¹⁸⁴. რუსი გენერალი მეფეს სწერდა, თუ რა გეგმები ჰქონდა ოსმალეთს ქართლ-კახეთის მიმართ: 1. რუსეთის იმპერატორისადმი ქართლ-კახეთის მეფის ერთგულების შერყევა, ერეკლე მეფის ვერაგად წარმოჩენა; 2. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანა, სამეფოს მრისხანე დამცველის გარეშე დატოვება; 3. ქართლ-კახეთის მეფისაგან პირობის მიღება, რომ ლეკებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ოსმალეთს არ მოეთხოვოს; 4. ქართლ-კახეთის მეფისათვის თავადების მძევლად მოთხოვნა. პაველ პოტიომკინი ერეკლე მეფეს აფრთხილებდა, რომ დაპირების მიუხედავად, ახალციხის ფაშას არ შეეძლო აზერბაიჯანელი ხანები ერეკლე II-სათვის დაემორჩილებინა¹⁸⁵. რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის გამო პაველ პოტიომკინი ერეკლე II-ს ურჩევდა ყოველგვარი ურთიერთობა გაეწყვიტა ახალციხის ფაშასთან და არ მიეცა მისთვის მძევლები¹⁸⁶. ამის საპასუხოდ მეფემ პაველ პოტიომკინს მისწერა, რომ მან უკვე გაგზავნა ელჩები ახალციხეში, ყოველნაირად ეცდებოდა, მძევლები აღარ მიეცა სულეიმან ფაშასათვის, მაგრამ ასეთი მოქმედებიდან გამოწვეული შედეგებისა ეშინოდა¹⁸⁷. ერეკლე II-ს ფრთხილი პოლიტიკა განპირობებული იყო იმით, რომ არ იცოდა რუსეთ-ოსმალეთის დაძაბული ურთიერთობა ომის გარეშე დამთავრდებოდა, თუ ომი აუცილებლად დაიწყებოდა. ამიტომ იყო, რომ

¹⁸⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 215.

¹⁸¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 215-216.

¹⁸²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 216.

¹⁸³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 216.

¹⁸⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 217.

¹⁸⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 216-217.

¹⁸⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

¹⁸⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

მეფე პაველ პოტიომკინს სწერდა: „თუ ორ სახელმწიფოს შორის (რუსეთსა და ოსმალეთს შორის – **ფ. გ.**) მშვიდობა მალე დაირღვევა, ჩვენ ახალციხიდან მძევლების გამოყვანას შეეძლებოტ“¹⁸⁸.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის დადებული ხელშეკრულებით უკმაყოფილო დარჩა გრიგორი პოტიომკინიც. 1786 წლის 10 დეკემბერს გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა, რომ ერეკლე მეფემ დათმო, როცა ქართლ-კახეთის სამეფოს დასახმარებლად გამიზნული რუსეთის ჯარის რაოდენობა სამი ათასით განსაზღვრა¹⁸⁹.

სულთანმა, ცხადია, იცოდა ახალციხის ფაშას სეპარატისტული მისწრაფებანი და შეიძლება არც ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებას იწონებდა, მაგრამ ერეკლე II-თან ურთიერთობის დაძაბვა სულთანს ხელს არ აძლევდა. სულთანს ემინოდა, მეფე ერეკლეს ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის რაოდენობის გაზრდა არ ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის¹⁹⁰. სულეიმან ფაშამაც არ იცოდა, როგორ განვითარდებოდა ოსმალეთ-რუსეთის დაძაბულობა, დაიწყებოდა თუ არა ომი.

ამიტომ იყო, რომ სულეიმან ფაშა ყოველნაირად ცდილობდა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ქართლ-კახეთის მეფესთან და მიეღწია ახალციხეში მძევლების გაგზავნისათვის. რუსეთი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართლ-კახეთის მეფისა და ახალციხის ფაშას ურთიერთობას. 1787 წლის 3 იანვარს სტეპან ბურნაშევი პაველ პოტიომკინისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ახალციხის ფაშამ ერეკლე II-ის ელჩებს გზაში ცხენოსანი რაზმი დაახვედრა და დიდი პატივით მიიღო ისინი¹⁹¹. ერეკლე მეფემ ახალციხეში მძევლად გაგზავნილ ნიკოლოზ ორბელიანს და თეიმურაზ ციციშვილს დაავალა სულეიმან ფაშას ზრახვებში გარკვევა და მასზე ზეგავლენის მოხდენა. მცდელობის მიუხედავად, მძევლებმა ფაშა ვერ დაარწმუნეს, რომ ხელი აეღო ქართლ-კახეთის მეფისათვის მძევლების მოთხოვნაზე. პირიქით, სულეიმან ფაშა ოსმალეთის სულთანს არწმუნებდა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გამოსვლა შესაძლებელი იყო. სტამბოლიდან ახალციხეში გამოიგზავნა დიდი რაოდენობით საჩუქრები, საფაშოს ტერიტორიაზე მდგარი ოსმალეთის ჯარის სარდალს და სულეიმან ფაშას დაევალიათ ქართლ-კახეთის მეფესთან ხელშეკრულების დადება. ასეთი ხელშეკრულების დადება ადვილი არ იყო, რადგან ერეკლე II-მ კარგად იცოდა, რა ვერაგულ პოლიტიკას ატარებდა ოსმალეთის სულთანი და როგორ სასტიკად ეპყრობოდა იგი ქრისტიან ხალხებს. მეფე იმასაც ცხადად გრძნობდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობიდან გამოსვლას და ოსმალეთის მფარველობაში შესვლას¹⁹².

ერეკლე მეფემ იცოდა, რომ სულეიმან ფაშა მისი დაუძინებელი მტერი იყო, ხოლო მის მიერ შემოთავაზებული მეგობრობა და მშვიდობა – მოჩვენებითი. თუმცა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე პრორუსული ორიენტაციის პროოსმალურით შეცვლას თავისი მომხრეები ჰყავდა. პრორუსული ორიენტაციის უარყოფას მოითხოვდა დედოფალი **დარეჯანი** და მისი თანამოაზრე თავადები. აღსანიშნავია, რომ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი **გიორგი** პრორუსულ ორიენტაციაზე რჩებოდა. დედოფალ დარეჯანის ანტირუსული ორიენტაცია დიდი განსჯისა და ფიქრის შედეგი არ იყო. დედოფალმა იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ისაგან მოითხოვდა ბატონიშვილებს შორის სამეფოს დანაწილების (საუფლისწულოების გამოყოფის) შეწყვეტას და მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. დარეჯან დედოფალი ძირითადად სწორედ ამ მოთხოვნების გამო დაუპირისპირდა რუსებს. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალს მეზობელი ხასიათი ჰქონდა, სასახლის კარზე რამდენიმე გავლენიანი თავადიც უჭერდა მხარს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია – ერეკლე მეფემ პრორუსული ორიენტაცია არ უარყო. დედოფალ დარეჯანისა და მისი მომხრეების ბრძოლას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია: ერეკლე II-ის დაახლოება სულეიმან ფაშასთან სწორედ დარეჯან დედოფლის გავლენით მოხდა¹⁹³.

1787 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ახალციხეში მიიღეს ოსმალეთის სულთნის ფირმანი, რომელიც ფაშას აუწყებდა, რომ მალე ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომი დაიწყებოდა. ფირმანიდან სულეიმან ფაშამ შეიტყო, რომ ოსმალეთის არმია (52.000 მეზობელი) მალე დაიძვრებოდა მდინარე არპაჩაის (მდინარე არაქსის მარცხენა შენაკადი, სომხეთი – **ფ. გ.**) მიმართულებით. სულთანმა

¹⁸⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

¹⁸⁹О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр.230.

¹⁹⁰საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვატომეული. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 709.

¹⁹¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

¹⁹²Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 218.

¹⁹³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

სულეიმან ფაშა სერასკირად დანიშნა და დაავალა არმიისათვის აუცილებელი პროვიანტის მომზადება¹⁹⁴. მდინარე არპაჩაის მიმართულებით ოსმალეთის ჯარის გამოგზავნის ამბავი სულეიმან ფაშამ ერეკლე მეფის მძევლებს აცნობა. ფაშა ირწმუნებოდა, რომ მას ქართლ-კახეთის მეფესთან მშვიდობის შენარჩუნება სურდა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნის მიზნით ან პირადად ერეკლე II-სთან, ან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ გიორგისთან ითხოვდა შეხვედრას. 1787 წლის 28 თებერვალს სულეიმან ფაშა დედოფალ დარეჯანს სწერდა: „ხელმწიფეებმა (ოსმალეთის სულთანმა და რუსეთის იმპერატორმა – გ. გ.) მოიმოქმედონ ის, რაც განზრახული აქვთ, ჩვენ კი ჩვენი სამფლობელოების სასარგებლოდ უნდა ვეცადოთ. შვიდი თუ რვა მეფე მისწრაფოდა რუსეთისაკენ (იგულისხმება რუსული ორიენტაციის ქართველი მეფეები – ვ. გ.), მაგრამ წარუმატებლად. ამჯერად დაეინახათ, შემძლია თუ არა მე ჩემი ძმისა და მეფისათვის (იგულისხმება ერეკლე II – გ. გ.) რაიმე სასარგებლო გაგაკეთო“¹⁹⁵.

დარეჯან დედოფალი მართალი იყო იმაში, რომ თუ ოსმალეთის ჯარი (52.000 მეგრძოლი) რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიჭრებოდა, ქართული ჯარი და ორი რუსული ბატალიონი მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ვითარებას ვერც ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობის გაზრდა (გაორმაგება, გასამმაგება) იხსნიდა, თუმცა რუსეთი საერთოდ არ ფიქრობდა რაოდენობის შეცვლას. ყოველივე ეს კარგად იცოდა ერეკლე II-მაც. მეფე იძულებული გახდა ახალციხის ფაშასთან და საფაშოს ტერიტორიაზე მდგარ ოსმალეთის ჯარის სარდალთან მოლაპარაკება გაემართა. მოლაპარაკების შედეგი ასეთი იყო: 1. ქართლ-კახეთის მეფეს ახალციხეში მძევლები უნდა გაეგზავნა; 2. ოსმალეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში არ შემოიჭრებოდა; 3. ახალციხის ფაშა ღეკებს საფაშოს ტერიტორიაზე არ გააჩერებდა. ახალციხეში მყოფმა ერეკლეს ელჩებმა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ მეფეს აცნობეს: ზავი დამტკიცებულია, ღეკები გააძევეს¹⁹⁶.

მოლაპარაკების წარმატებით დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ახალციხეში ჩავიდნენ ყარაბაღის, ხოისა და ავარიის ხანების წარმომადგენლები. მათ სულეიმან ფაშას სთხოვეს არავითარი ხელშეკრულება არ დაედო ერეკლე II-თან, რომელსაც „აქვს ოთხი ფეხი, აქედან სამი უკვე მოჭრილი აქვს და მხოლოდ მეოთხეზე დგას“¹⁹⁷. სულეიმან ფაშა არ დაეთანხმა ხანების წინადადებას და ერეკლე მეფეს აცნობა, რომ მათ შორის არსებულ „ძმობასა და მეგობრობას“ შეინარჩუნებდა¹⁹⁸. ამ დანაპირების შემდეგ სულეიმან ფაშა ერეკლე მეფეს მთავარ სათქმელს მოახსენებდა: „სულთნისაგან წყალობის სიგელი რომ მიიღოთ, უნდა ეცადოთ მოიშოროთ უცხო ქვეყნის ჯარი(იგულისხმება რუსეთის ჯარი – გ. გ.), დაანგრიოთ აშენებული გზა (იგულისხმება კავკასიის ხაზიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა – გ. გ.), აღარ მიემხროთ რომელიმე სახელმწიფოს, სულთანს მიაღწიოთ თხოვნა, რომელშიც გამოსატყვევოთ თქვენს გულწრფელობას. მე ვასკენი, რომ თქვენის მხრიდან ასეთი ქმედება არა თუ ვნებას არ მოგიტანთ, არამედ სულთნისაგან მიიღებთ წყალობის ფირმანს და კიდევ სხვა წყალობას“¹⁹⁹. სულეიმან ფაშას მიერ წამოყენებული პირობა ქართლ-კახეთის მეფისათვის სრულიად მიუღებელი იყო. მეფემ საქმის კურსში ჩააყენა სტეპან ბურნაშევი. პოლკოვნიკმა მეფეს ურჩია სულეიმან ფაშასათვის უარი შეეთვალა. როგორც ჩანს, ერეკლე II-მ და სტეპან ბურნაშევმა სულეიმან ფაშასათვის გასაგზავნი წერილი ერთად შეადგინეს. მეფე ფაშას სწერდა: „ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა სულთნის განაწევენება, ჩვენი სამეფოს დაცვის მიზნით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის (რუსეთის იმპერატორის – გ. გ.) ჯარი შემოვიყვანეთ, მაგრამ მიზნად არ გვქონია მეზობლების შეწუხება. თქვენ აგვიჯანყეთ აზერბაიჯანელები და დაღესტნელები და სამი წელი თავშესაფარს აძლევდით ღეკებს, რომლებიც ძარცვავდნენ და ავერანებდნენ ჩვენს მიწებს, ხოლო ნადავლს თქვენს სამფლობელოში ჰყიდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი ჯარით უმცირესი ზიანიც კი არ მიგვიყენებია სულთნის ქვეშევრდომებისათვის და ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ბოლოს გაჩნდა სურვილი დაგვედო მეგობრობის შესახებ კავშირი და შეგვეწვიტა მტრობა და ძარცვა-გლეჯა“²⁰⁰. წერილის ბოლოს ერეკლე მეფე მიღწეული მშვიდობის

¹⁹⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

¹⁹⁵Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

¹⁹⁶Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 219.

¹⁹⁷Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

¹⁹⁸Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

¹⁹⁹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220.

²⁰⁰Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 220-221.

შენარჩუნებისათვის მზადყოფნას გამოთქვამდა და ითხოვდა ახალციხიდან ქართველი მძევლების გამოშვებას²⁰¹.

ერეკლე II-ის ასეთი წერილი შეიძლება ახალციხის საფაშოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შეწყვეტის საბაბი გამხდარიყო. სრულიად მოულოდნელად 1787 წლის 13 ივლისს ახალციხიდან თბილისში სულეიმან ფაშას ელჩები ჩამოვიდნენ²⁰². ელჩებმა ერეკლე მეფეს განუცხადეს, თუ რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსები გაიმარჯვებენ, სულეიმან ფაშა მაშინვე მორჩილებას გამოუცხადებს რუსეთს, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ რუსებს აჩვენებს სტამბოლიდან მიღებულ ყველა ფირმანს²⁰³. სულეიმან ფაშას ასეთი გაბედული მოქმედება იმით იყო განპირობებული, რომ გაერცვლდა ხმები საქართველოში რუსეთის დიდი ჯარის (30.000 მეგრძოლის) შემოსვლის თაობაზე. რუსეთის ჯარის შემოსვლის შესახებ გაერცვლებულმა ხმებმა სულთანი აიძულა საპასუხო ნაბიჯები გადაედგა. ვანის, ბაიახეთის, ყარსის, არზრუმისა და ახალციხის ფაშებმა მიიღეს ბრძანება, შეეკრიბათ 60.000 მეგრძოლი. ამავე დროს ახალციხის ფაშამ მიიღო ცალკე ფირმანი, რომელიც მას ავალებდა კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ახალციხეში მძევლად მყოფმა თავადმა თეიმურაზ ციციშვილმა მოახერხა ხსენებული ფირმანის წაკითხვა და ამდენად, აღარ უკვირდა, ერეკლე მეფის დაუძინებელი მტერი სულეიმან ფაშა რატომ ცდილობდა მასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ახალციხის ფაშამ სტამბოლიდან ფირმანი ქართლ-კახეთის მეფისათვის ძალზე ხელსაყრელ დროს მიიღო – მშვიდობის, თუნდაც დროებით შენარჩუნება, ერეკლე მეფისათვის მნიშვნელოვანი იყო²⁰⁴.

ახალციხის ფაშა სულეიმანი რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგაც ცდილობდა ერეკლე II-სთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. მართალია, ქართველი ტყვეებით ვაჭრობა ახალციხეში 1786 წლის ხელშეკრულების შემდეგაც გრძელდებოდა, მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულების სხვა მუხლები ასე თუ ისე სრულდებოდა. ამაზე მეტყველებს ის, რომ ერეკლე II სულეიმან ფაშასგან იღებდა სტრატეგიულ ნედლეულს. 1789 წელს სულეიმან ფაშამ ნება დართო 4 წლის განმავლობაში საბაჟო გადასახადის გარეშე მიეყიდათ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის კალა, ფოლადი და რკინა. დადგინდა შესყიდვის ყოველწლიური ნორმა: კალა – 1.000 ფუთი, ფოლადი – 500 ფუთი, რკინა – 20 ფუთი. კალის, ფოლადისა და რკინის ნაწილს ერეკლე II დაღესტანში ყიდდა, რათა ლეკების მიერ მოტაცებული, ასევე ირანში მყოფი ქართველი ტყვეები როგორმე გამოესყიდა²⁰⁵.

ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საგარეო ვითარების დაძაბვასთან ერთად დაიძაბა ვითარება ქვეყნის შიგნით, თავი იჩინა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისუსტემ. არ იყო მშვიდობა მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებშიც. ყაზახიდან აჰმედ ადას მეთაურობით მუსლიმთა 1.500 ოჯახი აიყარა და ყარაბაღის სახანოში განიზრახა გადასვლა. ერეკლე II 5.000 ქართველი მეგრძოლითა და ორი რუსული ბატალიონით, ყაზახიდან გახიზნულ მუსლიმთა უკან დაბრუნების მიზნით განჯისაკენ გაემართა. ყარაბაღის ხანმა იბრაჰიმმა, შეიტყო თუ არა თბილისიდან ქართველთა და რუსთა ლაშქრის განჯის მიმართულებით გადაადგილება, თავისთან დაიბარა ყარაბაღის სახანოს სომეხი მელიქები, რომლებიც ხანს რუსული ორიენტაციის გამო ათვალწუნებული ჰყავდა. მელიქები ხანს არ ეახლნენ და განჯასთან მდგარ რუსეთის ჯარს შეაფარეს თავი. განჯიდან ერეკლე II-მ 4.000 მეგრძოლი იუღონ ბატონიშვილისა და თავად დავით ორბელიანის სარდლობით ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ გაგზავნა. ქართულმა ჯარმა ყარაბაღის ხანი პირველსავე ბრძოლაში დაამარცხა. წარმატებული ლაშქრობა მოულოდნელად შეწყდა ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის გამო.

§6. რუსეთის ჯარის გაყვანა ქართლ-კახეთის სამეფოდან (1787 წლის აგვისტო-ოქტომბერი)

ომარ ხანის ლაშქრობამ და მომდევნო ხანებში ლეკთა გამუდმებულმა შემოსევებმა ქართლ-კახეთის სამეფო ისე გაავერანა, რომ ერეკლე II-ს ორი რუსული ბატალიონის შესანახი თანხის გაღებაც კი უჭირდა. იყო შემთხვევები, როდესაც რუსები შიმშილობდნენ. ერეკლე II-სა და პაველ პოტიომკინს შორის რუსული ბატალიონების თაობაზე მიმოწერა დაიწყო, თუმცა რაიმე კონკრეტული

²⁰¹Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

²⁰²О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966, стр.231-232.

²⁰³Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

²⁰⁴Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Том II. С.-Петербург, 1886, стр. 221.

²⁰⁵П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197-198.

გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის ბედი უკვე სხვა ვითარებაში გადაწყდა.

1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ომის დაწყების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყაზახის მუსლიმი მოსახლეობა, სულ 1.500 ოჯახი, აიყარა და ყარაბაღის სახანოში გადავიდა, რითაც ყარაბაღის ხანის სამხედრო ძალა გაძლიერდა. მეფე ერეკლე ყაზახის მუსლიმი მოსახლეობის დაბრუნებას ძალით აპირებდა. მეფემ 5.000 მებრძოლი შეკრიბა და ქართულ ჯართან და ორ რუსულ ბატალიონთან ერთად 1787 წლის სექტემბერში ყარაბაღის სახანოს წინააღმდეგ დაიძრა. ქართველთა და რუსთა ჯარი განჯას მიუახლოვდა. ერეკლე II-მ თავად **დავით ორბელიანისა** და **იულონ ბატონიშვილის** სარდლობით 4.000 ქართველი მებრძოლი სომეხ მელიქებთან ერთად ყარაბაღის სახანოში გაგზავნა. ქართულ ჯარს გზად ყარაბაღის ხანის ლაშქარი შემოეყარა. ქართველებმა მტერს სძლიეს და 500 მებრძოლი მოუკლეს²⁰⁶. ქართული ჯართა და ორი რუსული ბატალიონით ერეკლე II და პოლკოვნიკი სტეპან ბურნაშევი ყარაბაღისაკენ დაიძრნენ. სტეპან ბურნაშევი და რუსული ბატალიონები მეფემ განჯასთან დატოვა, თვითონ კი ყარაბაღისაკენ გაემართა. ქართულმა ჯარმა ერეკლე II-ის სარდლობით ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი სასტიკად დაამარცხა და სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა²⁰⁷.

1787 წლის 13 აგვისტოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთის იმპერიის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ კავკასიიდან, არც ქართლ-კახეთის სამეფოსა და არც იმერეთის სამეფოს ტერიტორიიდან, რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებს არ დაიწყებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი კონტინგენტის გამოგზავნა არ იგეგმებოდა. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ოსმალეთი ერეკლე II-ის დასასჯელად სერიოზულ სამხედრო ძალას გადმოისროდა, ირანის სახანოებსა და ჩრდილო კავკასიის მუსლიმ მფლობელებსაც მიიმხრობდა, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარი და ორი რუსული ბატალიონი უძღური იქნებოდა ამ კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში, – ქართულ და რუსულ ჯარს განადგურება ელოდა. ასეთ ვითარებაში გრიგორი პოტიომკინმა მიიღო გადაწყვეტილება: საფრთხეში არ ჩაეგდო ორი რუსული ბატალიონი და ისინი მოსალოდნელი კატასტროფისაგან განერიდებინა. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი, როგორც გრიგორი პოტიომკინმა, ისე ეკატერინა II-მ, შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს. რადგან სამხრეთ კავკასიიდან ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები არ იგეგმებოდა, მიმდინარე ომში ქართლ-კახეთის სამეფომ ფუნქცია დაკარგა, შესაბამისად, მისი ბედიც ნაკლებად აქტუალური იყო...

ცხადია, მფარველობაში მიღებული ქართლ-კახეთის სამეფოს გაწირვა გრიგორი პოტიომკინისათვის გარკვეულ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. რუსეთის იმპერიის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, რომელიც ოსმალეთის იმპერიის დანგრევასა და მის დანაწილებაზე ოცნებობდა, არად დაგიდევდა ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალს. ყოველივე ამას იმპერატორის ფავორიტი საჯაროდ არ აღიარებდა და ჯარის გაყვანის გადაწყვეტილების გამართლებას ცდილობდა. 1787 წლის 22 აგვისტოს ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსული ბატალიონების გაყვანასთან დაკავშირებით გრიგორი პოტიომკინი ეკატერინა II-ს სწერდა: „ერეკლესათვის უფრო მოხერხებული იქნება ახალციხის ფაშასთან ურთიერთობით უსაფრთხოების მიღწევა“ (რუსულ დედანში: „Ираклию удобнее будет себя обезопасить через сношение с пашой ахалцихским“)²⁰⁸.

განჯასთან სავსე ბანაკში მყოფმა პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა 1787 წლის 13 სექტემბერს მიიღო გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინის 1787 წლის 29 აგვისტოთი დათარიღებული საიდუმლო ორდერი (მიწერილობა). დოკუმენტიდან დგინდება, რომ 1787 წლის 19 აგვისტოს გენერალ-ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინს გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინისათვის უცნობებია შემდეგი: საქართველოში მყოფი ეგერთა ორი ბატალიონის გამოკვებაში შექმნილი უკიდურესი სირთულეების გამო ბატალიონები გამოყვანილი იქნან საქართველოს საზღვრებიდან და გაიგზავნონ

²⁰⁶ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 194-195.

²⁰⁷ Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакцию генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 207-208.

²⁰⁸ О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Издательство „Наука“, Москва, 1966. стр. 234.

კავკასიის ხაზზე. პაველ პოტიომკინი პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს უბრძანებდა ბატალიონებთან ერთად მასაც დაეტოვებინა საქართველო და გამოცხადებულიყო და გენერალ-ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინთან. პაველ პოტიომკინი სტეპან ბურნაშევისაგან ითხოვდა ეცნობებინა მისთვის, როდის, კონკრეტულად რომელ რიცხვში, დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფოდან ბატალიონების გაყვანას. პაველ პოტიომკინი წერდა, რომ საქართველოში რუსული ბატალიონების შესვლის შემდეგ ერეკლე II-ს ბრძოლები ჰქონდა მტრებთან, რუსული ბატალიონების გამოყვანის შემდეგ კი ვითარება განიმუხტებოდა. ორდერზე ხელმოწერის შემდეგ შ-ით პაველ პოტიომკინს ასეთი მინაწერი გაუკეთებია. „Под рукою же объявите Его Высочеству что он поладил с Ахалцихским пашею...“²⁰⁹ ასე „ანუგეშა“ კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა ერეკლე II. როგორც ვხედავთ, პაველ პოტიომკინი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ბატალიონების გაყვანის თაობაზე გრიგორი პოტიომკინის მისაზრებას. ორივე პოტიომკინის პოზიცია შემდეგში მთლიანად გაიზიარა როგორც რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფიამ (პიოტრ ბუტკოვმა, ნიკოლაი დუბროვინმა, ვასილი პოტომ და სხვ.), ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიამაც (ოლგა მარკოვამ და სხვ.).

პოლკოვნიკმა სტეპან ბურნაშევმა პაველ პოტიომკინის ბრძანების შესახებ დაუყოვნებლად აცნობა ერეკლე მეფეს. სტეპან ბურნაშევმა მეფის თხოვნა არ გაითვალისწინა და განჯიდან დაუყოვნებლივ კავკასიის ხაზისაკენ გაემართა. 1787 წლის 9 ოქტომბერს რუსეთი ჯარის ორივე ბატალიონმა სტეპან ბურნაშევის მეთაურობით ვლადიკავკაზის სიმაგრეს მიადწია. ბატალიონების კავკასიის ხაზზე დაბრუნების შემდეგ რუსებმა ვლადიკავკაზის სიმაგრე დაანგრიეს, რომელიც მხოლოდ 1793-1795 წლებში იქნა აღდგენილი²¹⁰.

ერეკლე II-მ ყარაბაღში დაწყებული ლაშქრობა შეწყვიტა და თბილისში დაბრუნდა²¹¹. განჯის სახანოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ურთიერთობა დროებით მოგვარდა. ერეკლე მეფემ უარი თქვა განჯის ხან ჯავადის გადაყენების მოთხოვნაზე, სამაგიეროდ, ყარაბაღში გახიზნული ყაზახისა და შამშადილუს მუსლიმი მოსახლეობა უკან დაბრუნდა²¹².

§7. ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღება და გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით 1783 წლის 3 ნოემბერს რუსეთის ჯარის ორი ბატალიონის თბილისში შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა. ჩრდილოეთიდან რუსეთის მიერ უკიდურესად შევიწროებულმა კავკასიის ხალხებმა, მმართველმა ზედაფენამ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა დიდ საფრთხედ აღიქვეს. კარდინალურად შეიცვალა ირანის, ოსმალეთისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების, მათი მმართველი ზედაფენის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად საქართველოსთან. **გეორგიევსკის ტრაქტატმა შეცვალა კავკასიის გეოპოლიტიკა.** რუსეთმა კავკასიაში დამკვიდრებისათვის ხელსაყრელი პლაცდარმი შექმნა და, ცხადია, ეცდებოდა მის გაფართოებას. ასეთ ვითარებაში რუსეთის ჯარმა 1787 წელს ქართლ-კახეთის სამეფო დატოვა, რამაც ისედაც დასუსტებული ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო.

ნადირ შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდეგ ირანი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. **ქერიმ ხანმა** ირანის გაერთიანება ვერ შეძლო, შაჰის ტიტული ვერ მიიღო. ირანის შაჰის ტახტისათვის ზენდებისა და ყაჯრების ბრძოლამ ქვეყანა უკიდურესად დაასუსტა. ქერიმ ხანის გარდაცვალების (1779 წ.) შემდეგ ირანში შინააშლილობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის, პრაქტიკულად, არარსებობის პირობებში ამიერკავკასიის ირანულ სახანოებს შორის შინაომები დაიწყო. ერეკლე II-ს სახანოებს შორის ურთიერთობასა და მათ შინაურ საქმეებში ჩარევის საშუალება მიეცა.

²⁰⁹Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал С. Н. Бурнашев. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 29.

²¹⁰О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр.234-235.

²¹¹Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занатия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 208.

²¹²О. П. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966. стр. 234-235.

1783 წლამდე (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე) ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს ერევნისა და განჯის ხანები უმაღლეს ხელისუფლად აღიარებდნენ. ერევნის ხანმა **ჰუსეინმა** მეფე ერეკლეს სახეიმოდ შეჰფიცა ერთგულება და შესაბამის დოკუმენტსაც მოაწერა ხელი. ერევნისა და განჯის სახანოებიდან სამეფოს ხაზინაში ხარკის სახით სერიოზული რაოდენობის თანხა შემოდიოდა. ყარაბაღის ხანმა **იბრაჰიმმა** განჯის სახანო დაიმორჩილა, თუმცა ერეკლე II და იბრაჰიმ ხანი მორიგდნენ და განჯის სახანოსათვის შეწერილ ხარკს შუაზე იყოფდნენ. ნუხის ხანი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხან ერეკლე II-თან კარგ ურთიერთობას არჩევდა, ხანაც ქართლ-კახეთში მოთარეშე ლეკებს ემხრობოდა. ნახჭევნის ხანი ერეკლე II-თან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ესწრაფოდა²¹³.

ახალციხის ფაშას, სულეიმანს, აღიზიანებდა ქართველი მეფეებისა და მათ შორის ერეკლე II-ის სწრაფვა სამცხე-საათაბაგოს შეერთებისაკენ. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, 1774 წელს, სულეიმან ფაშამ ერეკლე II-ს ოსმალეთის სულთნის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები მიართვა. სულეიმან ფაშა ერეკლე II-ს არწმუნებდა ქართლ-კახეთის სამეფოსადმი თავის კეთილგანწყობილებაში²¹⁴.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ და ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის შემოსვლამ ირანის სახანოები ერეკლე II-ის წინააღმდეგ ამხედრა. ყარაბაღის ხანი **იბრაჰიმი** ქართლ-კახეთის მეფეს განუდგა და განჯის ხანიც გადაიბირა. ერევნის ხანი **ჰუსეინი**, დედით ქართველი, ერეკლე მეფის მიერ იქნა დასმული ხანის ტახტზე. ახალციხის ფაშა **სულეიმანი** ყველა საშუალებით ცდილობდა ერევნის ხანის გადაბირებას, თუმცა ჰუსეინ ხანი აშკარა დალატისაგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებდა²¹⁵.

ოსმალეთის სულთანი გრძნობდა, რომ სამხრეთ კავკასიის ირანული სახანოების ძალებით რუსეთს ვერ აიძულებდა ქართლ-კახეთის მფარველობაზე ხელი აეღო და საქართველოდან ჯარი გაეყვანა. ოსმალეთმა თავისი გეგმების რეალიზება დადესტნელთა დახმარებით გადაწყვიტა. ახალციხის ფაშად სულეიმანმა ავარიის ხანი ომარი ქართლ-კახეთის სამეფოზე სალაშქროდ დაიყოლია. ომარ ხანმა სულეიმან ფაშასაგან თანხმობის სანაცვლოდ დიდი რაოდენობით ქრთამი მიიღო²¹⁶. 1785 წელს ომარ ხანის დაშქრობამ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სამეფოს²¹⁷.

1787 წლის 13 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. 21 აგვისტოს ოსმალეთის ფლოტი შავ ზღვაზე, ოჩაკოვის ციხე-სიმაგრის მისაღვლომებთან, თავს დაესხა რუსეთის სამხედრო ფლოტს. 1787 წლის 7 სექტემბრის იმპერატორმა ეკატერინა II-მ სპეციალური მანიფესტით ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საბრძოლო მდგომარეობაში იქნა მოყვანილი კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები²¹⁸. ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1787 წლის 19 აგვისტოს, გრიგორი პოტიომკინმა ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო, რაც დაუყოვნებლივ აცნობა პაველ პოტიომკინს. 1787 წლის 29 აგვისტოს პაველ პოტიომკინმა ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფ რუსეთის იმპერიის სრულყოფილებიან წარმომადგენელს (მინისტრს) და რუსული ბატალიონების მეთაურს პოლკოვნიკ სტეპან ბურნაშევს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღებული ქვეყნიდან ჯარის გამოყვანა და კავკასიის ხაზზე დაბრუნება უბრძანა. ბრძანება განჯასთან

²¹³**Картина Грузии** или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 11-14.

²¹⁴**Картина Грузии** или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 14-15.

²¹⁵**Картина Грузии** или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго. Сделанное пребывающим при Его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Иракли Темуразовиче полковником и кавалером **Бурнашевым** в Тифлисе в 1786 г. Издание К. Н. Бегичева. Тифлис, 1899, стр. 15-16.

²¹⁶**П. Г. Бутков**. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 176-177.

²¹⁷**П. Г. Бутков**. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 179-185.

²¹⁸**П. Г. Бутков**. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 198.

მდგარმა სტეპან ბურნაშევმა 1787 წლის 13 სექტემბერს მიიღო და დაუყოვნებლივ შეუდგა მის შესრულებას. 1787 წლის ოქტომბერში რუსეთის ჯარის ორივე ბატალიონმა საქართველო დატოვა²¹⁹.

რა ვითარება იყო ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებთან რუსეთის ჯარის გაყვანის წინა ხანებში და გაყვანის შემდეგ? ვითარება უადრესად დაძაბული იყო. მოვეხმობთ ამის დამადასტურებელ ფაქტობრივ მასალას:

1. იმერეთში ვახანის ციხის აღების შემდეგ ომარ ხანს 1785 წლის შემოდგომაზევე ქართლ-კახეთის სამეფოზე ახალი ლაშქრობის მოწყობა სურდა. ქართლ-კახეთსა და იმერეთში ლაშქრობის დროს ომარ ხანმა 2600 მეგრძოლი დაკარგა. ომარ ხანი ახალციხის ფაშა სულეიმანისაგან დახმარებას ელოდა, კერძოდ, 3.000 მეგრძოლსა და 10 ზარბაზანს. ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა დაიწყებოდა, რომ არა ოსმალეთის სულთნის ფირმანი. სულთანმა სულეიმან ფაშას რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ღიად ბრძოლაში ჩაბმა აუკრძალა²²⁰.

2. იმერეთიდან ომარ ხანი ახალციხეში დაბრუნდა. 1786 წლის აპრილის ბოლოს ომარ ხანი 7.000 მეგრძოლით ახალციხიდან დაღესტნისაკენ გაემართა. გზად ლეკებმა განჯის სახანოზე გაიარეს, გაძარცვეს ერთი სოფელი და ძარცვას თავი მხოლოდ მაშინ დაანებეს, როდესაც განჯის ხანმა 5.000 მანეთი გადაიხადა²²¹.

3. 1787 წლის დამდეგს ოსმალეთის სულთანმა აგარიის ხან ომარს, დაღესტნის შამხალს, ყარაბაღის ხანსა და სხვა ხანებს დიდძალი ფული და საჩუქრები გაუგზავნა, რათა ისინი რუსეთის წინააღმდეგ მიემხრო²²². ამ დროისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში ჯერ კიდევ იმყოფებოდა ორი რუსული ბატალიონი.

4. 1787 წლის ოქტომბერში აგარიის ხანი ომარი ლაშქრით ბელაქანში შევიდა და ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისათვის მზადებას შეუდგა²²³.

5. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების (1787 წლის 13 აგვისტო) შემდეგ გრიგორი პოტიომკინმა დაღესტნის მფლობელს შეუთვალა თავი შეეკავებინათ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ მტრული მოქმედებისაგან. ომარ ხანს გრიგორი პოტიომკინმა აცნობა, რომ რუსეთისადმი კეთილგანწყობის დამტკიცება თუ სურდა, ხელი აეღო ქართლ-კახეთის სამეფოს დარბევაზე²²⁴ დაღესტნის მფლობელებისა და ომარ ხანის პოზიცია დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. თუ ომში რუსეთი უპირატესობას მოიპოვებდა, მაშინ ქართლ-კახეთის სამეფო შედარებით დაცული იქნებოდა. თუ ომი ოსმალეთის გამარჯვებებით დაიწყებოდა, გრიგორი პოტიომკინის სიტყვას არანაირი ფასი აღარ ექნებოდა და ქართლ-კახეთის სამეფო სასიკვდილო საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ჯერ-ჯერობით კი ერეკლე II მშვიდობას ომარ ხანისათვის წლიურად 5.000 მანეთისა და ლეკებისათვის 3.000 მანეთის გადახდის სანაცვლოდ ინარჩუნებდა²²⁵.

6. ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარის გაყვანის შემდეგ, 1788 წელს, გრიგორი პოტიომკინი ერეკლე II-საგან ითხოვდა, რომ იმერეთის მეფესთან ერთად გაენადგურებინა ოსმალეთის მცირერიცხოვანი რაზმები²²⁶. ეს, ცხადია, გაამწვაებდა ურთიერთობას ოსმალეთთან, რომელიც რუსეთთან ომის დაწყების შემდეგ არც ქართლ-კახეთის სამეფოს და არც იმერეთის სამეფოს თავდასხმებით არ აწუხებდა, ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა²²⁷.

ქართლ-კახეთის სამეფო მარტოდმარტო აღმოჩნდა ირანის, ოსმალეთისა და კავკასიის მუსლიმი ხალხების წინააღმდეგ. სამივე ძალა, გაღიზიანებული გეორგიევსკის ტრაქტატითა და საქართველოში რუსეთის ჯარით შემოსვლით, რევანშის აღებას შეეცდებოდა. **ერეკლე II-მ მუსლიმ ხელისუფალთა**

²¹⁹ იხ.: Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал С. Н. Бурнашев. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург, 1901, стр. 29; Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под редакциею генерал-майора В. Потто. Издание Военно-исторического отдела при штабе Кавказского военного округа. Тифлис, 1899, стр. 208.

²²⁰ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 185.

²²¹ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 189.

²²² П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

²²³ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 37.

²²⁴ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196-197.

²²⁵ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 196.

²²⁶ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197.

²²⁷ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. Часть вторая. С.-Петербург, 1869, стр. 197.

ნდობა დაკარგა. სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის ფორპოსტად გადაქცევის გეგმა იმხანად ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ყველამ კარგად უწყოდა, რომ ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე რუსეთი ისევ შეეცდებოდა მიზნის მიღწევას – სამხრეთ კავკასიაში შემოღწევას. რუსეთისაგან მიტოვებულ ერეკლე II-ს ირანსა და ოსმალეთთან მორიგების შანსი არ ჰქონდა. უფრო ზუსტად, შანსი ჰქონდა, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის სახანოდ ან ოსმალეთის საფაშოდ გადაქცევას დასთანხმდებოდა. ამ გზას, ცხადია, ერეკლე II არ დაადგებოდა. **ქართლ-კახეთის სამეფოს არც დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარება შეეძლო და არც სამხრეთ კავკასიაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეცვლა.** სამხრეთ კავკასია სამი დიდი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის – ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა და ქართლ-კახეთის სამეფოს ბედიც ამ ბრძოლის შედეგებს უნდა განესაზღვრა.

Wachtang Guruli

Russische Armee im Konigreich Kartlien-Kachetien

(1783-1787)

Resümee

Am 23. Juli 1783 wurde zwischen dem Königreich Kartlien-Kachetien und dem Russischen Reich ein Schutzvertrag (Vertrag von Georgijewsk) abgeschlossen. Nach diesem Vertrag sollten zwei Bataillons der russischen Armee (1500 Kämpfer) mit vier leichten Kanonen im Königreich Kartlien-Kachetien ständig stationiert sein. Im Falle eines Krieges sollte die Zahl der russischen Soldaten gesteigert werden. Dass Kaiserin Katharina II beschlossen hatte Königreich Kartlien-Kachetien unter Schutz zu nehmen und die russische Armee dorthin zu schicken, hing damit zusammen, dass seit 1782-1783 Jahren das Königreich Kartlien-Kachetien eine bestimmte Rolle in der Ostpolitik Russlands zu erfüllen hatte. Nämlich beabsichtigte das Russische Reich das Osmanische Reich zu zersplittern und zu zerstören, wozu auch König Erekle II seinen Beitrag leisten sollte.

Im Oktober 1783 marschierten zwei Bataillons der russischen Armee aus dem nördlichen Kaukasus ins Königsreich Kartlien-Kachetien ein und erreichten am 3. November Tbilissi. Zum Kommandeur der beiden Bataillone wurde der bevollmächtigte Vertreter des Russischen Reiches (Minister) Oberst Stephan Burnaschew ernannt. Zu dieser Zeit war das Königreich Kartlien-Kachetien der dreifachen Gefahr ausgesetzt. Obwohl der 1774 zwischen Russland und dem Osmanischen Reich abgeschlossene Friedensvertrag immer noch gültig war, schickte Pascha von Achalziche Suleiman auf Befehl des Sultans vom Osmanischen Reich öfter kleine Truppen von Osmanen und Awaren nach Kartli. Diese Truppen griffen Dörfer an, plünderten sie, entführten die Menschen. Awarentruppen überfielen außerdem aus Dagestan und Tschar-Belakan kachetische Regionen. Gegen das Königreich Kartlien-Kachetien kämpften auch im Südostkaukasus liegende persische Khanate (Karabach, Derbent, Gandscha). König Erekle II benötigte russische Armee um das Land vor diesen Gefahren zu schützen. Russische und georgische Armeen führten zusammen Kämpfe, einige davon sehr erfolgreich: am 14. Oktober 1784 wurden in Kachetien eingedrungene Awaren am Fluss Alasani bei Muganlo besiegt; Am 17. April 1785 wurde die aus Achalziche durch das Tal vom Fluss Mtkwari eingedrungene Armee von Osmanen und Awaren (4000 Kämpfer) am Fluss Mtkwari ebenfalls geschlagen; Am 27. Mai 1785 wurde die aus Achalziche eingedrungene Armee von Osmanen und Awaren (3000 Kämpfer) bei Surami besiegt. Allerdings erlitt georgische-russische Armee im Sommer und Herbst 1785 eine Niederlage im Kampf gegen Khan von Chundsachi Omar, was zur Zerstörung des Königreiches Kartlien-Kachetien führte. Im Oktober 1787, nach dem Beginn des russisch-osmanischen Krieges, verließen beide Bataillons der russischen Armee das Königreich.

ჩინის ჯვარი

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისთანავე დამკვიდრდა მაცხოვრის რჩეული მოციქულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის ჯვარი, ამის გაგრძელებაა „ჯვარი ვაზისა“, რომელიც პირდაპირ ასოცირდება ქართველთა განმანათლებელ და მოციქულთასწორ წმიდა ნინოსთან და ე. წ. „ბოლნური ჯვარი“ ანუ წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვარი.

ყველა ჯვარი თავისი მნიშვნელობით და არსით ერთია, თუმცა სხვადასხვაა მათი ფორმა და სახისმეტყველება. მაგალითად, ვნების ჯვარი გამომხატველია მაცხოვრისა, რომელმაც სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა, წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი სიმბოლოა თვით საქართველოსი, ხოლო წრეში ჩასმული ჯვარი გამოხატავს მაცხოვრის ამალგებას, რასაც ადასტურებს კიდევ ჯვრის ამალგების კომპოზიციასთან გამოსახული ანგელოზები (მცხეთის და თეთრიწყაროს მაგალითზე).

წმიდა ბასილი დიდი ბრძანებს „მთელი მსოფლიოსთვის ჯერ კიდევ ხის ჯვრამდე იყო აღმართული აზრობრივი ჯვარი, რომელშიაც ერთმანეთს შეუკავშირდა სამყაროს ოთხი მხარე, რომლის ძალაც, მოთავსებულია გარემოში, გადის ოთხივე კუთხით“.

ჩვენში ოდითგან დამკვიდრებული ჯვრების გარდა გვხვდება:

ბერძნული - თანაბარბოლოიანი,

ლათინური - ოთხბოლოიანი,

რუსული - ექვსბოლოიანი,

ანტიოქიური - რვაბოლოიანი,

მონოგრამა, რომელიც აღნიშნავს იესო ქრისტეს,

ქრისტეს ხუთი ჭრილობის გამომხატველი იერუსალიმური ჯვარი.

ასევე, აღმოსავლური, დუზისებრი, გოლგოთის, ტევტონური და სხვა სახის ჯვრები...

ჯვარზე გაკვრა სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი სახეობა იყო, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხონების სიმბოლოდ გვევლინება. ხოლო სულ რაღაც სამი საუკუნის შემდეგ, IV საუკუნის რომის იმპერიაში საყოველთაოდ აღიარებული ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს სიმბოლოდ გადაიქცა, რომელიც უკავშირდება წმიდა კონსტანტინე დიდის სახელს.

მოციქულთა სწორი წმიდა კონსტანტინე დიდი (306-337 წწ.) პირველი იყო რომის იმპერატორთაგან, რომელმაც შეწყვიტა ქრისტიანთა დევნა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამ უდიდეს მოვლენას წინ უსწრებდა ხილული სასწაული, რომელიც თვით იმპერატორსა და მთელს არმიას გადახდა თავს. 312 წელს, მაქსენტის წინააღმდეგ წარმოებული ერთ-ერთი ბრძოლის მიწურულს მათ ცაზე გამოსახული ჯვარი იხილეს წარწერით „ამით სძლიე!“, ხოლო მეორე დამით იმპერატორს თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოეცხადა ჯვრით ხელში და უთხრა, რომ ჯვრის ძალით სძლევა მტერს, თან უბრძანა, ბრძოლაში ჯვარი წინ წაემძღვანებინა. იმპერატორიც ასე მოიქცა და მიადწია კიდევ ძლევა მოსილ გამარჯვებას. ამის შემდეგ, 313 წელს, კონსტანტინე დიდმა და მისმა მოკავშირემ ავგუსტუს ლიცინიუსმა ქალაქ მედიოლანუმში ერთობლივი ედიქტი გამოსცეს ქრისტიანობის ოფიციალურ-უფლებამოსილ რელიგიად გამოცხადების შესახებ. თუმცა ჯვრის აღიარებამდეც არსებობდა ჯვრის სიმბოლოების გამოსახულება, რასაც მოწმობს წმიდა კვიპრიანე კართაგენელის (დაახლ. 200-258 წწ.) ცხოვრების აღმწერელის პონტეს ცნობით, III საუკუნეში ზოგიერთი ქრისტიანი ჯვარს გამოისახავდა შუბლზე, რაც გამოარჩევდა დანარჩენებისგან იმით, რომ ის იყო ქრისტეს მიმდევარი...

ჩვენი მიზანი არ არის ჯვართან დაკავშირებული მასალების განხილვა, თუმცა სავსებით საკმარისია გუდლანსით წავიკითხოთ საქართველოს ისტორია, მოვილოცოთ ეკლესია-მონასტრები და უმაღლვე დავრწმუნდებით იმაში, რომ ქართველი ხალხი ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე სვლას შეუდგა პირველივე საუკუნეებიდან და ამის ნათელი დასტურია ჩვენი ერის გმირული წარსული და ქვაში ამეტიყვევებული სიყვარული რწმენისადმი.

„ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯუარ-ცმულ არს და მე სოფლისა“ ბრძანებს წმიდა პავლე მოციქული გალატელთა მიმართ ეპისტოლეში (6, 14).

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის სპეციალისტები, ისე როგორც ისტორიკოსები, არქეოლოგები, არქიტექტორები ძალიან ახლოს იცნობენ ბოლნისის სიონის ტაძარსა და მის წარწერებს, ასევე იმ ჯვრებს, რომლებიც დღეს „ბოლნური ჯვრის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მაგრამ პრაქტიკულად არ იცნობენ ჩიხის ტაძრის ჯვარს, რომელიც თითქმის ბოლნური ჯვრის ანალოგიას წარმოადგენს და ყვირილის ხეობის მართლმადიდებლური ძეგლებიდან გამორჩეული და განსაკუთრებულია. იმასაც დავსძენთ, რომ დადგა დრო, ჯეროვანი ყურადღება დავეთმოთ მივიწყებულ, მაგრამ დიდი წარსულის მქონე უნიკალურ ძეგლებსა და ამ ძეგლებზე გამოსახულ ჯვრებს, ორნამენტებს თუ ჩუქურთმებს, რომელთა ენით ჩვენი დიდი და ღირსეული წარსული მეტყველებს.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქალბატონი ინა გომელაური (1918-2006 წწ.) ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ღირსეულად ემსახურა ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს. ჩიხის ტაძრის შესახებ სწორედ მან დაგვიტოვა ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნაშრომი.

თუმცა, ნამდვილად უმაღურობა იქნება ის, რომ აქვე არ მოვიხსენიოთ ბატონი გიორგი ბოჭორიძე (1884-1939 წწ.), რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს, მისი წარსულის გამომზეურების, ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-ქალაქების ისტორიის შესწავლის საქმეში. რომ არა სულმნათი მეცნიერი, უდავოდ ბევრ რამეს დაგვარგავდით.

ამ ორმა ადამიანმა მოკლედ გადმოგვცეს ჩიხის ღმრთისმშობლის (წმ. ბარბარეს) სახელობის ტაძრის შესახებ ყველაზე სანდო და ფასეული ცნობები.

გამომდინარე იქიდან, რომ ი. გომელაურის გამოკვლევა წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას, აქვე სრულყოფილად გთავაზობთ აღნიშნულ ნაშრომს. ასევე, გ. ბოჭორიძის კვლევას და ამის შემდეგ შემოგთავაზებთ ჩვენს მოკრძალებულ დასკვნებს აღნიშნული ძეგლის შესახებ.

„ჩიხა

ჩიხა ღვთისმშობლის (წმ. ბარბარეს) ეკლესია დგას ტყით შემოსილ მცირე გორაკზე, ოთხკუთხი კოშკის ნანგრევის გვერდით; იგი ერთნავიანი ბაზილიკაა 5X4 არშინი (დაახლ.), ნაშენია ქვითკირისაგან; დასავლეთის კარი და კარნიშები (ნაწილობრივ) შემკულია ძვირფასი ჩუქურთმებით. ადგილობრივ მცხოვრების აბიათარ იაკობაშვილის¹ სიტყვით, ეკლესია ძველად მდგარა უფრო ჩრდილოეთით, კოშკისკენ და შემდეგ აქ გადმოუტანიათ.

ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მდებარე ძვირფას ჭრილობიანი ჯვართა და სახეებით შემკული ქვას გარემო და ძირს აქვს მრგვლოვანი ასომთავრული წარწერა იკითხება:

ჯ(ვარი) ქრ(ისტე)სი.
წ(მიდა)ი ბ(არ)ბ(ა)რე.
მრავ(ა)ლ მ(ო)წყ(ა)ლ(ე)ო ღ(მერ)თო, შ(ეუ)ნდვ(ე)ნ
ც(ო)დვ(ა)ნი შერაზატს და გ(ანუ)სუ(ე)ნე
[ს(უ)ლსა] მამისა მისისა ივ(ა)ნესა.

წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი და ჯვრის გამოსახულების ხელოვნება გვაფიქრებინებს წარწერის მიკუთვნებას X საუკუნისათვის.

ეკლესიაში არის ქვა, რომელშიაც არის გაქვავებული ნეკნის ძვალი; ხალხის გადმოცემით, ვითომც ის წმ. ბარბარესია. ქვა წონით იქნება 10 გირვანქა, დაახლოებით.

ჩიხა უძველეს ხანაში საერისთავო ადგილი იყო. ჩიხის ერისთავი იხსენიება IX ს. მეორე ნახევარში² და იქვე მოხმობილი აქვს ნაწყვეტი „მატიანე ქართლისაჲ“-დან, რომელიც არ არის სიმართლესთან ახლოს.

ქართლის ცხოვრების ტექსტებში ჩიხის ერისთავის შესახებ აღმოვაჩინეთ ერთადერთი ყველაზე მართებული ტექსტი, რომელიც შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „გამეფდა ძე ბაგრატისა დავით. ჟამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე

¹მღვდელი აბიათარ იაკობაშვილი გახლდათ ჩიხელი იაკობაშვილების შთამომავალი, რომელიც წლების განმავლობაში ღირსეულად და პატიოსნად ეწეოდა ღვთისმსახურებას სოფელ ჩიხის ტაძრებში, სამწუხაროდ ქალბატონი ინა მამა აბიათარს მხოლოდ ადგილობრივ მაცხოვრებლად მოიხსენიებს.

²გ. ბოჭორიძე. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბილისი, 1995, გვ. 134.

დომიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დომიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთაავდეს ძე დომიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა; არამედ ღმერთმან განარინა იგი და მივიდა კონსტანტინეპოლად³.

„XII ს-ის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ჩიხაში სხვადასხვა ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლებით ძალზე მდიდარ ყვირილის ხეობაში ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ამ წერილის საგანიც, სოფელ ჩიხის ღვთისმშობლის ეკლესია.



ეს პატარა შენობა, რომელიც აქ აგებული ციხე-სიმაგრის ეკლესია-სამლოცველოს წარმოადგენდა, არ ყოფილა დღემდე გაზომილი და გამოკვლეული. სპეციალურ ლიტერატურაში მის შესახებ არავითარი მასალა არ მოიპოვება, არც ისტორიულ საბუთებში შემონახული რაიმე ცნობები, არსებობს მხოლოდ ხუროთმოძღვარ კალაშნიკოვის მიერ შესრულებული სქემატური ნახაზი ციხის კომპლექსის გენერალური გეგმისა - გალაგანი, კოშკი და ეკლესია (ძეგლი 1929 წელს გაზომა კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციამ).

ჩიხაში აგებული ციხე, როგორც ჩანს ადგილობრივ ფეოდალთა სათავდაცვო სიმაგრეს წარმოადგენდა. ადგილი მისთვის დიდად მოხერხებულადაა არჩეული. მაღლა, მთის კალთაზე დადგმული კოშკიდან, როგორც ხელის გულზე, იშლება ვრცელი ხედი ზემო-იმერეთის მიდამოებზე, სოფლებზე.

ციხის გალაგანი, რომელიც ოვალური მოხაზულობის ეზოს ფარგლავს, ახლა თითქმის მთლიანად ნანგრევებადაა ქცეული. დაზიანებულია დროთა განმავლობაში ეზოს ცენტრში აღმართული ოთხკუთხა კოშკიც. მისი ზედა ნაწილი მთლიანადაა გადანგრეული, სამხრეთის კედელი ნაწილობრივ განგრეულია. ყურადღებას იქცევს კოშკის კედლების უზარმაზარი სისქე. დღევანდელი სახითაც კი ციხე მძლავრი და მნიშვნელოვანი ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

შეკეთების კვალს არც კოშკი და არც გალაგანი არ ატარებს. საშენ მასალას კოშკისათვის უმთავრესად უხეშად გათლილი, მუქი რუხი ფერის ქვა წარმოადგენს. გალაგნის წყობაში კი ქვყორეცაა გარეული.

მინიატურული ეკლესია-სამლოცველო ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში დგას. გალაგანში და ეკლესიასთანაც მისასვლელი გზა აქედანვეა გაკეთებული.

³ვასუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 131.

ეკლესიისათვის ადგილის შერჩევა გაღვნიტ შემოვლებულ ეზოში, კომპლექსის ძირითადი ნაგებობის - კოშკის - მდებარეობით უნდა იყოს განსაზღვრული. ორივე შენობა ერთდროულად აგებული ჩანს. ორივე ერთი მეორითაა განპირობებული, ერთი მეორეს უწევს ანგარიშს.

ძველის არქიტექტურა უკიდურესად მარტივია. ეს ერთნაგვიანი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. რომლის აბსოლუტური ზომები იმდენად მცირეა, რომ აქ სულ რამდენიმე კაცი თუ დაეცოდა თავისუფლად. ტრადიციულ საყრდენ თაღებსა და კედლების გასწვრივ გავლებული საფეხურს მოკლებული პაწაწა ნაგი - დარბაზი მოყვანილობით კვადრატს უახლოვდება. იგი ბრტყელი ნახევარწრიული, ეკლესიის იატაკის დონესთან შედარებით შემადლებულია. აფსიდით მთავრდება. აფსიდში გაჭრილი ეკლესიის ერთადერთი სარკმელი სწორკუთხა მოხაზულობისაა. სარკმლის ორსავე მხარეს თაღჩებია დატანებული - საეკლესიო ნივთების შესანახი ერთადერთი ადგილი. აქვე საკურთხეველში მოთავსებულია მოზრდილი ქვის ტრაპეზი.

შესასვლელი ეკლესიაში ორია. ერთი, თავდაპირველი, დასავლეთითაა, მეორე, სამხრეთისა, ყველა ნიშნის თანახმად გვიანაა გაჭრილი (მას არაბუნებრივი, ტრაპეციისებრი, უხეში მოხაზულობა აქვს, შეჭრილია ცოკოლის საფეხურში; ფუნქციური თვალსაზრისით კარის გაჭრა აქედან გაუმართლებელია: სამხრეთ-აღმოსავლეთით ეზოს ძლიერი დაფერდების გამო შენობა მაღალ ცოკოლზეა დადგმული და ამ მხრიდან შესასვლელი არ აქვს).

ეკლესიის იატაკი უხეშად გათლილი ფილებითაა მოფენილი. შენობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში ჩანს კანკელის ჩასამაგრებელი ბუდეები (ახლა აქ ხის კანკელია, დაფარული იაფფასიანი, გვიანდელი რუსული ხატებით). შიგნით ეკლესიის კედლები გაღვნილია, მაგრამ მხატვრობის კვალი არ ჩანს. შენობას აღარ შერჩენია ძველი გადახურვა. აფსიდის კონქისა და ნაგვის კამარაც მთლიანად დაღუპულია. ახლა აქ თუნუქის ორკალთიანი სახურავია გაკეთებული.

გაცილებით უფრო საინტერესოა შენობის გარეგანი სახე. ეკლესია კარგად გათლილი მოყვითალო რუხი ქვითაა მოპირკეთებული. მიუხედავად გვიანდელი შეღვნილობისა, რომელიც გარედანაც სულ მთლიანად ფარავს კედელს (შეუღვნიდა დატოვებული მხოლოდ ორნამენტული მორთულობის შემცველი ნაწილები შენობისა), მაინც ირკვევა წყობის ხასიათი; იქ, სადაც შეღვნილობა ჩამოცვნილია, ჩანს, რომ კედლები კარგი ოსტატობითაა ნაშენი.

ეკლესიის გეგმის კონტური გარედან სწორკუთხაა. შენობის ცოკოლი უბრალო საფეხურს წარმოადგენს. მარტივი პროფილიანი კარნიზი - ბრტყელი წრეთარგი თაროსა და ღიღვს შორის - მთლიანად მოჩუქურთმებული ყოფილა, რასაც თავდაპირველი ფრაგმენტები გარკვევით მოწმობენ. შენობის კამარისა და კონქის ჩანგრევის შედეგად, როგორც ჩანს, ძალიან დაზარადა კარნიზიც. დღევანდელი სახით, არაბუნებრივად მცირე ქონების მქონე ფრონტონის კალთები გვიანდელი შეკეთების შედეგი უნდა იყოს, ისევე, როგორც კარნიზის ძველი ქვების ნებისმიერი დალაგება, შემამკობელი ჩუქურთმების სახეთა ანგარიშგაუწველად.

ეკლესიის სამხრეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები სავსებით სადაა. ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთის სარკმელი, რომელიც ყველა ნიშნის თანახმად, თავდაპირველია; იგი სრულიად მოკლებულია მორთულობას, რაც თავისთავად უჩვეულოა მომწიფებული შუა საუკუნეების ეკლესიებისათვის.

შენობის „საზემო“ ფასადს დასავლეთისა წარმოადგენს. აქ არის მოთავსებული მდიდრულად შემკული შესასვლელი კარი, რომლის ტიმპანზეც ასომთავრული წარწერაა ამოჭრილი. იგი ტიმპანის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული, მედალიონში ჩასმული, ჯვრის ორსავე მხარეს და მის ქვემოთაა განლაგებული. წარწერა კარგად იკითხება, ასოები ღრმადაა ჩაჭრილი. სტრიქონების სისწორე საკმაოდ წესიერადაა დაცული, ასოები მრგვალი მოყვანილობისაა. არსად არ ჩანს მათი გადაბმა. შინაარსი წარწერისა გახსნილი სახით შემდეგია:

„ქუ ჯვარი
წმიდაო

ქრისტეს [ი]
ბარბარე

და ქვემოთ, სამი სტრიქონი:

„ქუ მრავალ მოწყალეო ღმერთო შეუნდვენ ცოდვანი შერაზატს
და განუსვენენ [სულსა] მამისა მისისა იოვანესსა“.

შერაზატისა და მისი მამის იოვანეს ვინაობა ჩვენთვის უცნობია (ის კი უნდა აღინიშნოს, რომ შერაზადიშვილთა გვარი დღესაც ცნობილია ზემო იმერეთის მეზობელ რაჭაში).

ჩიხის ეკლესიის ძალზე მარტივი არქიტექტურა თავისთავად არ იძლევა რაიმე გარკვეულ მონაცემებს მისი ზუსტი დათარიღებისათვის. აქ ძირითადად დასაყრდენს ძეგლის მორთულობა წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთის პორტალის კომპოზიციის შედგენის პრინციპი.

ჩიხის პორტალში საინტერესოა მისი რთული, ნაკლებ გავრცელებული სახე პროფილისა. თუ ადრინდელ ანალოგიას ჩვენი ძეგლისათვის (მხოლოდ პროფილის თვალსაზრისით) XI ს. სვეტიცხოველში ვხვდებით აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიული ფრიზის სახით XII საუკუნეში აღნიშნული პროფილი გელათის დიდი ტაძრის ნართექსის მორთულობაში უკვე სარკმლის საპირის სახითაა ცნობილი. იგივე პროფილი, კვლავ სარკმლის შესამკობად, გამოყენებულია 1152 წ. საორბისის ეკლესიაში. ჩვენი შემთხვევის უშუალო მსგავსება ორ უკანასკნელ ნიმუშთან, საორბისთან და გელათთან, ე. ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში მოქცეულ ძეგლებთან, მნიშვნელოვანი გარემოებაა. მომწიფებული შუა საუკუნეების ძეგლებში არც მანამდე, არც მის შემდეგ, მსგავსი პროფილის გამოყენების მაგალითები უშუალოდ კარ-სარკმელთა საპირეების მსგავსად ჩვენ არ შეგვხვედრია. ამასთან ერთად, შენობის დასათარიღებლად მნიშვნელოვანია საპირის აგების საერთო სქემაც. ჩიხის პორტალში ჯერ კიდევ არა გვაქვს თაღის ქუსლებთან და ბოლოში მოთავსებული ტრადიციული სამკაულები, რომლებიც თითქმის საყოველთაოდ ვრცელდება XII-XIII სს. მიჯნიდან.

თავისი აღნაგობით ჩიხის პორტალი ადრინდელ ნიმუშებს უკავშირდება, რომლებშიც საპირეები უწყვეტად უვლიან გარს კარ-სარკმლებს.

ასეთი სქემა, როგორც ცნობილია, კვლავ შემოდის ხმარებაში მომწიფებული შუა საუკუნეების გვიან საფეხურზე, სახელდობრ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაგრამ ამ დროს კარ-სარკმელთა მორთულობა, ჩუქურთმის სახეები, პროფილები - აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი მკვეთრი ნიშნებითაა აღბეჭდილი, რაც სრულიად განასხვავებს მათ წინამორბედი ხანის - XI-XII სს. ნიმუშებისაგან, კერძოდ, ჩვენი მაგალითისაგანაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩიხის პორტალი განსაკუთრებულ მსგავსებას საორბისის აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობასთან ამჟღავნებს. აქ საერთოა არა მარტო საპირეთა პროფილის შექმნისა, არამედ პროფილის უშუალო ხასიათიც. შეფარდება საპირის ცენტრალურ ჩაზნექილ არესა და განაპირა ამოზნექილ არეებს შორის; დიდია ჩუქურთმის მსგავსებაც, როგორც თვით ნახატის სქემის, ისე ჩუქურთმის შესრულების სტილისტიკური მონაცემების თვალსაზრისით.

ჩიხის პორტალის ჩუქურთმა, ისევე როგორც საორბისის აღმოსავლეთი სარკმლის ჩუქურთმა, შექმნილია საპირის კიდევზე განლაგებული წრეებისა და მსაზღვრული ღეხტებიდან აღმოცენებული მრავალნაწილიანი ფოთლებიც, რომლებიც ავსებენ ჩუქურთმის თითქმის მთელ არეს.

ეს სახე დაკავშირებულია ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის ფართოდ გავრცელებულ მოტივთან, რომელსაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე ვხვდებით ძეგლების მორთულობაში.

დროთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, შექმნილი იყო აღნიშნული მოტივის მრავალგვარი სახესხვაობა, რომლებიც ფაქტიურად ერთი, ძირითადი სახის ვარიაციებს წარმოადგენს. მომწიფებული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ამ მეტად პოპულარულ და მრავალფეროვან სახეში ნათლად აისახა სტილის განვითარების თითოეული საფეხური თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით, მხატვრული ფორმებითა და ხერხებით. ამ ორნამენტის ევოლუციას, როგორც რენე შმერლინგი შენიშნავს სპეციალური დაკვირვების საფუძველზე, ახასიათებს მცენარეული ელემენტების გადაზრდა დაწულ ელემენტებად. XI ს. ძეგლებში ნახატი კომპოზიციის ძირითადი ელემენტია მსხვილი განშტოებული ფოთლები, რომლებსაც ახასიათებს დიდი სიახლოვე მცენარეულ პროტოტიპებთან, სტილიზაცია მხოლოდ ისახება. ამ ჩუქურთმათა ნახატი და ძერწვა რთულია (სამთავრო, სამთავისი, ნიკორწმინდა). ასეთია თავისი ხასიათით ფოთოლი ჯერ კიდევ XII საუკუნის საორბისის ჩუქურთმაშიც. თუმცა აქ წნვის ელემენტი ცენტრალური კვანძის სახით უკვე ჩნდება.

ჩიხის მოტივი ფოთლის ხასიათისა და მისი მნიშვნელობის მიხედვით კომპოზიციაში სწორედ დასახელებულ ნიმუშებს უახლოვდება. ძალიან გავს იგი ამ მხრივ საორბისსაც. უკანასკნელისაგან მას მხოლოდ ცენტრალური კვანძის უქონლობა განასხვავებს.

დროთა ვითარებაში ფოთლის გამოსახულება, როგორც ცნობილია, სულ უფრო და უფრო შორდება მცენარეულ პროტოტიპს; სტილიზაცია მასში განმსაზღვრელი ხდება, ხოლო ჩუქურთმის კომპოზიციაში ფოთოლი თანდათან წნვის მეორეხარისხოვან, დამატებით ელემენტად იქცევა. XIII საუკუნიდან ეს ტენდენცია უფრო ძლიერ იჩენს თავს XI-XII ს. ძეგლებთან (სამთავისი, სამთავრო,

ნიკორწმინდა, საორბისი) ჩიხის მოტივს ფოთლის მოდელირების ხერხიც აკავშირებს. ფოთლის მთელი არე ამ ნიმუშებში მოცემულია თითქოს ერთიანი სიბრტყით, საერთო პლანით. ფოთლის ცალკეულ ელემენტებს შორის, ფოთლის შიგნით, ზღვარი მკვეთრად არ ისახება; ხაზგასმული დიფერენცირება ფოთლების ელემენტებისა უფრო გვიან - XII-XIII საუკუნეთა მიჯნიდან - იჩენს თავს.

XI-XII სს. ძეგლებთან ჩიხის ჩუქურთმას მტკიცედ აკავშირებს ცენტრალური ფოთლების განაპირა არეების თავისებური დამუშავებაც დამატებითი, ფესტონების მსგავსი, ელემენტებით. სწორედ ასეთია ფოთლების განაპირა არეები საორბისშიც.

მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ჩვენი ნიმუშისათვის ფოთლის შემადგენელი ელემენტების შეხვედრის ადგილების დამუშავება ღრმა, თითქოს გაბურღული, წერტილოვანი ღრმულებით. ასეთი „შავი წერტილები“ XI ს. მრავალ ჩუქურთმებში გვხვდება (რუისში, სამთავისში, ნიკორწმინდაში). მათ ვხედავთ საორბისშიც. უფრო გვიან კი ეს ხერხი დავიწყებულია. ფოთლის ნახატის გამარტივებასთან, მისი ცალკეული ელემენტების მკვეთრ ხაზგასმათან ერთად, იგი სრულიად ისპობა. მე-13 საუკუნის ძეგლებში „შავი წერტილები“ აღარ ჩანს. ჩუქურთმების ეს დეტალი სტილის მკვეთრი დამახასიათებელი ნიშანია. ასეთი წერტილების არსებობა ჩვენს ძეგლში, სხვა ნიშნებთან ერთად, გარკვევით განსაზღვრავს ძეგლის შექმნის დროს: იგი XII საუკუნის მეორე ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს. უკვე 1172 წლის იკორთაში და 1196 წლის ბეთანიის მცირე ტაძარში ეს ხერხი დავიწყებულია.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი ჩიხის ჩუქურთმაში - ესაა პატარა პორიზონტალური სარტყელები ფოთლების ღეროებზე, ასეთი სამკაულები კვლავ მხოლოდ XI-XII საუკუნეებში გვხვდება. აღნიშნულ სარტყელებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ, მაგალითად, სამთავისის ჩუქურთმაში. სარტყელი აქ გულდასმითაა დამუშავებული. მას მკაფიოდ დეკორატიული ხასიათი აქვს. ასეთივე ხასიათის სარტყელები გვაქვს საორბისის სამხრეთის სარკმლის მორთულობაში. ჩვენს ძეგლშიც სარტყელების ნახატი გულმოდგინეთაა დამუშავებული: მას ერთგვარი მანერულობაც კი ახასიათებს. სარტყელი მთლიანად კი არ კვეთს ფოთლის ღეროს, არამედ მოწყვეტილია საწნავი ლენტის განაპირა ღარებთან.

დიდ მსგავსებათა ერთად, რომელიც XI-XII სს. ზემოთ მოყვანილ ნიმუშებსა და ჩიხის მოტივს შორის არსებობს, როგორც ჩუქურთმების ცალკეული ელემენტების ხასიათის მხრივ, ისე შესრულების საერთო ხერხების თვალსაზრისითაც, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის. ჩიხის პორტალის ჩუქურთმა მოკლებულია იმ რბილ პლასტიკურობას, შესრულების ვირტუოზულ თავისუფლებას, არტისტიზმს, რაც დამახასიათებელია მაგ., სამთავროს, სამთავისის ან საორბისის ჩუქურთმებისთვის. ჩიხაში საგრძნობია კუთხოვანების, სიხისტის ელემენტები, ნახატის მოუქნელობა, თვისებები, რომელნიც პორტალის მორთულობას გაწაფული ხელით შესრულებულ ხელოსნურ ნახელავად აქცევენ.

პორტალის ჩუქურთმასთან ჩიხაში მჭიდროდაა დაკავშირებული კარნიზის შემამკობელი სახეებიც. როგორც სახის ნახატის თვალსაზრისით, ისე შესრულების ხერხებით და მანერით (ეს კვლავ ფოთლის ზედაპირზე დაუნაწევრებელი, მთლიანი ზედაპირით დამუშავებაა. კვლავ „შავი წერტილების“ გამოყენება და სხვ.). შენობის ორნამენტული დეკორი, ერთგვაროვანი თავის სტილისტიკური მონაცემებით და შესრულების ხასიათით. ერთი ოსტატის ხელს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩიხის ეკლესია, თავისი მორთულობით შეგვიძლია მივიჩნიოთ დიდი ხუროთმოძღვრების პროვინციული სკოლის წარმომადგენლად. იგი შორს არის ქართული ხუროთმოძღვრების ზემოთ მოყვანილი წამყვანი ნიმუშების ბრწყინვალეებისაგან, მაგრამ მასში, როგორც დავინახეთ, გვხვდება ის ნიშნები, რომლებიც სწორედ აღნიშნულ ძეგლებს ახასიათებს. ეს ნიშნები საერთოა, როგორც გამოჩენილი, დიდად ნიჭიერი ოსტატების მიერ შექმნილი ძეგლებისათვის, ასევე მათი ნაკლებ დაოსტატებული, ნაკლებ დახვეწილი გემოვნებისა და ნაკლები გაქანების მქონე კოლეგების მიერ აგებული შენობებისა.

ჩიხის ოსტატი ცდილობს არ ჩამორჩეს თავის დროის მიღწევებს, მხატვრულ ხერხებსა და მოტივებს. საინტერესოა, რომ მათ შორის გაბედულად ირჩევს ურთულეს მაგალითებს. უკანასკნელთა ხასიათის მიხედვით, როგორც ჩანს, ძეგლის აგება უკავშირდება XII საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე გვიან არ უნდა იყოს აგებული. ანალიზით მიღებულ ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება დასავლეთის კარის წარწერის პალეოგრაფიული მონაცემებიც.

ამგვარად, ჩიხის ეკლესიის სახით ჩვენ რუსთაველის ეპოქის კიდევ ერთი ძეგლი შეგვემატა⁴.

ჩიხის ღმრთისმშობლის (წმ. ბარბარეს) სახელობის ტაძრის შესახებ ინა გომელაური და გიორგი ბოჭორიძე გვაწვდიან მეტად სასარგებლო ინფორმაციას, თუმცა არის გარკვეული საკითხები, რომელზედაც დათანხმება ნამდვილად არ შეიძლება.

უპირველეს ყოვლისა ინა გომელაური არ იცნობს გიორგი ბოჭორიძის კვლევას და არც ქართლის ცხოვრების იმ ეპიზოდებს, სადაც გადმოცემულია ჩიხის საერისთავოს ამბავი და საუკუნეების წინ მომხდარი ტრაგედია.

თუმცა, გიორგი ბოჭორიძე ეყრდნობა რა ქართლის ცხოვრების ლეონტი მროველისეულ ცნობას, პირდაპირ, უკომენტაროდ გადმოაქვს ჩიხის ერისთავის შესახებ მეტად ბუნდოვანი ინფორმაცია (რომელიც ზემოთ უკვე შევასწორეთ), რომელიც მეორდება ყველა დანარჩენ შემთხვევაში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტისთან პირველი ვარიანტი) - ჩიხის ერისთავი ყოფილა ბაგრატი, რომელიც მოკლეს და ასევე ექსორიაქმნილი იყო, თანაც ცოცხალიც გადარჩა, მივიდა კონსტანტინეპოლში და შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, რაც აბსურდია.

ჩიხის საერისთავო ჯერ კიდევ IX საუკუნის 70-იან წლებში მოექცა ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში. კერძოდ, აფხაზთა მეფემ გიორგი I აღწეფელმა, არგვეთიდან ჩიხაში გადაიტანა საერისთავო-საუფლისწულო რეზიდენცია.

გიორგი აფხაზთა მეფე უშვილო იყო და შესაბამისად, სამეფო ტახტზე მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა ასულიყო მისი ძმისშვილი ტინენი, რომელიც მანამდე სწორედ ჩიხის ერისთავად დაადგინა ბიძამ - გიორგი აღწეფელმა. მაგრამ, მეფის ქვრივი შეეკრა შავლიანებს, სავარაუდოდ სამეფო კარზე დაწინაურებულ გავლენიან ოჯახს და მოაკვლევინა ჩიხის ერისთავი, ხოლო მისი უმცროსი ძმა ბაგრატი ზღვაში ჩააგდეს, რომელიც ღმრთის მადლით გადარჩა, კონსტანტინეპოლს მიაღწია და გარკვეული წლების შემდეგ ისიც ჩიხის ერისთავად დაბრუნდა, რასაც ბაგრატის მხრიდან შემდეგ წლებში მოჰყვა სამწუხარო ამბავი, ანუ შავლიანების (თუ შავლალიანების) დინასტიის მიმართ მტრობა და სისხლისღვრა.

ი. გომელაური ამ ფაქტს არ აღწერს, თუ რატომ ეს ჩვენთვის უცნობია. პრაქტიკულად არაფერს არ ამბობს ტაძრის ტიპანზე გამოსახულ ჯვარზე, რომელიც თავისი მოყვანილობით ყველაზე ახლოს დგას ბოლნურ ჯვართან, შეიძლება ითქვას მის ანალოგსაც კი წარმოადგენს. თუმცა ნაშრომში გადმოტანილი აქვს აღნიშნული ჯვარი და წარწერები.

გ. ბოჭორიძე სავსებით მართებულად შენიშნავს, როცა წერს: „წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი და ჯვრის გამოსახულების ხელოვნება გვაფიქრებინებს წარწერის მიკუთვნებას X საუკუნისათვის“, რაც სიმართლესთან ძალიან ახლოსაა. მითუმეტეს, ტიპანის ჯვარი განეკუთვნება სწორედ აღნიშნულ პერიოდს, რასაც ი. გომელაური სხვაგვარად აფასებს: „როგორც ჩანს, ძეგლის აგება უკავშირდება XII საუკუნეს, ყოველ შემთხვევაში, ამაზე გვიან არ უნდა იყოს აგებული“, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ: „კომპლექსის ძირითადი ნაგებობის - კოშკის - მდებარეობით უნდა იყოს განსაზღვრული. ორივე შენობა ერთდროულად აგებული ჩანს. ორივე ერთი მეორითაა განპირობებული, ერთი მეორეს უწევს ანგარიშს“, რაც სავსებით სარწმუნოა და ამართლებს ჩვენს პოზიციას, რომ ტაძარი აგებული უნდა იყოს VI-IX საუკუნეებში, კერძოდ კი მანამდე, ვიდრე აფხაზთა მეფე გიორგი აღწეფელი საერისთავო რეზიდენციას არგვეთიდან ჩიხაში გადაიტანდა, რადგან, წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი რეზიდენცია ციხისა და ტაძრის გარეშე.

არის ერთი გასაოცარი ფაქტიც, ტაძარი უდავოდ აგებულია დიდმოწამე ბარბარეს სახელზე (რაც წარწერიდანაც გარკვევით ჩანს), მაგრამ ორივე მეცნიერი, ისევე როგორც მთელი სოფელი იხსენიებს ღმრთისმშობლის (ღმრთისმშობლის) სახელით. რატომ ატარებს ეს ტაძარი ორ სახელს ნამდვილად გაუგებარია.

გარდა ამისა, ჩიხის ტაძარი ერთადერთია მთელს დასავლეთ საქართველოში (ყოველ შემთხვევაში არსებული წყაროების გათვალისწინებით), რომელმაც შემოგვინახა V-X საუკუნეთა პერიოდის ბოლნური ჯვრის ანალოგიური ჯვარი, რაც ყოველმხრივ სასიამოვნო ფაქტია.

ბოლნისის სიონის ტაძრის მრავალფეროვან დეკორაციულ ელემენტებში გამორჩეული ადგილი უკავია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ, წარწერაში ჩასმულ ტოლმკლავა (იგივე ერთნაირმკლავებიანი) ჯვარს, რომელიც ასოცირდება წმიდა კონსტანტინე იმპერატორის

⁴ი. გომელაური. XII ს-ის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ჩიხაში.- ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 1966, №8, გვ. 69-78.

აღმოსავლეთში გამარჯვებასთან. უძველესი ცნობების მიხედვით ასეთი ჯვარი სპეციალურად შეუკეთეს ხუროთმოძღვრებს ბოლნისის სიონის⁵ ტაძრისთვის.

მას შემდეგ წრეში (წრეწირში) ჩასმულ ჯვარს საქართველოში ეწოდა „ბოლნური ჯვარი“, რომელმაც ძირითადად გავრცელება ჰპოვა აღმოსავლეთ საქართველოში. „ბოლნური ჯვრის“ ანალოგები ასევე გვხვდება V-X საუკუნეებში აგებულ აკანებსა ტაძარში, თეთრწყაროში, მცხეთის ჯვრის დიდ ტაძარზე, მოგვიანებით - ოლთისში, პარხალში, ხცისის ტაძარზე და ქაჩაღანას ქვაჯვარზე. რაც კიდევ ერთი ფაქტია იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩიხის ტაძრის ტიპპანზე გამოსახული ჯვარი განეკუთვნება ამ ეპოქას და არა XI-XII საუკუნეებს, ანუ შესრულებულია უდავოდ VI საუკუნიდან IX საუკუნის შუა წლებამდე.

აკანებსა ტაძრის⁶ კარის თავზე მოთავსებული ჯვარი დეკორატიული რეპერტუარით ძალიან ჰგავს ბოლნისის სიონის ჯვარს. ფორმით ასეთივეა თეთრიწყაროს ტაძრის შესასვლელის თავზე გამოსახული ჯვარი ამალღების კომპოზიციით. ამავ ტაძარში (ამალღების გარეშე) განსხვავებული ჯვრები გვხვდება რამდენიმე ადგილზე.

მცენარეული ელემენტებით გაჯერებული და გამშვენებული ჯვარი ხუროთმოძღვრებასა და საეკლესიო არქიტექტურაში აღინიშნება სპეციალური ტერმინით „განედებული ჯვარი“, რომლის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს მცხეთის ჯვრის მთავარი შესასვლელის თავზე გამოსახული „ბოლნური ჯვარი“, რომელიც ხელთ უპყრიათ ანგელოზებს, ანუ მას ასევე ეწოდება „ჯვრის ამალღება“.

„ჯვრის ამალღების“ ადრინდელი მაგალითები რელიეფური გამოსახულებანია, რომლებიც ადრეფეოდალური ხანის ეკლესიების კედლებს ამკობენ (მცხეთის ჯვარი, ანხისხატის ბაზილიკა, თეთრიწყაროს ტაძარი), ისინი გადმოსცემენ ამ სცენის ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ჩამოყალიბებულ და სხვადასხვა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებულ იკონოგრაფიულ რედაქციას. მედალიონში ჩასმული ჯვრის ამალღება ხდება ორი ანგელოზის მიერ, რომელთა მფრინავი ფიგურები სიმეტრიულადაა განლაგებული მედალიონის ორივე მხარეს⁷ – წერს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნათელა ალადაშვილი.

ზოგადად, „ჯვრის ამალღების“ კომპოზიციები ადასტურებენ იმას, რომ ქართველი ხუროთმოძღვრები თუ დარგის სპეციალისტები თავიანთი წარმოსახვით, მაგრამ იკონოგრაფიის სრული დაცვით ჰქმნიდნენ ახალ ვარიანტებს, რამაც ასახვა ჰპოვა ჯერ კიდევ V საუკუნის მიწურულიდან, რითაც დასტურდება ჯვრის თავყვანისცემასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-ტრადიციების სიმტკიცე მთელს საქართველოში, თავდაპირველად კი მის აღმოსავლეთ ნაწილში.

აგების, სტრუქტურისა და კომპოზიციის თავისებურებით ი. გომელაური ჩიხის ტაძართან ყველაზე ახლოს ხედავს საორბისის ტაძარს⁸. თუმცა, დათარიღებაში ნამდვილად ცდება, ხოლო მსგავსებაზე თუ მიდგება საკითხი, ჩიხის ჯვარი ზედმიწევნით ჰგავს თეთრიწყაროს და წრომის ტაძრის ჯვრებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ X საუკუნიდან იწყება „ბოლნური ჯვრის“ ანალოგების განვითარების მეორე ეტაპი, ანუ ისინი გვხვდება X-XI საუკუნეების ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორებიცაა: გუმბათის, დარკვეთის, ბედიის, პარხალისა და ხცისის ტაძრები. ასევე, საინტერესოა თანამედროვე თურქეთში, ჯაყის წყლის ხეობაში მდებარე ყოლა ბონას ციხის ეკლესიის ქვაზე გამოსახულ ჯვარი.

ჩიხის ტაძარი და ჯვარი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ არგვეთის საერისთავო VII-VIII საუკუნეებში ინარჩუნებდა ქვეყნის ერთ-ერთი დაწინაურებული საერისთავოს სტატუსს, აქ მოღვაწეობდნენ და აქვე გმირულად ადგნულენ წმიდა ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძენი, რაც ერთი ორად ზრდის არგვეთის საერისთავოს და მასში შემავალი ციხე-ქალაქების ისტორიულ მნიშვნელობას, რომელთაგან ჩიხა ხუთი საუკუნის მანძილზე სათავეში ედგა საერისთავოს,

⁵ტაძარი ბოლნისის რაიონში, მდინარე ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე, აგებულია 478-493 წლებში.

⁶აკანებსა დარბაზული ტაძარი – VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში, რომელსაც სამხრეთიდან ეკვტერი აქვს მიშენებული. ნაგებია თლილი ქვის ზუსტი წყობით. შემკულია რელიეფებითა და ჩუქურთმებით.

⁷ნათელა ალადაშვილი. „ჯვრის ამალღების“ თემა ქართულ ხელოვნებაში.– ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 1969, გვ. 7.

⁸საორბისის ტაძარი არის ერთნავიანი ბაზილიკა, რომელიც მდებარეობს კასპის რაიონში, თეძმის ხეობაში. ტაძარი შემკულია ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმებით. ასევე, მასზე დატანილი წარწერა ზუსტად დათარიღებულია, ანუ XII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ტაძრები, რომელთაც თარიღი მიწერილი აქვთ, ჩვენში ნაკლებადაა ცნობილი.

რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედის რიონამდე და რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე (თანამედროვე საზღვრებით მოიცავს - სანხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლის, ბაღდათისა და ტყიბულის რაიონებს).

ჩიხის ჯვართან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დიმიტრი გორდეკის⁹ „Выгравированный на фронтоне храма в селе Чиха крест своей композицией очень похож на кресты храмов Болниса Сиони и Тетрицкаро, которые были построены в V-VII веках“.

ჩიხის ჯვარი გამოირჩევა თავისი დახვეწილობით, კომპოზიციური სიმარტივით და მოქნილი ტექნიკით. თავისუფალია ზედმეტი კლასიკური სიმკაცრისგან. ჯვრის ოთხივე ბოლოს კუთხეებზე განლაგებულია ლილვისმაგვარი წრეები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ფრთებთან, ხოლო ქვედა ბოლო ვერძობა სამაგრს, იგივე ფეხს, რაც მიუთითებს მის სიძლიერესა და სიმყარეზე. ბოლნური ჯვრისთვის დამახასიათებელი წრეების ნაცვლად ოსტატს შეურჩევია მსგავსი, მაგრამ მაინც განსხვავებული რვაკუთხედი, რომელიც ჯვრის ბოლოებზე გამოჩეუქურთმებული ლილვების პირდაპირ იძლევა კუთხეებს.

ჯვრის შუაგულში შემოვლებულია უწყვეტი დარბი, შიდა სივრცეები ოდნავ ჩაღრმავებული და ნატიფად გამოყვანილია. ჯვრის გარშემო მთელს პერიმეტრს ფონად გასდევს ატმის ყვავილის ფერი, რაც უფრო მეტ სისადავეს და სიფაქიხეს ჰმატებს ქვაში ამოკვეთილ ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოს. თავის მოხაზულობით, დატვირთვით, გადაწყვეტის თვალსაზრისით და შესრულების თავისებურებით ჩიხის ჯვარი ზუსტ მსგავსებაშია აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული ბოლნური ჯვრის ტიპებთან, რაც ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოს არც ერთ სხვა ტაძარზე არ გვხვდება.

ოსტატი შეიძლება არის პროვინციული აზროვნების და მისი შემოქმედებითი ტექნიკა ვერ აღწევს ეპოქის სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების ოსტატთა სიმაღლეს, მაგრამ უდავოა ერთი რამ, ის არის გულწრფელი, დახვეწილი და მიზანდასახული ხელოვანი, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა ჩიხის უნიკალური ჯვარი, რომელსაც ჯამთა სიავემ ვერაფერი დააკლო. დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ასეთ ოსტატთა დამსახურებაა პროვინციებში აგებული ტაძრები, მათი შემკულობა, ორნამენტები და სტილის ჩამოყალიბების თავისებურებანი. სამწუხაროდ, მათი საფუძვლიანი შესწავლა ჯერაც არ დაწყებულია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩიხის ტაძარი აგებულია სწორედ VI-IX საუკუნეებში, რაც ასევე დასტურდება ჩიხის საერისთაოს ისტორიულ-პოლიტიკური წინსვლით, რაც დამოწმებულია „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებით.

ჯვარი ოდითგან იყო ქართველი კაცის საწინამძღვრო, მისი მთავარი მცველი და მფარველი, ამიტომაცაა ჩემთვის ძვირფასი და გამორჩეულად სათაყვანებელი ჩიხის ჯვარი - მცველი ჩვენი სააქაო და საიქიო ცხოვრებისა, „ჯვარი ქრისტესი“ ჯვარცმულ ქრისტეს მოწაფეს დედამიწას წარსტაცებს, საკუთარ ჯვარზე გაკრული, შემეცნებელი ამალგებული სიბრძნისა. გონებითა და გულით ზეცად აღიტყორცნება და ჭერეტს საიდუმლოებებს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. „რომელსა ჰნებაეს შემდგომად ჩემდა უარყავნ თავი თვისი, და აღიდენ ჯუარი თვისი, და შემომიდგენ მე“ ამინ“! წერს წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი.

დიდი აკაკი წერეთელი ბრძანებს: „უბედურია ის ხალხი, რომელსაც შეგნებული და გამოკვლეული წარსული არა ჰქონია და უცხოვრია ველურად, მაგრამ კიდევ უბედური და სატირალია ის, რომელსაც ჰქონია წარსული და ივიწყებს“.

„ჯვარო მფარველო ყოვლისა სოფლისაო, ჯვარო მშვენიერებაო ეკლესიათაო, ჯვარო სიმტკიცეო მეფეთაო, ჯვარო შემწეო მორწმუნეთაო, ჯვარო დიდებაო ანგელოზთაო და შემმუსვრელო ეშმაკთა“¹⁰ დაიფარე, დაიცავი, რწმენაში განამტკიცე და გააძლიერე სრულიად საქართველო, ამინ!

⁹რუსი ხელოვნებათმცოდნე, 1889-1965 წწ. ძირითადად მუშაობდა საქართველოში; 1952 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი; შესწავლილი აქვს ქართული ხელოვნების არაერთი ძეგლი (საფარა, ზარზმა, ჭულევი...) მუშაობდა მხატვრობის, მინანქრისა და მინიატურების მეცნიერული შესწავლა-პოპულარიზაციის კუთხით.

¹⁰ტროპარი ცხოველსმყოფელისა და პატიოსანი ჯვრისა.

Mamuka Tsuchishvili

Cross of Chikha

Summary

In the village Chikha, Sachkhere region, there is a small one-deck basilica that, in I. Gomelauris' opinion, belongs to the XIIth century. But G. Bochoridze considers it was built in the 10th century. Our investigation proves that the cathedral of Chikha was built in VI-IXth centuries. It is proved by the promotion of various power of that epoch and by the similarity of the etched cross of this cathedral with the crosses of Tetrtskaro, Sioni and Bolnisi cathedrals that are known as Bolnisi crosses.

Vicarious authority of Chikha was already promoted in the VIIIth century. It transformed this fortress into a vicarious centre. According to this, the cathedral and the fortress were built not in the XIIth century but in the VI-IXth centuries.

რამდენიმე შენიშვნა არაქელ თავრიზელის ცნობებთან დაკავშირებით

თავის დროზე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ, არცა ჰქონდათ, რომ თვითოეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, მედასეობა მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მატთანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადადამხუდარი არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადადამხუდარი და თვითმხილველი არ იყო მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს“¹. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შეფასებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა „თვითმხილველი“ და „თვითმხილველთაგან“ მოსმენილი ამბავი: „ყოველი განათლებული ისტორიკოსი მოვალე იყო, რომ მოთხრობის უეჭველობაზე უნდა ეზრუნა და სანდო წყაროებით ესარგებლა, შესაფერისადაც ჰქონოდა დასაბუთებული... ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული და ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს საისტორიო მოთხრობის უეჭველობისთვის, როდესაც მოთხრობელი თვით აღმწერლის „თუაღთახილული“ ან „თვალთხილული“, „ხილული“, იყო როცა ისტორიკოსი ან მისი მოამბე ნაამბობის „თვალთ მხილველი“, „თვალთა მხილველნი“, „თვითმხილველნი“ ანუ „მნახავი“ და სწორედ იმ აღწერილი შემთხვევის „თანადადამხუდარი“ გამოდგებოდა².

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაქელ თავრიზელის ნაშრომი „ისტორიათა წიგნი“ სანდო წყაროდ არის მიჩნეული. არაქელა თავრიზელი დაიბადა XVI საუკუნის დამლევეს ახერბაიჯანის სატახტო ქალაქ თავრიზში, სომხები ამ ქალაქს „დავრიუს“ უწოდებდნენ. აქედან წარმოდგა არაქელას ზედსახელი „დავრიუცი“³.

როგორც სომეხ ისტორიკოსთა უმრავლესობა, არაქელა თავრიზელი იყო სასულიერო პირი. ცხოვრების დიდი ნაწილი მან ეჩმიაძინის საძმოში გაატარა, სადაც სწავლობდა კათალიკოს ფილიპოს აღბეკეტან (1633-1655). მან მიიღო „ვართაპედის“ ანუ „მოდვრის წოდება“. სიცოცხლეშივე უწოდებდნენ მას „არაქელ ისტორიკოსს“⁴. არაქელ თავრიზელი კათალიკოსის დავალებით ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში, ძირითადად სომხებით დასახლებულ ადგილებში. გარდა იმისა, რაც კათალიკოსისგან ჰქონდა დავალებული, ის ერთდროულად თავისი „ისტორიათა წიგნისთვის“ აგროვებდა მასალებს, ხელნაწერებს, ისმენდა და იწერდა ნაამბობს, მან იმოგზაურა, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, საბერძნეთში, ისპაჰანში, ამასიაში და მრავალ ქალაქში. შრომის სირთულის გამო თავდაპირველად უარი უთქვამს არაქელს პატრიარქისთვის, მაგრამ პატრიარქის მკაცრი გაფრთხილების შემდეგ არაქელმა 1651 წელს დაიწყო მუშაობა ამ წიგნზე. კათალიკოს ფილიპოსის გარდაცვალების გამო [1655 წლის 25 მარტი] არაქელმა შეწყვიტა შრომაზე მუშაობა და მხოლოდ 3 წლის შემდეგ ახალი კათალიკოსის პაკოვ ჯუგაეცის დავალებით 1658 წელს გააგრძელა თავის „ისტორიათა წიგნზე“ მუშაობა, დაამთავრა 1662 წელს. ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა არაქელი ამ წიგნზე, სადაც გადმოსცა იმდროინდელი მდგომარეობა, მაგრამ არ დაუსრულებია. მისი დავალებით გადაამწერები ხელნაწერებს ამზადებდნენ და ასე ავრცელებდნენ⁵. არაქელა თავრიზელი

¹ივანე ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად.– „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს). თხზულებანი. თორმეტტომეული. ტ. VIII. მარიამ ლორთქიფანიძის რედაქციით. თბილისი, 1977, გვ. 26.

²ივანე ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად.– „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს). თხზულებანი. თორმეტტომეული. ტ. VIII. მარიამ ლორთქიფანიძის რედაქციით. თბილისი, 1977, გვ. 31-32.

³ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 6.

⁴А. Даврижец. Книга Историй. Перевод с армянского Л. А. Халрариан. Москва, 1973, стр. 16.

⁵А. Даврижец. Книга Историй. Перевод с армянского Л. А. Халрариан. Москва, 1973, стр. 18.

გარდაიცვალა 1670 წელს. მისი სურვილისამებრ დაკრძალულია ეჩმიაძინის მონასტრის სამლო
აკლდამაში. ის იყო პირველი სომეხი ისტორიკოსი, რომელმაც თავის სიცოცხლეში იხილა ბეჭდური
სახით გამოცემული ნაშრომი. 1669 წელს არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნი“ გამოიცა ამს-
ტერდამში⁶. „ისტორიათა წიგნი“ არაქელი განიხილავს თავისი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვი-
თარებას, ასევე მეზობელი ქვეყნების თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს სოციალურ-
პოლიტიკურ მდგომარეობასაც⁷. არაქელა დავრიუეცის ისტორიაში უხვადაა მოტანილი ცნობები
საქართველოს, კონკეტულად, ქართლისა და კახეთის სამეფოების შესახებ. თავისი ნაშრომის მე-9-12
თავებს, ის საგანგებოდ უთმობს საქართველოს და ვრცლად აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ
მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ქართლ-კახეთში შაჰ-აბას I (1587-1629) დაპყრობითი ომების
შედეგად. ისტორიკოსი უმთავრესად ყურდნობა თავისი თვალთ ნანახს, ყურით მოსმენილს. არაქელის
ინფორმატორებს შორის იყვნენ, როგორც ქრისტიანები, ისე სხვა რელიგიის მიმდევრები. XVI
საუკუნის დამლევის და XVII საუკუნის დამლევის მოვლენების გადმოცემისას, არაქელი ჩანს,
სარგებლობდა წინარე ხანის ისტორიკოსთა თხზულებებითაც⁸.

„სპარსეთის ხელმწიფედ ყოფნის დროს გაძლიერდა შაჰ-თამაზი და თავისი ძალაუფლება
განავრცო სხვა ხალხებზეც, რომლებიც მისი ქვეყნის მეზობლად ცხოვრობდნენ. გაძლიერდა აგრეთვე
ქართველებზეც და მათ მეფეებს მძევლები გამოართვა: თბილისის მეფეს დიდ სიმონ ხანს ასული
და ძმა“⁹. ცნობილი ფაქტია, რომ დავითი შემდეგში დაუღ-ხანად წოდებული, თვითონ ეახლა შაჰ-
თამაზ I ყაზვინში 1561 წლის 25 დეკემბერს და თავისი სამსახური შესთავაზა. ვახუშტი ბატონიშვილი
მოგვითხრობს: „ხოლო იხილა რა, ძმამან მეფის სვიმონისამ, დავით, სპარსთაგან ძლევა ესე, წარვიდა
სპარსეთად, რამეთუ იყო კაცი ხორცთმოყვარე, მეძაგ-განმცხრომელ, და იქმნა გამცემელ ქვეყნისა და
მივიდა წინაშე ყეენისა. ამას პატივსცა შას-თამაზ დაჰყო მაჰმადიანად, უწოდა დაუთხან და ძედ
თვისად უხმობდა, მისცა ჯილდო ც~ თუმანი (2000) ხალათა, კაბა, სარტყელი და ტყავი სამურითა,
ოქროქსოვილნი, თავჯი, ხრმალი, საბუხარი მარგალიტისა, ცხენი ადკაზმული ოქროთი, ყოველნი
მოოჭვილნი თვლებითა, სურა და თა ოქროსი (რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდნენ მეფეთა
ქართლისათა), წარმოავლინა მეფედ ქართლისად სპითა დიდითა შემოვიდა ტფილისს და აქუნდა
შემწედ განჯის ხანიცა... ხოლო დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი განდგნენ და
არა მორჩილებდნენ. და დაჯდა დაუთხან ქვეშის ციხესა¹⁰. დაახლოებით იგივეს გვიმეორებს ბერი
ეგნატაშვილიც¹¹, რაც შეეხება ასულის მძევლად მიცემას, ცნობილია მხოლოდ არაქელასთან.
ქართველი ისტორიკოსები არ მალავენ სხვა შემთხვევაში მძევლად მიცემის ფაქტს, ამიტომ მათი
ცნობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს, ვიდრე არაქელ დავრიუეცის.

არაქელ დავრიუეცი კახეთის სამეფო კარზე მომხდარი ამბების გადმოცემისას უშვებს
შეცდომებს: „ზემოთხსენებულმა კახეთის მეფე ალექსანდრემ თავისი სურვილით მისცა მეფობა თავის
ძეს დავითს და დავითი განაგებდა სამეფოს. ალექსანდრეს მეორე ვაჟი გიორგი ამის გამო შურით
ადიესო და მოკლა თავისი ძმა დავითი, რათა თვითონ გამხდარიყო მეფე. მათი მამა ალექსანდრე ჯერ
კიდევ ცოცხალი იყო. მან არ დაანება მეფობა გიორგის, თვითონ დაიჭირა ტახტი და თვითონვე
მეფობდა¹². სინამდვილეში ალექსანდრემ თავისი ნებით კი არ გადასცა ტახტი დავითს, არამედ ამ
უკანასკნელმა წაართვა მამას მეფობა. მართალია, რომ გიორგი ბატონიშვილი ძმას ტახტს
ეცილებოდა, მაგრამ მას არ მოუკლავს ბატონიშვილი დავითი. ის ბუნებრივი სიკვდილით
გარდაიცვალა. არაქელ თავრიზელმა არ იცის, რომ ალექსანდრე II-ს (1574-1605) დავითის, გიორგის,
კონსტანტინეს გარდა ჰყავდა სხვა შვილებიც, ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: „ხოლო კახსა ბატონსა
ალექსანდრეს ესუა ასული ამილახორისა და ესხნეს ხუთ ძე დავით, ერეკლე, გიორგი, კონსტანტინე,
როსტომ, ასული ესე ნესტან-დარეჯან მიათხოვა დადიანსა მანუჩარს, ძესა მამიასასა, ზითვითა

⁶А. Даврижец. Книга Историй. Перевод с армянского Л. А. Халрариан. Москва, 1973, стр. 18.

⁷А. Даврижец. Книга Историй. Перевод с армянского Л. А. Халрариан. Москва, 1973, стр. 23.

⁸ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 6-7.

⁹ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 12.

¹⁰ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.— „ქართლის ცხოვრება“. ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973, გვ. 407-409.

¹¹ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება.— „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959, გვ. 367.

¹²ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 14.

დიდითა. ხოლო ძე მისი ერეკლე გაუარშივდა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს”¹³. არაქელს არანაირი ინფორმაცია არა აქვს ისეთ მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ, როგორც იყო შირვანის საკითხი. როგორც ცნობილია, 1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი და დაიწყო ირანის წინააღმდეგ შეტევა. ოსმალეთმა ისარგებლა რა შაჰ თამაზ I-ს მეძევადრეებს შორის ატეხილი ბრძოლებით, კავკასიის მიმართულებით დაძრა ჯარები მუსტაფა ლალა-ფაშას სარდლობით. ოსმალეთი მიზნად ისახავდა დაეკავებინა მთელი ამიერკავკასია. სამცხის დაპყრობის შემდეგ მუსტაფა ლალა-ფაშა იმერეთში გადავიდა, სადაც იგი იმერლებმა დაამარცხეს. ფაშამ აქ გაჩერება მიზანშეუწონლად ჩათვალა და შირვანისკენ დაიძრა. კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) მას სართიჭალასთან შეეგება, გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც გამოჩნდა ალექსანდრეს დიდი დიპლომატიური ნიჭი. ალექსანდრემ, მართალია, თავი ოსმალეთის მორჩილად სცნო, მაგრამ ქრისტიანობა შეინარჩუნა. ოსმალებმა მასვე მიანდეს შაქის დაპყრობა, სადაც მმართველად შაჰის ნდობით აღჭურვილი მისი მეტოქე ძმა გამაჰმადიანებული იესე (ისა-ხანი) იჯდა, როგორც, სიმონ მეფის ძმა დავითი (დაუდ-ხანი) ეახლა შაჰს, ისე ალექსანდრეს ძმა იესეც ეახლა შაჰს და თავისი ერთგულება გამოუცხადა (მას ისა-ხანი უწოდეს). ალექსანდრე თვითონ იყო დანტერესებული იესეს თავიდან მოშორებით, რომელიც კახეთის ტახტზე თავის მეტოქედ მიანდა. ალექსანდრემ შაქი დაიკავა, ისა-ხანი გააძევა და შაქის მმართველად თავისი შვილი ერეკლე ბატონიშვილი დასვა. კახეთის მეფეთა ტრადიციულმა პოლიტიკამ თავისი სასურველი შედეგი გამოიღო: ქვეყანა არა თუ გადაურჩა ოსმალთაგან დაპყრობას და დარბევას, არამედ ფორმალური ყმობის აღიარებით იგი გაძლიერდა და მისი გავლენა მეზობელ შაქზეც გავრცელდა¹⁴.

წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფალთან მიმართებაშიც უზუსტობაა არაქელ დავრიუციის – „ისტორიათა წიგნი“: „თეიმურაზის დედა შაჰ-აბასმა სპარსეთის შუაგულში, შირაზში გაგზავნა იმამ-ყული-ხანთან და იქ ჰყავდათ საპყრობილეში. ამგვარად შაჰ-აბასის ბრძანებით შეიპყრეს თეიმურაზის დედა, რომელსაც მარიამი ერქვა“¹⁵. თავის დროზე ბ-ნ კ. კუციამ აღნიშნა, რომ საუბარი იყო ქეთევან დედოფალზე¹⁶. ჩვენის მხრივ დავამატებთ იმას, რომ სახელი „მარიამი“ – ქეთევანის ნაცვლად მას სხვისგან აქვს გაგონილი, იმ პირისგან, რომელიც სრულებით არ იცნობდა წმინდა მოწამე ქეთევან ქართველს – ქეთევან დედოფალს, თორემ სხვა ახსნა არ შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს, რადგან საქართველოსთვის, ქრისტიანობისთვის თავდადებული ქართველი დედოფლის წამება არა მარტო ქრისტიანულმა სამყარომ შეიტყო, არამედ იმდროინდელმა მსოფლიომ.

არაქელ თავრიზელს აქვს დაუზუსტებელი ინფორმაცია გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართაც. არაქელი ბრალს სდებს სააკაძეს იმაში, რომ მან შემოიყვანა შაჰ-აბას-I (1587-1629) საქართველოში და ურჩია მას, რომ საქართველოს დაპყრობა ზამთარში უფრო გაადვილდებაო. „შაჰმა ჰკითხა მოურავს: „აი უკვე განვლო დიდმა დრომ, როდისღა წაგვიყვან საქართველოში? მოურავმა უპასუხა: ცოტა კიდევ მოითმინე, რადგანაც ჯერ დრო არაა. მე თვითონ გაგახსენებ იქ წასვლას.“ მოურავი იმიტომ ამბობდა, ჯერ დრო არ არისო, რომ ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გასცვენოდა, რომ სპარსელთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში“¹⁷. „შაჰმა უთხრა გიორგი სააკაძეს: „ყველა ჩემს მეინახეთ უპირველეს დიდებულთა შორის შენ იქნები“. მოურავის რჩევით მოიცადეს დეკემბრის თვემდე, დიდ დღესასწაულამდე, როდესაც დადგა ზამთარი, სიცივეები გაძლიერდა, მოსულმა თოვლმა დაფარა მთის მწვერვალები და გასაქცევი გზები. სიმაგრეებში მყოფი ხალხი სიცივისაგან შეწუხდა. ხეებს ფოთლები გასცვივდა და ყველა ადგილი ხელისგულივით გამოჩნდა. მაშინ მოურავმა უთხრა შაჰს: „აი ახლა გავემართოთ ქართველთა ქვეყნისაკენ, რადგან დადგა ჟამი. [წასვლისა] წამოვიდნენ ქალაქ განძაკიდან და მიაღწიეს კახეთის საზღვრებს, რომელიც არის თეიმურაზის ქვეყანა. კახეთის გზა ხეობებში გადიოდა“¹⁸. სპარსელთა ლაშქარი კი განლაგდა ხევის წინ გაშლილ ადგლზე, სპარსელებმა

¹³ ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება.– „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959, გვ. 370.

¹⁴ ნოდარ ასათიანი, გივი ჯამბურია. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. ტ. II. თბილისი, 2008, გვ. 163-164.

¹⁵ ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 41.

¹⁶ ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 71.

¹⁷ ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 22.

¹⁸ ა. თავრიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი, 1974, გვ. 25.

რომელთაც დაინახეს, რომ ხევის გასასვლელი ქართველებმა დაიკავეს, დაიბნენ. შაჰმა კვლავ მოიხმო მოურავი და სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ მოურავმა თვითონ არ იცოდა რა ექნა, ორი დღის შემდეგ მან უთხრა შაჰს, მე ვიცი აქედან ორი დღის სავალზე ერთ ადგილას გზა, მაგრამ გაუვალი ტყე რომ ადვილად გასასვლელი გახდეს, საჭიროა ნაჯახები და სხვადასხვა იარაღი, რომ ტყე გავეკაფოთ. შაჰმა უბრძანა თავის მებრძოლებს, აეღოთ საჭირო იარაღები და წასულიყვნ გზის გასაკაფად. მათ გააკაფეს ძნელად გასასვლელი გზა. შაჰმა ბრძანება გასცა, არ დაეშალათ კარვები, აქლემების სადგომები, რათა ეჭვი არ აეღოთ, მხოლოდ ჯარის ნაწილი საბრძოლო მასალებით და ცხენებით უჩუმრად მისულიყვნენ კახეთში. ახალი გაჭრილი გზით შემოვიდნენ თეიმურაზის ქვეყანაში, გადაწვეს სოფლები, დასახლებული ადგილები და სასტიკად გაუსწორდნენ მოსახლეობას. „ლუარსაბმა და თეიმურაზმა არ იცოდნენ მომხდარის შესახებ, რადგან ხევის გადმოსასვლელს იცავდნენ“¹⁹. ამ ცნობაში ლაპარაკია არა თუ როდის აჯობებდა ლაშქრობა, ამას ურჩევს თითქოს გ. სააკაძე და არა იმას, რომ საერთოდ უნდა ელაშქრა თუ არა შაჰს საქართველოში. ასეთი ხერხი (ზამთარში ლაშქრობა) სხვა დამპყრობლებსაც აქვთ გამოყენებული, მაგალითად, თემურ-ლენგს. 1399 წლის ბოლოს თემური ამიერკავკასიაში შემოვიდა და საქართველოსკენ დაიძრა. თემურ-ლენგის ლაშქარი ტყიანი გზით პერეთში შეიჭრა. ჯარისკაცები ცუდებით იკაფავდნენ გზას. 20 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა. თემურის მოლაშქრეები ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, ჩეხავდნენ ხეხილს, ვენახებს, კაკლის ხეებს. ბოლოს დიდთოვლობაში, საქონლის საკვების სიმცირის გამო, იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ ლაშქრობა და უკან დაბრუნებულიყვნენ²⁰. ასე რომ შაჰ-აბას წესით ეს უნდა სცოდნოდა, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მას ამ საკითხში სააკაძის რჩევა არ დასჭირდებოდა.

ამ ცნობამ ასახვა მოგვიანებით ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში: ა) ბერი ეგნატაშვილის მიხედვით: „პირველად თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ ყაენისათვის ესრეთ, ვითარმედ: ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევო და რაც გინდა იქო, თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყვეტსო. და ესმინა შააბაზ სიტყვა მოურავისა და მოვიდა თუესა იანვარსა ხუთსა ქრისტეს აქეთ ჩ“ქედ. (1624) და აღიღო ციხე თორღისა. შააბაზ გამოიღო ყოველივე საგანძური კახეთისა“²¹. ბ) ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „...არამედ ამისა შემდგომად მოვიდა განჯას უგრძნეულად შააბაზ შესვლად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და ეუწყა ყენისთვის შესვლა ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინაითაგან, ვერ წავლენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთ იგ დებ ყოველთა“²².

დასახელებულ ისტორიკოსთა მოსაზრებები ტენდენციურია, იმიტომ, რომ საქართველოს მიმართ შაჰ-აბასს (1587-1629) გარკვეული ანგარიშები ამოძრავებდა, კერძოდ, კახეთის დამორჩილებით, დასუსტებით იგი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ირანის სახანოდ გადაქცევას ფიქრობდა, ჯერ ერთი, შაჰ-აბასი არ იყო ის პოლიტიკოსი, რომელიც სხვისი ჭკუით ივლიდა, მეორეც, კარგად ესმოდა, თუ რუსეთი ფეხს მოიკიდებდა საქართველოში, მაშინ ირანი მთელს ამიერკავკასიას დაკარგავდა, ხოლო თეიმურაზ I (1606-1648) იმ პოლიტიკას ადგა, რასაც თავის დროზე მისი პაპა ალექსანდრე II (1574-1606) ატარებდა.

იმ ძნელბედობის უამს, 1616 წლის თებერვალში, თეიმურაზ I-მა რუსეთში წერილები გაგზავნა „ის მოსკოვის წინაშე აყენებდა საკითხს, კვლავ აღდგენილ იყო ძველი მფარველობითი კავშირი კახეთსა და რუსეთს შორის, რომელიც გაფორმებულ იქნა მისი პაპის ალექსანდრე II-ის დროს. თეიმურაზი სთხოვდა რუსეთის მეფეებს, თავისი მეგობრული ურთიერთობა გამოეყენებინა ირანთან და მოეთხოვა შაჰისგან, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო კახეთის განადგურების განზრახვაზე, ხოლო თეიმურაზი კვლავ მეფედ დაეტოვებინა. 1619 წლის მარტში მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ I-ის (1606-1648) ელჩი ხარიტონ კუმურდოელი, რომელმაც მეფე მიხეილ თევდორეს ძეს გადასცა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა და თეიმურაზ I-ის წერილები. მეფე თეიმურაზი აუწყებდა კახეთში დატრიალებულ საშინელებას, სთხოვდა შაჰ-აბასის მიერ დატყვევებული დედის, ქეთევანის და შვილების, ლევანის და ალექსანდრეს ბედ-იღბალში ჩარევას. 1621 წლის გაზაფხულზე მოსკოვში ჩასულ ირანის ელჩს ბულატ-ბეგს პრინციპულად დაუსვეს საქართველოს საკითხი“²³.

¹⁹ **А. Даврижец.** Книга Историй. Перевод с армянского **Л. А. Халпрариан.** Москва, 1973, стр. 116-117.

²⁰ **ნოდარ ასათიანი, გივი ჯამბურია.** საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. ტ. II. თბილისი, 2008, გვ. 92-93.

²¹ **ბერი ეგნატაშვილი.** ახალი ქართლის ცხოვრება.– „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბილისი, 1959, გვ. 392-393.

²² **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.– „ქართლის ცხოვრება“. ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბილისი, 1973, გვ. 425.

²³ **ნ. ასათიანი.** გზა-აღდგომა გამოსხნისაკენ. თბილისი, 1983. გვ. 65-67.

ამრიგად, კახეთის რუსეთთან დაკავშირება აღიზიანებდა ირანის შაჰს და მისი მოქმედებაც ამით იყო განპირობებული ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ და არა გ. სააკაძის რჩევითა და თხოვნით. „მოურავი ყოველთვის ცდილობდა ლუარსაბისთვის სამაგიერო გადაეხადა, ამიტომ საბაბად მისი ჩასვლის მიზეზზე დაუწყო ლაპარაკი შაჰ-აბასს²⁴. ბრალდება იმის შესახებ, რომ სააკაძემ დაასმინა ლუარსაბ მეფე შაჰ-აბასთან, წერილობით პირველად XVII საუკუნის ისტორიკოსთან არაქელა თავრიზელთან არის დაფიქსირებული²⁵.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ანალიზის მიხედვით ვახტანგ VI და მისი „სწავლულ კაცნი“ ნაშრომს ოთხ ნაწილად ანუ ხანად ყოფენ. პირველი ხანა ეხება იმ დროს, როცა ცხოვრებანი ქართველთანი აღარა წერებულყო ანუ ძისა მეფისა გიორგის ძისა ბაგრატისა, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე“. ამ დროის განმავლობაში ესე ამბავი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებებიდან გამოვიდეთ და აღვწერეთ. მეორე ნაწილად უნდა ჩაითვალოს „ცხოვრებანი ბაგრატისა და ძისა მისსა კონსტანტინესი“. ესე თხზულებები „ვპოვეთ ძველსა წიგნსა, შინა, და ქვემოთ რიგსა მისსა ზედა დაგვიწერიაო.“ მესამე ნაწილს შეადგენს: „ცხოვრებანი მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა, მეფისა კონსტანტინესი და შემდგომი ...ვიდრე მეფისა როსტომამდე“. მთელი ეს ხანა შემდგომი კაცთა სპარსთა ცხოვრებისა და ქორონიკონთა და გუჯართაგან აღვიწერიაო.“ მეოთხე ნაწილს შეადგენს ამბავი როსტომის აქეთი“ თვით თვალთა მნახველთა, მისთა ომებითა შინა მყოფთა კაცთაგან აღვიწერიაო“. საქართველოს ხანგრძლივი ცხოვრება XIV-XVII საუკუნის დასასრულამდე აღუწერელი იყო და ეს დიდი თვალსაჩინო ნაკლი მათ უნდა შეეხათ. როგორ? ამ შემთხვევაში „სწავლულნი კაცნი“ იმნაირსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, რა მდგომარეობაშიც იყო ფარსადან გორგიჯანისძე, როცა იგი თავის თხზულებების წერას შეუდგა. შორეული წარსულის ცხოვრების აღდგენა და დასაბუთება ძნელი საქმეა, მეტადრე როცა მკვლევარს იმ დროინდელი საისტორიო თხზულებები არ მოეპოვება.“

„სწავლულ კაცებს“ თავიანთი შრომის მესამე ნაწილშიც რაღაც სპარსული საისტორიო თხზულებებით („სპარსთა ცხოვრება“) უსარგებლიათ. ეს ნაწილი ალექსანდრეს მეფობით იწყება და ვიდრე როსტომამდე აღწევს, მაგრამ რა თხზულება იყო ეს თხზულება, იგივე ისკანდერ მუნშის ისტორია, თუ რამე სხვა წყარო, ამის გამორკვევა ახლა არ შეიძლება იმიტომ, რომ ხელნაწერს სწორედ ამ ნაწილში ბევრი აკლია. მხოლოდ ცხადია, რომ ამ სპარსული თხზულებების გარდა (თუ მუნშის თხზულებებით მართალია უსარგებლიათ) მათ სხვა სპარსული წყაროც უნდა ჰქონოდათ²⁶.

ჩვენთვის საინტერესოა ბერი ეგნატაშვილის – „ახალი ქართლის ცხოვრების“ სწორედ ის მესამე ნაწილი: „ცხოვრებანი მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა მეფისა კონსტანტინესი და შემდგომი... ვიდრე მეფისა როსტომისამდე.“ ეს ხანა როგორც წერენ, ძველთა კაცთა სპარსთა ცხოვრების და ქორონიკონთა გუჯართაგან არის გადმოცემული. ვფიქრობთ, არც ის არის გამორიცხული, რომ მათ გამოყენებული ჰქონოდათ სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიუცის, ისტორიათა წიგნი“, სადაც დაშვებული უზუსტობის გამომწვევ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ ნაშრომის შექმნა მოხდა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ (საქართველოს შესახებ ამბების თხრობა 1622 წლით სრულდება). რაც შეეხება ცნობებს გიორგი სააკაძის შესახებ, არაქელი ეყრდნობა მოსმენილ ამბებს, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში სიზუსტით არ გამოირჩევა, ეს შემდგომ დაფიქსირდა ქართულ წერილობით წყაროებში, პირველად ბერი ეგნატაშვილთან (XVIII სს), მოგვიანებით, ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII სს.) სავარაუდოდ მიგვაჩნია ისიც, რომ არაქელ თავრიზელის ცნობები იმ წყაროებიდან მომდინარეობდეს, ვისაც ეყრდნობა ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი. შესაძლებელია, რომ სამივეს ერთი წყარო ჰქონოდა.

ვფიქრობთ, რომ არაქელ დავრიუცის შრომაში გაპარული უზუსტობანი უნდა აიხსნას რამდენიმე მიზეზით: ა) მისი პირველწყარო ანუ „მოამბეები“ თვითონი იყვნენ ამ საქმის ნაკლებად მცოდნე. ბ) აღვილი შესაძლებელია ისიც, რომ ეს „მოამბეები“ აღნიშნული მოვლენის „მხილველნი“ და „თანამედროვენი“ ნაკლებად ყოფილიყვნენ.

²⁴А. Даврижец. Книга Историй. Перевод с армянского Л. А. Халрариаи. Москва, 1973, стр. 110.

²⁵გივი ჯამბურია. „კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის შესახებ“ – გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1998, 24 იანვარი.

²⁶ივანე ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. – „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს). თხზულებანი. თორმეტტომეული. ტ. VIII. მარიამ ლორთქიფანიძის რედაქციით. თბილისი, 1977, გვ. 26.

Tsira Janashia

Several observations in connection with data of Arakel of Tabriz

Summary

Armenian historian Arakel of Tabriz's work „Book of histories“ in the Georgian historiography is considered to be a reliable source. 9-12th chapters of this work concern social and economic, political events of the end of XVI and XVII centuries in Georgia. During reproduction of the events of the end of XVI and XVII centuries the historian was relying on the heard events. As it seems Arakel used also works of the previous ages' historians.

On the basis of study and analysis of „Book of histories“ it was singled out that a whole number of inaccuracies is given in data, e. g. „Iranian Shah Shah-Tamaz took daughter and brother of Tbilisi King Great Simon-Khan as hostage“. Giving daughter as hostage is not fixed at the Georgian historians (Monk Egnatashvili, Vakhushti Batonishvili), who in other case do not conceal the fact of giving as hostage, that is why their data is more reliable, then Arakel's. Arakel makes mistakes during reproduction of the facts taken place in Kakheti Kingdom. He accuses Giorgi Saakadze that he had advised Shah-Abbas I to take the field to Georgia in winter that was later shared by the Georgian historians. This way (taking the field in winter) was used by the other conquerors as well (e. g. Timur Leng, taking field of 1399), so Shah-Abass in fact would have known this. Hence we think that Shah did not require Saakadze's advice on this issue. Inaccuracies occurred in Arakel of Tabriz's „Book of histories“ shall be explained for several reasons: a) his primary source, that is „messengers“ themselves were poor knowers of this affair; b) it is easily possible that these „messengers“ hardly were eyewitnesses, contemporaries of the mentioned events that has great importance for reliability of the historian work that in due time academician Iv. Javakhishvili was noting.

იპერიის მეფის წინადადებების განხილვა მაღრიდის სამეფო კარზე (სახელმწიფო საბჭოს დოკუმენტების მიხედვით)

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში XVII საუკუნის I ნახევარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით გამოირჩევა. ძნელბედობის ჟამს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ყურადღება დასაგლეთ ევროპას მიაპყრო, სადაც საგანგებო პოლიტიკური მისიით აღჭურვილი ქართული ელჩობა გააგზავნა ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დესპანის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი) ხელმძღვანელობით. აღნიშნული ელჩობა ქართული დიპლომატიის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენათა რიგს განეკუთვნება და ჩვენი ქვეყნის წარსულის განსაცდელით აღსავსე პერიოდს უკავშირდება. თეიმურაზ I-ს სურდა დასაგლეთ ევროპაში ძლიერი მოკავშირე ჰყოლოდა ესპანეთის მეფე ფელიპ IV-ის სახით, თუნდაც მის მიმართ ვასალური დამოკიდებულების აღიარების ფასად. ქართველი დესპანის მიერ შეთავაზებული წინადადება ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ ორმხრივ დაინტერესებას ითვალისწინებდა იმ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, რომელსაც სპარსეთის ასალაგმაგად თეიმურაზ I ესპანეთისაგან მოელოდა. ამ მიზნით იგი ფელიპ IV-ს თავის ქმედით მოკავშირეობას სთავაზობდა საერთო მტრის წინააღმდეგ აზიის იმ რეგიონში, სადაც ამ ორი ქრისტიანული ქვეყნის საბრძოლო თანამეგობრობის განხორციელება სავსებით რეალური ჩანდა.

სტატიაში შევისწავლეთ ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდის საისტორიო არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან საქართველო-ესპანეთის XV-XVII საუკუნეებში არსებულ რელიგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებზე¹. ამ დოკუმენტების სახით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის წყაროები, რომლებიც საქართველო-დასაგლეთ ევროპის ურთიერთობების ისტორიის მთელი რიგი აქამდე უცნობი მოვლენებისა და ფაქტების აღდგენის საშუალებას გვაძლევს. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამავე დროს შეგვეცადეთ უკვე ცნობილი წყაროების დაზუსტებას და მათ ახლებურად გაგებას. აღნიშნული წყაროები კიდევ უფრო უტყუარს ხდის იმ ფაქტს, რომ საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან იყო არა შემთხვევითი, არამედ კანონზომიერი. იგი ხორციელდებოდა იმდროინდელი საერთაშორისო, რელიგიური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

პროფესორები გ. ჟორდანია და ზ. გამეზარდაშვილი ფიქრობენ, რომ თეიმურაზის წერილი მიწერილია არა უშუალოდ ესპანეთის მეფისადმი, არამედ ქართველი ელჩისადმი. მკვლევართა აზრით, ნ. ირბახს ევალებოდა ამ წერილის მიხედვით ჩამოეყალიბებინა შექმნილი ვითარება და, თავისი მეფის სახელით, თავადვე დაეწერა ესპანეთის მონარქისათვის გადასაცემი წერილი². ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მოვიხმობთ სათანადო არგუმენტებს: თეიმურაზის წერილი მიმართულია უშუალოდ ესპანეთის მონარქისადმი და არა ნ. ირბახისადმი. წერილის ადრესატია ფელიპ IV, რასაც მისი საპროტოკოლო ფორმულა გვიდასტურებს. ასევე, მესამე პირში იყო დაწერილი რომის პაპისადმი გაგზავნილი თეიმურაზის წერილი, რომლის ლათინურ და იტალიურ ენებზე შესრულებულ თარგმანში პაპი უკვე მოხსენიებულია მეორე პირში. ვფიქრობთ, ცდებიან პროფესორები გ. ჟორდანია და ზ. გამეზარდაშვილი, როცა ამტკიცებენ, რომ ეს წერილები იყო, უპირველეს ყოვლისა, ელჩისადმი განკუთვნილი ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც მას უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება. მათი აზრით, ეს წერილები უნდა ყოფილიყო ის სანიმუშო ფორმა, რომლის მიხედვითაც ნიკიფორე ირბახს უცხოურ ენებზე უნდა შეედგინა წერილები, რაც მან კიდევაც შეასრულა მაღრიდსა და რომში

¹Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archivos espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993.

²Г. Жордания, З. Гамезардашвили. Римско-католическая миссия и Грузия. г. I. Тбилиси, 1994, стр. 52.

თარჯიმანთა მეშვეობით (მადრიდში ბერძენ კონსტანტინე სოფიას, რომში კი ბერძენ კარიოფილეს დახმარებით)³.

თეიმურაზს დიპლომატიური მოლაპარაკების მთავარ მიზნად ქართლ-კახეთის სამეფოს დიპლომატიური საგარეო იზოლაციიდან გამოყვანა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან (უმთავრესად ესპანეთთან და რომის პაპთან) დაახლოება მიაჩნდა. სწორედ ესპანეთის მეფესა და რომის პაპს უნდა შეეყვანათ თეიმურაზი და მისი სამეფო დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოთა ერთობაში და განემტკიცებინათ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

1626 წლის 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე ესპანეთის მეფე ფელიპ IV-თან რეკომენდაციას უწევდა თეიმურაზის დიპლომატიურ მისიას და პირადად მის ელჩს – ნიკიფორე ირბახს. ამავე დროს, ეს წერილი იყო, ერთგვარი, რწმუნებათა სიგელი, რომელიც ფელიპ IV-ს ეგზავნებოდა პატრიარქის წარმომადგენლის, არქიდიაკონ ათანასეს ხელით. წერილში ხაზგასმული იყო ესპანეთის მონარქისა და ქართველი მეფის ერთი სარწმუნოებრივი ერთგულება, საგანგებოდ იყო აღნიშნული ის, თუ როგორ იყვნენ შეწუხებულები ქართველები ირანის შაჰისაგან. ნიკიფორეს თხოვნით, პატრიარქი წერილში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას ესპანეთის მონარქის მხრიდან ქართველებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობაზე.

მ. თამარაშვილი მიჩნევს, რომ მადრიდის მოლაპარაკებებს სავარაუდოდ ჰქონდა ანტიირანული ხასიათი. იგი წერს: „ნეაპოლიდან ქართველი ელჩი პირდაპირ გაემგზავრა მადრიდში, რათა წაექეზებინა ესპანეთის მეფე დაეწყო ომი სპარსელთა წინააღმდეგ. მართალია ნიკიფორე ამ მოლაპარაკებიდან კმაყოფილი დაბრუნდა, მაგრამ არ ჩანს რა დაპირება მიიღო მან. ნათელია, რომ სპარსეთის წინააღმდეგ ომი ასე ადვილი განსახორციელებელი არ იყო, რამეთუ ევროპის სახელმწიფოთა მონარქები მეგობრულად იყვნენ სპარსეთის მიმართ განწყობილნი, რადგან ეს უკანასკნელი ევროპელებთან ერთად იბრძოდა ოსმანთა წინააღმდეგ“⁴. სიმანკას არქივში აღმოჩენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ესპანეთის მეფეს ქართველთა ელჩმა წარუდგინა ანტიირანული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის პროექტი. ამის საფუძველზე შეიძლება მსჯელობა, თუ როგორ წარმართა ქართველთა ელჩმა ესპანეთის მეფის მრჩეველებთან საუბარი. 1. ნიკიფორე ესპანურ მხარესთან საუბრისას არაერთგზის აღნიშნავს თავისი მისიის საიდუმლო ხასიათს. თან აცხადებს, რომ მისი მისია „დრმა საიდუმლოებით უნდა ინახებოდეს, რამეთუ ეს ეხება მრავალი ქრისტიანის ყოფნა-არყოფნის საკითხს“. 2. ირბახმა ესპანელ მრჩეველებს მოახსენა თავისი პერსონის შესახებ, აუწყა, რომ იგი არის ნიკიფორე ირუბახისძე (ირბახი), ქართველი, წმ. ბასილის ორდენის ბერი, საიდუმლო დავალებით წარგზავნილი ქართველთა მეფის თეიმურაზის მიერ, რომლის ერთგულ მსახურსაც იგი წარმოადგენს. 3. სიტყვაში, ელჩი დაწვრილებით შეეხო თავისი ქვეყნის მდგომარეობას და თავისი მეფის პიროვნებას. ელჩმა აღნიშნა, რომ თეიმურაზ მეფე ფლობდა „ექვს სამეფოს“, დასახლებულს „უძველესი მეომარი ხალხით“ ქართველებით, რომლებიც გარშემორტყმულნი არიან მტრული ხალხების – სპარსელთა და თურქთა სახელმწიფოებით. 4. ირბახმა მოხსენებაში შემდგენაირად დაახასიათა თავისი მეფე: თეიმურაზ მეფე – კათოლიკე ქრისტიანი, ბიბლიური მეფე და ვითის შთამომავალი, უძველესი სამეფო გვარის წარმომადგენელია. ელჩმა მეფე თეიმურაზი მოიხსენია შესანიშნავ მხედართმთავრად, რომელმაც არც თუ დიდი ხნის წინათ (ივულისხმება 1625 წელი) ირანის შაჰს წაართვა (დაიბრუნა) „სამი სამეფო“ და ერთი წლის მანძილზე სამჯერ დაამარცხა. ასევე ოსმალებს წაართვა მათ მიერ უზურპირებული სამეფო. 5. მათთან საუბარში ელჩმა განაცხადა, რომ იგი, როგორც თავისი მფარველის თეიმურაზის ელჩი სთავაზობს ესპანეთის მეფე შეკრას მათთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, და ახსნა, თუ რატომ სურს თეიმურაზს სწორედ ესპანეთთან და მის მეფესთან კავშირი, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან მსგავსი მოლაპარაკების დაწყებამდე. ნიკიფორეს განაცხადის თანახმად, თეიმურაზ I მოხიბლა კათოლიკე მეფის სიძლიერემ, რომელიც წარმოადგენს წმინდა კათოლიკური სარწმუნოების ერთადერთ საყრდენსა და მფარველს და ასევე, იმ გარემოებამაც, რომ ესპანეთის მონარქს და ქართველთა მეფეს საერთო მტრები ჰყავთ, უპირველეს ყოვლისა, ირანის შაჰის სახით. 6. ქართველთა ელჩი ცდილობდა ესპანეთის მეფის მრჩეველები დაერწმუნებინა იმაში, რომ ესპანეთის მეფისთვის სავსებით ხელსაყრელი იქნებოდა ქართველთა მეფესთან კავშირი. ამის დასადასტურებლად ელჩს მოჰყავდა სამი არგუმენტი. თეიმურაზი იქნებოდა კათოლიკე მეფის ღირსეული მოკავშირე და პარტნიორი საერთო მტრების, უპირველეს ყოვლისა,

³Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 52.

⁴მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902, გვ. 92.

სპარსეთის მეფის (ირანის შაჰი) წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ უკანასკნელს ნიკიფორე უდიდეს ტირანად და თავისი კათოლიკური რწმენის და ქრისტეს სახელის დაუძინებელ მტრად მოიხსენიებდა. ნიკიფორე თავისი ხელმწიფის სამხედრო ძალებს გაზვიადებულად წარმოადგენდა და აღნიშნავდა, რომ თეიმურაზს მზადყოფნაში ჰყავს ასიათასიანი ლაშქარი და ჩამოთვლიდა თუ რა გამარჯვებებს მიაღწივს მათ შაჰზე. ამასთან ერთად, ნიკიფორე აღნიშნავდა, თუ რა წარმატებები შეიძლება მოეცანა ესპანეთის მეფის თეიმურაზთან ერთად ბრძოლას შაჰის წინააღმდეგ. თეიმურაზისგან შევიწროებული შაჰი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაამარცხა ქართველთა მეფემ, ვერ მოახერხებდა ორმუხში მებრძოლი თავისი ხალხის დახმარებას ესპანეთის მეფის წინააღმდეგ⁵.

ნიკიფორე ასევე ცდილობდა დაერწმუნებინა ესპანეთის მრჩევლები იმაში, რომ კათოლიკე მეფისათვის მომგებიანი იქნებოდა თეიმურაზ მეფესთან კავშირი ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რამეთუ თეიმურაზის განკარგულებაში იყო უხვი და მდიდარი პროვინციები და მიწები, სადაც არის ოქროსა და ვერცხლის საბადოები, რომელთა დამუშავება საომარი ვითარების გამო არ ხერხდებოდა. მაგრამ, როცა საერთო მტერს დაამარცხებენ (იგულისხმება ირანის შაჰი) და აღდგება კავშირი და ვაჭრობა, ესპანეთის მეფე საქართველოსთან ურთიერთობის დამყარებით მიიღებს დიდ სარგებელს. 7. ესპანეთის მეფის მრჩევლებთან ქართველმა ელჩმა ჩამოაყალიბა ის ამოცანები, რომლებიც ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიზნებს წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა უნდა დაემარცხებინათ ირანის შაჰი და გაეთავისუფლებინათ ირანთა უღლისაგან შაჰის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ხალხები. 8. როგორი ხასიათი უნდა ჰქონოდა ამ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს? ირკვევა, რომ ეს კავშირი ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის მეფის ესპანელ მონარქზე ვასალურ დამოკიდებულებას. თეიმურაზი ვარაუდობდა, რომ ესპანეთის მეფე, რომელსაც იგი მიიჩნევდა თავის მბრძანებლად მას სათანადოდ დაეხმარებოდა. თეიმურაზი უპირველეს ყოვლისა მისგან ითხოვდა სამარადჟამო მშვიდობას, მეგობრობას, კავშირს, ურთიერთობის დამყარებას. მის უდიდებულესობას იგი სთავაზობს თავის სამეფოებს, იარაღს, ავლადიდებას, მთელ თავის ძალას მისი უდიდებულესობის ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი სპარსელთა წინააღმდეგ... 9. ქართველი ელჩი მიმართავდა თხოვნით ესპანეთის მეფეს, რომ მის უდიდებულესობას უმოკლეს ვადაში შეეცყობინებინა მისთვის პასუხი სამეფო წერილებზე, რომლებიც მის უდიდებულესობას წარუდგინა, აგრეთვე მის მიერ აღძრულ წინადადებებზე, ისევე როგორც ესპანეთიდან მისი გამგზავრების შესაძლებლობის თაობაზე, რათა მას მოეხერხებინა ესპანეთიდან გამგზავრება თავისი მისიის განსახორციელებლად⁶. ესპანეთის მეფის მრჩევლებთან ქართველი ელჩის საუბრიდან ნათელი ხდება, რომ ნიკიფორემ ესპანეთის მეფეს შესთავაზა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა, რომელშიც თეიმურაზს უმცროსი პარტნიორის როლი ენიჭებოდა. ქართველი მეფე ფელიპ IV-ს თავის სიუხერენად მიიჩნევდა და პირობას აძლევდა, რომ მისი ერთგული ვასალი იქნებოდა ნებისმიერი მტრის, განსაკუთრებით ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნიკიფორეს თხოვნა – ესპანეთს ომი გამოეცხადებინა სპარსეთთან, ძნელი განსახორციელებელი იყო, რამეთუ, იმ დროისათვის ესპანელი მონარქები უფრო მეგობრულად იყვნენ სპარსეთთან, რადგან ეს უკანასკნელი სხვა ევროპელებთან ერთად იბრძოდა ოსმანთა წინააღმდეგ⁷. ესპანეთისათვის მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა არა ირანი, არამედ ოსმანთა იმპერია.

ევროპაში მიმდინარე „ოცდაათწლიანი ომის“ გამო (რომელშიც ესპანეთიც აღმოჩნდა ჩაბმული) ესპანეთი დაინტერესებული იყო მეგობრული ურთიერთობა დამყარებინა ირანთან და იგი ოსმანთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ წაექეზებინა. თუ ესპანეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა ანტიირანული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაშინ ქართული ელჩობა იმედოვნებდა, რომ სათანადოდ ექნებოდა სხვა პროექტი – ანტიოსმალური სამხედრო-პოლიტიკური კავშირის სახით. ჯ. ვათეიშვილი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ირბახი მადრიდში ელჩობისას იძულებული გამხდარიყო შეეცვალა თავისი გეგმები ესპანეთის ხელისუფალთა პოლიტიკის გათვალისწინებით⁸. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნ. ირბახის დიპლომატიური მისიის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა შემდეგში: საგარეო პოლიტიკური იზოლაციისაგან ესხნათ თეიმურაზის სამეფო და მოექცნათ ძლიერი მოკავშირე; თუ რომელ სახელმწიფოსთან კავშირის მეშვეობით განხორციელდებოდა ეს ამოცანა, მას უკვე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამავე დროს,

⁵Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archivos espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 432-433.

⁶ჯ. ვათეიშვილი. ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე – გაზეთი „კომუნისტი“, №175.

⁷მისიელ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი, 1902, გვ. 93.

⁸ჯ. ვათეიშვილი. ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე – გაზეთი „კომუნისტი“, №175.

ქართველი ელჩი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელი იყო ქართულ-ესპანური სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა. სწორედ ამიტომ ამ პროექტის ირგვლივ ესპანეთის სამეფო საბჭოში გაიმართა საკმაოდ სერიოზული და ხანგრძლივი მსჯელობა. სავარაუდოდ, ესპანურ ენაზე თარგმნისას იქნა შეტანილი გარკვეული კორექტივები თეიმურაზისა და იერუსალიმის პატრიარქის წერილების ორიგინალებში.

თეიმურაზ მეფის „სურვილები და მოსაზრებანი“ ესპანეთის ხელისუფლების ინტერესებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი, რის შემდეგაც მეფის ბრძანებით, თეიმურაზ მეფის წერილის თარგმანი და ნიკიფორეს მიერ წარდგენილი სხვა წერილებიც, გადაეცა სახელმწიფო საბჭოს. წარდგენილი მასალები საბჭომ 1627 წლის 29 ივლისს გულდასმით განიხილა და მისი თითოეული წევრის მოსაზრება მეფეს წარუდგინა. მოხსენებითი ბარათის მიხედვით, საბჭოს წევრების წინადადებები და მოთხოვნები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მეფეს რეკომენდაციას აძლევენ განსახილველად მიიღოს საქართველოს მეფის წინადადება (დონ ავგუსტინ მესია, ჰერცოგი დე ფერია).

2. საბჭოს სამი წევრისაგან შემდგარმა კომისიამ მოუსმინოს ნიკიფორე ირბახს (დონ ავგუსტინ მესია, გრაფი დე მონტერეი, გრაფი დე ჩინჩო).

3. აუცილებელი იყო ქართველ მეფეს ჯერ პაპისათვის შემდეგ კი ესპანეთის მეფისათვის მიემართა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პაპის აზრს (დონ ავგუსტინ მესია, მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, სულიერი მამა).

4. იბერიის მეფეს გაეგზავნოს ესპანეთის მეფის წერილი, რომელშიც აისახება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (დონ ავგუსტინ მესია).

5. იბერიის მეფეს უპასუხონ დამაკმაყოფილებელი დაპირებებით (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, დონ ხუან დე ვილიელა).

6. არის თუ არა ნიკიფორე ირბახი იბერიის მეფის ელჩი? ამის გარკვევა დაევალოს ესპანეთის ელჩს რომში გრაფ დე ონიატეს ან ნეაპოლის ვიცე მეფეს ჰერცოგ ალბას. ამ უკანასკნელს დაევადა, აგრეთვე, ინფორმაციის შეგროვება საქართველოზე (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, მარკიზი დე ლა ინოხოსა, გრაფი დე მონტერეი, სულიერი მამა, დონ ხუან დე ვილიელა, ჰერცოგი დე ფერია, გრაფი დე ჩინჩო).

7. ოსმალეთის წინააღმდეგ ომზე თავშეკავება, რამდენადაც ის ქვეყანა (საქართველო), რომელიც ომში დახმარებას ითხოვს არ არის კათოლიკური. ამდენად ომი სარგებელს არ მოუტანს კათოლიკურ ეკლესიას (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი).

8. იბერიის მეფისათვის დახმარება გამოიწვევს ოსმალეთის ყურადღების აღმოსაგვლეთით გადატანას, რაც სასარგებლო იქნება ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი გერმანიისათვის (მარკიზი დე ლა ინოხოსა).

9. იბერიაში გაიგზავნოს ერთი ან რამდენიმე კაცი, რომლებიც შეისწავლიან ქვეყნის მდგომარეობას და მის სამხედრო პოტენციალს (მარკიზ დე მონტესკლაროსი, გრაფი ჰერცოგი დე სან ლუკარი, მარკიზი დე ლა ინოხოსა, ჰერცოგი დე ფერია).

10. ესპანეთის ომმა, ოსმალეთის წინააღმდეგ შეიძლება გამოიწვიოს მუსლიმანური ქვეყნების ანტიესპანური კოალიციის შექმნა, რაც არასასურველია (დონ ფერნანდო ხირონი, გრაფი დე მონტერეი).

11. ელჩის დასახუქრება და სამგზავრო ფულით უზრუნველყოფა (მარკიზი დე ლა ინოხოსა, სულიერი მამა, გრაფი დე სეგორბე, გრაფი დე ჩინჩო)?

ანტიოსმალური ლაშქრობის გეგმა მოკლედ არის გადმოცემული თეიმურაზის წერილის ესპანურ თარგმანში, საკმაოდ დაწვრილებით კი რელაციაში, რომელიც საჯაროდ იქნა განხილული სამეფო მრჩეველთა მიერ⁹. ზოგიერთი მრჩეველი დადებითად გამოეხმაურა თეიმურაზის გეგმას და პირთვინებას (მარკიზი მონტესკლაროსი, ჰერცოგი დე სანლუკარი, მარკიზი დე ინოხოსა, ნეაპოლიტანის ვიცე-მეფე ჰერცოგი ალბა, გრაფი დე მონტერეი, ხუან დე ვილიელა, ავგუსტინ მესია, ფერნანდო ხირონი, ჰერცოგი დე ფერია...) თეიმურაზის წერილის განხილვისას წარმოიშვა სხვადასხვა შესჯელებები – ზოგი თვლიდა, რომ საშიში იყო ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ ომის წამოწყება,

⁹Luis Gil Fernandez, Ilija M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archivos espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 433-434; იხ.: **ელდარ მამისთვალიშვილი**. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. II ტომი. თბილისი, 2011, გვ. 243-244.

¹⁰Luis Gil Fernandez, Ilija M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archivos espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 434-449.

თუმცა ეს უკანასკნელი იყო ქრისტიანობის მტერი... ფერნანდო ხირონის აზრით, საჭირო იყო პატივისცემით მოპყიდებოდა ელჩის წინადადებას, მაგრამ არ ჩარეულიყო მოსალოდნელ ომში ოსმალთა წინააღმდეგ, ელჩისთვის კი შეეთავაზებინათ ფულადი დახმარება და სიტყვიერი შეთანხმებებით შემოფარგლულიყვნენ. გრაფი დე მონტერეი თვლიდა, რომ ამგვარი ერთობლივი ლაშქრობა ესპანეთის წინააღმდეგ გააერთიანებდა მთელ მუსლიმურ ძალებს. გამოითქვა ეჭვიც – არის თუ არა ირბახი ნამდვილად თეიმურაზ I-ის ელჩი, არის თუ არა სარწმუნო ირბახის მიერ ჩამოტანილი წერილები... გამოითქვა აზრი, სასურველი იყო იბერიის მეფეს ჯერ თავად მიემართა პაპისათვის და მხოლოდ პაპის სანქციის მიღების შემდეგ მიემართა ესპანეთის მეფისათვის. რომის პაპის კურთხევის გარეშე, კათოლიკე მეფეს არ უნდა მიეცა საქართველოს მეფის წინადადებაზე თანხმობა. ასევე, გამოითქვა ეჭვი, იბერიის მეფის სამხედრო ძალები რეალურია? საბჭოზე ითქვა, რომ იბერიის მეფე მაშინ უნდა ჩართულიყო ესპანეთის მეფესთან კავშირში, თუ ის გახდებოდა ჭეშმარიტი კათოლიკე. ითქვა ისიც, რომ იბერიის მეფეს უნდა მიეღო კათოლიკობა, ასევე, მიხნეულ იქნა, რომ იბერიის მეფეს არ შეეძლო კათოლიკური რწმენის მიღება თავის ქვეშევრდომებისგან თანხმობის გარეშე. ესპანელი მრჩეველი თითქოსდა ჭვრეტდა იმ ვითარებას, რომელიც გვიან განვითარდა ქართლ-კახეთის სამეფოში. მრჩეველები მოითხოვდნენ მოლაპარაკებებში ჩართულიყო ორი პიროვნება, ესპანეთის ელჩი პაპის კარზე გრაფი დე ონიატე და ნეაპოლიტანის ვიცე-მეფე ჰერცოგი ალბა. კარდინალი საპატა ელჩის მიერ ჩამოტანილი წერილების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა და მოითხოვდა ეს წერილები გადაეგზავნათ რომში – ონიატესა და ნეაპოლში – ალბასათვის, რათა მათ ამ წერილების სანდოობა განეხილათ და საქმის კურსში ყოფილიყვნენ. ასევე, ჰერცოგი დე სან ლუკარი მოითხოვდა ნ. ირბახის ელჩობის მთელი მასალები გადაეგზავნათ ალბასათვის, რათა მას დაედასტურებინა იყო თუ არა ირბახის ელჩობა სარწმუნო, ასევე, დაედგინა რომელი სარწმუნოების მიმდევარი იყო იბერიის მეფე. თუ ეს ყველაფერი სანდო იქნებოდა, მაშინ თავად ალბას ამ დახმარების საკითხიც უნდა გადაეწყვიტა. ალბას უნდა გაეყოლებინა ქართველი ელჩისათვის იბერიაში ორი მისიონერი, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ რა ძალების მფლობელი იყო იბერიის მეფე. მადრიდიდან საქართველოში ირბახთან ერთად უნდა წასულიყო კომისია 2-3 სამეფო მრჩეველის მონაწილეობით, რომელთაც უნდა შეესწავლათ თეიმურაზის სამეფოში არსებული მდგომარეობა და ქართლ-კახეთის სამეფოს შესაძლებლობები. ამ მრჩეველების მიერ მოკვლეული მასალები უნდა გაგზავნილიყო ჰერცოგ ალბასთან, რომელიც დაადგენდა რა სამხედრო ძალებს ფლობდა იბერიის მეფე და რამდენად სანდო იყო ირბახის ელჩობა. მეფის მრჩეველები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის მთავარი იყო რომის კათოლიკური ეკლესიის ინტერესების და რწმენის დაცვა. ქართველი მეფის ელჩის წინადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ ამ წინადადებების განხილვა მომგებიანი იქნებოდა ეკლესიისათვის. რა მოთხოვნები უნდა შეესრულებინა ქართულ მხარეს: 1. იბერიის მეფეს უნდა ჰქონოდა დიდი სამხედრო ძალები, რომლებიც შეძლებდნენ დასახული გეგმის განხორციელებას; 2. იმისათვის, რომ გამხდარიყო კათოლიკე მეფის მოკავშირე, იბერიის მეფეს უნდა მიეღო რომის კათოლიკური სარწმუნოება. თუ ეს ორი მოთხოვნა განხორციელდებოდა, ჰერცოგი დე ფერია შესაძლებლად თვლიდა ესპანეთს მონაწილეობა მიეღო ანტიოსმალურ ლაშქრობაში. პირველი განხილვა შედგა 29 ივლისს, მეორე – 20 სექტემბერს (1627 წ.). განხილვას ესწრებოდა ქართველი ელჩი, რომელიც პასუხობდა მეფის მრჩეველების კითხვებზე. სხდომის შემდეგ მეფეს წარედგინა მრჩეველთა მოხსენებითი ბარათი¹¹. ქართველ ელჩთან ერთად უნდა გაგზავნილიყო ხუან ვინსენსიო დე სან ფელიჩე, გრაფი დე ბანილი, მათთან ერთად უნდა გაგზავნილიყო ორი იტალიელი თეატინელი მისიონერი. ელჩს დაუსვეს კითხვები: 1. რამდენად შეეძლო იბერიის მეფეს გამოეყვანა მეომრები ოსმალთა წინააღმდეგ; 2. თუ დატოვებდნენ მეომართა ნაწილს სპარსელებისაგან ქვეყნის დასაცავად; 3. როგორ უცხადებდა მორჩილებას იბერიის მეფე პაპს, მიჰქონდა თუ არა ირბახს პაპთან თეიმურაზ I-ის წერილი; 4. რა ხასიათის დამოკიდებულება ექნებოდა იბერიის მეფეს ესპანეთის მეფისადმი; 5. მზად იყო თუ არა ელჩი თავისი მისიის გასაგრძელებლად გამგზავრებულიყო ნეაპოლში.

ირბახმა უპასუხა ესპანეთის მეფის მრჩეველთა კითხვებს, მოხერხებულად შეეცადა გვერდი აეგლო ზოგიერთი კითხვისაგან, მან კარგად წარმოაჩინა გამოცდილი დიპლომატიისათვის დამახასიათებელი ტაქტიანობა¹². ირბახი შეეცადა დაერწმუნებინა თავისი მოსაუბრენი იმაში, რომ თეიმურაზზე არანაკლებ, თავად ირანის შაჰი იქნებოდა დაინტერესებული თავისი საუკუნოვანი,

¹¹Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 447-449.

¹²Luis Gil Fernandez, Iliá M. Tabagu. Fuetes para La Istoria de Georgia. En Bibliotecas y archives espanoles (iglos XV-XVII). Madrid, 1993, pp. 448.

მთავარი მოწინააღმდეგის, ოსმალთა იმპერიის დამარცხებით და სირიის წართმევით, რომელიც იმხანად ოსმალთა ხელში იმყოფებოდა. კათოლიკე მეფის მრჩევლებს უნდა მოსწონებოდათ ქართლ-კახეთის მეფის ვასალური დამოკიდებულების სამომავლო პერსპექტივა. რაც შეეხება თეიმურაზის სარწმუნოების საკითხს. ნიკიფორემ არც თანხმობა განაცხადა და არც უარი (იცოდა რა, რომ ეს შეუძლებელი იყო), მან თავი აარიდა ზუსტ პასუხს, თუმცა აგრძნობინა მრჩევლებს, რომ უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებას არ აპირებდნენ. რომში ნიკიფორე შეეცდებოდა დაერწმუნებინა პაპი და კარდინალები, რომ მიეჩნიათ თეიმურაზი „მორწმუნე კათოლიკე ხელმწიფედ. პაპის დადებითი გადაწყვეტილება საკმარისი იქნებოდა, რომ მომხდარიყო ესპანურ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება. მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო: იბერიის მეფის ელჩი აღმოჩნდა ჭკვიანი ადამიანი და მან გასცა გონივრული პასუხები დასმულ კითხვებზე. ამიტომ მიგვანინია, რომ იგი უნდა აღჭურვილ იყოს ყოველგვარი პატივით¹³. ქართველთა ელჩმა თავისი გონივრული მოქმედებით გაფანტა ყველა ეჭვი. ესპანეთის მმართველმა წრეებმა მომგებიანად მიიჩნიეს როგორც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმა, ასევე ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებაც, მაგრამ ამ მოსაზრებებმა ასახვა არ პოვეს იმ დოკუმენტებში, რომლებიც იქნა გამოქვეყნებული.

დასავლეთ ევროპის უძლიერესი კათოლიკური სახელმწიფოები რომის პაპის მეთაურობით ოსმალეთთან მომავალ დაპირისპირებაში სპარსეთს თავიანთ პოტენციურ მოკავშირედ განიხილავდნენ და, ცხადია, ახლო აღმოსავლეთში თავიანთ ამ გლობალურ პოლიტიკას საქართველოს ინტერესებს ვერ დაუქვემდებარებდნენ. ასეთ ვითარებაში, ქართველი ელჩი იძულებული ხდებოდა აპყობოდა დასავლური პოლიტიკური სამყაროს ლიდერებს და მხარი აეხა მომავალი ერთობლივი გადაწყვეტების გეგმისთვის (რაც მისთვისაც იყო მისაღები) ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოსთვის იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში სპარსეთთან შედარებით ნაკლებ საშიში იყო.

მიგვანინია, რომ: წარმოდგენილ ნაშრომში მთელი რიგი დოკუმენტური მასალის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დადგენილი და ახლებურად გაშუქებულია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობების საკითხები, გამოთქმულია მთელი რიგი მოსაზრებები:

- ნ. ირბახის რომში ჩასვლა შესაძლებელია დაგეგმილი თავად იყო მადრიდის სამეფო კარზე; ესპანეთის მონარქი ფელიპ IV ურბან VIII-სთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებას სწორედ ქართველი ელჩის მეშვეობით ფიქრობდა, რამეთუ, ირბახის მშობლიური ქვეყნის სახით, კათოლიკურ ეკლესიას უფრო მჭიდროდ დააკავშირებდა რომის პაპის მიერ საქართველოში ახლად გაგზავნილ თეატინელთა მისიასთან.

- ნიკიფორე ირბახის ევროპული მისია საქართველოს დასავლური ორიენტაციის პრაქტიკული გამოვლინების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო. სამწუხაროდ, თავის პრობლემაში ჩაფლულმა ევროპამ საქართველოსათვის ვერ მოიცალა და მეფე თეიმურაზ I იძულებული გახდა ქვეყნის გადარჩენის სხვა გზები ეძებნა.

- 1625-1628 წლების ქართული ელჩობა ღრმად გააზრებული, საფუძვლიანად მომზადებული პოლიტიკური ღონისძიება იყო. ჩვენს მიერ შესწავლილი საარქივო საბუთებიდან კარგად ჩანს ირბახის დიპლომატიური მისიის ძირითადი მონახაზი. საბუთების შინაარსის გაცნობა-შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, როგორი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქართული ელჩობის პოლიტიკური დედააზრი. იგი არ უნდა განვიხილოთ, როგორც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქრისტიანი მეფის თხოვნა-მუდარა შეველა-დახსნის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, ქართველი ელჩი შეეცდებოდა სხვა, უფრო ახლოს მდებარე, არანაკლებ ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან დაკავშირებას. მაგრამ მას თავისი ხელისუფალისაგან საგანგებოდ ჰქონდა დავალებული სწორედ ესპანეთთან ეწარმოებინა მოლაპარაკება და სპარსეთთან უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობით გამოწვეული ქვეყნის პოლიტიკური სიდუხჭირე უშუალოდ დაეკავშირებინა პორტუგალია-სპარსეთის კონფლიქტურ სიტუაციასთან ორმუხის სრუტის რეგიონში.

- ესპანეთ-საქართველოს ანტიოსმალური გეგმების შესწავლა-გაანალიზებამ გვინვენა, რომ დასავლეთში – ესპანეთი, ხოლო აღმოსავლეთში – საქართველო ყველაზე ნათლად ხელაგდნენ და სწორად აფასებდნენ ოსმალურ საფრთხეს ქრისტიანობისათვის;

- ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის წარმომადგენლის ნიკიფორე ირბახის მადრიდში ელჩობა (1626-1627 წლებში) ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ესპანეთის სამეფო კარს ანტიოსმალური პრობლემის გადაწყვეტაში ყველაზე საიმედო მოკავშირედ საქართველო მიაჩნდა;

¹³ილია ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტომი მეორე. თბილისი, 1986, 168.

- ესპანეთი, როგორც XVI-XVII საუკუნეების საერთაშორისო წესრიგის წარმომადგენელი კათოლიკური სახელმწიფო, აღმოსავლეთში სწორედ საქართველოს მიიჩნევდა ძირითად რელიგიურ საყრდენად მსოფლიო კათოლიკური სამყაროს შექმნაში;
- დასავლეთში - ესპანეთი, აღმოსავლეთში - საქართველო ყველაზე ნათლად და სწორად ხელადა ოსმალურ საფრთხეს ქრისტიანებისათვის. ალბათ, ამაში ესპანეთის მხრიდან დიდ როლს ასრულებდა რეკონკისტას გავლილი გზის ისტორიული მგრძობელობა და ქართველთა სიმტკიცე ქრისტიანობის დაცვის საქმეში.
- ქართულ-ესპანურ გლობალურ გეგმებში ვგულისხმობთ ანტიოსმალურ საფრთხეს, ხოლო კონკრეტულში - რელიგიურ უნიას. ასევე, ყოველივე ამის გაანალიზებით უნდა გამოვლინდეს ამ ორ ქვეყანას შორის რეალ-პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.
- მიგვაჩნია, რომ მთელი რიგი საკითხის გარკვევა-შესწავლამ საშუალება მოგვცა ნათლად დაგვეჩინა, თუ რა პრინციპები ედო საფუძვლად საქართველოს ევროპული პოლიტიკის პრევალირებას ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაზე მოკავშირის ძიებაში.
- მადრიდის სამეფო კარს უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში ყველაზე საიმედო მოკავშირედ საქართველო მიაჩნდა. საგარეო პოლიტიკური ინტერესების თანხვედრამ საქართველო და ესპანეთი თანამოაზრე ქვეყნებად აქცია და განაპირობა ერთად დაპირისპირებოდნენ ოსმალურ აგრესიას და შეექმნათ საერთო სამხედრო პოლიტიკური კოალიცია.
- ჩვენი კვლევის შედეგად, გამოვლინდა საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის წარსული ისტორიული პერსპექტივები, რომლებმაც ახლებურად დაგვანახეს თანამედროვე საქართველოს მისწრაფებები ევროპულ ოჯახში გაერთიანებისაკენ.
- ქალაქ სიმანკას გენერალურ საისტორიო არქივში დაცული და ჩვენს მიერ შესწავლილი მასალა, ერთი მხრივ, ადასტურებს სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტში მოხსენიებული ცნობებისა და ფაქტების უტყუარობას, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს მოვლენათა მსვლელობის ცალკეულ დეტალებს. ხსენებული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ დიდ მხარდაჭერაზე, რომელსაც იმხანად საქართველოს მიმართ იჩენდნენ რომის პაპი და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნები.

Mariam Gabunia

King of Iberia's proposals discussion at Madrid royal court (According to the documents of the State Council)

Summary

The ambassadors sent by Teimuraz I and led by Nikipore Irbakhi (Nikoloz Cholokashvili) are being in the center of researchers' attention for a long time. Nearly every researcher declares that the aim of these ambassadors was the creation of anti-Ottoman coalition. To our mind, this fact contradicts historical sources and even there is no logical reality. The king Teimuraz aimed to find anti Iranian and anti anti-Ottoman force in Europe (this interest drove him to Spain royalty. Teimuraz and his partners supposed that Spain had anti Iranian course but later they found out that the opposition was not strong enough to create anti Iranian coalition. That's why Nikipore Irbakhi and Spanish guards instead of creating anti Iranian coalition worked out the plan of anti-Ottoman coalition). Diplomatic relation between Kartl-Kakheti and Spain did not continue any more.

მეფე ერეკლეს ბარდაცვალება და დაკრძალვა

აღა მაჰმად ხანმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სამეფოს, თუმცა სახელმწიფოებრიობის მოსპობა მტერმა მაინც ვერ შეძლო. ქვეყანა ისევ ფეხზე იდგა. დაიწყო მიწასთან გასწორებული თბილისის აღდგენა. ქართველებმა განჯაც დალაშქრეს და თბილისიდან აღა მაჰმად ხანის მიერ წაყვანილი ტყვეების დიდი ნაწილი უკან დააბრუნეს. მთლიანობაში ქართლ-კახეთის სამეფო მაინც უმძიმეს მდგომარეობაში რჩებოდა. ბოლო არ უჩანდა ლეკთა შემოსევებს. აღა მაჰმად ხანი თბილისზე ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა. ყოველივე ამას თან ერთვოდა ერეკლე II-ის ავადმყოფობა. თუ სულ ორიოდე წლის წინ მეფე ცხენს უზანგში ფეხის გაუყრელად შეაფრინდებოდა, ახლა სისუსტე შეეპარა, უნაგირზე ჯდომა უჭირდა. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ 1797 წლის ზაფხულზე, განჯიდან თბილისსა და მის შემოგარენში შავი ჭირი გავრცელდა¹. ეპიდემიამ იფეთქა და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა „მომსვრელმა სენმა“. თბილისში განჩერება საშიში იყო, ხალხი ქალაქიდან გადიოდა და საიმედო ადგილებს აფარებდა თავს². ერეკლე II თელავიდან მართავდა სამეფოს და თბილისში მყოფ ტახტის მემკვიდრეს, გიორგის დავალებებს აძლევდა. მეფე ყველაფრის კურსში იყო, რაც კი ქვეყანაში ხდებოდა.

1797 წლის შემოდგომიდან ერეკლე II-ის ჯანმრთელობა გაუარესდა. მეფეს ფეხები უსივდებოდა. ამბობდნენ წყალმანკი სჭირსო. „სენი მეფისა იყო წყლით მანკიერება“ – აღნიშნავს თეიმურაზ ბატონიშვილი³. ექიმის დახმარებით ლითონის პატარა ბასრი ხელსაწყოთი – ნეშტრით (რომელიც ასაცრელად და სისხლის გამოსაშვებად გამოიყენებოდა) მეფემ შესიებული წვივის მიდამო დაისერა და სითხე გამოუშვა. „ერთ ფეხზე ერთი ორი ნეშტრით ავიცერით და წყალი გვლის, ღვთის მოწყალებით კარგათა ვართ: მარცხენა წვივში გავიჭერით ნეშტრით ორგან და წყალი კარგად გამოდის“ – წერდა ერეკლე წერილში თავის ვაჟს ფარნაოზს⁴. მაგრამ, „წყლით მანკიერება“ ფართე ცნებაა და ამა თუ იმ ორგანოში სითხე სხვადასხვა დაავადების დროს, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება დაგროვდეს, ქვედა კიდურების შემუპება უფრო ხშირად გულის უკმარისობის ერთ-ერთი ნიშანია. ამ შემთხვევაშიც, ალბათ მაინც გულის უკმარისობა იყო ფეხების შესივების მიზეზი და შესიებული ადგილებიდან სითხის გამოშვება მეფის ზოგად ჯანმრთელობას არ გააუმჯობესებდა, თუმცა კი ტკივილებსა და ქვემო კიდურებში უსიამოვნო შეგრძნებას ოდნავ შეუმსუბუქებდა. ფეხების შესივებას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მოძრავ ცხოვრებას შენეული ერეკლე II, როგორც ჩანს, ფიზიკურ სისუსტეს ამჯერადაც არ ეპუებოდა და შეძლებისგარედა ბევრს მოძრაობდა. მძიმე ავადმყოფი, სიკვდილის წინა ხანებშიც კი მსახურების დახმარებით თავად გადიოდა გარეთ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს კი უფრო გააძლიერებდა ფეხების შემუპებას⁵. ექიმის რჩევით, ქათმის ბულიონი მიართვეს მეფეს, მაგრამ იუარა: ახლა მარხვანა, მე რომ მარხვა გავტეხო ხალხი რას იტყვის, თავად როგორ მოიქცევაო.

1798 წლის იანვრის დამდეგს მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. 5 იანვარს გულის მიდამოში უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, გონება დაკარგა, რამდენიმე საათი გაუნძრევლად იწვა, შემდეგ თვალები გაახილა, გონს მოვიდა, ახლობლებს გადახედა, ალბათ

¹საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა. თბილისი, 1980, გვ. 205.

²საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა. თბილისი, 1980, გვ. 205; თეიმურაზ ბატონიშვილი. დავით ბატონიშვილის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბილისი, 1972, გვ. 60.

³თეიმურაზ ბატონიშვილი. დავით ბატონიშვილის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბილისი, 1972, გვ. 60.

⁴საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა. თბილისი, 1980, გვ. 207.

⁵თეიმურაზ პეტრიაშვილი. აღსასრული და გაპატიოსნება პატარა კახისა.– ჟურნალი „ისტორიანი“, 2011, №7, გვ. 35-40.

ფიქრობდა ეს რა უდროო დროს გტოვებთ თქვენცა და მთელს ქვეყანასო. მეფემ მსახურები შემოიყენა გვერდით და სთხოვა გარეთ გაეყვანათ ბუნებრივი მოთხოვნილების გამო.

II იანვარს, გამთენიისას – ერეკლე „შემძიმდა ფრიად“, აღარ მოძრაობდა, თვალგახელილი ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს უხმოდ ღოცულობსო. მერე, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს და... „განთიად შუადამიდგან მეშვიდესა ჟამსა, გარდაიცვალა.“ „თვით მასვე საწოლსა შინა, რომელსაცა შინა იშვა სახელოვანი ესე მეფე, აღესრულა“. იმავე საწოლში დალია სული, რომელშიც დაბადებულა⁶. დარეჯან დედოფლის კივილმა შესძრა სამეფო დარბაზი. მას აჰყვნენ ოჯახის სხვა წევრები.

მეფის ცხედარი მართმადიდებლური წესით გააპატიოსნეს. ყველას აინტერესებდა და დღესაც აინტერესებთ რამდენი ჭრილობა ჰქონდა სხეულზე მეფეს. ერეკლეს დროინდელ წყაროებსა და ლიტერატურაში არსადაა აღნიშნული ერეკლეს ჭრილობების შესახებ. ზოგი ამბობდა ერეკლეს ტანზე ადგილი არ მოეძებებოდა, რომ ზედ ნაჭრილობები არ ჰქონოდაო. ზოგიც სიამაყით აღნიშნავდა – სინაუქის, სიმარჯვის, სიძლიერის, კარგი საომარი აღჭურვილობის წყალობით არც ერთი ჭრილობა არ ჰქონიაო. „თავისი სამხედრო მამაცობის, ხელჩართული ბრძოლის წესების სრულყოფილად დაუფლების და ბრძოლაში ხელითა და თვალით მანძილის არაჩვეულებრივი სისწრაფის გაზომვის წყალობით, იგი ისე ჩავიდა სამარეში, რომ არ მიუღია არცერთი ჭრილობა. და ეს იმ დროს, როდესაც არა მარტო ჭაბუკობის, არამედ მოხუცებულობის დროსაც იგი პირველი ეშვებოდა ბრძოლის ქარცეცხლში და უკანასკნელი სტოვებდა მას“ – აღნიშნავდა მ. ალექსიშვილი⁷. ასე რომ, რამდენი და რა სახის ჭრილობა ჰქონდა ერეკლე II – ეს მათ საიდუმლოდ დარჩა, ვინც მეფის ცხედარი გააპატიოსნა⁸.

მეფის ცხედარი ორმაგად შეკრულ ხის კუბოში ჩაასვენეს. ყინულები ჩაულაგეს. კუბო ძვირფასი ხალიჩებით და შავი ხავერდით მორთულ დიდ დარბაზში დადგეს.

ქვეყანაში დიდმა გლოვამ და უიმედობამ დაისადგურა.

დარეჯან დედოფლისა და კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის (ერეკლესა და დარეჯანის ვაჟი – ერისკაცობაში თეიმურაზი) დავალებით ცერმონიალის გეგმის შედგენა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს დავით ალექსის ძე მესხიშვილს დაევადა. მთელ ქვეყანაში აფრინეს შიკრიკები, რათა მოსახლეობისათვის მეფის გარდაცვალება ეუწყებინათ... და დიდძალი ხალხი დაიძრა თელავისკენ, სადაც ღამის გასათევი ადგილიც აღარ იყო. სახელდახელოდ გაშლილ კარვებში ათევენენ ღამეს სამძიმარზე მოსულნი.

ქართველებთან ერთად სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მცხოვრებნი, საკუთარი ადათ-წესების მიხედვით დასტიროდნენ თავიანთ მომავლის იმედს.

კუბო ოც დღეს სამეფო სასახლის დიდ დარბაზში იდგა, შემდეგ სასახლის ახლოს თავად ყორჩიბაშვილ-რუსიშვილების კუთვნილ ტაძარში გადაასვენეს და საკურთხეველის წინ ამბიონზე დადგეს.

ეზოში მეფის ნივთების გამოსაფენ საგანგებოდ მოწყობილ, უძვირფასესი ხალიჩებით მორთულ ადგილზე განალაგეს მეფის ტანსაცმელი, სამკაულები, საბრძოლო იარაღი, აბჯარი, უნაგირები, ჯილდოები, საქართველოს სამი დახრილი დროშა...

მიწაზე მსხდომ მეჯინებებს აღვირით ეჭირათ ძვირფასად შეკაზმული გამორჩეული ცხენები მეფისა, ირანული ჯიშის ორი ტაიჭი, ერთი - თეთრი, მეორე - მოწაბლისფრო-წითელი ფერის, რომელსაც შავი ფაფარი და შავი ძუა ჰქონდა. სწორედ ამ ცხენით ავიდა მეფე მთიულეთში კრწანისის მარცხის შემდეგ.

დარეჯან დედოფალი სტუმრების მისაღებად სასახლის დიდ დარბაზში გამოდიოდა და მისთვის საგანგებოდ მოწყობილ, ხალიჩებით მორთულ ადგილზე ჯდებოდა. გარშემო საპატიო სტუმრები იყვნენ. ორივე მხარეს ისხდნენ ასაკის მიხედვით განლაგებული ბატონიშვილები, შემდეგ სამღვდელთა და წარჩინებული თავადაზნაურობა ჩამწკრივებულიყო. თეთრი ტანსაცმლით მოსილი სეფეკალები ტირილითა და სახის ხოკვით ხვდებოდნენ სტუმრებს. სასახლის ოთახების კედლები

⁶თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბატონიშვილის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბილისი, 1972, გვ. 70.

⁷მ. ალექსიშვილი. რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობების საკითხებისათვის. თბილისი, 1956, გვ. 186.

⁸თეიმურაზ პეტრიაშვილი. აღსასრული და გაპატიოსნება პატარა კახისა.– ჟურნალი „ისტორიანი“, 2011, №7, გვ. 35-40.

შიგნიდან და გარედან შავ ნარმას დაეფარა. სამგლოვიარო დარბაზსა და სასახლის შესასვლელში მღვარ კარისკაცებს გადატეხილი კვერთხები ეჭირათ.

დარბაზში ქუდმოუხდელი არავინ შედიოდა, არც ფერ-უმარილი ჰქონდათ ქალებს წასმული.

სასახლის ეზოში მოთქმით შემოვიდა ზემო ქართლის ყოფილი სარდალი, 80 წელს გადაცილებული თავადი ციციშვილი, რომელიც მეფეს თითქმის ყველა ბრძოლაში ახლდა. იგი ერეკლეს უნაგირს გადაეხვია და მწარედ აქვითინდა. წრფელი გულით მისტიროდა ბატონსა და მეგობარს. ტირილითა და სახის ხოკით მიეგება მას დარეჯან დედოფალი⁹.

უამრავმა ადამიანმა დაიტირა მეფის ცხედარი, მაგრამ განსაკუთრებით შესძრა ჭირისუფალნი ქიხიყელი გლეხი ქვრივი ქალის მოთქმამ. მისი ნატირალი მთელ საქართველოს გადასწვდა და კიდევ ერთხელ დაუთუთქა გული მგლოვიარეთ.

სამეფო კარზე ყველაზე გამორჩეული და განსწავლული კაცის, სოლომონ ლიონიძის სამგლოვიარო სიტყვა ისტორიას შემორჩა, როგორც ნიმუში ქვეყნისათვის თავდადებული მეფის ღვაწლის ობიექტურად შეფასებისა¹⁰.

შემზარავი იყო არაგველთა ტირილი. მათ საქვეყნოდ ცნობილი ლექსით მიმართეს სათაყვანებელ მეფეს და მისი დაღუპვა საქართველოსთვის რკინის კარის ჩამოხსნას შეადარეს.

რუსეთიდან ჩამოვიდა ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟი - მირიანი, რომელიც, მამის სურვილისამებრ იქ ცხოვრობდა და გენერლის ჩინი ჰქონდა მიღებული. 14 წელი არ ენახა მირიანს დედ-მამა. ევროპაში განსწავლული ექიმი, გვარად გორთციური წამოიყვანა თან, მაგრამ მამას სამწუხაროდ ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო.

თელავისკენ მიმავალ გზაზე თითქმის 7 კილომეტრზე ორივე მხარეს იდგა მგლოვიარე ხალხი. მირიანი ცხენიდან დაქვეითდა და სასახლისკენ ფეხით გაემართა. უკან აღიუტანტი და მხლებლები მიჰყვებოდნენ.

ბატონიშვილი ბუნდოვნად ამჩნევდა, მის დანახვაზე, როგორ ეცემოდნენ მუხლებზე შავით მოსილი მგლოვიარე ქალები და კაცები, რომლებიც გამწარებით შესტიროდნენ:

- ვინდა გვიპატრონებს ობოლთ და გაჭირვებულთ...
- ვინ განდევნის შემოსეულ მტერს...
- ვინ გაარჩევს ჩვენს ტყუილსა და მართალს..
- ვინ გამოესარჩლება ღატაკთ და სნეულთ...
- დაგვარგეთ საქართველოს იმედი, დაიდუპა საქართველო...

სასახლის ეზოში მირიანი შეჩერდა, თვალცრემლიანმა გახედა სასახლეს, მერე მამის ცხენებთან მივიდა და მათ წინ მუხლზე დაიხოქა. ცხენები გულშემზარავად აჭიხინდნენ, ფლოქვების ცემით აამტვერეს მიწა.

მირიანი დარბაზში შევიდა და დარეჯანისკენ გაემართა. 14 წლის უნახავი დედა-შვილი მუხლებზე დაეცნენ, დაჩოქილნი გადაეხვივნენ ერთმანეთს და მწარედ ატირდნენ. ბოლოს მირიანი წამოდგა, დედა ანუგეშა და ბატონიშვილებთან მივიდა მისასამძიმრებლად¹¹.

„ერეკლეს სიკვდილი ისე აღინიშნა, როგორც ეროვნული უბედურება და მეფე თავადმა თუ გლეხმა თანაბრად დაიტირა“¹².

ამ დროს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქართლში შავი ჭირი მძვინვარებდა, რის გამოც, სამეფო ოჯახი რამდენიმე ათეულ დღეს ელოდა ეპიდემიის ჩაცხრომას, რათა დაკრძალვის ცერემონიალი წინასწარი გეგმით განსაზღვრული წესით ჩატარებულიყო თბილისშიც და მცხეთაშიც. მიუხედავად ზამთრის ცივი დღეებისა და კუბოში ყინულების ჩალაგებისა, იყო ცხედრის გახრწნის საშიშროებაც.

დრო აღარ ითმენდა, ეპიდემია არ კლებულობდა და ბოლოს ტახტის მემკვიდრე გიორგისთან შეთანხმებით გადაწყდა, მეფის ცხედარი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს პირდაპირ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაეკრძალათ.

ერეკლეს გამოსვენების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ყორჩიბაში—რუსიშვილების ეკლესიის გარშემო, რომელშიც მეფის კუბო იდგა. თელავში და თელავიდან გასასვლელ გზაზე ხალხის ტევა არ იყო.

⁹И. Бутков. Материалы для новой истории Кавказа. Часть II. САНКТПЕТЕРБУРГ, 1869, стр. 440-441.

¹⁰თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბატონიშვილის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბილისი, 1972, გვ. 73.

¹¹И. Бутков. Материалы для новой истории Кавказа. Часть II. САНКТПЕТЕРБУРГ, 1869, стр. 442-443.

¹²ვლადიმერ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი, 1978, გვ. 120.

პროცესის წინ ცხენოსანი და ქვეითი ჯარი განლაგდა ორი ზარბაზნითურთ. ორმოცდღიანი ტირილი, სამგლოვიარო წირვა-ლოცვა და გალობა დროებით შეწყდა. ზარბაზნების ბათქმა და თოფების სროლამ ხალხს აუწყა, რომ ერეკლეს ცხედარს უკვე მიასვენებდნენ მცხეთაში. ატყდა ზარების სულისშემძვრელი რეკვა.

პროცესია დაიძრა, სავარაუდოდ გომბორის გზით მიდიოდნენ. კუბო ხელით მიჰქონდათ. ერეკლეს კუბოს ხელით ტარება დიდი პატივი იყო ყველა ქართველისათვის. გზისპირა სოფლებში გამოფენილი ხალხი ხმამაღალი ტირილით უკანასკნელ გზაზე აცილებდა თავის მეფეს.

როგორც ჩანს, დაკრძალვა, დიდი პომპეზურობით კი იყო გათვალისწინებული, მაგრამ, შავი ჭირის ეპიდემიის გამო, როგორც ამას პლატონ იოსელიანი აღნიშნავს – „დღესასწაულებით“ ვერ მოხერხდა¹³. ასევე საეჭვოა, რომ დაკრძალვა წარიმართა ისე, როგორც ამას წინასწარ, დავით რექტორის მიერ შედგენილი ცერემონიალის გეგმა ითვალისწინებდა.

„ოცი ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლი მიაცილებდა ერეკლეს კუბოსო“, – წერს რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი, რომელიც დაკრძალვის თვითმხილველი არ იყო, ამდენად, იგი სხვა წყაროს ეყრდნობა.

ეს ამბავი, სიმართლეს არ უნდა შეესაბამოდეს და, როგორც ჩანს, ქართველთა დასამცირებლად მოგონილი. ამით პ. ბუტკოვი ქართველებს თავიანთი სამშობლოსა და მეფისადმი ორგულობაში სდებს ბრალს, თითქოს ქვეყანას ამცნობს: „აი, რა მოღალატე ხალხი არიან ქართველები, მეფემ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ორი ათასი კაციც კი ვერ შეაგროვა, მის კუბოს კი ოცი ათასი მეომარი მიჰყვებოდაო. სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა უჭირდა მეფეს და ქვეყანასო.“

იმ დღეს თელავში მართლაც შეიკრიბებოდა უამრავი ხალხი, ალბათ ოცი ათასზე მეტიც, მაგრამ ცნობილია, რომ მაშინ ქართლ-კახეთში, მით უმეტეს მარტო კახეთში, ამ რაოდენობის შეიარაღებულ მებრძოლთა შეკრება ყოველად შეუძლებელი გახლდათ. ოცი ათასი მებრძოლი ერეკლესა და თეიმურაზს, ქართველთა რიცხობრივი სიმცირის გამო, ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებულ ჯარშიც არ ჰყოლიათ და ხშირად სხვა ქვეყნის მებრძოლებს ქირაობდნენ საომრად. გარდა ამისა, შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების შიში არსებობდა, რის გამოც ქართლიდან კახეთისკენ გადაადგილება შეზღუდული იყო. მოდარაჯე რაზმელებს იმათი მოკვლის უფლებაც კი ჰქონდათ ვინც არ დაემორჩილებოდა და უნებართვოდ, ძალით წასვლას მოინდომებდა კახეთისაკენ.

ოცი ათასი მეომარი მართლაც რომ მოსულიყო დაკრძალვაზე, როგორც პ. ბუტკოვი გვამცნობს, შეკრებილი ხალხის კოლონები ჯართან ერთად რამდენიმე კილომეტრზე გაიჭიმებოდა, რაც წარმოუდგენელია და რაც რომელიმე სხვა ისტორიული წყაროთი არ დასტურდება. ალბათ მართალია ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, როდესაც ბრძანებს: „ოდეს მეფე გარდაიცვალა თელავსა, ჭირი ესე იყო მიზეზი რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გადაიტანეს გვამი მეფისა მცხეთას დასასაფლავებლად“¹⁴.

იმ დროს ბევრი არასწორი და დამამცირებელი იწერებოდა ქართველებზე და პ. ბუტკოვის მონათხრობიც ერთ-ერთი ამგვარია. რასაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, ქართველებიც ვიმეორებთ და ამით ჩვენს ისტორიას ვაყაღებთ. ასეთი არასწორი და ქართველთა დამამცირებელი ამბების გავრცელება რუსეთის იმპერიას იმისათვის სჭირდებოდა რათა საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფილობით“ შეერთება გაემართლებინათ¹⁵.

თელავიდან წამოსული, ერთობ შეთხელებული პროცესია მესამე დღეს თბილისს მოუახლოვდა. შავი ჭირის მპეინვარების გამო მეფის ცხედარი ქალაქში ვერ შეაბრძანეს და მცირე ხნით მაინც ვერ დაასვენეს სიონში. მახათას მთის ძირას შეჩერდნენ, კუბო თბილისისაკენ შეაბრუნეს, თითქოს უნდოდათ მეფისთვის მისი საყვარელი და ნაამაგარი ქალაქი უკანასკნელად დაენახვებინათ. შემდეგ ავჭალისკენ დაიძრნენ. მცხეთის გამოღმა, სვეტიცხოვლის გასწვრივ მიაღწენ არაგვს და კუბო მდინარის ნაპირთან დადგეს. არაგვის გაღმა მცხეთელები იდგნენ. პროცესიის მოსვლისთანავე მათ ფეხით გადმოვლეს არაგვი, რათა მეფის ცხედარი გადაეპარებინათ. პლატონ იოსელიანი წერს:

¹³П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. II, САНКТПЕТЕРБУРГ. 1869. стр. 442–443.

¹⁴პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი, 1978, გვ. 120.

¹⁵იასე ცინცაძე. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე. თბილისი, 1969, გვ. 169.

„არაგვის პირსა დადებული კუბო მეფისა მიიღეს მცხეთელთა და დასაფლავეს და კახნი არდა გასრული არაგვისა უკუიქცენ კახეთად“¹⁶. კახეთიდან მოსულებმა კიდევ ერთხელ დაასველეს ცრემლით მეფის ცხედარი და უკან გაბრუნდნენ.

მცხეთელები მიუახლოვდნენ და მოწიწებით თაყვანი სცეს მეფის ცხედარს, დაიხოქეს კუბოსთან, შემდეგ კუბო ასწიეს და ისე ფრთხილად გადაატარეს არაგვზე, თითქოს ცდილობდნენ, არ გაეღვიძებინათ მსცოვანი, სამშობლოზე ფიქრით დაღლილი მძინარე მეფე.

კუბო სვეტიცხოვლის კარიბჭესთან მიიტანეს და იქ შემოგებულ ბერებს გადააბარეს.

თელავიდან წამოსულ ჭირისუფალთაგან არავინ შეჰყოლია მცხეთაში ერეკლეს ცხედარს, გარდა სამეფო კარის მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილისა. შავი ჭირით დაავადების შიშით ვერავინ ეკარებოდა სვეტიცხოვლის მიდამოებს, რადგან სვეტიცხოვლის ეზო და თვით ტაძარი სავსე იყო ავადმყოფებით. ზოგი მათგანი ცოცხლად გადარჩენის იმედით, ზოგი კი გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში ღვთის სახლს იყვნენ შეფარებულნი და მის განაჩენს ელოდნენ.

ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილი იყო ის მოძღვარი, ვინც მეფის ოჯახს აღუთქვა, რომ საკუთარი სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდების ფასად, აღასრულებდა ყველა ქრისტიანულ წესს და საკადრისად დაკრძალავდა მეფეს. ქვეყნისა და მეფის ერთგულმა მოძღვარმა, რომელსაც მანამდეც ბევრი კარგი საქმე ჰქონდა ქვეყნისათვის გააკეთებული, პირნათლად მოიხადა თავისი ვალი – „თავი გამოიმეტა“, „საფლავს მიუღა და ემსახურა“, მცირე აღაპიც გადაიხადა¹⁷.

1799 წლის დეკემბერში გიორგი XII მღვდელ ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილისადმი ნაბოძებ სიგელში წერდა: „კურთხეული მამა ჩვენი თელავს მიიცვალა, მცხეთას უნდა მიგვესვენებინა. მცხეთაში დიდი ჭირი იყო და სვრა. შენ დაუთალაბი შეიქმენ, თავი გამოიმეტე – რომ მე შეგყვებო იახელ თანა ქართლიდამ კახეთიდამა დიას მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია, ვინც შიგ არ იყვნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები. იქ საფლავს მიუდექი და ემსახურე“¹⁸.

1798 წლის 21 თებერვალს, კვირას, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. დასაფლავეს „მუნ მარჯვნივ კერძო შინაგან დიდისა მის ეკლესიისა, ქვემოთ პირისპირ ხატისა მაცხოვრისა, მეუფისა ქრისტე მსხნელისა ჩვენისა“¹⁹.

Teimuraz Petriashvili

Death and burring of King Erekle

Summary

The Kingdom of Eastern Georgia – Kartli and Kakheti Regions faced particular difficulties by the end of the 18th century. There was a growing threat from Persia and Turkey and regular invasions from the North Caucasian tribes which heavily disintegrated the country and decreased its population.

By this time King Erekle II Bagrationi, the distinguished military leader well-known in Europe and Asia who ruled the Kartli and Kakheti Kingdom since 1762 and Kakheti since 1745 had almost reached the age of 80 and was experiencing serious health problems. In addition to that the epidemics of plague spread all over the country. Thousands of people suffered and died of the epidemics.

Erekle II moved to Telavi, the second biggest city. His health gradually deteriorated. The brave king was exhausted from numerous battles, conflicts, military and political problems. He had managed to protect Tbilisi, the capital of Georgia and keep it unconquered for longer than 50 years as cultural, trade and political centre of the Caucasus. Only in 1795 Persia managed to take over the city of Tbilisi.

On 11 January, 1798 Erekle II died. The whole country, representatives of every ethnic and religious groups grieved over the beloved leader and the national mourning was declared in the whole of Georgia.

The funeral of the brave king was proposed in Svetitskhoveli – the Royal Cathedral in Mskheta, the ancient capital. However due to the epidemics of plague in the ancient capital carrying out of Erekle II from Telavi to Mtskheta was delayed for 40 days, but eventually the coffin was placed on the bank of the Aragvi river opposite of the Svetitskhoveli Cathedral and later hand-carried across the river. Only the King's private priest accompanied the coffin into the Cathedral and led the funeral procession along with the people of Mtskheta in full accordance with the Christian rules and traditions.

¹⁶ პლატონ იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. თბილისი, 1978, გვ. 120.

¹⁷ საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა. თბილისი, 1980, გვ. 213-214.

¹⁸ საქართველოს ისტორიის ქრონიკები. XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ა. იოსელიანმა. თბილისი, 1980, გვ. 213-214.

¹⁹ თეიმურაზ ბაგრატიონი. დავით ბატონიშვილის ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ენუქიძემ. თბილისი, 1972, გვ. 73.

1832 წლის შეთქმულება დიმიტრი ყიფიანის მემუარების მიხედვით

1832 წლის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწვევს საქართველოს მაშინდელმა პროგრესულმა ძალებმა. მათი მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. დამარცხების მიუხედავად, ამ შეთქმულებამ დიდი როლი ითამაშა საქართველოში ეროვნული ცნობიერების აღორძინების საქმეში; კერძოდ, სათავე დაუდო სამოციანელთა იდეებს. დიმიტრი ყიფიანი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა, რომლის გამოაშკარავების შემდეგ იგი დამნაშავეთა მეოთხე კატეგორიას მიაკუთვნეს - „ვინც განზრახვაზე თანხმდებოდა და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების არსებობის მანძილზე ერთ-ერთ წელს, ოღონდ არა ქმედითად, ხოლო აჯანყების განზრახვა იცოდა ნაწილობრივად“. იგი ვოლოკდაში გადაასახლეს სამოქალაქო სამსახურის უფლებით, საიდანაც სამშობლოში 1837 წელს დაბრუნდა და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა.

წლების გასვლის შემდეგ მოხუცებულმა დიმიტრი ყიფიანმა 1832 წლის შეთქმულების შესახებ მოგონება დაწერა, რომელსაც „ყაზარმობის საქმე“ უწოდა. იგი რუსულ ჟურნალში, „რუსკაია სტარინაში“, უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოეწერო, რამდენადაც თბილისში უკვე სხვა ამბები დატრიალდა და სამოცდათორმეტი წლის დიმიტრი ყიფიანი თავისი პირდაპირობითა და პრინციპულობით მსხვერპლად შეეწირა დიდ ქართულ საქმეს, საქართველოს ღირსების დაცვას.

„ყაზარმობის საქმე“ „1832 წლის ყაზარმობის“ სახელწოდებით შევიდა 1930 წელს პროფესორ სილოვან ხუნდაძის რედაქტორობით გამოცემულ დიმიტრი ყიფიანის „მემუარებში“. მემუარისტის მიერ ასახული მასალა ისტორიულ პირველწყაროს წარმოადგენს და მისი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით უადრესად დიდია. არანაკლებ საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება შეთქმულებისა და მისი მონაწილეების მიმართ, ვინაიდან „ამა თუ იმ ეპოქის სულს ხშირად განწყობილება უფრო მკაფიოდ გადმოგვცემს, ვიდრე ფაქტი“¹.

მემუარისტი მოვლენათა აღწერას იწყებს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით. მისი შეფასებით, სწორედ ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობამ გამოიწვია საქართველოს დედაქალაქის აკლება სპარსეთის მიერ 1795 წელს. რუსეთის მინისტრი რეზიდენტი კოვალენსკი, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა საქართველოში, დიმიტრი ყიფიანის აზრით, თავად იყო ყველაზე უფრო მწვავე და სრული გაუგებრობა. 1798-1799 წლებში საქართველოში შემოვიდნენ გულიაკოვისა და ლაზარევის პოლკები. მალევე ორი რუსი ჩინოვნიკი - გენერალი ლაზარევი და მინისტრი კოვალენსკი - ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: მათ საქართველოზე ზრუნვისთვის არ ეცადათ. მეორე მხრივ, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სამეფო ოჯახის წევრები, რასაც ქვეყნისთვის ცუდის მეტი არაფერი მოჰქონდა.

დიმიტრი ყიფიანის აზრით, ქვეყანაში მოსალოდნელი იყო დიდი არეულობა, რაც მოჰყვებოდა სწრაფი მეფის გარდაცვალებასა და მრავალრიცხოვან მემკვიდრეებში განადგებულ ბრძოლას; მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე გიორგიმ - „ავადმყოფობით დასუსტებულმა და სულით-ხორციით დაცემულმა“ - სთხოვა რუსეთის იმპერატორს, დაემყარებინა ქართლ-კახეთში უშუალო მმართველობა, რათა „მოასვენოს ქვეყანა გარეშე მტრებისაგანაც და შინაური არეულობისგანაც“².

მემუარების მიხედვით, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ჯერ უარზე დამდგარა, შემდეგ კი დაუკმაყოფილებია მეფე გიორგის თხოვნა. დიმიტრი ყიფიანის შეფასებით, მანიფესტი დაიწერა სიტყვებით, რომლებიც „ცხადად გამოჰხატავდნენ კურთხეული ალექსანდრე იმპერატორის სრულს დიდ-სულოვნებასა და კეთილ განზრახვებს“³. სამწუხაროდ, „სახელმწიფოს დიდი აქტის“ სიონში სახალხოდ გამოცხადების დროს (1802 წლის 12 აპრილი) დაშვებული იქნა „უპატიებელი და

¹დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. თბილისი, 1990, გვ. 12.

²დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ქართული მწერლობა. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 233.

³დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ქართული მწერლობა. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 233.

დაუჯერებელი“ შეცდომები, რომლებიც მდგომარეობდა შემდეგში: 1. სიონამდე მისასვლელი ქუჩები რუსის ჯარით აივსო, რისი საჭიროებაც არ იყო; 2. მანიფესტი ქართულად არ ითარგმნა, რამაც რუსული ენის უცოდინართა უკმაყოფილება გამოიწვია. ხოლო როცა ის სიტყვები წარმოთქმეს, რაც ქართულად საკმაოდ უხერხულად ჟღერს („და სხვა და სხვა“), ტაძარში აღშფოთების გამომხატველი გრგვინვა ატყდა.

პროფესორ თამაზ ჯოლოგუას აზრით, დიმიტრი ყიფიანი აღექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილ მანიფესტს განიხილავდა არა როგორც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემამზადებელ პოლიტიკურ დოკუმენტს, არამედ გიორგი XII-ის პოლიტიკური ნების დაკმაყოფილებასა და საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებას რუსეთთან⁴.

ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შემდეგ (1801 წ.) საქართველოში დაიწყო ახალი, იმპერიული წეს-წყობილების დამყარება, რომელიც უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველებისთვის. უკმაყოფილების ტალღა მალევე აგორდა, ბოლოს კი ანტიიმპერიულ შეთქმულებაში გადაიზარდა. დიმიტრი ყიფიანი მემუარებში განიხილავს მიზეზებს, რომლებმაც მოამწიფა საქმე, რომელსაც ოფიციალურად „ერთი დიდი სახელმწიფო საქმე“ ეწოდა. ეს მიზეზებია:

- ქართლ-კახეთში უცხო ენისა და კანონმდებლობის დამკვიდრება;
- ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ადათების უგულვებელყოფა;
- ქვეყნის ადმინისტრაციაში უვიცი და უგულო ჩინოვნიკების მოსვლა;
- სამეფო ოჯახის ქვეყნიდან აყრა-გადასახლება;
- ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის გაფუჭება.

დიმიტრი ყიფიანი უკმაყოფილების, მღელვარებისა და აჯანყების მთავარ მიზეზს საყოველთაო უსამართლობაში ხედავს, რაც რუსეთის მმართველობას მოჰყვა საქართველოში. რუს მმართველთა და საერთოდ ჩინოვნიკთა სრული უვიცობა და თავხედობა, ადგილობრივი ცხოვრების წესის, ადათ-ტრადიციების უცოდინრობა და სრული უგულვებელყოფა, ხალხის აბუჩად აგდება, ენობრივი ბარიერი... - ყოველივე ამან შექმნა ნიადაგი აჯანყებებისა და ქვეყნის უკეთეს შვილთა შეთქმულებისათვის.

„1832 წლის ყაზარმობაში“ ავტორი არ საუბრობს შეთქმულებაში მონაწილეობის საკუთარ მიზეზებსა და მიზეზებზე, დაწვრილებით არც გადასახლებაში გატარებულ წლებს აღწერს, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი ნააზრევი შეთქმულების მონაწილე ზოგიერთი პირის დახასიათების თვალსაზრისით; კერძოდ, დიმიტრი ყიფიანის ცნობით, 1832 წლის დეკემბრის დამდეგს შეთქმულება გასცა გუბერნატორის ძმამ - იასე ფალავანდიშვილმა. ავტორი ასე აღწერს მასთან პირველ და უკანასკნელ შეხვედრას:

„შესახედაობა ჰქონდა ძალიან რიგიანი, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, გარეგნობა ატყუებსო. ეს შესახედავად ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან ისეთი სისხლისმეღი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია.

მისი აღზნებული სიტყვები იმდენად მძინვარე და იმდენად შეუბრალებელი იყო, რომ იქ დამსწრეთა უმრავლესობამ დიდი ზიზღი იგრძნო იმ საქმისადმი, რის ჩადენასაც ის ურჩევდა და ყოველი მისი რჩევა სრულიად უკუაგდეს“⁵. დიმიტრი ყიფიანის თქმით, იასე ფალავანდიშვილი მოითხოვდა რამდენიმე წარჩინებული ქართველის, მათ შორის თავისი ძმის, ნიკოლოზის, მოკვლას.

საინტერესოა მემუარისტის მოსაზრება შეთქმულების გაცემის მოტივის შესახებ; კერძოდ: **იასე ფალავანდიშვილმა გულის აცრუება შეატყო შეთქმულებს და იმის შიშით, ვინმე გამცემი არ გამოჩნდესო, საიდუმლო ორგანიზაციის დაბეზღების ქაღალდი მთავრობას წარუდგინა, რასაც შეთქმულთა საყოველთაო დაპატიმრება მოჰყვა. დიმიტრი ყიფიანი წერს, რომ იასე უდიდეს სასჯელს იმსახურებდა, როგორც „ყველაზე მძინვარე შეთქმული, საშინელი განზრახვებით“⁶, მაგრამ მას დაუფასეს რუსეთის მთავრობის ერთგულება და ადმინისტრაციულ სასჯელს დააჯერეს (ფინეთის კორპუსში გაამწიფეს უნტეროფიცრად).**

დიმიტრი ყიფიანი მემუარებში ვრცლად და საინტერესოდ აღწერს ავლაბრის ყაზარმებში გატარებულ პერიოდს. მისი ცნობით, ყველა პატიმარი სათითაოდ გამოამწიფვდიეს საკანში და იმავე ოთახში დარაჯი მიუჩინეს, რომელიც საათობით ხმის ამოუღებლად და გაუნძრევლად უნდა მდგარიყო. ზედამხედველთა ყოფა ჩვენსაზე უარესი იყო, აღნიშნავს დიმიტრი ყიფიანი.

⁴თ. ჯოლოგუა. ბოლოსიტყვა ქართული მწერლობის XX ტომისა. თბილისი, 2003, გვ. 509-510.

⁵დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. თბილისი, 1990, გვ. 146.

⁶დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. თბილისი, 1990, გვ. 153.

სამი თვის შემდეგ ორ-ორი და სამ-სამი პატიმარი ჩასვეს ერთ ოთახში, რამაც მათი ხვედრი მეტად შეამსუბუქა. თავდაპირველად დიმიტრი ყიფიანი და ზაალ ავთანდილაშვილი ერთ საკანში აღმოჩნდნენ⁷, შემდეგ კი თეკლა ბატონიშვილის ვაჟებთან - ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებთან - გადაიყვანეს.

პირველ ხანებში პატიმრებს კარგად ეპყრობოდნენ. დიმიტრი ყიფიანის თქმით, „თითონ ასწრებდნენ ჩვენს სურვილებს, გვაჭმევდნენ კარგად, დილაზე ვისაც რა იამებოდა, იმას გვაძლევდნენ, ვის ჩაის, ვის ყავას და მე კი კაკოსა. სადამოშობით კი ყველას - ჩაის“⁸. პატიმრებს, ასევე, უფლება მიეცათ, ესარგებლათ შტაბის ბიბლიოთეკით - ეკითხათ „სულის საცხოვნებელი წიგნები“; აგრეთვე, ოჯახებიდან გამოეთხოვათ საჭმელი და პირადი ნივთები.

მემუარების მიხედვით, მდგომარეობა შეიცვალა საგამოძიებო კომისიის ახალი თავმჯდომარის, გენერალ ჩევიკინის, დანიშვნის შემდეგ. მან დაამყარა ახალი წესი, რომელიც „განსხვავებულად წინად მიღებული ადამიანური და ასე ვთქვათ, განათლებული მოპყრობისაგან“⁹. დიმიტრი ყიფიანის თქმით, რაიმე იარაღით წამება არც ჩევიკინის დროს იყო, მაგრამ „შემოიღეს ფეხების დაბრაგუნება, დაყვირება, შეტევა; ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაამწყვდევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით კი არა, მთელი კვირით და თვეებითაც“¹⁰.

გამოძიებამ ერთ წელიწადს გასტანა. საქმეში ას კაცზე მეტი ერიო, რომელთაც საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. მემუარების მიხედვით, უმეტესობა ადმინისტრაციული წესით გასამართლდა ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით, რომელმაც „თავისი სიდინჯე, მეფური სამართლიანობა გამოიჩინა“¹¹ და დამნაშავეები მსუბუქად დასაჯა.

დიმიტრი ყიფიანი ცალკე გამოჰყოფს თორმეტი თუ ცამეტი კაცს, რომელნიც სამხედრო წესით გაასამართლეს გენერალ დ. ახლესტიშევის თავმჯდომარეობით. მათგან უმაღლესი სასჯელი მიესაჯა ექვს კაცს - შეთქმულების მოთავეებს: ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, მამუკა ორბელიანს, თათარ მოღლა-ზამანს, სოლომონ დოდაშვილს. დიმიტრი ყიფიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობას სიკვდილით არაფერს დაუსჯია და თუკი ვინმე ამას ამტკიცებს, „უსირცხვილოდ სტყუის“.

მართლაც, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთათვის გამოტანილი სასჯელი იმაზე მსუბუქი გამოდგა, ვიდრე ნიკოლოზ I-ისაგან იყო მოსალოდნელი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი ახსნილია, როგორც იმპერიის მიზანმიმართული ქმედება, ქართველი არისტოკრატის გადასაბირებლად, რომ ისინი გამოეყენებინათ კავკასიაში კოლონიზატორული პოლიტიკის დასაყრდენად¹². არსებითა ითქვას ისიც, რომ ამ პერიოდში იმპერია დამპყრობლურ ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ხელს არ აძლევდა საქართველოშიც გაემწევაებინა ვითარება.

შეგვიძლია დავასკვნათ: დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში აღწერს 1832 წელს საქართველოში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებას, ეს ჩანაწერები უნდა დაბეჭდილიყო იმპერიის ჟურნალში „რუსკაია სტარინა“; ამის მიუხედავად ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მემუარების წერის მომენტში იგი სამოცდაათი წლის, საესებით ჯანმრთელი, სულიერად დამშვიდებული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისგან თავისუფალი ადამიანია და იხსენებს ამბავს, რომელიც მის თვალწინ მოხდა. შესაბამისად, დიმიტრი ყიფიანის მოგონებები 1832 წლის შეთქმულების შესახებ ერთ-ერთი სანდო და მნიშვნელოვანი პირველწყაროა.

⁷ზაალ (ზაქარია) ავთანდილაშვილი იყო დიმიტრი ყიფიანის სიყრმის მეგობარი. ისინი ერთად სწავლობდნენ კეთილშობილთა სასწავლებელში; მოგვიანებით მასწავლებლად მუშაობდნენ თბილისის გიმნაზიაში. სწორედ ზაქარიამ გააცნო დიმიტრი ყიფიანი შეთქმულებს.

⁸ქართული მწერლობა. დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 244.

⁹ქართული მწერლობა. დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 247.

¹⁰ქართული მწერლობა. დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 247.

¹¹ქართული მწერლობა. დიმიტრი ყიფიანი. მემუარები. ტ. XX. თბილისი, 2003, გვ. 248.

¹²მსჯელობისათვის იხ.: თ. ჯოლოგუა. კომენტარები წიგნში „დიმიტრი ყიფიანი - საშვილიშვილო მოკავშირე. ტ. II. თბილისი, 2007, გვ. 253.

Magda Chikaeridze

Conspiracy of 1832 according to Dimitri Kipiani Memoirs

Summary

In his memoirs Dimitri Kipiani describes Georgian conspiracy of 1832 organized against the Russian Empire; Despite the fact that these memoirs were supposed to be published in the imperial journal – „Russkaya Starina“, the author remarks that he objectively describes the story which took place in front of him. Therefore, Dimitri Kipiani’s memoirs of 1832 conspiracy represents one of the most reliable and important primary sources.

ეროვნული იდეა უწმიდესისა და უნეტარესის კირიონის შემოქმედებაში

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღვდეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი“¹ - ბრძანებს საქართველოს უგვირგვინო მეფე და ერის უკვერთხო სულიერი მამა, წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე). ჭეშმარიტად! თუ თვალს შევაავლებთ ჩვენი სამშობლოს მრავალათასწლოვან ისტორიას, შეუიარაღებელი თვალით, სრულიად ერთი შეხედვით მარტივად შეიმჩნევა აუარებელი სისხლი, გოდება და მისით გამოწვეული გმირობები და მრავალი გმირი, როგორც სასულიერო დასიდან, ისე ერისკაცთაგან. სწორედ, მათ რიგებს, მოწინავე პოზიციაზე ამშვენებს და აბრწყინებს ისეთი მრავალმხრივ თავდადებული მოღვაწე მშობელი ერისა და ეკლესიისა, როგორც გახლავთ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, რომელიც ღვთის ყოვლადსამართლიანმა და ყოვლადსახიერმა განგებამ 106 წლოვანი თეთითმწყემსობის წყევტის შემდეგ, ავტოკეფალიააღდგენილი ივერიის უძველესი სამოციქულო ეკლესიის პირველ მამამთავრად გამოარჩია და დაადგინა. უწმიდესი კირიონი, ერში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, ღვთის შეუცნობელი განგებით, სწორედ იმ ურთულეს ჟამს მოეველინა ქვეყანას, როდესაც ჩვენს მრავალ-გზის კვეთებულ სამშობლოსა და ქართულ დევნილ ეკლესიას მარტვილობის მორიგი, უმძიმესი უღელი ედგა - რუსეთის კოლონიალური იმპერიისგან უკანონოდ ხელ-ყოფილი საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის ანტიკანონიკურად გაუქმებული ავტოკეფალია. სწორედ, ამ ერთობ უმძიმესმა, თუმცა ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე ეპოქამ შვა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, როგორც გულანთებული მამულიშვილი, ქართული ეროვნული ინტერესებისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ფუნდამენტური პრინციპების შეუღარებელი ქომაგი და ჭირისუფალი. გიორგი საძაგლიშვილმა, თავისი დროისათვის შესანიშნავი განათლება მიიღო, როგორც საღვთისმეტყველო, ისე საერო კუთხით, რაც შემდეგ, თავის მოღვაწეობაში მთლიანად შესწირა და მოახმარა მშობელი ერისა და ეკლესიის კეთილდღეობის საუკუნოვან მისიას.

მისი ეროვნული სულისკვეთება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეფის რუსეთის მოხელეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ მიზეზით მასზე, საერო ხელისუფლების მიერ მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. არც იმუაშინდელი „სასულიერო ხელისუფლება“ აკლებდა ხელს, რათა ყოველმხრივ შეევიწროვებინათ ეპისკოპოსი კირიონი, როგორც მეფის მთავრობისათვის არასაიმედო პიროვნება, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ის გადაიყვანეს გორის ეპარქიიდან რუსეთში, კერძოდ კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში და მეტიც, მას საერთოდ აუკრძალეს სამშობლოში მოღვაწეობა. თუმცა, აღნიშნულმა ვერაგობამ და მშობლიურ გარემოს მოწყვეტამ ვერ გატეხა მეუფე კირიონი, როგორც მშობელი ქვეყნის ერთგული მოამაგე და მოჭირნახულე. ის პირუკუ, უცხო მხარეში გადასახლებული, იქედან ამხნევებდა თავის მეგობრებსა და ერთგულ თანამებრძოლებს. 1902 წელს, ეპისკოპოსი კირიონი საუკეთესო მომავლის სასოებით, თავის ახლო მეგობარს, მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს წერდა: „კაცის სიცოცხლეში სამი შესანიშნავი ხანაა: დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი. პირველს უნებლიეთ ორივე მოსდევს, ვერა ხორციელი კაცი ამ კანონს ვერ ასცდება. როგორც კაცს ნება არ აქვს, დაჰმოს თავისი დაბადების დღე, აგრეთვე არ უნდა დაემდუროს ცხოვრების ჩარხისაგან მისთვის მინიჭებულ ბედს... ჩემთვის მარად სადმართო იქნება ის ღტოლვილება, რომელსაც მივესწრაფებოდი. ჩემ სიცოცხლეში ჩემი წარმატებისთვის არ მიზრუნია: არც ოქრო იზიდავდა ჩემს გულს და არც ჯილდო, პირადი ჩემი ინტერესები დიდი ხანია უარყვავ. ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისათვის არავისთვის თავი არ შემოწყვეინებია. მტრებისთვის სამაგიერო არ გადამიხდია, თუმცა შემქმნლო და გარემოებაც ხელს მიწყობდა. დეე, დროებით

¹ ილია ჭავჭავაძე. საახალწლო მილოცვა. 1887, 31 დეკემბერი.

იპარპაშონ ცბიერებამ, ორპირობამ და დამბეზღებლობამ... დადგება დრო, უსამართლობა დაითრგუნება, მოისპობა პირისაგან ქვეყნისა და ჭეშმარიტება გამეფდება. მხოლოდ მოთმინება უნდა, მოთმინება! თუმცა, საქმე თავად მაინც არ გაკეთდება, ქადები ციდან არ ჩაცვიფა. უფალმა ბრძანა: ეძიებდით და ჰპოულობდით. ძიება არის შრომა ხანგრძლივი და თავდადებული“.²

ეპისკოპოს კირიონს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის სიძველეთა გადარჩენისა და პოპულარიზაციის საუკუნოვან მისიაში. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს მუდამ წარმოადგენდა ძველი ხელნაწერების, საისტორიო დოკუმენტების, სამონასტრო არქივებისა და ნუმიზმატიკური ნიმუშების შეგროვება და მეცნიერული დამუშავება. მეუფე კირიონის დაინტერესების ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხი გახლდათ საოჯახო არქივებში დაცულ ხელნაწერთა მოძიება. მან გამოიკვლია არაერთი ქართული წარჩინებული გვარის შთამომავალთა ოჯახებში შემონახული მასალები. მღვდელმთავარი საკუთარი სახსრებით იძენდა ფასდაუდებელ ხელნაწერებსა და უანგაროდ გადასცემდა საქართველოს საეკლესიო მუზეუმებს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას. „არქივის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულის მხრივ. ამას ჩვენს დროში არავენ არ უარყოფს. არქივი არის მართალი მატრიანე მოღვაწეებზე და მათ მოქმედებაზე. მისი პირით, თვით ჭეშმარიტება დალადებს. ის მუხაა ისტორიისა, ნამდვილი ძალით წერს თავის განაჩენს საზოგადოებაზე და მათ წარსულ მოღვაწეებზე. არქივის თვლით გვიცქერიან ჩვენ, ჩვენნი წინაპარნი და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავაფლოთ ჩვენ მათ მოქმედებას და ღვაწლს“³ - აღნიშნავდა ეპისკოპოსი კირიონი.

მღვდელმთავარი მეცნიერულად სწავლობდა ქართულ აგიოგრაფიას, საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებსა და მათ ისტორიას, აგრეთვე საღვთო წერილის ქართულ თარგმანებს.

ეპისკოპოს კირიონზე, როგორც მამულიშვილური შემართებით აღსავსე მკვლევარზე, უმნიშვნელოვანეს და სრულ წარმოდგენას გვიქმნის მისი კაპიტალური ნაშრომი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. აღნიშნულ, სქელტანიან ნაშრომზე მუშაობისას, მეუფე კირიონს საკმაოდ დიდი წნეხის ქვეშ უწევდა ცხოვრება, ვინაიდან მას, როგორც სამშობლოს თავდადებულ, მოამაგე ჭირისუფალსა და მგზნებარე ავტოკეფალისტს დასწამეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ სანაქსარის უდაბნოში იქნა გადასახლებული, სადაც აუტანელი პირობები გახლდათ შექმნილი, თუმცა მან, ხსენებულ ნაშრომზე შემართებული მუშაობით, ყველასთვის ცხადი გახადა, რომ მისი სულიერად გატეხვა შეუძლებელი იყო. აღნიშნულ თხზულებას, ეპისკოპოსი კირიონი თავის „ნაბოლარა შვილს“ უწოდებდა. „საოცარია, მაგრამ რუსები დღეს, ნახევრადველურ ვოგულებსა და ლოასრებს უფრო იცნობენ, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებსა და მათ ისტორიას და ეს მაშინ, როცა ქართველები თავიანთი ქრისტიანული ღვაწლით, მაღალი ეროვნული კულტურით იმსახურებენ უფრო დიდსა და მთავარია სერიოზულ ყურადღებასა და შესწავლას... რუსულ ენაზე არ არსებობს კეთილსინდისიერი და საფუძვლიანი ნაშრომი საქართველოს ისტორიის შესახებ“- წერდა თავისი ნაშრომის დასაწყისში, ეპისკოპოსი კირიონი. მღვდელმთავარმა ვრცლად წარმოაჩინა იმ ნეტარსენებულ ქართველთა მნიშვნელოვანი ღვაწლი, რომლებმაც V-XII საუკუნეებში სახელი გაითქვეს ქრისტიანულ აღმოსავლეთში. ეპისკოპოსი კირიონი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რომ ისტორიული ცნობები და თანამედროვეთა გადმოცემები ცალსახად ცხად-ჰყოფს, რომ კონსტანტინეპოლის დაცემამდე და შემდეგ პერიოდში, ქართველები და მათი მეფეები წარმოადგენდნენ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და მისი სიწმინდის მთავარ დამცველებს.

ეპისკოპოს კირიონის სახელზე ირიცხება გამორჩეული ღვაწლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წინაშე გაწეული. მან ხსენებულ საისტორიო საზოგადოებას უსახსოვრა „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწერი და „პავლენის“ ერთ-ერთი ძველი გამოცემა. აგრეთვე, იგი მუდამ შეეწეოდა საზოგადოებას ფინანსური კუთხით. აღნიშნული ამავი, საზოგადოების მიერ 1911 წელს აღნიშნული იქნა ოფიციალური სამადლობელი წერილით, ხოლო 1913 წელს, მეუფე კირიონი ერთხმად აირჩიეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საპატიო წევრად.

² ელდარ ბუბულაშვილი. „დაჩაგრული ერისა და ეკლესიის ქომაგი, წმიდა მღვდელმთავარე კირიონ II (საბაგლიშვილი)“- გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, №9-12.

³ სერგო ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918წ.წ.). თბილისი, 2014, გვ. 55-56.

ეპისკოპოსმა კირიონმა ითავა გამორჩეული მამულიშვილური მისია და სწორედ, მისი დიდი მონდომებითა და ღვაწლით, 1904 წელს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიასთან გაიხსნა საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა, რომელსაც 97 ბიბლიოგრაფიული უიშვიათესი წიგნი თავად მღვდელმთავარმა გადასცა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრის გახსნას წინ უძღოდა ურთულესი პროცესები რუსული საერო და სასულიერო ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ღვთის ნებითა და წყალობით, მეუფე კირიონმა, ამ კუთხით შეუძლებელი შეძლო და ფაქტობრივად, ხსენებული მამულიშვილური ქმედებით, იმ დროისათვის რუსულ საერო და სასულიერო სივრცეს ოფიციალურად აღიარებინა საქართველოს ეკლესია, როგორც მეცნიერულად შესასწავლი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე უძველესი სამოციქულო საყდარი.

ფრიად გამორჩეული და აღსანიშნავია, ეპისკოპოს კირიონის ზრუნვა ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდობისადმი. მან პირადი მონდომებითა და საკუთარი სახსრებით მიაღებინა განათლება რამდენიმე ათეულ ახალგაზრდას უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის გახლდნენ: ნესტორ ლეჟავა (შემდგომში ქუთათელი მიტროპოლიტი, 1924 წლების ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი და აწ წმიდანად კანონიზირებული), ალექსი გიორგაძე (შემდგომში, ასევე ქუთათელი მიტროპოლიტი, რომელიც მოწამვლის შედეგად მოკლეს 1918 წელს), კორნელი კეკელიძე, სამოელ ცომაია და სხვები. მატერიალურ შემწეობასთან ერთად, ამაგდარი მღვდელმთავარი მათი სულიერი მეგობარი და ყოველმხრივ გვერდით მდგომი გახლდათ. 1907 წლის 20 ივნისით დათარიღებულ სამადლობელ წერილში, მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე ეპისკოპოს კირიონს წერდა: „დიდი საქმეა ჩვენი სამშობლოსათვის, რომ 12-15 კაცს უზრდი, განათლებას აძლევ... ეგრე რომ ემსახურათ 3-4 კაცს ჩვენში, ეხლა საქართველო ბევრად განათლებული და წინ წასული იქნებოდა⁴. “შემდგომში ცნობილი აკადემიკოსი, კორნელი კეკელიძე თავის დიდ მასწავლებელსა და ქომაგს, ეპისკოპოს კირიონს წერდა: „ძველ ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ - ყველაზე საუკეთესოს უძღვნიდნენ შემოქმედს. ჩემს პირველ ნაშრომს, რომელიც თქვენი შთაგონებითა და შემწეობით შეიქმნა, გიძღვნი თქვენ!“⁵ მეუფე კირიონის ხსენებულმა გენიალურმა და შორსგამიზნულმა ქმედებამ, თავისი კეთილი ნაყოფი მთელი სისავსით გამოიღო და მის სტიპენდიატაგან მრავალი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ერისა და ეკლესიისთვის დამაშვრალი მამულიშვილი და შესანიშნავი მეცნიერი გახდა, რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ჩვენს სამშობლოსა და ქართულ სამოციქულო ეკლესიას. ამ კუთხით, მხოლოდ კორნელი კეკელიძის ხსენებაც კი კმარა. სწორედ, ეპისკოპოს კირიონის გამორჩეული ღვაწლი და შემწეობა გახლდათ ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომ ქართულ მეცნიერებას კორნელი კეკელიძის სახით მოეპოვება შეუდარებელი ტალანტი მეცნიერი.

ეპისკოპოსმა კირიონმა - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა, როგორც პრაქტიკული კუთხით, ისე სამეცნიერო მოღვაწეობით, განუზომელი ამაგი დასდო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერების დასაბუთებას. მეტად საინტერესოა მისი პოლემიკური წერილები ივანე ვოსტორგოვისა და მისი მსგავსი ანტიქართველების წინააღმდეგ მიმართული. გამორჩეული აღნიშვნის ღირსია, 1906 წლის სინოდის სხდომებზე, მეუფე კირიონის მიერ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხზე წაკითხული ოთხი მოხსენება. აღნიშნულ სხდომებზე, ეპისკოპოს კირიონის გამოსვლას მოწინააღმდეგეებზეც კი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ხსენებულ საკითხს, მან მიუძღვნა მონოგრაფია „საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია“, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობასა და წარმოადგენს ერთადერთ განმაზოგადებელ მეცნიერულ ნაშრომს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიული სამართლიანობის შესახებ.

ეპისკოპოსი კირიონი დიდი და ღრმად გულისმიერი სიხარულით მიესალმა 1917 წლის 12 მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. აღნიშნული საუკუნოვანი აქტის აღსანიშნავად, ფრიად გახარებულმა ქართველმა მღვდელმთავარმა, რუსეთიდან გამოგზავნილ წერილში, შემდეგი სიტყვებით მიმართა ქართველ ხალხსა და ავტოკეფალიის აღდგენისათვის დამაშვრალ სასულიერო დასს: „გილოცავთ ავტოკეფალიას! ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერიის ეკლესიას, რადგანაც დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, ტანჯვის

⁴ელდარ ბუბულაშვილი. დაჩაგრული ერისა და ეკლესიის ქომაგი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი)– გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, გვ. №9-12.

⁵ელდარ ბუბულაშვილი. დაჩაგრული ერისა და ეკლესიის ქომაგი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი)– გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, გვ. №9-12.

ცრემლს ღვრიდა, ახლა კი სიხარულის ცრემლსა ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას!”⁶

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ, ქართველი სასულიერო და საერო პირთა დიდი ნაწილი მოითხოვდა, რომ რუსეთიდან ჩამოეყვანათ გულმხურვალე ავტოკეფალისტი, ეპისკოპოსი კირიონი და სწორედ, იგი ყოფილიყო არჩეული ქართული ეკლესიის მამამთავრად. თავის მხრივ, რუსული ცარისტული მანქანის ერთგული მსახურები აცნობიერებდნენ რა ეპისკოპოს კირიონის გამორჩეულ პიროვნებასა და მის ფასს, ამიტომ მისი დაწინაურება გადაწყვიტეს და შესთავაზეს რუსეთის ეკლესიაში, ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი კათედრის – პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიის მიტროპოლიტობა, რაზეც, მეუფე კირიონმა მყისიერი და მტკიცე უარი განაცხადა. 1917 წლის ზაფხულში, ერისა და ეკლესიისთვის დამაშვრალი დიდად ნატანჯი მღვდელმთავარი დაბრუნდა სანატრელ სამშობლოში. იმავე წლის 17 სექტემბერს, საეკლესიო კრებამ, ხმათა უმრავლესობით იგი აირჩია ავტოკეფალიაადღეენილი საქართველოს ეკლესიის პირველ მამამთავრად - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთის მთავარეპისკოპოსად. მეტად ურთულეს ვითარებაში მოუხდა უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ მეორეს, საქართველოს მამამთავრის უმძიმესი ჯვრის ზიდვა. მის წინააღმდეგ მრავალი ინტრიგა იხლართებოდა, თუმცა ღვთის შეწვევითა და პირადი ღრმა ერუდიციისა და კოლოსალური გამოცდილების ფონზე, პატრიარქი უმკლავდებოდა მავანთა მხრიდან განხორციელებულ შემოტევებს. მან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების მიზნით, მიმართვები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს. სხვა მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთებაც სურდა... იმ საბედისწერო დღეს, 1918 წლის 26 ივნისს, როცა უწმიდესი პატრიარქი მღვდელ-მონაზონ ტარასისთან (კანდელაკი) ერთად მარტყოფს მიეშურებოდა დასასვენებლად, მისთვის განუცხადებია: „აუცილებლად მოგონებები უნდა დავეწერო ჩვენი ეკლესიის უახლესი წარსულის შესახებ. შთამომავლობამ უნდა იცოდეს ყოველივე ის, რასაც ალბათ, ჩვენი ისტორია ვერ შემოინახავს“⁷. სამწუხაროდ, პატრიარქის აღნიშნული განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, რადგან, გვიან ღამით, იგი ვერაგულად მოკლეს მარტყოფის საპატრიარქო რეზიდენციაში.

ჩაესვენა კიდევ ერთი კაშკაშა და პიროვნულად უშრეტო მზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქართველი ერისა... მისი სახით წუთისოფელი დატოვა და ზესთასოფელს შეუერთდა ეპოქალური მოღვაწე, მღვდელმთავარი და მამამთავარი, რომლის საეკლესიო და ეროვნული მოღვაწეობის ბრწყინვალე სინთეზი ღრმად სასიკეთოდ ეფინებოდა ჩვენი დიდად შეჭირვებული ქართული ეკლესიისა და მრავალგზის კვეთებული ქართველი ხალხის მომავალ კეთილდღეობას. უწმიდესი და უნეტარესი კირიონი წარმოადგენს მარადიულ სახეს ქართველი ერის უცვლელი სულიერი მამისა და მწყემსმთავრისა. კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორეს, მისდამი ღრმა პატივების გამოსახატავად, საპატრიარქოს კანცელარიის ოთახში, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორეს გადიდებული სურათი ეკიდა და არაერთზგზის აღნიშნავდა თურმე: „დააკვირდით მის სახეს! საუკუნეების სიდრმიდან მოსული გეგონებათ.“ ჭეშმარიტად! უწმიდესი და უნეტარესი კირიონი გახლდათ იმ ფესვუძველესი და გაუტეხელი ქართული ეროვნული სულისკვეთების უდალატო დამტკევი და გამტარებელი, რომელიც უხსოვარ ღრმიდან დღემდე ცხოველსმყოფელობას და სიმტკიცეს სძენს ქართულ ეროვნულ თვითმყოფადობასა და თვითშეგნებას.

დაუცხრომელად ევედროს წმიდა მღვდელმოწამე კირიონმა, ვითარცა დიდად ნაღვაწმა და ნატანჯმა მამამთავარმა ყოვლადძლიერ და მრავამოწყალე ღმერთს თავისი სამწყსოსათვის - დედა ღვთის წილხვედრი უხვსისხლნადენი, თუმცა სულგაუტეხელი საქართველოსათვის.

⁶ელდარ ბუბულაშვილი. დაწარული ერისა და ეკლესიის ქომაგი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი).- გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, გვ. №9-12.

⁷ელდარ ბუბულაშვილი. დაწარული ერისა და ეკლესიის ქომაგი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი).- გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, გვ. №9-12.

Lasha Deisadze-Sharvashidze

National idea of creation of His Holiness and Beatitude Kirion

Summary

This resume represents of analysis of the accomplishments of His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of all Georgia and Archbishop of Mtskheta Kirion the second and gives us a clear description of his distinctive devotion to his own country and mother church. Catholicos-Patriarch Kirion the second played a major role in validating the autocephaly of the Georgian Apostolic Orthodox Church and researching vital ancient documentation. With his help, tens of young people had been sent abroad for education, who returned with a huge devotion and commitment to serve home country and the church.

His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of all Georgia and Archbishop of Mtskheta Kirion the second from early youth till the day he was killed, had shown a confound dedication and loyalty to our country and the ancient Georgian Apostolic Orthodox Church.

აღსაყდრება უწმინდესისა და უნეტარისის პირიონ მიორისა

„ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი.
უცხოეთში მყოფი, ისტორიკოსი, კარგად
მკვლევარი საქართველოს ეკლესიის და
ერის ისტორიის, ცნობილი მთელ რუსეთში
და რუსულ ისტორიულ მწერლობაშია“¹.
ზაქარია ჭიჭინაძე

დღეს ივერიის უძველესი ეკლესია პატივს მიაგებს დიდ მამამთავარს უწმინდესსა და უნეტარეს კირიონს... ქართული კულტურის დიდი მოღვაწე კირიონ მეორე იმ გამორჩეულ მამამთავართა რიცხვს ამშვენებს, რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს მსოფლიო ეკლესიის საგანძურში საქართველოს წარმოჩენას, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას, ერის სიძველეთა მოვლა-პატრონობას, სულიერების გადარჩენასა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

წმინდა პავლე მოციქული სამარადჟამო მცნებას გვაძლევს: „მოიხსენებით წინამძღვარი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისათა; და ხედვით გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა“ (ებრ. 13,7).²

სწორედ ასეთი მისაბაძი და სამაგალითო პიროვნება ბრძანდებოდა კათალიკოსი კირიონი.

პატრიარქის არჩევნები

1917 წლის 17 სექტემბერს, თბილისის სიონის ტაძარში, სამღვდელო დასმან და მღვდელმთავართა კრებულმან, ყოველთა მორწმუნეთა საქართველოს ეკლესიისათა ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღირჩიეს ეპისკოპოსი კირიონ, შთაგონებითა ღმრთისათა, მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

1917 წლის 9 სექტემბერს თბილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, როგორც გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა კრებას თავჯდომარეობდნენ მიტროპოლიტი ლეონიდე, გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე, სპირიდონ კედი. კრებამ განიხილა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ეპარქიების, საკათალიკოსო საბჭოს შექმნის საკითხები. მსჯელობის საგანი იყო საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა საკითხიც. სახელდობრ, საჭირო იყო თუ არა მიტროპოლიტის პატივის არსებობა საქართველოს ეკლესიაში. ხმათა უმრავლესობით ეს საკითხი დადებით გადაწყდა. შეიქმნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნების ხმის დამთვლელი კომისია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის თავჯდომარეობით. 17 სექტემბერს დაინიშნა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები³.

1917 წლის 17 სექტემბერს, I საეკლესიო კრებაზე, რომელსაც 441 დელეგატი ესწრებოდა, 231 დელეგატმა ხმა მისცა ეპისკოპოს კირიონს, მან 11 ხმით გაუსწრო მიტროპოლიტ ლეონიდეს და კირიონი არჩეულ იქნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად⁴.

კირიონის კათალიკოსად არჩევასთან დაკავშირებით საინტერესოა კრების თავჯდომარის ანჩისხატის დეკანოზის ნიკიტა თალაკვაძის მოგონება, სადაც ის მოგვითხრობს შემდეგს: „1917 წლის 17 ენკენისთვის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები მოხდა სიონის ტაძარში. არჩევნები დაიწყო დღის პირველ საათზე და დასრულდა სამზე. არჩევნების დროს კირიონიცა და ლეონიდეს სიონის ეზოში იყვნენ, ცალ-ცალკე ოთახში. რომ გამოირკვა კენჭის ყრა, შემოიყვანეს

¹ზაქარია ჭიჭინაძე. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოღობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წლებში. თბილისი, 1914.

²ახალი აღთქმა. თბილისი, 2011, გვ. 595.

³სერგო ვარდოსანიძე. კირიონ II. ოზურგეთი, 1994, გვ. 20.

⁴სერგო ვარდოსანიძე. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეებში). თბილისი, 2010, გვ. 67-68.

ჯერ ლეონიდე, რომელიც უნდა მიჰკვებებოდა კარიბჭეში კირიონს! შეიმოსა და მიეგება კირიონს, რომელიც შემოიყვანა ტაძარში არქიმანდრიტებმა⁵.

ახლად გამორჩეულ პატრიარქს მიტროპოლიტმა ლეონიდემ მოკლე სიტყვით მიმართა: „მე მიორკეცდება ძალ-ღონე, რომ მარტო არ ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ, მთელი ჩემი არსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში“⁶.

კრების თავჯდომარის მოგონებიდან: „კირიონმა დინჯად, აუღელვებლად დაიჭირა ამბიონი და იქიდან კრებას მიმართა სიტყვით, მადლობა შესწირა კრებას და ორივე ხელით ჯვარი გადასახა. იგრგვინა კრებამ „აქსიოს“ „აქსიოს“ „აქსიოს“! შემდეგ ვიგალობეთ „დღეს სამღვთიან მადლმან“... სიონიდან კათოლიკოსი ამ გალობით და ლიტანიობით, მთელმა კრებამ და ქუჩაში შემოერთებულმა ზღვა ხალხმა, ლეონიდთან ერთად, წაიყვანეთ და დავაბინავეთ „საკათალიკოსო სასახლეში“⁷

როგორც დეკანოზი ნიკიტა აღნიშნავს იმდენი რამ იყო გასაკეთებელი „ეყოფოდა ეგ „საქმე“ ათ კირიონსა და ოც ლეონიდსაც!“⁸

აღსაყდრება

დადგა ბედნიერი დღე, ივერიის ეკლესიაში, როდესაც განახლდა სვეტიცხოვლის კათედრალში მამამთავართა აღსაყდრება. ამ დღესთან დაკავშირებით იგონებს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე: „დღეს მოხდა კათალიკოს კირიონ მეორეს „ინტრონიზაცია“ ანუ კათალიკოსის კათედრაზე დაბრძანება!... შეასრულეს დღეს მცხეთაში. დიდ-ძალი ხალხი იყო. კათალიკოსს მეფური „შეხვედრა“ გაუკეთეს მცხეთის რკინიგზის სადგურზე. ლეონიდეც მის გვერდით იყო და ყველა იერარქები!“⁹

წესი ეპისკოპოსად ხელდასხმისა, ასევე კათალიკოსად კურთხევისა და საყდრად აღყვანებისა უძველესი დროიდანვეა ნათარგმნი ქართულად; არ იგულისხმება ლოცვები და ფორმულები, რომელიც მეთერთმეტე საუკუნიდან წმინდა ექვთიმე ათონელის რედაქციით იხმარებოდა ჩვენში. რაც შეეხება „ცერემონიალურ“ ნაწილს, ძველ ქართულ ხელნაწერებში არ არსებობდა მხოლოდ ანტონ კათალიკოსმა თარგმნა ის პირველად მეთვრამეტე საუკუნეში რუსეთის ეკლესიის „არქიერატიკონიდან“¹⁰ თუმცა „აღსაყდრებათა“ და ლოცვათა რედაქციები ძველებურად დატოვა, როგორც ეს გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნის ბერძნულ „აღლიაციის“ ექსპლოაციონში¹¹.

„წესი კათალიკოსად კურთხევისა“ პირველად მეთვრამეტე საუკუნის ექსპლოაციონში (საეკლ.მუხ.86) გვხვდება. მის მეორე რედაქციას გელათის ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს¹².

1917 წელს, დეკანოზ კორნელი კეკელიძის გამოცემულ წიგნში „წესი ეპისკოპოსად ხელდასხმისა“ მოცემულია კათალიკოსად აღსაყდრების წესი („ტიპიკონი“ შენიშვნებით). აღნიშნულ გამოცემაში შეერთებულია ეს ორი რედაქცია. „საყდრად აღყვანება“, წარმოდგენილია თანახმად საბერძნეთის ეკლესიის პრაქტიკისა, რადგან ჩვენს ლიტურგიკულ მწერლობაში ამის შესახებ გარკვეული ცნობები არ შემონახულა¹³.

ეპისკოპოს კირიონის აღსაყდრება სწორედ ზემოთ აღნიშნული ტიპიკონის მიხედვით მოხდა.

კათალიკოსად გამორჩეული შეიმოსება შუა ტაძარში კათედრაზე, ხოლო მღვდელმთავარი საკურთხეველში, ამ დროს სრულდება ჟამნობა.

მცირე გამოსვლის დროს როდესაც განთავსდება სასულიერო დასი კათედრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს, პროტოდიაკონი იტყვის: „უფლისა მიმართ ვილოცოთ“;

მგალობლნი: „უფალო შეგიწყალებ“.

უპირატესი მღვდელმთავარი: კათალიკოსად არჩეული ლოცვების წაკითხვის დროს კათედრაზე მუხლს მოიყრის, მოიხდის მიტრას; უპირატესი მღვდელმთავარი წაიკითხავს ლოცვას: „ღმერთო რომელმან, ყოველივე შექმენ...“¹⁴

1917 წელს, ჟურნალ „სვეტიცხოველში“ დაიბეჭდა აღსაყდრების დღეს წარმოთქმული სიტყვა კირიონ მეორისა, რომლიდანაც ამონარიდს მოვიტან: „საქართველოს ეკლესიამ, ასის წლის მონობის შემდეგ,

⁵დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 50-51.

⁶მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009, გვ. 1111.

⁷დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 50-51.

⁸დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 50-51.

⁹დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 50-51.

¹⁰არქიერატიკონი-სამღვდელმთავრო კონდაკი.

¹¹დიდი კურთხევა.

¹²კორნელი კეკელიძე. წესი, რომელი იქმნების ხელდასხმისა ზედა ეპისკოპოზისა. თბილისი, 1917, გვ. 3.

¹³კორნელი კეკელიძე. წესი, რომელი იქმნების ხელდასხმისა ზედა ეპისკოპოზისა. თბილისი, 1917, გვ. 2-4.

¹⁴კორნელი კეკელიძე. წესი, რომელი იქმნების ხელდასხმისა ზედა ეპისკოპოზისა. თბილისი, 1917, გვ. 32.

კვლავ ჰპოვა მოწყალე ღვთისა და დაიბრუნა თვისი დამოუკიდებლობა. ამიერიდან „არღარა ვართ მონა, არამედ აზნაურ“. ქართველმა ერმა ამა წლის 17 სექტემბერს დამადგინა მე უღირსი ახლად აღდგენილ თვისისა ეკლესიისა მხედ და საჭეთმპყრობელად. აღვალ რა მცხეთის ძველ საპატრიარქო საყდარზედ, მოგმართავთ ყველას მოციქულის სიტყვებით: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ ყოველთა თანა“. საყვარელო სამშობლო, ღვთის დედის წილხდომლო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებისასა განწმენდილო! შენთვის ტანჯული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მარად შენკენ მოსწრაფებული, დღეს განვისვენებ ტკიბლსა წიაღსა შენსა შინა, არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინიდისი ეკლესიისა შენისა...“¹⁵ „მოველ არა ვითარცა მნე, სასყიდლით დადგინებული, არამედ ვითარცა მნე ერთგული და მარად მორჩილი და სიყვარულით აღვსილი...“¹⁶ „ჭეშმარიტად საღმრთო, დიდ და აღმატებულ არს წმიდაი ესე მსახურება, რომლისათვის, - თქმულისაებრ წმიდისა იოანე ოქროპირისა, - საჭირო არს ძალი და ბუნება ანგელოზთა“¹⁷. **ასი წლის მონობის გამო შეირყა საქართველოს ეკლესიის მწყობრი ცხოვრება, ერის გულთან შეთანხმებული;** დაირღვა კავშირი, გაქრა სული ცხოველი...ღმერთო, შეწვენასა ჩემსა მოხედენ; უფალო, შეწვენად ჩემდა ისწრაფე“ (ფს. 69,3). ამინ. უმდაბლესი და უღირსი კირიონ, სრულიად საქართველო ს კათოლიკოზ პატრიარქი. ქ. ტფილისი, 19 ოქტომბერს 1917 წ.¹⁸

მართალია საეკლესიო კრებამ კათოლიკოს პატრიარქად უწმინდესი და უნეტარესი კირიონი II აირჩია, მაგრამ არ გააუქმა ტფილელი მიტროპოლიტის თანამდებობა... კირიონ II არჩევის შემდეგ მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსობაც მისი უნდა ყოფილიყო. კირიონს სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის ჩატარების უფლებაც არ ჰქონდა. იქ ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე სწირავდა. ხოლო კირიონი ანჩისხატის მცირე ეკლესიაში ადავლენდა საღმრთო ლიტურგიას¹⁹.

წირვის შემდეგ სადილი გაიმართა სამთავროს დედათა მონასტერში! ხალხი ზეიმობდა ტაძრის ეზოში. კათალიკოსის აღსაყდრებას²⁰.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის შესამოსელი და რეგალიები

მსოფლიოს ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურთაგან საქართველოს კათოლიკოს პატრიარქების, შესამოსელი და რეგალიები რიგი თავისებურებებით გამოირჩეული და განსხვავებულია. მისი აღწერა მოცემული აქვს ისტორიკოსს მოსე ჯანაშიელს, სადაც ის წერს: **კათოლიკოზ-პატრიარქთა შესამოსელი:** შავი ბარტყულა, რომელზედაც ჩაკერებული იყო ორი სერაფიმი მარგალიტებითა და სხვა ძვირფასი ქვებითა, იმაზედვე ძვირფასი ჯვარი, წამოსასხამი მანტია ხავერდისა ვერცხლის წინწკლებით, მიტრა ჯვრითა და კბილებიანი გვირგვინით. მღვდელმოქმედების დროს ორი პანაგია ჯვარედინად. 1800 წელს იმპერატორმა პავლე I-მა ანტონ II-ს უბოძა თეთრი ბარტყულა სერაფიმებით²¹.

დასკვნა

კირიონმა აღსაყდრებისას სვეტიცხოვლის ტაძარში სადაც განისვენებს კაცთათვის ხელშესახები, ყველაზე დიდი სიწმინდე „სვეტიცხოველი“ და ზეგარდამოქსოვილი „საუფლო კვართი“ აღთქმა დადო ერთგული მსახურებისა. ის ბრძანებდა: „მივიღებ აღრჩევასა ქრისტეს მორწმუნისა ერისასა და მოსრული წინაშე ღვთივადმართებულისა ამის ბრწყინვალე სვეტისა და კვართისა ცხოველმყოფელისა აღთქმასა ვჰყოფ საღმრთოთა წესთა და სარწმუნოებისა დაცვისათვის, - ერთგულებისათვის ამა კათოლიკე ეკლესიისა და თავისა და სულისა დადებისათვის, ვიდრე სისხლის დათხევამდე ერისა ჩემისა კეთილდღეობისათვის. აღჭურვილი ვარ ცხოველითა სარწმუნოებითა, რომ მეოხებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათა ივერიის ეკლესიისათა წარიმართოს საქმე კეთილად და სადიდებლად ღვთისა“²²

¹⁵კურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N4, გვ. 2.

¹⁶კურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N4, გვ. 2.

¹⁷კურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N4, გვ. 2.

¹⁸კურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N4, გვ. 2-3.

¹⁹სერგო ვარდოსანიძე. კირიონ II. ოზურგეთი, 1994, გვ. 21.

²⁰დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 53.

²¹მოსე ჯანაშიელი. საქართველოს საეკლესიო ისტორია. თბილისი, 1990, გვ. 149.

²²კურნალი „სვეტიცხოველი“, 1917, N4, გვ. 3.

კათოლიკოს პატრიარქ კირიონის გარდაცვალებით, კიდევ ერთი მანათობელი ლამპარი დაშრტა იმდროინდელ ივერიის ეკლესიაში. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ჩანს მის ბიოგრაფიულ ცნობებსა და ნაშრომებში. მამამთავარი, რომელიც იღვწოდა თავისი ერისა და უწმინდესი ეკლესიის სამსახურში, ერისკაცობიდან ვიდრე პატრიარქობამდე.

„ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმპყრობლად მოგიწოდეთ, ნამდვილად კი ეს საჭე ხელიდან გამოგაცალეთ.“ კირიონის ცხედრის წინ ბრძანა დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ.

ტრაგიკული გამოდგა საქართველოსთვის 1918 წლის 26 აგვისტო, მოულოდნელი და საშინელი იყო მისი ამგვარი გარდაცვალება. თუმცა, მისი პატივგება და ხსოვნა, მარად იქნება იმათ გულებში, ვისაც ამოუკითხავს და სმენია მის შესახებ. ჩვენი ვაღია ვიცოდეთ, პატივს მივაგებდეთ და შენდობას ვთხოვდეთ უწმინდესს იმის გამო, რომ შესაბამისად ვერ დავაფასეთ მისი სახელი. პატრიარქისა რომელსაც შეიძლება ითქვას არ აპატიეს ქართველობა და საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი, უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა.

კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა, შეამკო და განადიდა საქართველოს ეკლესია ვითარცა ნეტართა არსენ, მელქისედეკ, ანტონი და სხვათა უწინარეს მისთა კათალიკოსთა.

უწმინდესო კირიონ გმადლობს შენ ერი ქართველთა, რომელიც განაშვენე შენ სახელითა შენითა. შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამასაუკუნოსა, რომელმაც დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარეობას დევნა და გაჭირვება ვერ აფერხებდა.

გმადლობს შენ ენა მშობლიური, ენა, რომელიც მდიდარ ჰყავ ქადაგებითა შენითა; ენა, რომლისათვისაც ებრძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელ პირთა, რომელთაც ენა პეტრიწისა, გიორგი მთაწმინდელისა უარჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუდგარი მეცნიერებისათვის.

უმეტეს გმადლობს შენ ეკლესია ივერიისა.

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ.“

Irakli Lortkipanidze

Enthronements of His Holiness and Beatitude Kirion the second

Summary

The resume concerns elections of Catholicos-Patriarch with was held in 1917. In this election His Holiness Kirion II was elected as a Patriarch and was enthroned on 1 October in 1917 in Svetitskhoveli Cathedral. The report also reviews statements of the Heads of the Orthodox Church's Patriarchate garments and ragalias.

Catholicos-Patriarch Kirion II dadedicated all of his life to the church's welfare.

3 0 3 3 3 3 0 3

ქრისტიანული ეგზეგეტიკის თეორიულ-სახისმეტყველებითი პრინციპების ისტორიიდან

ქრისტიანული ეგზეგეტიკა, როგორც ცნობილია, ძირითადად ბიბლიური თხზულებების განმარტებას ითვალისწინებდა. კ. კეკელიძე თავის გამოკვლევაში - „თარგმანებად ეკლესიასტისად მიტროფანე ზმეირნელ მიტროპოლიტისად“- გამოყოფს ქრისტიანული ეგზეგეტიკის სამ მახასიათებელ ნიშანს. განმარტება სამგვარი იყო: პირველი – ტექსტისა და მისი შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა და თხრობა; მეორე – მისი გააზრების გაადვილება კომენტარების საშუალებით, და მესამე – ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება.

„თარგმანება“, „თარგმანი“ გამოხატავს, ერთი მხრივ, გადმოთარგმნას, ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტის კომენტირებას. გარდა ამისა, „თარგმანი“ გამოიყენება მთარგმნელ-კომენტატორი პირის აღსანიშნავად. ამ აზრით ხმარობს მითითებულ ტერმინებს წმ. ეფრემ მცირეც.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ქრისტიანული ეგზეგეტიკა წარმოშობილია ელინისტური ეგზეგეტიკის ნიადაგზე. ბერძენი და რომაელი მწერლები და ფილოსოფოსები ანტიკურ მითებს ხშირად ურთავდნენ კომენტარებს. ასევე იქცეოდნენ ძველებრაველი თაღმუდისტებიც „თორას“ განმარტებისას. აღსანიშნავია, რომ სტოიკოსები სხვადასხვა თხზულებას, განსაკუთრებით კი ჰომეროსის ნაწარმოებებს, ღვთაების შთავონებით დაწერილად თვლიდნენ. ამიტომ ისინიც აღქმის გასაადვილებლად თხზულებებს კომენტარებს უწერდნენ. ეს მეთოდი შემდგომ ნეოპლატონიკოსებმაც გამოიყენეს, რომლებიც, სტოიკოსთა მსგავსად, ჰომეროსის პოემებში კოსმიურ, სულიერ და ღვთაებრივ ძალთა ალეგორიულ გამოხატულებას ხედავდნენ. ამ აზრს ს. ავერინცევი ასე აყალიბებს: მითებისა და პოეტური ტექსტების ელინისტური განმარტებების ტრადიციებზე მეტყველებს სტოიკოსთა მიერ შემუშავებული ჰომეროსის თხზულებათა მორალისტური ინტერპრეტაცია, რომლის ტრადიციებიც გადმოიღეს ნეოპლატონიკოსებმაც. ეგვევ მეთოდები ჯერ კიდევ ქრისტიან ალექსანდრიელებამდე ბიბლიას მიუსადაგა იუდეველმა ალექსანდრიელმა ფილონმა. მასთან, ისევე როგორც ორიგენესთან, ელინისტური ტრადიცია ტექსტის განმარტებისა იუდაურზეა დაფუძნებული¹.

ნაწარმოებებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ეგზეგეტიკის განვითარებას. სწორედ ამიტომაც ითვლება, რომ სტოიკოსთა და ნეოპლატონიკოსთა შეხედულებებმა შუა საუკუნეთა და აღორძინების ხანის სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

IV ს-დან იწყება ქრისტიანული ეგზეგეტიკის განსაკუთრებული განვითარება. გამოირჩევა ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლები, რომელთაც ბიბლიურ ტექსტთა კომენტირებისას განსხვავებული პრინციპები მიიღეს. ქრისტიანული ღვთისმეტყველების ალექსანდრიულმა სკოლამ ბიბლიური „წმიდა ისტორიის“ ალეგორიული ინტერპრეტაციის მეთოდი შეიმუშავა. ძველი აღთქმის თითქმის ყველა ეპიზოდი განიხილებოდა როგორც ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ალეგორიები. მაგრამ, თავის მხრივ, უკანასკნელ მოვლენებს შეეძლოთ იგავურად მიეთითებინათ ქრისტიანული სულის შინაგან გზათა პერიპეტიებზე. ალექსანდრიული სკოლის ინტერპრეტაცია თითქოსდა ჩქარობს გაიაროს, გასხლტეს მოვლენის კონკრეტულ სახეში მისი აბსტრაქტული მნიშვნელობისკენ².

ალექსანდრიული და ნაწილობრივ აპოლოგეტური კომენტირების მეთოდის საპირისპიროდ ანტიოქიელებმა ბიბლიის სიტყვასიტყვით – ისტორიულ („განმარტებითი თარგმანებად“ – წმ. ეფრემ მცირის სიტყვათხმარებაში) შინაარსზე გააკეთეს ძირითადი აქცენტი. ალექსანდრიულობისა და ანტიოქიურობის ზომიერი ფორმები სინთეზურად შევიდა ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაში.

საზოგადოდ, ბერძნული ეგზეგეტიკის ისტორიაში გამოიყოფა სამი პერიოდი: დასაწყისი, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, კლასიკური, მეოთხე და მეხუთე საუკუნეებისა და ბიზანტიური, რომელიც მეექვსე საუკუნიდან იწყება და თითქმის კონსტანტინოპოლის დაცემამდე გრძელდება.

ძველ მწერლობაში ცნობილი არიან ეგზეტიკის შემდეგი წარმომადგენლები: იპოლიტე პრომაელი (გარდ. 236წ.), ორიგენე (გარდ. 254 წ.), დიონისე ალექსანდრიელი (გარდ. 264 წ.), მეთოდე ოლიმპიელი

¹ ს. ავერინცევი. ადრეობიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა. მ. 1977, გვ. 264.

² ს. ავერინცევი. ადრეობიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა. მ. 1977, გვ. 96.

(გარდ. 310 წ.), ალექსანდრიისა და ანტიოქიის სკოლების IV-V სს-ეების მოღვაწეები: წმ. ეპიფანე კვიპრელი, წმ. ეფრემ ასური, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. დიონისე ტარსელი, წმ. გრიგოლ ნოსელი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ევსუქი იერუსალიმელი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, წმ. თეოდორიტი კვირელი და სხვანი.

VI ს-დან ეგზეგეტიკურ მწერლობაში შემუშავდა ბიბლიურ ტექსტთა ინტერპრეტაციის ერთგვარი სტერეოტიპული პრინციპი, რომელსაც ასეთი ფორმულირება მიეცა: „ნუმცა სხუებრ თარგმნიან მას (საღმრთო წერილს), თვინიერ ვითარ იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თვისთა მიერ გარდამოსცემსა“. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ისეთი ეგზეგეტიკოსები, როგორებიც იყვნენ პროკოპი დახელი, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი, მაქსიმე აღმსარებელი კესარია-კაპადოკიელი, ფოტი პატრიარქი, მიქაელ პსელოსი, თეოფილაქტე ბულგარელი, ანდრია ი, ექვთიმე ზიდაბენი და სხვანი. ამ მოღვაწეთა თხზულებანი უმთავრესად კომპილაციური ხასიათისაა; მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელი ერთი გარემოება: „მედიევალური მწერლის თვალთახედვით, წინაპართა მთელი შემოქმედება წარმოადგენს მის საკუთრებას, რომელსაც იგი შეიძლება დაუფლოს, ნებისმიერად მოეპყროს. აქ არ არსებობს არც პლაგიატის, არც საავტორო უფლების ცნება. უდიდესი პატივი, რომელიც შეიძლება მიეგოს წინამორბედს, არის არა მისი ნაწარმოებით ტკობა, მისი ხელუხლებლად შენახვა, არამედ მისი გაცოცხლება ახალ ნაწარმოებში, ცოცხალ შემოქმედებაში. გადამუშავება ეს არის გამდიდრება. ამავე დროს, ეს არის უზენაეს რეალიებთან, მარადიულ იდეებთან ზიარების პირდაპირი გზა, რადგან ეს იდეები მოიპოვება ძველ მწერალთა ნაწარმოებებში“³.

ამიტომ ხემოჩამოთვლილი მწერლებიც ძირითადად იმეორებენ წინარე პერიოდის ეგზეგეტთა ნააზრევს. ასე წარმოიშვა კატენები, რომლებშიც თავმოყრილია ბიბლიის ტექსტების სხვადასხვა ადგილის წმ. მამებისეული ის განმარტებანი, რომლებიც მკითხველს ტექსტის ადქმას უადვილებდა.

კატენების ავტორებიდან გამოირჩევიან პროკოპი დახელი (VI ს.), ანდრია ხუცესი (VII ს.), იოანე დრუნდარი (XI ს.), ნიკიტა სერონელი (XI ს.), ნიკოლოზ მუხალონი (XII ს.), ნეოფიტე ეგკლეისტი (XII ს.).

ძველ ქართულ მწერლობაში ეგზეგეტიკური ნაშრომები VI ს-დან დასტურდება, კერძოდ, „ეგესტათი მცხეთელის მარტივლობაში“. შენიშნულია, რომ ამ თხზულებაში მოყვანილი „თარგმანების“ სახით ხელთ გვაქვს ერთგვარი ქალდეურ-არამეული თარგუმისებური ნაწარმოები.

ნათარგმნი ეგზეტიკური თხზულებებიდან შემორჩენილია წმ. ეპიფანე კვიპრელის, წმ. ანდრია კრეტელის, წმ. კირილე ალექსანდრიელის, წმ. ბასილი დიდის, წმ. დიონისე ტარსელის, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. თეოფილაქტე ბულგარელისა და სხვათა ნაწარმოებები. ნაწილი ამ წმ. მამათა თხზულებებისა შეტანილია „შატბერდის კრებულში“. აღნიშნული ჟანრის განვითარებასა და ძველთა თარგმნაში დიდია წმ. ეფთვიმე და წმ. გიორგი ათონელების ღვაწლი, რომელთა შრომაც წმ. ეფრემ მცირემ გააგრძელა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეპისტოლეთა კომენტარების თარგმნას და გადმოაქართულა წმ. იოანე ოქროპირის განმარტებანი. ესაა „თარგმანებად სამოციქულოსად“ და სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მიჩნეულია ეფრემ მცირის შრომად, რომელიც დაწერილია იოანე ოქროპირის, გერმანოსის, ბასილი დიდის, იოანე დამასკელისა და სხვათა კომენტარების გამოყენებითი (კ. კეკელიძე).

წმ. ეფრემმა შეადგინა აგრეთვე „თარგმანებად ფსალმუნთა“, რომელიც წარმოადგენს დავითნის კატენებს. იგი ძირითადად შექმნილია ათანასე და კირილე ალექსანდრიელების, ბასილი დიდის, ევსუქი იერუსალიმელის, ასტერი ამასიელისა და იოანე ოქროპირის კომენტარების საფუძველზე. ფაქტიურად წმ. ეფრემ მცირე პირველი ქართველი მოღვაწეა, რომელმაც ჩვენ მწერლობაში შემოიტანა და დაამკვიდრა კატენები, როგორც ეგზეგეტიკური მწერლობის გარკვეული ჟანრის თხზულებები. კატენთა სხვადასხვა ეპოქის ავტორების ნაშრომთა მსგავსად, წმ. ეფრემის ეს თხზულებაც კომპილაციური ხასიათისაა, რადგან, როგორც ვთქვით, მასში მოცემულია და შეჯამებული წინამორბედ ავტორთა მიერ განმარტებული ბიბლიური ეპიზოდები, სახეები თუ „წოდებები“, თუმცა, როგორც შენიშნულია, გარეგანი კონსტრუქციითაა და გვემით, რაც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევასა და მათ დალაგებაში, ის წმ. ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ეს შრომა არის ორიგინალური რეცენზია დავითნის კატენებისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ, საზოგადოდ, ჰერმენევტიკის ისტორიაში.

³ა. ალექსიძე. ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII-XIV სს.). თბილისი, 1976, გვ. 262.

ამ ნაშრომთა გარდა, წმ. ეფრემს კიდევ ორი ეგზეგეტიკური ნაწარმოების თარგმანი ეკუთვნის: გრიგოლ საკვირველმოქმედის „მეტაფრასი ეკლესიასტისაჲ“ და გრიგოლ ღვთისმეტყველის „მეტაფრასი ეხეკიელისაჲ“. როგორც ჩანს, „მეტაფრაზი“ ეწოდებოდა ეგზეგეტიკურ „გარდათქმასაც“.

აქვე წამოიჭრება საკითხი წმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპების შესახებ, რადგან ათონელ მოღვაწეთა მიერ ნათარგმნ თხზულებათა წმ. ეფრემის მიერ დედანთან მაქსიმალური სიზუსტით გადმოქართულება ეგზეგეტიკური მუშაობისას შექმნილმა სიძნელებამაც განაპირობა. ზოგიერთი განსამარტავი ტერმინი თუ სიტყვა უფრო ზუსტ გადმოტანას ითხოვდა. წმ. ეფრემ მცირის შენიშვნით, ბერძნული ენა „უფსკრული ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვად მრავალსა პირსა აღიარებს“; ამიტომ მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს „რაბამობად ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ“⁴.

ამდენად, ეგზეგეტიკური მწერლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტყვა ჯერ მაქსიმალური შესაბამისობით უნდა გადმოთარგმნილიყო და შემდეგ დართვოდა მას კომენტარები. ამის გამო წმ. ეფრემი „ფსალმუნთა თარგმანების შესავალში“ წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ ტექსტებზე მუშაობისას შენიშნავდა: „მცირედ ცვალებად პნებებია მის სიტყუასა... და მეცა ვერეთვე სამოციქულოდ სიტყუად ვითა ამათ ეთარგმნა, ვერეთ დამიწერია, პირველი რაჲთა მოწმობად მისი სრულ ვყო. ხოლო სადა თარგმანი სიტყუისაჲ მაიძულებდა იშვით ცვალებასა სიტყუისასა“, იგი „თარგმანსა შინა“ სპეციალური ნიშნებით გამომიყვიაო. სხვაგანაც ანალოგიურ შენიშვნას გამოთქვამს წმ. ეფრემი: რადგან ზოგჯერ განმარტებას არ შეეფერებოდა ქართული თარგმანი, ამიტომ პირველად სამოციქულოს ტექსტი შევასწორე „ბერძნულისა ძალისაბერ, თანა-შეწევნითა და წინა-ძღომითა თარგმანთა და ლექსიკონთაჲთა, რამეთუ არს მრავალი სიტყუად, რომელ თვისგან პავლესა შინა ეგე უფრო შეიწოვების ქართულად“. თავისი ეგზეგეტიკური მუშაობისას წმ. ეფრემ მცირე ასე რომ არ მოქცეულიყო, წინააღმდეგობა იქნებოდა თარგმანებასა და განსამარტავ ტექსტს შორის, რაც იმას გამოიწვევდა, რომ „კუდალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძნულისანი მაბრალოებედ გუეჭმნებოდეს გამოუძიებლად დაწერისათვის სიტყუათაჲსაო“.

სპეციალურ ლიტერატურაში წმ. ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი დაწვრილებითა და გულდასმით არის შესწავლილი. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ძირითადი დასკვნები ასეთია:

წმ. ეფრემ მცირე აგრძელებს V-XI სს-ებში შემუშავებული თარგმანის თეორიულ ტრადიციებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი უპირისპირდება ე. წ. „შემატება-გამოკლების“ მთარგმნელობით მეთოდს. წმ. ეფრემი მაქსიმალურად იყენებს ქართულ ენაში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობებს, ლექსიკურ სიმდიდრეს, რითაც ამჟღავნებს თავის მისწრაფებას ენის მხატვრულ-სტილისტურ პრობლემათა გადაჭრისკენ. ამიტომაცაა, რომ მის მიერ ნათარგმნ ტექსტებში გვხვდება ხან ზოგიერთი მუხლის ახალი თარგმანი, ზოგჯერ ტექსტში შეტანილია საჭირო დაზუსტებანი და შესწორებანი, ან გვაქვს ბერძნული ფრაზის პირდაპირი თარგმანი, მიმღებური კონსტრუქციები, სინონიმური შენაცვლებანი, ნეოლოგიზმები და სხვა ხასიათის ჩასწორებანი.

წმ. ეფრემის მოთხოვნით, მთარგმნელმა, პირველ რიგში, ზედმიწევნით უნდა იცოდეს დედნის ენისა და სათარგმნი ენის თავისებურებანი; მთარგმნელის მოვალეობაა, ისარგებლოს უძველესი ხელნაწერებით, რადგან ისინი დრო-ჟამის მანძილზე ილახებოდა; არ შეიძლება ნაწარმოების „ხედაწარწერილის“ ანუ სათაურის შეცვლა; შესრულებული თარგმანი ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს, მაგრამ ამ სიზუსტემ არ უნდა შელახოს იმ ენის ბუნება, რომელზეც ძეგლი ითარგმნა, რადგან მკითხველს ამ შემთხვევაში ხელთ ექნება ორიგინალიდან მოხვედრითი სიზუსტით და, აქედან, არამეცნიერულად ნათარგმნი თხზულებები; ამასთანავე, ყოველად დაუშვებელია სათარგმნი თხზულების „დაჭრა და განბძარვა“ (დანაწილება და შემოკლება); თარგმანს უნდა დაერთოს სპეციალური კომენტარები, რაც მკითხველს ტექსტის შინაარსის წვდომას გაუადვილებს.

ასეთია ზოგადად წმ. ეფრემ მცირისეული ზუსტი მეცნიერული თარგმნის თეორიული პრინციპები, რომლებიც მან შეიმუშავა – მისთვის მთარგმნელობა ესაა ფილოლოგიურ კვლევა-ძიებასთან შერწყმული შემოქმედებითი პროცესი, ხოლო ნათარგმნი ტექსტი საშუალება და სტიმული, რათა მკითხველი ორიგინალს მიუახლოვოს.

როგორც ითქვა, წმ. ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი გარკვეულწილად სწორედ ეგზეგეტიკური თხზულებების შედგენისასაა ჩამოყალიბებული და დახვეწილი. ქართველი მოღვაწის ტექსტისადმი ასეთი დამოკიდებულება ჩანს „ფსალმუნთა თარგმანების შესავალშიც“, რომელშიც მოცემულია

⁴ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VIII. თბილისი, 1977, გვ. 160.

ძირითად ქრისტოლოგიურ სახეთა და ტერმინთა, „წოდებათა“ სიტყვასიტყვითი თუ ალევორიული განმარტებანი, დაცული ზემოხსენებულ „კეთილად მეცნიერ“ წმ. მამათა თხზულებებში.

წმ. ეფრემ მცირის ამ ნაშრომის მიხედვით ჩანს, რომ, ერთი მხრივ, ალექსანდრიული სახისმეტყველებითი და, მეორე მხრივ, ანტიოქიური სიტყვასიტყვით-ისტორიული ინტერპრეტაციის მეთოდები შერწყმულია და ერთგვარი სინთეზური ფორმითაა შესული ღვთისმეტყველებაში (ამ სინთეზის ერთ-ერთი პირველი დადასტურებაა მიტროფანე ზმვირნელის „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“). ისიც უნდა ითქვას, რომ ბიბლიურ სახეთა კომენტირებისას ხელთ გვაქვს არა მარტო თეოლოგიური ხასიათის განმარტებანი, არამედ მონიშნულია ამ სახეთა მხატვრულად, სახეობრივად გააზრების შესაძლებლობაც.

შვენიშნავთ, რომ წმ. ეფრემ მცირისთვის ცნობილია როგორც ანტიოქიური, ასევე ალექსანდრიული სკოლის ბიბლიურ ტექსტთა ეგზეგეტიკური ინტერპრეტაციის მეთოდები. ამაზე მეტყველებს წმ. მამის შემდეგი მსჯელობა:

1. „უხეშთაჲს არს განმარტებით თარგმნა სახისმეტყველებით თარგმნისასა“, რასაც მხარს უჭერდნენ ანტიოქიური სკოლის ეგზეგეტები;
2. „მრავალნი იცილობებიან წიგნისათვის ფსალმუნთაჲსა, ვითარმედ არა ყოველნი დავითისნია, არამედ უმრავლესნი და ჩუენნი ყოველნი ერთ-ხმა არიან, ვითარმედ ყოველნივე დავითის მიერ თქმულ არიან“. ხოლო ეგზეგეტიკური ტრადიცია, რომელიც დავითს აცხადებდა ყველა ფსალმუნის ავტორად, დამახასიათებელი იყო სწორედ სირიული სკოლებისათვის, განსაკუთრებით კი – ანტიოქიურისათვის. ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლების, მაგალითად, ათანასე ალექსანდრიელის მიხედვით, ფსალმუნები ეკუთვნის შემდეგ ავტორებს: დავითს – 72, დავითისთვის თქმულია 9, ასაფისა – 12, კორეს ძეთა – 12, ეთამისა, ემანისა, სოლომონისა, მოსესი – თითო-თითო, ანგეასი და ზაქარიასი – 2.

„ფსალმუნთა თარგმანება“ წმ. ეფრემ მცირეს უმთავრესად ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელთა შრომების მიხედვით აქვს შედგენილი. ამ დროს მისი უმთავრესი მიზანი ასე განისაზღვრა: „პირველთა მათ უამთა არარაჲ აქუნდა სხუაჲ საგალობელად საეკლესიოდ თვინიერ ფსალმუნთა წიგნისა“. თუმცა ფსალმუნები ღვთისმსახურებაში შემდგომაც ფართოდ გამოიყენებოდა. ამიტომ ამ კატენთა შედგენით, როგორც ჩანს, წმ. ეფრემს სურდა, რომ ქართული ეკლესიის ლიტურგიულ პრაქტიკაში დადებულიყო დავითნის შედარებით სრულყოფილად კომენტირებული ტექსტი.

ზემოჩამოთვლილ წმ. მამათა თხზულებების გარდა, ეფრემი იყენებს ასევე ეფთვიმე ათონელის მიერ ნათარგმნ ბასილი კესარიელის „ფსალმუნთა თარგმანებასა“ და ზოგიერთ სხვა ჯერჯერობით უცნობ წყაროსაც. ესაა „რაოდენთა წიგნთაგან ერთად შემოკრებული“ თეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელიც „ვპოვნებ, ვითარმედ ერთსა წიგნსა შინა ვერ მიემთხვევის ყოველსავე უნაკლულოდ“.

წმ. ეფრემი ტექსტთა კომენტირების „ლიტონად მარტივთათვის“ გამიჯვნით „უღრმესად გამომეძიებელთათვის და გულისხმის მყოფელთაგან“ იძლევა ჰერმენევტიკის ძირითად განმსაზღვრელ ორ ნიშანს. როგორც შევნიშნეთ, ეგზეგეტიკური მწერლობის უპირველესი ამოცანა იყო მრევლისათვის ბიბლიური ტექსტის შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა, და ამ ტექსტთა აღქმის გაადვილება კომენტარების საშუალებით.

წმ. ეფრემი იმასაც მიუთითებს, რომ არიან „უკუე სხუანიცა უმრავლესნი პირველ მოხსენებულთასა მთარგმნელნი დავითისანი არა უეჭუელნი, არამედ ფრიადცა საეჭუელნი“. მას „წიგნებსა თან წმიდათასა“ შეუერთებია იმათი თხზულებებიც, „რომელნი-იგი არიანოხთა და ორიგანთა თანა შეიჩუენებიან“. ამას თავისი ახსნა მოეძებნება: ცნობილია, წმ. იოანე დამასკელი „წყარო ცოდნისაში“, კერძოდ, მის დოგმატურ-აღმსარებლობით ნაწილში, „გარდამოცემაში“ ასაბუთებს, რომ ფილოსოფია და „გარეშე სიბრძნე“ შეიძლება თეოლოგიის სამსახურში ჩადგეს – ესაა სქოლასტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი: სქოლასტიკის მიზანი იყო, წმ. ეფრემის მიხედვით თუ ვიტყვით, „ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰკურმდნენ“ მათ. ესაა, წერს იგი, „წამლიანთაგანცა მხეცთა... წამლისა საკურნებლის“ შემზადების მეთოდი.

ქართველმა ღვთისმეტყველმა ამ ნაშრომის შედგენისას ისარგებლა სვიმეონწმიდის წიგნთსაცავით და, „თვინიერ თეოლორიტეს“ თხზულებისა, ყველა სხვა წმ. მამის იქ არსებული თხზულება გამოიყენა. წმ. ეფრემი შენიშნავს, რომ დავითნის მთარგმნელ წმ. მამათა კომენტარები „ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად. ამისთვისცა მცირედი მრავლისგან ერთად შემოკრებულ იქმნა გამომეძიებელთათვის და წინა-შესავალსა ამის წიგნისა

ჩვენისასა დავერა არა ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბანისათა განწყობილად და განკარგულად, რადთა მარჯუე და ადვილ იყვნენ საპოვნელად მეძიებელთათვის“.

ვიდრე შევეხებოდეთ წმ. ეფრემის მიერ სისტემაში მოყვანილ ბიბლიურ სახელთა თუ „ღრმათა, წიგნურთა სიტყუათა“ რეალურ-ისტორიულ და სახისმეტყველებით კომენტარებს, შევხერხებით ავტორის შეხედულებებზე ქრისტიანული სახისმეტყველების თეორიულ პრინციპებსზე. ეს საკითხი ყოველთვის იმსახურებდა მკვლევართა ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ქრისტიანული სახისმეტყველება უშუალოდ ეგზეგეტიკის წარმოშობა-განვითარებას უკავშირდება.

შეგნიშნავთ, რომ საინტერესო სურათს იძლევა წმ. ეფრემ მცირის ამ შეხედულებათა შესწავლა ადრექრისტიანული და შუა საუკუნეთა ქრისტიანული კულტურის სახისმეტყველებით სისტემასთან მიმართებაში.

წმ. ეფრემ მცირის ხედვასთან დაკავშირებით აპოლოგეტთა და ადრეული ქრისტიანობის სხვა მოღვაწეთა მოსაზრებების მოყვანა იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც ამ პერიოდის წმ. მამათა თეოლოგიური კომენტარები, წარმოშობილი პლატონისა და ფილონის მახლობელი იდეებიდან, გადავიდა როგორც ერთგვარი სტერეოტიპული ფორმულები და მოდუსები პლოტინესთან, წმ. ბასილი დიდთან, წმ. გრიგოლ ნოსელთან, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან, წმ. დიონისე არეოპაგელთან, წმ. მაქსიმე აღმსარებელთან, წმ. იოანე დამასკელთან – მათ შემოქმედებაში უკვე მოცემულია სინთეზი აღმოსავლურ-დასავლური სახისმეტყველებითი ეგზეგეტიკის ტენდენციებისა და ტრადიციებისა, ხოლო აქედანაა უკვე შესული უშუალოდ ქართულ ქრისტიანულ თარგმანებაში.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა სასულიერო მწერლობისათვის ბიბლიური და წმიდა მამათა თხზულებები კანონიკურად ითვლება. ამ პერიოდის ლიტერატურას, როგორც არაერთგზისაა შენიშნული, ახასიათებს: ძველ ავტორთა კულტი, განსაკუთრებული ორიენტაცია ძველ ტექსტებზე, ნიმუშებზე, სახეობრივი გამოხატვის, მუდმივ თემათა მტკიცე შერჩევა, სიუჟეტთა, სტილის, ჟანრთა, გმირთა ტიპების გამეორება და ა.შ. უმთავრესად კი ბიბლიური ტექსტები იყო შუა საუკუნეთა მოღვაწეთათვის სიბრძნის ის ძირითადი მასალა, რომელიც იყო წყარო რელიგიური, ფილოსოფიური, ეთიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული, ესთეტიკური თუ პოეტური აზროვნებისთვის. ხოლო რაც წინასწარ არ არის მოცემული წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მახარებელთა მიერ, მისი ძიება ამოა და არაა საჭირო (ამ აზრს ავითარებდა წმ. იოანე დამასკელი). უფრო ადრე II ს-ის ადრექრისტიანული პერიოდის აპოლოგეტი ავტორი ტერტულიანე სახარებისეულ მოწოდებას - „ეძიებდით და კპოვით“ (მათე 7.7) – ასე განმარტავდა: ქრისტიანებს არაფერი აქვთ საძიებელი, ჭეშმარიტება მათ უწყებელი აქვთ მოციქულთა მიერ.

აქედან იღებს სათავეს ე. წ. „წმიდა მამათა შედგომილობის“ პრინციპი, რომელთან დაკავშირებით ჯერ კიდევ იოანე ზოსიმე წერდა: „არა შეგავს და არცა კეთილ არს შემატებად გინა დაკლებად რასმე უფროდს განსაზღვრებულისა მის წმიდათა მამათა და მოძღუართადას“. ხოლო წმ. ეფთვიმე ათონელის თქმით, „მინდობად თავისა თვისისა და თვისსა განზრახვასა შედგომად წარწყმედელ არს სულისა“. ავტორიტეტის ცნობის აუცილებლობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს წმ. ეფრემ მცირე: „ჩვენ არა საღრამატიკოსთა, არცა საფილოსოფოსთა, არამედ პირველდამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით და, ვითარცა ღმრთისად, ვერეთვე ჩუნთა უწინარესთად შევპრაცხთ მადლსა მას და მათსა მეოხებასა, რომელ მწედ ვისუმევთ, ვითარცა ყოველთა წმიდათასა. ამით განვისწავლებით, ამით ვთარგმნითცა“.

თუკი კანონიკური ტექსტები ღრმა სულიერ სამყაროს გამოხატავენ, ამ სამყაროს რეალურად გადმოტანა „სოფლად“ სასულიერო მწერლობას ევალება. ამიტომაც რომელიმე კონკრეტული ბიბლიური სახე თუ მოვლენა აიღება როგორც პარადიგმა, არქეტიპი და შემდეგ „იმოსება“ ინდივიდუალური ნიშნებით. ამიტომაცაა, რომ ქრისტიანული სიმბოლიკა, როგორც მიუთითებენ, ძირითადად გამჭირვალეა, მასში ადვილად ამოიცნობა რეალური პარადიგმა. ამ დროს „პოეტური თავისუფლება“ ერთგვარად შეზღუდულია, რადგან წინასწარაა გამოკვეთილი ნებისმიერი სახის არქეტიპი. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ტრადიციული სახისმეტყველებითი გააზრებებითაც. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული სახისმეტყველება, რომელშიც შერწყმულია ფორმალურ-ლოგიკური განსჯანი სახეობრივ-პლასტიკურ აზროვნებასთან, შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის უმთავრესი მახასიათებელია; ძველი მწერლობის პოეტიკას იგი ავსებს და, შესაბამისად, აღრმავებს კიდევ, რადგან ითვლება, რომ ხელს უწყობს ადამიანის სულიერ ძალთა მობილიზებას, მისი გონების მიმართვას უმაღლესი ჭეშმარიტების ჩასაწვდომად. ისიც აღსანიშნავია, რომ, გარკვეული შეხედულებით, თხზულებათა სახისმეტყველებითი მხარე ტექსტში მოცემულ ფილოსოფიურ მსჯელობათა მეთოდოლოგიურ

საფუძვლად აცაა მიჩნეული (ე. გილსონი, ფ. ბონერი), რადგან თავს უყრის ლოგიკურ, ესთეტიკურ, ფსიქოლოგიურ გაგებათა რიგს.

ქრისტიანული სახისმეტყველებითი მოღუესების მიმართება თვით ღვთაებასთანაც უკვე ხედვით-პლასტიკურია და, ამდენად, „ლიტერატურულ-ესთეტიკური“ ნიშნების მატარებელიც. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ, ვთქვათ, „ღვთაების არსებობა პატრისტიკულ აზროვნებაში კი არ „მტკიცდება“, არამედ ხდება ამ არსებობის ჩვენება“. რაც, გარკვეული აზრით, ეხმიანება ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ცნობილ თეორიულ პრინციპს - „მე გადმოვცემ, მაგრამ არ ვქმნი“ (კონფუცი). ასეთი დამოკიდებულება სასულიერო მწერლობის ყველა ჟანრზე ვრცელდება.

ქრისტიანული სახისმეტყველებითი აზროვნების დანიშნულებაა „სოფლისა და ზესთა სოფლის“ ერთმანეთთან დაკავშირება ქრისტოლოგიური და, აქედან გამომდინარე, სახეობრივი ასპექტით. სიმბოლურ-ალეგორიულად, უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, „ღრმა და გამოსაძიებელი“ სიტყვებით გადმოცემულ სახეთა „ამოკითხვა“ კი დაფარულის გაცხადებას ნიშნავს: „აღსნა უწოდს თარგმანებით განმარტებასა, რომელ არს გამოცხადებაჲ ძალსა სიტყუათა დაფარულებისასა“, - წერს წმ. ეფრემ მცირე.

ლათინური აპოლოგეტიკის წარმომადგენლის - მინუციუს ფელიქსის თქმით, ვისაც სურს შეიცნოს ღვთის დიდება, იგი აკნინებს მას, ხოლო ვისაც არ სურს მისი დაკნინება, მან არ იცის იგი. ამ აზრის გაგრძელებად და გაღრმავებად შეიძლება ჩაითვალოს ნეტარი ავგუსტინეს მიმართვაც ღვთისადმი: „საერთოდ რისი თქმა ძალგვიძს შენზე? - მაგრამ ვაი მათ, ვინც ღუჲმან შენზე, რამეთუ მრავლისმეტყველნიც დაღუმებულან“. თუმცა, ამავე დროს, „ყველაფერი შეიძლება ითქვას ღმერთის შესახებ და ყველაფერი თქმული მასზე უღირსია მისი“.

იოანე საბანაძის განმარტებითაც, „საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკვირველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი. ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ მიწოდმად სიმდიდრესა მას სახელსა მისისა, არამედ უძღურებისაებრ ჩემისა და გულისმოდგინებისა თქვენისა ვიწყო თხრობად თქვენდა“ (იოანე საბანისძე). საკითხის ასე დასმა, ბუნებრივია, გულისხმობს გარკვეულ წინააღმდეგობას, რომლის სირთულის ერთი მხარეც კომენტარებისას ასე აქვს გააზრებული წმ. ეფრემ მცირეს: „განმარტებაჲ არა ხოლო შესაძლებელ არს, არამედ საცთურებაჲცა“.

ასე რომ, შუა საუკუნეთა ნებისმიერი მწერლის წინაშე დგას ასეთი დილემა: ერთი მხრივ, მწერალი აღიარებს, რომ იგი არაა ღირსი და შემძლე, გადმოცეს არჩეული თემა სიტყვებით, რომ მას ღვთისადმი პატივის მიგება მხოლოდ ღუჲმილით შეუძლია და, მეორე მხრივ, იგი გრძნობს თავის ვალს, მაინც მიმართოს სიტყვას; აქედან შემოქმედებითი ხასიათისაა მეორე პოზიცია.

ზემოთ ითქვა, რომ პატრისტიკულ და, საერთოდ, შუა საუკუნეთა ლიტერატურულ აზროვნებაში ღვთაების არსებობაზე ან მის მიმანიშნებელ სახეებზე საუბარი სხვადასხვა ავტორთან მოცემულია ჩვენებით, გადმოცემით და არა მტკიცებით, შექმნით. ამის აკრძალვას თუ გამოხატვის ფორმას, რაც ხელოვნების ნებისმიერ სფეროზე ვრცელდებოდა, თვით კანონიკური ტექსტები იძლეოდა. ერთი მხრივ, ბიბლიაში წერია: „ნუ ისწრაფი პირითა შენითა და გული შენი ნუ ისწრაფინ გამოღებად სიტყვისა წინაშე ღმრთისა, რამეთუ ღმერთი ცათა შინა არს და შენ ქუეყანასა ზედა. ამისთვის იყუნედ სიტყვანი შენი მცირე, რამეთუ მოიწიოს ჩუენება სიმრავლითა განმცდელისაჲთა და ხმაჲ უგუნურისა სიმრავლითა სიტყუათაჲთა“ (ეკლესიასტე, 5. 1-2); „იყავნ ყოველი კაცი მოსწრაფე სმენად, მიძიე სიტყუად“ (იაკობი, 1.19); „მრავლისმეტყველებისაგან ვერ განერე ცოდვასა, ხოლო ერიდებოდი თუ ბავითა, გონიერ იყო“ (იგავთა, 10,19). ხოლო, მეორე მხრივ, ნათქვამია: „აღვალ იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი იგავით დასაბამისათა“ (ფს.77.2); „აღვალ იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ“ (მათე, 13.35). სიტყვა პარაბოლას წმ. ეფრემი იგავად თარგმნის: „ესე იგავიო, იტყვის, რომელ არს პარაბოლი“. სხვაგან იგავი განმარტებულია (არა წმ. ეფრემის მიერ) როგორც მაგალითი.

პარაბოლა-იგავი სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების ერთ კონკრეტულ ფორმად ითვლება ბიბლიური ტექსტებიდან გამომდინარე. იგი გამიზნულია აღქმის მრავალმნიშვნელობისათვის, მასში არ იხსენიება თავად მოვლენა, არამედ მარტივი საგნის გადმოცემით ხდება მინიშნება ღრმა, ჭეშმარიტ აზრზე. ამასთან დაკავშირებით მოცემულია წმ. იოანე ოქროპირის ვრცელი მსჯელობა გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფში“; მოვიტანთ სრული სახით: „მრავლისა რაჲს მომასწავებელ არს სახელი იგავისაი, რამეთუ არს იგავი ზრახვად და სახისშემოდებაჲ და ყურადღებაჲ, ვითარ იგი რაჟამს იტყოდის დავით, ვითარმედ „ღამსენ ჩუენ იგავად წარმართთა შორის, თავის სახრელად ერთა შორის“ და კუალად არს იგავი მაგალითიანი სიტყვად, რომელსა მრავალნი საძიებლად სახელ

სდებენ არა ცხადისა სიტყვასაებრ საჩინოდ გულის-ხმის-საყოფელი, არამედ შინაგან მქონებელი დაფარულსა ძალისაჲ, ვითარ იგი რაჟამს სამფსონ იტყოდა, ვითრმედ „გამოვიდა პირისაგან ძლიერისა ტკბილი“, ხოლო ითქუმის იგავად მსგავსებადცა, „რამეთუ სხუად იგავი დაუდგა მათო, თქმულ არს, და თქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათად კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისსა“ და კუადად იგავად ითქუმის სახის-მეტყველებად, ვითარ იგი არს : „ძეო კაცისაო, არქუ მათ იგავი ესე: არწივი ფრთადიდი მადლად-მფრინვალე“, ხოლო არწივად იტყოდე მეფესა. იგავად უკუე ითქმის სახეცა და ხატი, ვითარ იგი პავლე იტყვის: „სარწმუნოებით შეწირა აბრაჰამ ისაკი გამოცდასა მას და მხოლოდ შობილსა მას შესწირვიდა შემწყნარებელსა აღთქუმათასა“, რომელისთვისცა იგავით მიიყვანა იგი“, ესე იგი არს, სახესა შინა და ხატსა და იგავი არს სიტყვა განმზავებელი გულის-ხმისსაყოფელებითა გრძნობადთა სიტყვათა და წარმომადგინებელი სოფლიოთა მიერ და ხილულთა ზეშთა სოფლისათა და უხილაეთა. ხოლო სხვაგუარი იგავი არს სიტყუა აჩრდილოანი და მაგალითიანი თქმულსა მისებრ: „მივეყო იგავსა ყური ჩემი“, ეგევითარივე იგავი არს ხედვად თანა-შეტყუებული ხედვისა და მეცნიერებისაჲ. მაგალითი არს სათითოეულმოსაგან ყოვლით-ერთისა მიმართ აღსვლად, ანუ გამოჩინებაჲ სარწმუნოქმნილი კერძობითისაჲ კერძობითისა მიერ და მსგავსისა, ხოლო საკუთარი იგავი არს სიტყვად დაფარულ სხვისა მიერ მოქმენე განცხადებულისა შესწავებისაჲ“. ამავე თხზულების ქართულ თარგმანში დაცულია ასეთი მინაწერი: „შეისწავე განყოფილებად სახეთა იგავთაი, რამეთუ ოთხგუარად ითქუმის ენითა ელინთაჲთა: პარავოლი, პროვლიმა, პარადიდმა, პარეშია“.

იგავურ ანუ სიმბოლოურ-ალეგორიულ სახეებს წმ. ეფრემ მცირე, წმ. დიონისე არეოპაგელის ქრისტიანული სახისმეტყველებითი სისტემიდან გამომდინარე, „უმსგავსო მსგავსებებს“, უწოდებს, რაც ღვთისმეტყველებაში „ურთიერთგამომრიცხავ ბუნებათა შენაერთებად“ და გადმოცემის ანტინომიურ ფორმად აღიქმება. ანტინომიურობა, როგორც ღვთის შეცნობის ფორმა, განსაკუთრებით გაღრმავებულია წმ. დიონისეს მოძღვრებაში, იგი ესთეტიკური კატეგორიის რანგშიც კია აყვანილი. ანტინომიასთან დაკავშირებით პ. ფლორენსკი წერს: „ანტინომიები ესაა რელიგიის კონსტრუქციული ელემენტები, თუკი ვიფიქრებთ მათზე გონიერულად. თეზისი და ანტითეზისი, როგორც საფუძველი და მისაქსელი, წინავენ რელიგიურ განცდათა თვით ქსოვილს. სადაც არაა ანტინომია, იქ არაა რწმენა: ხოლო ეს იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც რწმენაც და იმედიც განქარდება და იქნება მხოლოდ სიყვარული“. ასე რომ, უმაღლესი რელიგიური ცნობიერებისათვის ანტინომია წარმოადგენს შინაგანად ერთიან და მთლიან სულიერ ხედვას. ამიტომ სახე ერთდროულად არის „თქმული და გამოუთქმელი, საცნაური და უცნაური“ (წმ. იოანე დამასკელი, „გარდამოცემა“, წმ. ეფრემის თარგმანი).

დასკვნის სახით შევნიშნავთ: ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში წარმოდგენილი სახეების განმარტების ზოგადთეორიული პრინციპები ბიბლიის პოეტიკის რკალშია მოქცეული, რადგან ბიბლიის სახისმეტყველება ესაა იგავის პოეტიკა, რომელიც არ ტოვებს ადგილს არაფრისათვის, ელინურ „პლასტიკურობას“ რომ ჰგავს: ბუნება და საგნები უნდა მოიხსენიებოდეს მხოლოდ მოქმედების მსვლელობაში და მოქმედების აზრთან დაკავშირებით, არასოდეს არ გახდება რა თვითმიზნური აღწერის ობიექტები, რომლებიც გამოხატავენ უანგარო-განდგომილ სიხარულს თვალისა; ადამიანები წარმოდგებიან არა როგორც ხელოვანის დაკვირვების ობიექტები, არამედ როგორც არჩევისა და მოქმედების სუბიექტები. ასეთია ქრისტიანული ეგზეგეტიკის თეორიულ-სახისმეტყველებით პრინციპთა ერთ-ერთი საყურადღებო ასპექტი.

Giorgi Alibegashvili

From the History of Theoretical-Imagery Principles of Christian Exegetics

Summary

Christian exegetics mainly provides commenting biblical writings. Definitions were threefold: 1. Easy narration and convey of a text and its contents; 2. Comments for making it easy to comprehend the text; 3. Translation from one language into another.

Christian exegetics is originated on the base of Hellenistic exegetics. Its development started in IV century. Antioch and Alexandria schools are distinguished. Christian theology school in Alexandria elaborated allegorical interpretation of “pure history” method; Antioch school – word by word historical; the mild forms of Antioch and Alexandria schools synthetically entered firstly in Byzantium and afterwards in Georgian exegetics where the works of this kind are confirmed from VI century.

Georgian theologian Ephraim the Small’s merit is very special in this sphere as his comments are particular for historical inquiry of Eastern Christian culture hermeneutics. Both Alexandria and Antioch school methods of commenting are distinguished by which Georgian figure explained separate episodes of Biblical text, theological models, images, forms.

**თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ბრუნვა¹
(მანქანური თარგმანის პროგრამისათვის)**

ბრუნვა და ბრუნება.

ქართულ სამწიგნობრო ენაში, ზოგადად, ქართველურ ენობრივ სივრცეში კარგადაა ჩამოყალიბებული ბრუნვის **მორფოლოგიური კატეგორია**². ქართული ენის ბრუნვები დიდი ხანია არის მეცნიერთა კვლევის ობიექტი, მიუხედავად ამისა, სპეციელების დღემდე ვერ შეთანხმებულან ისეთ ძირითად საკითხზე, როგორცაა: „ბრუნვათა რაოდენობა ქართულში“. აზრთა სხვადასხვაობას ქმნის ბრუნვის ცნების განსხვავებული გააზრებანი, დიაქრონიული და სინქრონიული ფაქტების გაუდიფერენცირებული ანალიზი და სხვა ფაქტორები.

მაგ., შდრ., ბრუნვათა განმარტებანი:

ანტონ კათალიკოსი: „ბრუნვა არის ცვალება მიმოსრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგომებისა ერთისა და მისივე სახელისა“; ე. ი. ბრუნვა არის სახელის ერთისა და იმავე ფუძის სხვადასხვანაირად მიმოსრითი ცვლა.

ა. შანიძე: ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც აერთიანებს ბგერითი შედგენილობისა და ფუნქციის მიხედვით განსხვავებულ სახელურ ფორმებს.

არნ. ჩიქობავა: ბრუნვა გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმნასთან (სათანადო შინაარსის გადმოსაცემად).

ვ. თოფურიას: ბრუნვა არის სახელის ფორმა, რომელიც მიიღება მისი სხვა სიტყვებთან სინტაქსური ურთიერთობის შედეგად³...

რამდენი ბრუნვაა ქართულში?

აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ათ ბრუნვას ასახელებს, სასკოლო სახელმძღვანელოებში კი - შვიდს. არნოლდ ჩიქობავას და აზრით ქართულში ექვსი ბრუნვაა. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად საკამათოა წოდებითი და ე. წ. ადგილობითი ბრუნვების საკითხი⁴.

წოდებითი ბრუნვა ქართულში შემოიტანა ანტონ კათალიკოსმა. მას ბრუნვად თვლიდნენ სხვა ძველი გრამატიკოსებიც. **პირველად არნ. ჩიქობავამ შეიტანა ეჭვი წოდებითი ბრუნვის არსებობაში.** ამის შემდეგ ქართულ ლინგვისტიკაში ერთმანეთს დაუპირისპირდა მკვეთრად განსხვავებული ორი თვალსაზრისი:

ზოგი მკვლევარი წოდებითს ბრუნვად მიიჩნევს, ზოგი - არა; კერძოდ: არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას მსჯელობის შესაბამისად ზოგი დღესაც არ თვლის წოდებითს ბრუნვად, რადგანაც, მათი აზრით, **ეს ფორმა ვერ ამყარებს სინტაქსურ კავშირს ზმნასთან** და ბრუნვის ნიშანიც ახალი

¹წარმოდგენილი ნაშრომის ნაწილი სათაურით: „ბრუნვა, როგორც სახელის ფორმაწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალური მოდელებისათვის)“ დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახლობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ერთობლივ საიუბილეო კრებულში: **გიორგი როგავა**, თბილისი, 1997, გვ. 157-170.

²ზოგი მორფოლოგიურ კატეგორიად ბრუნვას მიიჩნევს; მორფოლოგიური კატეგორია არის ბრუნვა: **ფუძე+ბრუნვის ნიშანი**, რომელიც რეალიზდება რამდენიმე ვარიანტის სახით; **ბრუნვა არის სახელის ცვლა ბრუნვების მიხედვით**; შდრ.: მწკრივი არის მორფოლოგიური კატეგორია; ზმნის ცვლა მწკრივების მიხედვით კი - უღლება.

³მსჯელობისათვის იხ.: **აკაკი შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1980, გვ. 34; **არნოლდ ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 267; **И. Наида**, морфология. М., 1949. 32; **О. Есперсен**, Философия грамматики. М., 1958, 214; **Курилович**, Философия грамматики. М., 1958, 214; **А. О. Бондарько**, Теория морфологической категории. Л., 1976.

⁴გ. ნებიერიძე საკამათოდ მიიჩნია მოთხრობითი ბრუნვის საკითხიც; იხ.: **გ. ნებიერიძე**, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში. მაცნე ელს 3. თბილისი, 1987, გვ. 177-191. აქვე შევნიშნათ, რომ **საერთოქართველურში მართლაც შეიძლება ვერ აღდგეს -მან/-მა/-მ ნიშნის მიხედვით ბრუნვა (ერგატივი), მაგრამ ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია საერთოქართველურიდან რომ მომდინარეობს და არქაულ ქართულსაც რომ ახასიათებს, ჩვენთვის უეჭველი ფაქტია.**

წარმოშობისაა - შორისდებულიდანაა მიღებული⁵... მაგ., წოდებითს დამოუკიდებელ ბრუნვად არ მიიჩნევენ **გ. ნებიერიძე**; კერძოდ, მისი აზრით, წოდებითი ბრუნვა უნდა იყოს ბრუნვათა სისტემაში, მაგრამ სახელობითთან ერთად, რადგან წოდებითი სახელობითის „ფუნქციური ვარიანტი“⁶. **თ. უთურგაიძე** წოდებითს ბრუნვად მიიჩნევდა ადრეულ გამოკვლევაში⁷, შემდეგ კი ბრუნვათა რიცხვში აღარ შეიტანა იმ არგუმენტით, რომ სახელის ეს ფორმა ზმნასთან კავშირს ვერ ამყარებს; მსაზღვრელის როლში ყოფნა კი არაარსებითია, რამდენადაც მსაზღვრელი საზღვრულის ფორმას „ემორჩილება“⁸... აქვე აღვნიშნავთ, რომ მსაზღვრელი საზღვრულის ფორმას ვერ „დაემორჩილება“, ანალოგიური ფორმა (ყალიბი, მაგ., ფუძე+ო/ვ/0) რომ არ ჰქონდეს.

ა. შანიძეს წოდებითი შეაქვს ბრუნვათა პარადიგმაში, მაგრამ მას ბოლოში ათავსებს. მის აზრს იზიარებენ: ლ. კვაჭაძე, ალ. ონიანი, ლ. ნოზაძე...

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკუსიის საგანია **ე. წ. თანდებულიან ბრუნვათა** საკითხიც. ჯერ კიდევ მ. ბროსემ თანდებულიან ფორმებს **რთული ბრუნვები** უწოდა და გამოყო ლოკალური ანუ ადგილობითი ბრუნვები (ბაგასა-შინა, ბაგასა-ზედა). მ. ბროსესა და ზოგი სხვა ძველი გრამატიკოსის კვალად, ძირითად ბრუნვათა გვერდით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ა. შანიძეც გამოყოფს რამდენიმე **ლოკალურ ბრუნვას**.

სახელის ფორმაწარმოების ლოგიკური წესების პრობლემა

დღეს როცა აქტუალურია მანქანური თარგმანის კომპიუტერული პროგრამის შექმნა, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ბრუნვის ფორმათა ჩამოყალიბების გზის კვლევას, არამედ ქართული ენის სახელის ფორმების ლოგიკური პარადიგმის აგებას სინქრონიული მონაცემების მიხედვით⁹; მხოლოდ ასეთი პარადიგმის მიხედვით აიგება ისეთი ალგორითმი, რომელიც შესაძლებელს გახდის სახელის ფორმაწარმოების მოდელირებას და რომელიც მაქსიმალური სიზუსტით და ნაკლები ოპერაციებით აღწერს ენობრივ ფორმათა სინთეზსა და ანალიზს.

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი მიზანია სახელთა ბრუნვების ამსახველი ისეთი ნორმალიზებული წესების შემუშავება, რომლებიც მარტივად და ზუსტად მოახდენენ თანამედროვე ქართული ენის სახელის ფორმაწარმოებითი ვარიანტების სინთეზსა და ანალიზს. მეტი სიცხადისათვის, პოსტულატების სახით წარმოვადგენთ ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის **ამოსავალ დებულებებს**:

1. **გრამატიკული კატეგორია** არის ერთი სემანტიკური კატეგორიის ამსახველი გრამატიკული ფორმების სისტემა; გრამატიკული კატეგორიის ნიშანებს წარმოადგენენ ერთი რანგის აფიქსები ან ერთი აგებულების ყალიბები.

გრამატიკული კატეგორიის აუცილებელი ნიშანია მნიშვნელობისა და ფორმის ერთიანობა (როგორც ბილატერალური ენობრივი ნიშნისა); სხვანაირად თუ ვიტყვი: **თუკი ურთიერთდაპირისპირებულ გრამატიკულ მნიშვნელობათა განყენებული ერთობა სიმეტრიულადაა ასახული ერთი სიტყვის მსგავსი აგებულების ფორმათა რიგით, საქმე გვაქვს გრამატიკულ კატეგორიასთან**¹⁰.

2. ბრუნვა არის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა გრამათა საშუალებით ასახავს საგნის (მოვლენის) მიმართებას სხვა საგანთან (მოვლენასთან), ან რაიმე მოქმედებასთან: მიმართება შეიძლება იყოს სინტაქსური ან სემანტიკური (პოსესიური, ლოკალური); შდრ.: **ბრუნვა**

⁵შდრ.: სვანურ და ზოგ სხვა ქართულ კილოებშიც მიმართვის დროს დღესაც ო შორისდებული გამოიყენება: ო, ღერბეთ (ო, ღმერთო).

⁶**გ. ნებიერიძე**. არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში. მაცნე ელს 3. თბილისი, 1987, გვ. 177-191.

⁷**თ. უთურგაიძე**. ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი. თბილისი, 1986, გვ. 23.

⁸**თ. უთურგაიძე**. ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთშემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში. თბილისი, 2009; **თ. უთურგაიძე**. ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები. თბილისი, 2013, გვ. 21.

⁹ფორმალიზებული წესების ჩამოყალიბება უნდა ეფუძნებოდეს მყარ ლოგიკურ თეორიულ დებულებებსა და ენის სინქრონიულ მონაცემებს; ისტორიული (დიაქრონიული) ასპექტი ინფორმაციის სახით უნდა შევიდეს თითოეული მორფოლოგიური ელემენტის „პასპორტში“.

¹⁰მორფემაში ფორმისა და მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე: **Э. Бенвенист**. Общая лингвистика. М., 1974; 136; **ბ. ჯორბენაძე**. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი, 1980, გვ. 92; **ა. ონიანი**. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1989, გვ. 40 და სხვა.

ისეთი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც გრამატიკულ და სემანტიკურ მიმართებებს გამოხატავს¹¹.

3. კონკრეტული ბრუნვა (გრამემა) არის მორფოლოგიური ყალიბი, რომელიც კონტექსტის მიხედვით გამოხატავს კონკრეტულ სინტაქსურ თუ სემანტიკურ ფუნქციას; სხვანაირად: მოცემული ბრუნვა არის სახელის მყარი ფორმაწარმოებითი ყალიბი (ფუძე + ბრუნვ. ნიშანი), რომელსაც ერთი ლექსიკური ერთეულის ფარგლებში აქვს სინტაქსურ და სემანტიკურ ფუნქციათა საკუთარი სპექტრი.

შდრ.:

ვ. შმიდტის (1960) განმარტება: „ბრუნვა ეწოდება გრამატიკული ფორმის ცვლილების სისტემას ნომინაციურ საზღვრებში“¹²;

ვ. ვინოგრადოვის განმარტება: (1972, 139): "Падеж - это форма имени, выражающая его отношение к другим словам в речи"¹³;

ვ. იარცევას განმარტება: „Конкретный падеж представляет собой специфическое для данного языка соответствие между набором синтаксич. (или семантич.) функций существительного и набором морфологич. показателей“¹⁴...

4. მორფემის ზუსტი განმარტება შეუძლებელია; კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ საფუძვლად ვიდებთ ჰ. გლისონის შეხედულებების საფუძველზე¹⁵ შემუშავებულ შემდეგ განმარტებას: **მორფემა არის მნიშვნელობის მქონე ისეთი უმცირესი მორფოლოგიური ელემენტი (ერთეული), რომლის შემდგომი დანაწევრებით ძირეულად შეიცვლება (დაიშლება) მისი მნიშვნელობა**¹⁶.

ფორმის მიხედვით მორფემა არის **მარტივი** (-მა, -ს, -ით, -ო...) და **რთული**¹⁷ ანუ **შედგენილი**; თუ გრამატიკულ მნიშვნელობასაც გაითვალისწინებთ, სასურველია, გაირჩეს **შედგენილი მორფემა** და **რთული მორფემა**:

შედგენილია მორფემა, თუკი მისი ელემენტები ავტონომიურად ინარჩუნებენ საკუთარ სემებს, მაგრამ მათი ერთიანობა ქმნის თვისობრივად ახალ გრამატიკულ მნიშვნელობას (-ივით, თ-იდან, -ისთვის...);

რთულია მორფემა, რომელიც შედგება ორი მორფემისაგან, მაგრამ მის ელემენტთაგან **ერთ-ერთს დაკარგული აქვს გრამატიკული მნიშვნელობა** და ერწყმის სხვა აფიქსს: **-ნარ-, -ეინ-, -ებინ-...¹⁸**; შერწყმის შედეგია ანალოგიაც: მაგ., გურულში **-ნებ-** (დანები, ძმანები) ანალოგიით გადადის ნასესხებ სიტყვებშიც: ბადიშ-ნებ-ი, ანგელოზ-ნები... -ნ ფუძეში რომ იყოს შესული, ამ ტიპის მაგალითები არ გვექნებოდა... ასევეა კაუზატივის ნიშნებიც და სხვ. ფუძეში მოიაზრება, ძირითადად, სადერეგაციო აფიქსები (გულ-ად-ი, ხ-ის, გულ-ით-ად-ი და სხვ.).

შემდგომი მსჯელობის გასაადვილებლად ზოგადი შტრიხებით კიდევ ერთხელ შევეხებით ზმნისართთა, თანდებულთა და ფორმაწარმოებულ აფიქსთა გამიჯვნის საკითხს¹⁹:

ვფიქრობ, სამეცნიერო ლიტერატურაში თანდებულებისა თუ **მორფემოიდების²⁰** სახელით ცნობილი ელემენტები აერთიანებს თვისობრივად (რანგობრივად) განსხვავებულ სამ ჯგუფს:

ა) მორფემა, რომელიც მსაზღვრელის გარეშეც გვხვდება წინადადებაში, თანდებულად ვერ ჩაითვლება; შდრ.:

¹¹გ. ნებიერძე. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1991, გვ. 186.

¹²ჭილაჭელაძე შ. ც. შმიდტ. ეუტსცკე შპრაცკუნელე. ერლინ, 1960.

¹³В. В. Виноградов. Русский язык. М., 1072.

¹⁴Лингвистический энциклопедический словарь (под ред. В. Н. Ярцевой), М., 1990.

¹⁵Г. Глисон. Введение в дескриптивную лингвистику. М., 1959, 93.

¹⁶შდრ., Лингвистический энциклопедический словарь (под ред. В. Н. Ярцевой), М., 1990.

¹⁷„რთული მორფემის“ შესახებ იხ.: . Курилович, Философия грамматики, М., 1958, 180; შდრ., О.Есперсен, Философия грамматики. М., 1958, 214.

¹⁸თ. უთურგაიძის აზრით (სახელის ფუძისათვის ქართველურ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983, 1-8), ფუნქციადაკარგული სუფიქსი ფუძეში გადაირიცხება. ჩემი აზრით, ფუნქციადაკარგული სუფიქსი ერწყმის მისივე მსგავს ახალ სუფიქსს (დაწვრილებით იხ.: ტ. ფუტკარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986, გვ. 138; ტ. ფუტკარაძე. სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა მიხედვით. - მაცნე, ენისა და ლიტერატურის სესია, 1986, №3.

¹⁹ერცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986.

²⁰თანდებული-მორფემოიდის განმარტებისათვის იხ.: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

სახლთან ახლოს დგას; **ახლოს** დგას;

სახლის წინ მიდის; **წინ** მიდის...

ვფიქრობ, ამ ტიპის შესიტყვებაშიც „ახლოს“, „წინ“ ფორმები უფრო დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია - ზმნისართებია, ვიდრე - ლექსიკური მნიშვნელობის არმქონე დამხმარე სიტყვები - თანდებულები. **ზმნისართი** შეზღუდულად ბრუნვაცვალებადი სახელია²¹, შესაბამისად, უფრო ლოგიკურია, **სახლის წინ** ტიპის წყვილი სინტაქსურ წყვილად - მსახლდრელ-სახლდრულად განვიხილოთ და არა - თანდებულებიან სახელად. შდრ.: თანდებულებს არა აქვს ფორმაწარმოების უნარი, დასახელებულ სიტყვა-ფორმებს კი აქვთ: წინ, წინიდან, წინამდე (სახლი - სახლიდან - სახლამდე...)22;

ბ) მორფემა, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, ფორმაწარმოების უნარი, არ დასტურდება არსებითი სახელის გარეშე, მაგრამ შენარჩუნებული აქვს საკუთარი მახვილი, მისაჩნევია საკუთრივ თანდებულად; მაგ.: კაცის მიერ გაკეთდა; „მიერ“ ტიპის მორფემები (გარდა, შუა, გამო...) თანდებულებია.

გ) მორფემა, რომელმაც დაკარგა დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობაც, ფორმაწარმოების უნარიც, მახვილიც და საბოლოოდ მიუერთდა რომელიმე ერთი ბრუნვის ნიშანს, უნდა მივიჩნიოთ ფორმაწარმოებელ აფიქსად; მაგ., შდრ.: „ვფიქრობ მშვენიერ ქალზე“; აქ **-ზე** ელემენტს უკვე აღარა აქვს ლექსიკური მნიშვნელობა - დაკარგული აქვს **ზედაზედ** სიტყვა-ფორმის სემანტიკა და ფაქტიურად, მიცემითის -ს მსგავსი ფუნქციით რეალიზდება.

-ზე მორფემადართულ მიცემითს ქართულში მრავალი ფუნქცია უდასტურდება, კერძოდ: **სინტაქსური:** უბრალო დამატება, ადგილის გარემოება, მიზნის გარემოება, დროის გარემოება, ზომისა და ოდენობის გარემოება, ვითარების გარემოება, განსახლდრება.

სემანტიკურად „ზე“ დართულმა მიცემითმა“ შეიძლება გამოხატოს: ინტერესი, ადრესატი, თანაობა, დანიშნულება, ინსტრუმენტალისი, მსგავსება, მიწვევითობა, გამოსავლიანობა, მიმართულება, ლოკალიზაცია, ადგილმყოფობა საგნის ზედაპირზე, საგანთან სიახლოვე, ფარდობითი დრო და სხვა. ხშირ შემთხვევაში ლექსიკური მნიშვნელობა სრულიად ნიველირებულია სხვა ამგვარ „თანდებულებთანაც“23.

ვფიქრობ, აშენებულ-ა (< აშენებულ არს) ტიპის ზმნათა ბოლოკიდური „ა“-ს მსგავსად, **-ზე** ტიპის მორფემები რელატიურ აფიქსებად უფრო ჩაითვლებიან, ვიდრე დამხმარე სიტყვებად²⁴.

ბრუნვის ნიშანი და მასთან შერწყმული თანდებული ერთი მთლიანობაა მნიშვნელობის ასპექტითაც: არც მხოლოდ ბრუნვის ნიშანს და არც მხოლოდ ამ ე.წ. უმახვილო თანდებულს ცალცალკე არ შეუძლია მაგ., **დანიშნულების** გამოხატვა, **კაც-ისთვის** ფორმაში. შესაბამისად, **-ისთვის** სემანტიკიან ყალიბს: **ფუძე+ისთვის** განვიხილათ როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის ფორმას. ამ ბრუნვის ფორმის ძირითადი ფუნქციაა დანიშნულების გამოხატვა:

-ის- წარმოშობით კუთვნილების გამოხატველი აფიქსია, ხოლო „თავის“/თავი სახელის ისტორიული ტრანსფორმაციითაა მიღებული **-თვის**; სინქრონიულ დონეზე **კაც-ისთვის** ყალიბში **-ისთვის** რთული აგებულების სემანტიკი ერთად გამოხატავს დანიშნულებას; შესაბამისად, დანიშნულების სემანტიკით **-ის+თვის** ერთიანი ფორმაწარმოებელი მორფემაა.

ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ამ რიგის „თანდებულებს“ შენარჩუნებული აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, ვინაიდან, თანდებული მთლიან შესიტყვებას აფორმებს²⁵; ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო მისაღებია ა. ონიანის კრიტიკული მსჯელობა: ამგვარ მსჯელობას თუ ბოლომდე მივყვებით, „მაღალი მთებით“ შესიტყვებაში -ით თანდებული გამოვა²⁶. შდრ.: გ. ცოცანიძის აზრით, **-იდან, -ზე**

²¹ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი, 1995, გვ. 24.
²²ვერ გავიზიარებთ თ. უთურგაიძის მოსაზრებას, რომ წინ, წინიდან, წინამდე... სამი სხვადასხვა დამოუკიდებელი ზმნისართია.
²³ტ. ფუტყარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986.
²⁴-იყო, -არიან, -ნა ზმნური მორფემების შესახებ მსგავსი მსჯელობისათვის იხ.: ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 130; შდრ. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988, გვ. 18, 45-46.
²⁵გ. ცოცანიძე. „გან“ თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.- ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. 1982, გვ. 25; გ. ცოცანიძე. სალექსიკონო მასალის შერჩევის პრინციპისათვის ერთენოვანი ლექსიკონის შედგენისას. იკვ. XXXI., თბილისი, 1992, გვ. 191.
²⁶ა. ონიანი. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1989, გვ. 76.

ტიპის მორფოლოგიური ერთეულები ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფორმებად უნდა მივიჩნიოთ იმიტომაც, რომ შესაძლებელია, მაგ, „-კენ თანდებულის მნიშვნელობა გადმოიცეს „მხარეს“ ზმნისართით“²⁷.

ვფიქრობთ, ბრუნვის ნიშანთან შერწყმული „თანდებულის“ (აგრეთვე, ჩვენი ტერმინოლოგიით, „საკუთრივ თანდებულის“) „ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტად“ ჩათვლისათვის ვერ გამოდგება „ავტონომიური სიტყვით“ მისი ჩანაცვლების შესაძლებლობის არსებობა. ბრუნვის მარტივი ნიშანიც შეიძლება ჩანაცვლდეს; შდრ.: დედ-ისთვის//დედ-ისად//დედ-იზა; ქალაქ-ს//ქალაქ-ში//ქალაქის მიმართულებით... თუ **მორფემათა რანგების თეორიას** მოვიშველიებთ, აუცილებლად სხვადასხვა რანგში მოხვდება, მაგ, „თან“ და „ერთად“:

კაც-თან ერთად მივდივარ - აქ -თან ელემენტი ბრუნვის ნიშანთანაა შერწყმული, ხოლო „ერთად“ ზმნისართი დამხმარე სიტყვის როლშია - აშკარად სხვა რანგის მორფემაა.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ მორფემების კვალიფიკაციისა თუ კლასიფიკაციის წესებით, ბრუნვის ნიშანთან მიერთებული თანდებული ვერ განიხილება ვერც ლექსიკურ მორფემად, ვერც სადერივაციო მორფემად და ვერც დამხმარე სიტყვად - ნაწილაკად - დამაზუსტებელ მორფემებად²⁸:

ბრუნვის ნიშანი+„თანდებული“ ერთიანად ამყარებენ სინტაქსურ თუ სემანტიკურ მიმართებებს, ამიტომაც წარმოდგენილი შერწყმული მორფემის, ადგილი მიმართებით აფიქსება²⁹.

ნაწილაკების ერთი ჯგუფიც (-ც, -და, -ვე) სახელის ფორმას აწარმოებს: დაერთვის ბრუნვის ფორმას, არა აქვს თავისი მახვილი, სიტყვაში შეაქვს თავისი სემანტიკა... მაგრამ მათ არა აქვთ ბრუნვათა სისტემაში ერთი მყარი ადგილი, ვერ ასახავენ მიმართებებს და რანგითაც განსხვავდებიან ბრუნვის ნიშნებთან შერწყმული „თანდებულებისაგან“.

ამგვარად, ბრუნვის ნიშანთან შერწყმულმა თანდებულებმა განვითარების რთული გზა გაიარეს:

ზმნისართი → ცალკე მდგომი თანდებული (რომელიც ჯერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვოდა საზღვრულის სახით) → კონკრეტული სემანტიკის მქონე მორფემა → ბრუნვის ნიშანთან შერწყმული მორფოლოგიური ელემენტი, რომელსაც გარკვეული სემანტიკური ინფორმაცია³⁰ აქვს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით სხვა განყენებული მნიშვნელობებიც აღმოაჩნდება; მაგ., „ბუნებაზე შეყვარება“ შესიტყვებაში -ზე მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მქონეა³¹.

ე.წ. ლოკალური ბრუნვების ნიშანთა ზმნისართული წარმომავლობა უცხო არ არის არც სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისთვის³².

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა, სინქრონიულ დონეზე ერთიან, შერწყმულ მორფემებად გავიაზროთ არა მხოლოდ ა.შანიძის მიერ ლოკალურ ბრუნვებად მიჩნეული

²⁷გ. ცოცხანიძე. სალექსიკონო მასალის შერჩევის პრინციპისათვის ერთენოვანი ლექსიკონის შედგენისას. იკე. XXXI. თბილისი, 1992, გვ. 191.

²⁸დამაზუსტებელი მორფემის შესახებ იხ.: ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი, 1995, გვ. 10.

²⁹ბ. ფონხუა შორის, შუა, გარდა, გამო... დამხმარე სიტყვებისაგან აცალკევებს -კენ, -ში, -თვის, -მდის, -ზე... ელემენტებს და მათ მორფემებად განიხილავს; ე. წ. ფუნქციონალური ლექსიკისა და მორფემების გამოჯენის შესახებ იხ.: ბ. ფონხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 127; ლოგიკურია, ზმნისწინები და -კენ, -ში, -თვის, -მდის, -ზე... ელემენტები ერთგვარ მონაცემებად განვიხილოთ; ისინი არ არიან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები, არც სადერივაციო მორფემები და არც დამაზუსტებელი აფიქსები (ნაწილაკები); სინქრონიულ დონეზე მათ აქვთ ფორმათმარმოქმნელი ელემენტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ფორმა, მყარი ადგილი სიტყვაში და გრამატიკული თუ ლოკალური (არალექსიკური) სემანტიკა.

³⁰მორფემათა სემანტიკური ინფორმაციულობის შესახებ იხ.: ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი, 1995, გვ. 18-19.

³¹შდრ., ზმნისწინები: აქვთ კონკრეტული სემანტიკაც, მაგრამ მაგ., წერა - დაწერა, წერს - დაწერს მიმართებებში ზმნისწინი მხოლოდ გრამატიკული ფუნქციის მქონეა; მსჯელობისათვის დაწერილობით იხ.: ტ. ფუტყარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986, გვ. 84-86, 108; შდრ. Н. В. Чанишвили. Падеж и глагольные категории в грузинском предложении. М., 1981, 39; საგნობრივი მნიშვნელობისაგან „დაცარიელების პროცესის“ შესახებ იხ.: ბ. ფონხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 128-129.

³²ილ. ცერცვაძე. ანდიური ენა. თბილისი, 1965, გვ. 166.

ფორმების ნიშნები³³, არამედ „ბრუნვის ნიშანთან თანდებულმიერთებული (ენკლიტიკური) სხვა ფორმებიც³⁴; ისინი შეიძლება გავაერთიანოთ „რთული ბრუნვების“ სახელით.

შდრ., მარტივი ბრუნვები:

ფუძე+ /ი³⁵: მიწა, კაცი;

ფუძე+მ/მან: მიწა-მ, კაც-მა, ვი-ნ/ამან;

ფუძე+ს: მიწა-ს, კაც-ს;

ფუძე+ს(ი)/ის/: წყარო-სი, კაც-ის, ჩემი³⁶.

ფუძე+თი/ით: წყაროთი, კაც-ით;

ფუძე+დ/ად: წყარო-დ, კაც-ად;

ფუძე+0/ვ/: დედა, მიწა-ვ, კაც-ო.

შდრ.:

რთული ბრუნვები:

მყოფობითი: ფუძე+სას/ისას³⁷: მარგო-სას, მეზობლ-ისას... ჩემ-სას³⁸ შდრ. მის-სას;

დანიშნულებითი: ფუძე+სად/ისად/დამი: წყარო-სად, კაცი-სად; ჩემ-დამი;

ფუძე+ს(ა)თვის/ის(ა)თვის/თვის³⁹: წყარო-სთვის, კაცი-სთვის, ჩემ-თვის.

მსგავსებითი: ფუძე+სავით/ივით: მიწა-სავით, ჩემ-სავით, კაც-ივით; აქვე შეიძლება განვიხილოთ ფუძე+ებრ/ისებრ⁴⁰;

საზედაო: ფუძე+ზე/სზე: კაც-ზე, მას-ზე;

საშინაო: ფუძე+ში/სში: სახლ-ში, მას-ში;

თანაობითი: ფუძე+სთან/თან: დედა-სთან, კაც-თან მას-თან⁴¹, ჩემ-თან;

მიმართულებითი: ფუძე+ს(ა)კენ/ის(ა)კენ: ჩემ-სკენ⁴², კაც-ისკენ;

³³ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1980, გვ. 73; ა. ონიანი. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1989, გვ. 79... შდრ.: არნოლდ ჩიქობავა. თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. 2. თბილისი, 1961; თ. უთურგაიძე. თანდებულიან სახელთა ბრუნვა ქართულში.– კრებული „არნოლდ ჩიქობავას“. თბილისი, 1979.

³⁴შდრ. გ. ცოცანიძე -იდან სემანტის თანდებულად თვლის (გ. ცოცანიძე. „გან“ თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. 1982)... ჩვენი აზრით, ზმნისართიდან მომდინარე თანდებული არ შეიძლება სახელის ფუძეს უშუალოდ ერთგვარად; -იდან ერთიანი შერწყმული ფორმათმარმოებელი სუფიქსია - ბრუნვის ნიშანი.

³⁵წარმოვადგენთ მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენის ალმორფებს („ალმორფებს“ ვიყენებთ ი. ნაიდას მიხედვით; მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986, გვ. 32).

³⁶თ. უთურგაიძის მიხედვით (1886, 140), მსაზღვრელად გამოყენებული ნათესაობითის ყალიბში -ის ფორმანტი სიტყვამარმოებელი სუფიქსია და არა ბრუნვის ნიშანი; ნათესაობითი ბრუნვის გამოყოფის საფუძველი გვაქვს მხოლოდ თანდებულთა წინ (კაცის მიერ, კაცისკენ...) და „ძალს ეშინია კაცისა“ ტიპის შესიტყვებაში. თუესობრივად ამავე რიგისაა ფუძე+თანა და ფუძე+თანავე (დროის „ზმნისართის“ წარმოქმნელი) ყალიბები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ შემთხვევაშიც საგნობრივი მიმართება იცვლება, ტრადიციული ნათესაობითი ფორმის მსგავსად, ამ ეტაპზე მათ მაინც ბრუნვების რიგში შემოვიტანოთ... ჩემ-თვის ფორმაში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სემანტიკა „ჩემ“ ფუძეშია მოაზრებული.

³⁷დაწვრილებით იხ.: ტ. ფუტყარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986, გვ. 63-64; იხ.: აგრეთვე, ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 246.

³⁸ჩემ-სას ფორმაში -სას ანალოგიითაა გადმოსული არსებითი სახელებიდან.

³⁹-სად/-ისად/-დამი/-თვის/-ისთვის/-თვის/იზა/-იზდა... შედგენილი ელემენტების ალმორფებად მიჩნევა შესაძლებელია მორფემათა იდენტიფიკაციის წესებიდან გამომდინარე: „ორი ელემენტი ერთი მორფემის ალმორფებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მათგანი ერთნაირ მიმართებაში იმყოფება შინაარსის სტრუქტურის ერთსა და იმავე წერტილთან“ (Г. Глисон. Введение в дескриптивную лингвистику. М., 1959, 124; ონიანი. 1989, გვ. 46). ალმორფებად ჩათვლისკენ ისიც გვიბიძგებს, რომ ქართული ენის თანამედროვე ქვესიტემებში უკვე რომელიმე მათგანია გაბატონებული.

⁴⁰დაწვრილებით იხ.: ტ. ფუტყარაძე. სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1986, გვ. 93.

⁴¹შდრ.: მასზე, მასში, მასთან და მიწაზე, მიწაში, მიწასთან/მიწათან... ნაცვალსახელის „ს“ აუცილებლად შენარჩუნდება; შეგვიძლია ვთქვათ, რომ -ს- სემანტიკა გარკვეულწილად ფუძის სტრუქტურასაც ინარჩუნებს: მიწა, ქვა, ოქრო... სიტყვაფორმებისაგან განსხვავებით ოდენ ბოლოსმონიანი მას/მან ნაცვალსახელური ფუძე არ რეალიზდება.

⁴²-სკენ, -მდე, -ვით... ერთიან ფორმანტებად რომ არის ენაში გააზრებული, ჩანს იქიდანაც, რომ ჩემ- ფუძესთან ანალოგიითაა გადმოსული: ჩემ-სკენ; შდრ. აგრეთვე; მშია - მშია-სავით და სხვ.

თანაბრობითი: ფუძე+ისთანა/თანა: კაც-ისთანა, ჩემ-ისთანა (შდრ., დიალექტური ჩემთანა“);

თანამდევითი: ფუძე+ისთანავე: ჭამ-ისთანავე (საწყისის ბრუნვა);

დაწყებითი: ფუძე+დან/დან: წყარო-დან, სახლი-დან (შდრ. ჩემ-გან და დიალექტური ჩემ-იდან);

თანხლებითი: ფუძე+(თი)თურთ/ითურთ: სანდროთითურთ/სანდროთურთ, კაცითურთ;

მიწვევითი: ფუძე+მდე/ამდე: წყარო-მდე, სახლ-ამდე, ჩემ-ამდე...

დასახელებული ბრუნვები გარკვეული პირობითობით შეიძლება დაიყოს სრულ და პერიფერიულ (ი. იაკობსონი), ან აბსტრაქტულ და კონკრეტულ (ე. კურილოვიჩი) ბრუნვებად, მაგრამ ვინაიდან ქართულში პრინციპულად ვერ გაიმიჯნება აქტანტებისა და გარემოების ბრუნვები, ასეთ დაყოფას არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ⁴³.

თანამედროვე ქართული ენის სახელის ფორმაწარმოების მოდელირება გაცილებით მარტივად და ზუსტად შეიძლება წარმოდგენილი ყალიბების მიხედვით, ვიდრე ტრადიციული (6 ან 7 ბრუნვა და ე. წ. თანდებულები) შეხედულებების საფუძველზეა შესაძლებელი; კერძოდ, სახელის ფორმათა პარადიგმის ფორმალიზებისას დიაქრონიულ პროცესებსაც თუ გავითვალისწინებთ, ანუ ბრუნვებად ჩავთვლით მხოლოდ 6 ან 7 ძირითად ყალიბს და ბრუნვის ნიშანთან მიმართებით მირთულ ე. წ. თანდებულს დამხმარე სიტყვად - ცალკე მორფემად - განვიხილავთ, ბევრად გართულებდა პროგრამისათვის აღსაქმელი ლოგიკური წესების შემუშავება. მანქანური თარგმანისათვის ფორმალიზებული წესების შემუშავებას შთამბეჭდავად გააადვილებს სახელის ფორმათწარმოების პროცესისადმი ჩვენეული მიდგომა; კერძოდ, მაგ., ჩაიწერება შემდეგი წესი:

ქართულში დანიშნულება გამოიხატება:

ა) თანხმოვანზე ან კვეცად ხმოვანზე დამთავრებული სიტყვის შემთხვევაში **-ფუძე+ისთვის** ყალიბით (ბრუნების ტიპები იხ. ბოლოს);

ბ) უკვეცელ ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვის შემთხვევაში **ფუძე+სთვის** ყალიბით;

გ) I და II პირის ნაცვალსახელთან: **ფუძე+თვის** ყალიბით და ა. შ.

ვფიქრობთ, არა მხოლოდ პროგრამისტი, არამედ ქართული ენის შემსწავლელი უცხოელიც და ქართველი მოწაფეც ჩვენეული ყალიბებით (ფუძე+მარტივი ბრუნვის ნუშანი; ფუძე+შედგენილი ბრუნვის ნიშანი) უფრო მარტივად გაიაზრებს თანამედროვე სამწიგნობრო ქართულის სახელის ფორმაწარმოებას, ვიდრე ე. წ. თანდებულებისა და ბრუნვის ნიშნების რთული ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინებით...

სინქრონიულ დონეზე ბრუნვის ნიშნის კვალიფიკაციისას გაუმართლებელია დიაქრონიული ანალიზის შედეგებით არგუმენტირება⁴⁴; მოცემულ შემთხვევაშიც, თანამედროვე ქართულშიც, სახელური ფორმების ანალიზისას, უფრო ლოგიკურია, ბრუნვის ნიშანს მირთული თუ შერწყმული „თანდებული“ შედგენილი მორფემის ნაწილად განვიხილოთ, ვიდრე გავათანაბროთ ცაკლე მდგომ თანდებულთან თუ ზმნისართთან. მით უმეტეს, ქართულში გვაქვს სხვა მსგავსი აგებულების მორფემებიც: -ნარ-, -ნებ- და სხვ..

შდრ., ასევე:

მან ნაწვეარისაგან ჩვენს თვალწინ ჩამოყალიბდა -მა/-მ ნიშნიანი მოთხრობითი ბრუნვა; თუ თანამედროვე ქართულში წარმოშობით ნაწვეარს - მან ელემენტს - მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ვთვლით (გ. ნებიერიძის გარდა ყველა მკვლევარი მოთხრობითს დამოუკიდებელ ბრუნვად მიიჩნევს), წარმოშობით „თანდებულობა“ თუ „ზმნისართობა“ რატომ უშლის ხელს -ზე, -ში, -მდე, -დან... ელემენტების ბრუნვის ნიშნებად მიჩნევას?

აღვნიშნავთ იმასაც, რომ **ბრუნვის მარტივი თუ რთული ნიშნების წარმომავლობის კვლევა** მეცნიერების საქმეა, ისტორიული გრამატიკისათვისაა საინტერესო და არა - სასწავლო სახელმძღვანელოებისა და ავტომატურ თარგმანებზე ორიენტირებული კომპიუტერული პროგრამებისათვის. **ბრუნვის მორფოლოგიური კატეგორიის ფარგლებში სინქრონიულ დონეზე სახელის იმდენი ბრუნვა უნდა გამოიყოს, რამდენიც გრამატიკული მნიშვნელობით განსხვავებული რეალური სახელური ყალიბი გვიდასტურდება.**

გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე გარემოება:

⁴³ბრუნვა რთული სისტემა დამახასიათებელია სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისთვისაც; იხ.: მაგ., **Ю. Д. Дешериев.** Сравнительно-историческая грамматика нахских языков. Грозный, 1963.

⁴⁴შდრ. **თ. უთურგაიძე.** თანდებულიან სახელთა ბრუნება ქართულში.- კრებული „არნოლდ ჩიქობავას“. თბილისი, 1979, გვ. 118-122.

1. ლოკალურ და პოსესიურ მიმართებათა გამომხატველი მსგავსი წარმომავლობის ბრუნვები არა მხოლოდ ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში, არამედ სხვა იბერიულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენებშიც გამოიყოფა;

2. როგორც წესი, ბრუნვათა სახელწოდებები მოტივირებულია როგორც სინტაქსური, ასევე, სემანტიკური ფუნქციის შესაბამისად; ფაქტობრივად, ბრუნვა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, განსახილველია როგორც სინტაქსის, ასევე, სემანტიკის თვალსაზრისითაც.

3. **ბრუნვის ნიშანი + „თანდებული“** ერთიანი შედგენილი მორფემა რომ არის, ჩანს მოცემულ სეგმენტში განხორციელებული ფონეტიკური პროცესის ხასიათითაც: ჩვეულებრივ, მორფემათა ზღვარზე იზღუდება ფონეტიკური პროცესები; ჩვენს შემთხვევაში, ნათესაობითი ბრუნვის ენკლიტიკების გამოკლებით (გასაგები მიზეზების გამო) ფონეტიკური პროცესები იმგვარადვე ხდება, როგორც ერთი მორფემის ფარგლებში: -ად+მდე → -ამდე, -ით+გან → -იდ+გან → -დან⁴⁵.

4. ე. წ. თანდებულიან ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი არამდგრადია: ფუძეუკუმშველ სახელებთან ან საერთოდ აღარ ჩანს ბრუნვისნიშნისეული ელემენტი, ან კარგავს თავის თვისებებს: წყარო-მდე, წყარო-დან; კედელ-ივით... მაგ., ბოლო ყალიბში ზოგი მეცნიერი სახელობითი ბრუნვის ნიშანს ხედავს, რამდენადაც -ი- სეგმენტი ვერ კუმშავს ფუძეს; აქ ე. წ. ირიბი ბრუნვის პოენიერებაზე მიგვითითებს მხოლოდ მსაზღვრელი ნაცვალსახელი: **ამ კედელივით**.

5. რთული ბრუნვები არა მხოლოდ გარემოებებად, არამედ აქტანტებადაც გვევლინებიან („სიყვარულზე საუბრობს“), შესაბამისად, ბრუნვათა რიგიდან მათი გამორიცხვა „მკაცრი“ სტრატეგიკაციული მიდგომის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეთოდოლოგიურადაც შეუძლებელია ყველა გარემოება (პავლეძე, ქალაქში, სახლიდან...) ზმნისართად - სახელის პარადიგმიდან ამოვარდნილად - ჩავთვალოთ⁴⁶; შდრ., „დღე“ სახელის პარადიგმიდან მართლაც ამოვარდნილია ზმნისართი „დღეს“: დღეს ჩამოვიდა და დღეს ღამე უთენებია⁴⁷; თუმცა, ამგვარი მსჯელობა შეუძლებელია, მაგ., „ქალაქს მიდის“, „ქალაქში მიდის“, „ქალაქამდე მიდის“... შესიტყვებების სახელების მიმართ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზმნისართსაც თავისი პარადგმა აქვს: აქ, აქიდან, აქამდე⁴⁸.

ბრუნების ტიპები

ბევრი სხვა ენისგან განსხვავებით, ქართულში სახელთა ბრუნების ერთი ტიპი გვაქვს, მაგრამ სპეციალისტები ამ ერთი ტიპის ფარგლებში განარჩევენ ბრუნების რამდენიმე სახეობას; კერძოდ:

ა. შანიძე გამოყოფს ბრუნების სამ სახეობას:

1. თანხმოვანფუძიანი სახელები;
2. ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელები;
3. ფუძეუკვეცელი სახელები.

თანხმოვანფუძიან სახელებში ყველა ბრუნვის ნიშანი სრულია (სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს, სახლ-ის, სახლ-ით, სახლ-ად, სახლ-ო).

კვეცად სახელებში მოკვეცილი ან არასრულია (ძმა, ძმა-მ, ძმა-ს, ძმ-ის, ძმ-ით, ძმა-დ, ძმა-ო).

ფუძეუკვეცელი სახელების ბრუნებისას იცვლება ბრუნვის ნიშანი ნათესაობითსა და მოქმედებითში: ეზო-ს-ი, ეზო-თ-ი.

აღსანიშნავია, რომ სახელთა ბრუნების ტიპების ა.შანიძისეული კლასიფიკაცია ინდოევროპული ენების გრამატიკების გავლენითაა შემუშავებული, მაგრამ ამ ენებისთვის ასეთი კლასიფიკაციის საფუძველია სქესის კატეგორია, რაც ქართულში არ გვაქვს. ამდენად, ეს დაყოფა თავისთავად ლოგიკურად სწორია, მაგრამ არ არის ქართულისათვის ადეკვატური.

არნ. ჩიქობავასთვის ამოსავალია ფუძესა და ბრუნვის ნიშანში მომხდარი ცვლილებები; ამის მიხედვით იგი განასხვავებს სახელთა ბრუნების სამ ტიპს:

1. უკუმშველი სახელები;
2. კუმშვადი და კვეცადი სახელები;

⁴⁵შდრ. თ. უთურგაიძე. თანდებულიან სახელთა ბრუნება ქართულში.- კრებული „არნოლდ ჩიქობავას“. თბილისი, 1979, გვ. 116-124.

⁴⁶შდრ. თ. უთურგაიძე. სახელის ფუძისათვის ქართველურ ენებში. საენათმეცნიერო ძიებანი. თბილისი, 1983, გვ. 91-92.

⁴⁷ვერ გავიზიარებთ კ. გაბუნიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც **დღეს, კარგად** ტიპის გაქვევებულ ფორმებში - ზმნისართებში - **-ს, -ად** ჩათვლილია ბრუნვის მოქმედ ნიშნებად (იხ.: კ. გაბუნია. ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. თბილისი, 1993).

⁴⁸ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია. თბილისი, 1995, გვ. 46.

3. უკვეცელი სახელები.

თანხმოდანფუძიან უკუმშველ სახელებში არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში და არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე (სახლ-ი, სახლ-მა..).

მეორე ტიპის ანუ კუმშვად და კვეცად სახელებში ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში (მეგობრ-ის, მეგობრ-ით, მეგობრ-ად; მთ-ის, მთ-ით; კლდ-ის, კლდ-ით).

მესამე ტიპის სახელებში ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე, იკვეცება ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი).

ამ კვალიფიკაციაში წინააღმდეგობრივია მეორე ჯგუფის გამოყოფა, ვინაიდან კვეცადი სახელების სახელობით, მოთხრობით ბრუნვათა ნიშნები ფუძის გავლენით ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან და ამ მხრივ მესამე ტიპის სახელების ჯგუფს მიეკუთვნებიან; ამის გათვალისწინებით, ვთოფურია ქართულ ენაში გამოყოფს სახელთა ბრუნების 4 ძირითად სახეობას: უკუმშველი, კუმშვადი, უკვეცელი და კვეცადი.

ბ. ჯორბენადე სახელთა ბრუნებაში ორი მორფოლოგიურ ტიპს ასახელებს: ერთფუძიანს (1) და ორფუძიანს (2):

ერთფუძიანში იგულისხმება სამი ქვეტიპი:

1.1. სახელები, რომელთაც აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა (კაცი, ქალი; სიყვარული, ბედნიერება...);

1.2. სახელები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ორი ფორმა (-ნ და -თ ფორმანტებით ნაწარმოები მრავლობითის ფორმები: კაც-ნი – კაც-თ-ა);

1.3. სახელები, რომელთაც ახასიათებთ ნაკლები ბრუნება: შენ, თქვენ, ჩვენ...

ორფუძიანში წარმოდგენილია ორი ქვეტიპი:

2.1. სახელები, რომელთაც საერთო ფორმა აქვს სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისათვის, ერთი მხრივ, ნათესაობითისა და მოქმედებითისათვის, მეორე მხრივ: მე, ჩემ-ზე (ჩემ-თან, ჩემ-ში), ჩემ- (თანდებულებით), ჩემ-ით;

2.2. სახელები, რომელთაც განსხვავებული ფუძეები აქვთ სახელობითისა და ყველა სხვა ბრუნვაში (ის, ეს, იგი...).

ჩემი აზრით, ბრუნების თავისებურების მიხედვით ქართულ ენაში სახელთა (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნისართი) რამდენიმე ჯგუფი უნდა გამოიყოს:

I. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითში დაირთავს -ის; ბრუნებისას არც სახელის ფუძე იცვლება, არც ბრუნვის ნიშანი: კაცი-ი, კაცი-მა, კაცი-ს, კაცი-ის...

II. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობით ბრუნვას აფორმებს -ი; ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში ფუძის ბოლო მარცვლის შემქმნელი ა, ე, ო ხმოვნები იკუმშება: დედალი, დედალმა, დედალს, დედლის...

III. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი ბრუნვის ფორმა არ დაირთავს -ის (ფუძე ბოლოხმოვნია); მოთხრობით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი რედუცირებულია (მა→მ, ის→ს; ით→თ, ად→დ, ო→ვ): წყარო, წყარომ, წყაროს...

IV. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი ბრუნვის ფორმა არ დაირთავს სახელობითის -ის; ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი იკვეცება მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში, ხოლო ფუძე იკვეცება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში: კიბე, კიბემ, კიბეს, კიბის...

V. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა; სახელობითი არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს; სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში იკვეცება ბრუნვის ნიშანი, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ფუძე კარგავს ორ ბოლო ხმოვანს: ფანჯარა, ფანჯარამ, ფანჯარის...

VI. სახელს აქვს ყველა ბრუნვის ფორმა, მაგრამ ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში უჩვეულო (/არქაული) ფორმით წარმოსდგება: ღმერთი - ღვთის, ამბავი - ამბის, ღვინო - ღვინის...

VII. სახელს არა აქვს ყველა ბრუნვის ფორმა (შეზღუდული ბრუნების სახელები): შენ, შენით, შენამდე; დღეს, დღეიდან, დღემდე; აქ - აქედან - აქამდე...

VIII. ბრუნებისას სახელი ავლენს ორ ფუძეს: ეს - ამან, ამას; მე - ჩემ-ით, ჩემ-თვის...

ბრუნვის ფორმათა სემანტიკა

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის სახელის მორფოლოგიურ ანალიზს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, მაგრამ ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი ბრუნვათა სემანტიკური მხარე. ამ ნაკლის შევსებას წარმოადგენს ბ. ჯორბენადის ნაშრომი „ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის

პრინციპისათვის ქართულში“. ავტორის აზრით, აუცილებელია, განსხვავდეს ბრუნვათა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები; მაგ., მიცემითი ბრუნვა ფორმის მიხედვით გულისხმობს ფუძისა და -ს ნიშნის ერთიანობას (ქალაქ-ს), სინტაქსურად იგი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, გარემოება; სემანტიკურად კი მიუთითებს ადრესატზე (ამხანაგს დაუწერა), სამოქმედო საგანს (სახლს იშენებს), მოქმედების იარაღს (ჩაქუჩს ურტყამს), მიმართულებას (ქალაქს მიემგზავრება), მიწვევითობას (ქალაქს ჩავიდა)...

ამ თვალსაზრისით სიღრმისეულადაა შესასწავლი ქართული სამწიგნობრო ენის ბრუნვები.

დასკვნის ნაცვლად:

სპეციალისტთა შორის აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა ქართული ენის როგორც ბრუნვათა რაოდენობის, ასევე ბრუნვების ქვეტიპების შესახებ. წარმოდგენილ თუ სხვა ახალ თვალსაზრისთა შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ კონცეფციას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ადგორითმისათვის საჭირო უგამონაკლისო წესების აგება (მანქანური თარგმანებისათვის).

Tariel Putkaradze

Case as one the aspects of noun formation

Summary

So-called local as well as other forms with a prepositional (enclitic) case-marker are considered in the paper to be fused (complex) morphemes. They can be united under the name of „complex cases“.

მანანა ტაბიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გელა შავხელიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

კოლექტიური თვითკეთვნილების ენობრივი გამოხატვის ქართულ-ნახური მაგალითი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე კვლევები სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს ანთროპოლოგიურ მონაცემებს და ადამიანის ქცევის (მათ შორის ენობრივი ქცევის) ასხნას იდენტობის თავისებურებათა საფუძველზე ცდილობს. მიიჩნევა, რომ ეთნოკულტურული ნორმები უძველეს სოციალურ ნორმებს წარმოადგენენ, რომლებიც ყალიბდებოდა ეთნოსის ისტორიული განვითარების, მოღვაწეობის ფორმების, ტრადიციების, რიტუალების სახით (ან მათ წიაღში). სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, ნორმები, მათ შორის ეთნოკულტურული ნორმები, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარკვეულ სოციალურ კონტექსტზე, სოციალური იდენტობა არის ნორმატიული ქცევის საკვანძო მოტივაციური ფაქტორი, ანუ ადამიანები ნორმასთან შესაბამისობას ესწრაფვიან იმიტომ, რომ სურთ ჯგუფის წევრად იგრძნონ თავი. ამიტომაცაა, რომ უცხო გარემოში მოხვედრილი ადამიანი ცდილობს იპოვოს ის ჯგუფი, რომლის ნაწილიც სურს იყოს და მისი საყოფაცხოვრებო ნორმებიც აითვისოს, ან შეინარჩუნოს, თუკი ეს უფრო ადვილია, ვიდრე ადაპტაცია¹.

კავკასიისათვის კოლექტიური იდენტობის უზრუნველმყოფი ნორმების შემუშავება–დაცვა პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო საუკუნეთა მანძილზე, ხოლო არის თუ არა მნიშვნელოვანი ამჟამად, ამას სპეციალური კვლევა ესაჭიროება. რამდენადაც გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიის მოსახლეობას მუდმივი თავდაცვის პოზიციაში ყოფნას აიძულებდა, ხოლო თავად „შიდაკავკასიურ“ ეთნოსთა მრავალფეროვნება და „შიდაგეოპოლიტიკური“ იზოლაციურობაც შეიძლება სხვადასხვა ტიპის კონფლიქტის განმაპირობებელი აღმოჩენილიყო, ამიტომ ერთიანი იდენტობის ამა თუ იმ კომპონენტის მოძიება და შენარჩუნება უსაფრთხოების პირობად ჩანდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამგვარი პრაგმატიკა ედო საფუძვლად საერთო კავკასიური იდენტობის ელემენტების, როგორც სოციალურული თანაღმობის განმსაზღვრელი ფაქტორის შენახვაზე, შენარჩუნებაზე ზრუნვას. სხვადასხვა დროს წინამდებარე სტატიის ავტორები საერთო კავკასიური ენობრივი იდენტობის რამდენიმე გამოვლინებას იკვლევდნენ. კოლექტიური იდენტობისა და ამ იდენტობის ზოგადკავკასიური ბუნების ძიებამ ამჯერად ე. წ. მეზობლობის ინსტიტუტთან და მისი ენობრივი გამოხატულების საკითხთან მიგვიყვანა.

ქართველთა ენობრივი იდენტობის კვლევისას საზოგადოებრივი ურთიერთობების საყოფაცხოვრებო თავისებურებათა ამსახველი რამდენიმე ლექსემა დანდებია, რომელთაც რესპონდენტები ქართველთა ყოფის მკაფიო თავისებურებათა შორის ასახელებენ; ასეთ კატეგორიათა შორისაა: ძმობა, ნათესაობა, მეგობრობა, სტუმარ-მასპინძლობა, მეზობლობა და სხვ.; იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ქართველები მტკივნეულად რეაგირებენ ამ ფასეულობათა იგნორირების, დამცრობის, ეთიკურ ნორმათა დარღვევის ყველა შემთხვევაზე, და საზოგადოების ამა თუ იმ წევრის მიერ ამ ნორმათა უარყოფაში ეროვნული ღირსებების დეგრადაციისა და ეროვნული მთლიანობის დარღვევის საფრთხეს ხედავენ. აღმოჩნდა, რომ ასეთივე დამოკიდებულებას იჩენენ ამ საკითხებისადმი იბერიულ-კავკასიური მოღვაწის სხვა ხალხებიც.

„მეზობლის“ (მეზობლობის) ცნება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით დღეს რაიმე განსაკუთრებული სემანტიკური დატვირთვის მატარებელი არ ჩანს; გლობალიზაციის ამჟამინდელი ფორმატისათვის ის, რაც საზღვარს იქით, საზღვარს გარეთაა, უკვე მეზობლობაა, გაჩნდა ისეთი ცნებებიც, როგორცაა „ახლო საზღვარგარეთი“ და „შორეული საზღვარგარეთი“ ეს ცნებები ჩვენში

¹Phinney J. Identity formation across cultures: The interaction of personal, societal and historical change // Human Development. 2000. Vol. 43. P. 27–31 1. Tajfel H. Social categorization, social identity and social comparison. In H. Tajfel Differentiation between social groups. London: Academic, 1978, P. 61-76 2.

რუსულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას შემოჰყვა, თუმცა ვიწრო პოლიტიკურ წრეებს ვერ გასცდა, რადგან ენამ ვერ იგუა „მეზობელი სახელმწიფოებისა და არამეზობელი სახელმწიფოების“ ამგვარი დიფერენციაცია.

ჩვენში „მეზობლის“ ცნება სხვადასხვა კატეგორიად იყოფა: მეზობლები რაიონის, სოფლის, უბნის, ქუჩის, საცხოვრებელი ბინების სიახლოვის (ურბანულ დასახლებებში) მიხედვით; ამას გარდა მეზობელი პირები თუ ერთობები გაირჩევა კონფესიური, კულტურული და იქამდე, პოლიტიკური ნიშნებითაც. მნიშვნელობათა ასეთი მრავალფეროვნება ამ საკითხის სრულად აღქმას ართულებს, თუმცა იმთავითვე ჩნდება საკითხი – არის კი საერთო სხვადასხვა ხალხის კულტურაში ამ საკითხის გაგების თვალსაზრისით, და რას გვიამბობს ამის თაობაზე ენა, როგორც ადამიანთა ურთიერთობისა და აზროვნების წყობის ყველაზე მგრძობიარე ფიქსატორი. ამჯერად ამ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ძებნას ჩვენ ქართულსა და ჩეხურ ენებში შევეცდებით.

მეზობლად ცხოვრების თემა ყველა ხალხისა და ყველა ეპოქისთვის აქტუალური ჩანს, რამდენადაც დაკავშირებულია მშვიდობის, კულტურული გავლენის, სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვან ფაქტორებთან; დროთა განმავლობაში, მას შემდეგ რაც საზღვრებად მავთულხლართები, ხოლო ღობეებად ეკალბარდები გაეწვლია, ადამიანთა ერთმანეთისგან იზოლაციის ხარისხმა იმატა, და ბოლოს ეგზისტენციალისტური მარტოობის მდგომარეობისკენ გადაიხარა. ცხადია, ამგვარმა ცვლილებებმა გამოძახილი პოვა „მეზობლობის“ ტრადიციულ გაგებაში და პიროვნების მაინდივიდუალიზებული წრის შიგნით მოხვედრილ ადამიანთა შორის მეზობელი აღარ მოხვდა. ენა, რომელიც, როგორც წესი, აფიქსირებს ადამიანის შინაგან და გარემოსეულ ცოდნასა და შეგრძნებებს, ამ შემთხვევაშიც უცუარი საზომია „მეზობლობის“ ინსტიტუტში განვითარებული პროცესებისა. ასე რომ ოვიდიუსის (V ს. ჩვ.წ.აღ.-მდე) მიერ შემჩნეული სამეზობლო შურიანობა („მეზობლის ყანაში მოსავალი უკეთესი ჩანს და მეზობლის ძროხა მეტს იწველისო“ და ჰორაციუსის (VII ს. ჩვ. წ. აღ.-მდე) მიერ აღნიშნული მეზობლების ალტრუისტულ-გეოსტური ურთიერთდამოკიდებულება („როცა მეზობლის სახლი იწვის, შენს საკუთრებას საფრთხე ეშუქებაო“) ის უნივერსალიებია, რომელთა სულისკვეთება მრავალი ხალხის კულტურაში იჩენს თავს. შესაბამისად, სამეზობლო თემითა და პოზიტიურ-ნეგატიური მაგალითებით სავსეა შემდგომი დროის მსოფლიო. და იმის პირდაპირპროპორციულად, თუ ერთმანეთისგან რამდენად დამოუკიდებელი ინტერესები უჩნდებათ მეზობლებს, თავს იჩენს ერთმანეთთან სიახლოვის ან სიშორისაკენ მისწრაფება. ბიბლიური ანდაზა „შორს მყოფ ძმას ახლო მყოფი მეზობელი სჯობსო“ პოზიტიური გამონათქვამების წყარო გახდა სხვადასხვა ხალხის ფოლკლორში. კავკასიაში ეს ფორმულა უგამონაკლისოდ ყველა ეთნოსში გვხვდება: „მეზობელი ნათესავზე ახლოაო“, „კარგი მეზობელი და კარგი ნათესავი ერთია“, „ნუ გაცვლი ახლო მეზობელს შორეულ ნათესავში“ და ა. შ.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, დროთა განმავლობაში ევროპის ხალხებში „მეზობლის//მეზობლობის“ თემა სულ უფრო პრაგმატიკულად განიხილება, და გრძობითზე მეტად პრაქტიკულ მიდგომას წამოწვევს წინ, მაგალითად: „ჩვენ თავად ვიძინებთ მეგობრებს და ვქმნით მტერს, მხოლოდ მეზობელს გვაძლევს უფალი“ (ჩესტერტონი, ინგლისი XIX ს.), „პირადი წარმატების აკვანი თქვენი უახლოესი მეზობლის მეგობრობის, ნდობისა და პატივისცემის შენარჩუნებაა“ (XIX ს. ჯ. ვაშინგტონი).

რაც უფრო აქეთ მოიწვევენ საუკუნეები, მით მეტად ღვივდება მესაკუთრეობის, შეჯიბრების განწყობა და ენაც გვიდასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ღვაწლით მიღწეული ლიბერალური ურთიერთობები თვით ხალხის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და მეხსიერებას საკანონმდებლო ჩარჩოებით აკავებენ და მართავენ; ამდენად ერთმანეთს ეჯახება ორი კომპეტენცია: კანონი და პირადი ხსოვნა ან ინსტინქტი; კანონი აწესებს:

(მუხლი 174. ცნება. ურთიერთპატივისცემის მოვალეობა მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება); პირადი გამოცდილებით კი პატივისცემა და ურთიერთგაფრთხილება შეიძლება სადავო აღმოჩნდეს.

ისტორიულად კავკასიას მისი მოსახლეობის შედარებითი სიმცირისა და რელიეფის თავისებურებებით განპირობებული დასახლების პრინციპის გამო მუდმივად (შორეულ საუკუნეებშიც და მეტ-ნაკლებად დღესაც) უხდებოდა მეზობლობის ინსტიტუტისთვის ანგარიშგაწევა და ამ მიმართულებით ადათობრივი სამართლის მრავალგვარი მექანიზმის შემუშავება. ამ მექანიზმებმა ბევრჯერ დაიცვა მოსახლეობა შიდაკავკასიური ომებისაგან, და სწორედ ამიტომ იყო, რომ ნებისმიერი

მომხდური სწორედ მეზობელი ხალხების ერთმანეთთან წაკიდებასა და ამის მეშვეობით საკუთარი ხეირის ნახვას ესწრაფოდა. გენეტიკური ფესვების გარდა (იგულისხმება იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ეთნოსები) მოელი კავკასიელი ხალხების ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ჩანდა მეზობლობა, რომელიც მშვიდობიანი მეზობლობის გარკვეულ კრიტერიუმებს ითვალისწინებდა: სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის განვითარება, ოჯახი, სტუმარმასპინძლობა, სამართლებრივი საფუძვლები, მოყვასის სიყვარული როგორც უზენაესი მიზანი, საერთო მოყვარე და საერთო მტერი, ტოლერანტულობა ერთმანეთის რჯულის, ტრადიციის, საკუთრების საკითხებში.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ყველანი გლობალისტურ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ძნელია ლოკალური ღირებულებების შენარჩუნება, და მრავალთა აზრით, ეს არც არის საჭირო, ჩვენ გვიწევს ფიქრი იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია ამ ტრადიციული ზნეობრივი სისტემის შენარჩუნებისთვის დაძაბული ბრძოლა, თაობათა დაპირისპირება, მსოფლიო მდინარის „დინების საწინააღმდეგოდ სიარული“; ბოლოს და ბოლოს, ხომ აგვარებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს უამრავი სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტი? მით უფრო, რომ საქართველოს კანონმდებლობას სრულიად ნათლად აქვს განსაზღვრული მეზობელთა ურთიერთობის ნორმები, და ერთმანეთის ინტერესთა შეღავათის აღმკვეთი ღონისძიებები. ცხადია, ამგვარი საკანონმდებლო მიდგომა სავალდებულოა, და მასთან არაფერი გვაქვს სადავო; მაგრამ კანონი ნეგატიური მოქმედების შეფასებისა და პრევენციის საშუალებაა, მას არც ვვალდება და არც შეუძლია პოზიტიური ქმედებების დანერგვა-ორგანიზება. ტრადიცია ამ მხრივ კანონს წინ უსწრებს: ტრადიცია იძლევა პოზიტიური მოქმედებების სისტემას, ასწავლის საზოგადოებას არა მხოლოდ იმას, რომ არ აწყენინონ მეზობელს, არამედ იმასაც, რომ მეზობლები ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით განხორციელებულმა კვლევებმა თაობათა კეთილად აღზრდისა და არანათესავეების მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფის მხრივ კარგი შედეგი შეიძლება გამოიღონ.

საკვლევი კუთხით იდენტობის კვლევისას „მეზობლობასთან“ დაკავშირებით რესპონდენტები რამდენიმე ლექსემას ასახელებენ²: ა) მეზობლობა ტარიტორიული გრადაციის მიხედვით (კარის მეზობელი, ახლო მეზობელი, ქუჩის მეზობელი, უბნელი მეზობელი, ერთი სოფლიდან მეზობელი (მაგ. ქალაქში მცხოვრებთათვის) და ა. შ.); ბ) მეზობლობა ადამიანთა ურთიერთობის ხარისხის მიხედვით („უახლოესი ადამიანები არიან ეს მეზობლები“, „მთლად კარის მეზობელი არ არის, მაგრამ უახლოესია“, „მეზობელი ბევრ ნათესავზე ახლოა, პირველი ის იგებს შენს გასაჭირს“, „მეზობლებმა ყველაფერი იციან ერთმანეთზე, უსიტყვოდ ესმით შენი გასაჭირი“. „საწყალი, არავინა ჰყავს, მეზობელიც კი არ ყავს, რომ წყალი მიაწოდოს (დაცარიელებულ სოფლებში აქა-იქ შემორჩენილ მცხოვრებლებზე ამბობენ.“ „მარტო რატომ ვიქნები, შესანიშნავი მეზობლები მყავს“. „აფხაზეთიდან წამოსვლის უბედურება კი გადავიტანე ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ჩემს იქაურ სამეზობლოზე მწყდება გული“. „ახალმა თაობამ აღარ იცის კარგი მეზობლობა: სამსახური და სახლი, სულ ესაა მათი ცხოვრება“)...

სწორედ ეს დამოკიდებულება „მეზობლობასთან“, როგორც ფენომენტთან გახდა წინამდებარე კვლევის სტიმული. სრულიად თანამედროვე საქართველოში (ჩვენ, ძირითადად, ეს „სასინჯო“ მოკვლევა თბილისელ ახლობელთა შორის ჩავატარეთ) ესოდენ მგრძობიარე დამოკიდებულება „მეზობლობის“ თემისადმი ამ სიტყვით გადმოცემული ცნების შინაარსში უკეთ გარკვევის სურვილს აღძრავს.

„მეზობელი“ უკვე ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება. მის ამოსავლად „ეზო“ ფუძე მიიჩნევა, რომელსაც საერთო ქართველურ ფუძეთა შორის განვიხილავთ, ის დასტურდება თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში, თუმცა მისი სემანტიკა გაცილებით მრავალფეროვანია დიალექტურ სივრცეში, ვიდრე ამ ფუძის დღევანდელი მნიშვნელობა³.

ეზოთმპყრობელობა სამფლობელოს ქონება „მამულსა ნათესავსა ვანაცვალებთ ჩვენ დედული აღმობრწყინებამ, მკვდართმძღუანელობანი და ერთმმართველობანი და სამეუფოთა ეზოთმპყრობელობანი“ (პარაკლიტონი, 25)

²აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ ჩავვიტარებია სისტემატიური და მეთოდოლოგიურად ორგანიზებული გამოკითხვები ამ მიმართულებით, ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ სხვადასხვა თაობის სხვადასხვა განათლების დონისა და განსხვავებული მატერიალური უზრუნველყოფის მქონე ადამიანების შეხედულებათა გაგებას.

³„ეზო“ საერთოქართველურ ლექსიკურ ერთეულებს განეკუთვნება (იმავე რიგისაა, როგორისაც: ცხენი, ზღვა, ცა, ადრე, დრო, ხანი, შარა, კვალი, მხარე, კარი, ეზო, დიდი...).

ეზოდსაგან ეზოსი სხუანი ცხოვარნი მიდგან, რომელნი არ არიან ამის ეზოდსაგანნი (სახარების თარგმანება, მე-11 საუკუნე, 101, 8-9)⁴

ილია აბულადის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მოცემულია „ეზოს“ შემდეგი განმარტება: „სტოვა“⁵, „ბაკი“⁶, „კრეტსაბმელი“⁷, „ავლინი“⁸, იალქანი, ფარდა, გალავანი, კარი, სადგომი, სახლი, სართული...“

და ამ ფუძეზე აგებული „ეზოდს-მოდუარი“: – ათასის თავი, სასახლის მთავარი, მნე“.

ილია აბულადესთანვე დასტურდება სიტყვა „მეზობელი“, რომელიც შემდეგნაირადაა განმარტებული: მეზობელ-ი „მოძმე“; “მეზობელთა მათ, რომელთა ეხილვა იგი პირველ“... „მოიგონა წარპარვად მონაგები მეზობლისა თვისსად“. ამ მაგალითებს ი. აბულადე მოიხმობს ისეთი წყაროებიდან, როგორცაა: პარხლის მრავალთავი⁹, ჯრუჭის ოთხთავი¹⁰ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ „მეზობელი“, ქართულ ტექსტებში ხშირად გვხვდება (განსაკუთრებით მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების ლიტერატურაში), მაინც უნდა ითქვას, რომ ინფორმაციული თვალსაზრისით მასზე გაცილებით ცოტა ინფორმაცია ამოიკრიბება „მეგობრობასთან“, „ძმადნაფიცობასთან“ „სტუმარმასპიბძლობასთან“ შეფარდებით.

ჩვენ გადავწყვიტეთ მაინც გვეცადა ამ სიტყვის მნიშვნელობის სეგმენტიზაცია:

ა) „მეზობელი“ არის ის, ვინც ახლოს ცხოვრობს; სიტყვა „ახლოს“ ქართულში (ისევე, როგორც სხვა ენებში) ძალზე ბუნდოვანი საზომია, რადგან ერთი სოფლისათვის, რომელსაც შეიძლება სულ ერთი ქუჩა ჰქონდეს, ან მოსახლეობას ერთი მთის ფერდობის საცხოვრებლად ვარგისი ნაწილი ეჭიროს, **სიახლოვე** ძალზე პირობითია, დიდი ქალაქის უბნების მეზობლობასთან შედარებით; საქართველოს რელიეფის გათვალისწინებით, ისეთი სოფელიც შეიძლება შეგვხვდეს, სადაც მოსახლეობა ისე შორი-შორაა გაფანტული და უახლოესი მეზობლისაგან ყანებითა და ვენახებითაა დაცილებული, რომ ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენაც კი არ უხერხდებათ. ასეთ შემთხვევაში მეზობელი „ახლოა“ ურთიერთობის თვალსაზრისით, და არა ფიზიკურად (გეოგრაფიულად). მეზობელი იწყება ეზოს იქით, ღობის იქით მცხოვრები ადამიანით და მთავრდება... იქ, სადაც წყდება საერთო მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. როგორც ჩანს, ძნელია ბოლო საზღვრის მითითება. ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონში სიტყვა „მეზობლად“ შემდეგი სინონიმებითაა შემოსაზღვრული: ახლო ახლოს, მახლობლად, შორიახლო, ახლომახლო, თან (მაგ., სახლთან, ბაღთან და სხვ.), გვერდით, გვერდზე, კარწინ, ცხვირწინ, მეზობლად, ორიოდ ნაბიჯზე, ერთი ნაბიჯის მანძილზე, მარჯვედ, ერთი ნაბიჯის გადადგმა, ერთი ფეხის გადადგმა, მცირე მანძილი. აგრეთვე: მომიჯნავე, მიმდებარე, მიმხრობი, სანაპირო, მისამხარი, გვერდმდებარე¹¹.

ბ) მეზობელი“ არის ის, ვინც მსგავსად სახლიკაცებისა¹² მონაწილეობს კონკრეტული ოჯახისათვის მნიშვნელოვან მოვლენებში. ხშირად მეზობლები ნათელ-მირონით ნათესაობასაც ესწრაფვიან; აქვე უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულად ახლო მეზობლებს შორის ქორწინებაზე მეტად ნათელ-მირონია გავრცელებული; აქედან უნდა მოდიოდეს გამონათქვამი: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“.

ან მეზობლის ქალისადმი უიმედო სიყვარულის გამომხატველი სიტყვები იმერული ხალხური სიმღერიდან: „ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო, ჩემო ახლო მეზობელო...“

მეზობლობის ქება ქართულ აფორიზმებსა და ანდაზებში შემონახულია:

„მეზობელმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არა გქონდეს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო“.

„მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“ და მრავალი სხვა.

⁴ორივე მაგალითი მოხმობილია ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან, შემდგენელი, ზ. სარჯველაძე.

⁵სტოვა სახლის ერთ-ერთი სახეა: ს ტ ო ვ ა არს ქვით კამრებითა შეკრული და გარ(ე)შემო ფარდია;

⁶სადგომი

⁷სამეფო კარის შიდა მხარეს, საკურთხეველში ჰკიდია ფარდა, რომელსაც კრეტსაბმელი ეწოდება.

⁸სანაგვე.

⁹პარხლის მრავალთავი, ხელნაწერი 95, XI საუკუნისად გადათარიღდა (აღრე მას X ს. ძეგლად მიიჩნევენ). ეს კრებული, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდი ზომის ხელნაწერია, შეიცავს 7 ჰომილიას, გამოუცემელია, არადა მისი ცალ-ცალკე გამოცემა საშური საქმეა, სხვა რომ არ იყოს, ამ ხელნაწერმა შემოგვინახა „შუშანიკის წამების“, მართალია, ბოლონაკლული, ერთადერთი უძველესი ნუსხა.

¹⁰ჯრუჭის ოთხთავი – XII ს. -1667) ხელნაწერი შემკულია კამარებით, თავსამკაულებით, საზედაო ასოებით, მახარობელთა გამოსახულებებით.

¹¹ალექსანდრე ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა. თბილისი, 1978.

¹²ოჯახის უახლოესი ნათესავები.

გ) „მეზობელი“ თითქმის არ დადასტურდა ხევსურულ ლექსიკონში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი დიალექტური ლექსიკონია ქართულში, საკმაოდ მწირია მაგალითები, იმერულ, ზემოიმერულ, ქართლურ და სხვ. ლექსიკონებში. ვფიქრობთ, ამას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მთაში, სადაც სოფლის მოსახლეობა დიდხანს ცხოვრობდა თემის წესით, თემის წევრთა უმრავლესობა ნათესაური და საყოფაცხოვრებო იერარქიის პრინციპით ცხოვრობდა, ხოლო რელიეფისა და კლიმატური პირობების გამო ლოკალიზებულ მთლიანობას წარმოადგენდა, ამიტომ ის ფუნქციები, რომელსაც ბარის მოსახლეობაში მეზობელი კისრულობდა, მთისთვის კარგად ორგანიზებულ სოციალურ სისტემად მუშაობდა და ფუნქციის დასახელებაც სწორედ ამ ნიშნით ხდებოდა; მაგალითად „ხევსურულ ლექსიკონში დასტურდება არა მეზობელი, არამედ „მეთემე“: მეთემე- თემის მცხოვრები მეთემე მაგვეშველების, ხომ მაველენ თენებაზედა? (ხევს. პოეზია) მეთემეს დაუბარდით, თუ ყანა დარჩის სამკალი“. ანუ მეთემე არის ის ადამიანი, რომლის გასაკეთებელს ბარში მეზობლები აკეთებენ. თემში კი „სამეზობლო“ ფუნქციები სხვადასხვა ადამიანზეა გაწერილი: მეკოდე (დიდ თავყრილობებში სასმელზე აგებს პასუხს¹³, მესორცე, ხორციით უზრუნველყოფს სუფრას, მეკარე¹⁴ დიაცებს აწვდის სუფრაზე გატანილი სურსათის ნაწილებს, მესადილეს მამითადისთვის სადილი მიაქვს და ა. შ.

დ) „მეზობლობა“ მიუხედავად მისი საპატიო შინაარსისა, იდეალიზებული სულაც არაა. „მეზობლობისთვის“ დამახასიათებელ სიხლოვეს ხშირად ჩრდილს აყენებს ცალკეული პირის ხასიათი ან ესა თუ ის ნაკლი, სიზარმაცე, მეჭორეობა, სიზარმაცე და სხვ. მაგალითად ამ ნიადაგზეა გაჩენილი:

ანალოგიური მინი-ინტერნეტგამოკითხვა ჩავატარეთ ვაინახებს შორისაც. გამოგვეხმაურა ათეულობით ადამიანი, რომელთა პასუხებითაც დავადგინეთ, რომ ისინიც მეზობლის ცნებას შემდეგი თავისებურების მქონედ ხედავენ: ა) ჩენურში: „როდესაც ახალგაზრდები სახლს ან მიწის ნაკვეთს ყიდულობენ, მშობლები ეუბნებიან: „ლამაზი სახლის ძებნას კარგი მეზობლები ეძებეთო“; უახლოესი მეზობლები იყვნენ და მათ შორის გერგარლო: ვითარდება (ნათესაობითი ურთიერთობები) – ერთად მუშაობდნენ მინდორში, ერთად უვლიდნენ საქონელს, მერე კი ერთ სუფრასთან იკრიბებოდნენ, რათა საყოფაცხოვრებო საქმეებზე ემსჯელათ“ ან „როდესაც ოჯახში სიხარულის – ვაჟი ქორწინდება ან ქალს ათხოვებენ, ბავშვი იბადება, პირველად მეზობლებს ატყობინებენ. ეს ჩენურად უდერს როგორც ჯა' ბაჯჯარ – სიტყვასიტყვით, სიხარულის გაზიარება; ბ) ინტერესთა ერთიანობის თვალსაზრისით ჩენებისათვის მეზობლად მიიჩნევა ის, ვინც 40 სახლის რადიუსში ცხოვრობს. „მეზობლებთან ჩენებსაც და ინგუმებსაც ყოველთვის კარგი ურთიერთობა აქვთ – ეს მარტო კულტურა კი არა, რელიგიისა და შინაგანი რწმენის ნაწილია“¹⁵ და ამის დასტურად ერთი ჩვენი ინტერნეტესპონდენტი, სახელად ზულიხანი გვწერდა: „ჩვენ მეზობლებთან დიდი მეგობრობა გვაქვს; ხადისეში წერია, რომ მეზობლებს სიყვარულით უნდა მოეპყრა, რადგან სამსჯავროზე აუცილებლად გკითხავენ, როგორ ეპყრობოდი მეზობლებს – პირველი ხომ მეზობელი ესმაურება ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს“. ბ) ვაინახები ცდილობენ მოყვასი დაიფარონ მეზობლის მიმართ ცუდი საქციელისაგან და ჩააგონებენ, ჩენს. *ლოლახოზონცა ვონ(ნ) ხილ მეგარ მა დაც – დაალოუოხარ მა დუ იზა*, რაც ნიშნავს: „არ შეიძლება მეზობელთან მტრობა, ღმერთი სასჯელს მოგივლენს“. ქისტ: *ნახაც ვეეხაშ ხილ, ლოლახოლოშც დისთ ცა ხილარ დიქ მაც დოლ... აუშ დიქ ბეეცეკ, ჰო შეგნებულ ხილ მა ვიეძი ცაარახ!?*... „თუ ხალხში ცხოვრობ, მეზობელთან უბრად ყოფნა არ შეიძლება, მეტი შეგნება მოგეთხოვება“. ცნობილი ისტორიკოს-ეთნოლოგი იან ჩენსოვი ვაინახების შესახებ წერს: „ჩენების მენტალიტეტი მკაფიოდაა პოლარიზებული პრინციპით: „თავისიანი“ და „არათავისიანი“, ამასთან ეს „არათავისიანი“ უცხო სულაც არაა: მეზობლებისა და სხვა ეთნოსთა მიმართ ჩენებს აქვთ ღრმა პატივისცემა, რაც ანთროპონიმშიც ვლინდება. ფართოდაა მათთან გავრცელებული იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც მეზობელი, და ზოგჯერ მოშორებით მცხოვრებიც, ხალხის ეთნონიმებიდან მომდინარეობს: გუმი (ყუმიხი), გერმანე (გერმანელი), იაპონი (იაპონელი), ჯარჯი (ქართველი (გიორგი), რუსლანი

¹³მეკოდე – ვისაც ქორწილში და მიცვალებულის ხარჯებში სასმელი აბარია.

¹⁴მეკარე – იგივეა, რაც მესამრელოე, კარსნამყოფი, როდესაც სტუმრებს გაისტუმრებდნენ „მეკარე-მესამრელოე დიაცებს“ მიუტანდნენ ყველაფრის ნაწილს, რაც სუფრაზე იყო.

¹⁵Д. Музакаев, А. Уциев.- <http://www.youtube.com/watch?v=PLP8sryD6hg>.

(რუსი)... 90-იან წლებში ინგუშეთის უხუცესებმა ჩეჩნების მიმართ თანაგრძობის ნიშნად მიიღეს გადაწყვეტილება, არ გადაეხადათ საზემო ქორწილები, რადგან მოძმე ხალხს მწუხარება ჰქონდა¹⁶.

ლექსიკის სემანტიკურმა სემანტიკამ გვაჩვენა, რომ: 1. მეზობელი ისაა, ვინც გვერდით, ახლო ცხოვრობს, და ეს კავკასიელთათვის დეფინიციურად მოცემული წესრიგია (მაშინაც კი, როდესაც, რელიგიური გამომდინარე, მცხოვრებლები ერთმანეთისაგან დიდი ვენახებით, ხეხილის ბაღებით, სამწყემსურით ან სულაც მთიანი ლანდშაფტით არიან დაშორებულნი და ზოგჯერ ერთმანეთისთვის ხმის მიწვდენაც შეუძლებელია). ქართულსა და ჩეჩნურში ბევრი სემანტიკური და კონტრასტული საერთო მოიძებნა: ქართ. ახლო-ახლოს, ჩეჩნ. *ულ-ულლე* (სრულიად ახლოს); ქართ. მახლობლად, ჩეჩნ. *Уллухул* (არა შორს); ქართ. შორიახლო, ჩეჩნ. *გერგახულა* ქართ. ახლომახლო, ჩეჩნ. *დუხხეჰ* ქართ. კარის წინ [მეზობელი] *კარწინ*, ქართ. გვერდით, ჩეჩნ. *ულლოჰ* ქართ. ეზოსთან [მეზობლად] ჩეჩნ. *ქრთისთეჰ* ქართ. ცხვირწინ, ჩეჩნ. *მაირდუხხეჰ* ქართ. ორიოდ ნაბიჯზე, ჩეჩნ. *შინ დულჩანე*; ქართ. ერთი ნაბიჯის მანძილზე, ჩეჩნ. *ში დულჩ ბოჯალე* და სხვ.

2) სამეზობლო თემატიკა კავკასიის ეთნონიმიშიცაა ასახული (და აქედან ტოპონიმიკაშიც): ხშირად დახასიათება, რომელსაც ამა თუ იმ მეზობელს აძლევენ, ეთნონიმებად გადაიქცეოდა; მაგ. ქართ. *ქუშტი* (მაგარი მუშტით) ქისტები არიან, ქართ. კერკეტი ჩერქეზის საფუძვლად მიიჩნევა, ვაინახური *ბააცი* < **ბაზბი* (> **წანი/წოვა*-დან მომდინარე ჩანს, შდრ. ტოპონიმი *წოვათა*); დიდოელები ქართველებს უწოდებენ: *ვილლესი* > არაბ. ვილაიეთიდან (მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული), ლაკები – *გაზავ* „ტყვე“ სიტყვიდან ქიზიყი (ეს სახელი, როგორც ჩანს, ლეკიანობის დროს უნდა გაჩენილიყო) და ა. შ.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, მეზობლობის ინსტიტუტის ენობრივი მარკერები კავკასიელთა ისტორიულად გააზრებული მშვიდობიანი თანაცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს. ამ იდენტობის შენარჩუნება დღესაც იმუშავებს საყოველთაო მშვიდობისათვის, თუკი ენაში ამ ლექსიკას, ხოლო ყოფაში – შესაბამის ფასეულობებს შევინარჩუნებთ.

Manana Tabidze, Bela Shavkhelishvili

Georgian-Nakh Case of Linguistic Expression of Collective Identity

Summary

Vocabulary related to neighborhood institute represents one of the most interesting examples depicting linguistic expression of collective identity of the Caucasian population.

Living in the neighborhood seems to be an actual topic for every people and epoch as long as it is related with peace, cultural influence and important factors of trade relations. According to specialists, the topic of neighborhood is lately acquiring more pragmatic rather than emotional character among European people.

Due to its relatively small number of population and principle of settlement, historical Caucasus has constantly been obliged to take neighborhood institute into consideration while working on numerous mechanisms of its custom law. These very mechanisms have protected the Caucasian population from wars and controversy for numerous times. This was the reason why enemies strived to create conflicts among neighboring people that later ensured their success. Apart from genetic origin (i.e. Iberian-Caucasian roots), neighborhood institute seemed to be a vital factor for peaceful coexistence. Preserving this identity including linguistic and relevant social values will play its role in creating universal peace even today.

¹⁶Ян Чеснов. Быть чеченцем: личность и этнические идентификации народа. - сб. Конференции "Мир, прогресс, правачеловека", Выпуск 3, Москва, 1999; <http://old.sakharov-center.ru/museum/conferentions>.

**აკაკი წერეთლის „ქებათა-ქება“
(სიმბოლო და ინტერტექსტი)**

აკაკი წერეთლის ლექსის სათაური – „ქებათა-ქება“ იმთავითვე მიუთითებს მის სიღრმისეულ კავშირზე ბიბლიის წიგნთან „ქებათა-ქება სოლომონისა“. მიმართება განპირობებულია ორი უმთავრესი ნიშნით: I. ლექსიც ალგორითულია, და II. საღვთო სიყვარულს გადმოსცემს ისევე, როგორც „ქებათა-ქება სოლომონისა“.

„ქებათა-ქება“ შეფარვით, მაგრამ გამჭვირვალე ასოციაციებით მიანიშნებს საღვთო სიყვარულს. მძაფრი სულიერი ექსტაზი – ტრფიალი ღვთისა - გადმოცემულია ცოცხალი განცდით, სიყვარული „განხორციელებულია“, ღმერთი – პერსონიფიცირებული.

ორივე ტექსტის მიხედვით სულიერი აღმაფრენა და სიხარული შედარებულია (აღმატება) ღვინით მოგვრილ ნეტარებას. „ქებათა-ქება სოლომონისა“ 8-ჯერ ახსენებს ღვინოს (2. ღვინოზე ტკბილია შენი ალერსი“. „4. ვაქებდით შენს ალერსს ღვინოზე მეტად“; 10. „... რაოდენ ტკბილია შენი ალერსი, ღვინის უმჯობესი!“¹). ამავე იდეას ეხმიანება 103-ე ფსალმუნი, რომელშიც ნათქვამია: „ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“ (103, 13). აკაკი წერეთლის „ქებათა-ქებაც“ სწორედ ამ მოტივით იწყება:

„სხვებმა სვან ღვინო, მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით“².

„თრობას“, რომელსაც ლირიკული გმირი განიცდის, საგანგებო გამომწვევი ფაქტორი არ სჭირდება, მას სხვა მიზეზი აქვს, უფრო ბუნებრივი. ეს არის შინაგანი სიხარულისა და ბედნიერების განცდა, რომელიც ეფუძნება სამყაროს მშვენიერებისა და ჰარმონიულობის, სულიერთა და უსულოთა შორის იდუმალი ენის არსებობის მძაფრ შეგრძნებას. იგი საკუთარ თავს, როგორც ხატს ღვთისა, შეიმეცნებს სამყაროს მეუფედ, ერთი დიდი მთლიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. ბუნება უდიდეს საიდუმლოს ინახავს, თითქოს ყველაფერი გაცხადებულია, მაგრამ მაინც იდუმალებითა და მიუწვდომლობით აღვსილი, და ამ ყველაფრის შესამეცნებლად საკმარისი არ არის ჭკუა, რაციონალური საწყისი, არამედ გონება, გული გონიერი, როგორც ერთადერთი „მედიუმი“ უზენაესთან მისახლებლად.

„რომ საიდუმლო,
სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს და, სადაც ჭკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო მხოლოდ გულს აგრძნობინოს!“

სიყვარული ღვთაებრივია, სიტყვით მოუხელთებელი:

„შენ და მხოლოდ შენ ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...“

არამარტო შინაარსი ამ სტრიქონებისა, ცნებები, რომლითაც ის გადმოსცემს სათქმელს, გვახსენებს რუსთაველის დისკურსს მიჯნურობის რაობაზე:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავაღდებიან“³.

(21)

¹„ქებათა-ქება სოლომონისა“. მცხეთური ხელნაწერი. ტ. IV. თბილისი, 1985, გვ. 61-68.

²აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი II. თბილისი, 2011.

³შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქტორობით. თბილისი, 1951.

„ჭკუა“, „ჭკვიანი“ ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს საერო ცოდნის მქონე, პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანს, რომლისთვისაც მიუწვდომელია საღვთო სიბრძნე. ღვთის სიყვარული შეიმეცნება გულით და გონებით, ამ კონტექსტში ჭკუა გონების სინონიმი არ არის.

„ქებათა-ქების“ ლირიკული გმირი ბუნების „მაყრულის“ შემსწრეა. ხედავს მთვარეს, „ტკბილი სევდით გულავსებულს;“ მის ირგვლივ ვარსკვლავთა ფერხულს. ზეცის სიხარულს მიწაც უერთდება. მათი იდუმალი სათქმელი ესმის, ეს არის ქებათა-ქება შემოქმედისა, მისი ხოტბა:

„ბალთა დიდება,
შექმნათა ქება,
არს საიდუმლო მათი ვედრება.
ქვეყნით ბუნება ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათა-ქება“.

ყოველივე ამქვეყნად შექმნილია ღვთის სადიდებლად. ფსალმუნური სწავლებაა: „3. აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველი ვარსკვლავი და ნათელი. 4. აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი... 7. აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაბნი და ყოველი უფსკრული: 8. ცეცხლი, სეტყვა, თოვლი, მყინვარი, სული ნიაფ-ქარისა...“ (ფს. 148).

საღვთო სიყვარულს პოეტი წარმოსახავს, როგორც ცისა და მიწის მაკავშირებელსა და გამაერთიანებელს, ამ სიყვარულის განცდა ყველას არ ძალუძს, ის ხშირად იმ მსუბუქ, ხორციელ ურთიერთობაში ერევათ, რომელსაც სიძვას უწოდებენ.

„შენ, ვისაც უბნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს,
და შენ მაგიერ, შენი სახელით
ის აღიარებს პირუტყვეულ წამებს“.

ამ სტრიქონთა მიღმა კიდევ ერთხელ გამოკრთება რუსთაველის ტაეპები:

„მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუგინ გარეეთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი“.

(24)

სიყვარული შემოქმედების სულია, შთამაგონებელია. ის აძლევს ძალას ლირიკულ გმირს სულის სიღრმიდან ამოიტანოს სათქმელი (სწორედ ძალას სთხოვს რუსთაველი ღმერთს, რათა განახორციელოს ჩანაფიქრი. „ძალი მომეც და შეწვენა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“), რომელიც დროს გაუძლებს, მომავალ თაობებს გაჰყვება:

„რომ მეც გედივით, სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩაეიხმატკბილო...
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო“.

(აკაკის ამ სტრიქონებით უნდა იყოს შთაგონებული გალაკტიონი:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად
ოღონდ ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა...
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“.

„მთაწმინდის მთვარე“)

სიყვარულისა და შემოქმედების გადაკეთას „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიც ესმევა ხაზი:

„ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,-
მისთვის კიდე ნურა უნდა, - მისთვის ენა-მუსიკობდეს.“

(18)

ღვთის სიყვარული დროს არ ემორჩილება, არც ასაკი უცვლის ფერს. მის „დასატყვევად“ საჭიროა სიჭაბუკე გულისა და „მოხუცებულობა გონებისა“. ამიტომაც ხანდაზმული პოეტი ისეთივე შეყვარებულია, როგორც იყო სიჭაბუკეში.

„და, საამქვეყნოდ გულგრილ მოხუცი,
დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც პირველად,
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა,
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად.“

გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, „ქებათა-ქების“ ერთ-ერთი ინტერტექსტია ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“.

აკაკისთვის ყვავილთა სურნელი ზეადმაგალი საგალობელია:

„ყვავილთა ენა – არს სურნელთ ფშვენა,
საგალობელად აღმა კმეული.“

ეს სტრიქონები ისევე ახდენს ტაძრის ასოციაციას, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილიც ლექსში ყვავილთა სურნელის მოაზრება გუნდრუკად:

„ძირს გაშლილს ღამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებსა!“

(ნ. ბარათაშვილი, „შემოღამება მთაწმინდაზე“)⁴

„ქებათა-ქებაში“ ჩანს წმინდა სამების სიმბოლიკა. სამპიროვანი ერთარსება ღმერთი აღეგორიულად გადმოცემულია ვარდის, იისა და ბუღბუღის მხატვრული სახეებით (ფერი, სინაზე, ენა –ტკბილხმოვანება,) რომლებიც აქ მშვენიერების კატეგორიებია:

„მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა!
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბუღბუღს ენა ერთად მოჰპარა!“

თითქმის იგივე სიმბოლიკა, ოდნავ სახეცვლილი (ვარდი, ბუღბუღი, ვარსკვლავი), მოგვიანებით კვლავ გამოჩნდა აკაკის ლექსში „სულიკო“ (1895).

„სულიკოს“ განხილვისას აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ საყვარელი ანუ ღმერთი, აკაკიმ იპოვა ვარდში, ბუღბუღსა და ვარსკვლავში. „უფალი ყველგან არის, მართალია, ადამიანი მას ვერ ხედავს, მაგრამ იგი მარადიულად სუფევს ხილულ და უხილავ სამყაროში, ხილულ და უხილავ საგნებში... ყველაფერში, რაც ადამიანს გარშემო არტყია და ახვევია. მონოთეისტური რელიგიისათვის ღმერთის ყველგან განფენილობის იდეა უდავოა, ჭეშმარიტებაა“⁵.

ვფიქრობთ, აღნიშნული სამეული შეიძლება მოვიაზროთ **მშვენიერების** კატეგორიებად.

„მე მას ვუგალობ, ვისაც განგებამ **მშვენიერება** უსხივცისკარა,

ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე და ბუღბუღს ენა ერთად მოჰპარა!“

მშვენიერება ზეციურია, აბსოლუტური ერთის ატრიბუტია სიკეთესთან (სახიერება), ჭეშმარიტებასა და სიყვარულთან ერთად, („ტომი გვართა ზენათა“). მშვენიერება უფლის „სამოსელია“. შეიძლება ითქვას, ის თეოფანიის ერთ-ერთი ფორმაა.

„ქებათა-ქების“ კიდევ ერთი სამეულია წმიდა ნინოს, წმინდა თამარისა და წმინდა ქეთევანის მხატვრული სახეები. ცხადია, სხვა წმინდანთა დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია სამი, ერთში „შენათხზ-შეერთებულად“ (წმინდანთა იგივე სამეული გამოჩნდა „თორნიკე ერისთავში“).

ამდენად, აკაკი წერეთლის „ქებათა-ქება“ სათაურის აღუზიური მიმართებით, იგაგური საზრისით, ინტერტექსტუალობით და სიმბოლიკით ცხადყოფს, რომ ის არის უფლის ქებათაქება და სიყვარულის საგალობელი.

⁴ნიკოლოზ ბარათაშვილი. „შემოღამება მთაწმინდაზე“. ახალი ქართული ლიტერატურა. ქრესტომათია. I. თბილისი, 1979, გვ. 70.

⁵ა. ბაქრაძე. „სულიკო“. თხზულებანი. ტ. I. თბილისი, 2004, გვ. 231-236.

Lia Karichashvili

**Canticle of Canticles by Akaki Tsereteli
(Symbolism and Inter-text)**

Summary

Title „Canticle of Canticles“ emphasizes deep relation with the Biblical Song of Solomon from the outset. In both cases the spiritual love to Lord is expressed by clear emotion, this is „embodied“ love.

Here the operation with the psalm concepts could be seen (103, 15; 148). Akaki’s definition of love clearly points to Rustaveli’s discourse dealing with substance of lovers. In addition, there are transparent allusions of Nikoloz Baratashvili’s stances.

Canticle of Canticles contains symbols of St. Trinity. Tripersonality of Lord is allegorically presented as the rose, violet and nightingale, comprising here the categories of beauty. Beauty is a heavenly gift, attribute of absolute unity together with the kindness (image) and the truth.

One more trio of Canticle of Canticles comprises St. Nino. St. Tamar and St. Ketevan.

**მეტაფორები პოლიტიკურ დისკურსში
(საპრეზიდენტო არჩევნების დისკურსის მაბალითუბი)¹**

როგორც ცნობილია, პოლიტიკური რიტორიკული ტექსტის ყველაზე ნიშანდობლივ მახასიათებელს მეტაფორა წარმოადგენს. მეტაფორა კი თანამედროვე სოციოლინგვისტურ (ლინგვოპოლიტოლოგიური, ფუნქციური სტილისტიკის...) კვლევებში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს². რამდენადაც რიტორიკის ცნება დღეს მნიშვნელოვნად გაფართოვდა, და ტრადიციული მკვერმეტყველებითი შინაარსის გარდა, ლოგიკური კანონებით აგებული ნებისმიერი აკადემიური ტექსტიც მოიცავს, აუცილებლად მიგვაჩნია იმის მითითება, რომ წინამდებარე სტატიის მთავარი დაკვირვების საგანი სწორედ მკვერმეტყველებითი ტექსტია და არა ნებისმიერი აკადემიური ტექსტი.

მეტაფორა სიტყვის თუ გამოთქმის გადატანით მნიშვნელობას წარმოადგენს. ეს კარგად ჩანს ამ სიტყვის ამოსავალ შინაარსშიც (ბერძნულად „მეტა“ -ით, „ჰერეინ“ - ტარება). გადატანის, მოძრაობის ცნება გულისხმობს ცვლილებას, ხაზს უსვამს მეტაფორის უნარს გადაგვიყვანოს სხვა განზომილებაში ჩვენში ემოციური რეაქციის გამოღვიძებით. არისტოტელე მეტაფორას განსაზღვრავს, როგორც „სავანისთვის ისეთი სახელის მინიჭებას, რომელიც სხვას ეკუთნის“³. მეტაფორა სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობის ცვლილებით მიიღება, როდესაც სიტყვა აღმოჩნდება კონტექსტში, რომელშიც მისი გამოჩენა მოულოდნელია, ეს იწვევს ამ სიტყვისა თუ ფრაზის სემანტიკური მნიშვნელობის გაძლიერებას.

მეტაფორის ცნება უადრესად ტევადია, რადგან მეტაფორები სხვადასხვა პრინციპით შეიძლება კლასიფიცირდეს. ამ მრავალფეროვნებასა და დახარისხების პრინციპთა ნაირგვარობის ერთ-ერთი განმარტებელი ისიცაა, რომ მეტაფორა განსაკუთრებით მგრძობიარეა დისკურსის მიმართ. პერელმანისთვის მეტაფორა არის „შეკვეცილი ანალოგია, რომელიც ფორისა (phore) და თემის შერწყმის შედეგად მიიღება“. პერელმანი არგუმენტაციულ დისკურსში ორი ტიპის მეტაფორას შეისწავლის. იგი მიიხიბულ მეტაფორას უწოდებს ისეთ მეტაფორებს⁴, რომელთაც არა აქვთ ემოციური ზეგავლენის ფუნქცია. მასში მეტაფორის მნიშვნელობა თითქოს წაშლილია, რადგან დაპირისპირების აღქმა პირდაპირ და გადატანით მნიშვნელობებს შორის იშვიათად ხდება. პოლიტიკურ დისკურსში ე. წ. მიიხიბული მეტაფორის გამოყენება უნივერსალურია. ცოცხალი, ავტორისეული, ორიგინალური მეტაფორისთვის კი დამახასიათებელია მსმენელში გამოწვეული მოულოდნელობა და იშვიათობა. რაც უფრო მოულოდნელია მოცემული ენობრივი ერთეული მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში, მით მეტია დამახასიათებლისა დამსმენელზე ემოციური ზემოქმედების ხარისხი⁵.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაკოფმა და მ. ჯონსონმა 1980 წელს შეიმუშავეს და ლინგვისტურ ლიტერატურაში დაამკვიდრეს კოგნიტური მეტაფორის ცნება. ამ მკვლევართა აზრით, კონცეპტუალური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, თავიდან ბოლომდე მეტაფორულია თავისი არსით. ცნობილ ნაშრომში „Metaphors we Live by“⁶ ლაკოფი და ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ადამიანებს ახასიათებთ გარემომცველი სამყაროს და მიმდინარე მოვლენების მეტაფორული აღქმა (metaphorical mapping), რაშიც გამოხატულებას პოვებს ამა თუ იმ

¹ განხილულია საქართველოში 2013 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები.

² მანანა ტაბიძე. სოციოლინგვისტიკა (მასალები სალექციო კურსისათვის). გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015.

³ Charteris-Black, Jonathan. Corpus Approach to Critical Metaphor Analysis/ Houndmills, Basingstoke, Hampshire: New York: Palgrave Macmillan, 2004.

⁴ Perelman, C., Titeca, O. Traité de l'argumentation. La nouvelle rhétorique. Bruxelles : Edition de l'universite de Bruxelles, 2008. ix. ადგილზე, გ. 2013.

⁵ ქ. ადგილზე. არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი ფრანგული და ქართული ენების მასალაზე). ხელმძღვანელი პროფ. მ. დოსტურიშვილი. თბილისი, 2013.

⁶ Lakoff, George, & Johnson, Mark. Metaphors We Live By, Chicago: University of Chicago Press. 1980.

ენის მატარებელთა კულტურა, ეროვნული ფსიქოლოგია და მსოფლმხედველობის სპეციფიკურობა. ჩვენი ყოველდღიური სასაუბრო ენა გაჯერებულია მეტაფორული გამოთქმებით. ეს გარკვეულწილად ამარტივებს კომუნიკაციის პროცესს, რადგანაც მეტაფორის არსებითი სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო ნაცნობი, მარტივი საშუალებით მოახდინოს უფრო რთულისა და უცნობის აღქმა-გააზრება. ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის დაკვირვებით, ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოთქმები ხშირად ერთი დიდი, კოგნიტური მეტაფორის გამოვლინებას წარმოადგენს, რომელიც თავად შეიძლება არც იყოს ნახსენები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერის ცნობიერებაში და გამოვლინებას პოეზებს ენაში ცალკეული გამოთქმების, სიტყვების, ფრაზოლოგიზმების სახით⁷. ჯ. ლაკოფი თავის ნაშრომში „მეტაფორის თანამედროვე თეორია“⁸ აღნიშნავს, რომ სიტყვა მეტაფორა განისაზღვრებოდა როგორც ახალი (novel), ან პოეტური/მხატვრული ლინგვისტური გამონათქვამი, რომელშიც რაიმე ცნების გამომხატველი ერთი ან მეტი სიტყვა გამოიყენება მისი ტრადიციული მნიშვნელობის „გარეთ“ მსგავსი ცნების გამოსახატავად. მთავარ განსხვავებად თანამედროვე და კლასიკურ თეორიებს შორის მას მიაჩნია განსხვავება პირდაპირ/ სიტყვასიტყვით და ფიგურალურ მნიშვნელობებს შორის. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მეტაფორაში იგულისხმებოდა ახალი, ადრე არარსებული მეტაფორა (novel metaphor), ანუ შემოქმედებითი (creative) მეტაფორა, ხოლო ტრადიციული (conventional) მეტაფორის სისტემა თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა. მისი აზრით, „არსებობს ლინგვისტური გამოთქმების ახალ მეტაფორად ინტერპრეტირების სამი ძირითადი მექანიზმი: ტრადიციული მეტაფორის განვრცობა; ზოგადი მეტაფორები; და იმიჯ-მეტაფორები, ანუ ხატოვანი მეტაფორები. ყველაზე საინტერესო პოეტური მეტაფორა სამივე ამ მექანიზმს იყენებს“⁹ (ციტირებულია - პეტრიაშვილი, 2010)¹⁰.

ჩარტერის-ბლეკი გამოყოფს შემდეგი ტიპის მეტაფორებს:

- საყოველთაოდ მიღებული/ კონვენციური მეტაფორა. მეტაფორის ეს ტიპი იმდენად ხშირად გამოყენებადი, რომ მისი სემანტიკური სიძლიერე შესუსტებულია.
- ახალი/ამოუცნობი მეტაფორა წარმოადგენს მეტაფორის ტიპს, რომელიც არ გამოუყენებიათ არცერთ ენობრივ საზოგადოებაში, რაც ზრდის მის სემანტიკურ სიმძაფრეს.
- კონცეპტუალური მეტაფორა არის გამონათქვამი, რომელიც ხსნის სემანტიკურ დაძაბულობას მეტაფორების ურთიერთკავშირის ჩვენებით¹¹.

რადგან მეტაფორას აქვს უნარი გააღვიძოს ემოციები, ის ხშირად გამოიყენება დარწმუნების ენაში. მაგრამ კონკრეტული მეტაფორის ფეკტი დამოკიდებულია ენის გამოყენების ლინგვისტურ და პრაგმატულ ცნობიერებაზე. მეტაფორა დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე და ამიტომაც, წარმოადგენს ენის სუბიექტურ ასპექტს. მეტაფორა ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს ფარულ პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებზე გავლენის მოსახდენად. ეს მეტაფორას ანიჭებს ცენტრალურ (და არა პერიფერულს) როლს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში.

როგორც ჩარტერის-ბლეკი აღნიშნავს, მეტაფორის გამოყენებით მოსაუბრე ცდილობს მსმენელი გახადოს ინტერპრეტაციული აქტის მონაწილე. კრეატიულობა/შემოქმედებითობა აუცილებელია როგორც იმათთვის, ვინც მეტაფორას ყოველდღიურ ენაში იყენებს, ისე მათთვის, ვინც ამ მეტაფორების ინტერპრეტაციითაა დაკავებული. ინტერპრეტაცია გულისხმობს მეტაფორებსა და იმ კოგნიტურ-პრაგმატულ ფაქტორებს შორის არსებული კავშირის განსაზღვრას, რომლებიც ამ მეტაფორებს აყალიბებს. ეს მოიცავს კონცეპტუალური მეტაფორების იდენტიფიცირებას.

პოლიტიკურ დისკურსში არსებული მნიშვნელოვანი მეტაფორაა ე. წ. „სპინ დოქტორი“ (Spin doctor), რაც რონალდ რეიგანმა მედიაამინიპულაციის სპეციალისტებს უწოდა. ქართულად ეს ტერმინი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „პოლიტექნოლოგი“, პირდაპირ თარგმანში, ეს იქნება „ქსელის გაბმის/რთვის ექიმი“. ეს ტერმინი პოლიტიკურ დისკურსში არსებული მნიშვნელოვანი მეტაფორაა.

⁷ნ. კირვალიძე. პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, 2009, 3 (35), გვ. 121-125.

⁸Lakoff, The Contemporary Theory of Metaphor, in Ortony, Andrew (ed.), Metaphor and Thought (2nd edition), Cambridge University Press. 1992. იხ.: ი. პეტრიაშვილი. 2010.

⁹G. Lakoff, M. Turner, More Than Cool Reason: A Field Guide to Poetic Metaphor, University of Chicago Press. 1989.

¹⁰იზაბელა პეტრიაშვილი. მეტაფორა და პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკა ინტერნეტჟურნალი „სემიოტიკა“, 2010. [HTTPS://SEMIOLOGICAL.JOURNAL.WORDPRESS.COM/](https://semioticsjournal.wordpress.com/) მოპოვებულია 08.12.2015

¹¹Charteris-Black, Jonathan. Corpus Approach to Critical Metaphor Analysis/ Houndmills, Basingstoke, Hampshire: New York: Palgrave Macmillan, 2004.

ჩარტერის-ბლეკის¹² განმარტებით, ის მოიცავს მანიპულაციის სამ ასპექტს: ობობა, რომელიც აბამს ქსელს მსხვერპლის მოსაზიდად; ქსელის გამბმელი, რომელიც „მსხვერპლს“ მიიზიდავს მოტყუებით და არა ძალის გამოყენებით; და მეურნალობისა და წრთობის იდეა. ამ მეტაფორის გამოყენების მთავარი მოტივაცია იყო ახალი ლეიბორისტების მიერ გამოყენებული მანიპულაციური მედიის ნეგატიური შეფასების პრაგმატული მიზანი.

იქედან გამომდინარე, რომ კლა¹³ იკვლევს დისკურსის როლს სოციალური თანასწორობის შექმნაში, ჩნდება კითხვა, მონაწილეობენ თუ არა მეტაფორები საზოგადოებრივი აზრის კონსტრუქციაში და რა კვაშირი შეიძლება მათ ჰქონდეთ კლა-სთან. კლა არ ცნობდა დისკურსის მნიშვნელობის კოგნიტურ თეორიებს. ბოლო პერიოდში ეს მოსაზრება შეიცვალა. კლა-ში სოციოკოგნიტური მიდგომის გამოყენებას ემხრობა ვან დეიკი, რ. ვოდაკი და ბევრი სხვა მეცნიერი.

პ. ჩილტონის¹⁴ თანახმად, მეტაფორის მიმართ ინტერესი არისტოტელეს დროიდან აქტუალურია. როგორც წესი, ზოგი მეტაფორას მიიხსენებდა კოგნიტური სფეროს საკვლევ ობიექტად, სხვები კი მის კვლევას რიტორიკას მიანდობდნენ. ზოგჯერ, ეს ორი პერსპექტივა ერთიანდებოდა. ჩარტერის-ბლეკიც აღნიშნავს, რომ მეტაფორის დანიშნულებაა დარწმუნების საშუალებით შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა; ეს მიზანი ხშირად ფარულია და ასახავს მოსაუბრის განზრახვებს კონკრეტულ კონტექსტში. მეცნიერი მიიხსენებს, რომ კრიტიკული მეტაფორების ანალიზი არის ერთ-ერთი მიდგომა, რომლის მიზანია ენის მომხმარებლების (მოსაუბრების) განზრახვების გამოქვლივება.

როგორც ქ. ჰართი თავის სტატიაში - „კლა და მეტაფორა: თეორიული ჩარჩოს მიმართულებით“ - აღნიშნავს, მეტაფორის კვლევა კლა-ის განუყოფელი ნაწილია და სავსებით შესაძლებელია შეიქმნას მეტაფორის კვლევის ჩარჩო კლა-ის ფარგლებში.

ქ. ჰართი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მეტაფორა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ენად ან დისკურსად, მაგრამ იმისთვის, რომ ის კლა-ის ნაწილად განვიხილოთ, საჭიროა ისეთი თეორიის შემუშავება, რომლითაც მეტაფორა დისკურსად განიხილება.

კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში არსებობს მეტაფორის განხილვის ორი ვარიანტი: კონცეპტუალური მეტაფორის თეორია (conceptual metaphor theory), რომელიც ლაკოფსა და კონსონს (Lakoff, 1993; Lakoff & Johnson, 1980, 1999) ეკუთვნის და მეცნიერების ჯ. ფოკონიესა და მ. ტერნერის ე. წ. კონცეპტუალური შერწყმის თეორია (conceptual blending theory)¹⁵. ამ ორ თეორიას შორის არსებობს როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებები. „ორივე მიდგომა მეტაფორას განიხილავს უფრო როგორც კონცეპტუალურ და არა როგორც უბრალოდ ლინგვისტურ ფენომენს“ (Grady, J., Oakley, T., & Coulson, S: 1999)¹⁶. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ კონცეპტუალურობა ლინგვისტურობას ხელს არ უშლის, რადგან ენა (განსაკუთრებით ისეთი, როგორიც ქართულია (გვულისხმობთ, ენის აგლუტინაციურ ბუნებას, რაც ფორმაწარმოებითი პოტენციალის სიდიდესა, და შესაბამისად, სემანტიკურ-კონოტაციური შესაძლებლობების სიუხვეს განაპირობებს), მეტაფორიზების დროს ყოველთვის აკეთებს არჩევანს სემანტიკურ, სტილისტიკურ და ფორმობრივ (გრამატიკულ) ვარიანტებს შორის.

მეტაფორის ანალიზის ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ კოგნიტური მიდგომა იზოლირებულია პრაგმატული მიდგომისგან, რაც გულისხმობს იმას, რომ მეტაფორის გამოყენება არაცნობიერად ხდება, ხოლო პრაგმატული თვალსაზრისით, მოსაუბრე მეტაფორას იყენებს დარწმუნების მიზნით მის ხელთ არსებული კოგნიტური და ლინგვისტური საშუალებების კომბინირებით¹⁷. კონცეპტუალური მეტაფორის თეორიისგან განსხვავებით, შერწყმის თეორია განიხილავს კონცეპტუალურ ოპერაციებს, რომლებიც დისკურსისას სრულდება. ქ. ჰართის თანახმად, მეტაფორა ლინგვისტური გამოხატვის იმ კონკრეტულ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც გულისხმობს

¹²Charteris-Black, Jonathan. Corpus Approach to Critical Metaphor Analysis/ Houndmills, Basingstoke, Hampshire: New York: Palgrave Macmillan, 2004.

¹³კრიტიკული დისკურსის ანალიზი.

¹⁴Chilton, P. Security metaphors: Cold war discourse from containment to common house. New York: Peter Lang. 1996.

¹⁵Fauconnier, G., & Turner, M. The way we think: Conceptual blending and the mind's hidden complexities. New York: Basic Books, 2002.

¹⁶Hart, Ch. Critical discourse analysis and metaphor: toward a theoretical framework, Critical Discourse Studies, 5:2, 91-106, DOI: 10.1080/17405900801990058. 2008.

¹⁷Charteris-Black, Jonathan. Corpus Approach to Critical Metaphor Analysis/ Houndmills, Basingstoke, Hampshire: New York: Palgrave Macmillan, 2004.

მენტალური სივრცეების შექმნას. მეტაფორის შექმნისას, მენტალური სივრცეები გადიან სპეციფიკურ კონცეპტუალური შერწყმის ოპერაციებს. მეტაფორა შედგება თემისგან ან „სამიზნესგან“ და იდებს გაგრძელების საშუალების ანუ „წყაროსგან“¹⁸.

ფორსევილმა გამოყო მეტაფორულობის დადგენის შემდეგი კრიტერიუმები:

1) იდენტურობის ურთიერთმიმართება იქმნება ისეთ ორ ფენომენს შორის, რომლებიც მოცემულ კონტექსტში სხვა კატეგორიებს მიეკუთვნება.

2) მოვლენები უნდა გავიგოთ როგორც სამიზნე, და შესაბამისად, წყარო: ისინი, ამ კონტექსტში, შეუქცევადია.

3) სულ ცოტა ერთი მახასიათებელი/კონოტაცია, რომელიც ასოცირდება წყაროსთან, უნდა მოერგოს სამიზნეს.

როდესაც საუბარია წინასაარჩევნო დისკურსის როლზე საზოგადოებრივი აზრის კონსტრუქციაში, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მეტაფორას. მეტაფორების გამოყენებით პოლიტიკოსები ასერხებენ თავიანთი გამოსვლების უფრო ემოციურად დატვირთვას, რაც ზრდის პოტენციური ამომრჩევლის ნდობას ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ.

როგორც ს. ბაქსი აღნიშნავს, „მეტაფორა პოლიტიკურ პროცესს წარმოაჩენს ხეცით შთაგონებულ რთულ მოგზაურობად, რომელსაც მივყავართ პოზიტიური და იმედისმომცემი ადგილისკენ. მეტაფორა ასევე გვიხატავს მსმენელს, როგორც ამ მოგზაურობაში მონაწილე მხარეს“¹⁹. მსმენელი მუდმივად თანაარსებობს საარჩევნო სიტყვასთან, რადგან სწორედ მისი ინტერესის, კომპეტენციის, და თუ გნებავთ, სამეტყველო პრიორიტეტების გამოცნობას ესწრაფვის ორატორი. უნდა ვთქვათ, რომ გზა და ბრძოლა ჩვენი ამომრჩევლისათვის განსაკუთრებით გამჭვირვალე სემანტიკისაა. საერთოდ, მსმენელზე გათვლილი ტექსტი ფუნქციური სტილების სოციალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს²⁰.

რამდენადაც მეტაფორა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დარწმუნების პროცესში, საინტერესოა მისი გამოყენების ანალიზი წინასაარჩევნო დისკურსში. ამჯერად, შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტაფორებზე. კოგნიტური მეტაფორებიდან ყურადღებას იქცევს მგზავრობის, გზის მოგზაურობის აღმნიშვნელი ლექსემები მეტაფორებად; როგორც ჩანს, მს სიტყვების მეტაფორად მეტაფორად გამოყენება უნივერსალია, და თანამედროვე პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელია მრავალ ენაში.

ლაკოფი და ჯონსონი²¹ გამოყოფენ ისეთ მეტაფორებს, როგორიცაა – სიყვარული მოგზაურობაა, კამათი მოგზაურობაა. თავის მხრივ, მოგზაურობა გულისხმობს გასავლელ გზას, მიმართულებას, დანიშნულების ადგილს. „მოგზაურობის მეტაფორა ხაზს უსვამს როგორც მიმართულებას, ისე პროგრესს მიზნისკენ“. არჩევნების შემთხვევაში, გასავლელი გზა წინასაარჩევნო პერიოდია, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს დანიშნულების წერტილამდე - გამარჯვებამდე.

მოგზაურობის მეტაფორის თვალსაჩინო მაგალითია: „...მოგვეცი შესაძლებლობა ამ ქვეყანას მივცეთ ახალი ძალა, ახალი შანსი და გავაგრძელოთ წინსვლა“.

„რა ლოგიკით უნდა დავიწყო მე უკან ყურება და მომინდეს ისევ დაბრუნება წამების, პოლიციური რეჟიმის და იმ პრობლემებისკენ, რაც ამ საზოგადოებას ჰქონდა მაშინ, როდესაც მარტო წინ წავედით იმის მერე“²².

გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერად წარმოთქმულ სიტყვაში, სახელმწიფო მინისტრი კახა კალაძე იყენებს მეტაფორებს: „მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად, ყველა, თქვენთან ერთად, ძალიან დიდ გამარჯვებას მივალწევთ. ბატონი გიორგის გამარჯვებით და ეს იქნება თითოეული ჩვენთაგანის ოცნებების ასრულება და ის დიდი გამარჯვება, რომელიც გასული წლის ოქტომბერში დავიწყეთ“. არჩევნები არის მგზავრობა („დავიწყეთ“), თავისი დასაწყისით და დასასრულით. ამ

¹⁸Bounegru L. and Forceville Ch. Metaphors in editorial cartoons SAGE Publications (Los Angeles, London, New Delhi, Singapore and Washington DC: <http://vcj.sagepub.com>) Copyright © The Author(s), 2011.

¹⁹Bax, S. Discourse and Genre: Analyzing Language in Context. Houndmills, Basingstoke, Hampshire ; New York : Palgrave Macmillan, 2011.

²⁰მანანა ტაბიძე. ფუნქციური სტილები – საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შედეგი თუ მიზეზი.– საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. IV. თბილისი, 2015, გვ. 108-113.

²¹Lakoff, George, & Johnson, Mark. Metaphors We Live By, Chicago: University of Chicago Press. 1980.

²²არჩევანი - გიორგი მარგველაშვილი - 22.10.2013 - <https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ> - მოპოვებულია 18.12.2015.

ნაწევრებში არჩევნები ასოცირდება ასევე შეჯიბრთან, ბრძოლასთან („გამარჯვებას მივალწევთ“, „ის დიდი გამარჯვება“). ამ ტიპის მეტაფორის ნათელი მაგალითია ასევე გ. მარგველაშვილის ფრაზა: „გარანტიას გაძლევთ, 27-ში ჩვენ რომ მოვიგებთ“, ასევე: „როდესაც ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს (არჩევნები არის ბრძოლა, თამაში), ძალაუფლება მე კი არ მომეცემა, დაგიბრუნდებათ თქვენ, ვისაც ეკუთვნის. ძალაუფლება დაუბრუნდება ხალხს“, „გამარჯვება უნდა იყოს ძალიან დამაჯერებელი“, „...ჩვენმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, ეს უნდა იყოს ჩვენი ერთობლივი გამარჯვება და ჩვენი ამომრჩეველი უნდა ჩაერთოს ამაში“²³.

ყურადსაღებია ასევე გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი ლოზუნგი: მთავარი ლოზუნგი - „ერთად განვაგრძოთ წინსვლა“. ინგლისურში გამოყენებული „მოგზაურობა“ ქართულ რეალობაში არ გამოდგება საარჩევნო კამპანიის დინამიკის გადმოსაცემად, რადგან ქართულში მოგზაურობა სეირნობაა, მოხილვაა სხვადასხვა ადგილისა, ჩვენში მოგზაურობის, სვლის, მოძრაობის სემანტიკა უფრო ფასეულია მიზნის დასაუფლებელ ღონისძიებათა აღწერისას. იგულისხმება, რომ „ქარულმა ოცნებამ“ დაიწყო წინსვლა და ახლა, მარგველაშვილის არჩევით, მოხდება აღებული კურსის გაგრძელება. „დავასრულოთ კოჰაბიტაცია“, მარგველაშვილის განმარტებით, „წინსვლას ემსახურება“. „კოჰაბიტაციას თუ ვერ დავასრულებთ და მუდმივად გვექნება ხელშეშლა წინსვლაში, ბუნებრივია, ეს პროცესი სწრაფად ვერ განხორციელდება“²⁴.

მოგზაურობის (/მოგზაურობის) მეტაფორა აღმოვაჩინეთ ასევე პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის – დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო დისკურსში: „მე ყოველთვის ვცდილობ, რო ყველა გამოსვლაში ვიყო მაქსიმალურად გულწრფელი, ვისაუბრო კარგ ზეც და ცუდ ზეც, არ დავმალავ არც კარგი და არც ცუდი და ამ გულწრფელობით ვიპოვო გზა ჩვენი მოსახლეობის გულამდე“. არჩევნები აქაც გაიგივებულია მოძრაობასთან, სვლასთან..., რომლის საბოლოო დანიშნულებაა მოსახლეობის „გულის მოგება“.

ერთი რამე მჯერა ნამდვილად, რომ ყველა ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ გადავდგამთ საზოგადოების გამთლიანებისკენ არის კარგი ნაბიჯი ქვეყნისთვის, ყველა ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ გადავდგამთ საზოგადოების დაპირისპირების, გათიშვის და კონფლიქტისკენ, არის ცუდი ნაბიჯი ქვეყნისთვის²⁵.

გადაცემაში – „არჩევანი“ მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ნინო ბურჯანაძის წარდგენისას იყენებს შემდეგ მეტაფორას: „მართალი გითხრათ, მას შემდეგ, რაც ის ოპოზიციაში აღმოჩნდა, ჩვენ ერთად ვიბრძოდით ამ წლების განმავლობაში (პოლიტიკა ბრძოლაა - მეტაფორა) იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმა რეჟიმმაც ასეთი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას“²⁶.

ბრძოლის მეტაფორას იყენებს გიორგი თარგამაძე: გ. თარგამაძე: „და ვიცი, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც არის საქართველო, თანამედროვე ახალგაზრდა დემოკრატიის ვითარებაში, შენ გექნება როგორც წარმატება, ასევე დამარცხება“. - მეტაფორა - ცხოვრება/პოლიტიკა ბრძოლაა/თამაშია, სადაც იმარჯვებ ან მარცხდები.

„ჩვენ ვიცი რა პასუხისმგებლობა ავიდეთ საკუარ თავზე და რა ბრძოლაში ჩავებით“.

წამყვანი ეკითხება ნინო ბურჯანაძეს: „რამდენად ხართ მზად ამ ბრძოლის მოსაგებად?“, რაზეც პრეზიდენტობის კანდიდატი პასუხობს: „ჩვენ ყოველთვის ვართ მზად ბრძოლის მოსაგებად და ვიცი, რომ ეს არის ძალიან გრძელვადიანი ბრძოლა, ეს არ არის მოკლევადიანი გარბენა, ეს არის მართონი, პოლიტიკური, რომლისთვისაც მზად უნდა იყო²⁷. როგორც ვხედავთ, ამ მაგალითში მეტაფორა ახსნილიცაა და ბრძოლა და სვლა ერთმანეთთანაა მიყვანილი.

ამ და სხვა მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკა, კერძოდ კი წინასაარჩევნო პერიოდი ასოცირდება ბრძოლასთან, შეჯიბრთან. შესაბამისად, წინასაარჩევნო დისკურსთვის ყველაზე დამახასიათებელია შემდეგი მეტაფორები: არჩევნები არის ბრძოლა, არჩევნები - თამაშია და არჩევნები - გზაა, მოგზაურობაა.

²³არჩევანი - გიორგი მარგველაშვილი - 22.10.2013 - <https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ> - მოპოვებულია 18.12.2015.

²⁴არჩევანი- გიორგი მარგველაშვილი - 22.10.2013 - <https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ> - მოპოვებულია 18.12.2015.

²⁵არჩევანი - დავით ბაქრაძე არჩევანი – დავით ბაქრაძე - 15.10.2013. <https://www.youtube.com/watch?v=JIsZzTSXnUo> მოპოვებულია 18.12.2015.

²⁶არჩევანი – ნინო ბურჯანაძე - 08.10.2013 <https://www.youtube.com/watch?v=PNDMk2UVWZU> - მოპოვებულია 19.12.2015.

²⁷არჩევანი – გიორგი თარგამაძე - 01.10.2013 https://www.youtube.com/watch?v=nbQ_vTWB1_Y მოპოვებულია 19.12.2015.

Tamar Lomadze

Metaphors in Political Discourse
(based on the pre-election discourse of 2013 presidential elections in Georgia)

Summary

The paper focuses on the importance and role of metaphors in persuading potential voters. Metaphors tend to be used unconsciously but, from the pragmatic point of view, with the combination of cognitive and linguistic means, they can be most influential tool of persuasion and manipulation of the potential voters. This leads to the relation of metaphors with Critical Discourse Analysis. Reference will be made to the results of a qualitative analysis of a corpus of pre-election political talk-show discourse depicting the 2013 presidential election campaign in Georgia. Three major metaphors characteristic for the pre-election political discourse are revealed: election is a battle, election is a game, election is a journey.

თარგმანმცოდნეობა

ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის (მოიხილეს) ერთი ასექტისათვის კველი ქართული თარგმანების მიხედვით

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე რთულია ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციაში II ოდის (მოიხილეს) არსებობისა და მისი რედუქციის საკითხი.

ცნობილია, რომ ჰიმნოგრაფიული კანონი თოთხმეტოდიანი ბიბლიური გალობიდან მიღებული ცხრა ბიბლიური ოდის მოდელის საფუძველზე ჩამოყალიბდა. პოეტურმა ტროპარებმა, რომლებიც ბიბლიური ოდების მუხლებს დაერთვოდა, დამოუკიდებელი კანონის სახე მიიღო. თოთხმეტოდიანი გალობის ცხრა ოდაზე დაყვანა VI ს-ში ივარაუდება¹.

მეცნიერთა ერთი ნაწილი (უ. ხრისტი, ე. ველეში, ი. ვოზნესენსკი)² თვლის, რომ II ოდა თავისი მძიმე და სამგლოვიარო ხასიათის გამო მარტოოდენ დიდმარხვის პერიოდში გამოიყენებოდა. საეკლესიო წელიწადის სხვა პერიოდისათვის კი იწერებოდა კანონები მის გარეშე. ამ მოსაზრების საპირისპიროდ ლ. ბერნჰარდს მოჰყავს ნიმუშად 150-ე ფსალმუნი, რომელიც განწყობილებით უფრო მძიმეს, ვიდრე II ოდა, და ეს ფსალმუნი ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში დღესაც ყოველი დღის ციხკარზე იკითხება³.

ლ. ბერნჰარდის აზრით, მეორე ოდის რედუქცია მოხდა ჯერ კიდევ ბიბლიურ გამობათა დონეზე. იგი იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის კანონების II ოდის კლებას ხსნის თვით ლიტურგიკული პრაქტიკიდან II ბიბლიური ოდის (მოსეს დიდი გალობის) ამოღებით და ასახელებს კოზმას დიდი სამსაბათის არასრულ კანონს. ეს უკანასკნელი სამფსალმუნი უნდა იყოს, მაგრამ მას არა აქვს „მოიხილეს“, ლ. ბერნჰარდი თვლის, რომ კოზმას დროისათვის „მოიხილეს“ მოდელი – ბიბლიური II ოდა უკვე ამოვარდნილი იყო ოდათა რიგიდან თავის სიდიდის გამო „მანამდე, ვიდრე პოეტური კანონი იოანესა და კოზმას ხელით ჩამოყალიბდებოდა, როგორც უცვლელი ნორმა“⁴. უ. უეის მითითებით, რომლის თვალსაზრისსაც ვიცნობთ ლ. კვირიკაშვილის ნაშრომიდან, თეოფანე გრაპტოსის ეპოქიდან (IX ს-დან) იწყება მერყეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანაარსებობს რვაოდიანი სრულაკროსტიქიანი და რვაოდიანი არასრულაკროსტიქიანი კანონები. გამოვლენილია იოსების (IX ს.) ცხრა რვაოდიანი არასრულაკროსტიქიანი კანონი, სადაც აშკარად ჩანს, რომ II ოდა დაკარგულია⁵.

ამრიგად, თანამედროვე გამოკვლევათა ფონზე, ჰიმნოგრაფიულ კანონში II ოდის არარსებობის საფუძველი მყარი და დამაჯერებელი არგუმენტებით არ არის ახსნილი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ცხრა და რვა რიცხოვრივი სიმბოლიკა ჰიმნოგრაფიული კანონში საკრალური მნიშვნელობისაა, ისევე, როგორც ბიბლიურ გალობათა შესახებ აღნიშნავდა უ.ხრისტი. იგი წერდა: „ბიბლიური გალობისათვის „ცხრა“ დადგინდა „mysticus rationibus“ (მისტიკურ სიმბოლიკათა მიხედვით). აქედან გამომდინარე, საბაწმიდელ ჰიმნოგრაფთა რეფორმაც, ცხრა ოდიდან რვა ოდაზე გადასვლა და რვახმიანი სისტემის შექმნა შესაძლებელია ურთიერთკავშირში იყოს. მაგრამ ეს ვარაუდიც უარყოფილია უ. უეის მიერ⁷.

აუხსნელია VIII საუკუნის შემდგომი პერიოდის ჰიმნოგრაფთა მცდელობა, აღადგინონ ცხრაოდიანი ლიტურგიკული კანონების პრაქტიკა.

ვნახოთ, რა სურათს გვიჩვენებს კოზმა იერუსალიმელის რვაოდიან კანონთა ქართული თარგმანები.

¹Bernhard L. Der Ausfall der 2. ode im byzantinischen Neunodenkanon, Salzburg, 1969, 93.

²Christ W. Prolegomena. A.G.C.Ch. Lipsiae. 1871. p. LXIV, Wellesz E., The History of Byzantine Hymnography and Liturgy, Oxford, 1971.198. Вознесенский И. О церковном пении православной греческо-русской церкви. 1890, gv. 84

³Bernhard L.. 96.

⁴Bernhard L.. 100.

⁵ლ. კვირიკაშვილი. ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია. გვ. 228.

⁶ლ. კვირიკაშვილი. ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია. გვ. 36.

⁷ლ. კვირიკაშვილი. ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია. გვ. 38.

უნდა შევნიშნოთ, რომ უძველეს იადგარში, რომელიც ადრეული იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველი ძეგლია და მისი თავდაპირველი პლასტი თარგმნილია არა უგვიანეს VII საუკუნისა, ჰიმნოგრაფიული კანონები შეიცავენ II ოდას. რადგან უძველესი იადგარის ბერძნული მოდელი დაკარგულია, მასზე მსჯელობა მხოლოდ ქართული თარგმანებითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ქართულ კრებულში „მოიხილესას“ არსებობა ადრეული ეტაპის (VII ს-ის) ბიზანტიური კანონის კომპოზიციაში მის არსებობას უნდა ნიშნავდეს. კოზმას კანონთაგან უძველეს იადგარში შესულია ღვთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი კანონი, რომელიც კრებულში გვიანდელი ჩანართია⁸. მის შემადგენლობაშიც II ოდა არ არის. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ცნობილია, რომ კოზმას კანონებში „მოიხილევები“ არსად დასტურდება. განსხვავებული ვითარებაა ახალ იადგარებში. მის ზოგიერთ ნუსხაში ის კანონები, რომლებიც ბერძნული დედნის მიხედვით რვაოდიანია, შევსებულია II ოდით. მაგალითად, იმავე კოზმა იერუსალიმელის რამდენიმე კანონი.

ქართულ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციაში რვაოდიანი კანონების „მოიხილევებით“ შევსება იოანე მინჩხის სახელს უკავშირდება. სწორედ ამ ავტორს მიეწერება კოზმას სამარხვო კანონების II ოდით შევსება⁹. სისტემურად ეს პროცესი მიქაელ მოდრეკილის კრებულში (978-988) შეიმჩნევა. II ოდით შევსება კრებულის შემდგენელის გამიზნული ქმედებაა, რაზეც მეტყველებს კრებულზე დართული ანდერძი: „შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა მესურნი, ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოდსა: უფალო დადატყავითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად“.

ამრიგად, რვაოდიანი კანონის ცხრაოდიანად შევსება ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ფაქტია. ასახავს თუ არა ეს პროცესი თავად ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე მოვლენა დღეისათვის მიღებულია ის თვალსაზრისი, რომ „მოიხილესას“ ჩამატება ბერძნულის ანალოგიით უნდა მომხდარიყო¹⁰. ქართულ კრებულებში II ოდით შევსების მცდელობა მიქაელზე ადრეულ სინურ იადგარებში (Sin-34, Sin-1, Sin-14) შეიმჩნევა. ჯერ კიდევ სინურ ნუსხებში კოზმას შობისა და განცხადების კანონებს აქვს „მოიხილესა“. რაიმე ფაქტი რვაოდიან კანონში II ოდის ჩამატებისა ბერძნულ ხელნაწერებში გამოვლენილი არ არის, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებთ თ.დეტორაკის ერთ დაკვირვებაზე. იგი აღნიშნავს, რომ ევსტრატიადესის გამოცემულ ირმოლოგიონში კოზმას შობისა და განცხადების „Πρόσχε οὐρανὲ καὶ λαλήσω“ და განცხადების - „Πάλιν Ἰησοῦς, πάλιν μυστήριον“, და „Ὁὐρανὸς καὶ γῆ προσεχέτασαν“. თ. დეტორაკის თვლის, რომ ეს ძლისპირები კოზმას არ ეკუთვნის. შობის კანონის II ოდის ირმოსს ანდრია კრიტელის კუთვნილებად მიიჩნევს და კოზმას აკოლუთიაში მის მიხვედრას გადამწერის ნახელავად თვლის¹¹. განცხადების კანონის II ოდის ძლისპირების არსებობას კი ამავე აკოლუთიაში ვერ ხსნის, მხოლოდ ფსევდოკოზმასეულს უწოდებს.

აღსანიშნავია, რომ სინურ ნუსხებში შესული კოზმას შობისა და განცხადების კანონების თარგმანებში II ოდის ძლისპირები თ. დეტორაკისის მიერ წარმოდგენილი ირმოსების თარგმანებია; „Πρόσχε, οὐρανὲ“ „მოიხილე, ცაო და ვიტყოდით“. აქვე ქართულ ძლისპირს უძღვის ბერძნული ძლისპირის დასაწყისის ქართული ტრანსლიტერაცია „propeSeurane“, რაც აშკარად „Πρόσχε οὐρανὲ“-ს დამახინჯებული წაკითხვაა. ასევე განცხადების კანონშიც Sin-34, Sin-1, Sin-14, Sin-65 „ცაო და ქუეყანად გულისხმისყოფით ქრისტესა ადიდებით“ თარგმანია „Ὁὐρανὸς καὶ γῆ προσεχέτασαν“. ძლისპირის ტექსტები სრულად არის მოტანილი იადგარის ხეშოთ ჩამოთვლილ ნუსხებში. ამ ძლისპირებს არ იცნობს ქართული ირმოლოგიონის I და II რედაქციები. III რედაქციაში კი ჩანს „მოიხილე ცაო“, ხოლო მეორე „ცაო და ქუეყანად“, არ არის არც III რედაქციაში¹². ამიტომ ვფიქრობთ, რომ „moixileebis“ ძლისპირები თვით ოდებთან ერთად ითარგმნა და შევიდა იადგარებში.

რაც შეეხება კოზმა იერუსალიმელის სხვა კანონთა თარგმანებს, ამგვარი სურათი გვაქვს: დავით და იაკობისადმი და გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიძღვნილი კანონები „მოიხილევებით“ შევსებულია მხოლოდ მიქაელის იადგარში. ღვთისმშობლის მიძინებისა და ფერისცვალების კანონები მიქაელის კრებულში შემორჩენილი არ არის და არც Sin-65-ის დონეზე არ შეიცავენ „მოიხილესას“.

⁸ უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევმა. თბილისი, 1980, გვ. 688, 829.

⁹ ლ. ხაჩიძე. იოანე მინჩხის პოეზია. 1987, გვ. 145.

¹⁰ ლ. ჯღამია. ჰიმნოგრაფიული კანონის „მოიხილესა“. „მრავალთავი“. X. 1980, გვ. 115.

¹¹ Δετοράκης Θ. Κοσμάς ὁ Μελαβός, Βίος καὶ ἔργοι, Θεσσαλονίκη, 1971, 127.

¹² გ. კიკნაძე. ნევირებული ძლისპირნი. თბილისი, 1980, გვ. 137.

მიგებების კანონი შევსებულია ყველა სინურ ნუსხაში და A 190-ში. მინა, ბიქტორ და ბიკენტისადმი მიძღვნილ კანონს კი არც მიქაელის კრებულში არა აქვს II ოდა. ამრიგად, ჩანს, რომ კოზმას კანონთა თარგმანები „მოიხილეს“ არსებობის მიხედვით არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს.

დავით და იაკობის კანონის II ოდის ძლისპირი („ისმენდინ ქუეყანად), მიგებების („უხილავთა მხილველმან“), გრიგოლ ღვთისმეტყველის („ზეშთა ბუნებად) ქართულ ძლისპირთა კრებულების I და II რედაქციაში არ ჩანს, მათ მხოლოდ გვიანდელ III რედაქციის (603 X-XI) ირმოლოგიონში ვხვდებით. მაგრამ ამ სამივე ძლისპირს იცნობს ჯერ კიდევ იოანე მინჩხი და იყენებს ორიგინალურ კანონებში¹³. აქედან იოანეს ორიგინალური, ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი კანონი მიქაელის კრებულში გვხვდება. სწორედ ამ კანონის II ოდის ძლისპირი ემთხვევა დავით და იაკობის კანონის II ოდის ძლისპირს (ისმენდინ ქუეყანად). ძლისპირები მიქაელის იადგარში მხოლოდ დასაწყისებითაა მოყვანილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი ტექსტები და კილოც უკვე ცნობილია. მაშინ რატომ არ ჩანს ამ ძლისპირთა სრული ტექსტები ძლისპირთა ადრეულ კრებულებში? ხომ არ შეიძლებოდა ეს ძლისპირები მოთავსებული ყოფილიყო მიქაელის კრებულში ძლისპირთა და რვთისმშობლისათა სწორედ იმ ნაწილში, რომელიც დაკარგულია, რადგან მიქაელის კრებული ნაკლებობის გამო სრულიად არ არის შემორჩენილი, ამიტომ აღნიშნული ძლისპირთა სრული ტექსტები მასში არ ჩანს, მაგრამ აპრიორი უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე ოდის ძლისპირთა თარგმანები მიქაელის იადგარში იყო.

მიქაელის კრებულში გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიძღვნილი კანონის „მოიხილესას“ მიწერილი აქვს „ქ“.

ამგვარი აღნიშვნა ხშირად გვხვდება მიქაელის კრებულში, „ქ“-ს გარდა აღინიშნება „ბ“-ც. პინგოროყვა ამ ნიშნებს ასე ხსნის „ქ“ – ქართული, „ბ“ – ბერძნული¹⁴.

ტექსტებზე დაკვირვება წარმოჩენს, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში „ქ“ მიწერილი აქვს არა ქართულ საგალობლებს მათი წარმომავლობის მაუწყებლად, არამედ იმ მასალას, რომლითაც შევსებულია მიქაელის იადგარი, მათ შორის თარგმნილი საგალობლებიცა და ორიგინალურებიც.

II ოდის არსებობა ქართული იადგარების ნუსხებში კოზმა იერუსალიმელის კანონთა მაგალითების მიხედვით რაიმე სიახლეს არ გვიჩვენებს. გამოვლენილი ორი შემთხვევის გარდა, ვგულისხმობთ შობისა და განცხადების კანონების თარგმანებს, სადაც „მოიხილევების“ ძლისპირები უდავოდ ბერძნული დედნიდან არის თარგმანილი. სხვა შემთხვევებში ძნელია თქმა „მოიხილე“ ქართველი ავტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია თუ თარგმანია.

Eka Dugashvili

On one aspect of the second ode (moikhile) of the Hymnographic Canon According to the ancient Georgian translations

Summary

In the composition of hymnographic Canon worth of particular interest is the question of reduction and the existence of the second ode. In Georgian translations, on the early stage, hymnographic translations of the Canons contain the second ode according to Ancient Iadgari. In Big Iadgari of the X century the facts filled with the Canons of the second ode (Sin. 34, Sin. I, Sin. 14 systematically Michael Modrekili's collection) are found. Does this fact reflect proper phenomenon occurring in Byzantine hymnography? Examples of incomplete acrostic Canons consisting eight odes are confirmed, where incomplete acrostic points the second ode was in the part of Canon. According to this fact, an observation of Detorakis is worth of note. Three versions of Heirmos of the second ode are seen in the Hermologion published by S. Eustratiades and in Akolouthia of Cosma's Heirmos of Canons of Nativity and Theophania. Neither of Heirmoses belongs to Cosma. It is important, that in the translations of the Canons of Nativity and Theophania (in the lists of SinainIadgari) are met mainly these Heirmoses “Πρόσχε οὐρανὲ και λαλήσω” “Πάλι” “Οὐρανός και γης προσεχέτωσαν”. „მოიხილე ცაო და ვიტყოდით“ და „ცა და ქუეყანა გულის მისყოფით“...

¹³ლ. ხაჩიძე. იოანე მინჩხის პოეზია. 1987, გვ. 256, 263, 329, 312.

These Heirmoses are not seen in Georgian collection of Heirmoses. Only „მოიხილე ცაო და ვიტყოდით“ is met in the third edition. It is reasonable to suppose, that the marked Heirmoses were translated with odes and formed the part of Iadgari. As to other Canons of St. David and Jacob and Gregory the Theologian, they are filled with the second ode only in the collection of Michael, the Canon of Assumption is filled in all the lists of Iadgari. Heirmos of the second ode of St. David and Jacob's canon „ისმენდინ ქუეყანა“, „უხილავთა მხილველი“ of Assumption, „ზეშთა ბუნება“ the Gregory of Theologian, they are met only in the third edition. Observation of the translations of the second odes of Cosma's Canons has shown that filling with “Moikhile” originates from Byzantine tradition, but in most cases of the translations it is difficult to understand whether it is the second ode translated from Greek or the reap of Georgian author's scientific work.

ელიზაბეტ ბიშოპი: პოეტი-ასკეტი

წინამდებარე წერილი მოკრძალებული ცდაა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის სივრცეში პირველად მოხდეს დიდი ამერიკელი პოეტის ელიზაბეტ ბიშოპის წარდგინება. შესაბამისად, აქ განხილული იქნება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი ეტაპები, მისი პოეტური ხელწერისათვის დამახასიათებელ თავისებურებები და მისი მემკვიდრეობის შესახებ ლიტერატურის კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული შეფასებები.

სიცოცხლეში ელიზაბეტ ბიშოპი საყოველთაოდ აღიარებული და პატივსაცემი პოეტი იყო, თუმცა ამერიკულ ლიტერატურულ სამყაროში, გარკვეულწილად, ბუნდოვანებით იყო მოცული მისი პიროვნება. გარდაცვალების შემდეგ კი, 1979 წლიდან, მისი რეპუტაცია საგრძნობლად გაიზარდა, რასაც მოწმობს კრიტიკოსთა მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით გამოთქმული შეხედულება იმის შესახებ, რომ ელიზაბეტ ბიშოპი, უდაოდ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორია მე-20 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ 2001 წლამდე ქართულ სალიტერატურო სივრცეში ამ დიდი პოეტის სახელი არსად ყოფილა ნახსენები. 2001 წელს პირველად ითარგმნა და შესავალ წერილთან ერთად დაიბეჭდა რამდენიმე ლექსი ლიტერატურულ ჟურნალში „არილი“, №10, რასაც მოჰყვა მემუარების ერთი ნაწილისა და სხვა რამდენიმე ლექსის თარგმანის პუბლიკაციები.

ელიზაბეტ ბიშოპის პოეტური ხელწერის ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელია პერფექციონიზმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბევრს არ წერდა, მაგრამ ბევრს მუშაობდა და დიდ დროს უთმობდა თითოეული ლექსის სრულყოფას; განუწყვეტლივ ცვლიდა, ასწორებდა და ამუშავებდა თავის ნაწარმოებებს. ამის შედეგია ის, რომ სიცოცხლეში სულ 5 წიგნი გამოსცა, ხოლო გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ლექსების რაოდენობა მხოლოდ 105 ერთეულით შემოიფარგლება. ცნობილია, რომ ბიშოპი ხშირად ერთი ლექსის წერას რამდენიმე წელს ანდომებდა. ერთხელ რობერტ ლოუელისთვის უთქვამს: „არ მიტაცებს დიდი მოცულობის სამუშაო, როგორც ასეთი. ნამუშევარი კარგი რომ გამოვიდეს, ამისათვის არ არის აუცილებელი ის დიდი მოცულობისა იყოს“.

ელიზაბეტ ბიშოპის ლექსები გამოირჩევა ფიზიკური სამყაროს დეტალური აღწერით, მჭკრეტელობითი პოეტიკითა და მოულოდნელი მიგნებებით, ხოლო ქვეტექსტით შემოტანილი თემები წარმოადგენს ლირიკული გმირის განუწყვეტელ ბრძოლას სამყაროში საკუთარი ადგილის საპოვნელად და, ასევე, სევდისა და ლტოლვის ადამიანური გამოცდილებების გაზიარებას.

ელიზაბეტ ბიშოპი ფერწერითაც იყო დაკავებული, ამიტომ მისი სტრიქონები ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებს ჰგავს. მის ლექსებსა და ნახატებს აერთიანებს მნიშვნელოვანი მომენტებისა და სცენების ოსტატური გამოხატვა. მიუხედავად იმისა, რომ ის მატერიალურ სიდუხჭირეს არ შეუწუხებია და ყოველთვის გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, პოეზიაში ფართო ადგილს უთმობს უბრალო ადამიანების ცხოვრებისეული გარემოს აღწერას. ესენია: ხმაურიანი ქარხნები, ფერმები, მეთევზეთა სოფლები. კრიტიკოსი ერნი ჰილბერტი წერდა: „ბიშოპის პოეტიკა გამოირჩევა მშვიდი დაკვირვებებით, საგანგებო დაზუსტებებით, სამყაროს უმცირესი ნაწილაკებისადმი გამოჩენილი ყურადღებით, მინიატურისტის ადლოთი. მიუხედავად აგრესიული და დაუვარცხნელი პოეზიისა, რომელიც პოეტის სიცოცხლის მეორე ნახევარში დომინირებდა ამერიკულ ლიტერატურაში, მისი ლექსები გამოირჩევა ისეთი გაწონასწორებულობით, რაც ალექსანდერ კალდერის მოძრავ სკულპტურებს ახასიათებთ, რომლებიც ისე ფაქიზად ტრიალებდნენ, რომ ერთი შეხედვით მნახველს უმოდროც მოეჩვენება. ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა და ქდერადობა უნაკლოდ არის შეწონილი მომდევნო ფრაზასთან“¹.

¹<http://www.poetryfoundation.org/bio/elizabeth-bishop>.

რასაკვირველია, ყველა პოეტის პიროვნული და პროფესიული თავისებურება მისი ბიოგრაფიიდან იღებს სათავეს. მით უფრო გვერდს ვერ ავუვლით ბიოგრაფიულ მონაცემებს ისეთი ტიპის ავტორის შემთხვევაში, როგორც ელიზაბეტ ბიშოპი იყო - პოეტი, რომელსაც გეოგრაფია ყველაზე მნიშვნელოვან და საბედისწერო მომენტად მიაჩნდა საკუთარ ცხოვრებაში. ამიტომ, თუ განვაზოგადებთ „გეოგრაფიის“ მნიშვნელობას და მასში მოვიაზრებთ რეალურ მონაცემებს, არა მარტო საინტერესო, არამედ აუცილებელიც გახდება პოეტის ბიოგრაფიის ყველაზე საინტერესო მომენტების გაცნობა.

ამგვარად, ელიზაბეტ ბიშოპი 1911 წლის 8 თებერვალს ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ უორჩესტერში დაიბადა. მისი ბავშვობა აღბეჭდილია დანაკარგის მძაფრი შეგრძნებებით, რაც მის პოეზიასაც მსჭვალავს. მის ყველაზე ცნობილ ლექსში „დაკარგვის ხელოვნება“ სწორედ ამგვარ ცხოვრებისეულ დანაკარგებს ეხება მისი პოეტური რეფლექსია:

„ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება.
დაკარგვის ბედი თან დაჰყვება უამრავ საგანს,
რომელთა კლება ჯერ არ ნიშნავს უბედურებას.

თითქმის ყოველდღე ვკარგავთ რამეს და დაგვაქვს სევდა
დაკარგული გასაღების თუ უქმად ჩავლილი წუთების გამო.
ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება...

დაკარგვა სულაც არ ყოფილა ძნელი ხელობა,

თუმცა შეიძლება (აღიარე, რომ შეიძლება!) დამსგავსოს უბედურებას“.²

მამა 8 თვის ასაკში დაეღუპა, დედა ნერვული შეტევებისგან იტანჯებოდა, ხოლო როცა ელიზაბეტი 5 წლის იყო, დედამისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. ამ გზით დედა ერთადერთი შვილის ცხოვრებიდან სამუდამოდ გაქრა. საავადმყოფოში ის საღ გონებაზე არ იყო, ამიტომ შვილს ამის შემდეგ აღარ შეხვედრია (დედას ელიზაბეტი მოგვიანებით აღწერს პროზაულ შედეგში „სოფლად“).

3-დან 6 წლამდე ელიზაბეტი დედის მშობლებთან ერთად კანადაში, ნოვა სკოტიის ქალაქ გრეთ ვილიჯიში ცხოვრობდა, სიყვარულითა და სითბოთი სავსე ატმოსფეროში. თუმცა მყუდროება დაურღვია მამის მშობლების გადაწყვეტილებამ შვილიშვილი თავისთან, უორჩესტერში, გადაეყვანათ. მოგონებებში პოეტი წერს: „წამიყვანეს სახლში, სადაც მამაჩემი დაიბადა, ჩემი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, ჩემთან შეუთანხმებლად, რომ გავრიდებოდი სიღარიბესა და პროვინციალიზმს“. იქ, მდიდრულ, თუმცა იზოლირებულ გარემოში ბიშოპმა მკვეთრად იგრძნო ურთიერთობების ნაკლებობა: „მეგონა, დავბერდი, მეგონა ვკვდებოდი. მოწყენილი ვიყავი, მარტო ბებიასთან, სიტყვაძუნწ ბაბუასთან და სადილებთან ერთად. ღამით ვიწექი, ფანრის ანთება-ჩაქრობით ვერთობოდი და ვტიროდი“. როდესაც დეიდამ, მაუდ ბალმერ შეფერდსონმა დისშვილის წაყვანა გადაწყვიტა 1918 წლის მაისში, მისმა ბებია-ბაბუამაც აღიარა მათი წამოწყებული ექსპერიმენტის წარუმატებლობა.

დეიდამ ის სამხრეთ ბოსტონში წაიყვანა. ახალი საცხოვრებელი ძალიან მოეწონა ელიზაბეტს და ეს სიყვარული ნათლად გამოჩნდა მისი გამოუქვეყნებელი მოთხრობის („ქალბატონი სალივანი კიბუხე“) ხელნაწერში. როგორც მოგვიანებით იხსენებს, სწორედ იქ, ბოსტონში, დაიწყო მან ლექსების წერა, რაზეც გაველენა იქონია დეიდამ, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა.

ელიზაბეტმა სკოლის ბოლო წლები უოლნათ ჰილ სქულში გაატარა, ბოსტონთან ახლოს, რასაც მოჰყვა 4 წელი ნიუ იორკში, ვასარის კოლეჯში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ის იმ დროისათვის ცნობილ პოეტს, მასზე 24 წლის უფროს მარიანა მურს წარუდგინა. მალე მათი ნაცნობობა ხანგრძლივ მეგობრობაში გადაიზარდა. ამავე წელს გარდაცვაალა ელიზაბეტს დედა და დაამთავრა კოლეჯი. ბიშოპის პირველი ნამუშევრები ვასარის კოლეჯის ჟურნალში დაიბეჭდა. მათში იგრძნობოდა ჯორჯ ჰერბერტის, ჟერარ მენდი პოპკინსისა და მურის გავლენები. ბიშოპი მცირე ხნით სამედიცინო კარიერაზე ფიქრობდა, მაგრამ მარიანა მურის გავლენით, გადაწყვიტა თავი მიექდენა პოეზიისათვის, როგორც ქალისათვის სავსებით შესაფერისი პროფესიისათვის.

ელიზაბეტი სამი წლის განმავლობაში ევროპის სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდა, სანამ 1938 წელს ფლორიდის შტატის ქალაქ ქივესტში სახლს იყიდდა. რამდენიმე ნიუ-იორკული

²ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, 2001, №10 (სტატიაში მოყვანილი ლექსების თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან მანანა მათიაშვილის მიერ).

გამომცემლობიდან მიღებული უარის შემდეგ მარიანა მურმა რეკომენდაცია გაუწია ჰაუტონ მიფლინის პრემიაზე, სადაც მისი წიგნის „ჩრდილოეთი და სამხრეთის“ ხელნაწერი შერჩეულ იქნა დასაბეჭდად 1946 წლის აგვისტოში სხვა 800 ხელნაწერს შორის. ეს იყო ბიშოპის ლექსების პირველი კრებული.

ამ წიგნში თავმოყრილი ლექსები მოიცავს თემებს, რომლებიც განუყრელია მისი პოეზიისთვის: ლანდშაფტი და გეოგრაფია, სამყაროსთან ადამიანის კავშირი, ცოდნისა და წვდომის საკითხები, ქაოსის მომწესრიგებელი ფორმების ძიება.

1947 წელს მეგობარმა პოეტმა რენდელ ჯარელმა ელიზაბეტს წვეულებაზე გააცნო იმ დროისათვის აღიარებული პოეტი, აღსარებითი პოეზიის წარმომადგენელი, რობერტ ლოუელი. ეს მოხდა მანამ, სანამ ლოუელი „ჩრდილოეთსა და სამხრეთს“ გაეცნობოდა. ასე დაიწყო ამერიკული პოეზიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და წინააღმდეგობრივი მეგობრობა, რაც მათი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. მურის მსგავსად, ლოუელი სთავაზობდა მას უამრავ შესაძლებლობას გრანტების, პროგრამების, ჯილდოების სახით. 1950 წელს სწორედ ლოუელი დაეხმარა მას პოეზიის კონსულტანტის შტატის დაკავებაში კონგრესის ბიბლიოთეკაში. ამ დროს ბიშოპი უკვე მეორე კრებულზე მუშაობდა.

1951 წელს პოეტს კვლავ მოუხდა საცხოვრებლის შეცვლა, როდესაც სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიაში ამაზონის მოსანახულებლად გაემგზავრა. მოგზაურობის დროს ავად გახდა, თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ ბრაზილიაში დარჩენა არჩია თავის მომვლელთან და მეგობარ ქალთან ერთად, ვისთანაც 18 წელი გაატარა. ეს წლები ყველაზე სტაბილურად და ბედნიერებით სავსედ ითვლება პოეტის ცხოვრებაში. სწორედ აქ, 1955 წელს, შეიქმნა მისი მეორე პოეტური კრებული „ცივი გაზაფხული“, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა კრიტიკა. ამ წიგნმა 1956 წელს პულიტცერის პრემია მიიღო.

ბიშოპმა მომდევნო სამი წელი პოპულარული ბრაზილიური ნაწარმოების „ჰელენა მორლესის დღიურის“ თარგმნას მიუძღვნა, რომელიც 1957 წელს დაიბეჭდა კიდევ. ჰელენას ცხოვრებისეული ისტორია, დაკავშირებული პატარა ქალაქ დიამანტინასთან, ელიზაბეტს გრეთ ვილიჯიში გატარებულ საკუთარ ბავშვობას აგონებდა. ამ თარგმანზე მუშაობა დაეხმარა პოეტს შორიდან შეეხედა საკუთარი წარსულისთვის და გამოეყენებინა ის მხატვრულ მასალად.

ბრაზილია, როგორც მოქმედების ადგილი, მოგვიანებით მის მრავალ ლექსში გამოჩნდება, რომლებიც შევა ათი წლის შემდეგ 1965 წელს გამოცემულ მესამე კრებულში „მოგზაურობის შესახებ“. ესენია როგორც ბავშვობისდროინდელი გამოცდილების გააზრებაზე შექნილი, ისე ბრაზილიაში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად დაწერილი ლექსები. წიგნი იყოფა ორ ნაწილად: ერთის მხრივ, წარმოდგენილია ბრაზილია, მეორეს მხრივ, კი ყველაფერი დანარჩენი. ამ კრებულში, როგორც მკვლევრები შენიშნავენ, „ის უბრუნდება გეოგრაფიის, ფორმის ძიების, ლანდშაფტის თემებს, რომლებსაც მეტი ინტიმურობით წარმოაჩენს. ეს ინტიმურობა ჩანს ლანდშაფტსა და მის დამკვირვებელს შორის წარმოქმნილ სივრცეში, ისევე როგორც იმ სივრცეში, რაც მკითხველსა და პოეტს შორის წარმოიქმნება.“

„მოგზაურობის შესახებ“ სავსეა იმ ოსტატური აღწერებით, რისთვისაც ბიშოპს ყველაზე მეტად აქებდნენ. აღწერებთან ერთად არის ისეთი პასაჟებიც, როცა პოეტს რეალობის გადმოსაცემად საჭირო ძალები უმტყუნებს და მკითხველი გადაჰყავს იდუმალებით მოცულ, სახიფათო და ექსტაზით სავსე სამყაროში³.

1966 წელს ბიშოპმა 2 სემესტრი გაატარა უოშინგტონის უნივერსიტეტში პოეტი-რეზიდენტის სტატუსით, რის შემდეგაც რიო დე ჟანეიროში დაბრუნდა იმ იმედით, რომ კვლავ ბრაზილიაში დამკვიდრდებოდა, თუმცა ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და ფიზიკური სისუსტის გამო საავადმყოფოში მოხვდა. მომჯობინების შემდეგ კი საბოლოოდ გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ იორკში. 1970 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტში 7 წლის განმავლობაში მიჰყავდა შემოქმედებითი წერის კურსი. მანამდე კი მცირე ხნით უოშინგტონისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტებსა და მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტშიც ასწავლიდა. ცნობილია, რომ მასწავლებლობა დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა, მაგრამ სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბევრი რამ ისწავლეს მისთვის დამახასიათებელი სიზუსტის სიყვარულისგან და მშვიდი საუბრებიდან.

ამერიკაში ცხოვრებისას გამოსცა კიდევ ერთი კრებული - „ყველა ლექსი“, სადაც მანამდე გამოქვეყნებულ ლექსებთან ერთად შევიდა რამდენიმე ახალი ნამუშევარიც. ამ წიგნმა 1970 წელს „ეროვნული წიგნის ჯილდო“ მოიპოვა.

³Anne Agnes Colwell, <http://www.anb.org/articles/16/16-01885.html>.

1976 წელს ელიზაბეტ ბიშოპი აღმოჩნდა პირველი ამერიკელი და პირველი პოეტი ქალი, რომელსაც ლიტერატურაში ნუშტადტის (უცხოური წიგნების) საერთაშორისო პრემია მიენიჭა. ამავე წელს 9 ლექსისგან შემდგარი მისი ბოლო პოეტური კრებული „გეოგრაფია III“ გამოქვეყნდა. მასში შესულია ფილოსოფიური სიღრმის მატარებელი ნამუშევრები, აღბეჭდილი პოეტი-დამკვირვებლის გადმოცემის სრულყოფილი გამჭვირვალობით, იუმორითა და სევდით სავსე სტრიქონების მონაცვლეობით. აღსანიშნავია, რომ ამ კრებულის სათაური მესამე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს გულისხმობს - გეოგრაფია მესამე კლასისთვის. მისი, როგორც მარადიული მოგზაურის სახე ყველაზე კარგად ჩანს შესანიშნავ ლექსში „მოგზაურობის შესახებ“:

„ნუთუ მხოლოდ წარმოსახვის ნაკლებობაა,
რაც გვაიძულებს ვიმოგზაუროთ წარმოსახულ გრძელ-განედებზე
იმის მაგივრად, რომ უბრალოდ, სახლებში დავრჩეთ?
თუ დავიჯეროთ, რომ პასკალი ოდნავ სცდებოდა,
როცა ამბობდა, რომ ყველაფერს შინ ყოფნა სჯობდა...
კონტინენტი, ქალაქია ქვეყანა თუ ნაცნობების წრე,
არსად არ არის არჩევანი თავისუფალი.
აქ თუ იქ? არა, არსად. ნეტავ, მართლა ხომ არ სჯობდა სახლში დარჩენა,
ეს სახლი სადაც არ უნდა იყოს?“⁴

რეალურ ცხოვრებაში მართლაც მოგზაურად ქცეულმა პოეტმა თავის ლექსებში შექმნა საკუთარი კანადა, ამერიკა, ევროპა და ბრაზილია. ის გამუდმებით უტრიალებდა გეოგრაფიისა და მოგზაურობის თემებს და შექმნა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორებიცაა „კრუზო ინგლისში“, „ყურე“, „თევზსაშენის ფარდულებთან“, „თეხი“, „ბენზინგასამართი სადგური“, „მოსაცდელ ოთახში“ და სხვა.

1977 წლის 1 ოქტომბერს 66 წლის პოეტმა გუგენჰაიმის სტპენდიაზე განაცხადი შეიტანა და მიუთითა, რომ მუშაობდა ახალ კრებულზე სამუშაო სათაურით „დიდედას შუშის თვალი“ და დიდი მოცულობის ლექსზე „ელეგია“. ორი წლის შემდეგ ამ კრებულში შესატანი 4 ცნობილი ლექსი („სანტარემი“, „ნორზ ჰაენი“, „ვარდისფერი ძაღლი“ და „სონეტი“) უკვე დაწერილი ჰქონდა, როდესაც ცვრებრალური ანევიროზით გარდაიცვალა.

1983 წელს გამომცემლობამ Farrar, Straus and Giroux გამოსცა მისი ნაწარმოებების კრებული სათაურით „სრული კრებული 1927-1979“. ამ გამოცემის შესახებ კრიტიკოსი დევიდ ლემანი წერდა: „ელიზაბეტ ბიშოპი არა მარტო კარგი, არამედ დიდი პოეტი. თავის ლექსებში მან მიაღწია ჩვეულებრივობის ჯადოსნურ გასხვივებას, რითაც მკითხველებს გვაიძულებს, გარშემო არსებულ რეალობას შევხედოთ კეთილგანწყობილი უცნობის სიახლისმადიებელი თვალით“.⁵

როგორც თანამედროვე კრიტიკოსები შენიშნავენ, ელიზაბეტ ბიშოპი „თავისი დროის ყველაზე მისტიურ და, ამავედროულად, კანონდამრღვევ მწერლად შეიძლება ჩაითვალოს. კანონდამრღვევად იმიტომ, რომ არავინ მოელოდა ასეთი ცივი გონების პოეტისგან, რომ მე-20 საუკუნის პოეზიას შეარყევდა. მისტიური კი იმიტომ, რომ არავინ იცის, ეს როგორ მოახერხა - როგორ მოახერხა ჩვეულებრივი ქალმა მოდერნისტული პოეზიის კანონის შერყევა... მის არჩევულებრივ გვიანდელ ლექსებში („დაკარგვის ხელოვნება“ და „ლოსი“) უცხადესი ორმაგი ეფექტია მიღწეული: მათ მკითხველი დიდი სიცხადეში შეჰყავთ მკვეთრი, დიალოგური ტონით. მძიმე მუსიკის ეს ზებუნებრივი შემოდინება ტექსტში შემპარავი ყოველდღიური ენით - ესაა ბიშოპის პოეტური მანერის მთავარი ნიშანი და მთავარი მიღწევა. ამით მან მოდერნისტი პოეტის მედიდური პოზა შეარყია, პოზა, რომელიც მას აშკარად აღიზიანებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო მისი პოეტური მე სასწორზე დადო“.⁶

სხვანაირად, ალბათ, არც შეუძლიათ დიდ პოეტებს. „კანონდამრღვევი“ პოეტები რადიკალურად ექცევიან საკუთარ თავსაც, საკუთარ შემოქმედებასაც და ბიოგრაფიასაც. სხვანაირად ვერ აიხსნება ის თავშეკავება და პოეტური ასკეტიზმი, რითაც ელიზაბეტ ბიშოპი გამოირჩეოდა. საინტერესოა, რომ საკუთარ თავს ის ხშირად აღარებდა თავისივე ლექსის „მქვეშია“-ს გმირს - პატარა ჩიტს, რომელიც

⁴ელექტრონული ბიბლიოთეკა „ლიბ.გე“

⁵Elizabeth Bishop. Collected poems 1927-1979. Farrar, Straus and Giroux, 1983.

⁶George S. Lensing, The Oxford Companion to Women's Writing in the United States. 1995, by Oxford University Press.

ზღვის სანაპიროზე თავგამეტებით დარბის და „რადაცას“ ეძებს. მას მიანდა, რომ მექვიშიასავით თვითონაც მუდმივ მოძრაობასა და ძიებაში იყო:

„სამყარო მხოლოდ ნისლია ჯერაც. მერე სამყარო ნაწილაკს ჰგავს,
ფართოვდება და ხდება სუფთა. ახლა წყალი მიიქცევა
თუ მოიქცევა, მექვიშია ვედარც კი ამჩნევს, რადგან
გეზი აქვს აღებული ერთადერთი მიმართულებით: რადაც აწუხებს,
რადაცას ეძებს, რადაცას მისდევს გაშმაგებული.
საწყალი ჩიტი, შეპყრობილი დევნის მანიით!..⁷

და მართლაც, პროფესიულ ოსტატობასთან შერწყმული გამუდმებული ძიება, ასკეტური დამოკიდებულება სიტყვასთან და საკუთარ ნამუშევრებთან, ბუნდოვანებაში სიცხადის შეტანის უნარი, დაკვირვებისა და ჭერეტის ნიჭი ის განსაკუთრებული თვისებებია, რამაც პოეტი ელიზაბეტ ბიშოპი ინდივიდუალური ხელწერის პოეტად აქცია და შეუცვლელი ადგილი დაუშკვიდრა მე-20 საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში.

Manana Matiashvili

Elizabeth Bishop – the Ascetic Poet

Summary

The article deals with the life and writings of great American poet Elizabeth Bishop. With this article she is introduced for the first time into the scientific literary works in Georgian language. Accordingly, the author has mentioned here about the most important and crucial moments in poet's biography. There is also analyzed Bishop's literary method, artistic peculiarities and the literary value of her writings.

Elizabeth Bishop is known to be reserved and ascetic person working hard and long on her poems. She was a perfectionist who did not write prolifically. So, it is not surprising that all her works include only 5 little volumes and 105 poems at all.

During her lifetime, poet Elizabeth Bishop was a respected yet somewhat obscure figure in the world of American literature. Since her death in 1979, however, her reputation has grown to the point that many critics have referred to her as one of the most important American poets of the twentieth century.

Elizabeth Bishop's poems were translated into Georgian by Manana Matiashvili. They were published in 2001 in literary journal „Arili“.

⁷ლიტერატურული ჟურნალი „არილი“, 2015, 21 მაისი.

სამართალი

„ლიდერშიპის“ კრისიზი: ზოგიერთი ვეპტორისა და ბანზომილების შესახებ*

„ლიდერშიპის“ პრობლემა სხვადასხვა მოდიფიკაციით უხსოვარი დროიდან წარმოადგენს დაუღალავი ძიების საგანს. ეს გახლავთ ამოუწურავი თემა უამრავი ასპექტით. საკუთრივ ტერმინი სულ ცოტა ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. **სტატიკური** მნიშვნელობით, რაც გულისხმობს ლიდერის მდგომარეობას, ფუნქციასა და სტატუსს; 2. **დინამიკური** გაგებით, რომელიც მოიაზრება, როგორც საქმეთა გაძღვლა ლიდერის როლში (ინდივიდუარია ის თუ კოლექტიური). ეს ორი მნიშვნელობაც კი ტერმინისა „ლიდერშიპი“ შეიძლება საკმარისი ყოფილიყო დაუსრულებელი კამათისა და დებატებისათვის. მაგრამ გაიაზრო და გადაიაზრო ისინი კრიზისულ სიტუაციებთან მიმართებაში, კიდევ უფრო რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ამიტომ თუ გვინდა, რომ გულუბრყვილობა არ დაგვწამონ, ვიკმაროთ მცირე, მაგრამ აუცილებელი. სახელდობრ, ჯერ ვცადოთ გავიხსენოთ, რა ნიშნებით ხასიათდება „ლიდერშიპი“ ჩვეულებრივ სიტუაციებში (ორთავე მნიშვნელობით), შემდგომ კი ვიკვლიოთ, რა სპეციფიკა ახლავს კრიზისს უჩვეულო სიტუაციებში (პოლიტიკური იქნება ის, ეკონომიკური, გლობალური თუ სხვა).

„ლიდერშიპი“ ჩვეულებრივ ვითარებაში. თუ სიტუაცია ექსტრემალური არ არის, თუ საკუთრივ ვითარებაში, რომელშიც ხორციელდება საქმიანობა და ფუნქციონირება, არ არსებობს სპეციფიკური პრობლემა, რომელიც ექსტრაორდინარულ შესაძლებლობებსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაშინ ასეთ „ჩვეულ“ სიტუაციაში „ლიდერშიპის“ ამოცანა შედარებით იოლია. უპირატერსად იგი იმაზე დაიყვანება, რომ **შთააგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს** ადამიანთა ჯგუფი, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენს. „ლიდერშიპის“ ვარგისიანობის ვერიფიკაცია შედარებით მარტივია, თუ მოვიმარჯვებთ კვლევის სოციომეტრიულ და ლევიმეტრიულ მეთოდებს. **სოციომეტრიულისა**, რათა გაიზომოს პიროვნებათაშორისი (ინტერპერსონალური) კავშირების სიმტკიცე; **ლევიმეტრიულისა** – ინსტიტუციათშორისი (ინტერინსტიტუციური) კავშირების გამართულობისა და საიმედოობის გასაზომად. ეს ორი მეთოდი კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, ავსებს ერთმანეთს და შესაძლებელს ხდის შეიქმნას მეტ-ნაკლებად სრული სურათი იმისა, თუ რამდენად ხელს უწყობს და განამტკიცებს „ლიდერშიპის“ ინტერპერსონალურ კავშირებს სოციუმის დანარჩენ ნაწილთან ინტერინსტიტუციური სტრუქტურული კავშირები; ინსტიტუციონალიზებულია თუ არა პიროვნებათშორისი კავშირურთიერთობანი, და თუ ჰო, მაშინ, რამდენად საკმარისია ეს, და ხდება თუ არა იგი სათანადო, შესატყვისი ფორმით. თუ აღმოჩნდება, რომ ჰო, მაშინ უნდა ველოდოთ წარმატებას, ჰარმონიასა და სიმშვიდეს. მაგრამ თუ არა, მაშინ სასწრაფო ღონისძიებანი უნდა გატარდეს. საბოლოო ჯამში, წარმატების ფორმულა პროპორციებში მდგომარეობს. საჭიროა, ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა უმკაცრესი კონტროლის ქვეშ შენარჩუნდეს სისტემა ან სიტუაცია, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება ყველაზე ოპტიმალურ და დელიკატურ ბალანსს ე. წ. „ოქროს კვების“ ან „ღვთაებრივი პროპორციისა“, რაც უადრესად ძნელი მისაღწევია და პირიქით, რომელიც უარყოფით ბალანსს ქმნის, ან უახლოვდება, ანუ როდესაც ინტერპერსონალური (პიროვნებათშორისი) კავშირები იმდენად სუსტია, რომ მალე გაწყდება კიდევაც, სასწრაფოდ უნდა დაექვემდებაროს „ტექნიკურ შემოწმებასა“ და რემონტს. გავიხსენოთ: ჯაჭვი, ხომ სუსტ რგოლში წყდება.

„ლიდერშიპი“ კრიზისულ ვითარებაში. კრიზისული სიტუაციის დროს საკუთრივ საქმიანობისა და ფუნქციონირების სფეროში თავს იჩენს დამატებით სპეციფიკური სირთულე, რომელიც ექსტრაორდინარულ შესაძლებლობებსა და ძალისხმევას მოითხოვს. აქ „ლიდერშიპის“ ამოცანა,

*სტატია წარმოადგენს შემოკლებულ ქართულ ვერსიას ინგლისურენოვანი მოხსენებისა, რომლითაც ავტორი წარსდგა ევროპის საბჭოს ზაფხულის უნივერსიტეტის საერთაშორისო ფორუმის წინაშე მსოფლიოს ოთხი კონტინენტის ექვსასზე მეტი წარმომადგენლის მონაწილეობით. მივგანწიან, რომ თემას არა თუ არ დაუკარგავს აქტუალობა, არამედ პირიქით, პრაქტიკული და თეორიული ინტერესი მისადმი მატულობს, მეტადრე საქართველოში.

პუბლიკაციას ერთვის ავტორის წვლილის ევროპის საბჭოსმიერი შეფასება, რომელიც ოფიციალური მადლობის თანხლებით გამოიგზავნა საქართველოში.

ცხადია, გართულებულია. საქმე ისაა, რომ შთააგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ჯგუფის წევრები, ან საერთოდ შეუძლებელია, ან ძნელად შესასრულებელი. ამასთან, უეცრად თავს იჩენს ხოლმე ახალი, უჩვეულო ფუნქციები, რომელიმე უცხო (ეგზოტიკური) სოციალური სენის „ლიდერისტიკისა“ და მკურნალობის საჭიროება. სისტემაში „ლიდერშიპი – კრიზისული სიტუაცია“ („კრიზისოგენური სიტუაცია“) შეიძლება იმძლავროს „პიროვნულმა“ ან „სიტუაციურმა ფაქტორებმა“. თანაც, სასურველი ან არასასურველი მიმართულებით. ორივე შემთხვევაში, პროპორციები ძალთა განლაგებაში, როგორც წესი, ცვალებადია. ამიტომ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს იმ ძალთა ვექტორების ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების თანაფარდობის დადგენა ან დამკვიდრება, რომლებიც ჩვეულება, ტრადიციულია ან ორგანულია კრიზისულ ვითარებაში მყოფი სისტემისათვის. „ლიდერშიპის“ როლი უთუოდ იზრდება. „ლიდერშიპს“ ეკისრება ახალი, განსაკუთრებული როლი ერთგვარი „კომპენსანტისა“ სწორედ რომ თავისი ლიდერული უნარების წყალობით, მან უნდა შეაგოს ხარვეზები და გამოასწოროს ნაკლოვანებანი; დაძლიოს კრიზისული სიტუაციის პრობლემები და სირთულეები. თუ ის შეძლებს, რომ მარჯვედ ჩაჯდეს ლიდერის „უნაგირში“, შესაბამისად მოვლენათა მსვლელობაზე მისი ზეგავლენა, აგრეთვე მისი როლი და მნიშვნელობა გაიზრდება. მაგრამ თუ ვერ შეძლებს, მაშინ გაითქვიფება „კრიზისულ სიტუაციაში“, დაჰკარგავს ყოფილ დამოუკიდებლობას და გახდება ოდენ ნაწილი „კრიზისული მთელისა“. „ლიდერი კომპენსანტისაგან“ განსხვავებით, ასეთი წარუმატებელი ლიდერი, პირობითად – „ლიდერი კრიზისანტი“ – არათუ ვერ შევლის და ვერ განმუხტავს კრიზისულ სიტუაციას, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ამძიმებს მას, ვინაიდან მისი უუნარობა აჩქარებს და ამრავლებს საერთო მარცხს.

ობტიმალურ გადაწყვეტილებათა ძიებაში. არსებობს კრიზისის დაძლევის მრავალი გზა და ვარიანტი იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორია მისი გენეზისი, მდგომარეობა, სპეციფიკა და სტადია. შეუძლებელია სრული მოცულობით არამარტო მათი მიმოხილვა, არამედ ჩამოთვლაც კი. ამიტომ შემოვიფარგლებით უზოგადესი უნივერსალური სქემით, რომელიც ერთგვარი მოდელია უკლებლივ ყველა შემთხვევისათვის. მეცნიერებაში იგი ცნობილია „ლიდერშიპის სტილის“ (Leadership style) სახელწოდებით, რომელიც მისი სახელგანთქმული შემოქმედის **კურტ ლევისის** დამსახურების წყალობით, დიდი ხანია საყოველთაოდ აღიარებულ ფორმულად იქცა ისეთი სისტემის ანალიზისათვის, როგორც გახლავთ „ლიდერი - სიტუაცია“.

ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით, არსებობს „ლიდერშიპის“ სამი სტილი.

1. ავტოკრატიული; 2. დემოკრატიული; 3. აისსერ – ფაირე (ფრანგულიდან – „გაუშვი, მიეცი თავისუფლება“);

პირველი სტილი გულისხმობს ხელისუფლების (ძალაუფლების) კონცენტრაციას ლიდერის ხელში, რომელიც ნაკლებად ეთათბირება (ან სულ არ ეთათბირება) ქვეშევრდომებსა და გარემოცვას; მთელი ჯგუფის მაგივრად იღებს გადაწყვეტილებებს და იშვიათად აბარებს მათ ანგარიშს, თანაც – გამონაკლისის წესით.

მეორე სტილი ე. წ. „დემოკრატიული ხელმძღვანელობისა“ გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას შესაბამის ჯგუფთან შეთანხმებით ან დათათბირებით მაინც. ამიტომ ისინი არასდროს ერთპიროვნულნი არ არიან და ყოველთვის ითვალისწინებენ ჯგუფის წევრების მოსაზრებებს, სურვილებს და ნებას.

მესამე სტილი „ეტ ლო“ უადრესად პირობითად შეიძლება იქნეს მიჩნეული „ლიდერშიპის სტილად“, ვინაიდან აისსერ – ფაირე-ის დროს ჯგუფის საქმიანობა თავის დინებაზეა მიშვებული, რაც ზოგჯერ ანარქიას წარმოშობს. პრაქტიკულად, მას არსად არავინ იყენებს. ამიტომ მისი მოლოდინი რეალობაში არც კი გვიწევს.

სამაგიეროდ, პირველი ორი სტილი თავისუფლად და მომგებიანად შეიძლება გამოდგეს კრიზისულ ვითარებაში. ყოველივე კრიზისის გენეზისსა და ნომოლოგიაზე იქნება დამოკიდებული. თუ მაგალითად, კრიზისის ფესვები საკუთრივ „ლიდერშიპის“ მმართველობის ავტოკრატიული სტილიდან წარმოდგება, მაშინ „ლიდერშიპის“ გონივრული დემოკრატიზაცია, ცხადია, ვერ იქნება მნიშვნელოვანი, მით უფრო – გადამწყვეტი ფაქტორი კრიზისის დასაძლევად. მაგრამ, თუ პირიქით, უმრავლესობის ჭარბმა ლიბერალიზმმა და დემოკრატიულობამ შექმნა მმართველობის სადავეების დაკარგვის საშიშროება, და ანარქიისა და თვითნებობისაკენ წაგვიძვრა, ან გვიბიძგა, მაშინ ავტორიტარული საწყისების გაძლიერება (განმტკიცება) „ლიდერშიპის“ საქმიანობასა და ხელმძღვანელობის სტილში და მეთოდებში შესაძლოა დასაშვები (გამართლებულიც კი) იყოს. მკაცრი აუცილებლობისა და ლეგიტიმურობის ფარგლებში. მიუხედავად მოძრაობის პრინციპული დასაშვებობისა ორივე ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, როგორც „ლიდერშიპის სტილის“

დემოკრატიზაციის, ისე ავტოკრატიზაციისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არსებითი განსხვავება ორ არჩევანს შორის, რეალური ვითარების გათვალისწინებით. სახელდობრ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხელმძღვანელობის ავტოკრატიზაციის დაგეგმვა ხანგრძლივი დროის პერსპექტივით. აქ ე. წ. „შორი მაშუქები“ მართლაც რომ არ არის საიმედო. „შორი მაშუქებით“ გაუთავებლად ვერ იმობრავებ. ეს უბრაოდ საშიშია. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, პოლიტიკური ლიდერების აღჭურვა ჭარბი უფლებამოსილებებით, საერთაშორისო სტანდარტებით და ჩვეულების შესაბამისად, მიღებულია შეიზღუდოს დროისა და სივრცის მკაცრ ჩარჩოებში, რომლებიც განკუთვნილია ე. წ. „საგანგებო მდგომარეობისათვის“.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, დემოკრატიზაციას არ გეგმავენ მოკლე ხნით; იგი მოითხოვს ხანგრძლივ, ლამის უვადო გამოყენებას. „ახლო მაშუქებს“ აქ არ ძალუძთ სასურველი შედეგის, ქმედითი ეფექტის მოტანა. ეს იქნებოდა დიდ კრიზისულ სივრცეში მანევრირების შესაძლებლობის ბოროტად გამოყენება. გარდა იმისა, რომ ეს პრინციპულად მიუღებელია მორალური, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი შეიცავს საფრთხეს ანომიის ჩასახვის, დამკვიდრებისა და გაღრმავებისა. ეს კი უკიდურესად დამღუპველი მდგომარეობა, პროცესი ან მოვლენაა, როდესაც რომელიმე დიდი გაერთიანების ან ადამიანთა დიდი ჯგუფის ლეგიტიმური მისწრაფებანი ვერ კმაყოფილდება ჩვეული ალტერნატიული მეთოდებით, ხოლო ოფიციალური ინსტიტუტები პარალიზებულია და ვეღარ ფუნქციონირებენ. თავიანთ არსებობას ისინი ოდენ ნომინალურად განაგრძობენ. მიგვაჩნია, რომ ამგვარი სიტუაციების შემთხვევაში, ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით, შესაფერის და ქმედით ღონისძიებად კონსტიტუციური რეფორმა გამოდგებოდა.

ლიდერის ქარიზმატულობის თაობაზე. მისასაღმებელია თუ არა ლიდერის ქარიზმატულობა? ჯერ შევთანხმდეთ, რომ ქარიზმატულობა ეს არის პიროვნების სპეციფიკური თვისება, რომლითაც ის მომხიბლავია მრავალთათვის და ბადებს მის მიმართ თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ენთუზიაზმს.

დიდი ხნის განმავლობაში, ლამის ცალსახად აღიარებდნენ, რომ ეს კარგია, ქარიზმატულობა ძალაა. მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ეს „ძალა“ იოლად გადაიზრდება ხოლმე სერიოზულ საშიშროებაში ლიდერის მიმდევართათვის (ერი, ხალხი, პარტია, კოლექტივი, კომპანია და ა. შ.). ამის მრავალი მაგალითი არსებობს. შესაბამისად წარმოიშვა ერთგვარი თავშეკავებულობა ქარიზმატულობისადმი.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა მხოლოდ ერთი მხრივ შეგვეფასებინა ლიდერის ისეთი იშვიათი თვისება, როგორცაა ქარიზმატულობა. უმართებულოა მისი დაყვანა შეფასებით პოლარულ ცნებებამდე: „კარგი“ და „ცუდი.“ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა, თუ მივიჩნევდით, რომ ქარიზმატულობას უნარი შესწევს შეიძინოს ეს თვისებები, იყოს კარგი ან ცუდი იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა ღირებულებების აღმსარებელია, რა მიზნებს ემსახურება და შეუძლია თუ არა საერთოდ ქარიზმატულ ლიდერს, გონივრულად გამოიყენოს თავისი ეს თვისება. ისტორიაში ამის მაგალითი, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართლებით, საკმარისზე მეტია. ამიტომ მათ ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მთავარია, არსებობდეს საიმედო „მეხამრიდები“ რეალური მექანიზმების სახით, რათა ავამოქმედოთ ისინი, თუ ქარიზმა ძლიერად გადაახვევინებს ლიდერს სწორი გზიდან.

სამწუხაროდ, ქარიზმატულობის თვისებას ზოგჯერ უწინდებურად გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. ხდება მისი გადაამეტვასება. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი უახლესი კვლევა-ძიების მიხედვით, როდესაც საზოგადოების განვითარების დონე, მეტადრე პოლიტიკური კულტურა მთლიანად, დაბალია, როდესაც ადამიანების ძირითადი მასა უფრო პიროვნებაზეა ორიენტირებული, ვიდრე სამართლებრივ და მმართველობით მექანიზმებზე, ხელმძღვანელობის მარცხის მიზეზები თითქმის მთლიანად ლიდერს შეეკრაცხება; ზოგჯერ – ლიდერის ქარიზმატულობის უკმარისობას. შესაბამისად, საქმის მოგვარების გზათა ძიება ხორციელდება კიდევ უფრო მეტი ქარიზმატულობის მისაღწევად. პოლიტიკურად ეს არა მარტო გულუბრყვილობა და უვიცობაა, არამედ სახიფათოც. დაბოლოს, შესაძლებელი და საჭიროა თუ არა ქარიზმატულობის თვისების აღზრდა და განვითარება მომაგალ ლიდერებში?

ვინაიდან ქარიზმატულობას მარტო ღმერთი და ბუნება კი არ იძლევა, არამედ კადრების მომზადების კარგად გააზრებული მეთოდური სისტემა, დასმულ კითხვაზე პასუხი უფრო დადებითი შეიძებოდა ყოფილიყო. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ ტიბეტის სულიერი ლიდერის დალაი-ლამასთვის განკუთვნილი, მრავალგზის აპრობირებული წესი ლიდერის შერჩევისა და მომზადებისა.

სამწუხაროდ, ისტორიამ არაერთი ცუდი მაგალითიც იცის, მაგრამ აქ და ამჯერად, მათი განხილვა ვერ მოხერხდება.

დასასრულ, ცხოვრება ბრძოლაა, მუდმივი, უწყვეტი ბრძოლა ადამიანის ბედნიერებისათვის. მაგრამ ბრძოლა წარმოუდგენელია ინდივიდური ან კოლექტიური ლიდერშიპის გარეშე, რომელიც მოწოდებულია შთააგონოს, დარაზმოს, აიყოლიოს და გაიყოლიოს ამ ბრძოლის მონაწილენი. ამიტომ ბრძოლის ავანგარდში დაუშვებელია უვარგისი ლიდერები; არც სუსტი და უნიათო და, პირიქით, არც გავლენიანი, მაგრამ ეგოცენტრისტული, თავდაჯერებული და იმათი ნდობის ბოროტად გამოყენებელი, ვინც მათი მიმდევარია. ეს იქნებოდა ჩვენივე თავის განწირვა **თვითთვითიზაციისათვის**. ამიტომ, თუ მაინც მოხდა მსგავსი რამ, საჭიროა განხორციელდეს გადაუდებელი ზომები მიუღებელი ლიდერშიპის ნეიტრალიზაციისათვის, უარეს შემთხვევაში – მათ შესაცვლელად. მაგრამ ადვილი მისაღწევია ყოველივე ეს? პასუხი ცხადია, თუმცა არაერთმნიშვნელოვანი. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს უნარსა და მზაობაზე, ვიყოთ **მებრძოლი დემოკრატები**. სხვა სიტყვებით, ვახდენდეთ ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევანს, ვიღებდეთ გაბედულ, მაგრამ აწონილ-დაწონილ, კეთლგონიერულ გადაწყვეტილებებს; ვდგამდეთ მტკიცე, გადამწყვეტ ნაბიჯებს.

საბოლოო ჯამში, საფუძველთა საფუძველია **დემოკრატიული კულტურა**, რომელსაც მიწყევ უნდა ვნერგავდეთ, ვამკვიდრებდეთ და ვავითარებდეთ.

ევროპის საბჭოს
გენერალური სამდივნო
დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა
გენერალური დირექტორატი
გენერალური დირექტორის
ჟან-ლუი ლორანისაგან

ბ-ნ მინდია უგრეხელიძეს
სამართლის დოქტორს,
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს
ზ. ბოლქვაძის ქ. 3 №3/16
თბილისი,
0171
საქართველო

ძვირფასო ბატონო უგრეხელიძე,

დემოკრატიის მე-5 „ზაფხულის უნივერსიტეტი“, რომელიც წელს სტრასბურგში შედგა 28 ივნისიდან 2 ივლისამდე, მოასწავებს დიდ წარმატებას 650 მონაწილისა და მომხსენებლისა. ეს გახლდათ უნიკალური შესაძლებლობა საიმისოდ, რათა ევროპის, აფრიკის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის მონაწილეები და ექსპერტები შეკრებილიყვნენ და გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის თავიანთი შეხედულებანი „ლიდერშიპის კრიზისის“ თაობაზე.

ნება მიბოძეთ, გამოეხატო ჩემი მადლიერება პირადად თქვენი წვლილის გამო, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ თანამშრომლობას „პოლიტიკური სწავლების სკოლების“ ფარგლებში.

სიამოვნებით გიგზავნით ასლს ფინალური დოკუმენტისა, რომელიც მიღებულია „ზაფხულის უნივერსიტეტის“ დასასრულს.

გულწრფელად, თქვენი,

ჟან-ლუი ლორანი

Mindia Ugrekhelidze

Crisis of Leadership: on Some Vectors and Dimensions

Summary

Verification of the leadership validity is based on the use of **sociometric** and **legimetric** methods of research. Sociometric methods are used for measuring the strength of interpersonal connections, Legimetric – for measuring the state and reliability of interinstitutional connections. These two methods supplement each other and help to create a more or less complete picture of how much the correlation of interpersonal connections of leadership with the rest part of society is supported by interinstitutional, structural connections; how much the interpersonal connections are institutionalized and if they are, then to what extent and adequacy.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების განმარტება

ხელშეკრულების განმარტების საკითხით დაინტერესებულნი იყვნენ ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში. კანონის განმარტების მიმართ გამოთქმულ მოსაზრებათა მსგავსად ხდებოდა ანდერძის, ხოლო მოგვიანებით ხელშეკრულების განმარტებაც¹.

წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების ყოველმხრივ გაშუქებას, მისი ყველა ფორმის ანალიზსა და შეფასებას, არამედ ჩვენი მიზანია ხსენებული ხელშეკრულების განმარტება, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დაშვებული შეცდომების გამოსწორებას და მომავალში აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილეთა მიმართ გაუგებრობის თავიდან აცილებას.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით იწვევს მხარეთა მიმართ შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. მისი არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას².

იმის მიხედვით, თუ როგორია მხარეთა შორის განაწილებული უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულებები იყოფიან ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებად. თუ მხარეებს მხოლოდ უფლებები აქვთ, ან მხოლოდ მოვალეობები, ცალმხრივი ხელშეკრულებებია. ასე მაგალითად, სესხის, ჩუქების, ანერძის ხელშეკრულებები. ორმხრივი ხელშეკრულების დროს თითოეულ მხარეს ერთობლივად აქვთ უფლებებიც და მოვალეობებიც. მაგალითად, ნასყიდობის, ქირავნობის, ნარდობის და სხვა ხელშეკრულებები. ორმხრივ ხელშეკრულებებს – სანალაგმატური (sunallagma – ბერძნულად რაც „ორმხრივ მავალდებულებელს ნიშნავს) – ეწოდება³.

შინაარსის მიხედვით, მრავალმხრივ ხელშეკრულებად განიხილება ხელშეკრულება, სადაც მონაწილეთა ორზე მეტი სუბიექტი ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელი უფლებებითა და მოვალეობებით. ამასთან არ არის აუცილებელი, რომ ურთიერთობის მონაწილე ყველა მხარეს ერთმანეთის მიმართ გააჩნდეს უფლებებიცა და ვალდებულებებიც. შესაძლებელია რომელიმე სუბიექტი აღჭურვილი იყოს მხოლოდ უფლებებით, ან ეკისრებოდეს მხოლოდ ვალდებულებები.

შინაარსის მიხედვით ხელშეკრულების მრავალმხრივად კვალიფიკაციისათვის განმსაზღვრელია არა ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტების რაოდენობა, არამედ ის, თუ როგორაა განაწილებული მისი მონაწილე მხარეებზე უფლება – მოვალეობები და არსებობს თუ არა ორზე მეტი დამოუკიდებელი უფლება და შესაბამისი ვალდებულება⁴.

მრავალმხრივი ხელშეკრულების ერთ – ერთი მაგალითია ერთობლივი საქმიანობის (მხანაგობის) ხელშეკრულება, რომელთაც ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან განსხვავებს ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებს, რის გამოც განსხვავებულია ამ ტიპის გარიგებების განმარტების მეთოდებიც.

¹ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 9.

² სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. ავტორთა კოლექტივი. თბილისი, 2014, გვ. 161.

³ზ. ძლიერიშვილი. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბილისი, 2010, გვ. 12.

⁴სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. ავტორთა კოლექტივი. თბილისი, 2014, გვ. 99.

ხელშეკრულება წარმოადგენს გარიგების ნაირსახეობას, შესაბამისად ხელშეკრულების განმარტებაზე ვრცელდება გარიგების განმარტების წესები⁵.

ხელშეკრულების განმარტება გარიგების განმარტებათა კონკრეტულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რის გამოც მასზე სრულად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 52 – ე მუხლში განმტკიცებული დებულება. სკ 52 – ე მუხლში ნათქვამია: „ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვა – სიტყვითი აზრიდან“. აღნიშნული ნორმა გულისხმობს ხელშეკრულების მონაწილეთა ნამდვილი ნების დადგენას, ანუ იმის გარკვევას, შეეძლო თუ არა ნების მიმღებს გამოვლენილი ნება ისე გაეგო, როგორც ეს ნების გამოვლენმა იგულისხმა.

თუ ნების გამომვლენის წარმოთქმული თუ დაწერილი აზრი (სიტყვა) სხვანაირად გაიგო მისმა მიმღებმა, ნებათა გამოვლენებს შორის წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა გაუგებრობა, კონფლიქტი, რომელიც ნების გამოვლენის განმარტებით უნდა გადაწყდეს. ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა აიხსნას არა მარტო გაუგებარი ან ორაზროვანი სიტყვა – სიტყვითი ტექსტი, არამედ უნდა შეივსოს არასრული, ზოგჯერ კი შესწორდეს გაუმართავი ტექსტი⁶. ხელშეკრულების განმარტებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა ხელშეკრულებით გამონათქვამი შესწორებასა და შევსებებს მოითხოვენ⁷.

მაშასადამე, ხელშეკრულების განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა მხარეები დაობენ ხელშეკრულების ცალკეულ გამონათქვამებზე, კერძოდ იმაზე, თუ რა აზრი ჩააქსოვეს მხარეებმა ამ გამონათქვამებში.

ხელშეკრულების განმარტებისთვის ძირითადად გამოიყენება ორი თეორია: 1) ნების თეორია (ანუ სუბიექტური), როდესაც უპირატესობა ენიჭება მხარეთა ნების გამოვლენის შინაგან (ნაგულისხმევ) შინაარსს. 2) ნების გამოვლენის თეორია (ანუ ობიექტური), როდესაც ნების გამოვლენის გარეგნულ ფორმებზე (ე. ი. გამოხატულ ნებაზე) ეკუთვნის აქცენტი⁸.

ხელშეკრულებების გამონათქვამების განმარტება, როგორც წესი, განმარტების წესების შესაბამისად ხდება. ყველა ქვეყნის სამართალმა შეიმუშავა განსაზღვრული პრინციპი, თუ როგორ უნდა განმარტოს ხელშეკრულებები⁹. ასე მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს ნების გამოვლენის განმარტებასა და ხელშეკრულების განმარტებას. 133-ე – პარაგრაფის თანახმად „ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება გამოთქმული სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე შეჩერების გარეშე“, ე. ი. აღნიშნული ნორმა სუბიექტური ნების გათვალისწინების აუცილებლობაზე იმიუთითებს, მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლო პრაქტიკაში გაძნელებულია (გართულებულია) მხარეთა ნამდვილი ემპირიული ნების დადგენა, განმარტება უნდა შეესატყვისებოდეს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს გონივრულობისა და სამართლიანობის გათვალისწინებით.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში ხელშეკრულების განმარტებას დათმობილი აქვს 157 პარაგრაფი, სადაც ნათქვამია: „ხელშეკრულებები განმარტებული უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპების საფუძველზე სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით“.

მაშასადამე, ხელშეკრულების განმარტების დროს გადამწყვეტია არა ის, თუ, სავარაუდოდ, რას ისურვებდა ამ შემთხვევისათვის თითოეული მხარე მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, არამედ, რასაც კეთილსინდისიერი განსჯის შემთხვევაში ორივე მხარე მიიღებდა როგორც სამართლიან კომპრომისულ გადაწყვეტილებას¹⁰.

ხელშეკრულებაში ხარვეზების შესავსებად გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიღო ხელშეკრულების დამატებითი განმარტება, სადაც ნათქვამია: „მოსამართლე ვალდებულია გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა არ გაამხილეს, მაგრამ ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით მასში დაფიქსირებული უნდა

⁵სახელშეკრულებო სამართალი. გვ. 165.

⁶ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 97.

⁷ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 17.

⁸სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. თბილისი, 2014, გვ. 161.

⁹საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. თბილისი, 2001, გვ. 159.

¹⁰იან კროპფლერი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი. თბილისი, 2014, გვ. 77.

ყოფილიყო თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპის და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად¹¹.

ავსტრიის სამოქალაქო სჯულდების 914 – ე პარაგრაფის თანახმად ხელშეკრულების განმარტების დროს უპირატესობა ენიჭება არა გამოხატული ნების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მხერეთა განზრახვას და სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკას.

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1366- ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად. ხელშეკრულების განმარტების კეთილსინდისიერების პრინციპზე მიუთითებს მოლდავეთის სამოქალაქო კოდექსის 725 – ე მუხლიც.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1156- ე მუხლის მიხედვით განმარტებებისას, აქცენტი უნდა გაკეთდეს მხარეთა განზრახვის გამოვლენაზე და არა სიტყვათა შინაარსზე. აშკარაა, რომ განმარტების ობიექტურ და სუბიექტურ მეთოდებს შორის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი სუბიექტურს იზიარებს. მოყვანილი მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ხელშეკრულების განმარტებისას უნდა დადგინდეს მხარეთა საერთო ნება. ამასთან აღიარებულია ისიც, რომ ამის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს „მხარეთა ჰიპოთეტური ნება“ ან სასამართლომ მხარეთა ნების დასადგენად, ყველა სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, უნდა მისდიოს მხარეთა გონივრული ნების გამოვლენას ჩათვლილ მისწრაფებებს. კოდექსი მოსამართლეს ასევე „ობიექტური გარემოებების“ გათვალისწინებას სთავაზობს, ე. ი. ხელშეკრულების ბუნდოვანი ან არასრული დებულებების ხელშეკრულების შინაარსის ან არსებული პრაქტიკის შესაბამისად განმარტებას¹².

ხელშეკრულების განმარტების დროს ფრანგული სამართლით სასამართლოები ვალდებული არიან გამოარკვიონ მხარეთა ნამდვილი ნება და არ შეიზღუდონ მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტის ფორმალური ანალიზით. ამრიგად, ხელშეკრულების განმარტებისას მოქმედებს ე. წ. „ნების თეორია“.

ხელშეკრულების განმარტების საკითხის მიმართ მოქმედებს საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული „ხელშეკრულების ცხადი და ზუსტი პირობების დოქტრინა, რომელიც ობიექტური განმარტების მეთოდს ემხრობა. ორპარტიანი ან შეუსაბამო გამონათქვამების განმარტება მხარეთა ჭეშმარიტი ან სავარაუდო განზრახვით ხორციელდება, ხოლო ცხადი და ზუსტი გამონათქვამების შემთხვევაში, ისინი ობიექტური მნიშვნელობით განიმარტება¹³.

საგულისხმოა დსთ – ს ქვეყნების კანონმდებლობა ხელშეკრულების განმარტების შესახებ. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 431 – ე მუხლში ნათქვამია, „ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ნების გამოხატვის სიტყვაიტყვითი შინაარსის მნიშვნელობაზე. თუკი აღნიშნულით არ გაირკვა ხელშეკრულების შინაარსი, მაშინ სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა საერთო ნებით, ხელშეკრულების აზრითა და მიზნებით მთლიანობაში, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა შესაბამისი გარემოებები, როგორც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები, ასევე მხარეთა მიმოწერა, ორმხრივ ურთიერთობაში დადგენილი პრაქტიკა, საქმიანი ბრუნვის ჩვეულებანი და მხარეთა შემდგომი ქცევა“.

უკრაინის სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების განმარტების დროს სიტყვასიტყვით განმარტებას ანიჭებს უპირატესობას. ანალოგიური მიდგომა აქვთ: ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და სომხეთის სამოქალაქო კოდექსებს.

აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსის 404 – ე მუხლი ხელშეკრულების განმარტების დროს ყურადღებას ამახვილებს არა მარტო ტექსტის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე, არამედ მხარეთა ნების გამოხატვას ხელშეკრულების შინაარსის მნიშვნელობისა და სხვა გარემოებებზე.

მაშასადამე, ხელშეკრულების განმარტების პრინციპებზე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის შეხედულებები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. უნებრევია კოდიფიცირებული სამართალი არ არის პრაქტიკული ამოცანების კრებული, რომელმაც უნდა აიძულოს მოსამართლე მატერიალურ – სამართლებრივ, პრაქტიკულ შინაარსს მოკლებული სამართლის გამოყენების ტექნიკური წესების შესწავლა. ხელშეკრულების განმარტებისას

¹¹ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი II. თბილისი, 2001, გვ. 91.

¹² ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 47.

¹³ ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 48.

მოსამართლე იმდენად ღრმად უნდა ჩაწვდეს განსახილველი საქმის გარემოებებს, რომ ნებისმიერი მშრალი განზოგადოება, საკანონმდებლო დანაწესის ფორმის სახით, მხოლოდ შეცდომის მომტანია. ამიტომ განმარტების წესები ერთობლივად უნდა შეიმუშაოს სასამართლოს პრაქტიკამ და დოქტრინამ¹⁴.

ხელშეკრულების შევსებითი განმარტება

ზოგჯერ ხელშეკრულება არა მხოლოდ უბრალოდ განმარტებას მოითხოვს, არამედ შეიცავს ხარვეზს, ე. ი. მხარეებს ხელშეკრულების შედგენისას რაღაც გამორჩათ, ან ვერ გაითვალისწინეს, რის გამოც დგება ხარვეზის შევსების საკითხი.

ხელშეკრულების შევსების განმარტება სწორედ ღიად დარჩენილი ადგილების შევსების და არსებული ხარვეზების გამოსწორებას ემსახურება¹⁵.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც მოსამართლე შევსებითი განმარტებებს მიმართავს კანონის ნორმებს, რომლებიც სამოქალაქო სავაჭრო კოდექსში ან სპეციალურ კანონებშია მოცემული. კონტინენტური ევროპის სამართალში მას დისპოზიციური სამართლის ნორმები ეწოდება. ამ უკანასკნელს განეკუთვნება არა მხოლოდ კანონში მოცემული ნორმები, არამედ სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული და ჩამოყალიბებული ნორმებიც¹⁶.

ტიპიურ ხელშეკრულებაში ხარვეზის შევსება ხდება დისპოზიციური სამართლის ნორმებით. ატიპიურ (არაორდინალურ) ხელშეკრულებაში კი ხარვეზის შევსებისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

„მოსამართლემ უნდა დაადგინოს და გაითვალისწინოს ის, რაც მხარეებს მართალია, არ გამოუხატავთ, მაგრამ ხელშეკრულების საერთო მიზნიდან გამომდინარე გამოხატავდნენ, თუკი ღიად დატოვებული პუნქტები მათ შეთანხმებაში მათ მიერვე მოწესრიგებული იქნებოდა და ამასთან გათვალისწინებული იქნებოდა ნდობისა და რწმენის პრინციპები და ურთიერთობებში გამოყენებული ჩვევები“¹⁷. ესაა სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული ფორმულა.

საყურადღებო და გასაზიარებელია პროფ. ნინო იოსელიანის მოსაზრება, ხელშეკრულების შევსებითი განმარტებებთან დაკავშირებით:

„ხელშეკრულების შევსებითი განმარტების დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორები, მათთან ერთად მხარეთა განზრახვა, ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი, კეთილსინდისიერება და სამართლიანი საქმიანობის პრინციპი, გონივრულობა. ხელშეკრულების შევსებითი განმარტებების განსაკუთრებულ სახედ უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როცა მხარეებს ხელშეკრულებაში გამორჩენილი აქვთ დამატებითი ვალდებულებები და მოსამართლის ამოცანას ასეთი ვალდებულებების შევსებითი განმარტება შეადგენს. დამატებითი განმარტების დროს მოსამართლეს ხელშეკრულებაში არ შეაქვს ის დებულებები, რომლებიც მას მიაჩნია გონივრულად. მოსამართლის მიზანს მხარეთა მიერ გამორჩენილი დამატებითი ვალდებულებების ზოგადად მიღებული შინაარსით დადგენა წარმოადგენს¹⁸.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია ერთობლივი საქმიანობის (მხანაგობის) ხელშეკრულების განმარტების შესახებ.

2006 წლის 9 აგვისტოს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა ამხანაგობა „გ“ რომლის დამფუძნებელ წევრებს წარმოადგენდნენ გ. შ. და შპს „ს“. ხელშეკრულების მონაწილეებმა (შემდგომში მოსარჩეეებმა) ხსენებულ ამხანაგობაში შესატანის სახით შეიტანეს მათ საკუთრებაში არსებული განსაზღვრული ფართის მიწის ნაკვეთები, სადაც განთავსებული იყო მათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. ხელშეკრულების მონაწილეების მიერ ამხანაგობაში შეტანილი მიწის ნაკვეთებზე ამხანაგობა „გ“ უნდა აეშენებინა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ ამხანაგობის მონაწილეებისათვის უნდა გადაეცათ ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ბინები, რაზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ამხანაგობის ხელშეკრულებები. საყურადღებოა, რომ ამხანაგობის ხელშეკრულების ნაწილ მონაწილეებს ხელშეკრულებაში ჩაუწერეს, რომ მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ ისინი

¹⁴ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი II. თბილისი, 2001, გვ. 87.

¹⁵ ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 20.

¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. თბილისი, 2001, გვ. 161.

¹⁷ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი, 2001, გვ. 162.

¹⁸ ნინო იოსელიანი. ხელშეკრულების განმარტება. თბილისი, 2008, გვ. 23.

მიიღებდნენ გარკვეული ფართის გარემონტებულ ბინებს, ნაწილი მონაწილეების, კერძოდ ნ. ნ.-ისა და ე. ტ. - ს შემთხვევაში, ამხანაგობის ხელშეკრულებებში არაფერი იყო ნათქვამი მისაღები ბინების რემონტის შესახებ თუმცა ხელშეკრულებაში არც ის იყო მითითებული, რომ მათ ბინები გადაეცემოდათ ე. წ. „შავი კარკასის“ (სარემონტო) მდგომარეობაში.

საყურადღებოა, რომ სხვა მონაწილეების მსგავსად მოსარჩელებმა ე.ტ. - მ და ნ. ნ. - მ ამხანაგობა „გ“- ს ბინების მიღების საკომპენსაციოდ გადასცეს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობები.

იმის გამო, რომ ამხანაგობა „გ“ - მ არაჯეროვნად შეასრულა ამხანაგობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულების მონაწილეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში რეგისტრირებული ბინების რემონტისათვის საჭირო „X“ თანხის მოპასუხეებზე, ამხანაგობა „გ“ - ს თავმჯდომარეს გ.შ. - სა და შპს „ს“ - ზე, დაკისრების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და მოსარჩელების ინდივიდუალურ საკუთრებაში რეგისტრირებული ბინების რემონტისათვის საჭირო „X“ თანხა ამხანაგობა „გ“ - ს დამფუძნებლებს, თავმჯდომარე გ. შ. - ს და შპს „ს“ სოლიდარულად დააკისრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელების ე. ტ. - ის და ნ. ნ. - ს ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „გ“ დამფუძნებლებმა - გ. შ. - მ და შპს „ს“ - მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ამხანაგობა „გ“ - ს სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების მონაწილეებმა ე. ტ. - მ და ნ. ნ. - მ სხვა მოსარჩელების მსგავსად, ახალი ბინების მიღების სანაცვლოდ (საკომპენსაციოდ) გადასცეს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები შენობა - ნაგებობებთან ერთად, რის გამოც, სააპელაციო პალატამ ამხანაგობა „გ“ - ს დააკისრა იმის მტკიცების ვალდებულება, თუ რატომ დააწესა განსხვავებული სტანდარტი ე. ტ. - ს და ნ. ნ. - ს მიმართებაში გასარემონტებელი ბინების გადაცემის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ამხანაგობა „გ“ დამფუძნებლებმა: გ. შ. - მ და შპს „ს“ - მ.

საკასაციო პალატის 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით გაუქმებული იქნა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ მითითებით: „...რომ მოსარჩელებს ე. ტ. - სა და ნ. ნ. - ს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულება, სადაც მითითებული იქნებოდა ამხანაგობა „გ“ -ს მიერ ამგვარი ვალდებულების აღება (მოსარჩელებისათვის გარემონტებული ბინების გადაცემა). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102 - ე მუხლის საფუძველზე გარემონტებული ბინების გადაცემის თაობაზე ამხანაგობა „გ“ - სა და ე. ტ. - სა და ნ. ნ. - ს შორის შეთანხმების მიღწევის დამტკიცება“ სწორედ ამ უკანასკნელი მოსარჩელების ვალდებულება იყო, რაც მათ ვერ დაადასტურეს, შესაბამისად გასაჩივრებული გადაწყვეტილებების დასკვნა ამ ნაწილში უსაფუძველოა და ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ¹⁹.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო პალატის მიერ საკასაციო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი, რადგან საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, მიმაჩნია, რომ საკასაციო პალატის ზემოაღნიშნულ მითითებაზე მსჯელობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში კანონის ნორმის არასწორ განმარტებებზეა საუბარი.

საკასაციო საჩივრის განხილვისას სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია სამოქალაქო ბრუნვის ძირითად კეთილსინდისიერების და სამართლიანობის პრინციპებს, რითაც დაირღვა მომხმარებელთა ინტერესები.

ცნობილია, რომ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის ერთერთი უმთავრესი პრინციპია, მაგრამ იგი არასდროს ყოფილა შეუზღუდავი. ეს შეზღუდვები შეეხება როგორც ხელშეკრულების დადებას, ისე მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება, როგორც წესი, იმპერატიული ნორმების საფუძველზე იზღუდება²⁰. იმპერატიული ნორმები აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს და

¹⁹საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 იანვრის ას - 885 - 831 - 2012 განჩინება.

²⁰საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. თბილისი, 2001, გვ. 61-66.

უზრუნველყოფს, რომ ხელშეკრულების დადების პროცესი კანონის მოთხოვნების შესაბამისად წარიმართოს. კანონის ნორმების იმპერატიული ხასიათი ხშირ შემთხვევაში ერთ – ერთი მხარის ინტერესების დაცვას განაპირობებს. ასეთ შემთხვევაში, აკრძალულია მხარეთა შეთანხმებით კანონით დადგენილი წესებისაგან გადახვევა ხელშეკრულების კონკრეტული მხარის საზიანოდ²¹.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დამფუძნებლებმა გ. შ. და შპს – მ ამხანაგობა „გ“ – ს შექმნის დროს ისარგებლეს მოსარჩელების ე. ტ. და ნ. ნ – ის გამოუცდელიობითა და მათდამი ნდობით, ამ უკანასკნელებმა ხელშეკრულების დადებამდე არ გამოიყენეს საქმის გარემოებების მცოდნე სპეციალისტის ან იურისტის რჩევა და ნაცვლად იმისა, რომ დამფუძნებლებს სახელშეკრულებო ურთიერთობები დაემყარებინათ მხარეთა ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილსინდისიერებაზე ამხანაგობის ხელშეკრულებები გაუფორმეს მოსარჩელებისათვის ე. ტ. და ნ. ნ. - თვის ძალზე არახელსაყრელი პირობებით, რაც გამოიხატა მასში, რომ დამფუძნებლებმა მოსარჩელებს ე. ტ. და ნ. ნ – ს, სხვა მოსარჩელების მსგავსად, ხელშეკრულებაში არ ჩაუწერეს დათქმა იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთის საკომპენსაციოდ ისინი მიიღებდნენ გარკვეული ფართის გარემონტებულ ბინებს. ასეთ შემთხვევაში, სამართლიანობის უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლის ძირითადი ამოცანაა, ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას გაარკვიოს სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას მხარეები მოქმედებდნენ თუ არა კანონით დაშვებულ ფარგლებში და ხომ არ იყო დარღვეული მომხმარებელთა ინტერესები.

რეზიუმე

ამხანაგობის ხელშეკრულების მიზანია მონაწილეთა ინტერესების დაცვა. ხელშეკრულების განმარტების დროს მხედველობაში მიიღება მისი არსი, წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებანი, მოსარჩელეთა შემდგომი მოქმედებანი და ხელშეკრულების მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებანი. მოსამართლეები ვალდებული არიან გამოავლინონ მონაწილეთა ნამდვილი ნება და არ შეიზღუდონ მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტის ფორმალური ანალიზით. სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით კეთილსინდისიერად განსაჯის შემთხვევაში მონაწილეებმა უნდა მიიღონ სამართლიანი კომპრომისული გადაწყვეტილება.

Karlo Bzishvili

The contract definition of joint activity (partnership)

Summary

The partnership agreement goal is to protect the interests. The interpretation of the contract taking into account his essence, previous contract negotiations, civil turnover rites, the plaintiffs further actions and the importance of other circumstances. The judges are required to demonstrate the real will and will not be restricted only to the formal analysis of the text. The civil turnover usages of good faith to discuss the case of the participants in the fair compromising decision.

²¹სახელშეკრულებო სამართალი. გვ. 105.

პრეცედენტი საერთო სამართლის ქვეყნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ევროპული კონვენციის სამართლებრივ სისტემაში

შესავალი

ამ სტატიის მიზანია გამოავლინოს სასამართლო პრეცედენტის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები საერთო სამართლის ქვეყნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლებრივ სისტემებში. ამაში მდგომარეობს მისი სიახლეც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ევროპული სასამართლო, ჩვეულებრივ, მისდევს ხოლმე თავის უწინდელ გადაწყვეტილებებს, თუმცა, ამას იგი აკეთებს არა იმიტომ, რომ საკუთარ პრეცედენტს მისთვის სავალდებულო ძალა აქვს, არამედ იმიტომ, რომ ერთგული დარჩეს ისეთი პრინციპებისა, როგორებიცაა, სამართლებრივი გარკვეულობა, სამოსამართლო სამართლის მოწესრიგებული განვითარების ინტერესი, გადაწყვეტილებათა განჭვრეტადობა, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა და სხვ. სტატიაში ასევე შეჯამებულია გარკვეული კანონზომიერებანი, რომელთა გამოც შეიძლება სასამართლო გაემიჯნოს თავის უწინდელ პრეცედენტს.

1. პრეცედენტის რაობის შესახებ

ზოგადად, პრეცედენტი არის ის, რაც ერთხელ წარსულში მოხდა. ხოლო, სამართალში ის აღნიშნავს უწინ მიღებულ გადაწყვეტილებას – ჩვეულებრივ, სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც აწმყოში მისაღებ გადაწყვეტილებას უნდა დაედოს საფუძვლად¹. არცთუ ყველა წარსულში მიღებული გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობს მოსამართლე, როდესაც გადაწყვეტილებას ღებულობს. არსებობს უწინდელი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მოსამართლემ მათით იხელმძღვანელოს. მეორე მხრივ, არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებიც განსხვავებულ ფაქტებს ეყრდნობა, რის გამოც ისინი არარელევანტურია მოცემული გადაწყვეტილების მიმართ. მისდით პრეცედენტს, ნიშნავს გააგლო ანალოგია ორ სხვადასხვა ფაქტობრივ მოცემულობას შორის. ამიტომაცაა, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც იშვია და მოქმედებს სავალდებულო პრეცედენტის დოქტრინა, იურისტები სამართლებრივ მსჯელობას ანალოგიით მსჯელობას უწოდებენ².

იხელმძღვანელო პრეცედენტით, ნიშნავს მოცემულ საქმეზეც გამოიტანო პრეცედენტული გადაწყვეტილების მსგავსი გადაწყვეტილება. ჩვეულებრივ, სხვის მსგავსად ადამიანები იმიტომ იქცევიან, რომ ამით ხარკს უხდიან ტრადიციას ან პირის ავტორიტეტს. ხშირად ამას უბრალოდ გამოვნიების გამოც აკეთებენ. მაგრამ საერთო სამართლის ქვეყნების სამართლებრივ სივრცეში პრეცედენტს იმიტომ კი არ მისდევენ, რომ მოსწონთ ეს პრეცედენტული გადაწყვეტილება (სინამდვილეში, მოსამართლეს, რომელიც მისდევს პრეცედენტს, შესაძლოა, სულაც არ მოსწონდეს ეს გადაწყვეტილება), არამედ იმიტომ, რომ ამას მათ კანონი კარნახობს. ზემდგომი სასამართლოების პრეცედენტებს საერთო სამართლის ქვეყნებში სავალდებულო, შემოჭველი ძალა აქვს, რასაც stare decisis-ის დოქტრინას უწოდებენ (სრული ლათინური ფრაზაა „stare decisis et non quieta movere“ („დაემორჩილე [უწინდელ] გადაწყვეტილებებს და ნუ ახლებ ხელს იმას, რაც მშვიდად დევს“)³.

თუმცა, სასამართლოების უწინდელ გადაწყვეტილებებს მოსამართლეები კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც იმოწმებენ. ისინიც მისდევენ ხოლმე გადაწყვეტილებებს, რომლებიც ანალოგიურ ფაქტებზე სხვა სასამართლოებმა გამოიტანეს. მაგრამ რაც, მაგალითად, გერმანელ მოსამართლეს თავისი ინგლისელი კოლეგისგან განასხვავებს, არის ის, რომ გერმანელი არ არის ვალდებული დაემორჩილოს უწინდელ გადაწყვეტილებას, მაგრამ ინგლისელი არის. სხვა სიტყვებით, გერმანელისგან განსხვავებით ეს უკანასკნელი შებოჭილია უწინდელი გადაწყვეტილებით.

¹Neil Duxbury, *The Nature and Authority of Precedent*, Cambridge University Press, 2008, p. 1.

²Ibid. p. 2.

³Ibid., p. 12.

თუმცა, ხდება ხოლმე, რომ საერთო სამართლის ქვეყნებშიც მოსამართლეებს არ სურთ მისდონ პრეცედენტს. ასეთ შემთხვევაში ისინი ან განასხვავებენ (distinguish) ერთმანეთისგან პრეცედენტს და მათ მიერ განსახილველ საქმეს, ანდა აუქმებენ ან ცვლიან (overrule) პრეცედენტს. ამას ისინი იმ შემთხვევაში აკეთებენ, როდესაც საამისოდ „მნიშვნელოვანი მიზეზი“ აქვთ⁴. მართალია, ასეთი შესაძლებლობა არცთუ ყველა შემთხვევაში არსებობს – მაგალითად, ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ვერ შეცვლის ზემდგომი სასამართლოს პრეცედენტს, მაგრამ ასეთი წესის არსებობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის სამართლის განვითარებისათვის. ამდენად, პრეცედენტი კი ბოჭავს მოსამართლეს, მაგრამ ამ ტიპის შებოჭვა განსხვავდება კანონისმიერი შებოჭვისაგან. კანონის დარღვევა გარკვეულ სანქციებთან არის დაკავშირებული, პრეცედენტის დარღვევა კი მოსამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს⁵.

Stare decisis-ის დოქტრინის განვითარებაში პირველი და ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი ის იყო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. სხვა სიტყვებით, მასში უნდა დასახელებულიყო გარემოებები, რომელთა გამოც მივიდა მოსამართლე მოცემულ გადაწყვეტილებამდე. თუმცა, გარემოებები შეიძლება სხვადასხვა იყოს, რომელთაგან ზოგი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ზოგიც ნაკლებ მნიშვნელოვანი; ზოგი - არსებითი, ხოლო ზოგი - არარასებითი ხასიათის. საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია ტერმინები ratio decidendi და obiter dictum. პირველი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „გადაწყვეტილების საზრისი“, ხოლო, მეორე - როგორც „სხვათაშორის ნათქვამი“⁶. ამასთან, სავალდებულო ძალა ენიჭება მხოლოდ პირველს, მაშინ, როდესაც მეორეს მიმართ ქვემოთ სასამართლოებს არავითარი ვალდებულებები არ ეკისრებათ.

ამ ორ ფენომენს შორის განსხვავების პოვნა არცთუ იოლი საქმეა, რადგან ხშირად ისინი ერთმანეთში ითქვიფება ხოლმე⁷ ან როდესაც ratio-ს პოვნა შეუძლებელია⁸. არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ერთზე მეტი ratio⁹. უფრო მეტიც, ზოგჯერ ratio-ს ღოკალიზება იმითაც არის რთული, რომ გარკვეულ საზრისს ამა თუ იმ პრეცედენტს შემდგომი გადაწყვეტილებების ავტორები მიაწერენ ხოლმე, რითაც ფაქტიურად ახალი პრეცედენტი იქმნება ნაცვლად იმისა, რომ გვიანდელი გადაწყვეტილება უწინდელს მისდევდეს¹⁰.

პრეცედენტის ცნობილი მკვლევრის, არტურ გუდჰარტის აზრით, გადაწყვეტილების საზრისი არ შეიძლება იქნეს გაიგივებული დასაბუთებასთან, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ ეს გადაწყვეტილება გამოიტანა. შეიძლება გადაწყვეტილება არ შეიცავდეს დასაბუთებას, მაგრამ ეს აუცილებლად არ ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია საზრისი¹¹. ამის სანაცვლოდ, გუდჰარტის აზრით, გადაწყვეტილების საზრისი სხვა არაფერია, თუ არა მოსამართლის მიერ აღწერილი ფაქტები, პლუს დასკვნა, რომელიც მოსამართლემ ამ ფაქტების საფუძველზე გამოიტანა.

თავის საინტერესო მსჯელობას გუდჰარტი იწვევს ratio decidendi-ს და obiter dictum-ის შესახებ ლიტერატურაში არსებული განმარტებებიდან:

„მაშასადამე, პრეცედენტი არის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც თავის თავში გარკვეულ პრინციპს შეიცავს. პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას და ქმნის მის ავტორიტეტულ ელემენტს, ხშირად ratio decidendi-ის უწოდებენ. კონკრეტული გადაწყვეტილება მხარეებისათვის სავალდებულოა, მაგრამ ის, რასაც ცალკე აღებულს გარე სამყაროსათვის კანონის ძალა გააჩნია, არის სწორედ ეს აბსტრაქტული ratio decidendi“¹².

„უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართალში მოსამართლის არცთუ ყველა აზრი ქმნის სასამართლო პრეცედენტს. იმისათვის, რომ აზრს პრეცედენტის ძალა მიენიჭოს, ერთდროულად ორი გარემოება უნდა არსებობდეს: პირველ რიგში, ის უნდა იყოს საკუთრივ მოსამართლის აზრი და, მეორეც, ის უნდა იყოს აზრი, რომლის არსებობა აუცილებელია კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის. სხვა სიტყვებით, ის არ უნდა იყოს obiter dictum“¹³.

⁴Ibid., p. 16.

⁵Ibid., p. 23.

⁶Ibid., pp. 67-68.

⁷Ibid., p. 69.

⁸Ibid., p. 71.

⁹Ibid., p. 72.

¹⁰Ibid., p. 74.

¹¹Arthur L. Goodhart, Determining the Ratio Decidendi of a Case, Yale Law Journal, Vol. XL, December 1930, No. 2, p. 164.

¹²სერ ჯონ სელმონდის ეს ციტატა აღებულია გუდჰარტის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 161.

¹³Ibid., პროფესორ ჯონ ჩიპმენ გრეის ციტატა, გვ. 161.

გუდჰარტს მოჰყავს მაგალითები ინგლისური საერთო სამართლის ისტორიიდან, რომელთა თანახმად ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლის ნორმებიც კი მოსამართლეებს მცდარი წინამძღვრებიდან გამომდინარე და მცდარი ლოგიკის საფუძველზე შეუქმნიათ. ცუდ ლოგიკას ხშირად კარგ კანონებამდე მიყვავართო - ამბობს გუდჰარტი¹⁴. ამდენად მსჯელობა თავისთავად საკმარისი არ არის.

შემდეგ გუდჰარტი ყურადღებას ამახვილებს ფაქტებზე, რადგან მოსამართლეს, ცხადია, დასკვნები ფაქტებიდან გამომდინარე გამოაქვს. მაგრამ რომელი ფაქტებიდანო, კითხულობს გუდჰარტი. ერთი და იგივე ფაქტები შეიძლება ორი სხვადასხვა ადამიანისათვის სხვადასხვაგვარად გამოიყურებოდეს. მოსამართლეს დასკვნები გამოაქვს ფაქტების რომელიმე ერთობლიობიდან, რომელიც მან ფაქტების სხვა, უფრო დიდ მასას შორის ყველაზე არსებითად მიიჩნია. მაშასადამე, მოსამართლეს გამოაქვს დასკვნები იმ ფაქტებიდან, რომლებიც მან თავად ამოარჩია. სწორედ ამ, მის მიერვე ამორჩეულ ფაქტებზე აგებს მოსამართლე დასკვნებს და არა რომელიმე სხვა ფაქტებზე. ამდენად, ამბობს გუდჰარტი, ამა თუ იმ საქმის ანალიზისას ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ უბრალოდ აღვწეროთ ფაქტები და ამ ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნები, არამედ აღვწეროთ არსებითი ფაქტები, როგორც იხინი მოსამართლემ დაინახა და რომლებზე დაყრდნობითაც მან გარკვეული დასკვნები გამოიტანა. სწორედ არსებითი ფაქტების ამორჩევის გზით ქმნისო მოსამართლე სამართალს, ამბობს გუდჰარტი. მოსამართლეს აწვდიან რაღაც ფაქტების მასას, რომელთაგან იგი ამოარჩევს გარკვეულ ფაქტებს, როგორც, მისი აზრით, არსებითს, და უარს ამბობს სხვა ფაქტებზე, როგორც, მისი აზრით, არაარსებითზე. ამ ნარჩევ ფაქტებზე აგებსო იგი თავის დასკვნას¹⁵.

გუდჰარტს მოჰყავს მეტყველი მაგალითები, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ მოსამართლის მიერ ამა თუ იმ ფაქტის „არსებითად“ ან „არაარსებითად“ მიჩნევის გამო.

პირველი მაგალითი:

საქმის ფაქტები:

ფაქტი 1: „D“-ს, კანონის დარღვევით, გახსნილი ჰქონდა ბარი.

ფაქტი 2: ბარი ხმაურიანი იყო და ხშირად ჩხუბს და აყალმაყალს ჰქონდა ადგილი.

დასკვნა: „D“ პასუხს აგებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის.

სასამართლოს მიერ არსებით ფაქტებად მიჩნეული ფაქტები:

ფაქტი 1: „D“-ს, კანონის დარღვევით, გახსნილი ჰქონდა ბარი.

დასკვნა: „D“ პასუხს აგებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის.

ამდენად, რადგან მოსამართლემ მე-2 ფაქტი არსებით ფაქტად არ მიიჩნია, შექმნა სამართლის უფრო ფართო პრინციპი, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში, მას რომ მე-2 ფაქტიც არსებით ფაქტად მიეჩნია.

მეორე მაგალითი:

საქმის ფაქტები:

ფაქტი 1: „D“-ს თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აქვს წყლის რეზერვუარი.

ფაქტი 2: მენარდემ, რომელსაც შეუკეთა „D“-მ სამუშაოების წარმოება, გაუფრთხილებლობით რეზერვუარი არასწორად დაამონტაჟა.

ფაქტი 3: რეზერვუარიდან წყალმა გაჟონა, რის გამოც „P“-ს ზიანი მიადგა.

დასკვნა: „D“ ვალდებულია „P“-ს ზიანი აუნაზღაუროს.

სასამართლოს მიერ არსებით ფაქტებად მიჩნეული ფაქტები:

ფაქტი 1: „D“-ს თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აქვს წყლის რეზერვუარი.

ფაქტი 3: რეზერვუარიდან წყალმა გაჟონა, რის გამოც „P“-ს ზიანი მიადგა.

დასკვნა: „D“ ვალდებულია „P“-ს ზიანი აუნაზღაუროს.

მე-2 ფაქტის მხედველობაში არმიღებით სასამართლომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი შექმნა¹⁶.

გადაწყვეტილების ratio-ს ამგვარი გაგება ძალზე ეფექტიან მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებების, ისე საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზისას.

¹⁴Ibid., p. 163.

¹⁵Ibid., p. 169.

¹⁶Ibid., pp. 174-175.

2. პრეცედენტის დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რა მოცულობით და მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „პრეცედენტი“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაში. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ჯეროვანი სიღრმით შესწავლილი არ არის არათუ ქართულ, არამედ საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაშიც კი¹⁷.

საერთაშორისო იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ საერთაშორისო სამართალში პრეცედენტის, ანუ *stare decisis*-ის დოქტრინა იმ სახით, როგორც იგი ჩამოყალიბდა ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში, არ არსებობს¹⁸.

მეორე მხრივ, აღირებელია ისიც, რომ საერთაშორისო სასამართლოები, მაგალითად, ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, თავიანთ გადაწყვეტილებებში გულდასმით ანალიზებენ თავიანთ უწინდელ გადაწყვეტილებებს და ცდილობენ გაარკვიონ, თუ რით განსხვავდება განსახილველი საქმე ამ უწინდელი გადაწყვეტილებების ქვემდებარე საქმეებისაგან. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე მოჰამედ შაჰაბუდინი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ამ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევას ისახავს მიზნად, აღნიშნავს, რომ მართალია ჰააგის სასამართლოსთან *stare decisis*-ის, ანუ სავალდებულო პრეცედენტის იდეას შეხება არა აქვს, ჰააგის სასამართლოს უწინდელი გადაწყვეტილებები შემდგომი გადაწყვეტილებების მიზნებისათვის სასამართლოსთვის „დამარწმუნებელი პრეცედენტის“ ფუნქციას მაინც ასრულებს¹⁹. ანალოგიური მიდგომა არსებობს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოშიც²⁰.

ამასთან, საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები, მათი ინგლისელი კოლეგების მსგავსად, არ შემოიფარგლებიან მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების „გამოყენებით“, არამედ ცდილობენ გააკეთონ „ოდნავ მეტიც“, მაგალითად დაადგინონ გარკვეული სტანდარტები, რომლებიც შემდგომში შეიძლება საერთაშორისო კონვენციების ტექსტებშიც კი იქნეს შეტანილი²¹.

უდავოა, რომ ასეთ პრაქტიკას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მისდევს. არსებობს გარკვეული დოქტრინები, პრინციპები და სტანდარტები, რომლებსაც ვერსად ვიპოვით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტში, მაგრამ ისინი შემუშავებული და დადგენილია სტრასბურგის სასამართლოს მიერ თავის განჩინებებში და იმდენადვეა მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემის ნაწილად, რამდენადაც თვით ევროპული კონვენციის ავთენტური ტექსტი. ასეთებს შორის შეიძლება დავასახელოთ „პოზიტიური ვალდებულებების დოქტრინა“²², „შეფასების თავისუფლების არის დოქტრინა“²³, „კანონიერების, სამართლის უზენაესობისა და საპროცესო სამართლიანობის პრინციპები“²⁴, „პროპორციულობის პრინციპი“²⁵,

¹⁷Luzius Wildhaber, „Precedent in the European Court of Human Rights“, in *The European Perspective, Studies in Memory of Rolv Ryssdal*, P. Mahoney, F. Matscher, H. Petzold & L. Wildhaber (Eds.), 2000, p. 1529.

¹⁸Malcolm N. Shaw, „International Law“, Sixth Edition, Cambridge University Press, p. 110.

¹⁹M. Shahabuddeen, *Precedent in the International Court*, Cambridge University Press, 1996, p. 100.

²⁰Tamás Szabados, „Precedents“ in *EU Law — The Problem of Overruling*, ELTE Law Journal, 2015/1, p. 128.

²¹Ibid., p. 110.

²²იხ.: მაგალითად, A.R. Mowbray, „The Development of Positive Obligations under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights“, Oxford/Portland, Hart Publishing, 2004; Steven Greer, „The European Convention on Human Rights: Achievements, Problems and Prospects“, Cambridge University Press, p. 215; Clare Ovey & Robin C.A. White, „Jacobs and White, The European Convention on Human Rights“, Third Edition, Oxford University Press, pp. 38-39; ფრანსუაზ ტულკენსი, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორმოცდაათი წლისა: ბოლოდროინდელი მიმართულებები სასამართლოს იურისპრუდენციაში“, წიგნში „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, თბილისი, 2010; ევა გოცირიძე. მიზეზობრიობა. თბილისი, 2006, გვ. 23-27; კონსტანტინე კორკელია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი, გვ. 27-30.

²³იხ.: მაგალითად, E. Brems. The Margin of Appreciation Doctrine in the Case-Law of the European Court of Human Rights. *Zeitschrift für Ausländisches Öffentliches Recht und Völkerrecht* 56 (1996), 240-314 at 289-290; Clare Ovey & Robin C. A. White, დასახ. ნაშრ. pp. 40-41, 210-215; Ivana, Radačić. The margin of appreciation, consensus, morality and the rights of the Vulnerable Groups. *Zb. Prav. fak. Rij.* (1991) v. 31, br. 1, 599-616 (2010), hrcak.srce.hr/file/81730; ევა გოცირიძე. გამოსატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით. თბილისი, 2008, გვ. 100-129.

²⁴იხ.: მაგალითად, Steven Greer, pp. 201-202.

²⁵იხ.: მაგალითად, J. McBride, *Proportionality and the European Convention on Human Rights* in E. Ellis (ed.), *The Principle of Proportionality in the Laws of Europe* (Oxford/Portland: Hart Publishing, 1999), pp. 23-35; M.-A.Eissen, *The Principle of Proportionality in the Case-Law of the European Court of Human Rights* in R. St. J. Macdonald et al. (eds.), *European System*, pp. 125-146; Steven Greer, pp. 216-220.

„აუცილებლობისა“ და „აბსოლუტური აუცილებლობის“ პრინციპები²⁶ და ბევრი სხვა. ყველა ჩამოთვლილი პრინციპი ან დოქტრინა სტრასბურგის სასამართლომ, ევროპული კონვენციის დებულებების განმარტებისას შეიმუშავა, თუმცა, საკუთრივ კონვენციის ტექტში ისინი არ გვხვდება. მათ ევროპული სასამართლო კონვენციის ნაწილად მიიჩნევა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო არა მხოლოდ იყენებს კანონს - ევროპულ კონვენციას, არამედ თავადაც არის სამართალშემოქმედი.

თუმცა, ნათქვამი არ გულისხმობს იმას, რომ სტრასბურგის სასამართლო შებოჭილია თავისი უწინდელი გადაწყვეტილებებით. საზოგადოდ, სამოსამართლო სამართლის არსებობა მაინცდამაინც არ არის დამოკიდებული სავალდებულო პრეცედენტის დოქტრინაზე. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას იმისა, რომ მოსამართლემ სამართლის ნორმები და სტანდარტები შექმნას. ინგლისშიც კი საუკუნეების განმავლობაში *stare decisis*-ის წესს არ ჰქონდა იმდენად მკაცრი ხასიათი, როგორც მან მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიძინა. მანამდე უწინდელი გადაწყვეტილებებისადმი ერთგულებას უფრო სამოსამართლო პრაქტიკის ხასიათი ჰქონდა და არა სამართლის იმპერატიული ნორმისა.²⁷ სავალდებულო პრეცედენტის წესი ბევრად უფრო ახალი მოვლენაა, ვიდრე სამოსამართლო სამართალშემოქმედების პრაქტიკა. ამდენად, ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმებს ქმნის, არ განაპირობებს მის ვალდებულებას მისდოს თავის უწინდელ გადაწყვეტილებებს.

არავისთვის სიახლე არ არის, რომ თავის განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლო მუდამ მიუთითებდა ხოლმე თავის უწინდელ გადაწყვეტილებებზე, როგორც გარკვეული ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი დასკვნების შემცველ ავტორიტეტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპული სასამართლო თავის უწინდელ გადაწყვეტილებებს პრეცედენტებად მიიჩნევს. თუმცა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა სავალდებულო, არამედ მხოლოდ დამარწმუნებელ პრეცედენტზე²⁸.

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ დიდი ხნის არსებობის შემდეგ გააცნობიერა, რომ მის პრაქტიკას, მისდოს ხოლმე უწინდელ გადაწყვეტილებებს, საკუთარი „პრეცედენტების“ მიმართ ერთგულების სახე აქვს. ალბათ პირველად 1990 წლის 27 სექტემბერს, კოსის საქმეში, მაშინდელი პლენარული სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ:

„სამართლეა ის, რომ... [ევროპული] სასამართლო არ არის ვალდებული დაემორჩილოს თავის უწინდელ განჩინებებს; ეს ნამდვილად გამომდინარეობს სასამართლოს რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტიდან. თუმცა, იგი [სასამართლო] ჩვეულებრივ მისდევს და იყენებს თავის საკუთარ პრეცედენტებს, რაც სამართლებრივი გარკვეულობისა და კონვენციის სამოსამართლო სამართლის მოწესრიგებული განვითარების ინტერესებს ემსახურება. ამის მიუხედავად, ეს წესი ხელს არ შეუშლის სასამართლოს, გაემიჯნოს თავის უწინდელ გადაწყვეტილებას, თუ იგი დარწმუნდება, რომ საამისოდ დამაჯერებელი მიზეზები არსებობს. მაგალითად, ასეთი გამიჯვნა შეიძლება საჭირო გახდეს იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციის განმარტების შესაბამისობა საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებთან და დღევანდელი დღის მოთხოვნებთან“²⁹.

ასეთი მიდგომა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის, როგორც ცოცხალი დოკუმენტის დოქტრინიდან გამოიყვანა, რომელიც ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ბოლოს შეიმუშავა: „სასამართლომ ისიც უნდა გაიხსენოს, რომ კონვენცია ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც, როგორც კომისიამ სწორად აღნიშნა, განმარტებულ უნდა იქნეს დღევანდელი პირობების შუქზე“³⁰.

კოსის საქმიდან ციტირებულ სიტყვებში რამდენიმე წესი იკითხება: 1) ევროპული სასამართლო არ არის ვალდებული მისდოს თავის უწინდელ გადაწყვეტილებებს; 2) ამის მიუხედავად, იგი ჩვეულებრივ მისდევს ხოლმე მათ; 3) ამგვარ თანამიმდევრულობას განაპირობებს სამართლებრივი

²⁶იხ.: მაგალითად, ვვა გოცირიძე. მიზეზობრიობა. გვ. 38-84. მინდია უგრეხელიძე. ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები. გვ. 98-127.

²⁷M. Shahabuddeen, *Precedent in the International Court*, p. 106.

²⁸A. Mowbray, *An examination of the European Court of Human Rights approach to overruling its previous case-law*, *Human Rights Law Review*, 9 (2), pp. 179-201. ISSN 1461-7781, 2009, იხ.: http://eprints.nottingham.ac.uk/1724/1/ECtHR_Overruling_final.pdf.

Yonatan Lupu, Erik Voeten, *The Role of Precedent at the European Court of Human Rights: A Network Analysis of Case Citations*, Southern Illinois University Carbondale, Conference Proceedings, 2010. P. 3, http://opensiuc.lib.siu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1016&context=pnconfs_2010.

²⁹Cossey v. The United Kingdom, Application no. 10843/84, Judgment of 27 September 1990, §35.

³⁰Tyrer v. The United Kingdom, Application no. 5856/72, Judgment of 25 April 1978, §31.

გარკვეულობისა და კონვენციის სამოსამართლო სამართლის მოწესრიგებული განვითარების ინტერესები; 4) სასამართლოს შეუძლია გაემიჯნოს თავის უწინდელ გადაწყვეტილებას, თუ საამისოდ არსებობს დამაჯერებელი მიზეზები; 5) ამგვარ დამაჯერებელ მიზეზებს შორისაა აუცილებლობა იმისა, რომ კონვენციის ინტერპრეტაცია შეესაბამებოდეს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებსა და დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

ზემოთ მოყვანილი გარემოებები ადასტურებს, რომ პრეცედენტის დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დიახაც მოქმედებს. თუმცა, იგი განსხვავდება კლასიკური ინგლისურ-ამერიკული *stare decisis* დოქტრინისაგან, რადგან მას დამარწმუნებელი პრეცედენტის ხასიათი აქვს და არა სავალდებულო პროცედენტისა.

თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში გადაწყვეტილების საზრისად და რა - სხვათა შორის ნათქვამად, თვით ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში ან იურიდიულ მეცნიერებაში ბოლომდე დამუშავებული არ არის, თუმცა ამის მცდელობა არსებობს³¹. შესაბამისად, ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლაც მომავალი კვლევების საგანი უნდა გახდეს³².

3. პრეცედენტის შეცვლის კანონზომიერება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

რა კანონზომიერება უდევს საფუძვლად პრეცედენტის შეცვლას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი ლუციუს ვილდჰაბერი ალბათ პირველი იყო, ვინც გამოავლინა პრეცედენტის შეცვლის შემთხვევები და მათი განზოგადების ნიმუშებიც მოგვცა. უფრო შორს წავიდა ალესტერ მაუბრეი, რომელმაც ევროპული სასამართლოს მიერ პრეცედენტის შეცვლის და ახალი პრეცედენტის შექმნის რამდენიმე კანონზომიერება გამოავლინა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ორივე მკვლევრის - ვილდჰაბერის და მაუბრეის დაკვირვებით, ევროპული სასამართლო პრაქტიკულად არასდროს მიუთითებს პირდაპირ, რომ იგი აუქმებს ან ცვლის უწინ დადგენილ საკუთარ პრეცედენტს. ამის სანაცვლოდ, ამბობენ ისინი, ევროპული სასამართლო „ნაგულისხმევად“ ან „ირიბად“ გადის ხოლმე საკუთარი პრეცედენტით დადგენილი პრინციპებიდან³³.

რაც შეეხება პრეცედენტის შეცვლის შემთხვევებს, მაუბრეი რამდენიმე მიზეზს გამოყოფს, რომელთა გამოც სტრასბურგის სასამართლოს საკუთარი პრეცედენტისგან გადაუხვევია და ახალი პრეცედენტი დაუდგენია.

პირველი ასეთი მიზეზი არის სასამართლოს წინამორბედი გადაწყვეტილებების „ბუნდოვანება“³⁴. ამის მაგალითად მაუბრეის მოჰყავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პელეგრინი საფრანგეთის წინააღმდეგ“³⁵. აღნიშნულ საქმეში სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატა განიხილავდა საკითხს, ვრცელდება თუ არა „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ნაწილში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი საჯარო მოსამსახურეების დავაზე თავიანთ დამსაქმებელთან. პელეგრინის საქმემდე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სასამართლო ძირითადად მისდევდა ხაზს, რომ ამგვარი დავები არ ექცევა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დაცვის ქვეშ, თუმცა, ცალკეულ გადაწყვეტილებებში ამ წესიდან განსხვავებული მიდგომებიც იკვეთებოდა. პელეგრინის საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, „ბოლო მოედო გაურკვევლობისათვის“, რომელიც არსებობდა სახელმწიფოსა და მის მოსამსახურეებს შორის არსებულ დავებთან დაკავშირებით³⁶ და ტერმინის „საჯარო სამსახური“ ავტონომიური განმარტების დამკვიდრების მიზნით, ე. წ. „ფუნქციური კრიტერიუმი“ შემოიღო:

„სასამართლო აღგენს, რომ ერთადერთი კატეგორიის დავები, რომლებიც გამოირიცხება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სივრციდან, არის იმ საჯარო მოსამსახურეების მიერ აღძრული სარჩელები, რომელთა მოვალეობები საჯარო სამსახურში

³¹Luzius Wildhaber, p. 1540.

³²Ibid., p. 1531.

³³Luzius Wildhaber, p. 1533; A. Mowbray, footnote 27 supra, p. 8.

³⁴A. Mowbray, p. 10.

³⁵Pellegrin v. France, Application no. 28541/95, Judgment of 8 December 1999.

³⁶Ibid., §61.

კონკრეტული სახის საქმიანობის ტიპურ მაგალითებს წარმოადგენს, რადგან საჯარო სამსახური არის საჯარო ხელისუფლების განხორციელების მექანიზმი, რომლის მოვალეობა სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების საჯარო ინტერესების დაცვაა...³⁷

რვა წლის შემდეგ, საქმეში „ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ“³⁸, სასამართლოს დიდი პალატა კვლავ მიუბრუნდა ამ საკითხის განხილვას და, მიიჩნია რა, რომ მის მიერ პელეგრინის საქმეში დადგენილმა ფუნქციურმა კრიტერიუმმა, ამ საკითხში სიცხადის შეტანის მხრივ, სასამართლოს იმედები ვერ გაამართლა, გადაწყვიტა გაეუქმებინა ეს სტანდარტი:

„სასამართლოს მხოლოდ შეუძლია დაასკვნას, რომ ფუნქციურმა კრიტერიუმმა, როგორც ის პრაქტიკაში გამოიყენებოდა, ვერ უზრუნველყო საჯარო მოსამსახურეების მონაწილეობით დავების მიმართ მე-6 მუხლის გამოყენების საკითხში ანალიზის გამარტივება ან ამ სფეროში უფრო მეტი სიცხადის შეტანა, როგორც ეს განზრახული იყო.

ამ ფონზე და ამ მიზეზის გამო სასამართლოს მიიჩნია, რომ პელეგრინის საქმეში დადგენილი ფუნქციური კრიტერიუმი შემდგომ განვითარებას მოითხოვს. მართალია, სამართლებრივი გარკვეულობის, განჭვრეტადობისა და კანონის წინაშე თანასწორობის ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო, საფუძვლიანი მიზეზის გარეშე, არ უნდა ემიჯნებოდეს თავის უწინდელ საქმეებში დადგენილ პრეცედენტებს, თუ სასამართლომ ვერ შესძლო დინამური და ევოლუციური მიდგომების შენარჩუნება, იგი საფრთხეს შეუქმნის რეფორმებს ან შემდგომ გაუმჯობესებებს“³⁹.

ფუნქციური კრიტერიუმის სანაცვლოდ, სასამართლომ ახალი, ორწვერა ტესტი შემოიღო. კერძოდ, მან დადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ გავრცელდება საჯარო მოსამსახურის მიერ აღძრულ დავებზე, თუ: 1) ეროვნული კანონმდებლობა პირდაპირ ზღუდავს კონკრეტული თანამდებობის პირების ან მოსამსახურეების უფლებას მიმართონ სასამართლოს; 2) ამგვარი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ მიზეზებს და სახელმწიფოს ინტერესებში უნდა იყოს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მომჩივანი საჯარო სექტორშია დასაქმებული ან მუშაობს ისეთ ორგანოში, რომელიც საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს, თავისთავად არ არის გადამწყვეტი, განაცხადა სასამართლომ⁴⁰.

მეორე ფაქტორი, რომელიც, მაუბრეის დაკვირვებით, ევროპული სასამართლოს მიერ საკუთარი პრეცედენტის გაუქმების საფუძველი გამხდარა, „საჩივრების რაოდენობის ზრდის შეკავების აუცილებლობა“⁴¹. ამის მაგალითია დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ“⁴².

ამ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის წინაშე იყო მრავალს შორის ერთ-ერთი საქმე, რომელიც სისხლის სამართლის (და სამოქალაქო) საქმეებზე სასამართლო განხილვების გაუმართლებელ გაჭიანურებას ეხებოდა. მომჩივანი ასაჩივრებდა საკუთარი უფლებების დარღვევას როგორც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტიდან, ისე კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე. ამ გადაწყვეტილებამდე ევროპული სასამართლო უარს ამბობდა მე-13 მუხლის ნაწილში საჩივრის განხილვაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რადგან მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-13 მუხლთან მიმართებით კერძო ნორმად (*lex specialis*) მიიჩნეოდა⁴³. თუმცა, კუდლას შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ „მართლმსაჯულების განხორციელებაში ჭარბი შეფერხებების“ გამო, რითაც „საფრთხე ექმნება სამართლის უზენაესობას“, დადგა საკუთარი პრაქტიკის გადასინჯვის დრო. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამიერიდან, საქმის განხილვის გაჭიანურების შემთხვევაში, სასამართლო საჩივრებს მე-13 მუხლთან მიმართებითაც განიხილავდა, განურჩევლად იმისა, მიიჩნეოდა თუ არა იგი დარღვეულად კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსაც⁴⁴.

მესამე ფაქტორი, რომელიც, მაუბრეის მოსაზრებით, სასამართლოს საკუთარი პრეცედენტისგან გასვლისკენ უბიძგებს, კონვენციის როგორც „ცოცხალი დოკუმენტის დოქტრინა“⁴⁵.

³⁷Ibid., §66.

³⁸Vilho Eskelinen and Other v. Finland, Application no. 63235/00, Judgment of 19 April 2007.

³⁹ Ibid., §§ 55-56.

⁴⁰Ibid., § 62.

⁴¹A. Mowbray, p. 15.

⁴²Kudla v. Poland, Application no. 30210/96, Judgment of 26 October 2000. ამ გადაწყვეტილების ქართული თარგმანი იხ.: შემდეგ ვებგვერდზე: <http://catalog.supremecourt.ge/blog/foto/138.pdf>.

⁴³Ibid., §146.

⁴⁴Ibid., §§148-149.

⁴⁵A. Mowbray, p. 17.

ამის დასტურად მკვლევარს ბორგერსის⁴⁶ და სელმუნის⁴⁷ საქმეები მოჰყავს. თუმცა, ამ დოქტრინის თაობაზე ზემოთაც აღინიშნა⁴⁸.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება უბიძგოს სასამართლოს, გაემიჯნოს საკუთარ პრაქტიკას და ახალი მიდგომა შეიმუშავოს, ესაა ევროპის საბჭოს გარეთ ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი ტენდენციები, რომლებიც სასამართლოს კონვენციის ევოლუციური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას სთავაზობს⁴⁹. მაუბრეის აზრით, ამის კლასიკური მაგალითია, დიდი პალატის გადაწყვეტილება ქრისტინ გუდუინის⁵⁰ საქმეზე, რომლითაც დიდი პალატა გაემიჯნა საკუთარ გადაწყვეტილებებს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ საქმეებში, რომლებიც ტრანსსექსუალებს ეხებოდა. გადაწყვეტილების მიღებაში სასამართლოს დაეხმარა საქმეში მესამე მხარედ ჩაბმული ორგანიზაცია Liberty-ს მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იყო მოვლენათა განვითარება და სამართლებრივი ტენდენციები ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, აშშ-ის ცალკეულ შტატებში, ისრაელში, კანადაში, სამხრეთ აფრიკასა და სინგაპურში⁵¹.

ამგვარი დინამიკის ნაირსახეობაა სტრასბურგის სასამართლოს მითითება სხვა საერთაშორისო ფორუმების გადაწყვეტილებებზე⁵². საქმეში „მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ“⁵³, განიხილავდა რა მომჩივნების ექსტრადიციის საკითხს ისეთ ქვეყანაში, სადაც, მომჩივნების მტკიცებით, ისინი შეიძლება იყვნენ მსხვერპლნი გამხდარიყვნენ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა:

„სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა და გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა, მართალია ისინი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე მოქმედებენ, ვიდრე ეს სასამართლო, დაადასტურეს და დაასაბუთეს უკანასკნელ გადაწყვეტილებებში, რომ გამოუსწორებელი ზიანის რისკის წინაშე მხარეთა მიერ გასაჩივრებული უფლებების დაცვა, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, შეუძლებელი ზომების უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ რა სამართლებრივ სისტემასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების მიზანი მოითხოვს, რომ პროცესის დასრულებამდე გამოუსწორებელი ზომები არ უნდა იქნეს მიღებული“⁵⁴.

ევროპული სასამართლოს უწინდელი პრეცედენტისგან გასვლის კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს მოპასუხე სახელმწიფოს შიდა სამართლებრივ სისტემაში მიმდინარე პროცესები⁵⁵. ამ კონტექსტში მაუბრეი მოიხმობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „უინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“⁵⁶, რომელშიც სასამართლომ უვადო თვისუფლების აღკვეთის ბრიტანული რეჟიმი არ ცნო კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან შეუსაბამოდ⁵⁷.

თუმცა, რვა წლის შემდეგ, საქმეში „სტაფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“⁵⁸, დიდმა პალატამ შეცვალა პრეცედენტი და ახალი მიდგომა დაადგინა. დაეყრდნო რა „დინამიური და ევოლუციური მიდგომების შენარჩუნების“ აუცილებლობას⁵⁹, სასამართლომ აღნიშნა:

„მსგავსი მოსაზრებები უნდა გამოითქვას მოპასუხე სახელმწიფოს შიდასამართლებრივ სივრცეში მიმდინარე ცვლილებებისა და ჩამოყალიბებული კონსენსუსის შემთხვევაში. მართალია, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება ამ საქმისა და უინის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის, მხედველობაში იღებს რა ქვეყნის შიგნით მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, „დღევანდელი ვითარების შექმნა“ სხვაგვარი შეფასება მისცეს ამ გარემოებებს, რაც ამჟამად კონვენციის სათანადო ინტერპრეტაციის და გამოყენების საშუალებას გვაძლევს“⁶⁰. ამის

⁴⁶Borgers v. Belgium, Application no. 12005/86, Judgment of 30 October 1991.

⁴⁷Selmouni v. France, Application no. 25803/94, Judgment of 28 July 1999.

⁴⁸იხ.: ზემოთ, სქოლიო №29.

⁴⁹A. Mowbray, p. 18.

⁵⁰Christine Goodwin v. The United Kingdom, Application no. 28957/95, Judgment of 11 July 2002.

⁵¹Ibid., §56.

⁵²A. Mowbray, p. 19.

⁵³Mamatkulov and Askarov v. Turkey, Applications nos. 46827/99 and 46951/99, Judgment of 4 February 2005.

⁵⁴Ibid., §124.

⁵⁵A. Mowbray, p. 20.

⁵⁶Wynne v. The United Kingdom, Application no. 15484/89, 18 July 1994.

⁵⁷Ibid., §39.

⁵⁸Stafford v. The United Kingdom, Application no. 46295/99, Judgment of 28 May 2002.

⁵⁹Ibid., §68.

⁶⁰Ibid., §69.

შედევად, უინისგან განსხვავებით, სტაფორდის მიმართ სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები დარღვეულად ცნო⁶¹.

დაბოლოს, სასამართლო ასევე შეიძლება დაეყრდნოს საერთაშორისო და ეროვნულ სამართალში მიმდინარე მოვლენების კომბინაციას⁶². მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში სასამართლო არ აღიარებდა პროფკავშირების უფლებას, ეწარმოებინათ დამსაქმებელთან კოლექტიური მოლაპარაკებები⁶³, სასამართლოს მიდგომა საკითხის მიმართ შეიცვალა საქმეში „დემირი და ბაიკარა თურქეთის წინააღმდეგ“⁶⁴, რომელშიც, მიუთითა რა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №98 და №151 კონვენციებზე, ევროპის სოციალურ ქარტიანზე, ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიანზე და თურქეთის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე⁶⁵, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„ამ მოვლენების შუქზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოება და კოლექტიური ხელშეკრულებების დადება არ წარმოადგენდა მე-11 მუხლის თანდაყოლილ ელემენტს, უნდა შეიცვალოს, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული საერთაშორისო სამართალში და შიდა სამართლებრივ სისტემებში ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები“⁶⁶.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ზემოთქმული მაგალითები ადასტურებს, ტერმინის „პრეცედენტი“ გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის სისტემაში სავსებით გამართლებულია. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო სასამართლოების შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლოსთან მიმართებაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ ე. წ. stare decisis დოქტრინაზე, რადგან უწინდელ გადაწყვეტილებებს ევროპული სასამართლოსთვის შემოჭველი ძალა არ გააჩნია. ამის სანაცვლოდ, საქმე გვაქვს ე. წ. „დამარწმუნებელ“ პრეცედენტთან.

პრეცედენტისგან გადახვევის შემთხვევების ანალიზი ადასტურებს, რომ ევროპული სასამართლო იურისპრუდენციაში არსებობს გარკვეული კანონზომიერება, რომლის მიხედვით შეიძლება სასამართლო გაემიჯნოს თავის უწინდელ პრეცედენტს და დაადგინოს ახალი პრეცედენტი. თუმცა, ევროპული სასამართლო პრაქტიკულად არასდროს აღიარებს, რომ ადგილი აქვს უწინდელი პრეცედენტის გაუქმებას ან შეცვლას.

Alexander Baramidze

Precedent in Legal Systems of Common Law and European Convention on Human Rights

Summary

The purpose of this paper is to identify some common and distinguishing features of judicial precedent in common law jurisdictions and the European Court of Human Rights. It is demonstrated that like in other international courts (e.g. ICJ and ECJ) there is no „stare decisis“ doctrine in the ECtHR. Instead, the ECtHR adheres to the doctrine of „persuasive precedence“, which is justified by a number of reasons, such as legal certainty, the orderly development of the Convention case-law, foreseeability and equality before the law, etc. It is further demonstrated, that whenever the ECtHR departs from its own case law, it does so for some „good reason“ which may differ from case to case.

⁶¹Ibid., §83 and §90.

⁶²A. Mowbray, p. 22.

⁶³Schmidt and Dahlström Sweden, Application no. 5589/72, Judgment of 6 February 1976.

⁶⁴Demir and Baykara v. Turkey, Application no. 34503/97, Judgment of 12 November 2008.

⁶⁵Ibid., §§147-152.

⁶⁶Ibid., §153.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში

სამოქალაქო სამართალში ერთ-ერთ ძირითად პრობლემად ითვლება სახელშეკრულებო ვალდებულებებში სუსტი მხარის დაცვა. კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთათვის ადგენს ქცევის იმპერატიულ წესებს. ასეთი წესების დადგენა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე. ამგვარი წესების დადგენას საფუძვლად უდევს ხელშეკრულების სოციალური კონცეფცია. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, მხარეს ეკისრება განსაზღვრული წესით ქცევის ვალდებულება სუსტი მხარის სასარგებლოდ. ამით იზრდება მხარეთა უფლება-მოვალეობების მოცულობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, თუნდაც ეს უფლება-მოვალეობები მათ შეთანხმებული არ ჰქონდეთ. სუსტი მხარის დაცვა მოითხოვს სამოქალაქო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპიდან ფორმალურად გადახვევას, როგორც არის მხარეთა თანასწორობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი). ფაქტობრივად კი, სუსტი მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭებით და შესაბამისად, მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისათვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრებით, სამოქალაქო კანონმდებლობა უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეთა თანასწორობას ერთმანეთის მიმართ.⁶⁷ სუსტი მხარის დაცვა აუცილებელია, რამეთუ ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ ვალდებულების ჩამოყალიბებაზე, მისი შესრულების უზრუნველყოფაზე გაელენის მოხდენის სხვადასხვა შესაძლებლობა, მატერიალური მდგომარეობის, პროფესიული სტატუსის, თუ სხვა გარემოების გამო. ზოგჯერ რომელიმე მხარეს არ გააჩნია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით კონტრაქტზე გაელენის მოხდენის შესაძლებლობა. და პირიქით, მეორე მხარეს, რომელსაც გააჩნია რეალური შესაძლებლობა, შეუძლია თავისი ნების თავსმოხვევა და კარნახი კონტრაქტისათვის. მაგალითად, კომერციული ბანკის და მეანობრე ფიზიკური პირის მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება საბანკო ანაბრის ხელშეკრულების საფუძველზე მათ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში. ამგვარ შემთხვევებში, თუ სამართლებრივად არ მოწესრიგდება შესაბამისი ურთიერთობა, ვალდებულების ძლიერი მხარე სრულად დაუქვემდებარებს თავის ნებას სუსტ მხარეს (თავის ნებას მოახვევს სუსტ მხარეს). ასეთ შემთხვევაში საუბარიც კი არ შეიძლება იყოს არც მხარეთა თანასწორობაზე, არც დისპოზიციურობის პრინციპზე სამოქალაქო სამართალში, არც ხელშეკრულების თავისუფლების შესახებ. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ამოცანა მდგომარეობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა „გათანაბრებაში“ სუსტი მხარისათვის დამატებითი უფლებების მინიჭების და მისი კონტრაქტისათვის დამატებითი მოვალეობების დაკისრების, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების, ძლიერი მხარის პასუხისმგებლობის გამკაცრების გზით ვალდებულებაში, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და პირიქით, სუსტი მხარის პასუხისმგებლობის შეზღუდვით და ა. შ.

1. თანამშრომლობის ვალდებულება

კეთილსინდისიერება გულისხმობს „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებას, თავიანთი უფლებების გამოყენებისას და თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, იზრუნონ ქონებრივი ბრუნვის სხვა მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე“.²

„თანამედროვე სოციალურ სახელმწიფოში ხელშეკრულების თავისუფლება უნდა შეიცვალოს „სახელშეკრულებო სამართლიანობით“ (*Vertragsgerechtigkeit, Justice contractuelle*); სუსტი მხარე ძლიერად უნდა იქნეს დაცული, ორივე მხარეს უნდა დაეკისროს ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება. ხელშეკრულება თანამედროვე გაგებით, იურიდიული

⁶⁷ М. И. Брагинский, В. В. Витрянский. Договорное право. Книга первая, общие положения, Москва, 2009, стр. 797.

² А. А. Чукреев. Добросовестность в системе принципов гражданского права. Журнал Российского права, 2002, №11, 12.

ურთიერთობაა, რომელიც მხარეებს აკისრებს კოოპერაციის, სოლიდარობის და პატიოსნების ვალდებულებებს”.¹

თანამშრომლობის ვალდებულება გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, გაითვალისწინონ არა მარტო თავისი კერძო ინტერესები, არამედ მეორე მხარის ინტერესებიც. მხარეები ვალდებული არიან ისევე იზრუნონ მეორე მხარის ინტერესებზე, როგორც ზრუნავენ საკუთარ ინტერესებზე. მაგრამ მხარეებს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე თანამშრომლობის ვალდებულება ეკისრებათ არა აბსტრაქტულად, განყენებულად, არამედ მხარეთა საერთო მიზნის მისაღწევად, რომლის მიღწევაც მათ სურთ ხელშეკრულების დადებით. „კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, რომ ერთმანეთთან ჰარმონიაში იყოს არა მარტო ცალკეული კერძო ინტერესები, არამედ აგრეთვე კერძო ინტერესი და მხარეთა ერთიანი ინტერესი”.⁶⁸

კეთილსინდისიერება იცავს მხარეთა სამართლიან მოლოდინს და მხარეთა შორის აყალიბებს ურთიერთდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას.⁶⁹ თანამშრომლობის ანუ ურთიერთდახმარების, ხელშეწყობის ვალდებულება⁴ იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულმა მხარემ ხელშეკრულების სრულად შესრულების მიზნით მეორე მხარეს აღმოუჩინოს ისეთი დახმარება, როგორი დახმარების გონივრული მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეს კონტრაქტის მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების დროს. ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებაში მონაწილე მხარეებს ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები გააჩნიათ, არ იძლევა თანამშრომლობის ვალდებულების უარყოფის საფუძველს. „ხელშეკრულება მარტოდენ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გადაკვეთას კი არ წარმოადგენს, იგი. საერთო პროექტიც არის, რომელშიც თითოეულმა მხარემ უნდა ითანამშრომლოს“. ორივე მხარემ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ საფრთხე არ დაემუქროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას და საერთო მიზნის მიღწევას. შეიძლება გამოიკვეთოს სამი ძირითადი შემთხვევა, როცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნების ავტონომია იზღუდება თანამშრომლობის უზრუნველყოფისა და საერთო მიზნის მისაღწევად. პირველი მათგანი არის იერიზის მიერ შემუშავებული „*culpa in contrahendo*“- ს იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ხელშეკრულების ფორმირების და ხელშეკრულების პირობების მხარეთა შორის შეთანხმების (შეჯერების) სტადიაზე იძლევა მხარეთა ურთიერთობებში ჩარევის შესაძლებლობას. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც უფლების დაცვის იურიდიული ინსტრუმენტი, წინასახელშეკრულებო სტადიაზე მხარეთაგან მოითხოვს მოლაპარაკებათა წარმოებისას დიდწილად და უფრო მეტად ორიენტირებულნი იყვნენ მოლაპარაკებათა საბოლოო საერთო შედეგზე (ეს არის ხელშეკრულების დადება), ვიდრე საკუთარ ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით, მოლაპარაკების დამწყებ მხარეთა საერთო მიზანი უფრო მნიშვნელოვან მიზნად მიიჩნევა, ვიდრე თითოეული მხარის ინდივიდუალური ინტერესი.

ნების ავტონომიის შეზღუდვის მეორე შემთხვევას, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას, წარმოადგენს ინგლისური სამართლიანობის სამართლის მიერ შემუშავებული „ვაჭრობაში პატიოსნების“ (*fairness of exchange*) კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართალში მოქმედებს მკაცრი პრინციპი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულება ნამდვილია მაშინაც კი, როდესაც მხარეთა უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ არ არის ერთმანეთის ეკვივალენტური (*inadequacy of consideration*), ინგლისურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში საკმაოდ ხშირად იყენებენ ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის „სამართლიანი ფასი“ (*fair price*) ან „სამართლიანი ანაზღაურება“ (*fair salary*)¹, რომელთა შინაარსიც, საბოლოო ჯამში, გულისხმობს იმას, რომ მხარეთა უფლება-მოვალეობები ეკვივალენტური უნდა იყოს. კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმრავლესობა ასევე იყენებს ამ იდეას. ამის მაგალითია შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 21-ე მუხლი.

¹ *Kötz H. Flessner A. European Contract Law, V.1: Formation, Validity and Content of Contracts Contract and Third Parties di Hein Kötz, Tony Weir, - Clarendon Press, Oxford, 1997, 12.*

⁶⁸ *Новицкий И. Б. Принцип доброй совести в проекте обязательственного права. Вестник гражданского права, 1916, № 6, 65.*

⁶⁹ **გ. ვაშაკიძე.** კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით-აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი.- ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10 №1, 2007, გვ. 18.

⁴ ზოგჯერ ლიტერატურაში თანამშრომლობის ვალდებულების ნაცვლად იყენებენ სიტყვას „თანაქმედება“, რაც ზუსტად ვერ გამოხატავს იმ ვალდებულების არსს, რომელიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან და უფრო მეტიც, ბუნდოვანია, მაგალითად, იხ.: **ნ. ჩიტაშვილი.** ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 143-216.

¹ *Atiyah P.S. The Rise and Fall of Freedom of Contract – Oxford, 1979.*

დაბოლოს, ნების ავტონომიისა და თავისუფლების შეზღუდვის მესამე შემთხვევა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობას, არის „სუსტი მხარის დაცვა“. სუსტი მხარის დაცვის საჭიროება დგება მაგალითად, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. სტანდარტულ პირობებში, სუსტი მხარის დამცავი ნორმების არსს წარმოადგენს ხელშეკრულების იმ პირობების იძულებით გამოყენებისაგან მხარის დაცვა, რომელზეც ეს მხარე არ დათანხმდებოდა, ამ პირობათა განსაზღვრაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა რომ ჰქონოდა (საუბარია არაკეთილსინდისიერ პირობებზე). მაგრამ სუსტი მხარის დაცვა მარტოოდენ სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულებისათვის როდი გამოიყენება. მაგალითად, ჯერ კიდევ რომის სამართალში შემუშავდა და დღემდე გამოიყენება ხელშეკრულების პირობათა განმარტების საკმაოდ ეფექტიანი მეთოდი ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელი მხარის საწინააღმდეგოდ (*interpretatio contra stipulatorem*).

ურთიერთდახმარების მოვალეობა არ ნიშნავს იმას, რომ მხარე ვალდებულია, მეორე მხარის ინტერესები თავის ინტერესებზე მაღლა დააყენოს. სახელშეკრულებო სამართალში ყველაზე ხშირად დახმარების ვალდებულებასა და ინტერესების გათვალისწინებაზე საუბარი შეიძლება იყოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ვალდებულებით ურთიერთობებში. მაგალითად, რწმუნებული ვალდებულია, განახორციელოს ყველა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია მარწმუნებლის უფლების განხორციელებისათვის. ვითარებისდა მიხედვით, მზღვეველმა უნდა დაიცვას დამზღვევის ინტერესები. გადაზიდვის ხელშეკრულებებში, როდესაც დაზიანდა გადასაზიდი ნივთი, მხარემ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კონტრაჰენტმა არ დაკარგოს პრეტენზიის უფლება. თუ ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას, ძველი კრედიტორი ვალდებულია საფრთხე არ შეუქმნას ახალი კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის განხორციელებას. კერძოდ, მას არ აქვს უფლება მიიღოს შესრულება იმ მოვალისაგან, რომელმაც არაფერი იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ. გამყიდველს არ აქვს უფლება, საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების მიზანს იმით, რომ ხელმეორედ გაყიდოს მყიდველის მიერ საფასურ გადახდილი ნასყიდობის საგანი, როცა ხელშეკრულება სათანადო ფორმის დაცვით არის შედგენილი, თუნდაც მყიდველს ჯერ არ ჰქონდეს დარეგისტრირებული საკუთრების უფლება. მაგრამ მაგალითად, თუ ავიღებთ თავდებობის ხელშეკრულებას, კრედიტორს არ შეიძლება მოეთხოვოს თავდების ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება. მხარეთა ინტერესები და მამსახადამე, კეთილსინდისიერების პრინციპი, დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც. მაგალითად, ეს აუცილებელია ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში და სხვა. ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებები, თავის მხრივ, შეიძლება წარმოშობდნენ თემის ვალდებულებებს. მაგალითად, თუ მყიდველს სურს ნივთის მართლზომიერად უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის (სსკ-ის 501-ე მუხლი). შეიძლება დასახედდეს ხელშეკრულების დამთავრების შემდგომი სხვა ვალდებულებებიც. მაგალითად, სასაქონლო საწყობი ვალდებულია ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც მიუთითოს საფრთხეზე, რომ დასაწყობებული საქონელი შესაძლოა ამორტიზებულ იქნეს, ან დაიკარგოს. გამჭირავებელი ვალდებულია ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ იზრუნოს დამქირავებლის მიერ მის ფართში შეტანილ ქონებაზე.

თანამშრომლობის ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა ფრანგული მიდგომა. თავდაპირველად ფრანგულ დოქტრინაში აღინიშნა, რომ კეთილსინდისიერება მხარეთა შეთანხმების განმარტების საშუალებაა, ამასთან, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა სურვილი და ნება. კეთილსინდისიერება საზოგადოებრივი ურთიერთობის „სულია“. კეთილსინდისიერება ყოველთვის უნდა მეფობდეს შეთანხმების შესრულების დროს და მოსამართლის ვალდებულებაა შეთანხმების განმარტება და სისრულეში მოყვანა მხარეთა ნების შესაბამისად, ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით. კეთილსინდისიერების აბსტრაქტული იდეა ასახულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1156-ე მუხლში, სადაც საუბარია ხელშეკრულების განმარტებაზე. ამ მუხლში ასახული დებულებები უშუალო კავშირშია 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილთან.¹

ფრანგული დოქტრინის თავდაპირველი მიდგომა, რომ მოსამართლე ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს მხარეთა ნების შესაბამისად, გაზიარებული იყო რეალურ სასამართლო პრაქტიკაში. მოსამართლეები გადაწყვეტილებათა დასაბუთებისას თავდაპირველად უპირატესობას სხვა ცნებებსა და პრინციპებს უფრო აძლევდნენ, ვიდრე კეთილსინდისიერებას. სწორედ ამის გამო იყო, რომ კეთილსინდისიერებამ „მკვდარი კონცეფციის“ ხასიათი შეიძინა. სასამართლო

¹ *Beudant C, Cours de droit civil français. 1936. Tome VIII, Paris, 222.*

გადაწყვეტილებებში იშვიათად შეიძლება შევხვედროდით მითითებას 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილზე,² მაგრამ შემდგომში კეთილსინდისიერების კატეგორიის ნეგატიურად შეფასება თანდათან შეიცვალა, რაზეც გავლენა მოახდინა XX საუკუნეში საფრანგეთში სოლიდარიზმის მოძღვრების განვითარებამ, რომლის შესაბამისადაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში ნების ავტონომია არ წარმოადგენს გაბატონებულ იდეას.

სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიმართ სოლიდარიზმის კონცეფცია ძირითადად დემოგმა განავითარა. მისი თქმით, ნების ავტონომია, ანუ მხარეთა ნების გათვალისწინება, აღარ წარმოადგენს გაბატონებულ იდეას და ხელშეკრულების არსებით საფუძველს.³ ნება უნდა დაემორჩილოს (დაექვემდებაროს) უმაღლეს სოციალურ მოთხოვნებს, სოციალური სოლიდარობის მოთხოვნებს.

დემოგმა ყურადღება მიაქცია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილის მნიშვნელობას სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიმართ. კეთილსინდისიერებას იგი ანიჭებდა იურიდიულ ძალას. მისი თქმით, ხელშეკრულების მხარეები ქმნიან „მიკროკოსმოსის მსგავსს“. მასში დემოგი გულისხმობდა პატარა, მომცრო საზოგადოებას, რომელშიც თითოეული უნდა მოქმედებდეს საერთო მიზნებიდან გამომდინარე (საერთო მიზნების გათვალისწინებით). საერთო მიზანი თითოეულის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური მიზნების ერთობლიობაა.⁴ დემოგის აზრით, კრედიტორს რამდენიმე ვალდებულება აკისრია, კერძოდ: „მან თავისი ქცევით არ უნდა დაამძიმოს მოვალის მდგომარეობა, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს ვალდებულების შესრულებას“.⁵

გარდა ამისა, კონტრაქტებს (ანუ ორივე მხარეს ერთდროულად) ეკისრება ერთმანეთის გაფრთხილების ვალდებულება სახელშეკრულებო პროცესის მიმდინარეობისას გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში და ამ საკითხით ორივე მხარე უნდა იყოს დაინტერესებული. დემოგის აზრით, ყოველივე ეს დაკავშირებულია კრედიტორსა და მოვალეს შორის სოლიდარობის იდეასთან და გამომდინარეობს 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან.⁶

ამ იდეების მიუხედავად, XX საუკუნის მხოლოდ სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან იჩენს ინტერესს ფრანგული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა კეთილსინდისიერების პრინციპისადმი. გამოითქვა აზრი, რომ კეთილსინდისიერება უკვე აღარ არის „მკვდარი კონცეფცია“.¹

თანამედროვე პერიოდში კეთილსინდისიერება უკავშირდება სწორედ სახელშეკრულებო სოლიდარიზმს. „თანამედროვე პერიოდში შეინიშნება სოლიდარობის ... ტენდენცია, რომელიც მოითხოვს სხვაზე (ე.ი. ხელშეკრულების მონაწილის) და სხვის ინტერესებზე ზრუნვას“.² კეთილსინდისიერება არის კეთილი ნება, ერთგულება, კონტრაქტზე ზრუნვა, ყოველივე ეს ნიშნავს კონტრაქტთან თანამშრომლობას და მისი ინტერესების გათვალისწინებას. ე.ი. კეთილსინდისიერება მოითხოვს სახელშეკრულებო თანამშრომლობას და კონტრაქტების ინტერესების გათვალისწინებას. ფრანგულ დოქტრინაში ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ კეთილსინდისიერება მხარეებისგან მოითხოვს ერთდროულად ერთგულ ქცევასა და თანამშრომლობას.

ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ეკისრება განსაზღვრული ვალდებულება მეორე მხარის მიმართ. კერძოდ, მხარე ვალდებულია ისე მოიქცეს, რომ ზიანი არ მიაყენოს მეორე მხარეს. მაგალითად, ერთგულება უკრძალავს მხარეს ისარგებლოს კონტრაქტის სისუსტით. მართლაც, არათანასწორუფლებიან ურთიერთობაში არსებობს კონტრაქტისათვის იმ სახელშეკრულებო პირობების თავსმოხვევის შესაძლებლობა, რომლებიც მხარეს აძლევს საშუალებას გამდიდრდეს თავისი პარტნიორის ხარჯზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე სარგებლობს კონტრაქტის სისუსტით და ცდილობს კონტრაქტის სისუსტის წყალობით მიიღოს სარგებელი (უპირატესობა), ის მიიჩნევა ერთგულების მოვალეობის დამრღვევ მხარედ.

ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერება გამოიხატება არა მარტო ერთგულებაში, არამედ თანამშრომლობაშიც. თანამშრომლობა ნიშნავს, რომ თითოეულ მხარეს ეკისრება კონტრაქტის ინტერესების გათვალისწინება მთელი სახელშეკრულებო პროცესის განმავლობაში.

² *Cousy H. Droit des contrats: France, Suisse, Belgique, Brussels.*

³ *Demogue R., Traité des obligations en general. T.1. Paris 1923, 1.*

⁴ *Demogue R. Traité des obligations en general. T.6, Paris 1923, 9.*

⁵ *Demogue R. Traité des obligations en general. T.6, Paris 1923, 17.*

⁶ *Demogue R. Traité des obligations en general. T.6, Paris 1923, 17-18.*

¹ *Sonnenberger H.J. Treu und Glauben – ein supranationaler Grundsatz? in : Festschrift Odersky. Berlin, 1996, 706.*

² *Sériaux A., Droit des obligations, Paris, 1998, 229.*

ამრიგად, ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი საფუძველად უდევს მხარეთა ისეთ ვალდებულებებს, როგორც არის თანამშრომლობა და ერთგულება, ერთმანეთის ინტერესების დაცვა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ასახულ საკანონმდებლო დებულებასთან შედარებით კეთილსინდისიერების გამოყენების სფერო პრაქტიკაში გაფართოვდა. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხდება მხარეთათვის განსაზღვრული ვალდებულებების დადგენა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. თანამშრომლობის ვალდებულება ვრცელდება ორივე მხარეზე - კრედიტორზეც და მოვალეზეც. გარდა ამისა, მოვალე უნდა გასცდეს ერთგულად და ზუსტად შესრულების ფარგლებს. მოვალემ იმგვარად უნდა იმოქმედოს, რომ კრედიტორს მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს, ხოლო კრედიტორმა, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში, ამასთან, უნდა აღმოუჩინოს შეძლებისდაგვარი დახმარება. მოცემულ შემთხვევაში ორივე მხარე დაინტერესებულია სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობით და მონაწილეობენ ამ ურთიერთობებში.

გერმანულ სამართალში კი კეთილსინდისიერებაზე მსჯელობისას ხაზი ესმება ნდობასა და მხარეთა მზადყოფნას ლოიალური თანამშრომლობისათვის³. ლარენცის აზრით, „მოსამართლემ თითოეულ შემთხვევაში უნდა დააკონკრეტოს, რომელი ქმედება შეესაბამება კეთილსინდისიერების პრინციპს“⁷⁰. ამდენად, ლარენცი არ იზიარებს თეზისს, რომ კეთილსინდისიერება არის ზედმეტი, „ცარიელი ფორმულა“. მოსამართლემ კეთილსინდისიერების პრინციპი საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიყენოს, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ადასტურებს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას⁷¹ (თუ ფაქტობრივი მასალიდან იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა). კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილეს ავალდებულებს, ისე მოიქცეს, როგორც ეს შეესაბამება ამ კონკრეტული ურთიერთობის შინაარსსა და მიზანს და ასევე ზოგადად, სხვა პირთა მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერად ქცევის (მოქმედების) მოთხოვნა, გარემოებებისა და მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიმართული იყოს მოვალისადმი ან კრედიტორისადმი.¹

როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების მოთხოვნა გამოიყენება არ მარტო მოვალის, არამედ კრედიტორის მიმართაც. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც მოვალემ, ისე კრედიტორმაც თავიანთი უფლებების განხორციელებისას უნდა დაიცვან კეთილსინდისიერების პრინციპი. ეს ნიშნავს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ საკუთარი ინტერესები, არამედ მხარემ ყურადღება უნდა გამოიჩინოს მეორე მხარის მიმართაც. კეთილსინდისიერების პრინციპი დაცული უნდა იქნეს სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სტადიაზე. გერმანიაში და საფრანგეთში განსაზღვრული შინაარსია ჩადებული კეთილსინდისიერების პრინციპში და ამ პრინციპის საფუძველზე გამოკვეთილია და დადგენილია განსაზღვრული ვალდებულებები მხარეთათვის. ამასთან, მსგავსების მიუხედავად, არსებობს განსხვავებული მიდგომებიც კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობის საკითხში. ფრანგულ სამართალში ჩამოყალიბდა „მინიმალისტური“ მიდგომა კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსისა და გამოყენების საკითხისადმი.

ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობა და მისი გამოყენების საკითხისადმი საერთო მიდგომის ჩამოყალიბება, არასდროს არ იყო ისე აუცილებელი საფრანგეთში, როგორც გერმანიაში. გერმანულ მართლწესრიგში არსებულმა ეკონომიკურმა რყევებმა მოითხოვა სამართალში არსებული ხარვეზების თავიდან აცილება, აღმოფხვრა, საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის აღდგენა.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში თანამშრომლობის, სოლიდარობის საკითხისადმი ფრანგულ სამართალში არსებული მიდგომა გერმანულ სამართალშიც აისახა. აუერის მიხედვით² გერმანულ თეორიაში გამოითქმება აზრი, რომ ხელშეკრულების თავისუფლების ლიბერალურ იდეალს არასდროს არ ითვალისწინებდნენ. მისი ჩანაცვლება ხდება სოციალური პრინციპებით (ერთ-ერთი ასეთი პრინციპია კეთილსინდისიერება). ამჟამად არსებობს „სახელშეკრულებო სამართლებრივი

³ Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 128.

⁷⁰ Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 127.

⁷¹ Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 143.

¹ Larenz K., Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14. Auflage, München, 1987, 130

² Auer M., Materialisierung, Flexibilisierung, Richterfreiheit: Generalklauseln im Spiegel der Antinomien des Privatrechtsdenkens. Tübingen 2005, Auer M., Good Faith: A Semiotic Approach. European Review of Private Law. 2., 2002, 279-301.

ურთიერთობების მიმართ „ლიბერალურ“ და „სოციალურ“ მიდგომებთან დაკავშირებული ორი საპირისპირო იდეალი – ინდივიდუალიზმი და ალტრუიზმი. ალტრუიზმის (სოლიდარობის) შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართალმა უნდა აღიაროს კეთილსინდისიერება ფუნდამენტურ პრინციპებს შორის, რამეთუ კეთილსინდისიერება გარანტირებულს ხდის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების დაცვას.

ინდივიდუალიზმის შესაბამისად კი კეთილსინდისიერების პრინციპისთვის ფართო მნიშვნელობის მინიჭება სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების ფარგლებში, რომლებიც მათ თვითონ დაადგინეს.

კეთილსინდისიერების პრინციპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როცა სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ერთი მხარე უფრო ხელსაყრელ პოზიციას იკავებს მეორე მხარესთან შედარებით. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს შრომითი ურთიერთობები, მომხმარებლებთან არსებული ურთიერთობები, ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომელთათვისაც გათვალისწინებულია სტანდარტული ფორმა და სხვა. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე თანამშრომლობის ვალდებულება სწორედ მოცემულ შემთხვევაშია ყველაზე უფრო აუცილებელი. ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერება სახელშეკრულებო სამართალს კიდევ უფრო ეფექტიანსა და მოქნილს ხდის, რადგან მოითხოვს მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას, იძლევა შეცვლილი გარემოებებისადმი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის ადაპტირების შესაძლებლობას.

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირი (სუბიექტი) ვალდებულია თავისი უფლებების გამოყენების, კანონიერი ინტერესების განხორციელების, თავისი ვალდებულებების შესრულების დროს გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა, რათა დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მეორე მონაწილის უფლებები და კანონიერი ინტერესები. „მზრუნველობა“ გამოიხატება პირის ქმედებაში. თავისი ქმედებით პირი (სუბიექტი) უნდა ცდილობდეს განჭვრიტოს და თავიდან აიცილოს სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესაძლო დარღვევა, რაც შეიძლება მოჰყვეს თავის საქმიანობას. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი გულისხმობს პირის ვალდებულებას გამოიჩინოს მზრუნველობა და გაითვალისწინოს სხვა პირთა უფლებები და ინტერესები. პრიორიტეტული უნდა იყოს არა ვალდებულების ერთი რომელიმე მხარის ინტერესები, არამედ გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის ინტერესები.

სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება არ ნიშნავს იმას, რომ პირმა თავისი ინტერესები დაუქვემდებაროს კონტრაქტის ინტერესებს. სხვაგვარად რომ ითქვას, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტმა არ უნდა იმოქმედოს მარტოდენ თავისი სახელშეკრულებო კონტრაქტის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ თავისი ინტერესები უნდა შეუსაბამოს მეორე სუბიექტის ინტერესებს (ხელშეკრულების კონტრაქტების ინტერესები თანაზომიერი უნდა იყოს), უნდა ცდილობდეს არ შელახოს კონტრაქტის უფლებები, არ უნდა შეუშალოს ხელი კონტრაქტის ვალდებულების შესრულებაში. როდესაც სუბიექტი კეთილსინდისიერად ახორციელებს თავის უფლებებს და ამგვარადვე ასრულებს თავის ვალდებულებებს, კეთილსინდისიერად მოქმედ ნებისმიერ სუბიექტს უფლება აქვს თავისი კონტრაქტისგან ასეთივე კეთილსინდისიერი მოქმედების მოლოდინი ჰქონდეს.

ამრიგად, კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი გულისხმობს სუბიექტის ვალდებულებას, უფლებებისა და მოვალეობების შექენისა და განხორციელების დროს, გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა სამოქალაქო ბრუნვის მეორე მონაწილის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი, პირველ ყოვლისა, გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები. კეთილსინდისიერად მოქმედება ნიშნავს, რომ პირი პატივს უნდა სცემდეს არა მხოლოდ თავის ინტერესებს, არამედ თავისი კონტრაქტის ინტერესებსაც. თავის მხრივ, ინტერესების ურთიერთპატივისცემა გულისხმობს, რომ არ უნდა იქნეს შელახული არცერთი მხარის ინტერესები, ე.ი. მხარეთა ინტერესებს შორის უნდა დამყარდეს ბალანსი (წონასწორობა).

კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეთაგან თანამშრომლობას მოითხოვს იმისათვის, რომ შეიქმნას ხელშეკრულების განხორციელების წინაპირობები, მოხდეს ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების პრევენცია და მეორე მხარეს მიეცეს თავისი ვალდებულების

ძალდაუტანებლად შესრულების შესაძლებლობა. თანამშრომლობის ვალდებულება მაშინ არსებობს, როცა ხელშეკრულების შეუსრულებლობის საფრთხე ორივე მხარის რისკის სფეროში ექცევა, ან თუ ერთ-ერთი მხარე თავისი ვალდებულების შესრულებისას დამოკიდებულია მეორე მხარეზე, კონტრაქტზე და სწორედ კონტრაქტს ევალება და ძალუქს კიდევ დახმარების გაწევა არა საკუთარი ინტერესების ხარჯზე. ასეთ დროს თანამშრომლობის ვალდებულებას განაპირობებს ვალდებულების შემსრულებელი მხარის ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ თანამშრომლობის ვალდებულება მთავრდება იქ, სადაც საუბარი იწყება მეორე მხარის ექსკლუზიურ ინტერესებსა თუ რისკებსზე. ქართულ სინამდვილეში თანამშრომლობის ვალდებულებას სხვა ყველაფერთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ისეთი ხელშეკრულებების დადების შემთხვევაშიც, რომლებსაც ნამდვილობისათვის სახელმწიფო ორგანოს თანხმობა (ნებართვა) ესაჭიროება. თუ ვალდებულებითი გარიგება საჭიროებს ნებართვას, როგორც ნამდვილობის წინაპირობას და ნებართვა არ ყოფილა გაცემული, ასეთი ხელშეკრულება კანონით ბათილია (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ დროს მხარეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ ერთგულების ვალდებულება, რომლის საფუძველზეც თითოეული მხარე ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ყველაფერი იღონოს, რომ მიიღოს ნებართვა და ამით ნამდვილობა მიანიჭოს ხელშეკრულებას. თითოეული მხარე ასევე ვალდებულია თავი შეიკავოს ყოველივე იმის განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეუძლებელი გახადოს ნებართვის მიღება. ასე მაგალითად, მათ ოფიციალური ორგანოს წინაშე უნდა დაადასტურონ ხელშეკრულების დადება ან გასცენ ნებართვის პროცედურისათვის აუცილებელი ახსნა-განმარტებები, რათა უწყებას საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი გაუზნდეს ნებართვის გადაწყვეტილების მიღებისას. გარდა ამისა, მხარეებს არ აქვთ უფლება, ხელი შეუშალონ ნებართვის გაცემის პროცედურის განხორციელებას. ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, ბათილობის პერიოდში, ნებართვის მიღებამდე, მხარეებმა უნდა დაადასტურონ, რომ ნებართვის მიღების შემთხვევაში ძალუქთ შესრულების განხორციელება. თანამშრომლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები ისპობა, თუ სახელმწიფო ორგანოს პასუხი საბოლოოა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ვეღარ გასაჩივრდება. თანამშრომლობის ვალდებულების კრედიტორისათვის დაკისრება არ უნდა იყოს მიუღებელი, რამეთუ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი და უარყოფითი შედეგები სწორედ მასზე მოდის. შესაბამისად, იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს დაეხმაროს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში.

სასამართლო ერევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. უცხოური პრაქტიკის ანალიზი მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც იგი ქართულ სინამდვილეშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მოიჯარემ გაარემონტა იჯარით აღებული ფართი. მოიჯარის მიერ რემონტისათვის დახარჯული თანხა არსებითად აღემატებოდა იმ მიზნისათვის აუცილებელ თანხას, რისთვისაც განკუთვნილი იყო ფართი. თუმცა, მოიჯარემ, იმით ისარგებლა, რომ ხელშეკრულებით არ იყო დადგენილი კონკრეტული თანხა, რომლის ფარგლებშიც ექნებოდა მას რემონტის ჩატარების უფლება. ამის გამო, მოიჯარემ მეიჯარისაგან მოითხოვა დანახარჯის სრულად ანაზღაურება. სასამართლომ არ გაიზიარა მოიჯარის პოზიცია და მიუთითა: მართალია მხარეებმა ურთიერთშორის არ შეათანხმეს, რა მოცულობით და რა ღირებულების ფარგლებში ჰქონდა მოიჯარეს ქონების გაუმჯობესების უფლება, მაგრამ ამასთან, იჯარის ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს ... ქონების გაუმჯობესების მიზანი – ეს არის ფართის რემონტი, გადაგეგმარება და მოწყობა, თავისუფალი დროის ცენტრის მოსაწყობად. ამიტომ, გაუმჯობესებისათვის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობის საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლოს აზრით, საჭიროა დადგინდეს, დაცული იყო თუ არა კეთილსინდისიერების მოთხოვნა ფართის მოწყობის დროს: რამდენად აუცილებელი იყო შესრულებული სარემონტო სამუშაოები (გაუმჯობესება) ცენტრის მოსაწყობად. ამგვარი გაუმჯობესებისათვის რა მინიმალური ხარჯი იყო საკმარისი¹. მოცემულ მაგალითში კანონი (რფ-ს სსკ-ის 623-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს სსკ-ის 598-ე და 599-ე მუხლები) მოიჯარის მხარეზეა, მაგრამ სასამართლომ არ გაიზიარა მისი პოზიცია.

სხვა მაგალითი: იგი ეხება დეფოლტთან დაკავშირებულ საქმეს. კომპანიას გააჩნდა ვალი ბანკის მიმართ სავალუტო კრედიტის სახით. თავდაპირველად, კომპანია დათანხმდა კრედიტის მანეთებში კონვერტირებას, შემდეგ კი ხელი მოაწერა ბანკთან შეთანხმებას კონვერტაციით გამოწვეული ზიანის

¹ Постановление федерального арбитражного суда Московского округа от 30.07.2003 по делу №КГ-А40/5041-03 - Справочно-информационная система „Консультант Плюс“.

ანაზღაურების შესახებ. ხელმოწერის შემდეგ კომპანიამ მოითხოვა ამ შეთანხმების ბათილად ცნობა. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს მოსარჩელის მოთხოვნა. ზემდგომმა ინსტანციამ კი გააუქმა ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითა: „დავის გადაწყვეტის დროს არცერთ სასამართლო ინსტანციას არ დაუდგენია, თუ რა გარემოებებმა აიძულეს მხარეები ჯერ მოეხდინათ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალის რესტრუქტურისა, ხოლო შემდგომ დაედოთ რესტრუქტურისაგან გამომწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ შეთანხმება. სასამართლოებმა არც გამოიკვლიეს, რისკენ იყო მიმართული მხარეთა ნება აღნიშნული გარიგების დადებისას და კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ თუ არა ისინი. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მხარეთა ნება შეთანხმების საგნის მიმართ, ასევე ის, კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ თუ არა ისინი და ამ საკითხების გამოკვლევის შედეგების შესაბამისად შეაფასოს ხელშეკრულებათა იურიდიული ძალა. იმის დასადგენად, კეთილსინდისიერად მოქმედებდა თუ არა ბანკი კომპანიის მიმართ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ აფორმებდა ბანკი სავალუტო კრედიტის თაობაზე სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა მსესხებლებთან: უწევდა თუ არა მსესხებლებს შეღავათს, მოითხოვდა თუ არა შეღავათებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.¹ ცხადია, კონკრეტულ მსესხებელსა და ბანკს შორის არსებული ურთიერთობის გამოკვლევისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბანკის ურთიერთობას და დამოკიდებულებას სხვა მსესხებლებთან, რადგან ეს საკითხი მხარეთა ნების ავტონომიის სფეროს განეკუთვნება. მაგრამ სასამართლომ ეს ასე არ მიიჩნია.

2. ინფორმირებისა და უსაფრთხოების ვალდებულება

2.1 ინფორმირების ვალდებულება

კეთილსინდისიერების შესახებ დათქმის მეშვეობით კონტრაქტებს შორის მარტოოდენ თანამშრომლობის პრობლემის გადაწყვეტა როდი ხდება. კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება აგრეთვე იმისათვის, რომ გამოირიცხოს დისპროპორცია სახელშეკრულებო ურთიერთობებში ინფორმირების საკითხში. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვაში ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირებულობის საკითხში დისპროპორცია მასიური მოვლენა გახდა, რასაც განაპირობებს სტანდარტული პირობების ამსახველი ხელშეკრულებების ფართოდ გავრცელება. სტანდარტულ პირობებს მარტო იმიტომ როდი თანხმდება კონტრაქტის, რომ არ გააჩნია ამგვარ პირობათა შეცვლის შესაძლებლობა. ხელშეკრულების პირობებში გასარკვევად კონტრაქტის სჭირდება ადვოკატის დახმარება, ამისათვის შესაბამისი ხარჯის გაწევა, მოლაპარაკებათა წარმოება პირობათა შეცვლის შესახებ. ამის შესაძლებლობა კი არც დროის და არც მატერიალური თვალსაზრისით ყოველთვის არ არის, რის გამოც მხარე მოკლებულია ინფორმაციას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მხარის სისუსტე ვლინდება არა იმაში, რომ მას არ აქვს ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, არამედ იმაში, რომ მას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ფართოდ განვითარდა საფინანსო მომსახურების ბაზარი. საფინანსო მომსახურების გაწევა მარტოოდენ პროფესიონალს შეუძლია. ასეთია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და სხვა. ამ კომპანიათა კლიენტები დროის მცირე მონაკვეთში ისეთივე კარგად ინფორმირებული ვერ იქნებიან შესაძლო რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება განიცადონ და რომლებსაც შეიძლება მოელოდებოდნენ ხელშეკრულების დადებით, როგორც თავად კომპანიები. სამართლის წინაშე დგება საკითხი, თუ რა წესით, რა იურიდიული საშუალებებით მოხდეს მხარეთა ინფორმირებულობის საკითხში წარმოქმნილი ასიმეტრიის კომპენსირება.

ინფორმირების (ანუ შეტყობინების) ვალდებულება დამოკიდებულია ხელშეკრულების საგანზე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ხასიათზე². „თავისი სამართლებრივი ბუნებით ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შეიძლება დამატებითი ვალდებულებების კატეგორიას მივაკუთვნოთ. რადგან ინფორმაციის ხასიათი დამოკიდებულია ვალდებულების შინაარსზე, ვალდებულების საგანზე, წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რა ინფორმაცია შეიძლება მოითხოვოს კონტრაქტმა, კანონით შეუძლებელია“.³

¹ Постановление Президиума ВАС РФ №848/02 от 09.07.2002 Вестник ВАС РФ 2002, №11.

² Brox H. Allgemeines Schuldrecht, 21. Auflage, C.H. Beck, München, 1993, 72 ff.

³ *კანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გამოცემა, „სამართალი“, თბ., 2001, 52-53.

შედარებითი ანალიზის კუთხით საინტერესოა ინგლისური სამართლის მიდგომა ინფორმირების ვალდებულებისადმი. ინგლისში დაზღვევის ხელშეკრულებათა მიმართ გამოიყენება ე.წ. უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც იგივე კეთილსინდისიერების პრინციპია. მოცემული პრინციპი გამოყენებული იქნა საქმეში *Carter v Boehm* (1766). მოცემული საქმის საფუძველზე თანდათან ჩამოყალიბდა წესი, რომ მხარეებს ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ხელშეკრულების დადების დროს. ზემოთაღნიშნულ საქმეში გათვალისწინებული იქნა დამზღვევის ვალდებულება გაამჟღავნოს მისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი. საქმეში *Mayne v. Walter* (1787) მითითებული იქნა, რომ ფაქტების მარტოოდენ განზრახ დაფარვის (დამალვის) შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად სადაზღვევო პოლისი. საქმეში *Friere v. Woodhouse* (1817) აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო კომპანიას შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება ხელშეკრულების მოქმედების დროს, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ დაზღვეულს, რადგან უნდა გამოიჩინოს სათანადო მზრუნველობა. საქმეზე *Lindenau v. Desborough* (1828) დადგინდა, რომ ყველა სახის დაზღვევის მიმართ, დამზღვევმა მზღვეველს უნდა მიაწოდოს ყველა ინფორმაცია (მისთვის ცნობილი ან სავარუდო ინფორმაცია)¹.

ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის შედეგად უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპი აისახა საზღვაო დაზღვევის შესახებ 1906 წლის კანონში.² უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე დადგინდა მხარეთა ვალდებულება, დაიცვან ეს პრინციპი საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების დროს. მოცემული კანონის დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ეს პრინციპი უნდა დაიცვას როგორც დამზღვევმა, ისე მზღვეველმა (მე-17-20-ე მუხლები).

რაც შეეხება ქართულ დოქტრინას, სსკ-ის 808-ე მუხლის განმარტებისას მითითებულია, რომ ქართველი კანონმდებლის მიერ გაზიარებულ იქნა უცხოეთის ქვეყნების პრაქტიკა და დამზღვევს დააკისრა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მზღვეველს არ აკისრია დამზღვევისაგან მიღებული ინფორმაციის შემოწმების ვალდებულება. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. მხარეთა უდიდესი ნდობის პირობის პრინციპი - *uberimmae fidei*. მოცემული პრინციპის დარღვევის, ე.ი. დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილი ხდება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.³ ლიტერატურაში ხაზგასმულია ასევე, რომ დაზღვევა ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობასა და კეთილსინდისიერებას და რომ დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განსაზღვრავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და ასეთი ხელშეკრულების დადების ბედსაც.⁴ ყველა სახის საქმიანი ურთიერთობა უნდა ეყრდნობოდეს უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპს, ანუ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს ტყუილი ან ტყუილის განზრახვა. სადაზღვევო ურთიერთობები ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობას და კონფიდენციალობის მოთხოვნებს. უმაღლესი კეთილსინდისიერების პრინციპი ნიშნავს მხარეთა ვალდებულებას, შეატყობინოს მეორე მხარეს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელიც მოახდენდა გავლენას მეორე მხარის გადაწყვეტილებაზე, დაედო თუ არა ხელშეკრულება.⁵

დაზღვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი ნიშნავს: 1) დამზღვევის ვალდებულებას, შეატყობინოს სადაზღვევო ორგანიზაციას ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, ანუ ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც იმოქმედებდა ფრთხილი მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, მიეღო თუ არა დასაზღვევად მოცემული რისკი და თუ მიიღებდა – რა პირობებით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ინფორმაცია მოთხოვნილი; 2) სადაზღვევო ორგანიზაციის ვალდებულებას, გაამჟღავნოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც უცნობია დამზღვევისათვის და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სადაზღვევო ურთიერთობებზე. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესია სრულფასოვანი სადაზღვევო ურთიერთობებისათვის. დამზღვევი სადაზღვევო ორგანიზაციას წარუდგენს მონაცემებს, რომლის დეტალურად გადამოწმების

¹ *Achampong F., Uberima Fides in English and American Insurance Law. A Comparative Analysis. The International and Comparative Law Quarterly. Vol. 36., №2, 1987, 329-347.*

² <http://www.jus.uio.no/lm/england.marine.insurance.act.1906/doc.html>.

³ ლ. გვარამია. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 2002, გვ. 28.

⁴ მ. ცისკაძე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი, 2001, გვ. 28.

⁵ გ. გიგოლაშვილი. სადაზღვევო საქმე. თბილისი, 2010, გვ. 51.

საშუალება სადაზღვევო ორგანიზაციას არ აქვს და იგი სადაზღვევო ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ენდობა დამზღვევეს, რომელიც პასუხისმგებელია რისკის შესახებ სრული და ნამდვილი ინფორმაციის წარდგენაზე. კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაციას შესაძლოა მოუწიოს უსაფუძვლო ზიანის განაცხადის დაკმაყოფილება. თუმცა, ზიანის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია აწარმოებს შემთხვევის ყველა გარემოების გამოკვლევას, ამოწმებს დამზღვევის მიერ წარდგენილი მონაცემების სისრულეს და სინამდვილესთან შესაბამისობას და დამზღვევის მიერ მნიშვნელოვანი ფაქტების დაფარვა (თუ ამან გავლენა მოახდინა ზიანის დადგომაზე, ზიანის სიდიდეზე), შესაძლებელია გახდეს სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. კეთილსინდისიერების პრინციპი ვრცელდება ზიანის დადგომის შემთხვევაზეც – დამზღვევემა აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სადაზღვევო ორგანიზაციას და მიაწოდოს ზიანის დადგომასთან და ზიანის სიდიდესთან დაკავშირებული ყველა არსებითი ფაქტი. ასევე სადაზღვევო ორგანიზაციამ არ უნდა დაუმალოს დამზღვევეს ამ უკანასკნელისათვის უცნობი მონაცემები, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე, ვადებზე, სიდიდეზე.¹ ამრიგად, როგორც ქართულ ისე ინგლისის სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს მხარეთა ვალდებულება, გაამჟღავნონ ინფორმაცია (ინფორმირების ვალდებულება), მაგრამ ამგვარი ვალდებულება ინგლისში გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ. სხვა სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ არსებობს მიდგომა, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების თითოეული მხარე ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს საკუთარი რისკით, რადგან ვალდებულებითი ურთიერთობა არსებულად მიიჩნევა, როგორც კი იგი მიიღებს განსაზღვრულ ფორმას. მხარეებს არ ეკისრებათ ერთმანეთის მიმართ ყურადღების გამოჩენის ვალდებულება. მეცნიერთა აზრით, ამგვარი მიდგომა ასახავს ღია ვაჭრობის მოთხოვნილებებსა და რეალობას².

მაგალითად, საქმეში *Walford v. Miles* (1992) უარყოფილი იქნა იდეა, რომ ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების დროს მხარეები უნდა მოიქცნენ კეთილსინდისიერების მოთხოვნათა შესაბამისად. ლორდმა ანკერმა აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულება თავისი ბუნებით, ეწინააღმდეგება მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეთა ერთმანეთთან მეტოქეობას და პრაქტიკაში იგი განუხორციელებელია³.

ამრიგად, ინგლისურ სამართალში მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის შესაბამისად მხარეს არ ეკისრება მეორე მხარისათვის ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი ვალდებულება, რაც პრინციპის *caveat emptor* (დაე, მყიდველი იყოს წინდახედული) გავლენის შედეგია, ე.ი. თითოეული მხარის ვალდებულებაა საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა და გადაწყვეტილების მიღება, დადოს თუ არა განსაზღვრული შეთანხმება⁴. მაგრამ ამგვარი მიდგომა, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოსატყულებაა და რომელიც, როგორც აღინიშნება, მნიშვნელოვანია საქმიან ურთიერთობებში, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მაგალითად მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულების მიმართ.

იშვიათ შემთხვევაშია მხარე ვალდებული, გაუმჟღავნოს მეორე მხარეს არსებითი ინფორმაცია. კონტრაქტს შეუძლია დაფაროს განსაზღვრული ფაქტები იმის მიუხედავად, რომ ეს ფაქტები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მეორე მხარისათვის.⁵

ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების მხარემ მეორე მხარეს აცნობა განსაზღვრული მონაცემები, ხოლო შემდგომ „დუმს“, ამით კი საშუალებას აძლევს მეორე მხარეს შეიქმნას არასწორი, მცდარი წარმოდგენა (შთაბეჭდილება). გარდა ამისა, დადგინდა, რომ „ცალკეულმა ფრაზამ ან თავის დაქნევამ ან თვალთ ნიშნებამ, თვალის ჩაკერამ ან ღიმილმა“ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მეორე მხარე (საუბარია მცდარ ინფორმაციაზე, ინფორმაციის დამახინჯებაზე) და შეცდომაში პირის შეყვანა დაედოს საფუძველად სასამართლოში აღძრულ მის მოთხოვნას მეორე მხარის მიმართ. მაგალითად, საქმეში *Curtis v Chemical Cleaning and Dyeing Co Ltd* (1951) ქიმწმენდის მოსამსახურემ მოსარჩელეს გადასცა

¹ გ. გიგოლაშვილი. სადაზღვევო საქმე. თბილისი, 2010, გვ. 52.

² Ben-Dror Y., The Perennial Ambiguity of Culpa in Contrahendo. The American Journal of Legal History. Vol. 27. №2. 1983, 193.

³ Waddams S. M., Cases and Materials on Contracts. Toronto. 2005, 233-234.

⁴ Micklitz Hans-W., The Politics of Judicial Co-operation in the EU: Sunday Trading, Equal Treatment and Good Faith. Cambridge., 2005, 299-300.

⁵ Oughton D., Davis M. Sourcebook on Contract Law. London., 2000, 163.

ბეკლიანი ქვითარი. მოსარჩელემ ჰკითხა, რას ნიშნავდა ეს. მოსამსახურემ ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაუმჟღავნა და აცნობა, რომ საუბარია იმ პირობების შესახებ, რომლებიც გულისხმობენ ქიმწმენდის პასუხისმგებლობის გამორიცხვას ტანსაცმლის მიძვირების მარცვლების და კილიტების, ბზიანების და ზიანების შემთხვევაში. თუმცა სწორ ინფორმაციას წარმოადგენდა ის, რომ ქიმწმენდას არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ტანსაცმლის ნებისმიერი სახით დაზიანებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითა ის, რომ რადგან სწორი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილის გამჟღავნება მოხდა, მოსარჩელეს ჰქონდა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხენის უფლება.¹

თანდათან სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის წესები:

პირველი წესი დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან. ხელშეკრულების პირობები უნდა იკისროს ორივე მხარემ, ამიტომ ეს პირობები ცნობილი უნდა იყოს ორივე მხარისათვის, ე.ი. თუ მხარეს ხელშეკრულებაში შეაქვს უჩვეულო პირობა, ამის შესახებ ცნობილი უნდა იყოს კონტრაქტისათვის. მაგალითად, საქმეში *Thornton v Shoe Lane Parking* (1971) დადგინდა, რომ პარკინგის მომსახურებით სარგებლობის მსურველ ადამიანს, შეუძლია ივარაუდოს პარკინგის მომსახურების ხელშეკრულებაში იმ პირობების არსებობა, რომლებიც გამორიცხავენ ამ მომსახურების გამწვევით ორგანიზაციის პასუხისმგებლობას სატრანსპორტო საშუალების დაკარგვის ან დაზიანებისათვის. ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობებზე, მათ შორის იმ პირობებზე, რომლებიც გამორიცხავენ ასეთი ორგანიზაციის პასუხისმგებლობას კლიენტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისათვის, სპეციალურად უნდა გამახვილდეს ყურადღება.²

მომსახურების გამწვევი მხარე ვალდებულია მომხმარებლის ყურადღება გაამახვილოს (მიაქციოს) კონტრაქტის იმ პირობებზე, რომლებიც ამძიმებენ მომხმარებლის მდგომარეობას. ამგვარი პირობები არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დათქმად და მოითხოვენ (საჭიროებენ) ცალკე ყურადღების მიქცევას. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რაც უფრო მეტად უჩვეულო და სპეციფიკურ პირობას წარმოადგენს კონტრაქტის ესა თუ ის დებულება, მით უფრო მეტად არის აუცილებელი მასზე მომხმარებლის ყურადღების გამახვილება.³

ფრანგულ სამართალში განვითარდა კეთილსინდისიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ვალდებულება. კერძოდ, ეს არის *obligations d'information* (ინფორმირების ანუ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება). ინფორმირების ვალდებულების დაცვა მეტწილად აუცილებელია სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობების წინასახელშეკრულებო სტადიაზე. ჯერ კიდევ 1962 წელს ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არ შეიძლება არსებობდეს ფრანგულ სამართალში, რადგან ცხადია, ეს ვალდებულება არ შეესაბამება თანამედროვე ზნეჩვეულებებს.⁴ გარდა ამისა, ერთ-ერთ ნაშრომში, რომელშიც ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება შედარებითი მეთოდის გამოყენებით იქნა გამოკვლეული, აღინიშნა, რომ ფრანგულ სამართალში ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან, არ გამოიყენება ფართო გაგებით.⁵ მაგრამ ინფორმირების ვალდებულება თანდათან ვითარდება და მისი გათვალისწინება ხდება არა მარტო ნასყიდობისა და დაზღვევის ხელშეკრულებებში, არამედ სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებშიც. აღინიშნება, რომ ინფორმირების ვალდებულების მხარისათვის დაკისრებას განაპირობებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უთანასწორობა.⁷² ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში ინფორმირების ვალდებულება განვითარდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა საფუძველზე, რომლებიც ნების ნაკლს შეეხება (*vices du consentement*). ამრიგად, როდესაც ინფორმირების ვალდებულება არ არის დადგენილი კანონით, სასამართლო პრაქტიკაში, იმის განსაზღვრა, დაირღვა

¹ *Beale H., Tallon D., Contract Law: IUS Commune Casebooks for the Common Law of Europe. Oxford, 2002, 502.*

² *Waddams S. M., Trebilcock M. J., Waldron M.A., Cases and Materials on Contracts. Toronto. 2005, 482-485.*

³ *Beale H. G., Bishop W. D., Furmston M. P. Contract: Cases and Materials. Oxford, New York, 2007, 338.*

⁴ *Ghestin J. La notion d'erreur dans le droit positif actuel. Paris. 1962. Cit : Legrand P., Pre-Contractual Disclosure and Information. English and French law compared. Oxford Journal of Legal Studies. Vol. 6, №3. 1986, 324.*

⁵ *Kessler F. Fine E, Culpa in contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of contract: A Comparative Study. Harvard Law Review. Vol. 77(3). 1964, 418.*

⁷² *Ghestin J. The Pre-contractual Obligation to Disclose Information. French Report. In: Harris D. and Tallon D. (eds), Contract Law Today: Anglo-French Comparisons. 1989, 151, 157.*

თუ არა ინფორმირების ვალდებულება, ხდება შეცდომის (*err eur*) ან მოტყუების (*dol*) შესახებ ნორმათა საფუძველზე.¹

საკასაციო სასამართლოს 1954 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოტყუება წარმოადგენს ერთ-ერთი მხარის მიერ იმ ფაქტის დამალვას, რომელიც მისთვის არის ცნობილი და მოცემული ფაქტი მეორე მხარისათვის რომ ყოფილიყო ცნობილი, იგი არ დადებდა ხელშეკრულებას.²

მოტყუება ხელშეკრულების ბათილობის საფუძველია. ხოლო ზიანის ანაზღაურება შეიძლება ეფუძნებოდეს დელიქტური პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ 1382-ე მუხლს ფრანგული სამოქალაქო კოდექსისა. მეორე მხარისათვის შესაბამისი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის (ინფორმირების ვალდებულების დარღვევის) შემთხვევაში ერთადერთი სამართლებრივი საშუალებაა ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას წარმოადგენს ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოტყუება (შეცდომის განზრახ გამოწვევა). ქართულ სამართალშიც, მოტყუება უნდა ჩაითვალოს ინფორმირების ვალდებულების და მაშასადამე, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევად. ასეთ დროს ხელშეკრულება ითვლება ნების ნაკლის საფუძველზე დადებულად. მოტყუება შეცდომის განზრახ გამოწვევაა, რაც განაპირობებს იმას, რომ მეორე მხარე ხდება ხელშეკრულების მონაწილე ისე, რომ მოტყუების ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში იგი არ გახდებოდა ამ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. მოტყუება არის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს და გარდა ამისა, გავლენას ახდენს კონტრაქტის ნებაზე. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს მიაწოდონ ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ნების შინაარსის ჩამოყალიბებისათვის. შესაბამისად, კეთილსინდისიერების პრინციპის მეშვეობით მოსამართლეს შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს, თუ რომელი მოქმედება შეიძლება იყოს სასამართლოს წესით შეცილების საფუძველი. მაგალითად, სსკ-ის 874-ე მუხლის თანახმად, ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებული არიან მენაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ. ინფორმირების ვალდებულების ბრალეულად (უფრო სწორი იქნება ნორმაში მიეთითოს ინფორმირების ვალდებულების არაკეთილსინდისიერ დარღვევაზე) დარღვევის შემთხვევაში დადგება ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურება). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს საკასაციო სასამართლომ განმარტა: როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძველად დაედო, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაქტი კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. სწორედ ამ მიზეზით, შეცდომით დადებული გარიგება, საცილო გარიგებათა შორის, ხანდაზმულობის ყველაზე მოკლე ვადას ითვალისწინებს. სამოქალაქო ბრუნვისათვის საზიანო იქნებოდა კეთილსინდისიერი მხარის კანონიერი ინტერესების ხანგრძლივად ეჭვქვეშ დაყენება გარიგების შეცილების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ გაიმიჯნოს შეცდომით და მოტყუებით დადებული გარიგებები, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები და უნდა დადგინდეს, რა გარემოებები დაედო საფუძველად მხარეთა მიერ ნების გამოვლენას.³

სხვა საქმეზე კი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანაა. მოტყუების დროს სახეზეა ნების გამოვლენის ნაკლი. მოტყუებისას ყოველთვის სახეზეა პირის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედება. არ შეიძლება მოტყუებად ჩაითვალოს ზოგიერთი ფაქტის შელამაზება-გაზვიადება, რაც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით დაშვებულია.

¹ Fabre-Magnan M. Duties of Disclosure and French Contract Law. In: Beatson J. Friedmann D., Good faith and fault in contract law. Oxford, 1997, 101.

² Nicholas B. The French Law of Contract. Oxford. 1992, 98.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ს-1350-1275-2012.

ასეა ხშირად სავაჭრო გარიგებებში, როცა ვაჭარი აქებს თავის საქონელს და ცდილობს ამით ფასი გაზარდოს. ზომიერი რეკლამა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს ბოროტი განზრახვა, ვერ ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ მოქმედებად. სააქციო საზოგადოების შეთავაზება სხვა პირისათვის, რომ მისი აქციები იქნება მომგებიანი და შემდგომში მომგების მომტანი, არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად. აქციონერი არის სამეწარმეო რისკის მატარებელი, ვინაიდან აქციების მიხედვით მიღებული დივიდენდის ოდენობა შეიძლება იყოს მცირე, ვიდრე კაპიტალის განთავსების ალტერნატიული ფორმებიდან მიღებული მოგება ან შეიძლება მოგება საერთოდ ვერ იქნეს მიღებული. შეუძლებელია გარიგების დადების მიზნით მოტყუებად ჩაითვალოს ის გარემოება, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს არც ერთი მხარისათვის არ იყო ცნობილი და მისი დადგომა ხდება შემდეგში. შეუძლებელია აქციის გამყიდველს ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მის მიერ გაყიდული აქცია იქნება მომგებიანი.¹

მხარე ვალდებულია გაამჟღავნოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს აცნობოს მანქანით სარგებლობის, მანქანის გამოყენების პირობები. მაგრამ ამგვარი ვალდებულება არ ეკისრება იმას, ვინც მანქანას არემონტებს.

ინფორმირების ვალდებულება არსებობს ნარდობის ურთიერთობაშიც. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: მენარდე ვალდებული იყო, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის. მოსარჩელეს არც სარჩელში მიუთითებია და არც შემდეგში წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა. შემკვეთს უნდა ცოდნოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. მენარდეს, უპირველესად, ის უნდა დაედასტურებინა, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ასეთი მტკიცებულება მენარდეს არ წარმოუდგენია. მართალია, იგი უთითებს ფარული სამუშაოების აქტებზე, მაგრამ ამ აქტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ შემკვეთი პერიოდულად იღებდა შესრულებულ სამუშაოებს საპროექტო დოკუმენტაციის (მათ შორის, კორექტირებული პროექტის) მიხედვით, ხოლო, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 1მ²-ის აშენების ღირებულების გაზრდაზე ახდენდა თუ არა გავლენას, სხენებული აქტებით არ დასტურდება. ამით არც ის დასტურდება, რომ შემკვეთმა იცოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამასთან, შემკვეთს რომც ევარაუდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის თაობაზე, მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თანახმა იყო თუ არა იგი სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. გადახარჯვის ანაზღაურება შედის მენარდის და არა შემკვეთის ინტერესებში, ამიტომ კანონი სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს ატყობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას. მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, ანუ იგი თანახმა იქნება გადახარჯვის ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.²

დეტალური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას და, შესაბამისად, არასათანადო ინფორმაციის მიწოდების აკრძალვას და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები (657-ე - 667-ე მუხლები).

ინფორმაცია, რომელსაც არა აქვს მნიშვნელობა მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილების მისაღებად, ან რომელმაც შეიძლება ზიანიც კი მიყენოს მხარეს, არ უნდა იქნეს გამჟღავნებული. მაგალითად, როდესაც პაციენტი ავად არის, ექიმი არ არის დარწმუნებული, რომ იგი გამოჯანმრთელდება, ექიმს შეუძლია აირჩიოს, უნდა გაუმჟღავნოს თუ არა მან ამგვარი ინფორმაცია პაციენტს. მაგრამ ექიმს ეკისრება ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, რათა გააფრთხილოს პაციენტი დაავადებიდან გამომდინარე მოსალოდნელი

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 33-938-02.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-888-834-2012.

გართულებების (მაგალითად, პაციენტისათვის დანიშნული მედიკამენტების თანმდევი შედეგების მოვლენების) შესახებ იმისათვის, რომ პაციენტმა შეძლოს გართულებების თავიდან აცილება. მხარეს არ ეკისრება ინფორმირების (გამჟღავნების) ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარემ, რომელსაც ინფორმაცია სჭირდება, უკვე იცის მის შესახებ.

არა მარტო ნასყიდობაში მონაწილე გამყიდველს, არამედ ექიმსაც, არქიტექტორსაც, დისტრიბუტორსაც, ბანკირსაც და იურისტსაც ეკისრებათ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება მანამ, სანამ ხელშეკრულებას დადებენ მეორე მხარესთან. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დედა თავდებად დაუდგა შვილს, რადგან შვილი სხვაგვარად ვერ აიღებდა ბანკის კრედიტს. ჰოლანდიის უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ბანკი როგორც პროფესიონალი გამსესხებელი, ვალდებული იყო, არაპროფესიონალი კონტრაქტის გაფურთხილებინა იმ რისკისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოვალის თავდებად დადგომას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.¹ ინფორმირების ვალდებულება ეფუძნება ან კანონს (კანონით შეიძლება დადგენილი იყოს ინფორმირების ვალდებულება), ან კონკრეტული სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს (სასამართლო განმარტავს), ეკისრებოდა თუ არა მხარეს ინფორმირების ვალდებულება.

2.2 უსაფრთხოების ვალდებულება

არსებობს კიდევ ერთი დამატებითი ვალდებულება, რომელიც შეიმუშავა დოქტრინამ, ხორციელდება სასამართლო პრაქტიკაში და დამახასიათებელია საფრანგეთის სამართლის სისტემისათვის. ეს არის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება (*obligation de securite*). ამგვარი ვალდებულების მხარისათვის დაკისრებას განაპირობებს ტექნიკური პროგრესი და ინდუსტრიალიზაცია. მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგულ ლიტერატურაში აღინიშნებოდა, რომ უწინარეს ყოვლისა, არსებობს მუშაკებისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი მიყენებული იქნა საწარმოში შრომითი ხელშეკრულების შესრულების დროს; მეორე, არსებობს გადაყვანის ხელშეკრულების შესრულების დროს უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული მგზავრებისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. თანდათან სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, მოცემული ვალდებულება წარმოადგენს დამატებით ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების მიმართ. რომელიმე ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება არ არსებობს. გარდა ამისა, საკმარისი არ არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზიანი მიადგა ხელშეკრულების კონტრაქტს. აუცილებელია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება დაკავშირებული იყოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან; მეორე, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულების შინაარსს შეადგენს ის, რომ არ შეიქმნას სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე. შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება უკავშირდება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლობას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. მესამე, ასეთი ვალდებულება ეკისრება მოვალეს, რომელიც ეწევა (ახორციელებს) პროფესიულ საქმიანობას. ის ფაქტორი, რომ ამგვარი ვალდებულება სამოქალაქო ბრუნვის პროფესიონალ მონაწილეს ეკისრება, განაპირობებს უფრო მკაცრი წესების დადგენას ამ კატეგორიის პირთა მიმართ. საუბარია ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერ მხარეზე და ასევე ისეთ მხარეზე რისკის გადატანის თაობაზე, რომელსაც მეტი შესაძლებლობები აქვს ზიანის თავიდან ასაცილებლად.¹ აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება კეთილსინდისიერების შესახებ ნორმის (1134-ე მუხლის მე-3 ნაწილი) საფუძველზე როდი განვითარდა, არამედ განვითარდა 1135-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ ის, რაც პირდაპირ არის გამოხატული მხარეთა მიერ, არამედ სამართლიანობის (*equite*) მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებებიც. ამასთან, როგორც ფრანგულ დოქტრინაშია აღნიშნული, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებმა ამ ნორმაში

¹ მაგალითი მოყვანილია ნაშრომიდან: ა. იოსელიანი. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა)– ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 60.

¹ *Синявская М. С.* Обязанность обеспечить безопасность как специфическая категория французского обязательственного права, „Российский судья“ №6, 2006, 42.

სხვაგვარი შინაარსი (აზრი) ჩადეს, კერძოდ კი კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ხელშეკრულებათა შესრულების აუცილებლობა.²

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე პერიოდში ფრანგულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპს ენიჭება მსგავსი მნიშვნელობა, ფრანგ მეცნიერებს შორის ერთიანი მიდგომა არ არის შემუშავებული თავად კეთილსინდისიერების პრინციპის და კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების შემთხვევების განმარტების საკითხისადმი. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, რომლებიც აშკარად მოითხოვდა *bonne foi*-ს პრინციპის გამოყენებას, ის არ ყოფილა გამოყენებული.³

უსაფრთხოების ვალდებულებას ქართული სამართალიც აქცევს ყურადღებას. კერძოდ, სსკ-ის 318-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, სხვა ყველაფერთან ერთად, გულისხმობს ასევე ექსპლოატაციისას ან მოხმარებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფი ინფორმაციის გადაცემასაც კრედიტორისათვის.⁴ უსაფრთხოების ვალდებულება ქართულ სამართალში არსებობს მიბარების ურთიერთობებშიც (სსკ-ის 769-ე მუხლი), დაზღვევის ურთიერთობებშიც (სსკ-ის 808-ე მუხლი, 813-ე მუხლი), გადაზიდვა-გადაყვანის ურთიერთობაში და სხვა. მიბარების ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების მოთხოვნა იმპერატიულად არის გამოხატული სსკ-ის 765-ე მუხლში. მათ შორის სასაქონლო საწყობში მიბარების დროსაც მოითხოვება ამ პრინციპის დაცვა (იხ. სსკ-ის 781-ე და 785-ე მუხლები).

nino khunashvili

Additional obligations in contractual relationship based on good faith principle

Summary

The work analyzes obligations arising from the principle of good faith: obligation of cooperation and the obligation to inform.

Imposition of fulfillment of mentioned obligations to the contracting parties depends on the subject of contract, the legal nature of contract.

This issue is investigated through the use of comparative legal analysis.

The study suggests that not only the protection of the principle of good faith has great importance in Georgian law but also defence of additional (obligations) responsibilities arising from good faith principle have great importance in Georgian law. Breaking of additional obligations and rejection of additional obligations cause breaking of main obligation.

² *Синявская М. С.* Обязанность обеспечить безопасность как специфическая категория французского обязательственного права, „Российский судья” №6, 2006, 44.

³ *Nicholas B.* The French Law of Contract. Oxford 1992, 156.

⁴ ლ. ჭანტურია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი, 2001, გვ. 54.

სარჩევი

ისტორია

ვახტანგ გურული, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ღვაწლი.....	6-25
როზეტა გუჯეჯიანი, ხარების ჭედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში.....	26-36
ჯემალ კარალიძე, ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მოწყობა 1878-1903 წლებში.....	37-41
ლევან ჯიქია, დოკუმენტები და მასალები 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყების ისტორიისათვის.....	42-57
გვანცა ბურდული, ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის (რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის 1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა).....	58-66
მიქაელ (მახარე) ბუკია, ეპისკოპოს კირიონ II-ის მეცნიერული მემკვიდრეობიდან.....	67-74
ვახტანგ გურული, რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787).....	75-114
მამუკა ცუხიშვილი, ჩიხის ჯვარი.....	115-124
ცირა ჯანაშია, რამდენიმე შენიშვნა არაქელ თავრიზელის ცნობებთან დაკავშირებით.....	125-130
მარიამ გაბუნია, იბერიის მეფის წინადადებების განხილვა მადრიდის სამეფო კარზე (სახელმწიფო საბჭოს დოკუმენტების მიხედვით).....	131-137
თეიმურაზ პეტრიაშვილი, მეფე ერეკლეს გარდაცვალება და დაკრძალვა.....	138-142
მაგდა ჭიქაბერიძე, 1832 წლის შეთქმულება დიმიტრი ყიფიანის მემუარების მიხედვით.....	143-146
ლაშა დვისაძე-შარვაშიძე, ეროვნული იდეა უწმინდესისა და უნეტარესის კირიონის შემოქმედებაში.....	147-151
ირაკლი ლორთქიფანიძე, აღსაყდრება უწმინდესისა და უნეტარესის კირიონ მეორისა.....	152-155

ფილოლოგია

გიორგი ალიბეგაშვილი, ქრისტიანული ეგზეგეტიკის თეორიულ-სახისმეტყველებითი პრინციპების ისტორიიდან.....	157-164
ტარიელ ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ბრუნვები (მანქანური თარგმანის პროგრამისათვის).....	165-174
მანანა ტაბიძე, ბელა შავსელიშვილი, კოლექტიური თვითკუთვნილების ენობრივი გამოხატვის ქართულ-ნახური მაგალითი.....	175-180
ლია კარიჭაშვილი, აკაკი წერეთლის „ქებათა-ქება“ (სიმბოლო და ინტერტექსტი).....	181-184
თამარ ლომაძე, მეტაფორები პოლიტიკურ დისკურსში (საპრეზიდენტო არჩევნების დისკურსის მაგალითზე).....	185-190

თარგმანმცოდნეობა

ეკა დუღაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის (მოიხილესას) ერთი ასპექტისათვის ძველი ქართული თარგმანების მიხედვით.....	192-195
მანანა მათიაშვილი, ელიზაბეტ ბიშოპი: პოეტი-ასკეტი.....	196-200

სამართალი

მინდია უგრეხელიძე, „ლიდერშიპის“ კრისიზი: ზოგიერთი ვექტორისა და განზომილების შესახებ.....	202-206
კარლო ბზიშვილი, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების განმარტება.....	207-212
ალექსანდრე ბარამიძე, პრეცედენტი საერთო სამართლის ქვეყნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლებრივ სისტემებში.....	213-221
ნინო ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში.....	222-236

Table of Content

History

Vakhtang Guruli , Merit of professor Sergo Vardosanidze.....	6-25
Rozeta Gujejiani , Bull fight ritual in traditional Georgian life.....	26-36
Jemal Karalidze , Batumi Region Administration Arrangement during 1878-1903 Abstract.....	37-41
Levan Jikia , Documents and materials for the history of 1924 Anti-Soviet National Revolt.....	42-57
Gvantsa Burduli , Fight for restoration of the autocephaly of the Georgian apostolic church The conference preceding of Russian Church Council (December 13 th , 1906).....	58-66
Michael (Makhare) Bukia , From the Scientific Heredity of Bishop Kirion II.....	67-74
Wakhtang Guruli , Russische Armee im Konigreich Kartlien-Kachetien (1783-1787).....	75-114
Mamuka Tsuchishvili , Cross of Chikha.....	115-124
Tsira Janashia , Several observations in connection with data of Arakel of Tabriz.....	125-130
Mariam Gabunia , King of Iberia's proposals discussion at Madrid royal court (According to the documents of the State Council).....	131-137
Teimuraz Petriashvili , Death and burring of King Erekle.....	138-142
Magda Chikaeridze , Conspiracy of 1832 according to Dimitri Kipiani Memoirs.....	143-146
Lasha Deisadze-Sharvashidze , National idea of creation of His Holiness and Beatitude Kirion.....	147-151
Irakli Lortkipanidze , Enthronements of His Holiness and Beatitude Kirion the second.....	152-155

Philology

Giorgi Alibegashvili , From the History of Theoretical-Imagery Principles of Christian Exegetics.....	157-164
Tariel Putkaradze , Case as one the aspects of noun formation.....	165-174
Manana Tabidze, Bela Shavkhelishvili , Georgian-Nakh Case of Linguistic Expression of Collective Identity.....	175-180
Lia Karichashvili , Canticle of Canticles by Akaki Tsereteli (Symbolism and Inter-text).....	181-184
Tamar Lomadze , Metaphors in Political Discourse (based on the pre-election discourse of 2013 presidential elections in Georgia).....	185-190

Translation Studies

Eka Dugashvili , On one aspect of the second ode (moikhile) of the Hymnographic Canon According to the ancient Georgian translations.....	192-195
Manana Matiashvili , Elizabeth Bishop – the Ascetic Poet.....	196-200

Jurisprudence

Mindia Ugrekhelidze , Crisis of Leadership: on Some Vectors and Dimensions.....	202-206
Karlo Bzishvili , The contract definition of joint activity (partnership).....	207-212
Alexander Baramidze , Precedent in Legal Systems of Common Law and European Convention on Human Rights.....	213-221
nino khunashvili , Additional obligations in contractual relationship based on good faith principle.....	222-236